

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

თეიმურაზ ბაკრატიონი

განმარტება
ჰოემა ვეფხისტყაოსანისა

გაიოზ იმედაშვილის
რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი — 1960

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ხარულ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი გ. იმედაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი დ. ნათიშვილი
ტექნიკური ნ. ჯაფარიძე
ყდა მხატვარ გ. ნადირაძისა
კორექტორი ც. კახაბერაშვილი

გადაეცა წარმოებას 23.11.1959; ანაწყობის ზომა 6×10 ; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 15.8.1960; ქალღმრთის ზომა $60 \times 92^{1/16}$;
ქალღმრთის ფურცელი 10,25; საბეჭდი ფურცელი 20,5; საავტორო
ფურცელი 19,93; საალრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 20,19;
შეკვეთა 1861; უე 03923; ტირაჟი 1000
ფასი 14 მან.
1961 წ. 1 მან. 40 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5

შ ი ნ ა ა რ ს ი

- | | | |
|--|---------|-----|
| 1. გაიხიმიე და შეილი — თქიმურახ ბაგრატიონის
„განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“ . | ნაშრომი | 07 |
| 2. ტექსტისათვის | | 032 |
| 3. განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა [ტექსტი] | | 1 |
| 4. ტექსტში განმარტებულ სიტყვათა საძიებელი . . | | 297 |

თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომი „განმარტება ჰოემა ვეფხისტყაოსანისა“

თეიმურაზ ბაგრატიონის ლიტერატურულ მოღვაწეობას ემჩნევა გარკვეული მიკერძობება რუსთველოლოგიურ საკითხებზე მუშაობისადმი და გადამეტება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მისი ცხოვრების მიზანი და აზროვნების მთავარი თემა ვეფხისტყაოსანი იყო. ისიც შეიძლება ითქვას, რომ ძველი თაობის არც ერთ მოღვაწეს ვეფხისტყაოსანზე იმდენი ამაგი არა აქვს გაწეული, რამდენიც თეიმურაზს. იგი რუსთაველის სახელს მთელი ცხოვრების განმავლობაში თავს ევლებოდა, როგორც წმიდათა-წმიდას, და ძალასა და დროს არ იშურებდა სისტემატური მუშაობით აღედგრა და შეძლებისამებრ გადაეკრა მისი შექოქმედების საკითხები, რომელნიც დღესდღეობითაც იწვევენ ინტერესს და ჯერ კიდევ მოვლიან შესწავლას. თეიმურაზის ეს მუშაობა მით უფროა დასაფასებელი, რომ ის არანაკლებად ინტენსიურად იღწვოდა ქართველოლოგიის ნრაველ დარგში, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიაში და ამ მხრივ კარგადაა ცნობილი მისი მონოგრაფიული ნაშრომი «ისტორია ივერიისა».

ქართული ლიტერატურის, კერძოდ რუსთველოლოგიის საკითხების, შესწავლა თეიმურაზმა რუსეთში დაბინებისთანავე დაიწყო, რაც შემდგომ აკად. ბროსესთან მეცნიერული თანამშრომლობის ნიადაგზე უფრო გაცხოველდა და ევროპელი მეცნიერის ძიერ დასახული ქართველოლოგიური მუშაობის საჭიროების შესაბამისად წარიმართა. ბროსე და თეიმურაზი ერთმანეთის მასწავლებლებიც იყვნენ და მოწაფეებიც. თუ როგორ ავტორიტეტს წარმოადგენდა თეიმურაზი ბროსესთვის, იქიდანაც ჩანს, რომ ბროსე ხშირად უკრიტიკოდ იმეორებდა თეიმურაზის შეხედულებებსა და მოსაზრებებს მწერლობის ისტორიისა და მათ შორის უმეტესად სწორედ ვეფხისტყაოსნის საკითხებზე. ერთი სიტყვით, ამ ორ მეცნიერს შორის ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის პირობებში წარმოიშვა თეიმურაზის რუსთველოლოგიური ნაშრო-

მები. ერთი მათგანია ბროსეს შეკვეთით 1832 წელს დაწერილი: «გვარნი ანუ საზომი ქართულისა ენისა სტიხთა» (დაბეჭდილია ჩემი რედაქციით: თეიმურაზ ბაგრატიონის შრომა ქართული ვერსიფიკაციის საკითხებზე, „ლიტერატურული ძიებანი“, 1948, ტ. IV). თეიმურაზის ამ ნაშრომში განიხილულია რუსთაველის შაირი, აღნიშნულია მისი ორი სახეობა და წამოყენებულია მეტად საყურადღებო მოსაზრებანი შაირის საზომის საწყისის შესახებ, რასაც ის ქართულ გლოსოლალურ ფაქტებთან დაკავშირებით ხსნის.

თეიმურაზის მეორე რუსთველოლოგიურ ნაშრომს წარმოადგენს ბროსესადმი 1834 წლის 17 ოქტომბერს წერილის ფორმით გაგზავნილი საყურადღებო გამოკვლევა 53 გვერდად (დაცულია საკავშირო აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში H 21—Br 21). აქ ქართული კულტურისა და მწერლობის ზოგად მიმოხილვაში აღძრულია ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებული საკითხებიც, რომლებშიც უკვე ჩანს ის ფართო ინტერესი და მასშტაბი, რამაც მთლიანი გამოძიება და სრული დამუშავება ჰპოვა მის სპეციალურ რუსთველოლოგიურ მონოგრაფიაში: «განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა». ეს წიგნი თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობის მიწურულს 1843 წელს დასრულდა, თუქცა საკმაოდ ადრე უნდა ყოფილიყო დაწყებული და ის, მართლაც, წარმოადგენს მისი რუსთველოლოგიური მუშაობის შეჯამებას თავის ყველა ნაწილში. ამ მხრივ საგულისხმოა ფაქტი, რომ, მაგ., ვეფხისტყაოსნის დასასრული სტროფის „ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა“ განმარტებაში, რომელიც მიძღვნილია რუსთაველისა და მისი დროის სხვა მწერლების ბიოგრაფიული საკითხებისადმი, თეიმურაზი იმეორებს მის მიერ ბროსესადმი გაგზავნილ ზემოთ აღნიშნულ წერილში გამოთქმულ შეხედულებებს, მიიღობს მცირეოდენი რედაქციული ცვლილებებით.

თავის შრომაზე თეიმურაზი დიდი შეხედულებისა იყო და მისი დაბეჭდვაც ჰქონია განზრახული ქართულ-ფრანგულ ენებზე. ამ მხრივ ისიცაა საგულისხმო, რომ ის ელოდა ღირსეულ დაფასებას მცოდნე თანაბრემაჟელთაგან. ის ასეთი ანდერძით ამთავრებს თავის ნაშრომს: „ვასასობ, რომელ ესე ნაღვაწი ჩემი არა უგულვებელს იქნების მათ მიერ და ყოველნი მხილველნი ამისნი და წარმკითხველნი კმაყოფილებით მიიღებენ და კეთილისა გულითა ქველმსიტყველ მექმნებიან მე“ (განმარტება, 201 r). ეხლა ამ ნაშრომის დაწერიდან საუკუნეზე მეტმა ხანმა განვლო და მართალია დაუ-

ბექდავადაც მეცნიერულ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი და მან დიდი როლი ითამაშა რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებაში, განსაკუთრებით ვეფხისტყაოსნის განმარტებასა და ლექსიკონის შედგენისათვის წარმოებულ მუშაობაში, მაგრამ ის სპეციალისტების მიერაც ჯერ კიდევ ჯერონად არაა შესწავლილი და გამოყენებული, ისე რომ მისი ბევრი კარგი და მეტად სასარგებლო ჩვენება დღემდე ღირსებისამებრ არაა გაშუქებული და გამოყენებული. ამის მაგალითს განმარტებათა მთელ სივრცეზე მრავალ თქმასა თუ სახის გაგებასთან დაკავშირებით ვგრძნობთ და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ თეიმურაზის განმარტებათა შესწავლა მრავალ ბუნდოვან, ანდა სავსებით გაუგებარ ადგილებს გასაგებს გახდიდა.

თეიმურაზი ვეფხისტყაოსნის განმარტებას საფუძვლად უდებს პოემაში ქართული სინამდვილის ასახვის თეზას. ასეთი შეხედულება საქართველოში თავისთავად არსებობდა, არა როგორც დაპირისპირებული აზრი ვეფხისტყაოსნის არა ქართული წარმოშობის საწინააღმდეგოდ, არამედ როგორც ერთადერთი ეროვნული შეხედულება პოემის შექმნაზე. პრობლემა ვეფხისტყაოსნის არა ქართული საწყისის შესახებ მხოლოდ შემდგომში კვლევა-ძიებამ წარმოშვა.

ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის გაგებაში თეიმურაზი ძირითადად ეყრდნობა ვახტანგის კონცეფციას, რომლის მიხედვით პოემის ამბავი ქართულია, მისი მსგავსი რამ სპარსულ მწერლობაში არ არსებობს, მასში ქართული ცხოვრებაა აღწერილი. თეიმურაზი ამ დებულებათა არგუმენტაციას ახდენს უფრო კონკრეტული ფაქტებით და პოემის მხატვრული ანალიზით. მისი გაგებით, ვეფხისტყაოსანი არსებითად ქართული მოვლენაა. ის მოფიქრებულია ქართულად, — მოქმედების განვითარებით, გმირთა ხასიათით, სტილით, ლექსიკით. მას არ მოეძებნება ორიული. მსოფლიო მწერლობაში ის განსხვავებული მოვლენაა. ის „შეიცავს თვსს შორის, თუმცა ზღაპარ სიტყვაობასა, მაგრამ ფრიადისა ჯელოვნებითა შეწყობილ არს ესე, სრულიად ძველსა ქართველთა ზნეობათა, ჩვეულებათა და ხარაკტერსა ზედა ენისა ჩვენისასა“ (განმარტება, 1981). თეიმურაზის ამ შეხედულებამ საბოლოოდ გაიმარჯვა რუსთველოლოგიაში, თუმცა ასეთი აზრი დიდ ხანს იღვევებოდა მათ მიერ, რომელთაც ქართული პოეტური ენის და ზოგადად ქართული მწერლობის ორიგინალური საფუძვლის აღიარება გადაქარბებულ პატრიოტობად მიაჩნდათ, მისი დასაბუთება კი არამეცნიერულ საქმიანობად.

თეიმურაზის აზრით, ვეფხისტყაოსანი ცალკეული, მიუბაძველი, თავისთავადი მოვლენაა, როგორც წმინდა პოეტური ნაწარმოებიც. ის სავესებით ორიგინალური პოეტიკის კანონებს ეყრდნობა: „ხოლო მოლექსეობასა შინა რუსთაველი არცა ბაძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არამედ აქვს მას მხოლოდ აღრჩეულ ლექსთათჳსთა შეთხზვისათჳს საკუთარი ქართული ხარაქტერი და ჩვეულება, გინა ზნეობა“ (იქვე, 197 ო), ის „პიიტიკობასა შინა აღმატებოდა სხვათა ყოველთა ჳელოვანებითა ლექსთათა“. თეიმურაზი თვლის, რომ რუსთაველმა თავისი შემოქმედებითი და პიროვნული სიდიადით თვითონვე ბრწყინვალედ განახორციელა მის მიერვე ნაქადაგევი იდეალი შემოქმედისა და მოქალაქის მთლიანი პიროვნებისა (იქვე, 198 ო). ამიტომაც, რომ ვეფხისტყაოსანი სიბრძნის, სიკეთისა და ზნეობის უდიდესი იდეალების შემცველია: „უმრავლესნი-კეთილნი ზნეობანი ისწავლებიან წიგნისა ამისგანო“ და მეგობრობა ამ იდეალებს შორის ყველაზე მთავარია. ამასთან ერთად, თეიმურაზმა შენიშნა, რომ რუსთაველის ვეფხისტყაოსანი პატრიოტიზმს ქადაგებს, ის გვასწავლის „მამულისა თჳსისა ერთგულეობასა“.

ვეფხისტყაოსნის ასეთ ეროვნულ გაგებასთან მიმართებით თეიმურაზი ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში ამა თუ იმ სიტყვის განმარტებასთან დაკავშირებულ ახსნას ქართულ ყოფასა, მწერლობასა და ენაში ეძიებს. ასეთ ვითარებაში ისახება ნაშრომის ძირითადი გეზი. მისთვის რუსთაველის შემოქმედების გაგება ქართული სინამდვილის საფუძველზე უკავშირდება დასავლურ-აღმოსავლურ ლიტერატურულ გარემოს. აქ რუსთველოლოგიის თითქმის ყველა ძირითადი საკითხია წამოჭრილი და ასე თუ ისე გადაწყვეტილი: ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობა-წარმოშობა, სადაურობა, სარწმუნოება, პოემის ორიგინალობა, ქართულ ნიჲდაგზე წარმოშობა, პოემის ტექსტის შედგენილობა და მასთან დაკავშირებული ჩანართი სტროფებისა, ეპიზოდებისა და დანართი ამბების პრობლემა, მცდარი წაკითხვები, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის საკითხები—ვერსიფიკაცია, შაირის საზომის წარმოშობა, პოეტური სტილი, მხატვრული მეტყველების თავისებურებანი—მეტაფორები, მაჯამები, პოემის ლექსიკა, დიალექტიზმების საკითხი ვეფხისტყაოსანში, უცხო ლექსიკური ფენები და სხვ.

ნაშრომის დასაწერად თეიმურაზს სპეციალური, ხანგრძლივი მუშაობა ჩაუტარებია. მას ქართულის გარდა სკირდებოდა სპარსული, არაბული, სომხური, ებრაული სიტყვების ძირების ცოდნა.

სიტყვათა ეტიმოლოგიების გარეშეც ვეფხისტყაოსნის ლექსიკის განმარტება ცოდნის მრავალი დარგის საკითხებთანაა დაკავშირებული. აქაა მწერლობის გარდა სახელმწიფოებრივ-სოციალური ცხოვრებისა და კულტურის ისტორიის მრავალი სფერო—რელიგია, მითოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, სამხედრო ხელოვნება, მეურნეობის მრავალი დარგი და სხვ.

რუსთაველის მეტყველება თავისი მრავალფეროვანი თქმებით, აფორიზმებით, მეტაფორებითა და ეპითეტებით მთელი რიგი საკითხების დამატებით ახსნა-განმარტებას საჭიროებს, რისთვისაც სათანადო მასალის შეგროვება შესწავლა აუცილებელს ხდიდა სამშობლო მწერლობის გარდა უცხო მწერლობის ფაქტების გათვალისწინებასაც. ასეთი სამუშაოს ნაყოფიერებით განხორციელებას ხელი შეუწყო თეიმურაზის მრავალმხრივმა განათლებამ, რომელიც მაშინდელი პირობების მიხედვით შედარებით სოულყოფილი იყო მეფე ერეკლეს კარზე, სადაც დანერგილი აღმოსავლურ-დასავლურ ცოდნათა მიღწევებით უპირველეს ყოვლისა ბატონიშვილს შეეძლო ესარგებლა. ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ თეიმურაზი დაუზარელი ნიჭის პატრონი იყო, რამდენიმე ენის კარგი მცოდნე და ცხოვრების მრავალ ქირ-ვარამ ნახული და გამოცდილი. ამიტომ გასაკვირი არაა, თუ მის ნაშრომებს ცოდნისა და ერუდიციის დადი აზის. ის ხშირად უთითებს როგორც ლექსიკონებსა და ავტორებს, საიდანაც ის სარგებლობს ამა თუ იმ სიტყვის დაზუსტებული გაგებისათვის, ისე მის მიერ თვალით ნახულსა და განცდილს და ეს იმდენ მასალას ეხება და შეიცავს იმდენ ცნობას, რომ მათი დაგროვება-შესწავლა მაშინდელ პირობებში მხოლოდ თავდადებული მუშაობით შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

ვეფხისტყაოსნის განმარტებას—რუსთაველის სიტყვათა მარაგის, მხატვრულ სახე-თქმებისა თუ განყენებული ცნებების მნიშვნელობათა შესწავლასა და ახსნა-დოკუმენტაციას თეიმურაზი ზემოთ აღნიშნულ ეროვნულ კონცეფციაზე აგებს. ის პოემას ხსნის ქართული ისტორიული ცხოვრების სინამდვილით და ამასთანავე ერთად ასაბუთებს ქართული ენის მრავალფეროვნებას, მის უნარს აზრის უმაღლესი ფორმების გამოხატვისას, იწინს მიუხედავად, რომ ის სხვა ენიდანაც სესხულობს სიტყვეს, მაგრამ არა იმიტომ, ლარიბი იყოსო: „რუსთაველის ვეფხისტყაოსანსა შინა ქეშმარიტი არის, რომა სხვადასხვა ენებისა არის შემოტანილი და მისთვის რომელ სპარსულ-არაბულს ანუ სხვის ენებისა მშვენიერი ლექსები

არიან, იგინი შემოუტანია ლექსის გაწყობისათვის, ზოგნი ამისთვის, რომელ აზრები კარგათ გამოვიდეს და ბრჯგუთ არ იყოს სიტყვები ლექსებში" (H 21, გვ. 3).

ამის მიხედვით თეიმურაზი ცდილობდა ყოველ ცალკე შემთხვევაში დაედგინა ვეფხისტყაოსნის ლექსიკაში უცხო ენობრივი ფენის რაიმე გამოხატულება, უნთავრესად სპარსულ-არაბული და არა იშვიათად სომხური და ზოგჯერ კი ებრაული ლექსიკის კვალიც. ასეთ შემთხვევაში თეიმურაზი იძლევა პარალელურ შესატყვისობებს. მაგ., კორკოდილოს, მისი შენიშენით, სპარსულია, რომელსაც ქართულად ეწოდება ხვითქი. მაგრამ უცხო წარმოშობის სიტყვათა აღნიშვნასთან ერთად, ამავე დროს ის ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ქართულ სიტყვაში უთუოდ სესხება დაეინახოთ, მაშინ როდესაც შესაძლოა პირიქით მოვლენას ჰქონდეს ადგილი. ქართული ენის შინაგანი მთლიანობისა და შემოქმედებითი ძლიერების ნათელსაყოფად თეიმურაზი განმარტავს, რომ: „ქართველები არიან ქვეყანასა ზედა ერთი უძველესთა ერთაგანი, რომელთაცა, ენაჲ თვისი აქესთ საკუთარი უძველესი და ძირითი ენა, რომელიცა არა წარმომდგარ არს და არცა გაკეთებულ არს საფუძველთა ზედა სხვათა ენათასა, არამედ ვინცა უწყის საფუძველიერად ენაჲ ქართული, გულისხმაყოფიეს ნათლად, რომელ იგი არცა ერთსა სხვასა ენასა ევსგავსების, ვინაჲდგან არს იგი თავით თჳსით განსაკუთრებული ენაჲ“ (იქვე, გვ. 8).

რუსთაველი, თეიმურაზის აზრით, შევნებულად ამდიდრებს ქართულ ენას უცხო სიტყვებით, მხოლოდ კარგად უნდა გამოიძიება ამ სესხების საზღვრებსა და ხასიათს, რომ ყველგან არ დაეინახოთ უთუოდ სპარსიზმ-არაბიზმები: „ხოლო რომელნიჲე ლექსნი არიან მსგავსნი ლექსთა სპარსულთა და არაბულთა და სხვათაცა ენათა და ფრიად გამოცდილება უნდა კაცსა, რომ შეამცნიოს, რომ თუმცა ჰგვანან სხვათა ენისა ლექსთა, მაგრამ კი არ არიან სხვისა ენისა, არანედ ნამდვილნი ქართულნი არიან“ (ვანმარტება, 200 r). ამავე დროს, სესხების შემთხვევაშიც თეიმურაზი საჭიროდ ცნობს განასხვავოს ორი მოვლენა: ესა თუ ის სიტყვა ქართულში უცხოურიდან პირველად რუსთაველს შემოაქვს, თუ ის მანამდეც ქართული მეტყველების საკუთრებას წარმოადგენდა და ენების ურთიერთობის პირობებში იყო შექმნილი: „ხოლო რომელნიცა სხვათა ენის ლექსნი უხმარებიეს სტიხთა შინა, იგინი არიან აღრიდგანვე მრავალთა საუკუნეთა უწინარეს ქართულსა ენასა შინა შემოტანილნი და ეგრეთ ვხპარობთ მათ, ვითარცა საკუთართა ლექსთა ჩვენთა, ვინაჲდგან ჩვეულება სხვათაცა ყოველთა ენათა,

რომელ მეზობლობისა ძლით, ანუ ხშირად ერთისა რომლისამე ენისა სწენისა ძლით ურთიერთისა ლექსთა ძიილებენ და ისმარებენ თჳსთა შინა ენათა“ (იქვე).

რუსთაველის ლექსიკის საფუძვლიანი შესწავლა თეიმურაზის-თვის გულისხმობდა სიტყვის როგორც პირდაპირ, ისე გადატანით ყოველგვარი ნიუანსური მნიშვნელობის გარკვევას, თუნდაც მას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რუსთაველის სიტყვისა, თქმისათუ სახის გაგებისათვის უშუალო მნიშვნელობა არცა ჰქონოდა. ამასთან ერთად, რიგი შენიშვნები ლექსიკური ხასიათისა ისეთ სიტყვებს ეხება, რომელნიც ეფეხისტყაოსანში არ მოიპოვებიან და წარმოშობილი არიან მცდარი კითხვის ან განმარტების შედეგად. მიუხედავად ამისა, მათ თავისთავად აქვთ საერთო ლექსიკოლოგიური მნიშვნელობა. მაგ., მაჯაშიანი 137 სტროფის პირველი ტაქსი: „ერთგან დასხდეს ილალობეს, საუბარი ასად აგეს“ თეიმურაზი სამაჯამო სიტყვას ასე განმარტავს: „ასად აგეს—გაალიტონეს ანუ გაასადაგეს. სადაგი—ჩვენებურად ლიტონთა რამეთა ეწოდების. ლიტონი ქართული ლექსია. სადაესე იგი პროსტო, სპარსულადაც ლიტონსა დანიშნავს. სადაგი ჩვენისამებრ წოდებისა ადგილი რამე დასაწუჭლი არის. სადა ინდაურად დიდებულად გამოითარგმანება, მაგალ., ინდოელნი იტყვიან: სადასივ, ესე იგი დიდებული სივ, რომელიც არს შივენი, ესე იგი ერთი ღმერთთაგანი ინდოელთა“. ამ განმარტებაში საყვებით ცხადია, რომ სიტყვის ინდურ შინაარსს მოცეპულ კონტექსტში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მის თეიმურაზი მაინც აღნიშნავს საერთო ლექსიკოლოგიური საკითხებისათვის. ამრიგად, დოკუმენტაციაში მის მიერვე მოტანილი სიტყვების განმარტება ამდირებს წიგნის შინაარსს და დამოუკიდებელ მნიშვნელობასაც ანიჭებს პოეტური მეტყველების და საერთოდ ქართული ლექსიკის შესწავლისათვის.

განმარტებანი მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავენ ქართული კულტურისა და ყოფის სხვადასხვა დარგის შესახებ. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ის განსაკუთრებით საგულისხმო წყაროს წარმოადგენს ქართული ენის განვითარების ისტორიის გასათვალისწინებლად იმ გარდამავალ მომენტში, როდესაც ძველი ქართული კულტურა და ყოფა თავისი ტრადიციებით, ენის თავისებურებებით, რამდენადმე თავის თავში ჩაკეტილი და გარკვეულ საზოგადოებრივ გემოვნებას დაქვემდებარებული, ეთხოვებოდა თავის წარსულს რუსეთთან თანდათან მჭიდრო ურთიერთობის პირო-

ბებში. ამავე პირობების გამო ისპობოდა ძველი ზნე-ჩვეულებანი, ისე რომ ის, რაც ძველად თავისთავად იყო გასაგები, გაუგებარ არქაიზმად იქცეოდა და მას სჭირდებოდა განსაკუთრებული განმარტება. აქაა დიდი ეთნოგრაფიული მასალა, საყურადღებო ცნობები მეურნეობის სხვადასხვა დარგის შესახებ, ქართული სამეფო-მოხელეობის, სამხედრო საქურველისა და ტანსაცმლის აღწერა, მუსიკალური ინსტრუმენტები, მათი წარმოშობა-განვითარებისა და შესრულების წესები და სხვ. და ბოლოს უაღრესად მდიდარი მასალა პოეტური მეტყველების მრავალფეროვანი სახე-თქმების გასახსნელად და მათ მნიშვნელობათა დასადგენად მოცემულ კონტექსტებში.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში თეიმურაზი აშკარად მცდარ განმარტებებს იძლევა, თვითონ ის კრიტიკულად ეკიდება როგორც ვეფხისტყაოსნის ტექსტს, ამ შემთხვევაში ვახტანგისეული გამოცემის ტექსტს, ისე ლექსიკონებსა თუ სხვა რაიმე მნიშვნელოვან წყაროებს, რომელთა გამოყენება მას საპირობოდ მიაჩნია. მაგ., «ნიაზი სწერია ჩვენს საბას ლექსიკონში, რეცა ნაანგ სპარსულად კორკოდილოს ერქვას, მაგრამ დიახ ტყუილი არის. ნაანგ სპარსულად და ქართულადცა ეწოდების კიტსა და არა კორკოდილოსა. კორკოდილოს ქართულად ეწოდება ხვითქსა» (958, 2). ასევე კრიტიკულად იყენებს თეიმურაზი ვახტანგის განმარტებებს და ხშირად ებაეჭრება მას. მაგ., 193-ე სტროფის მეოთხე ტაეპის „ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყენია“ განმარტებაში თეიმურაზი არ ეთანხმება ვახტანგს სიტყვა „საყენია“-ს გაგებაში: „საყენი ვახტანგ მეფეს ახალს მოსულს ულვაშის ბალნებად განუმარტებია. საყენი—დასადგომელი“. აქ, ცხადია, ვახტანგის განმარტებაა სწორი. მეტაფორა მთლიანად თავისი დაფარული შინაარსითა და მნიშვნელობით შეიძლება ასე გაიხსნას:

„ამდენ ხანს გზად მიმავალს [ავთანდილს] ულვაშები კარგად ამოსგლოდა, მის თეთრ პირისახეს შავი ულვაშები ისე შეენოდა, თითქოს ბროლის ველზე გიშრის ახალი ნერგი ბუჩქი ამოსულაო“.

საიუბილეო გამოცემის სტროფი 883, ვახტანგით 873 მეორე ტაეპი:

„მისკენ მივალ მხიარული, მერმე მანცა ჩემ კერძ იროს“

თეიმურაზის შენიშვნით „ჩემ კერძ იროს შეცდომა არის და ბეჭდვაში, თვის კერძ უნდა“ (98 v). ცხადია, ეს შენიშვნაც უსაფუძვლო ჩანს, მაგრამ უფრო ხშირად თეიმურაზის დაკვირვებანი ან-

ჯარიშგასაწევი. მაგ., ვახტანგის გამოცემის 914-ე, საიუბილეო 924 სტროფის მესამე ტაეპში:

„ცოტად ეგრეთა დაგვაესებს, ცეცხლი რაზომცა ზღებოდეს“

თეიმურაზის შენიშვნით „დაგვაესებს, აქ სტამბაში ასოთ-შემწყობისაგან შეცდომა არის. და გვივისებს უნდა. ამას ნიშნავს ამ სტიხში, რომ იტყვის ამ ტაეპში ცოტათ ეგრეთცა დაგვივისებს. ცოტათ ეგრეთცა და გვივისებს, ესე იგი მცირედ მაინც გაგვიქარვებს მწუხარების ცეცხლსა“ (109 r). საიუბილეო გამოცემაში ეს გასწორება ძირითადად გაზიარებულია ფორმით „დაუესებს“.

საერთოდ თეიმურაზი ხშირად ამჩნევს ვახტანგის გამოცემის კორექტორულ თუ სხვა შეცდომებს (მაგ., 709, 907, 946 სტროფებში) და ზოგი მათგანის გასწორებაში სავსებით იმსახურებს ნდობას. მაგრამ უძრავლეს შემთხვევაში აქ საგულისხმოა ამა თუ იმ წაკითხვისა თუ მისი გაგების მართებულებაში თავისთავად შეეკვება, თუნდაც თვითონ თეიმურაზი მათ სწორ გადაწყვეტას ყოველთვის ველარ ახერხებდეს. მაგ., ვახტანგის 887₁:

„ავთანდილ უთხრა ელმოდი: მართ მაგისავე თქმევასა“.

ასე დაიბეჭდა საიუბილეო ტექსტში (897):

„ავთანდილ უთხრა: ვლამოდი მართ მაგისისა თქმევასა“.

ამ ტაეპთან დაკავშირებით თეიმურაზს ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული: „ელმოდი—აქეს ლექსი სტამბაში შემცდარია. ველმოდო ასე უნდა. ველმოდი ნიშნავს მწაღდა, მინდოდა, ვაპირებდი და სხვანი მრავალრიგად ითქმის ეს ლექსი“. ამ შენიშვნაში პირის გამოცვლა, მართლაც, ტაეპის გააზრების უკადამწყვეტი მომენტი. შეეკვების თვალსაზრისით უფრო საყურადღებოა, საიუბილეო ტექსტში 89₁: „სხვაგან ქრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან“, რომლის „ქრის“ სიტყვა ვახტანგის გამოცემაში იკითხებოდა „ქნის“. თეიმურაზი შენიშნავს: „სხვაგან ქმნის მისი გონება, მისმან თავისა წონამან“. ტარიელისა თავისა განსჯა ანუ გონებისა მისსა მარადის ნესტან-დარეჯანისა ზრუნვისადმი მიიქცევა (ამას ნიშნავს ეს ზემორე თქმული). ზოგთაგან გამიგონია ვეფხისტყალსანის წაკითხვაში: „სხვაგან ქრის მისი გონება“ და ეს შეცდომა არის. „ქრის“ არ უნდა, რადგანაც გონების ქროლა, საგიობელს სიტყვად გამოვა, რადგან გონების ქროლის თქმა გონების სიმსუბუქეს დანიშნავს“ (90₁).

თეიმურაზის ძირითადი მიზანია ვეფხისტყაოსნის „ძნელად გასაგონ“ სიტყვათა განმარტება, მაგრამ ის ხშირად განმარტავს ადვილად გასაგებ სიტყვებსაც, რომელთა გაგება შესაძლოა ოდნავ დაეჭვებას იწვევდეს, რის გამოც ერთსა და იმავე სიტყვას თეიმურაზი მრავალჯერ ხსნის, უფრო კი იმისთვის, თუ განსხვავებული კონტექსტი სიტყვის სხვა მნიშვნელობას ავლენს. თეიმურაზს იმდენად სწამს თავის განმარტებათა სისრულე, რომ არაიშვიათად შენიშნავს, მართლაც, მეტად გასაგებ სიტყვებზე, რომ მათი მნიშვნელობა ცხადია და არა ვმარტავო: „ცხადად ისმის“, „ნათლად ისმის“, „ადვილ გასაგონია“ და მისთ. (891,₄; 907,₃; 929,₃; 949,₃).

რუსთაველის პოეტური მეტყველების შესწავლისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა თეიმურაზის განმარტებანი მაჯამებისა, მეტათორებისა და სახე-თქმებისა. თეიმურაზს ამ საქმეში თითქმის დამოუკიდებლად მოუხდა ჰუშაობა და რუსთაველის მაჯამებისა და მეტათორების უმეტესობის ამოხსნა მისი პირადი ცოდნისა, ნიჭისა და შრომისმოყვარეობის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს, რადგან მას ამ პოეტური სახეების გაგებაში წინაპარი არა ჰყოლია. თეიმურაზი ყველა ნაჯამის ამოხსნას ცდილობს და, თუ ზოგი მათგანის გაგება და განმარტება ხასიათდება აშკარა პრიმიტიულობითა და უსაფუძვლოდობით, ზოგის განმარტებაც ნამდვილად გასაზიარებელ შენაძენს წარმოადგენს რუსთაველის მეტყველების შესწავლაში. მაგ., საკმაოდ რთული შედგენილობის მაჯამა, როგორცაა საიუბილეო გამოცემით 137-ე სტროფი „ასადაგეს“ სამაჯამო რითმით:

ერთგან დასხდეს, ილალობეს, საუბარი ასადაგეს;
ბროლ-ბადახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს;
ყმა ეტყვის თუ: „შენთა მკვრეტთა თაჲ ხელი ასადაგეს!
ცეცხლთა, მანდით მოღებულთა, გული ჩემი ასადაგეს“.

ეს ავთანდილსა და თინათინზეა ნათქვანი, ტარიელის საძებნელად წასვლის წინ შეყვარებულნი ფიცს რომ სდებენ მომავალი განშორების მოლოდინით შეშფოთებულნი. თუ თანაჲედროვე ქართულზე გადმოვიტანთ, ამ სტროფის მთლიანი შინაარსი საერთო საზებში ასე წარმოგვიდგება მისი მხატვრული სახეების გახსნიითა და მნიშვნელობათა ინტერპრეტაციით:

„ამის შემდეგ ისინი ერთმანეთთან ახლოს დასხდნენ, ლალად მოიმხიარულეს თაჲ და საუბარში გათამამდნენ ისე, რომ ერთხელ ნათქვამს კიდევ შეასულ ამბობდნენ,

ერთმანეთის ალერსი— ხვევნა-კონა ისე უხდებოდათ, თითქოს მათი კბილები დაფარული ბროლი ყოფილიყო, ტუჩები— ბადახშის წითელი ლალი, თვალები— შავი გიშერი,
 სატრფოსთან ყოფნის ბედნიერებით აღტაცებული ყმაწვილი ასე ეუბნებოდა შეყვარებულს— შენ ისეთი მომხიბლავი ხარ, რომ ის, ვინც შენ გიყურებს, არ შეიძლება შენი სილამაზის ცქერით არ გაგაჟღეს.
 შენი მშვენიერების ცეცხლიდან წამოსული ალით ჩემი გული გავარვარებულ კოცონად არის გადაქცეული“.

თეიმურაზი სამაჯამო სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობასთან ერთად მის ყოველგვარ შესაძლებელ გაგებას იძლევა ქართულ, სპარსულ, არაბულ, ინდურ სიტყვათა მნიშვნელობების გათვალისწინებით. თეიმურაზის განმარტებით მაჯამის ძირითადი აზრი სიტყვისა და ტაეპის მიხედვით შემდეგია:

პირველი: საუბარი ასწილად განამრავლეს, განაგეს,
 მეორე: ურთიერთს ბროლ-ბალახში და გიშერნი — ლაწენი, თვალნი, წარბ-წამწამნი მიუახლოვეს, შეახეს.
 მესამე: სიყვარულით გაგიჟებული მიჯნური განიკურნა, მეგობრის ალერსით აღივსო, აღეშენა.

მეოთხე— სიყვარულის ძლიერმა ცეცხლმა დადაგა გული.
 თეიმურაზის ამ განმარტებებს დღესაც არ დაუპარგავთ მნიშვნელობა, რამდენადაც ამ მაჯამის არსებული განმარტებანი ჯერ კიდევ უსრულია. ასე მაგ., თუ პირველი და მეოთხე ტაეპის განმარტება შედარებით ადვილია და თითქმის საერთოდ გაზიარებული, მეორე და მესამე ჯერ კიდევ საეჭვოდ რჩება. პოეტი კ. ჭიჭინაძე ასეთ განმარტებას იძლევა:

1. ა ს ა დ ა გ ე ს— გააასკეცეს, ასად ააგეს (საუბარი);
2. ა ს ა დ ა გ ე ს— გაასადაგეს (ძვირფასი ქვები);
3. ა, ს ა დ ა გ ე ს— აი სად წააგეს (თავი ხელი.— გიჟი თავი);
4. ა ს ა დ ა გ ე ს— დასწვეს, დადაგეს (გული).

როგორც ვხედავთ მესამე და მეოთხე ტაეპის გაგებაში ჭიჭინაძეს განსხვავებული ახსნა მოეპოვება, მაგრამ არა უფრო დამარწმუნებელი, ვიდრე თეიმურაზისაა, თუკი მთლიანად სტროფის გაგება გვექნება მხედველობაში. პოემის საიუბილეო გამოცემის ლექსიკონი კი სიტყვის მხოლოდ განმარტებას შეიცავს და არსებითად მაჯამურ მნიშვნელობას არ ეხება (1937 წლისა და მომდევნო

გამოცენათა ლექსიკონებში პროფ. იუსტ. აბულაძეს ახსნა მხოლოდ ორ მნიშვნელობას უთითებს, 2 და 4—სადაც ყვეს, ანუ გაასადაგეს, გაამარტივეს, გააუბრალოვეს. 1 და 3—სადაგად, ანუ დასაწეავად გახადეს, აქციესო. 1957 წლის გამოცემის ლექსიკონში პროფ. ა. წანიძე ამ სიტყვას საესებით არ ეხება).

მაჯამების ამოხსნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოემის ტექსტის თარგმანთან დაკავშირებით, რამდენადაც ისინი ჯეროვნად შეუსწავლელობის გამო საოცარ გაყალბებასა და რუსთაველის ქეშმარიტი ვაგების პირდაპირ საწინააღმდეგო განმარტებას შეიცავენ მათში მოქცეული სახეებით, მეტაფორებითა და პოეტური ენის სვეულებით. ჩვეულებრივ მაჯამაში იჭერენ მხოლოდ ზოგადად მიმსგავსებულ აზრს, რუსთაველის პოეტური ფერადობა კი მის ღრმა მახვილ-ხატოვან მეტყველებასთან ერთად გახსნილი არ არის. მთავარი კი აქ სწორედ ის არის, თუ როგორაა შედგენილი მაჯამა, როგორც პოეტური მეტყველების უაღრესად ექსპრესიული ფორმა—ერთი სტროფის ზომაში და გარკვეულ ომონიმურ სიტყვაში მოქცეული რა და რა მნიშვნელობის სახეებს შეიცავს სარიტმო სიტყვა?...

მაგალითისათვის გავიხსენოთ შედარებით ნათელი აზრისა და შედგენილობის მაჯამური სტროფის რუსული თარგმანი რამდენიმე ავტორთან (708):

„ვა თუ გავიქრა, გაჭრილსა სადა გლახ დაშწავეს სამ ალი!
გული ძეს საჯნად ისრისა, მესერის საკრავად სამალი;
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისითლა ჩანს ნასამალი,
მალეა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი!“

ამას ავთანდილი წარმოთქვამს თინათინის წინაშე, როდესაც შეყვარებულნი ბქობენ, თუ როგორ დაეზმარონ ტარიელს, რომელიც უკვე აღწოჩენილია. ტარიელი მეგობრისაგან შევლას ელის, რაც პირობისა და ფიცის თანახმად უნდა შეასრულოს ავთანდილმა, რომელიც თავის მხრივ სიყვარულის ცეცხლით იდაგება შეყვარებულთან გაყრის მოლოდინში. და აქ ავთანდილი შორეულ ქვეყნებში მოსალოდნელი განგზავრების გამო შეყვარებულთან განშორების გრძნობის საშინელებას გამოხატავს. სიყვარულის ეს კენესა არის სწორედ მაჯამის მთავარი თემა. სიტყვობრავად პირველ ტაეპში სამალი ცეცხლებრ შემწველი ქარია, მეორეში სწრაფმსროლი (მალე), მესამეში—მესამელი (ნასამალი), მეოთხეში დასამალავი.

მავრამ ეს მხოლოდ ლექსიკური ახსნაა, ამ სიტყვებს იქით კი ნამდვილი ზატოვანებაა დაფარული, რომელსაც გახსნა უნდა, თუ ის გვინდა ბოლომდე გავიგოთ. უამისოდ ყოველ ცალკე ტაეპსა თუ სიტყვაში ყოველი კომენტატორი თუ მთარგმნელი თავის გაგებას მოათავსებს, რომელიც თვითოეული მათგანის ფანტაზიის უნარსა და საზღვრებზე იქნება დამოკიდებული. ამ ნიადაგზე მაგ., რუსულ თარგმანებში უმეტესად გვაქვს არა თარგმანი, არამედ ახალი გააზრება-განმარტებანი, როცელთაც ხშირად თითქმის არავითარი კავშირი არა აქვთ რუსთაველის სტროფთან:

Быть с тобой—с собой быть в бое. Прочь иди—терзание злое,
В десять сотен раз лихое. В сердце стрелы бьют как в цель,
Ветер жгучий веет в очи. Стала жизнь моя короче.
Полны горя зреют ночи, и тоска моя постель. (ბალმონტი)

Горе мне, коль буду брошен на сожжение в простор.
Ныне целью стало сердце—стрелы бьют его в упор;
Потому две трети блеска потерял цветок с тех пор;
Больше скрыть нельзя страданий, распознает правду взор.
(პეტრენკო)

Но едва тебя покину. буду мучиться жесточе.
От стрелы, разящей сердце, невозможно мне уйти.
День мой близится к закату, ускользя в сумрак ночи,
Но к чему твердить о бедах, ожидающих в пути!? (ცაგარელი)

Горе мне! Опять, скитаясь, я увижу много зла.
Как в мишень, вонзилась в сердце беспощадная стрела,
Сократилась на две трети жизнь, разбитая дотла.—
И хотел бы скрыть я горе, да пора на то прошла. (ზაბოლოცი)

Убежать в поля? но можно ль от огня остаться целым?
Для стрелы открыто сердце, легким стало ей прицелом.
Сократилось время жизни, став в три раза меньше в целом,
Мне убежища от муки не найдется в мире целом. (ნუტუბიძე)

როგორც ვხედავთ, ბალმონტი ქმნის სავსებით ახალ სტროფს, რომელშიაც თვითონ რუსთაველისა თითქმის არაფერია დარჩენილი. რუსთაველის სტროფთან მას საერთო მხოლოდ ისა აქვს, რომ აქაც ნახსენებია „ისარი“ და „სიციოცხლის ხანმოკლეობა“. სხვა ყველაფერი—„სევდით აღსავსე ღამეები“, „მწუხარება როგორც სარეცელი“, „მწველი ქარის თვალეებში ქროლა“, ისრის გულში მოხვედრა“ და სხვა ბალმონტის ფანტაზიის ნაყოფია.

პეტრენკო უფრო მიახლოებულა რუსთაველთან, მაგრამ ისიც ხასიათდება ზოგიერთი თვითნებობით: „ყველის მიერ ბრწყინვალეების დაკარგვა“ მისი დანამატია. ასეთივე თვითნებურია ცაგარლის თარგმანიც. ისიც სავსებით ცელის რუსთაველის ზოგ ტაეპს საერთო უფერულობასა და უშინაარსობაზე აღარაფერი რომ აღარ ითქვას. ზაბოლოცკის თარგმანი ერთგვარი გადამღერებაა არსებული თარგმანებისა (ის ყველაზე ბოლოს გაკეთდა) და მასშიც დაკარგულია სტროფის მთავარი ძემა—საყვარელთან დაშორების საშინელება, რის ნაცვლად გვაქვს შგზავრობის ფათერაკზე და საერთოდ ცხოვრების ამოებებაზე გამახვილებული ყურადღება.

შედარებით დამაკმაყოფილებელ თარგმანს ორიგინალთან მიახლოების ნეტი ხაზებით იძლევა პროფ. შ. ნუცუბიძე, რომელიც ძირითადად გადმოსცემს მთელი სტროფის შინაარსსა და განწყობილებას ზოგი სახის შენარჩუნებითაც კი და მხოლოდ მეოთხე ტაეპში უშვებს ნებისმიერ პერიფრაზას—„მთელ მსოფლიოში ვერ ვნახე თავშესაფარი ტანჯვისაგანაო“, რაც თუმცა ეხმაურება ორიგინალის ტაეპის თემას, მის მხატვრულ სახესა და ლექსიკას კი საკმაოდ დაცილებულია.

ამ მაჯამის ყველაზე მართებული გაგება მოგვეპოვება მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებულ სრულ ინგლისურ თარგმანში (დაიბეჭდა 1912 წელს ლონდონში), რომელიც სამწუხაროდ ჯერ კიდევ ჯეროვნად არ არის შეფასებული და გამოყენებული. აქ აცილებულია ის შეუსაბამობანი და თვითნებობანი, რომელნიც როგორც დავრწმუნდით ნეტ-ნაკლებად ახასიათებენ რუსულ თარგმანებს. მასში არაა დაკარგული სტროფის არც ერთი ტაეპის თემა, შესაძლებელი სიზუსტითაა ამოხსნილი მისი აზრი და დაქერილია საერთო განწყობა:

„Woe is me if I wander where, alas! the simoom burns the roamer: my heart is the target of an arrow, a dart is shot to pierce it; the term of my life seems by this day to be shortened to one-third; I long for a refuge, but the time is past for seeking shelter against troubles“.

რაც შეიძლება მიახლოებით ქართულად შემდეგს ნიშნავდეს:

„ვაი ჩემს თავს, ნეტა სად ვიხეტიალებ, ვაგლახს შგზავრს სამუმი დამწვავს. ჩემი გული ისრის სამიზნეა და მის გასაგმირავად უკვე ბოძალია ნასროლი. მეჩვენება რომ ჩემი სიცოცხლის ხანი დღეიდან ერთი სამადაა შემოკლებული. მინდოდა თავშესაფარის პოვნა, მაგრამ ჭირისაგან თავის შეფარების დრო ჩემთვის უკვე გასულია“.

მაჯამის შედარებით ზუსტი თარგმანი სადა თქვებში, მისი ერთგვარი შინაარსობლივი გამჭვირვალობა და ცხადი გააზრება შესაძლოა უორდროპმა იმიტომაც მოახერხა, რომ ის არ იყო შებოქილი ლექსის ფორმითა და რითმის ძიებით, რამდენადაც მისი თარგმანი პროზაულია. ამასთან ისიც მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რომ მარჯორი უორდროპი ვეფხისტყაოსნის ინგლისურ თარგმანზე მუშაობისას სარგებლობდა ილია ქავჭავაძის კონსულტაციით (მაგ., ცნობა, რომ „ნეხვა“ სიტყვის ნნიშვნელობა, როგორც „ნეხვა-ბალახისა“ მან გაარკვია ილიას დახმარებით) და საფიქრებელია ამ სტროფის გაგებაშიაც დავალებული იყოს მისგან.

რუსთაველის მეტყველების ამოხსნისა და ინტერპრეტაციის ზემოთ მითითებული შეუსაბამობანი, როგორც აღვნიშნე, პოემის ტექსტის თვით ქართულ ნიადაგზე სათანადოდ გაუაზრებლობის შედეგია და ან შემთხვევაში მათი დადგენა-გაგებისათვის ერთგვარი მნიშვნელობა ენიჭება თეიმურაზის განმარტებებს.

როგორ იხსნება ეს სტროფი და რა სამალზეა ლაპარაკი პირველ ტაეპში? ის რომ ცეცხლია ამაში საერთო თანხმობაა ყველა განმარტებაში, მაგრამ თუ რას ნიშნავს სამი, ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. თეიმურაზის გაგებით ის უნდა ნიშნავდეს ცხელ ქარს, სამი ნირიდან რომ უბერავს, ე. ი. სამუხს: „შემწველი ქარი ბაბილოვნისა და აფრიკისა კერძოთა, ცხელთა მინდორთა შინა იქროლებს, როდისაც მზისა შარავანდელი ფრიადსა ხორშაკსა გამოუტევებს და რომელსაცა ცხოველსა მოხედების, იგი მოჰკლავს მყისვე“ (განმარტება, 56 r).

ამ განმარტების მიხედვით უფრო ნათლადაა გასაგები პირველი ტაეპის სამალი—ტარიელის საძებნელად მიმავალი ავთანდილი სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდება,—მას ცხელი ქარი ემუქრება, რომელიც ყველაფერს ანადგურებს,—ტარიელი ხომ ამ დროს სწორედ ისეთ ქვეყნებში იწყობება, სადაც ასეთი ქარი ქრის.

ასეთივე საყურადღებო კორექტივი შეაქვს თეიმურაზის განმარტებას ამ სტროფის მეორე ტაეპში. „სამალი“ აქ რომ სისწრაფესთანაა დაკავშირებული ეს ძალდაუტანებლადაც ცხადია, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ შიგ ისმის „მალ“—მალე. თეიმურაზის განმარტებით ესე არის „სამსწრაფლო, ესე არს ღარი ვითარიმე რკინისა სატყორცი ისრისა, რომელსა ექმნების ისარი მტკაველზედ მეტი. ესე არს ერთი იარაღთაგანი. ძველად მხედართა მანქანაჲ ესე აქვნდათ ბრძოლისა სახმარად და ღარისა მისგან მანქა-

ნისა ისარსა სტყორცდიან მებრძოლთა, გინა საგანსა“ (იქვე)-სამალის ამ განმარტებაში თეიმურაზი დავალებულია საბასგან, რომელიც ზუსტად ასეთსავე ახსნას იძლევა: „სამალი არს ღარი რკინისა სატყორცებელი და ისარი მტკაველზედ მეტი მისი ღარით სასროლი“ ყველა ამის მიხედვით, მეორე ტაეპის „სამალი“ ისრის სწრაფად მსროლი მოწყობილობაა, რომლის ნასროლიც ჩვეულებრივ ხელით ნასროლზე უფრო სწრაფად, სწორად და ძლიერად მიდის ნიშანში. ამდენადვე აქვს ამ სიტყვას აქ სახეობრივი მნიშვნელობა და აზრი: ჩემი გული ისრის სატყორცნ სამსწრაფლოს წინაშე დგასო, — რამდენადაც მისგან ნატყორცნ ისარს ვერ გადაურჩება ნიშანი, ისევე ჩემი გული იმ ტანჯვა-მწუხარებას, რომელსაც შენი დაცვ-ლება მიმზადებსო. მესამე და მეოთხე ტაეპის საწალი ნაკლებ იწვევს ექვს—აქ ერთში ის მესამედს ნიშნავს, მეორეში დასამალავს და თეიმურაზიც სწორედ ამას აღნიშნავს.

ამ განმარტებათა ყველა ჩვენებას თუ გავითვალისწინებთ ეს სტროფი მის მხატვრულ სამკაულთა გახსნით შეიძლება ასე წა-ვიკითხოთ:

„ვამ თუ მგზავრობისას შორულ ქვეყნებში ხეტიალის დროს მე საბრა-ლოს სადმე სამი ალი—დამწველი ქარი—სამუმი წამომეწიოს და მისი ცეცხლით დავიწვა, უბედურად დავიღუბო,

სიყვარულით დადავული ეს ჩემი გული თითქოს ისრის სასროლ საგნად არის გადაქცეული, რომელსაც სიყვარულის ისარი სჭრის და როგორც სწრაფსასროლით ნატყორცნ ისარს ვერ გადაურჩება ნიშანი, ისევე ჩემი გულიც ტანჯვა-მწუხარებას, რომელსაც შენი სიყვარულის ცეცხლი მო-მაყენებს,

დრო მიდის—მე ჩემი სიცოცხლის მხოლოდ მესამედი ხანი და დამრჩა ამ ცხოვრებაში გასაველი და ასე ტანჯვაში თავდება ჩემი დღე,

მე ჩემი ტანჯვების დამალვა მინდოდა, მაგრამ აღარ შემძლია შენი სი-ყვარულით მოყენებული მწუხარების დამალვა.—მისი დამალვის ყოველი სურვილი, შესაძლებლობაცა და დროც უკვე წავადა“.

ამ განმარტებებში განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი თქმებისა თუ ცალკეული ტერმინების ახსნა, რომელთაც რუსთვე-ლოლოგიაში ჯერ კიდევ ვერ უპოვიათ გადაწყვეტა და ერთადერთ დამარწმუნებელ ცდად მხოლოდ თეიმურაზის დასაბუთებული მო-საზრებანი გვევლინება. მაგ., პროლოგის მეტად ლაძაზი მეხუთე სტროფის მეოთხე ტაეპი:

„გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ბოლომდე არაა გახსნილი თავისი მეტაფორული მნიშვნელობით და არც მისი რეალური საფუძვლით. აქ უნებურ გაოცებასა და შეეჭვების გრძნობას იწვევს რბილი ტყვიის გრდემლით მაგარი ქვის ვატეხვის რეალური შესაძლებლობის დაშვება და მასთან დაკავშირებული, მეტაფორაში გამოთქმული აფორიზმის საანალოგიო აზრი და მნიშვნელობა. ეს ამოცანა ვახტანგმა ძირითადად სწორად ამოხსნა: „ეს ეს არი, რომ აღმას ტყვაზედ გასთლიან“-ო (გვ. სვ), მაგრამ ეს სწორი აზრი არ იყო გაგებული და ჯეროვნად გამოყენებული ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის ინტერპრეტაციაში, ისე რომ ზოგიერთი მკვლევარი ამ სტროფს დამახინჯებად თვლიდა კიდევ. ვეფხისტყაოსნის ლექსიკონში პროფ. იუსტინე აბულაძე აღნიშნავს, რომ ეს „გრდენლი ფოლადის სადგარია, ლითონის გასაქედად“, რაც არაფერს არა ხსნის რუსთაველის ტაეპში, სადაც სავსებით სწავგვარი გრდემლია ნაგულისხმევი.

ამ ბუნდოვნებას დამაჯერებელ შუქსა ჰყენს თეიმურაზის განმარტება, რომელიც ვახტანგიდან ამოდის, მაგრამ კონკრეტულ დასაბუთებას უცებნის მის შინაარსს. მისი ცნობით, ტყვიის გრდემლი ყოფილა სპეციალური მოწყობილობა, რომლითაც პატიოსან ქვებს თლიან, აცლვარებენ და ასწორებენ. ასეთი მოწყობილობა თვითონ თეიმურაზს უნახავს სპარსეთში და, როგორც სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებით ირკვევა, ეს, მართლაც, ეთანამება აღმასების დამუშავების ტექნოლოგიას.

თეიმურაზის განმარტებით ამ მეტაფორაში „მაგარი ქვა“ კაცის გულია, ხოლო რბილი ტყვიის გრდემლი—ქალის ჩვილი გული. მაგრამ მეტაფორის გასაგებად აუცილებელი არაა თეიმურაზის ამ გაგების მიღება, აქ მთავარია რბილი ტყვია და მაგარი ქვა, რამდენადაც სწორედ ტყვიის რბილი მასით მაგარი ქვების დამუშავება წარმოებს, რამაც რუსთაველს საფუძველი მისცა მეტაფორულად გაეაზრებინა ის თავისი გმირის დახასიათებისათვის¹. ამ ტაეპის აზრის გასაგებად მთელ სტროფთან დაკავშირებით მისი მნიშვნელობა შეიძლება ასე გადმოვცე ჩემს ინტერპრეტაციაში:

„ეხლაც ასე ბედნიერი ვარ, რომ მისი გასაოცარი მშვენიერების საქებრად ღირსი გავხდი, რომ მიზრძანეს მისი დიადობის საკადრისი ტკბილი ლექსები შევთხზა.

¹ უანასკნელ ხანს ამ ტაეპის გაგებას სპეციალურ ნაკვლევში შეეხოდოტ. ს. მეგრულიძე (ჟურნ, „ციცკარი“, 1958, № 9).

ამ ლექსებში გადმოცემული უნდა იყოს მისი ლამაზი წარბეზის, წამწამების, თმებისა და მომხიზლავეი ბაგისა და კბილის ღირსეული ქება, რომელთაც ქვეყანაზე ბადალი არ მოეპოვებათ,

ქება იმ კბილებისა, რომელნიც ბადახშის თლილი ბროლებივით ერთმანეთზე მიჯრით არიან მიწყობილი, მათ სითუთრესა და მოხდენილობას ხომ არაფერი შეედრება,

ეს საქმე ძნელია, მაგრამ რა გაეწყობა, მეც ვბედავ და ვაწყობ, რადგან ხომ ცნობილია, რომ რბილი ტყვიის გრდემლი მაგარ ქვასაც —ალმასსაც ტყავს, რბილი ტყვიით უმაგრესი ალმასის ქვეს ამუშავებენ, —ასეთია ხელოვნება და მოხერხებულება, ასევე მეც, ჩემი უმწუო და უკადრისი სიტყვით შევეცდები ეს ძნელი საქმე შევასრულო“.

ხშირად თეიმურაზი სიტყვის ახსნაში იშველიებს რუსულ სხვადასხვა ტერმინს, მაშინაც კი როდესაც ეს არა თუ აუცილებელი არ არის, არამედ აშკარად მეტია. მაგ., „სადა“ სიტყვის განმარტებისათვის მას მოჰყავს რუსული სიტყვა „პროსტო“. ასეთივეა: სიპი-სტრუნი, მაგიდა—სტოლი, ნასა—ფლეიტი, და მსგავსივე: ნეჟნი, აბიდა, პრიდვორნები, აუდიენცია, ლენტი, ტრონი, ლოტკა, ატაკა და სხვა მისთ, მაგრამ მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთა დანერგვასაც თეიმურაზი შეგნებული გულმოდგინებით ცდილობს. მაგ., ქართული ლექსის შესატყვისად თეიმურაზი იყენებს „სტინს“, რომელსაც სტროფის მნიშვნელობასაც ანიჭებს. ამ რუსიციზმების, აგრეთვე ზოგი მისი ეტიმოლოგიური, დიალექტოლოგიური, თუ საერთოდ გრამატიკული ხასიათის შენიშვნების გათვალისწინება, მისი დაკვირვებანი ცალკეულ ენობრივ მოვლენებზე. ქართული ენის განვითარების გარკვეულ საფეხურს წარმოგვიდგენენ, როგორც ის გამოიხატა იმ დროის გრამატიკულ აზოვნებაში და როდესაც ახალი განათლებისა, სოციალური ურთიერთობისა და მეცნიერული აზრის გადამუშავების პირობებში იცვლებოდა ცნებები, ტერმინები და მათი შესატყვისი სიტყვებიც.

ეს ყველაფერი კარგი მასალაა ქართული ენის ისტორიისათვის და მიაი შენიშვნები მით უმეტესადაა ღირებული, რომ ისინი ხშირად ახდენენ ამა თუ იმ მოვლენის პირველ ფიქსაციასა და კლასიფიკაციას. მაგ.,

„ჩემი მონა შემოვიდა, შეხედე თუ თქვას: რა მინა“ (363,2)

სიტყვა „მინა“-ს თეიმურაზი ასე განმარტავს: „რაეცა მნებაეს, მდაბიოს ლაპარაკში მინდა ხომ მსურის არის, ანუ მნებაეს და ჩქარს ლაპარაკში მრავალნი „მინდა“ ამ ლექსს ასე გამოიღე-

ბენ ხოლმე, „მინა“ იმერლებმაც ასრევე იციან ამ ლექსის გამო-
ლება“. სიტყვა „მღერა“-ს განმარტავს რა როგორც თამაშობას,
როკვას,—დასძენს, რომ: „ეს ლექსი ჩვენს ენაში დიდხანია რომ
შემოტანილია. თამაშა არაბულია, მღერა ქართულია, თამაშობას
ნიშნავს“ (განმარტება, 3 v, სტროფი 11,3).

თეიმურაზი ამ შენიშვნებში თავის უშუალო დაკვირვების
გარდა ეკრძნობა ლიტერატურულ წყაროებს, რომელთა შორის
განსაკუთრებით აღსანიშნავია საბა-სულხან ორბელიანის ლექსი-
კონი და ვახტანგის „თარგმანი“ დართული ვეფხისტყაოსნის 1712
წლის გამოცემისათვის. ამ წყაროებს თეიმურაზი ჩვეულებრივ ასა-
ხელებს კიდევ და არა იშვიათად კრიტიკულად იყენებს მათ, თუმ-
ცა საბა მისთვის უფრო მეტად წარმოადგენს ხელშეუხებელ ავტო-
რიტეტს. მაგ., 883 სტროფის მეორე ტაეპში „ძოწის“ განმარტე-
ბას ის ასეთ შენიშვნას ურთავს: „იხილე ლექსიკონსა შინა საბასსა
თუ რაჲ არს ძოწი“.

უმრავლეს შემთხვევაში თეიმურაზი აფართოებს ვახტანგის
განმარტებას უფრო მეტი სიტყვიერი მასალით. მაგ., „იეფოსა—
ეს ვახტანგ შეფეს განუმარტებია იაფად, ვითარმედ ძღვენი ძვირ-
ფასი სიმრავლითა ძღუნობისათა გააიაფესო, ესე სიადვილისათვის
და ხალხის გაგონებისათვის ურიგო არ არის და ასეც განიმარ-
ტება, მაგრამ იეფე სავსებასა ნიშნავს ებრაულად“ (147,3). არა
იშვიათად კი აკეთებს ასეთ მარტივ შენიშვნასაც: „საროსტანი
კირჩხიბი არისო ვახტ. შფ. განმარტებაში არის“ (1318,3). ასეთი-
ვეა შენიშვნები 873,2, 946,1-ზე.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზი იყო პირ-
ველი სპეციალისტი რუსთველოლოგი, რომელმაც შეაფასა ვეფხის-
ტყაოსნის 1712 წლის გამოცემა და კრიტიკულად განიხილა ვახ-
ტანგის რუსთველოლოგიური მუშაობა. ვახტანგის გამოცემის
ტექსტის მიზართ განსაკუთრებით საქმიანია თეიმურაზის ცალკეულ
წაკითხვათა გასწორებანი, რომელთაც ის ხშირად უბრალო შე-
ნიშვნას სახით აკეთებს: „თ ვ ა ლ თ ა ძ ი ლ ი.—თვალთა ძალი უნდა“
(522,2). ეს გასწორება ვეფხისტყაოსნის შემდგომ გამოცემებში,
მათ შორის საიუბილეო გამოცემაშიც (529,2) გაზიარებულია.

709,4 ტაეპის განმარტებისას სიტყვა „ბისონი“-ს გამო თეი-
მურაზი შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში ფისონათ უნდა და-
იწეროს, თორემ ბისონი სხვას და სხვას ნივთთა ნიშნავს და არ
შეესაბამებბა აქა“-ო. ზოგჯერ ამა თუ იმ მცლდარ წაკითხვას თეი-
მურაზი ხსნის, როგორც კორექტორულ შეცდომას და არა

იშვიათად უყურადღებოდ ტოვებს ვახტანგის გამოცემის აშკარად მცდარ წაკითხვას. ამ მხრივ საყურადღებოა 293,3 ტაეპში რამდენიმე სიტყვის წაკითხვა, რომელშიაც თეიმურაზმა ყურადღების გარეშე დატოვა „თურქთა“, აშკარად დამახინჯებული „ქურდთა“, ამავე დროს ვახტანგითა და საიუბილეო გამოცემით ერთნაირად წაკითხული სიტყვა „გამეგო“ მის განმარტებაში „გარემოდ“ არის გადაკეთებული, რაც ყოველ აზრსაა მოკლებული. განსაკუთრებით თვითნებურია 1538,3 ტაეპთან დაკავშირებით „ნესტანდარეჯან“ სახელის ეტიმოლოგიის გახსნა. თეიმურაზით „ნ ა ს - ტ ა ნ - ჯ ა რ - ესე სპარსულის ლექსით რომ განიმარტოს, ნ ა ს ანუ ნეს - ნაზი, ქართულად წყნარი, შესაბამიერი და ანუ წყნარის მშვენიერებით შემკობილი, ანუ მშვენიერი საწყნაროს თვისებისა, ტ ა ნ - არის სპარსულად თ ა ნ - ესე იგი მორფი, ანუ ნაკეთი. ჯ ა რ - კეთილ წესიერებით განკარგული, ანუ განმშვენიერებული“. ამ ფანტასტიკურ ეტიმოლოგიას სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს და კიდევ უფრო საკვირველი ის არის, რომ თეიმურაზი ამავე სახელის ეტიმოლოგიის საესებით განსხვავებულ, და არა ნაკლებ თვითნებურ ახსნას იძლევა სხვა კონტექსტში, 322,1 სტროფის განმარტებასთან დაკავშირებით: „ნესტან-დარეჯან — ნეისთან დარ-ჯან. ნე ი ნ — ლერწამი. ნე ი ს თ ა ნ — საუნჯე ლერწამთა. დ ა რ - ჯ ა ნ — სულსა შინა, ანუ სიციცხლესა შინა, არაბულად ამას ნიშნავს. ჯ ა ნ — სიციცხლე, ანუ სული. დ ა რ — ესე სპარსული ლექსი არს, რომელიცა ნიშნავს შინა, ანუ თანა — მისთანა. ტ ა ნ, ანუ თ ა ნ — ტანი კაცისა, რომ დაჰყო მარცვლებად ნესტან-დარეჯან სხვადასხვა სახელი გამოეა. დ ა რ ა ჯ ა ხარისხიც არის. დ ა რ ა ჯ ა მხმილაეიც არის, ესე იგი ყარაული“.

ეტიმოლოგიურ შენიშვნათაგან მეტად საყურადღებო ჩანს თეიმურაზის აღნიშვნა იმის შესახებ, რომ „ტარიელ ვეფხად გამოითარგმანება, როგორათაც ლეო ლომად“ (86,1).

გრამატიკული ფორმების ახსნაში თეიმურაზის შენიშვნები ყურადღებას იქცევს თავისებური ტერმინოლოგიით. მაგ., „რებულნი — მოარულნი, ნამყო დროსა ხიშნავს ერთგან სიარულისას“ (698,1), ან „ს ა მარცვალი არის მაკეთებელი პირისა, ანუ ვითარებისა“ (619,4). ასეთი და მსგავსი მრავალი საყურადღებო შენიშვნა თეიმურაზისა ლექსიკოლოგიისა თუ გრამატიკის სფეროში, (მაგ., 933,4 ზოგი გრამატიკული კატეგორიის გარჩევა) ჯერ კიდევ ელის სათანადო შესწავლას, დაფასებასა და გამოყენებას, რასაც გარკვეული მნიშვნელობა

ექნება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისა თუ პოემის ლექსიკონის შედგენისათვის წარმოებულ მუშაობაში. მაგ., ისეთი სიტყვები როგორცაა „სამეფისონი“ (709,₂), „მგამა“ (118,₄) და სხვა წისთ. ყველაფერ ამასთან აღსანიშნავია თეიმურაზის როლი ზოგი სიტყვისა და ტერმინის დანერგვაში და ალბათ მას ეკუთვნის პრიორიტეტი „სახე“ სიტყვის ლიტერატურული მნიშვნელობით ხმარებაში, აგრეთვე სიტყვებისა „მამული“, „გონების თვალნი“.

ვეფხისტყაოსნის ლექსიკისა და ბნატურული ნეტყველების სამკაულების განპარტების ძირითად ამოცანასთან ერთად, თეიმურაზი აქ სვამს და ქრის პოემის ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს, რომელნიც უკავშირდებიან კლასიკური ქართული მწერლობის ბევრ უცნობ ფაქტს. განსაკუთრებით საყურადღებოა რუსთაველის ბიოგრაფიის ნაკლებად შესწავლილი საკითხების აღძვრა.

ვეფხისტყაოსნის უკანასკნელი, 1669 სტროფის განმარტებაში, რომელშიაც მოხსენიებული არიან მოსე ხონელი, შავთელი, თმოგველი და რუსთაველი, თეიმურაზმა მოგვცა რუსთაველის ბიოგრაფიის ტრადიციული ცნობებისაგან განსხვავებული გაშუქების ცდა. მან რუსთაველის წარმოშობს სამშობლო აღდილად, საქართველოში ცნობილი მესხეთის რუსთავის მაგიერ, ჰერეთის რუსთავი მიიჩნია. ეს შეხედულება გაიზიარა პავლე ინგოროყვამ და შემდგომ თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღისა და რუსთაველის ვინაობის შესახებ მთელი კონცეფციის მთავარ ამოსავალ თეზად გამოიყენა და დამთავრებული შეხედულების სახე მისცა რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებაში ამ ორი რუსთავის დაპირისპირებას, როგორც რუსთაველის შესაძლებელ სამშობლო მხარეს (Rustaveliana, თბილისი, 1926).

რუსთაველის ჰერეთელობის დასაბუთებას თეიმურაზი იმით იწყებს, რომ სავსებით აშორებს რუსთაველს „მესხობას“. ის ტაეპს: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთაველისა ამისა“ იძლევა სავსებით ახალ გაგებას. მისი აზრით, რუსთაველი სხვაა და ვინმე მესხი სხვა. ეს ერთი და იგივე პიროვნება არ არის და თავისთავად მესხობა სადაურობას არც ნიშნავს. ის თეიმურაზს ესმის არა როგორც გეოგრაფიული ტერმინი, არამედ როგორც გვარი, რომელიც გავრცელებულია „არამც თუ მხოლოდ სამეხსეთოში, ამათი გვარნი სხვა და სხვას აღგილშიაც არიან, ესე იგი ქართლში, კახეთში და იმერეთში“ მესხიანის, მესხიძის და მესხიშვილების საბით (განმარტება, 193 წ). ეს „მელექსე მესხი“, თეიმურაზის აზრით, რუსთაველის მდივანი ყოფილა, რომელსაც მისი ბრძანებით, რო-

გორც კალიგრას ვეფხისტყაოსანი გადაუწერია, და სწორედ მას ეკუთვნის პოემის ბოლოში დართული ამ მესხობის შემცველი სტროფიკო. ამიტომ ამ სტროფში გამოთქმას „მე რუსთველისა და ამისა“-ს თეიმურაზი სხვანაირად იგებს. მისი აზრით, აქ აღნიშნულია რუსთველისათვის წერა, ესე იგი აქ შეთანხმებულია პირველი და მესამე პირი — მე ვწერ რუსთველისათვისაო (იქვე).

ვეფხისტყაოსნის ავტორის ზედწოდება რუსთველი თეიმურაზს გამოჰყავს გეოგრაფიული სახელისაგან „რუსთავი“, რომელიც თამარისგან ბოძებულ პოეტის სამფლობელო ადგილს წარმოადგენდა და რომლის მთავარიც ის ყოფილა კიდევ. ეს რუსთავი „ტფილისიდან გაღმით მტკვრის პირსა ზედა“ მდებარეობს და ძველად ბოსტან-ქალაქად იწოდებოდა, ამჟამად კი „ნაგებებს“ უწოდებენო (იქვე, 197 r).

თეიმურაზი ჰერეთის რუსთავის მიჩნევაში რუსთაველის საშობლოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, რომ ამ ადგილს უკანასკნელ დროებამდე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი როლი ჰქუთვნებია. მას ჰქონია „მრავალნი დაბანი და სოფელნი, თუთ ნორიონი, მარტყოფი და გარემონი სოფელნი“. აქ მჯდარა არქიეპისკოპოსი, რომელიც ჯარის წინამძღვარ-სარდალსაც წარმოადგენდა, გარე-კახეთი, ანუ ჰერეთი მთლიანად მისი სასარდლო იყო და ის როგორც ადგილი და ტიტული არსებობდა რუსეთის შემოსვლამდეო. რუსთავის მნიშვნელობა განსაკუთრებით ქართული სამეფო კარის წრეებისათვის იმითაც იყო გაპირობებული, რომ ის კარგა ჰაერის გამო მეფეთა საზამთრო რეზიდენციას წარმოადგენდა. უკანასკნელ დროებშიც ამ რუსთავში ერეკლე პირველს თავის საზამთრო რეზიდენციად პალატები აუშენებია, რომელნიც ვახტანგს შურიტ დაუქცევიაო (იქვე).

თეიმურაზი რუსთაველის ამ ბიოგრაფიული ვერსიის შედგენაში იყენებს ზეპირ გადმოცემებს და როგორც ჩანს, აგრეთვე ზოგიერთ წერილობით წყაროსაც: „წერილთა შინა რომელთამე მეხილვა და სიტყვითაცა მსმენოდა“-ო (იქვე, 197 v). თეიმურაზი კრიტიკულად იყენებდა წერილობით წყაროებს. ასეთ ერთ-ერთ წერილობით წყაროთაგანს წარმოადგენდა „ქართლის ცხოვრება“ ვინმე შოთას შესახებ არსებული ცნობებით, და როგორც თითონაც აღნიშნავს, ტიმოთე გაბაშვილის „მოხილვა“, და აგრეთვე ფარსადან გიორგიჯანიძის ნაშრომიდან ცნობა იმის შესახებ, რომ რუსულანის მიერ „თათართა თანა“ გაგზავნილ დავითის ამაღალში, სხვა დიდებულებთან ერთად იყო „ერეთის ერისთავი შოთთა, რო-

ნელიცა მელნის სეფობისათვის კუპრობით იხსენების“. ეს სტრიქონი, რომელიც რუსთაველის ბიოგრაფიულ ლიტერატურაში ერთი კონცეფციის დიდი ნიშნულად ფაქტად იქცა სიტყვების „სეფობისათვის“ და „კუპრობით“ თავისებური განმარტების საუბრებზე, თეიმურაზს ახსნილი აქვს თვით ჰერეთის რუსთავეთან დაკავშირებით. მისი აზრით, „კუპრობით იხსენების“ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ის წარმომდგარია „კუპრი“-დან, რომელიც რუსთავეის მიდამოებში დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა: „რუსთავეისა ქალაქისა მასლობელ არს წყაროჲ, ვითარცა მელანი გამომდინარე, რომელიცა იხბარების საწერადცა და მასლობელთა მათ ადგილთა იპოვებიან გამომდინარენი ვაკესა ადგილსა ზედა კუპრი მრავალი და ყოველსა ადგილსა შინა საქართველოჲსასა მუნით წარიღებენ ყოველთჳს კუპრთა სახმარად ტიკთა ღვინისათა, გინა სხვათა რაჲსათჳსნე სახმარად“ (განმარტება, გვ. 198 r). ეს ცნობები თეიმურაზს ამოღებული ჰქონია ფარსადანის შრომიდან, როგორც თვითონვე შენიშნავს თავის მონოგრაფიაში საქართველოს ისტორიაზე: „ესე ვიხილე მე წიგნსა შინა საისტორიოსა საქართველოჲსასა აღწერილიაა ფარსადან გორგიჯანა შვილისა გორელისა, რომელიცა ყოჲილ არს განსწავლული კაცი ქართულსა და სხვათა აღმოსავლეთისა ენათა ზედა, მრავალთა დროთა და საქართველოჲსა სხვათა და სივითა შემთხვეულებათა დამსწრე, საქართველოსა მეფეთაგან და სპარსეთისაცა კარსა ზედა პატივემული¹“. „კუპრობით“ სიტყვის განმარტებასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ, რომ თეიმურაზი, როგორც ლექსიკოგრაფი ყოველთვის ცდილობს ამა თუ იმ სიტყვისა თუ გამოთქმის ყოველმხრივ დაწვრილებით ახსნას, ამდენად უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გაგებაში ასახულია ყველაფერი ის. რაც კი შეიძლებოდა მის შესახებ თქმულიყო. აქედან ისიც ჩანს, რომ მას სხვა მასალა და არც საბაბი რაიმე სხვანაირი განმარტებისათვის არა ჰქონია.

თეიმურაზის ეტიმოლოგიურ შენიშვნებში საყურადღებოა ცდა სახელის „შოთას“ ახსნისა. „შოთა“ თეიმურაზს გამოჰყავს არმაზის კერპის სახელისაგან რითაც მის ძველ, ქართულ წარმოშობას ასაბუთებს: „შოტტა ანუ შოთთა დიად ძუშლი სახელი არის ქართული, არმაზ კერპისა სახელივე არს შოტტა და მას საესესა საქართველოსა ერისასა უწოდდენ სახელსა ამას და ესე სახელი დაშთა შემდგომად კერპთმსახურებისაცა ივერიელთა შორის“ (განმარტება, 2v).

¹ ისტორიან დაწყებითგან ივერიისა, ს. პეტერბურღს, 1848 წელსა, გვ. 284.

რუსთაველის სამშობლოდ ჰერეთის რუსთავის აღიარება თეიმურაზის კონცეფციის ლოლიკური ნასკვია. ამ კონცეფციით რუსთაველი „დიდებულთა და აზნაურთა წარჩინებულთა შთამომავლობისა“ იყო, მთავარი რუსთავისა და თამარ მეფის კარის მექურქლეთ-უხუცესი, ანუ ფინანსთა მინისტრი. ის თავის თანამედროვეთ აღემატებოდა ყოველი სიკეთით — სწავლით, ზნეობით, ვაჟკაცობით და სილამაზით (განმარტება, 198 წ). თავისი ცხოვრების დასასრულს რუსთაველი იერუსალიმს წასულა ქართველთა ჯვარის მონასტერში, მისთვის დიდი განძი შეუწირავს და იქვე აღესრულა კიდევც. რუსთაველის სურათი ჯვარის მონასტერში დღევანდლამდე ჩანს: „სადაცა სახეცა მისი არს მუნვე კედელსა ზედა დახატული და ჰგიეს ვიდრე მოდღეინდელად დღედმდე“.

ნეტად საყურადღებოა თეიმურაზის შენიშვნა იმის შესახებ, რომ რუსთაველს სხვა თხზულებანიც უნდა ჰქონოდა: „სხუანიცა წიგნი მსმენიეს მრავალთაგან შოთა რუსთაველისა. ნათხზენი არიანო, მაგრამ ჯერეთ ვერა მივემთხვივე ესე ვითარსა სურვილთასა ჩემისა სატრფიალოსა ნიჰსა, რომელიცა უძვირფასესის დატკობითა აღავსებდა სულსა ჩემსა“ (იქვე, 200 წ).

თეიმურაზის ნაშრომების გავლენა, იქროდ კი მისი ვეფხისტყაოსნის განმარტებათა გავლენა და გამოძახილი მის შემდგომად გაშლილ ლიტერატურულ კვლევა-ძიებაზე საგრძნობი იყო. ბევრი მისი დებულება არა მხოლოდ გაზიარებული, არამედ ხშირად საკვლევადიებო საფუძვლად ყოფილა მიღებული მკვლევართა მიერ რუსთველოლოგიურ მუშაობაში. ვეფხისტყაოსნის ტექსტის კრიტიკულ შესწავლა-დადგენას და რუსთაველის შემოქმედებისა და ცხოვრების მრავალი სადავო საკითხის გაშუქებას რუსთველოლოგიაში თეიმურაზის ამ ნაშრომით ეყრება საფუძველი.

თეიმურაზ ბაგრატიონის რუსთველოლოგიური ნაშრომების გავლენა ატყვია უპირველესად მის მეგობარსა და მოწაფეს აკადემიკოს მარი-ბროსეს, რომელიც დიდი ნდობით ეკიდებოდა მის ყოველ შენიშვნას, ისე რომ მათ ზოგჯერ კრიტიკული მიდგომის გარეშეც იყენებდა. მან მაგ., მთლიანად გაიზიარა თეიმურაზის მოსაზრებანი ვეფხისტყაოსნის ჩანართი სტროფების წარმოშობის, რაოდენობისა და მათ ავტორთა შესახებ, რომელნიც პოემის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში მცირეოდენი რედაქციული ცვლილებით შეიტანა კიდევც. საერთოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ ბროსეს ყოველი ცდა ვეფხისტყაოსნის ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად, თეიმურაზის მიერ მასთან მიწერილი ვრცელი წერილების გადამუშავებულ პუბლიკაციებს წარმოადგენს.

თეიმურაზის ამ განმარტებებმა საფუძველი ჩაუყარეს ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ ლექსიკოლოგიას და, შეიძლება ითქვას, 1841 წლიდან დაწყებული, პოენის თითქმის ყოველი გამოცემა თავის ლექსიკონსა თუ განმარტებაში ამ ნაშრომითაა დავალებული.

თეიმურაზს იმედი ჰქონდა, რომ თანამემამულეთა მიერ ეს დიდი ხნის ნალეაწი ნაშრომი „არა უგულვებელს იქმნებოს“, მაგრამ ის დღემდე დაბეჭდილი არ ყოფილა, თუმცა მისი დაწერიდან ასოც წლამდე გავიდა. საზოგადოება მას იცნობდა უმთავრესად ექ. თაყაიშვილის აღწერილობის მიხედვით¹, რომელშიაც მოკლე ტექნიკურ-ბიბლიოგრაფიულ აღწერილობასთან ერთად დაბეჭდილი იყო განმარტებათა მცირე ტექსტიც. დასაწყისი სამი სტროფისა და დასასრულის 1589-ე სტროფის ყველაზე ვრცელი განმარტება, რომელშიაც თეიმურაზი ზოგადად აფასებს ვეფხისტყაოსნის როგორც ქართული პოეტური სიტყვის მიღწევას, იხილავს მის აგებულებას, მის მთავარ იდეალებს, აღნიშნავს მის მნიშვნელობას ქართული მწერლობისათვის და ანვითარებს თავის ცნობილ შეხედულებას რუსთაველის ჰერეთელობის შესახებ.

მიუხედავად ამ წიგნის დღემდე სრული სახით დაუბეჭდაობისა, მან დიდი როლი შეასრულა რუსთველოლოგიაში, რითაც ნაწილობრივ გამართლდა თეიმურაზის შეხედულება საკუთარ წიგნზე, რომ ის სასარგებლო უნდა ყოფილიყო „ერთმემამულეთა ქართველთათვის“, რომ „ყოველნი მხილველნი ამისნი და წარმკითხველნი კმაყოფილებით მიიღებენ და კეთილისა გულითა ქველმსიტყველ მექმნებიან მეო“ (იქვე, 201r).

ამ წიგნისადმი ინტერესი ამჟამადაც მხოლოდ მისი ისტორიული ღირებულებით არ ამოიწურება და მისი შესწავლა არაა წარსულის საგანი. მას ოდნავადაც არ დაუქარგავს ცოცხალი აზრის მნიშვნელობა რუსთველოლოგიისათვის. ის არა ნაკლები წარმატებით და შესაძლოა უფრო დიდი მასშტაბით იქცევა ყურადღება საგნად როგორც სპეციალური რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების სფეროში. აგრეთვე ქართული მწერლობის, ფოლკლორის, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის, მითოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების, ქართული ენის ისტორიის, გრამატიკისა, მეურნეობის მრავალი დარგისა და საერთოდ ქართული კულტურის ისტორიის ბევრი საკითხის გაშუქებაში.

¹ „Комментарии к Вепхисткаосани Шоты Руставели цареви́ча Теймураза Георгиевича“, წიგნი: Описание Рукописей „Общества Распространения грамотности среди грузинского населения“, 1902, том II, вып. III, гл. 584—592, 336 (=3715) ნომრით.

ტექსტისათვის

ტექსტი იბეჭდება უნიკალური ხელნაწერის მიხედვით, რომელიც აკად. ექ. თაყაიშვილის შენიშვნით გადაწერილი ყოფილა თეიმურაზის თვალმდიდევნებით. გადამწერი ცნობილი არ არის. ხელნაწერში აქა-იქ შესამჩნევია თეიმურაზის ხელიც, ადგილ-ადგილ მოიპოვება ჩამატებანი ცალკეული სტრიქონებისა, ანდა ჩასწორებანი. თეიმურაზის ხელით ჩანს შესრულებული წინა გვერდზე ვრცელი სათაური ნაშრომისა, რომლის ფაქსიმილეც დაფურთეთ ამ გამოცემის ტექსტს პირველ გვერდად და იკითხება ასე:

«გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა პ ო ე მ ა ვ ე ფ ხ ი ს - ტ უ ა ო ს ა ნ ი ს ა :

ქმნული მეფის გიორგი მეათამეცის ძის თეიმურაზის მიერ კავალერისა და ს დ როსსიის ს. პეტერბურგის აკადემია-ნაუკისა, პირველთა ჩლენთა შორის აღრიცხულისა პოჩეცნიი ჩლენისა და დანიის საკაროლოს კოპენლანის საშეფოს სანტიკვაროსა შეკრებულებასა შინა, პირველთა ჩლენთა შორის დაწესებულისა და პარიჟის სოსიეტე აზიატიკის ჩლენისა».

ამდენად ხელნაწერს ავტოგრაფის მნიშვნელობა ენიჭება. დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში S 3716. ხელნაწერი თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკაში ინახებოდა, საიდანაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდს გადამოეცა.

ხელნაწერის ზომა 35×21 სმ. შეიცავს 204 ფურცელს. სათვალავში არაა შეტანილი დასაწყისის 2 ფურცელი. ჩასმულია წითელ ქაღალდ გადაკრულ მუყაოს ყდაში. თეთრი, სქელი, ქაღალდია. ნაწერი მსხვილი, ოდნავ გაკრული, საკმაოდ ლამაზი მწიგნობრული ხელით. თითოეულ გვერდზე 26 სტრიქონია. ყოველ გვერდს ბოლოში აქვს შემდეგი გვერდის დამწყები სიტყვის აღმ-

ნიშნელი. ყოველი აბზაცისა და წინადადების პირველი სიტყვა იწყება ხუცური ასომთავრული ასოთი. ასევე კერძო და გეოგრაფიული სახელებისა და დაქარაგმებული სიტყვების პირველი ასოებიც ასომთავრულითაა შესრულებული, რაშიაც მკლავნდება თეიმურაზის სურვილი ქართულ მართლწერაში რუსულის ბაძვით დაამკვიდროს მთავრული ასოების მნიშვნელობა და პრაქტიკა. ტექსტში განსამარტავ ციტატებსა და ცალკეულ სიტყვებს გასმული აქვთ ხაზი.

ტექსტი ხასიათდება უხვი კორექტორული შეცდომებით, განსაკუთრებით ვეფხისტყაოსნის ტაეპთა ციტირებაში, რაც კარგად ამჟღავნებს გადამწერის ავტომატური მუშაობის ხასიათს. არა იშვიათად მოიპოვება აშკარა შეუსაბამობანი, უაზრობანი, წარყვნილი წაკითხვები და ორთოგრაფიული თავისებურებანი. წარყვნილ წაკითხვათაგან ვასწორებ მხოლოდ აშკარა უაზრობებს ვახტანგის გამოცემის მიხედვით, როდესაც მას ტექსტის გაგებისათვის გადამწვეტი მნიშვნელობა ენიჭება. გასწორებათა ნაწილი მითითებული მაქვს გვერდის ბოლოში დედნის წაკითხვათა სქოლიოში ჩატანი, დანარჩენ გასწორებებს აქვე ვუჩვენებ. მაგ., ვახტანგის წაკითხვა:

«ნარგისი ქუხან ცრემლსა სწვიმს, ჩარცხის ბროლსა და მინასა» (შგვ, დ)

ხელნაწერში იკითხება საკმაო ორთოგრაფიული ცვლილებებითა და სიტყვათა დეფორმაციით:

«ნარგინი ქუხან ცრემლს მსწვიმს, ჩარხის ბროლს და მინასა (965,4)

აქედან ჩანს, რომ თითქმის არც ერთი სიტყვა არ არის დარჩენილი წარყვნილობის გარეშე, მაგრამ საჭიროდ არა ვცანი ყოველი სიტყვის შესწორება და აღვადგინე მხოლოდ სიტყვა «ჩარცხის», რომელიც მეტად აშკარად იყო დამახინჯებული წაკითხვით «ჩარხის». ასეთივე უაზრო წაკითხვა 757,3 «ხამს უძებნოს ცვარი წყლისა», ხელნაწერში „ცვარის“, მაგივრად იკითხება «ცხვარი», რაც აღვადგინე სქოლიოში მითითებით.

ვახტანგის 293, საუბილეო 295 მეოთხე ტაეპში «ავად შეენოდა», ხელნაწერში «შეეკნოდა» გავასწორე «შექნოდა», რაკი ის თავისებურ წაკითხვას შეიცავს და არა მხოლოდ კორექტორულ შეცდომას, ანდა უსაფუძვლო დამახინჯებას, თუმცა თეიმურაზი კონტექსტში განმარტავს «შენოდას» და ცხადია, რომ «შექნოდა» გადამწერის ნახელავია. ზოგჯერ ვტოვებ სიტყვის მცდარ წაკითხვასაც, თუ ის სისტემატურია. მაგ., «საცოდენლად» (9,1), რადგან ამავე ფორმით ის მეორდება. 999,4 «ბრუნცეს გიშრისა ქერთა»

ჩვეულებრივ იკითხება «ბურავს», მაგრამ არ გავასწორე, რადგან იქვე კონტექსტში სწორედ მცდარი წაკითხვა «ბრუნავს» არის განმარტებული და ამდენად «ბურავს» აღდგენას აქ აზრი აღარ ექნებოდა. ასეთივეა 847,₂ «ცა წყალობისა მთხოველი», რომელშიაც ვახტანგიცა და საიუბილეოც კითხულობს «მთოველი», მაგრამ დავტოვე «მთხოველი», რადგან ის თეიმურაზის წაკითხვაა, რამდენადაც იქვე განმარტავს კიდევ სიტყვას «მთხოველი».

აქვე ვურთავ სხვადასხვა ხასიათის დანარჩენ გასწორებათა ცხრილს, რომელთა მნიშვნელობა უშუალოდ მხოლოდ კონტექსტშია გასაგები. პირველი სიტყვა ხელნაწერის წაკითხვაა, მეორე — გასწორება:

28,₂ მსმელნისა—მსმენლისა	896,₂ განსასაჯე—განსაჯე
301,₃ ვითარითმე—რიითმე	898,₂ ალერსა—ალერსსა
701,₃ მკვრეტელსა—მკვრეტსა	907,₃ სმენიათა—სმენათა
734,₁ იტყვან—იტყვიან	918,₄ მიმხდომია—მომხდომია
742,₄ დვდრიით—დაყრიით	926,₁ მოქცევსა—მოქცევასა
ევგოდნი—ევგოდენი	928,₁ სწუხვარ—სწუხარ
750,₄ დაუშალა—დაუშალა	933,₄ ძირი ზმნისა—ძირი ზმნისა
751,₂ შეიძოთა—შევიდოდა	2 — მეორე
754,₁ დაურეებს—დააურეებს	944,₂ და ლალისა და ლალისა—და
766,₂ ღმერთს—ღმერთსა	ლალისა
768,₄ ჩეისი—ჩემისა	944,₄ რადგანად—რადგან
773,₃ ვერ—ვერ	948,₁ ფერ—ფერი
774,₁ დაღურცხველ—დაღურიცხველ	951,₂ მარგარიტთა—მარგალიტთა
813,₂ პაპლისა ხისა—კაკლისა ხისა	952,₁ აქროლიტი—აქროლიტი
818,₄ მკირს შეუფერ—მკირს შეუფერი	952,₂ არ განიშეებს—არ გამოშეებს
823,₁ დაჩუნდეს—დაჩუმდეს	955,₄ რა გაშეები—რა გასაშეები
827,₁, 6-სა—ექვსსა	962,₁ გარდგეკიდე—გარდგეკიდე
830,₁ ჩასელას—ჩასელასა	964,₂ ვრით მოგწონვართ—ვითარით
837,₂ განსასაჯო—განსაჯო	მოგწონვართო.
843,₂ დაღანდება—დაღამდება	965,₂ გხაზა—გხა-გხა
843,₂ დაღალობს—დაღალობს	968,₁ შეემთხვევა—შემთხვევა
844,₂ ცაც—რაც	970,₂ გამხნვედა—გამხნვედა
845,₁ განსასაჯე—განსაჯე	972,₃ რომელსაც—რომელსაც
846,₁ მარგარიტნი—მარგალიტნი	977,₂ აფრქვევინა—აფრქვევინა
858,₄ ჰაჯთა—ლაჯთა	985,₃ მათითა—მათთა
861,₁ ყურთმაჯი—ყურთმაჯი	986,₄ გახურდება—გაუხურდება
862,₄ თავი—ავი	1016,₁ სამსალაღებისა—სამსალაღებისა
877,₂ იქმნება—იქმნება	1020,₂ მოხსენების—მოხსენებას
883,₃ მსმენელსა—მსმენელისა	1046,₄ თავსა - თავისა
886,₂ ესა იგი—ესე იგი	1054,₂ ფარშასა—ფარჩასა
894,₄ მიკვიდრეს—მიკვირდეს	1056,₁ ჭაბუკის - ჭაბუკს

1084, ₁	დაუთმოსს—დაუთმობს	1521, ₂	გბოდნობათა—გბძნობათა
1080, ₁₁	ანუ რა რა—ანუ რა	1526, ₄	კავშირია—კავშირი
1090, ₁	ფატან—ფატმან	1542, ₄	ელოლების—ეყოლების
1097, ₄	მოვთ—მოვით	1586, ₃	მიიწვევის—მიიწვევის
1128, ₄	ვერათნოვე—ვესათნოვე	1589, ₄	ზნეუება—ზნეობა
1149, ₁	გამოვარკეთ—გამოვართკით	1405, ₂	ღმერთით—ღმერთი
1149, ₂	წყრომა ვერ ვერ—წყრომა ვერ		ღმთისა—ღმრთისა
1158, ₄	ფატმანისამან—ფატმანისაგან	1410, ₂	გამოუშო მთოუარე—გამოეშვა მთვარე
1188, ₄	მთოვარე—მთვარე	1411, ₂	ზოალი—ზოალ
1195, ₃	სამგლოიარო—სამგლოვიარო		ზოაქალის—ქოქალის
1196, ₄	იშ თაე—იშ თავი	1412, ₂	პოზილინი—პოზილინი
1197, ₁₁	დამეუქარებოდო—დამემუქრებოდო	1414, ₁₁	ფიგურზედ—ფიგურაზედ
1208, ₃	მოვარენით—მოვიარენით	1428, ₄	ბალბი—ყალბი
1211, ₁₁	უქუშე—უქუშე	1436, ₁	საესაე—საესაევი
1216, ₂	ერით—რით	1456, ₃	მომატებულ—მომატებულნი
1223, ₁	ღმერაისა—ღმერთისა	1449, ₃	ლექსია—ლექსია
1230, ₁	მოუახლე—მოახლე	1451, ₁₁	ფოლოცი—ფოლოცი
1244	სტროფთან მეოთხე ტაეპის ნომერი დასმულია, მაგრამ განმატებული არ არის.	1485, ₄	მოუზნაურნი—მოუზნარნი
1274, ₃	ლექსა—ლექსა	1489, ₄	მიხლოებელი—მიხლოებული
1282, ₂	ენა—ენისა	1514, ₂	აღმისრულოთო—აღმისრულოთო
1292, ₄	ჩაექცეე—ჩაექცეე		აღმისრულეებ—აღმისრულეებ
1298, ₃	გულის—გულისა	1521, ₄	თაე მისკენ—თავი მისკენ
1316, ₁₁	სჯოლა—სჯილა	1527, ₃	რებნასა—რებნასა
1320, ₄	მოშაბნარე—მოშაბნარე	1554, ₃	აეადთაო—აეადაო
1324, ₃	გათენებას—გათენების	1564, ₁₆	გარდამეცევიანო—გარდამეცევიანო
1326, ₂	წევრები—ტევრები	1585, ₄	ვესწერ—ვესწერ
1350, ₃	ქალა—ქალა	1586, ₂	დასაეღეთადმე მიიწვევის-დასაეღეთადმე მიიწვევის
1352, ₃	ნამსა ცხელსა—ნამსა თხელსა	1589, ₄	(გვ. 292, სტრიქ. 3 ზემოდან) მეფობისათვის — სეფობისათვის; გვ. 294, ზემოდან 2: შინაშე—წინაშე
1365, ₄	ბაეღალღბნეთ—გაეღალღბნეთ		
1398,	ტარიას—ტარიას		
1472, ₄	შეგვება—შეგვება		

ზოგჯერ ხელნაწერში შეცდომითაა მითითებული სტროფის სათვალავი—162 სტროფი დედანში აღნიშნულია 152-ით; 602-ის მაგივრად 606-ით, 766—765-ით. 1107 სტროფი გადავაკეთე 1109-ზე, 154 სტროფის 3 და 4 ტაეპის ციფრები ერთად იყო და კონტექსტის მიხედვით დავყავი. ზოგჯერ სტროფის ნომერი არაა ნაჩვენები, მაგ., 674,990 და სხვ. რაც აღვადგინე კონტექსტით. სტროფების სათვალავისა და ტაეპების ნუმერაციის დაკლებასათუ მცდარ მითითებას აღუნიშნავად ვასწორებ.

კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია უნებლიეთ გამოტოვებული ასოება. მაგ., 20,₃: «გამოთარგმანება» დავბეჭდე «გამო- [ი]თარგმანება». მაგრამ ყოველთვის არ ვასწორებ ისეთ ასო დაკლებულ წაკითხვებს, რომლებიც ხელს არ უშლიან აზრის გაგებას, თუნდაც ამის გამო ციტატის ტაეპში საზომი იყოს დარღვეული. ყოველთვის არ ვასწორებ სიტყვა დაკლებასაც, მაგ., 933,₃ «მვეცთ თანა ალამნეს», გავასწორე ვახტანგის მიხედვით «მვეცთთანა თაენი ალამნეს», რადგან საზომიც დარღვეული და წაკითხვაც უაზრო იყო. 813,₃ «ვერ ვისმენ ჳმასა შენსა სასმენელად მე დასულსა» შეიძლება გასწორებულიყო სიტყვა «ვერ» — «ველარ», მაგრამ დავტოვე რამდენადაც აზრი ნათელია და გასწორება აუცილებელი არ არის.

ტექსტის სისტემატური «მაგალ.» ზოგან გადაკეთდა «მაგ.». სიტყვის ბოლოში მახვილის აღმნიშვნელი კითხვის ნიშანი «ა», მაგ., სიტყვაში «წარხვალა» გამოვეტოვე. არასისტემატური «ჟ» შეეცვალე ჩვეულებრივი «ვი»-თ. «ძ» შეეცვალე «ფ»-თი და დავტოვე მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის სიტყვებში, სადაც ამას გამოთქმის სიზუსტე მოითხოვდა, მაგ., არაბული ეტიმოლოგიის ნიმუშებში როგორც: «მუხთალიძა», «სიძა».

ქარაგმები გახსნილი მაქვს აღუნიშნავად: ქყანა — ქვეყანა, ზა — ზედა, ფდ — ფრიად, ღნ — ღმერთმან, ღის, ღისაგან — ღმრთის, ღმრთისაგან, ღთია რამდენიმე ადგილაა გაეხსენი ღვთის; ხ — ხოლო, კდ — კვალად, შა — შინა, ვა — ვითარცა, ქე — ქრისტი, მრთ — მიმართ, მრ — მიერ, ტპი — ტაეპი, ვრით — ვითარით, ვრისამე — ვითარისამე, ჩვენებრი — ჩვენებური (როცა ქარაგმის ნიშანი აქვს). ს-მეტობა სიტყვებში — ნიშნავს, იტყვისს, ნივთსს, დარეჯანსს, ითარგმანებისს ზოგან გასწორებული მაქვს აღუნიშნავად.

ზოგი სტრიქონი, ან მთელი განმარტება გადაშვრის დაუდევრობით წინა-უქმოდაა მოსული, მაგ., 176 სტროფის განმარტებაში ჩაყოლილია 177 მაჯამური სტროფის შენიშვნა «ეს მაჯამა არის...». ეს და სხვა ასეთი აშკარა შეუსაბამობანი გასწორებული მაქვს კონტექსტის მიხედვით აღუნიშნავად.

ხელნაწერში პარალელურად იხმარება «ვეფხის-ტყაოსანი», «ვეფხვის ტყაოსანი», ორივე წაკითხვა დავტოვე. «ვეფხის» წაკითხვას კი უფრო ხშირად უპირატესობას ვანიჭებ, რადგან ის უფრო სისტემატურია. ასევე ვტოვებ პარალელურ ფორმას «ფატმან», «ფათმან». შეუსწორებლად ვტოვებ აგრეთვე პარალელურ ფორმებს:

სანთელი — სამთელი, ჯმალი — ჯრმალი, მიც — მიძს, ლელწამი — ლერწამი, მარგალიტი — მარგარიტი.

თეიმურაზს განმარტებანი გაკეთებული აქვს ვახტანგის გამოცემის ტექსტის მიხედვით და მისივე სათვალავის გამოყენებით. ტექსტის სარგებლობის გასაადვილებლად პირველ ციფრად სტროფის ჩვენებაში ვახტანგის გამოცემის სათვალავს, მეორე ციფრად დაფურთე პოემის საიუბილეო გამოცემის სათვალავი. ყოველგვარი შენიშვნა ტექსტის ჩვენებაში გულისხმობს ვახტანგის სათვალავს. თეიმურაზი ვეფხისტყაოსნის სტროფთა სათვალავს უჩვენებს არაბული ციფრით, სტროფს უწოდებს „სტიხს“, სტრიქონს „ტაეპს“. განმეორებათა თავიდან ასაცილებლად მითითებაში გამოვტოვე სიტყვები „სტიხი“ და „ტაეპი“.

პროფ. ექ. თაყაიშვილს თეიმურაზის განმარტებაში სიტყვა «შეერთა» (დაკავშირებით ტაეპთან: „ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ შეუშრომელსა“) მიუჩნევია შეცდომად და შეუსწორებია სიტყვით «ბევრთა» (Описание, II, 586). ჩვენ დავტოვეთ სიტყვა „შეერთა“, რადგან თეიმურაზი მას სისტემატურად ხმარობს არაბული გაგებით (პოეტი, ლექსი), რაც გამართლებულია კონტექსტის მიხედვით და ის შესწორებას არ საჭიროებს.

გ ა ი ო ზ ი მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი

განმარტება ჰოემა ვეფხისტყაოსანისა
[ტექსტი]

ქანკარის უაღრეს ზეგბის-ქაწინის:..

ქმნილი ზეგს ჯგერე ჟეოტამეტს ჰის დეი-
მენებს შიგნ ზაჭურისაჲს შალსის ს. უეჭურბურებს ჯგდშია-ჩაუკ-
სა; უარყოთა ჩლოთა შორის წრიცხლოთა უაჩეცნო ჩლოთა: შა
შინის საწოლოთს კოპენდნის სამეფს საანტიკიკიროთა უეჭურ-
ბლოცხა შინა. უარყოთა ჩლოთა შორის დაჭეჭბლოთა და
უარყოთ სასიეცე ენატიკს ჩლოთისა: >

განმარტება ლექსთა მათ მალღისა ფრანსისათა, რომელნიცა არიან ქუცლნი ქართულნი და რომელნიმე შემოტანილნი სხუათა ენათაგან ქართულსა ენასა შინა და აქა ვეფხის-ტყაოსანისა სტიხთა შინა ვმარებულ არიან, რომელნიმე ლექსთა ამათგანნი გუარითა აღმოსავლეთისა მესტიხეთა მეტაფორიისათა ქმნილ არიან.

რიცხუთა მიერ სტიხთასა იჩუცნებიან, თუ რომელი ლექსი, რომელსა სტიხსა შინა არს.

1/1

1 ს ა მ ყ ა რ ო — ესე ყოველთა ცათა გარეგან მყოფი: უზენაესი, მტკიცე და უგრცელესი ყოველთა ცათა ზედა. მ ყ ა რ ი, ს ა მ ყ ა რ ო ქართული ლექსია. სამყაროსა უძრავად ცად რაცხენ, ესე არს ცაჲ უძრავთა ვარსკჳლავთა; მ ყ ა რ ი — უმტკიცესი და უმაგრესი ყოველთა ნივთთა ზედა.

2/2

1 ტ ა ნ ი — გუამი და მორფ-ნაკუჭთობა ცხოველთა სახისა.

2 ს ა ტ ა ნ ი ს ა — ს ა ტ ა ნ ა ეშმაკი არს. ს ა ტ ა ნ ა ლექსი ასურასტანელთა ენითა ეწოდების ეშმაკსა და სომეხთაცა ლექსი ესე მათგან მიუღიესთ, თორემ საკუთრათ სომხური არ არის და არც ქართული. ქართულად სატანას ეშმაკი ეწოდება.

3 მ ი ჯ ნ უ რ ი — ქართულად ეწოდების, არაბულად მაჯნუნი ეწოდების, ტრფიალად გამოითარგმანების. [1v].

3/3

1 შ ი მ შ ი რ ი — კრმალია სპარსულად.

2 მეფისა მშის თამარისა, ლაწვ ბალახშ თმა გიშერისა — მეფეს სტიხის მოქმედი მზედ უწოდებს. ვინადგან მზე აღაორძინებს ნათლისა თვისისა მოფენითა ნერგთა და მდელთა, ეგრეთვე მეფე სიბრძნითა და მოწყალებითა თვისითა მფარველობს და ზრდის ერსა თვისსა. ლ ა წ ვ ი ბ ა ლ ა ხ შ ი — მშვენიერის ლოყა წითელი, თ მ ა გ ი შ ე რ ი — შავი და ელვარე.

3 ხ ო ტ ბ ა — შესხმა საქებელი არს. არაბულად ხუტბა არის. ხ ი შ ი რ ი — მრავალ-რიცხველი ანუ ზედის ზედ დაუცადებელი. ხშირი ქართული ლექსია.

4 მისთა მჭურეტელთა ყანდისა მირთმა ხამს ვით მშიერისა — ყანდი — გახალისებული და რჩეული სპარსული შაქარი არის. მისთა მჭურეტელთა — მისისა ტრფიალებისა სიყვარულით მომყმართა ჯერ არს, რათა მიერთმოდენ ყანდი, ესე იგი ურჩეულესი შაქარი რომელიცა ნიშნავს კეთილისა გულისა სიტკობებასა.

4/4

3 მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული¹ — აღმოსავლეთის მეშიარენი მშვენიერთა შავთა თვალთა მელნის ტბასა უწოდებენ და მოძრავსა ტანსა მშვენიერისასა კალმად ბროლისა იტყვიან. ხოლო ქარტად გულსა მას, რომელსა ზედაცა გამოიწერების სიყვარული სატრფიალო. რუსთველს მაღალს აღსავალობაში აპყავს თვისი პიიტიკოსობა და გენიასა მისსა აძლეეს ძალსა. ესე ვითარი სახე, მელანი და კალამი — იტყვის ჩემი მელანი და კალამი მშვენიერისა სახე არიანო და მე ესე ვითართა მელნითა და კალმითა ვმოქმედებო.

4 ლახვარი გულსა ხეული — ლახვარი შუბის მსგავსი იარაღი არის. ლახვრითა განიპების და განიფრიწების გული და სხეული. ლახვარი [2r] გულსა ხეული ამას ნიშნავს ლახვარი გულსა შინა გამოსახული.

5/5

2 ბალახში — ჩიტნებურად ეწოდების, სპარსულად ამას ბადახში ანუ ლალი-ბადახში სახელედების. ბადახშიანი ქალაქის სახელი არის, რომელიცა არს ძტყლსა ბახტარიასა შინა და აწ არს საზღუართა შინა დიდისა თათარიისა ბუხარიისათა, და ვინაჲდგან ლალი მუნებური უმეტეს ქებულ არს აღმოსავლეთისა ერთა შორის ფრიადისა მეწამულ-ფეროვანებისა და სიკეთისა მისისათვის აღმოსავლეთისა მოშიარენი უწოდენ ლალად ბადახშიანისა ბაგეთა შუტნიერთასა.

4 გასტეხს ქუასაცა მაგარსა, გრდემლი ტყვიისა ღბილისა — გრდემლი ტყვიისა მსგავსად სიმრგრველითა მცირისა წისკვილისა კელით საბრუნისა არს ქმნილი. ესე გრდემლი საბრუნი სრულიად ტყვიისაგან არს ქმნილი და სადგარსა, გინა სტოლსა ზედა არს მომართული ქუტშუდამ ჩარხითა, რომლითაცა აბრუნებენ მცირესა მას სათლელსა და მას ზედა პსთლიან და აელვარებენ და ასწორებენ პატიოსანთა ძვირფასთა ქვათა (ესე გუბარი ჩარხი მე თვით თქალითა ჩემითა მიხილავს სპარსეთსა შინა, მაგრამ ბრილიანტისა და ალმასისა გასათლელი ჩარხები სხვებრ არს ქმნილი). ქუად მაგრად გულსა.

¹ დედანში ეს სტრიქონი განმეორებულია

გმირისა ბაშაცისასა იტყვის მოშაირე, რომელიცა არს ტრფიალებითა შეპყრობილი, ხოლო გრდემლად ტყვიისა ღბილისა ჩვილსა და მოწულესა გულსა ქალისა სატრფიალოსასა იტყვის, რომელიცა თვისითა ჩვილითა და მიმზიდველისა გულითა მრავალთა ძლიერთა და გმირთა გულისა მძლეველ იქმნების და შემმუსვრელ [2v].

7/7

3 რ უ ს თ ვ ე ლ ი — ესე ადგილობითს ნათესაობას ნიშნავს სადაურიც იყო, სახელად შოტტა ერქვა. შოტტა ანუ შოთთა დიად ძეშლი სახელი არის ქართული, არმაზ კერპისა სახელივე არს შოტტა და მას საესვსა საქართველოსა ერისასა უწოდდენ სახელსა ამას, და ესე სახელი დაშთა შემდგომად კერპთმსახურებისაცა ივერიელთა შორის.

შოთთა რუსთაველი მეჭურჭლეთ-უხუცესი ანუ მოლარეთ-უხუცესი (გინა მინისტრი ფინანსი) იყო დიდებულისა მეფისა თამარისა და დიდად ბრძენი. რუსთველი ამისთვის ეწოდება, რუსთავის ქალაქი ძველად სამთავრო ქალაქი იყო და რუსთაველი შოტა იმ ქალაქისა და გარემოსა მისისა მთავარი იყო და თვითცა მუნებური.

რუსთავის ქალაქი არის ბოსტან ქალაქი, რომელიცა პირველ აღშენებულ არს ქართლოსის ცოლისა მიერ. ესე ქალა მტკვრის პირზედ გაღმით კახეთის მკარეს არის, ტფილისს ქვემოთ ტფილისიდამ ექვს ან ექვს ნახევარ მილი იქნება ნემენცური (ანუ გერმანიული). ეს რუსთავის ქალაქი ახლა დაქცეულია და იმ ადგილს ნაგებებს ეძახიან, მრავალ შენობაები არის დარღვეულ. [3v]

მისთვის გულ-ლახვარ სობილი — ესე იგი გულითა მისთვის მოწყლული, გინა მტკიენეული.

4 აწ მარგალიტი წყობილი — ესე ნიშნავს ძვირ-ფასთა ლექსთა ამათ უწარჩინებულესის კელოვნებით თქმულთა და შეწყობილთა.

8/23

მიჯნურსა თჳალად სიტურფე, მართებს მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხუჭ, სიყრმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მქლეთა მებრძოლთა მძლეობა,
და ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ჴნეობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მერვესა ამას სტინსა სრულიად და საკვირვლად გამოხატავს, ყოველსა ხარაკტირსა მიჯნურისასა: ძნელია, რომ ამდენი ნიჭი ერთად ერთს კაცში იპოებოდეს. მაგრამ ჴებირად საქართველოს ერნი ასე მოუთხრობენ, რომელ რუსთაველი თვით იყოვო ესე ვითარი სრული ყოვლითა სიკეთითა.

9/24

1 მიჯნურობა არის ტურფა საცოდენლად ძნელი გუარი — მიჯნურობა საცოდენლად ამისთვის არის ძნელი გუარი, მარტო მიჯნურობა კაცის ზნეობის ცოდნით ხომ არ იქნება, კაცმან გულით და სწორეს სიყვარულით უნდა შეიყვაროს სატრფო და არა მცბიერებით და მოცყუებით. ტ უ რ ფ ა — ქართულად მშვენიერებით გარდამატებულსა ნიშნავს.

2 მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი — მიჯნური ტრფიალებით აღტაცებულსა ეწოდება, არაბული ლექსია, არაბულად მაჯუნუნ არის. ტრფიალება ორგვარი არის — ერთი უბიწო, რომელიც ცოლ-ქრმობი[3v]სათვის არის და მეორე ბიწიერი, ცუდი და უგვანი, რომელიც რომ სიძვისა და არაწმინდებისათვის არის.

10/25

1 ხ ა ნ ი ე რ ი — მრავალ-ჟამიერი, ხანდაზმული.

2 ს უ ლ თ ქ მ ა და უ შ ი — შორისდებულნი სახელნი არიან საგლოველთა და სამწუნაროთა კმათა და აღმოოხტრათა, ქართულია,

3 კ უ შ ტ ო ბ ა — შემოწყრომა და გულ-ამაყობა. ქ უ შ ო ბ ა — ჟამიერი გულმწყრალობა, გინა ესე გვარი რისხვა, რომელ სახესა ზედა გამოხატული აქნდეს კაცსა. გულ-მწყრალობა უხმოდ და ძნელად შეიბედებოდეს სიტყვად და ზრახვად მისთანა ქუშობისა ჟამსა. ქართული სიტყვა არის ორივე.

4 ტ ლ ა შ ი-ტ ლ უ შ ი ანუ მ ტ ლ ა შ ი-მ ტ ლ უ შ ი — მაგრიადრე კოცნა და ამბორი, რომელ ბაგეთა და დაწვთაგან ამბორებისა ჟამსა კმისა ცემა გამოვიდოდეს, ძალიან გულით კოცნა არის ტლაში-ტლუში, რომ ამ კოცნის ხმა შორ გაიგონება.

11/26

3 მ ღ ე რ ა — როკვა, თამაშობა, ყრმათა და ვაჟთა შექცევა. თ ა მ ა შ ა არაბული ლექსი არის, რომელსა ჩვენ თამაშობას უხმობთ და ეს ლექსი ჩვენს ენაში დიდხანია, რომ შემოტანილი არის. მ ღ ე რ ა ჩვენებური ქართულია, თამაშობას ნიშნავს, ხოლო ს ი მ ღ ე რ ა საერო გალობა არის, ანუ სამღერელი რამ, სამღერელნი გამოთქმანი. და კვალად ს ა მ ღ ე რ ე ლ ი ამასაც ნიშნავს, რომ ეცინოდეს კაცი კაცსა, ანუ ხალხში განიკიცხოდეს კაცი. გ ა ლ ო ბ ა მხოლოდ საღმრთოსი არის, საეროს მღერას გალობა არა პრქვიან. არაბულად თამაშა სვლასაცა რქვი[4r]ან და საყურებელი რამ ერთა სახილველი და საიშვიათო, მას ეწოდების.

4 ვინც სოფელს დასთმობს და ამ სოფელში ნივთთ მოყვარებისა და შვებათ მოყვარების ტრფიალი არ იქნება და მხოლოდ კეთილის მოქმედებას შეიყვარებს, კარგი მიჯნურობა ის არის და საუკუნოს დიდებას პპოვებს, მაგრამ ესეც არის, რომ კაცი თავის საყვარლისათვის ყოველს დიდებას დასთმობს, თუ ერთგული იქნება თავისის სატრფოსი.

12/27

2 ხ ა ლ ვ ა არაბული ლექსი არის და ქართულში ლექსის გაწყობის მიზეზით დაუკვეციათ. არაბულად ხ ა ლ ვ ა თ არის საიდუმლო რამ საქმე და მარტოებით ქმნა საქმისა ანუ მცირედთა თანა სანდოთა გვამთა ყოფითა. ხ ა ლ ვ ა ქართულად ამას ნიშნავს, რომ საიდუმლოს და საურველს საქმეს რასმე ან სამწუხაროს თავის გულში ჰფარვიდეს და მით თვისსა გულსა სახმილითა შინაგანითა სწვიდეს გინა ჰხალვიდეს. ხ ა ლ ვ ა მიმოკვეთებაც არის ქართულადვე, მაგრამ აქ საიდუმლოებითს ნიშნავს. ხ ა ლ ვ ა — მ ო ხ ა ლ ვ ა, ეს სწორე ქართული არის; ხეარბალი ანუ სხვა რამ თესლი ცეცხლზე სპილენძის ჭურჭლით უწყლოთ მოხალოს.

3 ა ლ ვ ა — ალის ცეცხლისა გულსა შინა თვისსა აღზნება, ქართული ლექსია.

13/28

1 ხ ა მ ს — ჯერ-არს. ხ ვ ა შ ი ა დ ი — ქართულია, საიდუმლოს სიტყვას, საქმეს და გულის პასუხს ნიშნავს. გ ა მ ყ ლ ა ვ ნ ე ბ ა — გამოცხადება საქმისა ანუ სიტყვისა.

2 ბ ე დ ი თ ი — ცული, უქმი და უწესო. ჰაი ზმიდეს — ნანობ[4v]დეს და წუხილით ჰაი ჰაის იტყოდეს. ა ყ ი ვ ნ ე ბ დ ე ს — ამას ნიშნავს განაქიქებდეს, არცხვენდეს.

3 არსით უჩნდეს მიჯნურობა — სხვაგან სადმე, ანუ სხვასა ვისთანმე მიჯნურობას არა განიზრახვიდეს, არა სადა იფერებდეს და არც იკადროს სხვასთან მიჯნურობა.

14/29

1 შ მ ა გ ი — სიმმავე, მოუთმენლობის მიერ იშტჭბის, რა გაცხარდება მოუთმენელობაში, ანუ განფიცხნების კაცი. სიგიჟის ნაწილი არის შმაგობა.

3 მ ო ყ ი ვ ნ ე ბ ა — ხალხში შესარცხვენად განკიცხვა.

4 რ ა გ ა ვ ა — ნიშნავს ამას რადგავა, რად გაივაჭრება, რა ფასი სძევს მაშინ მოყრობასა და სიყვარულს, თუ ოდესმე მართალზედ კიდევ აწყვინებს. რ ა გ ა ვ ა — რა დასაკლისია, ამასაც ნიშნავს.

1 ამაღარი — ა მ ა ტ ტ ა რ ი — ებრაული ლექსი არის, უმაღლესად გამოითარგმანება, ხოლო ქართულად ამაღარი ამისთვის არს, ესრეთ ითქმის. მე რუსთველი კელობითა — ესე ნიშნავს კელოვნებასა და საკელოსაცა ორსავე. ა მ ა ღ ა რ — თქმაობითა ამით პიიტიკოსობას აქებს და უმაღლესს ხარისხში აღჰყავს. ა მ ა ღ ა რ ი — ამისთვის არს (ამასაც ნიშნავს).

2 ს ა გ ო გ მ ა ნ ე ბ ი — საროკველი მშეწნიერად რადმე და კელითი კელად სატაცებელი ანუ საჩუჭნებელი მოსურნეთათვის და კელითი კელად, სასურველად განსახილველი, კელითი კელად სატარებელი გასასინჯავი და საამოვნოდ მისაღებელი ყოველთაგან ვითარცა სპეკალნი და ძვირ-ფასანი მარგალიტნი. ლექსის თქმით კიდეც ითამაშებენ და როკვენ. გ ო გ მ ა ნ ი — მშეწნიერთა ფრინველთა კაკაბთა, გლონთა და ესე ვითართა მფრინველთა ფერხითა მშეწნიერად სიარულსა ნიშნავს.

3 ს ა ჭ ო ჭ მ ა ნ ე ბ ი — ჭ ო ჭ მ ა ნ ი საურვებელი რამ ძნელი, ანუ გასაძნელებელი რამ საქმე [ნ] ბეერს წართქმასა და უკუთქმაში რომ იყო და ურვიდეს კაცი, მას ნიშნავს. ჭ მ უ ნ ვ ა — მწუხარებით ურვა ანუ მოწყენა.

4 ჩემმან კელ-მქმნელმან დამმართოს, ლალმან და ლამაზ მანები — კელ-მქმნელი ტრფიალისა განუსხენებელის სიყვარულის გრძნობის მიმცემი არის. დ ა მ მ ა რ თ ო ს ამას ნიშნავს საძლევლად, რომ წარმოემართოს ძლიერი მის ზედა, რომლისაც ენებოს შეპყრობამ. კვლად განიმარტება: დ ა მ მ ა რ თ ო ს ნიშნავს შემამთხვიოს. ლ ა ლ მ ა ნ და ლ ა მ ა ზ მ ა ნ ე ბ ი — ლალი ნიშნავს, რომელიცა კეთილისა ზნეობითა კადნიერი არის და მორცხვობით და კდემით არ იქცევა. სილაღე კეთილი ხარაკტერი არის (და ცუდ მოლაღობა კი ბიწიერი საქმეა). აქა ვეფხის-ტყაოსანში სადაც სილაღეს ახსენებს, ყოველსავე ანუ კეთილის ზნეობით კადნიერებას ნიშნავს, და ანუ სიმკნით მამაცობის ხარაკტერსა, და ლ ა მ ა ზ მ ა ნ ე ბ ი — ლამაზი მშეწნიერი არის; ლ ა მ ა ზ ი მ ა ნ ე ბ ი, მე ეგრე ვგონებ, მშეწნიერის წამწამნი არიან. მ ა ნ ა — გასამსჭვალავი იარაღი არის და ისარსაც ეწოდება და მშეწნიერისა და სატრფიალოს შეხედვის ჟამს, როგორათაც მანა ანუ ისარი თვალთაგან მისთა გულსა ტრფიალისასა განეწონება. რადგანაც ეს ლექსი მაჯამად არის თქმული და სხვა და სხვა რიგათ განიმარტება, ესე იგი ლ ა მ ა ზ მ ა ზ მ ა ც გამოლის ამაში და

ზმანებაცა. ზ მ ა ნ ე ბ ა ჩვენება არის ძილსა შინა; ზ მ ა ნ ე ბ ა — ზომა არის, საიღამაც რომ უნდა საზომის თანა-სწორება განვივიდეს. მ ა ზ-მ ა ნ ი ც გამოდის ამაში. მ ა ზ მ ა ნ ი — თოკთა და საბელთა დაშენებ-გრეხი, ესე იგი მწმასნელნი არიან, საბელსა მიემსგავსება, დაგრესი-ლი ზილფნი მშვენიერისა სატრფიალოსანი. ზ ი ლ ფ ე ბ ი ს მ ა ზ მ ა-ნ ი თვით იგი მშვენიერი სატრფო არის, რომლითაცა შეჰკრავს სიყვა-რულითა გულსა ტრფიალისასა. ლ ა მ ა ზ მ ა ნ ე ბ ი — ნ ე ბ ი — ქე-ლისა გულსა დასწვრივ ცერსა ქვეშეთი ადგილი არის, ოდეს მოწყა-ლებით მოდრკება ვინმე დიდებული ერდგულსა მონასა თვისსა ზედა, დასდებს თავსა ზედა კელსა და მით მიანიჭებს ღირსებასა მაღალსა. ეგრეთვე სატრფიალო უმშვენიერესსა კელსა თვისსა მოსდრეკს რა ტრფიალისა თვისისა ღირსყოფად. ტრფიალი მას გამოხატავს გულსა შინა თვისსა და იტყვის „ჩემმან კელ-მქმნელმან დამმართოს, ლაღმან და ლამაზმანები“, ესე იგი, და მ მ ა რ თ ო ს ამას ნიშნავს მოსდრიკოს კელი თვისი მოწყალებად. ლ ა ლ მ ა ნ — კეთილ-ზნეობითა თვისითა კადნიერმან. ლ ა მ ა ზ მ ა ნ ე ბ ი — ნ ე ბ ი თვისი დამსდვა, ესე იგი შეწყალებაჲ თვისი მსგავსად კელისა ნებისა გულსა ჩემსა დასდვა. ნ ე ბ ი კვალად გამოითარგმანების — სურვილი გულისა ანუ საწაღე-ლი. მ ა ნ ა — საღილესა ქალთასა ნიშნავს და თუ ვსთქვით მ ა ა ნ ა, ესე ნიშნავს შესაწირავსა.

17/10

1 თვალთა მისგან უნათლოთა — რომელნიცა თვალნი ჯერეთ არა არიან: ხილვითა მისითა განათლებულნი, — საჭირო იყო მათთვის რომელ ენატრამცა ახლად ჩენა, ესე იგი, ვინცა სატრფიალოსა უნა-ხაობის მიზეზით ბრმად შესარაცხ არიან, მათ სანატრელად სჩინსთ ახლად ჩენა, ესე იგი სახედველთა მათთა ახლად სინათლის მომატება ხილვითა უმშენიერესისა სატრფიალოსათა.

3 მ ი ა ჯ ე თ — ამას ნიშნავს შუამდგომელ მექმნენით. ვის კორ-ცთა დაწვა — ვინცა კორციითა დაწვა მომატყვა, ესე იგი, ტრფიალე-ბისა მისისა ცეცხლითა დამწვა. კმარის ესე და ვედრებით ითხოვს შეწევნასა ღებნით შეწყალებისასა, რომ სულით თვისით თავისუფა-ლი შეიქმნეს სატრფიალო მწუხარებისა და ურვისაგან.

4 სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ლეენა — სამ-ნი ფერნი, ესე იგი სამნი გვარნი საქებელნი ნიჭნი, რომელნიცა სატ-რფოსა შორის იხილვებიან, ესე იგი, პირველად მშვენიერება, მეო-რედ კეთილ-ზნეობა და მესამედ ღმობიერი გული ერთგულისა თვი-სისა მიმართ სარწმუნოსა. ვინცა ესრეთ ნიჭებულ არიან, ლამის რომ

ლექსთა თხზულებანი ყოველნი იმათზედ ჯერ არს დალევნად, ესე იგი დასრულებად და ჯერ არს ესე უფრო ნათლად ითქვას, რაც ლექსნი სამქებრონი მოიგონებიან ანუ ითქმიან ყოველისავე ღირსი არის ზემო ხსენებულის ნიჭებით შემკული სატრფიალო, რომ იმათ ქებაზედ და-ასრულოს კაცმან.

18/11

3 მიჯნურსა ჰმართებს, რომ უყვარდეს ტრფიალება და გამოსცნობდეს, ესე იგი თუ რაჲ არს სიყვარული და ანუ ტრფიალება და თუ ვითარ სცნას საყვარელმან მოყვარე და მოყვარემან საყვარელი.

4 ასე უნდა მოიქცეს, რომ ვერცარაინ დაუწუნოს მიჯნურობა და არც თითონ სხვათ უნდა უწუ[ნ]ებდეს და ზრახვიდეს სიყვარულზედ; არც თავის თავი გააკითხვისას ასე მოიქცეს და არც თითონ სხვა განიკითხოს.

19/12

1 ერთი დარგი — ერთი ნაწილი.

2 დიდი მარგი — დიდად სასარგებლო; მ ა რ გ ი — მარგებელი.

3 ვ ა რ გ ი — კარგი სახმარი, გამოსაყენებელი.

20/13

1 შარა — დიდი და განიერი ვრცელი გზა. დიდი რბევა — რ ბ ე ვ ა — სირბილი ანუ ცხენის ტენება.

2 მო ე დ ა ნ ი — ასპარეზი. მო ბ უ რ თ ა ლ ი — ბურთის მოთამაშე. მართლად ცემა, ბურთის წესიერად თამაშობა. მარჯვედ ქნევა — სისწრაფით კელის ხმარება ბურთის თამაშობაშია.

3 ხ ე ვ ა ანუ და ხ ე ვ ა — ეს ნიშნავს გალობის კილოსა; კ მ ა ანუ კ ი ლ ო ოდესცა მაღალის კმით სწორეს საზომისა მიმართ მისდრიკოს, რადგანაც ყოველი ლექსი გალობაზედ უნდა იყოს გამართული, რომელ ლექსი თვისის სასწორისაგან გარე არ გავიდეს; და მდაბიოდ ასე გამოიითარგმანება, რომელ ქართა თავდაღმართში დაუხევენ, რომელ ურეში არ გარდიჩეხოს. მელექსემაც თვისი თავი ესე გვარად უნდა იპყრას. ქართული ლექსია ხევა.

4 ლ ე ვ ა — გამოლევა, მოკლება.

21/14

1 მო შ ა ი რ ე — ქართულად ეწოდების, მაგრამ ესე ლექსი არაბულიდამ არის შემოღებული ჩვენში. არაბულად შ ა ი რ არის, ესე იგი ლექსის მთქმელი ანუ მესტიხე. ხოლო შ ე ჭ რ არაბულად ლექ-

სა, ესე იგი სტიხსა ეწოდების. მტკმელი ლექსისა შაირ. ხოლო
შეჭერ ნიშნავს თქმულსა ლექსსა ესე იგი სტიხსა.

4 ჩოგანი — ქართული მხედართ ბურთის საგდებელი და ააგორებელი ჯოხი მოკავებული, რომელსაც თავი მოკავებული აქვს და ბადესავით ლართ გაბმული აქვს მოკავებული. იგი ლაქირი დაგრეხილი ძროხისა ანუ ცხვრის ნაწლევთაგან მსხვილს ძაფსავით გაკეთებულია, რომელი არს სტრუნი. ცხენ და ცხენ ბურთსა ჩოგნით ითამაშებენ და ქვევითათაც.

22/15

4 უცილობობს ვითა ჯორი—უცილობობს ნიშნავს არავის შეიცილებს ამას ზედ და ჯორს მიემსგავსება უგვანი მესტიხე, ვინაჲდგან ჯორი ესრეთი ცხოველი არს, რომელ არა აქვს ბუნებითად საკუთრებითი ნათესაობა, არამედ სხვათა ორთა ნათესავთაგან აქვს არსებობა მყოფობისა, ამისთვის უგვანნიცა მესტიხენი მას მიემსგავსებიან, რომელ არა აქვსთ ნიჭი მიცემული ბუნებით პიიტიკოსობისა.

23/16

2 გულისა გასაგმირე — გულისა გრძნობისა მიმცემი ანუ განმამხნობელი, გინა გმირმყოფელი.

24/17

ვინც ლიტონს ლექსებს იტყვის ხალხის სამღერელად გინა შესაქცევად, მოსაწონი არის, ვინც ნათლად იტყვის ლექსსა, ესეცა ფრიალ საქებელ-არს, მაგრამ ვინცა ლექსსა გრძლად ვერ იტყვის, იგი მელექსედ არ შეირაცხება.

25/18

1 ჰკამს — ჯერარს. ბრკობა — დაბრკოლება, საქმიდამ მოშლა კაცისა. ნაჭირვები — ნაღვაწი თავისი კაცმან არ უნდა წარწყმიდოს და არა ჯერ არს, რომ უქმზყოს.

4 მუსიკა — ზოგად საკრავთა სხვათა და სხვათა ერთად შეთანხმავებულთა ეწოდება. მრავალ ენაში იხმარება მუსიკა ლექსი.

26/19

ეს სტიხი მაჯამათი არის თქმულა.

1 მიქია — ქებას ნიშნავს, ანუ ქებულებას.

2 გამიქიქია — განქიქება, უკუწილება დიდად [7v] შერცხვენა და დაკრთომა და განკიცხვა.

¹ რომელს

3 ჯ ი ქ ი — ტიგრი, რომელიც სასტიკი ცხოველი არის მკვებთან, საქართველოშიაც იპოება ეს მკვები. ჯ ი ქ ი ქართული სახელი არის.

4 შ ე ფ რ ქ ე შ ვ ა — ზედგარდაყრა აზიასა შინა რომელთამე აღვილთა იცინ. სიძე სძალთა და ეგრეთვე პატივისცემთა სტუმართა გარდაყრიან თუალთა და მარგალიტთა და გარდაასხმენ სულნელთა რათამე. ესე ძეშლი არს ჩუშულება. რუსთველი ამბობს: ქუშუმორე სიტყუათა ძალისა თუალთა და მარგალიტთა ვაფქუშვო მათ, ვისაცა ვაქებო; შ ე ფ რ ქ ე ვ ე ვ ა შეტრფობათაც ითქმის და მირთმად და პკურებად და შეზნევად.

4 მ ი ქ ი ა — ესე ნიშნავს იქია — აღვილს მიასწაეებს იქ მითქვამსო, ქვემორეო.

ოცდამეშვიდეს სტიხში რომ მიჯნურობას იტყვის პიიტეოსი, ისი ნიშნავს ბრძენთაგან სრულიად ამ სოფლის დატევებასა და მოძაგებასა, რომელ სიგლახაკესა და ღვაწლსა მისცეს კაცმან თავი თვისი ზეციერის დიდებისათვის.

28/21

1 მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან — ამ ტაეში მიჯნურობას რომ იტყვის, რომელნიმე ვეფხის-ტყაოსნისა გამოემძიებელნი იტყვიან და ჰგონებენ, რომელ რუსთაველსა თამარ მეფისა მიჯნურობისა ვითომ სურვილი ჰქონია და არათუ უპატიო მიჯნურობა და სურვილი, არამედ სურვილი ერთგულებისა, მონებისა და წმინდისა სიყვარულისა და ამისთვის იტყვის ეს მიჯნურობა ძნელად მისაწომელი არისო.

2 ენა დაშვრების მსმენლისა, ყურნიცა დაავლდებიან — [მრ] დაავლება ის არის, რომ ცეცხლით დაიწოს რამე და სრულად ფერფლად გარდაიქცეს (ეს მეორე ტაეპი პირველის ტაეპისავე აზრზედ არის თქმული).

3 ვსთქვნა ხელობანი, ქვენანი, რომელნი კორცთა ხვდებიან — ესე იგი ეს მიჯნურობა ანუ კელობა, რომელნიცა კორციელისა მიჯნურებისა კერძონი არიან.

4 მართ მასვე ბაძვენ, თუ ოდეს, არ სიძვენ შორით ბნდებიან — ეს კორციელი მიჯნურობაცა, რომელიც ცოდვის სურვილისათვის თუ არ იქნება, ზემოვე თქმულს ეღსგაესებაო, კეთილს მიჯნურობასაო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა შოთა რუსთველი აქა ცხადად გვიყოფს, რომელ რააცა და რომელიცა მიჯნურება კორციელის ბიწიერებისა მიმართ მიდრეკილი არის, ის უშვერი არის, და პატიოსანი

ტრფიალება და მიჯნურება ჰმართებს ყოველსა ბრძენსა და გონიერსა. ეგრეთვე ვინცა შეიყვარებს მშვენიერსა ვისმე, დიდი უშვერება და უპატიურობა იქმნება, თუ ცოდვისა და ბიწიერისა გულისა თქმისათვის უყვარს და ცოლ-ქრმობა-შიაც სიყვარული ამისთვის არ არის, რომ მხოლოდ კორციელისა გულის-თქმისათვის იყოს, რადგან ცოლ-ქრმობითი სიყვარული არის ერთმანერთის შეწვევისათვის, კეთილისა და პატიოსნისა მოქალაქეობისათვის და შვილიერებისათვის, ეგრეთვე მეგობრობა ურთიერთისა მიმართ ამისთვის უნდა იყოს, რომ მეგობარი ბედნიერებასა ზედა მეგობრისასა იხარებდეს და ჭირისა და უბედურების ჟამს მეგობარს უნდა მიეხმაროს კაცი და შეეწიოს და თავი უნდა დასდევს მეგობრისათვის. ბიწიერი მეგობარი ბოროტი არის.

29/22

1 მიჯნური — აღმოაჩინა რომელ არაბულათ შმაგად გაჩვი-მოითარებანება. შმაგი სიყვარულით გაცხარებული რომ იყოს და განუსვენებულად მოსწრაფე საყვარელისა შეყრისა. შმაგი პირს დანიშნავს, ხოლო სიშმაგე — მოქმედებასა.

3 აღმაფრენა — ზე ჰაერსა აღფრენა. კაცი თუმცა სხეულათა ვერა აღფრინდების, როგორათაც რომ მფრინველი, მაგრამ გონებით ყოველსა ადგილსა ჰფრინავს, ცაშიაცა და ქვეყანასა ზედაცა და უმაღლესცა ცისა.

4 ქვე უცხო ბუნება ქვეყნიერის ბუნებრივის საწადელისადმი. კეკლუცთა ზედა ფრენითა — ფრენა, სიხარულით და მხიარულებით რომ დასტროფდეს საყვარელსა, იმასა ნიშნავს. კეკლუცი ის არის, რომელსაც რომ მშვენიერსა სახე და თვალად ტანადობა შესაბამიერად განკარგული, სახე გაწყობილი და განშვენიერებული ჰქონდეს და როგორათაც სახით და თვალ-ტანადობით მშვენიერი იყოს, ტანისამოსი და საქალო იარაღიც მშვენიერად და შესაბამიერად ჰქონდეს გაწყობილი. კეკლუცი ქალი უფრო სუფთასა და ნაზსა¹, — ზრქელსა და მსუქანს არ მიეწერება.

30/30

ამ აზრზედ მოუთხრობს, ვინცა რომ უგვანი კაცი არის და ცუდსა და უპატიურსა და უშვერს ლაპარაკს არის დაჩვეული. ესე ვითარი ვინმე არს საყვარლისა თვისისა, არ თუ მეგობარი, არამედ მტერი და მომაყივნებელი.

¹ ნსსა

1 თუ მოყვარე მოყვარესა (თუ დაშორდება), იმისთვის ტირილიც კმართებს; ე მ ა რ თ ლ ე ბ ი ს — ამას ნიშნავს სამართალ არს, რომ იმისთვის ტიროდეს, (ანუ) მართებს და მოვალე არის, რომ მოყვარე მოყვარისათვის სტიროდეს, როცა ხამს ანუ სატირელი რამ შემთხვეულება აქვსთ.

2 სიარული მართობა, შვენის გაჭრად დაეთვლების — ეს ამას [9F] ნიშნავს, რომ საყვარელი თავისის სატრფიალოსათვის რომ უფრო მართობით და მყუდროობით იქცეოდეს და სულ გული იმისკენ ჰქონდეს. ეს ისე შეერაცხება სწორედ, რომ ველად ვინმე გაიჭრეს სიყვარულისათვის თავისის მოყვრისა. და ე თ ვ ლ ე ბ ი ს — აღირიცხვის, ანუ ერთი რამ საქმე ასე ანუ ისე შეერაცხების.

3 იგონებდეს მისგან კიდე, ნურაოდეს მოეცლების — მარადის საყვარელს უნდა იგონებდეს, რომ სხვისათვის არაფრისათვის არ მოიცალოს.

4 არ დააჩნდეს მიჯნურობა, ჰსჯობს თუ კაცთა იახლებს — ხალხში რომ სიარული რომ ჰქონდეს, მიჯნურობა უფრო არ გამოჩნდება.

(აქედამ დაიწყება როსტეგან არაბთა მეფის ამბავი)

32/32

ამაში არის სრულიად შეკრებილი, რაც მეფის ხარაქტირი არის, ანუ სამეფუფო თვისებანი და საკვირველის კელოვნებით არის ეს სტიხი შეწყობილი.

ს ვ ი ა ნ ი — ბედნიერებით წარმართებული.

მ ო რ ჭ მ უ ლ ი — სიმდიდრით გარდამატებული.

გ ა ნ გ ე ბ ი ა ნ ი — განმგებელი, შესაბამიერი.

უ ე ბ რ ო — სწორ უბოვარი, უამხანაგო.

მ ო უ ბ ა რ ი წ ყ ლ ი ა ნ ი — ეს ამას ნიშნავს, როგორც წყალს მომდინარეობა არ დააკლდება, ეგრეთვე კეთილ-მოუბარს რიტორს მშვენიერნი სიტყვანი.

33/33

ეს მაჯამად არის. ა ს უ ლ ი გამოდის ოთხსაგ რიფმაშია:

2 მზისაცა დასთა დასული — მზეთა დასსა, გინა რიცხვთა შო[9V]რის მთიებთასა დაწესებული გინა აღრიცხული.

3 მ ჭ ვ რ ე ტ ი, მაყურებელი, მსინჯველი; გული, გონება და სული. ამათ განმარტება არ უნდა.

4 ენა ბევრად ასული — ასული გაა-ასრიცხვებული. ასული უმაღლესადზე აღსრული ხარისხსა მალასა.

35/35

2 დაამტკნაროს — დააქნოს.

3 საბალნარო — საწალკოტი.

4 მზე ჩაგვისვენდა — მზის ჩასვლას ნიშნავს. ბალსპარსულად წალკოტსა ნიშნავს, ესე იგი ბალსა.

37/37

ჯერობა — დაჯერება რომ მას რასმე დავსჯერდეთ, ანუ ვიხმაროთ იგი. დაჯერება რწმუნებაც არის სიტყვისა, ანუ საქმისა რაღასამე. ეს სხვა არის.

38/38

2 თათბირი — თაღბირ სპარსული ლექსი არის, რჩევა ანუ გამორჩევა საქმისა.

3 გაღანამცა — დიად ასე მართლად ეგრე. დამამტკიცებელი სიტყვისა არის. გაღანამცა — სათანადო არს, ანუ რა საკვირველია რომ ასე უნდა იყოს. გულსა გლმობია — გულში კეთილ-მზრუნველობით გიფიქრიათ¹ ანუ კეთილ-მოწილებით შეგბრალეზიათ გულით.

4 შენაფლობი — ესე შენაფლობი ლექსი იწარმოვების ფლობი დამ, ესე იგი უფლები დამ. შენაფლობი — უფლებასა ქვეშე შეყვანილებასა ნიშნავს.

39/39

მაჯამა არის ესე:

1 ღვთისა დანაბადი — დაბადებული ღვთისა. არგათნეე — მიფერებითა და მლიქვნელობით არ მოგახსენებ.

2 კჳლადია — კჳლა — სხვას ჟამსაცა. კჳლა-დია — კჳლადაც, სხვა ჟამსაცა. დიახ — დიახ. დია — დამტკიცებითი თქმა არის. მართლად ესრეთ არს. დია დიოსს დანიშნავს.

3 სწორედ — ჭეშმარიტად. განაცხადი — გამოცხადებული, გამოჩინებული. [10r].

4 ძუ — დედალი. ხვადი — მამალი. ესე ლომთა და ესე ვითართა მკეცთა სიმამლესა და სიდედლეს ნიშნავს.

40/40

1 სპასალარი — სპარსული ლექსი დამ არის ქართულში შემოტანილი. სპარსულად სიფა-სალარ არის ესე, იგი რთული

¹ გიფიქრიათ

ლექსი არის — სი ფ ა ნიშნავს მკედრობასა. სა ლ ა რ თათრული ლექსი არის, ძველთა თათართა მთავართა სა ლ ა რ ს უწოდებდნენ. ს ი ფ ა-ს ა ლ ა რ მკედართ-მთავარი. ა მ ი რ ი — ბატონი ანუ მთავარი, არაბული ლექსია და თათრული. თათრებში და არაბებში ცილობა არის, ამ ლექსზე. არაბნი ამბობენ: არაბული არისო, და თათრები ამბობენ თათრულიაო. ს პ ა ს პ ე ტ ი ქართულად ეწოდება, ხოლო სპარსულად ს ი ფ ა ბ უ დ და ს ი ფ ა-ს ი ფ ა თ ეწოდება. ს ი ფ ა — მკედრობას ნიშნავს. ს ი ფ ა დ ნამუსად ანუ ამბიციად გამოითარგმანება. ს ი ფ ა-ს ი ფ ა თ — მკედრობათა ხატი ანუ სახე სახელოვნებისა.

2 ს ა რ ო — კვიპაროზი, რომლისათვისცა ტანადობა მშვენიერი-სა მელექსეთა შეუმსგავსებიათ. ნ ა ზ ა რ დ ი — აღზრდილი.

3 ჯერ უწვერული სადარო, ბროლ მინად საცნობარისა — უ წ ვ ე რ უ ლ ი სა დ ა რ ო — შესადარებელი. ბ რ ო ლ მ ი ნ ა დ სა ც ნ ო ბ ა რ ი, ესე იგი პირითა ანუ პირისახითა ბროლებრ და მინისაებრ ელვარე და თეთრი სჩნდეს. სა დ ა რ ო — ჯერეთ ახალ ჭაბუკობისა ასაკსა შინა მყოფი.

4 მას თინათინის შვენება, ჰკლევდის წამწამთა ჯარისა — ავ-თანდილის გულსა თინათინის წამწამთა ჯარისა (ანუ ნწყობრისა) ისარნი განგმერვიდეს.

41/41

2 ვარდი შექნის ფერ ნაკლულად¹. — ვარდსა ლაწვთა ესე იგი-ლოყათა უწოდებს.

2 ს ო ქ ა ლ ი — საზოგადო სახელი არის ყოველთა სპე[10v]კალ-თა, ესე იგი თვალთა პატიოსანთა. ხოლო რიფმასა შინა ამა სოქალი-სასა ქალიცა გამოდის.

3 ბ რ ო ლ-ფ ი ქ ა ლ ი — ფიქალი არს, ფიცარი ქვისა ანუ ბრო-ლისა. ბროლ-ფიქალს მელექსენი მშვენიერის მკერდსა სახელ-სდებენ.

44/44

2 ჯ ა რ ი — მრავალი ერი ერთად შეკრებილი ანუ მკედრობა. ხ ა ს ი — ესე ლექსი არაბული არს. ესე ნიშნავს რჩეულთა, გინა გამორჩეულთა, რომელნიცა სამეფოთა პალატთა შინა გამორჩეულ არიან და თანამდებობათა შინა არიან განწესებულნი, გინა რომელ-თაცა აქვსთ ნება კადნიერად შესვლისა და გამოსვლისა სამეფოთა პა-ლატთა შინა ღირსებისაებრ ჩინებულებათა და პატივთა მათთასა. ხ ა-

¹ ნაკლულად

ს ი დარბაისელნი, გინა დარბაზის ერნი, ესე იგი ჩინებულნი და დიდებულნი. მეფისა კარისანი.

3 მ ო ა ხ ლ ე — მახლობელისანი. დასთა დასი — სხვათა დასთა, ანუ კრებულთა ზედა უადრესი. ს ა ჯ დ ო მ ი — დასასხდომელი, ტახტი სამეფო და ესე ვითარნი.

45/45

4 ც ნ ო ბ ა ზ ე მ ხ ი ლ ვ ე ლ ი, უაღმატებულესი. ცნობა ანუ მგრძნობელობა, მაღალ-მხედველობა, დიდ-გონიერება. ესენი ერთსა და მასვე აზრსა ნიშნენ.

46/46

3 ბ უ კ ი — საყვირი დიდი. (ბ უ კ ი ქართული ლექსია). სამშუსიკველო საკრავი, ტკბილ-ხმოვანი, წ ი ნ წ ი ლ ი გუსლი არის და წ ი ნ წ ი ლ ა მე ეგრე ვგონებ, რომ ჩონგურივით საკრავი იყოს.

4 ყ ო რ ნ ის ბ ო ლ ო ფ რ თ ა — ზილფთა და კავთა სახენი არიან აღმოსავლელთა მელექსეთა მეტაფორიითა. ტირილში ოდეს თავს სძვრიდეს, კავნი და ზილფნი რა ეკეცებოდეს, რეცა ყორნისა ბოლო ფრთისა ძრვათა ემსგავსების და თმისა სიშავე აზიასა შინა ფრიად ქებული არს და ყორანსა ფრიად ფერი სიშავისა მოსაწონი აქუს [11r]. ანისთვის მისი ფრთები კავებისათვის შეუმსგავსებიათ.

47/47

2 ბ ა ლ ი ვ ა რ დ ის ა ც რ ე მ ლ ი თ ა აღივსებოდა — მშენიერს წითელს დაწვებზე ცრემლი გარდამოსდიოდა.

3 ი თ ა გ ს ე ბ ო ლ ა — მოთავსება ის არის, რომ ორნი ვინჲ ერთ საქმეზედ თანა ხმა შეიქმნენ. მამის ბრძანება ძესა მართებს აღსრულებად. ი თ ა გ ს ე ბ ო ლ ა თავს დებასა ნიშნავს. მ ო თ ა გ ს ე ბ ა მორიგებასაც ნიშნავს.

4 ა რ დაშვესებოდა — არ დამიშრტებოდა, არ გამიქრებოდა.

48/48

3 მ ა რ თ — მართლ, მ ა რ თ, შენდა მომართ, შენზედა. მ ა რ თ — მართე, განმართე.

49/49

3 უ ხ ვ ი ა ხ ს ნ ი ლ ს ა დააბამს — ამას ნიშნავს, რომელნიც მორჩილებისაგან მეფისა ახსნილნი არიან, ესე იგი, უღლისაგან მეფისა განსრულნი, მათ სიუხვე და მოწყალება მეფისა მორჩილებაში მოიყვანს. იგი თვითების ვინების — ვინც სიძუნწით შეპყრობილი იქმნება, ის თავის თავს თვითონ დააბამს და შეკრავს სიძვირით და გამსულმქრება.

ლობით და განუსჯელობით თავსა თვისსა სირცხვილსა და ვნებას მო-
ატყვებს.

50/50

1 ხე სულნელი და სწორედ მშვენიერად აღზე-ზრდილი. ა ლ ვ ა ს
სამოთხის ხედ სახელ სდებენ, რომლისა ყვავილნი და ნაყოფნი ფრი-
ად მშვენიერ სურნელნი არიან.

51/51

4 თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა — თინა-
თინ მზისა ნათელსა, სარკისა მიერ ანუ ესე ვითართა განწმედულთა
ნივთთა გარდამოცემულსა კედელსა ზედან ანუ, რასაცა ზედან მას
ეწოდება და უკეთუ შუქი იგი უელვარო მზისა სარკისა მიერ გარდა-
მოცემული თვალთა კაცისათა თვალს ძნელად გაუმართავს მას კაცი
და მი[11v]თომ თინათინის მშვენიერებაც ისეთი იყო, რომ კაცის თვა-
ლი ძნელად გაუმართევდა მას თვალსა. მზესა სწუნობდა — მე ესე
ვგონებ, ყოველნი მშვენიერნი ქალნი პირს არიდებენ მზესა, რომ პი-
რის სახედ მზე არ მოეკიდოს და პირის კანი არ ასწვას. ამისთვის
თინათინ მზის დამაწუნებელად უთქვამს მელექსესა. მზე თინათი-
ნობდა — მ ა გ რ ა მ მ ზ ე თ ი ნ ა თ ი ნ ო ბ დ ა — ამას ნიშნავს, რო-
მელ მრავალნი ტრფიალნი და მიჯნურნი მშვენიერთა კეკლუცთან სი-
შორისა ჟამსა საყვარელისა თვისისასა შეხედვენ რა მზესა, იტყვიან
„აი ჩვენი საყვარელიო“. ამა მიზეზისა გამო თქმულ არს, რომელ მზე
თინათინობდა. კვალად ესრეთცა განიმარტების, რომელ თინათინ
ოდეს აღიყვანა მამამან თვისმან ტახტსა სამეფოსა, მაშინ ყოვლითა
სიუხვითა თინათინ მოჰყენდა კეთილ ნაწლეობითა თვისითა ერთა
თვისთა ზედა ურიცხვსა წყალობასა, ვითარცა მზე აღსრული ხარისხსა
ზედა თვისსა მოჰყენს ნათელსა კეთილის მოქმედებისასა ქვეყანასა
სასარგებლოდ და აღსაორძინებელად ყოველთა კეთილ-ნაყოფიერება-
თა. ამისთვის რუსთაველი თინათინის კეთილ-მოქმედებასა და მზისა-
სა შეასწორებს და ჰყოფს მათ მბაძველად ურთიერთისა.

52/52

2 ს ა ჭ უ რ ჭ ლ ე — ხაზინა ანუ განძი, გინა საუნჯე. დ ა ნ ა -
ბ ე ჭ დ უ ლ ე ვ ი — დაბეჭდულნი ბეჭდითა სამეფოთა.

3 ნ ა უ ფ ლ ი ს - წ უ ლ ე ვ ი — უფლის-წული ნიშნავს სამეფოს
ტახტის მემკვიდრეს, მეფის შვილსა. ნ ა უ ფ ლ ი ს - წ უ ლ ე ვ ი — მემ-
კვიდრეთა საუნჯე.

4 უ ლ ე ვ ი — დაუღვენელი, მოუკლებელი, რამდენსაც რომ ხარჯ-
ვიდე, არ აკლდებოდეს, არამედ ემატებოდეს მარადის. [12r].

2 ამილახორი ქართულია. ამირახური არის თათრული. ესე ნიშნავს ბაგათა მთავარსა, რომლისა წოდებისა ძლით ცხენთა მოურნეთა და მოხელეთა უხუცესსა დანიშნავს. ამირ-ლახვარი სხვა მოხელე არის. ამირ-ლახვარი რთული ლექსია. ამირ არაბული არის და ნიშნავს მთავარსა. ხოლო ლახვარი ქართულად საჭურველი არის. ამირ-ლახვარი ნიშნავს მთავარსა საჭურველთასა, რომელიცა თვის ეყვის მკედართმთავარსა. ხოლო საუბარსა შინა და ზრახვასა ამილახვარი ნიშნავს მასვე ამირ-ლახვარსა. აქ ვეფხის-ტყაოსანში მეჯინიბეთ უხუცესსა და მეჯოგეთ-უხუცესსა ნიშნავს ამირ-ახური.

სხოლო: შეისწავეთ, რამეთუ რომელნიმე რთულნი ლექსნი ქართულნი არიან შემდგარნი სხვათა და სხვათა ენათა ლესთაგან, ვითარცა იხილავ ზემორე ამას ლექსსა. ამირ-ახურ — ამირ არაბული ლექსია, ახურ სპარსულია — ბაგა არის, ამირ მთავარი.

56/55

1 ალაფობდეს — სტყვენვიდეს, იკლებდეს. ნათურქალი ნატყვენვი.

2 ტაიჭი ქართული არის, ბედაური ცხენი. ნასუქალი — გასუქებული.

3 ნაბუქალი — ბუქი ქარისაგან შევროვებული თოვლი მრავლად.

57/56

1 ხილობა — ხილს ნიშნავს.

3 დაღრეჯილობა — მოწყენა რომ პირის სახეზე გამოეხატება.

58/57

2 ჩაუჩი — ცქვიტი და შემქლე მსწრაფლისა სიარულისა. სხეულითაც მსუბუქი, ქართულია. ქართული ლექსები სპარსულში ბევრი არის მიღებული.

59/58

2 ყოლე — ყოვლად.

3 შეგვეცილა — ცილის მოგონებასავით. საღალღობო სახუმარი სიტყვა.

გაგვაწბილა — გაწბილება, სიტყვა რომ გაუმტყუნოს და სირცხვილი მიაყენოს. [12v].

60/59

1 კ ე ნ ა რ ი — კეთილად სახილველი და საშვენიისა სიკეთითა სრული, ახოვნება გუამისა მისისა სრულისა სწორზომიერებასა შინა. მყოფი და სახითა განშვენებული. ქართული ლექსია.

2 ჭ ი ქ ა — სტაქანი.

61/60

2 ს ა ჭ უ რ ჭ ლ ე — ქართული ლექსი არის. ს ა ლ ა რ ო, განძი და ყოველნივე რაგვა არიან იარაღნი, ღარნი, საჭურჭლნი და სახაზინაო ნივთნი.

62/61

3 უ ი მ ე დ ნ ა — დაჰპირდა.

4 ს ი ძ უ ნ წ ე — სიძუნტე, ძვირისა და გამოუმეტებელის კაცის თვისება არის.

63/62

2 დ ა ვ ლ ი ე — დავასრულე.

66/65

2 ფ ა რ მ ა ნ ი — ბრძანება (პოველენიე ანუ უკაზი). ფ ა რ მ ა ნ ი სპარსული ლექსი არის. არაბულად რ ა ყ ა მ ი არის, ქართულად ბრძანება სიტყვითა გინა წიგნითა.

68/67

3 მ ო ა ს პ ა რ ე ზ ო ბ ა — თიატრო ანუ თიატროვნება. ცხენთა სარბიელსა ზედა წურთა. ა ს პ ი რ ო ს ანუ ა ს პ ა რ ი ზ სპარსულად მოედანსა გინა თიატრონსა ეწოდების. ა ს პ ი რ ო ზ ვარსკულავიც არის ერთი შვიდთა მთიებთაგანი, ესე იგი მერკური.

70/69

2 კ ა რ გ ა ზ მ ი დ ე ს — ზ მ ა ზ ო მ ი დ ა მ არის გამოსული. ეს ლექსი ნიშნავს სწორის საზომით საუბარსა და სიტყვისა ძუჯასა.

3 დ ა ა ს კ ვ ნ ი დ ე ს — განაჩინებდეს, დაასკვნეს, დაამტკიცეს.

72/71

1 მ ო ი ა რ ე ნ ი თ — მოვლეთ.

2 დ ა ც ე ვ ი თ — დასცევით. ა რ ე ნ ი თ — ატარენით.

3 ს ა მ ზ ო დ — მზადებად და მზერად ორადვე გულის-ხმა იყოფების ეს ლექსი. სადაროთაც მზიან დღედ ითქმის. ქართულია. ს ა მ ზ ო დ — ასამზადებლად (აქ ვეფხის-ტყაოსანში ამას ნიშნავს).

73/72

1 ნ ა ზ ა რ დ ი ს ო ს ა ნ ი — ნაზარდის-ოსანი. თვისისა გამსდელისაგან ნაკურთხი, ნ ა ზ ა რ დ ი ს ამას ნიშნავს, ვისგანაც გაზდილი იქ-

მნება. ოსანი — ნაკურთხი. ანუ მეფემან ერთსა ვისაჲ ზედა თვისსა გაზდილსა ყმა[13r]სა მიიღოს თვისი კურთხევა, ანუ დალოცოს. ნა-
ზარდი ოსანი: კვალად ნაზარდი სოსანი ყვავილია, ერთი გვა-
რი სოსანსა უწოდებენ, დიახ კარგი ფერისა, საცა რომ ყანა მოვა პუ-
რისა, იმ ადგილს მრავალი იცის, მაგრამ რუსთაველი იმ აზრზე იტ-
ყვის ნაზარდი სოსანი ყვავილი დილას ადრე იწლება. მაღალი ყვავი-
ლია, მცირეს კესავით ღერო აქვს სწორეთ ასული.

2 ძოწეული — წითელი ანუ ბროწეულის ყვავილის ფერი.

3 ბირ-ოქრო — ერთი პირი შალსა დავარაყებული რომ ჰქონ-
დეს. რიდე — შალი თავსახვევი. გინა ფოში, ესე იგი ჩალმა, ქალნი
თავზე მოიხვევენ. ხოლო კაცნი ქუდზედ. ქარქაშოსანი — მშვილდ-
ისარ-შემორტყმული.

4 ტაიჭი — ცხენი ბედაური.

74/73

1 შეეკაზმა — მოირთო საცხენოს იარაღით.

2 ალყად გარე შემოჰკვრიდეს, მგრგვლივ გარე შემოზღუდვიდეს.

2 ზეიმი — ზეიმი სპარსულად, ანუ ზიმზიმა არს სამღე-
რელნი, ანუ საგალობელნი შეწყობილნი სამხიარულოს ხმაზე. ზეიმი
არის რიგზედ სამხიარულო სიმღერა მაღალს ხმაზე, ხოლო ზიმზი-
მა ნელიადრე ტკბილის ხმით მღერა. ზეიმი მუღლთა, ესე იგი რო-
მელსაცა ქართულად მიუყრთა ეუწოდებთ, მათსა გალობასა ეწო-
დება, ტკბილ-ხმაობით შეწყობილსა. მუღნი ძველთა სპარსთა მოგ-
ვთა მღვდელთა ეწოდებოდათ. ზიმ სპარსულად ნელის ქარის ხმასაც
ეწოდება, რომელიც ნელიად ფანჯარათა და ესე ვითართა ადგილთა
განვლილი რეცა საკრავისა ხმასა გამოსცემს და ზიმ წყაროს წანწ-
ქარსაცა ეწოდება.

4 ნაძლევი — სანაძლევის ნიშნავს.

75/75

2 კანჯარი — გარეული ვირის მსგავსი ნადირი სპარ[13v]სუ-
ლად გურახარსა უწოდენ. ქურციკი, ჯერანი. ქურციკი ქართულია,
ჯეირან სპარსულია. ქართველები ჯერანს უწოდენ.

3 პატრონ-ყმანი გაუხდეს — მეფემან რომელი იყო პატრონი და
ავთანდილ, რომელი იყო ყმა მისი შეუტიეს ნადირთა.

77/76

1 ცხენთა მათთა ნატერფალი, მზესა შუქსა წაუხშიდეს — ტერ-
ფი — ფეხის გული, ცხენის ჰენებისაგან მტვერი ესრეთ აღადგებოდა,
რომ მზეს დააბნელებდა. წაუხშიდეს — წაართმევდეს ამას ნიშ-
ნავს.

2 მ ი ხ ო ც დ ე ს — სღვედეს და ეგრე ხოცდეს. მ ი ე ს რ ო დ ე ს — ცხენით მღვენელნი ნადირთა ისარს ესროდეს.

4 წ ა ლ მ ა — წინარე.

78/77

სტიხი ესე მაჯამა არის. მაჯამა ამას ნიშნავს, რომ ოთხ ტაეებს ლექსში ოთხივე რიფმა ერთის ლექსით იყოს და მნიშვნელობა მას თერთოს სხვა და სხვა ჰქონდეს.

1 ჯოჯი წინა შემოისხეს — წინ გამოირეკეს და ამასაც ნიშნავს, მონადირენი, რომ ნადირთა შეიპყრობენ, ჩვეულება არის ცხენზე უნაგირს წინ შემოისხმენ და ისე წამოიყვანენ.

2 ცათა რისხვა შეარისხეს — რისხვა ცისა მოაწიეს მათზედ.

3 ნადირთაგან სისხლი იცხეს — ძველად მონადირენი ნადირს რომ მოჰკლავდენ, კრძალსა სისხლიანს მკლავზედ გაიწმენდნენ.

4 ჰგავს აღვავა, ეღემის ხეს — ე ღ ე მ ი სამოთხე არის. ეღემის აღვის ხესა ჰგავსო — ამას ნიშნავს.

79/78

1 იგი მინდორი დალიეს, მართ მათგან განარბენია — და ლ ი ე ს დაასრულეს, გა ნ ა რ ბ ე ნ ი — ცხენის ჰენებით განვლილი.

3 შე ე ს წ რ ნ ე ს — ტყეში შეცვივდნენ მოსარჩომად.

4 იგი მაშვრალნი ორნივე მოსწყდეს რაზომცა მწენნია — დაიღალნენ და დაშვრნენ. [14r].

80/79

4 ჩვენ თქვენგან არ გვეთნებოდეს — თნებით და ტყუილის პირმოთნეობით ნუ იტყვიით, სწორე სთქვიით, ნუ მოგვეფერებითო.

81/80

1 ნუ გემცდარებით—შეტომილნი ნუ გეგონებით, ანუ შემცთარნი ამ მოხსენებაშიო.

2 ყო ლ ე — ყოვლად, ანუ ყოველსავე ვერ ვიტყვიითო, რომე შენ მაგას და რ ე ბ ი თ — შეგადართო — შეგათანასწოროთო.

3 ვერა ჰგავ—არა ჰგავზარ. ვერა წალმა წარებით. წ ა ლ მ ა. პირდაპირ, ანუ იქით. წ ა რ ე ბ ი თ წავლილსა, ანუ გავლილსა ნიშნავს. წ ა რ ე ბ ა რებიდამ არის წარმოებული. რ ე ბ ა სიარული არის.

4 წალმა წარებით — პირისპირ, ანუ პირდაპირ წარსრულნიდა.

82/81

3 შე ტ ყ ო რ ც ა — მარჯვეთ სროლა.

4 მიწათა დასვრილი — ნადირს რომ დასცთეს ისარი და მიწასა დაეცეს, მიწით გამტვერიანდება. და გ ვ ი ხ ო ც ი ა, დაგვიწმედია.

1 მღერა ნარდისა — ნარდის თამაშობა.

2 განაზარდი — გაზრდილი.

3 დარდისა — მწუხარებისა. დარდი სპარსული ლექსია. გულსა შინა მწუხარება, რომ ჰქონდეს რამე კაცსა, იმას ნიშნავს. დარი — მზიანი დღე ქართულად. დარი — შესადარი, იმისი სწორი.

1 საგრილად — გასაგრილებლად.

2 მოდენა — როგორათაც წყალი სდიოდეს, ესე გვარად მოუწყვეტლად ლაშქარი რომ მოდიოდეს.

2 შვიცხენი სადავითა — სადავითა — სადაცა ვითარ. სადავითა სადავე არის ცხენის აღვირზედ რომ ორისავე მხრით ბრტყელი თასმები ესხმის, რომლითაცა მკედარნი ხმარობენ ცხენთა.

3 ლაგამი — ცხენთა აღვირი. აღვირი ის არის, რომელ(14v)საც სპარსნი ახმარებენ ცხენთა. ხოლო ლაგამნი იგი არიან, რომელსაცა ახმარებენ ოსმალნი ცხენთა და ევროპიელნი ეგრეთვე. აბჯარი — იარაღი საბრძოლველი მხედართა.

2 ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა — ვარდი ღაწვნი არიან, რომელზედაც ცრემლნი დააჩნდებიან, დათრთვილვას მას უწოდებენ მოლექსენი, როგორათაც რომ თრთვილი ყვავილთა და ვარდთა დაზრავს, ეგრეთვე მშვენიერისა ღაწვთა ცრემლი.

1 მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის-ტყავისა — ყოველი კაცი, რომელიცა ბეწვიანს ტყავს ჩაიცოძს, თმას შიგნით უზამს, მაგრამ ტარიელს ვეფხის-ტყავი ისე ეცვა, რომ თმა გარეთა ჰქონდა, ამისთვის რადგან საყვარლის მომორებებისა მწუხარებითა მკეც-ქმნილიყო, სამოსელსა ზედაცა თვისსა თვისი მკეც ქმნა გამოეხატა და რადგან მკეცებში ვეფხი ძლიერი და მშვენიერად ჭრელი არის, იმისა ტყავი აღირჩივა და ვეფხს მიემსგავსა და სახელი ტარიელ ვეფხად გამოითარგმანება, როგორათაც ლეო ლომად.

2 სარქმელი თავისა — თავ-სახურავი, თავზე დასახურავიცა ვეფხის-ტყავისავე ჰქონდა.

3 კელთა ნაჭედი მათრახი, ძველთა მკედართა იარაღი იყო, რკინისა ხორკლებითა მოსილი. ამას ცხენს არ დაჰკრავდეს, არამედ ბრძოლაში იხმარებდეს თვისსა ადგილსა.

1 გ უ ლ-მ დ უ ღ ა რ ე — გულით მწუხარე რომ ტიროდეს ძლიერ, ის არის.

2 მოლიზღარისა — მო ლ ი ზ ღ ა რ ი — მოხუმარსა ეწოდება და მაშინ ტარიელ არათუ მხიარულებით ლაღობასა რასმე იტყოდა, უსაზომოსა მწუხარებასა და ტირილსა შინა იყო.

3 წვიმა ბროლისა ცრემლნი არიან. გ ი ა ბერძნულად და სპარსულად მრავალს სხვასა და სხვასა რასამე ნიშნავს. გ ი ა მთხრებლსაცა ნიშნავს, ანუ დაღარულს რასმე ადგილსა ბერძულადა და რეცა ცხვირთა და ლოყათა საშუალსა ადგილსა გიად იტყვის [15r] და ვითარცა ნიავეღვარი გააკეთებს მთხრებლსა, ამის სახედ რეცა ტარიელისა ცხვირისა და ლაწვთა საშუალი ცრემლისაგან მთხრებლსავით შექმნილ იყო და დაღარებულ იყო. გ ი შ რ ი ს ა ღ ა რ ი — წამწამნი თვალისანი არიან მოხრილნი ვითარცა, რომელნიმე ღარნი წყალის სადინელნი მოხრილ არიან.

ს ხ ო ლ ი ო: გ ი ა თუმცა ამა სტიხსა შინა მთხრებლსა ნიშნავს, მაგრამ ქართულად სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს: გ ი ა ქართულად ტ ვ ი ა არის. ტ ვ ი ა მალალთა გორათა და კლდოვანთა ადგილთა მოვა მგზავსი ნაძვის ხისა. მაგრამ დიდი ხე კ ი არ იქნება, მცირე ჯაგების ოღენი ხე არის, ზამთრივაც მწვანოვანი არის და ზაფხულითაც. გ ი ა სპარსულად ველსა ეწოდება, მწვანოვანსა მდელითა და ყვავილებითა სავსესა სურნელოვანსა. გ ი ა წოდება სპარსულადეც ბრწყინვალესა. გ ი ა კვალად ეწოდების დიდსა კელაწიფესა, კვალად ეწოდება გ ი ა ოთხტაეპოვანსა სტიხსა შეერთასა ელინურად, ესე იგი ბერძულად. გ ი ა — ველი და ვაკე ადგილი, გზა და მთხრებლი.

4 მ ო ს ც ა ლ დ ა — სცადოდა, არ მოსცალდა — არა სცალოდა, აღარა მოსცალდა, არ ეცალა საბასუხოდ. ჟამი არა ჰქონდა.

1 ნ ა უ ბ ა რ ი — თქმული, საუბარი — უბნობა, ლაპარაკი.

2 უ გ რ ძ ნ ო ბ ა რ ი — რომ ვერა გრძნობდეს და არ ესმოდეს, ვერა გაეგოს რა.

3 ამოსკვნოდა გული ცეცხლთა ნადებარი, გულის ამოსკვნა ქვითინით ტირილი არის, თან რომ ტირილს თავსა და გულს აყოლებდეს და კმასაცა აყოლებდეს, რომ კმა ისმოდეს მის ტირილისა და ვითა ცეცხლი ენთებოდა გული მისი [15v] და ცეცხლი რომ ენთოს და კმას გამოსცემდეს, იმას მიამსგავსებს ტარიელის გოდებას.

4 ნ ა გ უ ბ ა რ ი — დაგუბებული წყალი წვიმისა ანუ გუბე. მთხრებლს ანუ აღმოკვეთილსა რასამე ადგილსა ანუ მდაბალსა შინა ადგილსა შეგრობებული წყალი.

90/89

1 სხვაგან ქმნის მისი გონება, მისმან თავისა წონამან — ტარი-ელისა თავისა განსჯა, ანუ გონებისა მისსა მარადის ნესტან-დარეჯანისა ზრუნვისადმი მიიქცევოდა (ამას ნიშნავს ეს ზემორე თქმული). ზოგთაგან გამიგონია ვეფხის-ტყაოსანის წაკითხვაში: სხვაგან ქრის მისი გონება და ეს შეცთომა არის, ქრის არ უნდა, რადგანაც გონების ქროლა, საგიობელს სიტყვად გამოვა, რადგან გონების ქროლის თქმა გონების სიმსუბუქეს დანიშნავს.

93/92

1 ა ბ ჯ რ ის ა ჩ ხ ა რ ი ა — ჩ ხ ა რ ი — ჩხარანი. ა ბ ჯ ა რ ი, ესე იგი იარაღი, ანუ საჭურველი რომ ერთმანერთს მოხვდება და ხმას გამოი-ღებს, დაჩხარუნდება.

94/93

2 კ ა პ ა რ ჭ ი — მშვილდისარი. კ ა პ ა რ ჭ ი ქართული ლექსი არს, მშვილდ-ისარს თავისის ბუღით ეწოდება.

95/94

3 თავის კელ-აუპყრობელად — კელი აღარ გაამართვინა, რომ ებრძოლათ ტარიელისათვისა ისე ადვილად დახოცნა მისს შეპყრო-ბად მოსრულნი. კელი არ აღუპყრა, ესე იგი საწადელი მათი არა ის-მინა.

96/95

1 მონანიცა შეუძახნა — როდისაც როსტევანმა შეუძახა თავის მონათა. გ ა ა ფ ი ც ხ ნ ა, გაამამაცა, განამხნო შეძახებითა და ისრე მიუსივია. შეუძახნა მკვდრობანი ამასაც ნიშნავს — ლაშქარი მიუსივია.

2 არ უპყრიტნა — ყურება არ დაუწყყო, არცა ნახნა, არცა იხილ-ვა იგინი, არც შემოხედნა.

3 რ ა ზ ო მ ნ ი ც ა — რაოდენნიცა ყოველნი მკვდართა დაასახნა, მკვდრის სახედ გარდააქცივნა, ყოველნი მკვდართ მიაგზავნეს, ვინც მიესივნეს.

4 ი ვ ა გ ლ ა ხ ნ ა — გლოვა და ვაგლახობა შეექმნა.

97/96

2 უ კ ა დ რ ი — ძლიერებისა გამო შეუპოვარი მტერთა.

3 ტაიჭი მიუქს მერანსა — ტ ა ი ჭ ი ცხენი. მ ე რ ა ნ ი ცხენი. მერანს ცხე[16r]ნსა თოხარიკს ცხენსა უწოდებენ; თოხარიკად სიარუ-

ლი ცხენისა, ჩქარად და მოსვენებით სიარულსა ეწოდება. მე რ ა ნ ი ქართულად ხომ თოხარიკს ცხენსა ჰქვიან, მაგრამ თუ მე ჰ რ ა ნ ს იტყვი, სპარსული არის. მე ჰ რ ა ნ სპარსულად ნიშნავს მზესა. კვალად ნიშნავს სვლასა და მიმოქცევასა პლანეტასა და საწუთროსა ამის მოქცევა ჩარხსაცა ნიშნავს. მე ჰ რ ა ნ სამხრეთის მხარესაც ნიშნავს.

98/97

4 კვალსა მისგან წანარბენსა — მისგან გარბენილს კვალსა. ნ ა კ ვ ა ლ ე ვ ი კვალი.

99/98

1 ნ ა კ ვ ა ლ ე ვ ი — კვალ-ყოფილი.

2 წმინდად წარხდომა — რეცა სრულიად განქარვება და ანუ ეგრე მიფარება, როგორათაცა დევნი, ანუ ქაჯნი თვალთა წინაშე მიეფარებიან კაცთა.

4 ლხინთა ლევისა — ლხინთა დაასრულისა.

100/99

2 სიმწართა დანალვლება — მწუხარებით დანალვლიანება, როდესაც მწუხარება რამ მიეცემა კაცთა, ნალველსა მოემატება.

101/100

2 არცალა ჰკრა ასპარეზსა — ასპარეზსა, ესე იგი მოედანსა ზედა. ჩვეულება იყო, როდესაც ცხენით ვარჯიში ენებათ, მეფენი ბრძანებდენ და საყვირითა ნიშანსა მისცემდეს და შეიყრებოდეს მაშინ მოასპარეზენი, ესე იგი მოედანსა ზედა მოვარჯიშენი ანუ ცხენითა მოთამაშენი და ასპარეზობაში გაუწყვეტლად საკრავი სამხედრო იკვროდა განსამხნობელად მოვარჯიშეთა მკედართა.

ვამი ვამსა მოურთვიდა — მწუხარების თქმა. მწუხარების თქმასა შეუდგებოდა.

102/101

1 ს ე ვ და ჩუჭნებურად ქართულად კაეშანი არის, სოვდა სპარსული არის, ანუ იხოხონდრია. სოვდა ვაჭრობათაც გამოითარგმანება და სურვილსაცა ნიშნავს სპარსულად. [16v].

4 ჩ ა ღ ა ნ ა — სპარსული არის, ამას ქალღი ზეჩანგენი და მოთამაშენი და ეგრეთვე ვაყნი შუა თითთა და ცერთა ზედა კელთასა შემოიცმენ და ეგრეთ როკვენ და თამაშობენ. ესე ჩაღანა არს მსგავსი ჯ ი მ ჯ ი მ ი ს ა ესე იგი ჯ ი მ ჯ ი მ ა ი გი არს, რომელიცა დიდროვანსა თუფმებსავით არიან ქმნილნი გრგვალნი, ორსავე კელთა ზედა წამოიცმენ და ეგრეთ უკვრენ სბილენძისა, გინა ვეცხლისაგან იქმნე-

ბის ქმნილი. მისივე მსგავსი ჩაღანა ანუ ჩაღანაკი ანუ ჯიმჯიმაკი თითებზე წამოსაცმელი არს და მოთამაშენი თამაშობაში უკვრენ და ეგრეთ როკვენ. ჩანგი ჩვენებურათაც ჩანგს უწოდთ, ევროპიულად არფა ეწოდება, ჩვენის წერილის ენით ქარი ეწოდების ჩანგსა, სპარსნიცა ამას ჩანგს უწოდებენ, ჩვენთა ქვეყანათა კავკასიის მთასა შინა იციან აფხაზეთსა და ზოგიერთს ალაგებში უკვრენ. ოსებმაც იციან, ხესს მოჰკაკვენ, ზედ ძროხის წელთაგან ქმნილთა ლართა გააბმენ, ანუ სიმთა და ისე უკვრენ, ხოლო ქნარად დავითისა წოდებული, რომელიცა აქვნდათ ძველთა მეფეთა ქართველთა დავითიან-ბაგრატიონთა იგი იყო შემკული ფრიად მდიდრად და მეფენი მარადის მას ქნარსა სამეფოსა თვისთა ნიშანთა თანა დასდებდეს. ესრეთ იყო ქმნილი, ვითარცა აწ ევროპიელნი ხმარობენ არფასა და ალყანიცა მისნი ანუ სიმნი, რომელ არს სტრუნები რვალთა მიერ მოქსოვილთა აქვნდათ საკრავსა მას და ძველად საქართველოში დიახ უცხოოდ და ჩინებულად უკრევდნენ ქართულის კმებითა და ჩანგნი აქვნდათ შვენიერად და წესიერად ქმნილნი. [17r].

106/105

4 ს ა მ ი ზ ე ზ ო — მიზეზის მოცემა, შემთხვევა.

107/106

1 ეს მაჯამა არის. ნ ე ბ ა — წადილი.

2 მო ვ ა ნ ე ბ ა — სახლსა შინა მთვარის ნათელი, რომ მშვენიერად და ნათლად შემოდგეს, თინათინის პირის სინათლეზე იტყვის.

3 ნ ე ბ ა ნ ე ბ ა ს ა — ქელის ნებითა მამას თავის ქალის ქელი (ანუ ნები) ეჭირა, გვერთ უჯდა და ისე ჰკოცნიდა.

4 მ ო ყ ვ ა ნ ე ბ ა — მოყვანა მოწოდება.

108/107

2 ა მ ა ყ ო ბ ა — გულ-მალლობა.

109/108

1 ს ა ვ ა გ ლ ა ხ ო — საეაებელი, სამწუხარო.

3 მ უ ფ ა რ ა ხ ი ჩვენებურად ეწოდების. არაბულად მ უ ფ ა რ ა ყ არის, ესე ეწოდების ესე გვარსა მაჯუნსა, რომელიცა გულისწყლულებასა და სენსა გულისასა ჰკურნებს.

110/109

1 (მაჯამა) გ ა რ დ ვ ე კ ი დ ე — უცხო რასამე სანახავისა შემთხვეულებას ნიშნავს.

2 კ მ ე ლ თ ა კ ი დ ე — ქვეყნის კიდე ანუ დასასრული.

3 ვისთვის კიდე — ვისთვის უკვე.

4 წავეკიდე — წავეჩხუბე.

112/112

3 მინეტარნეს — ნეტარება მცეს, ანუ შვება მომცნეს ანუ მწემქებარეობა.

113/113

1 დანაყბედი — ყბედი მრავლისა ანუ უქმად მოლაპარაკე, მოულალავი მოლაპარაკე: დანაყბედება იმასაც ეწოდება, რომ თავის უფროსთან კაცმან სიტყვის თქმა ძლივ გაბედოს. ქართული ლექსია.

115/115

2 პატრიკი — უპატიურობასა და შეჭირვებასაც ნიშნავს.

116/116

4 მათსავე გულსა ზადია. ზადი ტკივილსავით ანუ წყლულებასავით. შინაგანი წუხილი. ზადი სიწამხდრესაც ნიშნავს მცირესა ანუ შერყვნილებასა [17v].

118/118

1 აღიდა — გაადიდა, გაამრავლა.

3 გარდმოჭრილი — სიმსწრაფლით მალლიდამ ძირს გარდამოჭრომილი.

4 არა მგამა ყოლამეო — არა მენადვლება რა ყოვლითურთ მეო.

119/119

1 მგოსანნი — საზანდრები. მუშაით — ძირსაც მოთამაშე და საბელზედაც. მგოსანნი კმითა სამუსიკოთა კეთილად მომღერალნი გაუნი და ქალნი სხვათა და სხვათა საკრავთა, გინა ორღანოთა ზედა. მგოსანნი ოპერაში მომღერალთა და მიმოსობათა, ესე იგი სათიატროსა წარმოდგინებისა მოქმედთა ეწოდების, რომელნიცა წარმოადგენენ ისტორიათა ანუ შემთხვეულებათა რომელთაზე სიმღერითა. თეატროსა შინა მსახიობნი და მისმოსნი. ორივე ქართული არის.

120/120

4 ზანგნი — შავნი ზღაპართა შორის თქმულნი დევთა სახეთა კაცთა ეწოდების და ძლიერთა, რომელთაგანნიცა მეჯადოენიცა იქმნებოდეს. ესენი სხვანი ნათესავნი იყუნეს და დევნი სხვანი მეფოლოლიისმებრ აზიურისა. ზანგნი დევთა სიდიდითა სწორნი და შავნი და ძლიერნი. ზანგნი აფრიკისა და ინდოეთისა რომელთამე შავთა სახელედების.

2 ვ ა მ ი — ვაება, ხმა შორისდებული მწუხარებისა.

136/137

(მაჯამა) ლექსი რიფმა ოთხ-ტაეპოვანისა ამის ლექსისა, რომელსაცა ოთხსავე ჰქონან ლექსი ესე შემდგომი:

1 ა ს ა დ ა გ ე ს — გაალიტონეს ანუ გაასადაგეს. ს ა დ ა გ ი ჩვენებურად ლიტონთა რაამეთა [18r] ეწოდების. ლ ი ტ ო ნ ი ქართული ლექსია. ს ა დ ა ე ს ე ი გ ი პ რო ს ტ ო სპარსულადაც ლიტონსა დანიშნავს. ს ა დ ა გ ი ჩვენისამებრ წოდებისა. ადგილი რაამ[ე] დასაწოტელი არის. ს ა დ ა — ინდაურად დიდებულად გამოითარგმანება. მაგალ., ინდოელნი იტყვიან: ს ა დ ა — ს ი ვ ე ს ე ი გ ი დიდებული სივ, რომელიცა არს შ ი ვ ე ნ ესე ი გ ი ერთი ღმერთთაგანი ინდოელთა.

2 ა ს ა დ ა გ ე ს — მეორეს ლექსის რიფმაში ნიშნავს ახზომად დააგეს, ანუ დააზავეს ურთიერთსა. ბროლნი და ბალახშნი არიან ღაწვნი და ბაგენი ურთიერთარს შეხვევა მათი არს მშვენიერთა სითეთრისა და სიწითლისა ურთიერთსა შორის შეთხზულება და შერეენილება და ეგრეთ მკრთოლვარება. გ ი შ ე რ ი ჯერისა გამო შექმნიერისა შავისა და მბზინვარისა ზილფკაეებად დაისახების ვითარცა უცხონი იხილვენ რა პირველად ურთიერთსა, რომელთაცა არასადა ეხილვოსთ ურთიერთი, ოდეს ცნობასავე თანა მეგობარ იქმნიან იგინი ურთიერთისა, მოიკითხიან, თაყვანისცემენ და დაევიან, ეგრეთ ბაგეთა, ღაწვთა, წარბ-წამწამთა და ზილფკაეთა მათთა ახლად ერთად შეყრილთა. დაგება ჰყუტს ურთიერთსა თანა. ს ა დ ა სპარსულად კვლად დღესასწაულსა მასცა ეწოდების, რომელსაცა სპარსნი ძუტელთა შინა დროთა დღესასწაულობდეს, ესე იყო დღესასწაული მღუდელთა მათთა, რომელთაცა ეწოდებოდათ მ უ ღ ნ ი. რომელ არიან მ უ ყ რ ნ ი იგინი დღესასწაულსა ამას აღასრულებდეს თთუტსა შინა ბაჰამანისასა, მეათესა რიცხესა სახელსა მას ზედა ოდეს იგი შევალს მზე თევზისა ბურჯსა შინ [18v].

3 ა ს ა დ ა გ ე ს — ა ს ა დ არაბულად ლომსა ჰქვიან. ხ ე ლ ი სიყვარულით აღტაცებულებას ნიშნავს. თავი—ხელი მჭურეტელთა შენთა გაილომეს ესე იგი განიძლიერეს. განმარტება ამისი ეს არის: ხელთა და გონება მცთართა მართებსთ, რომელ თავი თვისი წარიწყმიდონ, მაგრამ შენნი მჭვრეტელნი თავთა თვისთა განილომებენ და გონებათა თვისთა განიძლიერებენ სიამოვნითა ჰურეტისა შენისათა.

4 ა ს ა დ ა გ ე ს — სიყუარულისა ცეცხლისა შეხებამან გული ავთანდილისა ასწილ უმეტეს ცეცხლისა ალატკინა, დადაგა და შეს-

წვა. და და გვა ანუ და გვა ცეცხლის წვის მოქმედება არის, რომელსაც რომ კაცი გრძნობს და სტიკია. და და გვა მწუხარებისაგან ცეცხლებს გულის დაწვა და ნაწლევთა და სხვისა ლა სხვისა დამნიშვნელობისა მექონ არს ლექსი ესე. გარნა ვგონებ აქა განმარტებად კმა არიან ესენი.

137/138

2 ბროლსა სეტყვს — ხშირ-ხშირად ცრემლსა რომ ჰყრიდეს იმას ნიშნავს. ბროლსა ამისთვის ამსგავსებს ცრემლსა, რადგანაც ბროლი წმინდა არის და თვალთა ცრემლიცა მისთვის უმსგავსებია. აღმოსავლეთისა მეშაირეთა გვარი არის ესე გვარი მეტაფორის წერა. ვარდსა აზრობს ზემოთ არს განმარტებული.

3 ს ი მ ჭ ე ვ რ ე ქართულად მშუშნიერება არის. ს ი მ ჭ ე ვ რ ე ენისასა სიტკბოებასაც ნიშნავს.

140/141

1 ლ ა ზ ო დ ჩვენებურად ეწოდების, ეს აზოტსა [19r] ნიშნავს. ა ზ ო ტ არის მომამშობელი გასი, ესე იგი იმისთანა ჰაერი, რომელიც კაცსა სულსა უგუბებდეს და მოამშობდეს. საყვარლის მოშორება შემთობას მისცემს, მშვენიერისა ტრფიალსა. ლ ა ზ ო დ. ა ზ ო ტ ანუ ა ს ს ო ტ ესე ეწოდების საყვარულითა ხელსა, ანუ გონებისა მიხდასა საყვარულისა გამო, ანუ გონება რომ ეფანტებოდეს საყვარულით, იმას ანიშნავს. ლათინური და ფრანციცული არის ლაზოდ და ჰერძული ლექსი.

141/142

1 ე ჯ ი ბ ი — ძეშლად საქართველოს ზეფეთ მომხსენებელთაგანი მოხელე იყო, რომელიცა წინაშე მდგომელი მეფისა იქმნებოდა და რაღცა ვის მოსახსენებელი აქვდა, მას ეტყოდეს და წიგნით გამოუცხადებდეს და იგი მეფესა¹ აუწყებდა და მოახსენებდა, ეგრეთვე მეფისა ბრძანებათა ერთა გამოუცხადებდა. ე ჯ ი ბ ი აწცა იციან ჩვენს ქვეყანაში. ქორწილებში ეჯიბი სხვას მაყრებზედ უპირველესი არის და რომელიც ქორწილის მეფე იქმნება დაწყებიდამ ქორწილისა, მანამ ჯგარის წერა და ქორწილი სრულად არ გათავდება. ეს ეჯიბი, რომელსაც ქორწილს უზმენ, იმ მეფეს ახლავს გვერდით და მასთანვე გვერთ დაუჯდება, სხვანი მაყრები კი თავს უნდა ადგნენ და რაც მეფეს ნებავს, მას უბრძანებს ჩუმათ და იგი სხვათ გამოუცხადებს და, რასაც უბრძანებს, მას აღასრულებს. ჩვენს ზნეობაში დიდი სირცხვილი

¹ მეფისა.

არის თუ საქორწილო მეფემ ილაპარაკა, მანამ ქორწილი შესრულდება, ეჯიბის პირით უნდა ილაპარაკოს. ეგრეთვე ქალსა დედათაგანი ვინმე მლადი ეყოლება, მსგავსად მისსა როგორათაც მეფეს [19v] ეჯიბი. არც ერთს წამს არც ეჯიბი და არც მლადი მოსცილდებიან მეფესა და დედოფალსა ქორწილების შესრულებამდის. ეჯიბი სპარსულად მეფეთა მომხსენებელი იყო ძველად და ახლა კი აღარა ჰყავსთ, დავიწყებულა იმათში ეს სახელი.

147/148

2 ი ე ფ ო ს ა — ესე ვახტანგ მეფეს განუმარტებია — იაფად, ვითარმედ ძღვენი ძვირფასი სიმრავლითა ძღწნობისათა გააიაფესო. ესე სიადვილისათვის და ხალხის გაგონებისათვის ურიგო არ არის და ასეც განიმარტება, მაგრამ ი ე ფ ე სავსებასა ნიშნავს ებრაულად.

4 ღ ა ფ ი — დაირა ბაკრავი, დ ა ფ ი, დ ა ფ დ ა ფ ი. ს ა დ ა ფ ო საქმე, ესე იგი სამხიარულო საქმე დაფით გამოსაცხადებელი. ს ა დ ა ფ ო — დაფიონად ითქმის, ესე ნიშნავს საელვაროსა რასამე. ანუ დღესასწაულობითსა რაჲსამე სახესა.

156/157

1 დ ა ა ს ა ხ ე — დაამსგავსე, მიამსგავსე.

2 ხ გ ა შ ი ა დ ი — საიდუმლო.

3 მე ნუთუმცა შემოვბრუნდი ალვა ჩემი არ დაჭნახე — ა ღ ვ ა, ა ღ ვ ის ხე, რომელიც რომ მშვენიერთა ტანადთა სახე არის. ა რ დ ა ჭ ნ ა ხ ე — თუ რომ ჩემი ტანი არ დაჭკნა, ანუ ხე ესე იგი მორფნაკვეთობა ჩემი ანუ სახე.

4 მ ა მ ი გ ლ ო ვ ე — გლოვა მომიძღვენ და სიხარულით მოგებების მაგიერად.

160/162

4 უ ა ჭ რ ე ლ ა დ — უვაკრელად.

175/177

ამას ლექსა შინა დიონოსი ბრძენს რომ ახსენებს, ესე დიონოსი არის ალიკარნასელი (და არა არიოპაგელი), რომელიცა უწინარეს ქრეს მოსვლისა ოცდაათისა წლისა მიიწია რომედ და მუნ დაჰყო სწავლასა შინა ოცდაორი წელი და ისწავლნა ენა ლათინური და იქმნა ბრძენ და ფილოსოფოსი და შეწევნითა რომაელთა [20r] ბრძენთა და ფილოსოფოსთასა, რამეთუ მეგობარ ექმნეს მას და ზრახვიდა მათ თანა მრავალქამ დიონოსი და ქმნნა ამან მრავალნი წიგნნი და რო-

მელნიმე აწ დაკარგულ არიან წიგნთა მისთაგანნი და მცირედნი კვალად ჰვიან. ლათინთა და სხვათა ენათა ზედა. ქართულსა ენასა ზედა ძველად ყოფილა დიონოსის წიგნები, ათი სხვადასხვა წიგნი.

ლექსი ესე არს მაჯამად ქმნილი, რომლისა რიფმანი არიან შემდგომნი ესე და განიმარტებიან ესრეთ ეზროს:

1 ეზროს — აზრზე თანხმობა (ესე იგი დიონოსიოს ბრძენი თანახმა არს ამ ლექსის აზრისაო) ეზროს — ეაზროს.

2 ეზროს — სიცივისაგან დაზრვას იტყვიან.

3 ეზროს — ესე ზროდ განიმარტების, რომ არს გუბამი კაცისა და პირი, ანუ ესეთი ტანი კაცისა, რომელსაც კეთილი სახილველობა ჰქონდეს. აქა იტყვის: ვის ბალახში არა გვანდეს და ლერწამი ტანად ეზროს — ესე იგი ღაწვთა და ბაგეთა ფერი დაეკარგოს და ტანისა ზრო, ესე იგი მშვენიერი ტანი ლელწამს დამსგვავსებოდეს. ეზროს ქართულია.

4 იაბეზროს — აბეზარ იქმნეს. აბეზარი — გამდგარი ანუ დიდად საქმე გაჭირვებული და ანუ კეთილმდგომარეობისაგან გარეგანსრული (ქართული ლექსია) ანუ მოუთმენელთა მწუხარებათაგან და დაუვლევნელთა წყენათაგან ფრიად შეურკვებულნი.

176/178

1 ოთხ-ახმით გარდაიარა — რა წარვიდა ავთანდილ ოთხ-ახმით, ესე იგი ცხენის ჭენებით გარდავლო და განვლნო იგი ადგილნი.

2 არე-იარა — ზაფხული იზაფხულა ამას ნიშნავს. სხვათ [20v] მზღვართა არე იარა: სხვათა საზღვარსა და სხვისა ქვეყანისა აერსა შინა იარა, თუმცა კაცნი მიწასა ზედა დავდივართ, მაგრამ სხვათა და სხვათა ქვეყანასა, გინა სხვათა და სხვათა აერთა შინა ვალთ, რომელთამე ცხელთა, რომელთამე ცივთა და რომელთამე შეზავებულთა შინა აერთა ანუ კლიმატთა.

3 გაუზიარა — განუყო, გაუნახევრა, თვისთანა მოწილე ჰყო.

4 ვღვრი არა — არღა დაღვრი, არღა ვღვრი.

177/179

კულად ლექსიცა ესე მაჯამა არს, რომლისა კიდურნი განიმარტებიან ესრეთ:

1 დანასა — ამაში გამოდის ნასი. ნასი არს საბრხე, საუბედურო, ვერა კეთილი, დაჩაგრვა, დაკლება, განსაცდელოვანი რამეჲ, თუალი რომ ეცეს. ნასი იგიც არის. დანასა — დაჩაგრა, დააჰკნო.

2 დანასა — დანა არის ქართულად მოდილოცა და მცირე მანვილიცა საკვეთლად ჯორცთა, გამოსაჭრელად კალმისა, მოსაკვეთლად

ფრჩხილთა და სხვათა საჭიროებათა ზედა სახმარად. დ ა ნ ა თვის-
თა სახელთა შორის საზოგადო სახელი არის და უფროსი დანათა შო-
რის და უმცროსნი გინა სახესა ქვეშენი მისნი — დ ა ნ ა კ ი, ლ ი ნ-
წ კ ი, ც ი ლ ვ ი, ს ა ს ხ ლ ე ვ ი და ჯ ი ყ უ ა. ქართული ლექსნი არიან
ესე ყოველნივე.

3 ა ნ ა ს ა ანუ ასს-რიცხუზღდ ჰყო, ანუ გაასწილა, გაასრიცხვე-
და ჰირნი ჩემნიო. ო თ ხ მ ო ც და ა თ ა ა ნ ა ს ა — ოთხმეოცდა-
ათ ჰყო, ანუ ას რიცხვედად ჰყო. ჩ ა ნ გ ი — ზემორე განიმარტა [21r]
ქნარი არს. ბ ა რ ბ ა თ ი — მ უ ლ ი და ნ ე ი არს დიდი სალამური
ბანის ხმითა იკვრის, სპარსეთსა შინაცა იციან ესე და საქართველო-
შიაც იცოდნენ.

4 დ ა ნ ა ს ა, და ნ ა ს ა — ნ ა ს ა ესე უკვე არს ერთი სალამუ-
რის მსგავსი საკრავი, ანუ ფლეიტი. ნ ა ს ა წმიდის კმით ტკბილად
საკრავი სალამურის მსგავსი.

180/182

2 არ დაურჩა, არ იარა — ესე ნიშნავს არა არს ადგილი ანუ არ
არის ქვეყანა დარჩომილი, რომ არ მოიარა; წინა უკმოთ სტიხში ლექ-
სის რიფმის გაწყობისათვის არის დაწერილი.

4 ამას შიგან წელიწადი სამი საქმვედ მიიყარა. მი ი ყ ა რ ა —
მიიწურა, მიეახლოვა წელიწადის დასასრულსა, რომ სამი თვედა
დარჩა.

181/183

1 მ ქ ი ს ი — უსწორ-მოსწორი, უწრფელო ხორკლიერი.

189/191

3 გ ი კ ი თ ხ ო ს — გამოწვლილვით გამოძიება ჰყოს შენტანა.

191/193

2 შე ე ლ რ ე ნ ი თ — შე ე ლ რ ე ნ ა — უალს ალავს შამბნარსა
და ლერწმოვანში შესვლასა და მას უფელეს ადგილში სიარულას
კმასა ეწოდების; შენყლრევაც ესე ვითარი ლექსი არის, ქართულია.

3 ს ი ა მ ა ყ ე — გულ-მალლობა.

4 ს ა ყ ე ნ ი — ვახტანგ მეფეს ახალს მოსულს ულვაშის ბალნე-
ბად განუმარტებია. ს ა ყ ე ნ ი — დასადგომელი.

194/196

3 მ ე კ ო ბ რ ე ნ ი — მოდავლავენი, თ უ ლ ე ბ ი ავაზაკნი. მე-
კობრე ქართულია.

197/199

4 ხ ა ტ ა ე თ ი — ჩინეთის ქვეყანა.

199/201

3 სიტყუანი ვაეაქილენით — სიტყუანი ვამაგიერეთ, ესე იგი ერთმანერთს უპასუხეთ.

202/204

1 კ უ შ ტ ი — მრისხანის სახის მყოფი.

2 მ ე რ ა ნ ი — კარგი მოსიარულე ცხენი (მერანი ვრცლად ზემოთ განგვიმარტებებს).

203/205

2 ც ა დ ე ნ ი თ — გამოვსცადოთ. ზ ე ც ა ს ა - ე ნ ი თ (ასეც ითქმის). ც ა დ ე ნ ი თ — აცადეთ, აცადენით ანუ დააცადენით.

3 შ ე ვ ე ც ა დ ე ნ ი თ — ვეცადენით. [21v].

204/206

1 ქ ე ნ ე ბ ი თ — მოქენებოთ. ერთს რომ მეორესთან საჭიროება რამ ჰქონდეს, მოქენობა ის არის, თხოვაც არის.

3 ო ა ლ ე თ — ვითარცა ალი ცეცხლისა, ეგრეთ შეეკმენით.

205/207

1 ნ ა ტ ი ფ ი — ქართულად ეწოდება სუფთად აგებულსა, რასაცა საზომსა შინაცა მშვენიერად მოყვანილსა რასამე ეწოდების. ნ ა თ ი ფ — არაბულად წმიდა ან წმიდად-შობილსა სახელ-ედების. როდისაც, რომ უეცარი რამ შეხვდება კაცსა და უეცრად გაწითლდება, იმასაც სინატიფე ეწოდების.

2 ყ ი ფ ი ანუ მ ყ ი ფ ი — საკუთარი ქართული არის, ამპარტავანსა ეწოდების. გ ა ა მ ყ ი ფ ნ ა, მეტად ითაკილა, ყ ი ფ თ ი არავის ეგონოს. ყ ი ფ ი — ყ ი ფ თ ი ერთი გვარი ნათესაობანი არიან, ხოლო ყ ი ფ ი ქართული არს ამპარტავანი.

206/208

1 დ ა ვ ე ზ ი დ ე ნ ი თ — უფროსი ძმა რომ იწვედა მისასვლელათ, შუათანამ და უმცროსმა არ მიუშვეს და უმფროსი მივიდა. მოზიდვა ქართულია.

2 კ ი დ ე ნ ი თ — კვალად ენითაც უთხრა დადეგო, არა თუ მხოლოდ კელის მოკიდება აკმარა.

4 კიდენით ვნახეთ ოღონდაც სისხლის მრავლად დენითა — კი მარცვალი ნიშნავს დამტკიცებითს ესე იგი დიახ.

ამაყი წა — ა მ ა ყ ი — გულმაღალი. წ ა — უშორესად წასვლის მარცვალი არის განშორებისა. რა წა[22r]ვიდაზედ დაერთვის წა, მაგალ., წავიდა. წ ა უშორეს წასვლას გამოგვიხატავს. ქართულია.

212/214

2 ხეზი — წვრილი თოკი, ანუ შეგრეხილი იონღარი. ანუ ქაფი, რომელსაც ჯერეთ გაუწვრთნელს ქორს და მიმინოს მოაბმენ. წვრთნაში რომელი ჯერეთ დაუჩვეველნი იქმნებიან, რომ არ გაუფრინდესთ და არ დაკარგონ. ხეზი ქართული სახელია.

213/215

2 შმაგი — დიდის მოსურნეობით და მოწადინებით აჩქარებული ანუ სურვილსა შინა და წადილსა განფიცება (კმეჭნის უწყებად რამეთუ სიშმაგესა შინა სიჩქარე, განფიცებად ითქმის, ხოლო რისხვასა შინა განფიცება სიფიცხლედ). ქართულია

214/216

1 რეტი — გაბრუებული, დარეტიანებული. ქართულია. რეტი ცნობა მიხდილსავეთ. თავის ტვინის ორღანოთ შეშინებისაგან რეტობა წარმოდგება. რეტობა თავის² სისუსტე, რომ სმენაც სწორედ ვერ ეცნოს და მიგებაც არეული ჰქონდეს.

3 ქლეთა — სრვა ქართულია.

216/218

4 მოსალამე — სალამი არაბულად მშვიდობასა ჰქვიან, მოსალამე, სალამის მიმცემი არის ქართულად, ხოლო ქვიშიერსა ალაგსა რა წყალი დაესხას, შეიქმნების ლამი. ლამი სველს სილას ჰქვიან ჩვენებურად და ამ ერთს ლექსში ორი გვარი თქმაობა იწარმოვების და აზრი იგივე არს. მოსალამე — მშვიდობის სიტყვით მომკითხველი მოყვისსა, ოდეს თავი დაუკრას მას ჟამს. სალამე — ამაში ლამი გამოდის.

219/221

2 ჯუბა — არაბულად შესამოსელი, ზემო ჯუბა, ქართულად ზევიდამ ჩასაცმელი მოკლე და სახლებ მოკლე სპარსულად ჯუბაჩა ეწოდების.

221/223

4 ქცევა ზმასა — ზმა ყოფა, გინა ქმნა. ქცევა — ყოფა-ქცევა, მართებულად მოქცევა.

222/224

3 აბჯარი სამხედრო იარაღი, საჭურველი კაცთა საბრძოლველი [22v].

¹ თავსს.

1 ე ჯ დ ა — ითხოვდა. მეტსა თურე არს, ე ჯ დ ა. მეტი არა რა სურდა. ა ჯ ა — თხოვას ნიშნავს.

4 ბროლ-ბაკმული — პირ-ვარდ ბროლვილი, ანუ პირ-ვარდ ბროლ მობაკმული. ბ ა კ მ ი — მომგრგვალეზული. ბ ა კ მ ა ესეთსა სიმრგრგვლესა ეწოდების, რომელიცა სიმრგუელე, პირსა კაცისასა შეუცავს. ბ ა კ ი — ზოზლუდვილი ხეებითა და ხარხებითა. ბ ა კ ი, ეზო რომელსა შინაცა გლენი ზროხათა და საქონელთა დააყენებენ (მაგრამ აქ იმ ბაკს არ იტყვის პიიტკოსი). რუსთაველი მობაკმულს. ანუ ბროლ-ბაკმულს მთოვარეს რომ გრკალი მოეველება გრგვლად ირისეს ფრად, იმას უწოდებს, ოდესმე თეთრს ფერად მოეველება მთოვარეს ბაკი. ეგრეთვე მშვენიერნი ქალნი პირს მშვენიერსა ოდესმე ფლორთა მოიხვევენ მგრგვლივ პირის სახისა, ამისთვის მთვარის ბაკისა მოვლებას მიემსგავსება.

4 ზახილსა მუნ ერთსახესა — თვით ეზოს განმარტება, ერთსახეობას ნიშნავს, ამისთვის რასაც შესძახებ კლდესა, თუ ადგილთა ეზოსა გამომცემთა, მასვე უცვალებელად ხმაგცემსვე.

4 თითთ ხვეწნა — თითის მოკაეება არის და მორჩილებას ნიშნავს. ამაზედ მეტი თავის დამდაბლება არლარა იქმნების.

1 ს უ ლ ე — სული დაიდევ, ანუ დადუმდი, კივილისაგან დასცებრ.

2 და ისი იანი (ძოლანელი ანუ წინანდელი) და ის — მწუხრის დასაბამი, საღამოს პირველს ჟამს ნიშნავს. გა ის, დილის დასაბამი. და ის ი ი ა ნ ი — ვ ა რ დ ნ ი. ვარდთა ლაწვთა და ბაგეთა ადარებს. ესე იგი ამსგავსებს, ხოლო იათა — ახალთა აშლილთა უღვაშთა.

3 ბ ა კ მ ი ა ნ ი — მომგრგვალეზულად მოზღუდვილი, ბაკით მთოვარისებრ. პირ განვილი მთვარე ითქმის ბაკმიანად [23r].

1 ს ა რ ჩ ე ლ ი — მოსამართლესთან ჩივილი, ბჭობა, საჩივრის გასინჯვა. განსჯა, განბრჭო, გაასამართლა.

2 შ მ ა გ ი — აქ გიჟათ ითქმის, ანუ გონება მცდარად.

3 მ ნ უ კ ა ვ, ნ უ კ ვ ა, ვ ე ნ უ კ ვ ი — ვენუკვი — ვიმედოვნებ მე. ანუ ვისგანმე. ვემოქნები ვისმე, ვსასოებ ვიზედმე, იმელი მაქვს ვისგანმე.

233/235

1 მენ უკავ, მნ უკავ, მენ უკვი — ერთი და იგივე არიან. მენ უკვი — მე მოქენვეე ვიდრემე. ანუ სასოება გაქვდეს ჩემზე. ნუ მენ უკვი ანუ ნუ მენუკვ, სასოება და იმედი ჩემზე ნუ გექმნება.

3 ვერასა — ვერარასა, ანუ ვერცა ასსა.

4 ვაგლახი მრავლად სულთქმა ახი და მწუხარება დაუცხრო-შელი.

234/236

2 ოდიღან — რომლის ჟამიდგანაც, რომლის დროდგან ანუ იმ ჟამიდგან.

236/238

1 ზენარი — უზენაესი და საფიცარი ანუ უზესთაესის არსია ფიცი.

239/241

4 უსტარი — წიგნი მოკითხვისა გინა საქმეთა ზედა მინა-წერნი რაჲცა. ბეღთი — უბრალო რამ და შეურაცხი და ცული. მდარესაც ეწოდების, უხმარი, გამოუყენებელი არღარა სახმარი.

241/243

4 ქალსა უთხრა გაგარისხე, აწ არ ვიცი ვით დავრჩევა — დავ. რჩევა: არღარა ვუწყი, დაო, რჩევა რომელ ვითარღა უნდა შეგრიგდე. დავრჩევა — დავ, რჩევა — განმარტება ერთი ეს არის ამისი და მეორე ვაი ვითღა დავრჩე, რადგან ასე განგარისხეო, ანუ ვითღა დავრჩეო. ვაჲ ვითღა დავრჩე მყოფობაში ანუ არსებაში როგორღა ვიყო.

249/251

1 შიგო ვხატე — გამოსატვა ორსახედ განიყოფების ში[23v]-ნაგანად და გარეგან. შინაგანი გამოსატვა იგი არს, რომელიცა სამარადისოდ და წარუწყმედელად გონებასა შინა თვისსა აქვს დამარხულად. ამისთვის მესტიხე შინაგანსაცა გულსა თანა ახსენებს და მეორე გამოსატვა გარეგანი ქარტათა, გინა გამონაკვეთთა რაჲმესა, გინა მეტალთა ზედა და სხვათა სახესა, რომელთაცა ვიხილავთ რა გამოვიხატავთ და მერმე არღარა გვახსოვს¹. კვალად შიგო — გამოითარგმანების რაჲსაცა რასმე საქმესა და ნერგს შინაგან გულსა შინა თვისსა კაცი. კვალად მასვე სტიხსა შინა ორას ორმოცდა მეცხრესა.

¹ გვახსოს

2 ვაალქატე — ალქატი ღარიბს ნიშნავს. ლხინი ჩემი ვაალქატე — ესე იგი გავალარიბე. ღარიბი, ყარიბ უცხოსაცა .ეწოდების და ტურფას რასამე ნივთსაცა, რომელიც საიშვიათო იყოს, ესე იგი ანტიკი. ალქატი ორსახედ გამოითარგმანების — ალქატი პირველად ღარიბსა ჰქვიან, რომელ არს უცხო, ესე იგი უცხოს ქვეყნით სტუმარი მოსრული ანა გარდმოვარდნილი ხოლო მეორე ალქატი — ესე არს ქალი მოქერაო და მოოქროს ფეროვნედ თმათა მექონი და პირისა ფერსა მისსა აქვს უცხოოდ რამედ ალქატად შესახედობა, რომელიც განსხვავებული იქმნების სხვათა საზოგადოთა მშვენიერთაგან სილამაზითა, ვითარცა საიშვიათო რამე ანუ ანტიკი და ესე საიშვიათოდ ათასში ერთი ძლივს იბოვების და ფრიად შვენიერნი და მოხდენილნი იქმნებიან ქალნი ალქატი. ალქატი ღარიბად ანუ საიშვიათოდ საბოვნელი. ლხინი ჩემი ვაალქატე კვალად ამასაც ნიშნავს, ალქატი თვისის ფერიდამ, გინა საქმიდამ სხვა ფერ გარდასხვავებასა, ესე იგი ჩვეულებ[24r]რივის საქმიდამ სხვას შემთხვეულებაში გარდასვლასაც ნიშნავს.

3 ანუ მააზატე — აზატი თავისუფალი არის.

255/257

4 გორლა — ბალახისა, გინა თივისა თოკი დიახ სუსტი.

256/258

1 ნაუბარი — თქმული, ნალაპარაკევი.

257/259

3 რაზომცა დაგეოვნება — რაოდენი ჟამი, ანუ დრო დაგიგვიანდება.

259/261

2 მაჯანა — ჩვენებურად ინსტრუმენტსა ჰქვიან ტყავების საკეთებელსა. მაჯანა არაბულად მოულოდებელი, გინა უეცარი რამ საქმე არის, მაგრამ აქა ვეფხის-ტყაოსანში მაჯანა ტყავის საკეთებელი იარაღი არის, ანუ შემთხვეულება რამ მოულოდებელი.

262/264

3 მეუნებლე — ნების უარის მყოფელი, მისის ნების ურჩი.

263/265

3 შესამალი — მიმსწრაფლებელი, შერთვად მიმდინარე, ვითარცა ნიაგვარნი მდინარეთანი მსწრაფლიად მიმდინარენი შეერთიან. შესამალითა — თუ ამ ლექსსა, რომელიცა მესამეს ტაეპის ბოლოს არის, მეოთხე ტაეპს გარდავაბამთ, მაშინ შესამალი დასამალავს ადგილს დანიშნავს.

264/266

1 ამარტის ფერად — ქარვის ფერად — ქარუბა სპარსული ლექსი არის იანტარს ეწოდება და ქართულად ამარტი ეწოდება. ქარვახუთოს რომელიც ქარვა მოთეთრო ყვითელი არის და ეგრეთვე ყვითელსაცა იგივე სახელი სძეს. ამარტის ფერად შესცვალა ესე იგი ბროლის მსგავსი თეთრი პირი ცრემლმან და მწუხარებამ ქარვის ფერად შესცვალა.

265/267

1 სარკმელია ფანჯარა. საკანი ეწოდება ქუჭში იატაკთა ბნელსა საპურობილესა. ნააზატები — განთავისუფლებული.

2 ნატი — დიდებულთა სასხდომნი ბალიში. ნატსა ქუჭში საგებელს ტყავისასაც უწოდებენ. [24v]. ნატი დასაჯდომი სელის ბალიში, ესე იგი კრესლოს ბალიში.

3 მონამატები — მომატებული.

4 სატები — საჩრდილობლები.

266/268

1 მან ქალმან კელ-ჰყო კუჭსითა, შვება ცეცხლისა ნელისა — შვება — გამოშვება. შვება უნდა: როგორათაც მთიდამ, ანუ მიწი-დამ წყაროს გამოადინებს კაცი, ეგრეთვე ქვიდამ და რკინიდამ ცეცხლს გამოუშვებს, — პირველი დაკვესება ნელი ცეცხლისა იქმნება და ფიზიკოსნიცა ილექტროულისა ძალისათვის ესე გვარადვე იტყვიან, ვითარძედ პირველად არს ძალი იგი ილექტროული სხვა გარეშე ცეცხლისა და ოდეს შეხებაჲ დრესისა შეემთხვევის მას უმჭირვესი, მაშინ მუნით იწარმოების ცეცხლიერებაჲ.

2 შეუქნელი — მოუხარშავად ითქმის აქა.

3 ახლიჩა — ჯორცი ააგლიჯა ანუ აგლიჯა.

4 უცოხნელი — დაუღეჭავი.

268/270

4 დაეფანჩვა — მერეკი და მერეკნი მონადირენი იგო არიან, რომელნიცა ნადირსა მოირეკენ ტყით. დაფანჩვა — ტყეში მოდებას, ანუ ტყეში დაფანჩულად რომ შევლენ ნადირის საძებნელად მას სახელედების და როდისაც რომ დაიფანჩვიან, ტანისამოსს შეიკეტენ, ესე იგი ზემო მუხლთა სარტყლადმდე აიკეტენ ტანის სამოსსა, რომელ ჯაგანართა და ეკალთა არ დახიონ ტანსაცმელნი.

269/271

1 სევდა არს კაეშანი (ზემორე განიმარტა 102 წილე).

1 ვიჯ დია — აჯა ვედრებად გამოითარგმანების: გვედრებ დია — გვედრები მრავლად. გვედრებ გულსმოდგინებით.

4 ზომი — საზომი. თავი ზომსა გარდგინდია — საზომს გარდასრულხარ, საზომსე გარღაკიყვანია შენი თავი; მოთმინების საზღვრიდამ გასულხარ.

275/277

1 მენუკვი — გსურის: რას მენუკვი — რაა გსურის, [25r] ჩემგან გამოელი რასმეაა, ანუ რას გამოელი ჩემგან.

278/280

3 მოსავანებლად — დასასადგურებლად, სავანესა მოყვანებად.

279/281

2 ქუჭბარად — ქუჭვით, ბარს ადგილს მთოვარე აღმოსრული მაღალის გორიდან რომ გამოჩნდეს აღმოსრული და ქვემორე მინდორს გარდამოჰფინოს ნათელი თვისი.

3 ხედარად — არად გამოდგეს ხეცა, ხედ არაფერს სახმარებაში ალვის ხეა, რომელიცა ხეებში პირველობს, იგიცა უხმარ იქმნეს.

4 შვილთა მნათობთა დარად — ესე იგი სწორად და მათებრ მნათობელად იტყვის ტარიელს და ავთანდილს.

280/282

4 ქარვად შექმნეს იაგუნდი — მწუხარებით ლალის მსგავსნი ლაწვნი გაიქარვისფერეს.

281/283

1 კელი შეუაყრა კელითა — მოკითხვის სახით კელი კელს მისცეს.

282/284

1 ტარიელის¹ ვარდი იყო დათრთვილული არ დაზრული — ტარიელის წითელი ლაწვნი ცრემლით იყვნეს დათრთვილული, მაგრამ ჯერეთ დაზრულნი, ესე იგი დამკნარნი კი არ იყვნეს, ამისთვის რომ ყრმა¹ კაცი იყო ტარიელ.

283/285

2 ვის თავი გინაზებია — დაგიმშვიდებია ლომებრი გული და თავი დაგიმდაბლებია. ნაზი, დიას დამშვიდებული, მშვენიერი და სუფთა წყნარის ზნეობისა და ქცევისა.

¹ ტარიელსი

2 კ ა ფ ი — ძლიერი საშინელი და ზარის სახელესა კმასა ნიშნავს, ქართულად ასე გამოითარგმანება. კ ა ფ ი არაბულად მდუმარიელ გამოითარგმანება, ამისთვის არა ჰგავს კ ა ფ ი. რომელიც ვეფხის-ტყაოსანში არის შემოტანილი, რომ სსკის ენის ლექსი იყოს. კ ა ფ ი კვალად ჩვენებურად განიმარტების მკვეთრად, მწრაფლიად სიმკნითა და ზახილით კტტებებაა. სრულიად სისხლისა კიდენით — სისხლისა დენით, ოღონდაც მრავლისა სისხლისა დენით ეღწა სრულიად შეღებენით. კ ი დამამტკიცებელი კნა არის, ესე იგი დ ი ა ხ.

4 გ ა შ ე თ ე ბ ა — განცვიფრებით რომ ცნობა მი[25v]ღებულს დაემსგავსება. გაშმაგება რომ არეულსავით შეიქმნეს ნდომითა ვითარითმე და ნდომითა რაჟსამე ნიეთისა.

2 რ უ კ ა — ჩვენებური არის, ბრძანების წერილი. რ უ ყ ა არაბულად ეწოდების, ბრძანების წერილიცა არის და მინაწერს რასმე წიგნათაც ითარგმანების.

4 ე თ ე რ ი — უზენაესი სხვათა ყოველთა სტიხიოთა უწმინდესი და უნათლესი.

2 გ ა ე მ კ ვ ა ხ ა — სიტყვა რამ რეგენული ეთქვა და მკვახე. მკვახე სიტყვა, უმეცრული სიტყვა არს უზრდელობით თქმული.

1 დ ა ფ ა ხ ვ ა, დაწამწამება — მსწრაფლიად დახუჭვა და დახამხამება თვალისა.

3 მათ თურქთა მიღმა გარემო მე არას არ შეწამება — მიღმა, ესე იგი იქით მხარეს, შორს რომ ვიხილე იგი თურქნიო. მე არა განმეგო, ესე იგი მე არა განვიზრახვედიო, რომ მათ მტერობა შევწამო ან ვაწყინო რამეო.

4 ავად შექნოდა მორევნა და ჩემი დათამამება — ავად მოუხდათო და ავად დაშვენდათო, რომ გამითამამდნენ, ესე იგი გამიკადნიერდნო და ჩემი მორევა და შეპყრობა მოინდომესო. ვა შ ა დ — სასიამოვნო ხმა არის შორისდებული. ვა შ ა, ვა შ ა, შ ა ბ ა შ, შ ა ბ ა შ — შაბაშ სპარსული არის, ვაშა ქართული. ვაშა ვაშა — მოსაწონებელი ხმა.

1 მ ა ჯ ა მ ა (კილური); და ბ ი ნ დ ა — ბინდ ჰყო.

3 მინამინდა, მინა. ჩვენებურად ბროლსა რასამე უსრულსა, რომელსა შუშასაც უწოდენ მას [26r] ეწოდების, ხოლო სპარსულად მინა მინიატურსა ეწოდების, რომელსა ჩვენ მინანქარს უწოდებთ.

299/303

მაჯამასა ამას შინა რიფმანი ესრეთ გულისხმა იყოფებიან.

1 დაყმუნდა, დაბრკოლდებოდა. (კიდური) დავალებული — რადგანაც ტარიელის საქებნელად წამოვიდა ავთანდილ და რადგანაც სრულის გულით და სიყვარულით შეემსჭიქალა, ტარიელის მეგობრობას და სიყვარულს და ესრეთი ღმობიერება აჩვენა, ესე დიდს ვალად დაედვა ტარიელს. ამისთვის იწვის და იღმობს ავთანდილისათვის და სურს კმაყოფილება მისცეს ავთანდილსა.

2 ხლებული — ამას განმარტება აღარ ესაჭიროება. ხლება — უმცროსის მისვლა უფროსთან. ხლება — მიახლოება. ხლება — უმცროსისა უფროსის სამარადისოს სამსახურში დაწესება.

3 არს ლები ესე ლებული. ლებე, ანუ ლები — ეულად გამოითარგმანება, ესე იგი, უპატრონოდ, უცხოდ და პატრონისაგან მოშორებულად. ლებული. მიმოკრწმებული, ესე ლებე გინა ლები ებრაული ლექსი არის, ხოლო დალებება — დაქეჟა და დაღურჯება არის ცემით ანუ დაკვრითა სხეულსა ზედა კაცისასა. ეს ქართული არის.

4 ცრემლითა დავალებული — პირველად ამას ნიშნავს დავალება, რომელ ავთანდილს ცრემლითა დაავალა ტარიელის ამბის შეტყობისათვის თინათინმან, მეორედ დავალებული ამას ნიშნავს, ვალს შეჰკრული დავა — ქართულად ვალს ამას ნიშნავს, იარება, დადის ლებული, შეკრული ვალს, ანუ ლებული. ლები ესე ლექსი კვალადცა მრავალგვარად გამოითარგმანების.

მაჯამა ესე ესრეთ ითარგმანების კიდურნი.

300/304

1 დანაბადია — დაბადებული არს [26v].

2 დანაბა — ფრიად ბოროტ-შემთხუჭულების სახმილმან სიყვარულით (ესე იგი მწუხარების ცეცხლმან) ასრე დაჩაგრა, რომელსა როგორათაც მფრინველნი დაიმაღვიან და დაინაბებიან, ეგრეთ დაამდაბლა გული მისი. მფრინველნი რომ შეშინდებიან ქორთაგან, გინა ესე ვითართა სასტიკთა მფრინველთაგან, ბალახთა და ჯაგთა შეძვრებიან და მუნ იმაღვიან.

3 მიდგს ბადე დანაბადია — მფრინველს რომ ბადეს დაუგებენ დასაჭერად, მარცვლებს ჩაუყრიან. დანა მარცვლებს ჰქვიან თეს-

ლუულთასა. ბ ა დ ი ა თავს დასაფარებელი არის ორმოსი. ბ ა დ ი ა — თავს დასაფარებელს ფრინვლის შესაპყრობსა ბადესაც ჰქვიან. დ ა ნ ა მახვილათაც განიმარტება. დ ა ნ ა ერთპირი კანჯალი არის და კალმის საჭრელი დანაც და კილის საჭრელი დანაცა. მარცვალს პურისას ან ფეტვისას, ანუ სხვათა დანა ეწოდების. დ ა ნ ა რომელიც მარცვლებს ნიშნავს, არაბული ლექსია, ხოლო დანა ქართულად მახვილსა, ანუ მახვილაკსა უწოდებენ.

4 დ ა ნ ა ბ ა დ ი ა — ნაბადი ქქჭშ გასაშლელი ანუ წამოსასხა-მი, ჩალა ქვეშ გასაშლელი ანუ ჰილობი.

301/305

1 მაგრამ ღმერთმან მოწყალემან მით ცნობითა ერთი მზითა — ცნობასა ღვთისასა ერთ მზედ სახელსდებს, ესე იგი ცნობასა შინა ღვთისასა სამარადისოდ უცვალეზლობა არის, რომ წართქმა და უკუ-თქმა არ შემოვა.

2 ორი მისი მოწყალეა დღესცა მომცა ამა გზითა¹.

3 პირველ შეპყრის მოყვარულთა ჩემით რითმე მიზეზითა — ესე იგი არს, ამას მე ღვთის მოწყალეზად მივიღებო, [27r], რომ ჩემის მი-ზეზით ავთანდილ და თინათინ შეიყრებიანო საუკუნოდ განუყრე-ლად ერთად საცხოვრებელად და ცოლქმრობის სიყვარულითა დას-ტკბებიანო.

4 კვლავ ნუ თუმცა სრულად დამწვა, ცეცხლთა ცხელთა ანაგ-ზითა — მეორედ ესე იმედი მაქვს ღვთისაგან, რომელეს სიყვარულის ცეცხლი, რომელიც ჩემში ანაგზითა ესე იგი აღზებული არისო, მით არ დამწვამს სრულიადო და მეც ნუგემს მომცემსო. ა ნ ა გ ზ ი თ ა — აგზებულითა, ანთებულითა.

302/306

1 ძმა ანუ თუ დაცა იდოს — ანუ ძმად მიიღოს ვინმე კაცმან ანუ დაღ.

2 კ ა მ ს — ჯერ არს.

3 ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს — როდესაც კაცი თავსა თვისსა სრულიად გამოიმეტებს სიყვარულისა-თვის და მოყვისსა თვისისა გამოხსნისათვის ჰიროსა განსაცდელისა და სიკვდილისაგან იგი თუმცა თვისსა კორცსა წარსწყმედს, მაგრამ სულსა კი ღმერთი აცხოვნებს კეთილისა მოქმედებისა მისისათვის და გაჭირვებულის მოხმარებისათვის და თუ თავის თავს არ გამოიმეტებს კაცი მოყვისსათვის, მაშინ ვითარღა პალ უცს შეწვენად მისსა.

¹ ამ ტაბის შემდეგ ცარიელი ადგილი დატოვებულია, მაგრამ განმარ-ტება აღარაა დაწერილი.

ასე არის საღმრთო წერილში ბრძანებული „მეგობარმან მეგობრისა თვისისათვის დასდვის თავი თვისი“.

4 რალა გინდა წამეკილოს — წამეკილოს ნიშნავს, რაც უნდა შემემთხვიოს. რაც უნდა დაემართოს.

303/307

1 მოჯე — მახლობელ ჩემსა მოვედ და გვერთ დამიჯექ.

2 მ ა ბ კ უ რ ე ბ დ ი — წყალს კელითა მასხურებდი, ანუ წყალს კელით წვრილად მასხემდი. გ ა რ დ ა მ ბ ა ნ ე — გული ზევი[27v]დამ სრულებით დამბანე. გ ა რ დ ა მ ბ ა ნ ე — სრულად დამბანე ზემოთი პირიგულისა ესე იგი მკერდი.

3 სულთქმა გაათანისთანე — სულთქმა მწუხარებისა ზედისზედ დართე და ოხრვა განამრავლე.

4 მიწა მიაკვანე — ესე იგი როგორათაც ყმაწვილს ჩააწვენენ აკვანში, მის მსგავსად მე მიწაში ჩამაწვინეო.

304/308

1 ლილნი გაიხსნა და მხარნი თვისნი გამოიჩინა ძველის ჩვეულების გლოვისამებრ.

2 შუქნი არ ადარნა — შუქნი არ გამოაბრწყინვა.

3 დიდ ხანს ვერ გაახვნა — დიდ ხანს ვერ ალალო პირი თვისი სიტყვის თქმად.

4 სულთქნა — სულთქმა აღმოუტევა.

306/310

3 ხელმქმნა — სიყვარულით ცნობა ვნებულმყო.

307/311

4 რაზმი — მწყობრსა მხედრობათასა ეწოდება ქართულად, ხოლო სპარსულად ომსაცა ნიშნავს და ბრძოლასა.

308/312

1 მზარაკი — შემადრწუნებელი ზარის დამცემი.

2 დაუფარაკი — არა მოშიშარი და არა მომრიდებელი მტერთა ბრძოლისა.

4 გაუწვარაკი — მარადის მხიარულებაში მყოფი რომ მწუხარება და სიმწუხარე არა მიეღოსრა.

309/313

1 ხალვა — საიდუმლოდ და მარტოებით ყოფნა ანუ განსაკუთრებით ყოფნა, თავის წინ ყოფა, ანუ საკუთრად რაოდენისამე სანდოს კაცებით ყოფნა მეფეთა და დიდებულთა. კ ა ე შ ა ნ ი ქ ა რ - თული ლექსია სევდას ეწოდება. ჯ ა რ ე ბ ი — მრავალთა ერთა ჯარი ეწოდება.

3 წამილია მტერთაგან — წანირთმევია მტერთათვის და ჩემთვის წამომილია. ნაპირთა არები — ნაპირის [28r] ადგილები, ნაპირის სამზღვრები.

3 მორკმით ვზი — მორკმული ფრიად გარდამატებულის სიმდიდრით რომ იქმნება აღვსებული, მას ნიშნავს. მაქვს ზეიმი და ზარები — ზეიმი ეს ქართული არის, დაღაღება სიხარულისა კიათა. და უკეთუ ამა ლექსა დავსწერთ, ესრეთ ზ ი ე მ ი — გამომჩვენეირებისა და დიდსა რასამე მზადებასა ნიშნავს, ხოლო უკეთუ დაიწერების ესრეთ ზ ი მ ი ესე სპარსული ლექსი არის, წყაროს წანწყარსა და ნელსა ქარისა სასიამოვნოსა კმასა ნიშნავს და უკეთუ ლექსი ესე დაიწერების ესრეთ ზ ა მ ზ ა მ ა. მაშინ ძველთა სპარსთა მუყრთა (ესე იგი მღვდელთა ცეცხლის მსახურთა) გალობასა ეწოდების სპარსულად. ზ ი მ ი წმინდისა და ტკბილის კმით სიმღერასა ეწოდების. ზარი — განსაცვიფრებელი კმა და შეზაძრწუნებელი. ზ ა რ ი საზარელისაგან, ესე იგი შესაძრწუნებელისა ანუ განსაკვირვოვასა საქმისაგან მიუღიეს მნიშვნელობა ლექსსა ამას. ზ ა რ ი კვალად მიმწოდებელს კმასაც ეწოდების და საყვირსაც და ეკლესიათა ღართა. ზ ა რ ი შესაძრწუნებელი კმა. ზ ა რ ი — მებატონეთა შიში და კრძალვა რომ ჰქონდეს ერთა. ზ ა რ ი — სასტიკისა საშიშროებისა რაჲსამე შიში ძლიერი.

312/316

1 ა მ ი ლ ბ ა რ ი ქართულის წოდებისამებრ არს. ა მ ი რ ბ ა რ ი მკედრობათა ყოველთა მთავარი ანუ ფელდმარშალი. ა მ ი რ ბ ა რ რ — მთავარი კმელისა. ა მ ი რ ბ ა ჰ რ (რომელსაც ჰ ა ქვს მომატებული) მთავარი ზღვისა ესრეთ გამოითარგმანების. არაბული ლექსი არის. ა მ ი რ ს ბ ა ს ა ლ ა რ ი მთავარი, მკედართ-მთავარი, ანუ ღენერალ-ალისიმუსი.

315/319

3 ქ ც ე ვ ა ქ ნ ა — ზნეობათა კეთილთა სწავლად და აღსრულებად ქნა, ქ მ ნ ა აღსრულება. [28v].

4 ნ ა კ უ თ ი — სწორ-ზომიერი ნაკუჭთობა. ნ ა ქ ვ თ ი ეს ლექსი ასეც იწერება.

316/320

1 ც ი ლ ი — არა ჰეშმარიტი, ტყუილად მოგონებული. ცილის-წამება, ტყუილის მოგონების დამტკიცება.

3 ს ი რ ი — ჩიტი ჰივჭავი.

4 არა გაოდის — არა ენაღვლებოდა რა, არად მიაჩნდა, არა უმძიმდა, არად რაცხდა.

1 საშობელი გაიყარა — მშობარეობა ანუ ძეობა გათავდა.

2 შუქთა ნასამალი — ნასამალი მესამედათაც ითქმის ნასამალი, ერთი რომ სამათ შეადგინო, იმასაც ნიშნავს. ნ ა ს ა მ ა ლ ი — მესამელი. ს ა მ ი — სიცხისა მწველობა. ნ ა ს ა მ ა ლ ი — შარაწანდელი მზისა ბროლის რომ მიადგეს და იქილამ შუქი გარდამოსცეს.

4 დ ა უ და გ ა ვ ს — დაუწვავს.

1 მ ი ე წ უ რ ა — მიეახლა.

2 ა ე ტ ი რ ა — ტირილი მოუვიდა. მისმან ცეცხლმან გულსამურა. მისმან მწუხარებისა ცეცხლმან ავთანდილის გულისა მიმართცა მიაწივა და როგორათაც ცეცხლის ალი გამურავს, რომელსაც ადგილს ხვდება იმისი მწვერვალი, ეგრეთ ავთანდილისაცა გული მურიტა მწუხარებისათა მოიცვა. გ უ ლ ს - ა ე უ რ ა. ამურის ისრით მოწყლა გული მისი.

3 მ ო ა ა კ უ რ ა — წყალი ასხურა — მგრგველი წყალი ასხურა.

4 სიკვიდლისა დღე დასტურა — დასტურა ნიშნავს, რომ ვსტყვით, ესე იგი სწორედ. უეჭველად, დამტკიცებით, აუცილებელად, ნამდვილად, ნამდვილ ესრეთ.

1 ნესტან-დარეჯან — ნ ე ი ს თ ა ნ - დ ა რ - ჯ ა ნ. ნ ე ი ნ ლერწამი. ნ ე ი ს თ ა ნ — საუნჯე ლერწამთა. დ ა რ - ჯ ა ნ — სულსა შინა, ანუ სიცოცხლესა შინა — არაბულად ამას ნიშნავს ჯ ა ნ სიცოცხლე ანუ სული, და რ ესე სპარსული ლექსი არს, რომელიცა ნიშნავს შინა ანუ თანა-მისთა[29r]ნა. ტ ა ნ ანუ თ ა ნ. ტ ა ნ ი კაცისა, რომ დაჰყო მარცვლებად ნესტან-დარეჯან მრავალი სხვადასხვა სახელი გამოვა. დ ა რ ა ჯ ა ხარისხიც არის. დ ა რ ა ჯ ა მხმილავიც არის ესე იგი ყარაული.

3 არ შეფრობილი — არ შეჭირვებული. შ ე ფ რ ო ბ ი ლ ი — ფერ-შეცვალებული. შ ე ფ რ ო ბ ი ლ ი — უსწორო, ესე იგი სწორ უპოვარი, რომ არაჲინ არ შეედრებოდეს. წ დ ო ბ ი ლ ი — წრთობილი, ესე იგი სიმაგრით გამოცდილი, გინა უმაგრესი ყოველთა ქუთათაგან. წ რ თ ო ბ ა ცეცხლითა — გამოსურვება რკინათა და სხვათა მეტალთა, მაგრამ რკინასა წრთობა გაამაგრებს. წ თ ო ბ ა — წრთობა, გამოსურვება-გამოცდილება ყოველსავე შინა სიბრძნესა და გულისხმის ყოფასა.

2 ფ ა რ ი — თუმცა სამკურნალოს ქვასაცა ეწოდება, მაგრამ აქა კაის ნაკვეთად გათლილს ძვირფასსა ქვათა ნიშნავს.

3 პირისა ბახჩა — თუ ასე იქმნება მეტაფორით მხოლოდ ვისაც აქებს, მისი პირისა წვერთა სახელნი იქმნებიან, ანუ ლიტონად ითქვას პირ-მშვენიერისა სილამაზეთა ნაკვეთობანი და თვისებანი და უკეთუ ბაღა პირისა საბანლად ასე ითქმის ბაღსა, რომელიცა მის ქალისათვის ქმნეს, მას ნიშნავს. ბ ა ლ სპარსულად წალკოტსა ჰქვიან, ბ ა ლ ჩ ა მცირეს წალკოტს. ჩ ა — კინობითი მარცვალი არის სპარსული.

ს ა რ ა ჯ ი — ღარი ქართულად. ს ა რ ა ჯ ი ავაზი. ა ვ ა ზ ა ნ ი სომხურად საბანელსა ეწოდება. ს ა რ ა ჯ ი — წყალისა ანუ წყაროსა ღარი, ანუ სოლინარი. ს ო ლ ი ნ ა რ ი ლულა მრთელი. ს ა რ ა ჯ ი — ღ ა რ ი. ანუ ნახევარი ლულა, ქართულად აუზი არ ეწოდება წყალის გამოსადინარსა. ა უ ზ ი — ჰ ო უ ზ სპარსული არის, ქართულად აუზს საბანელი ეწოდება და ტბამ. რომელიცა კელითა მიერ კაცთასა ქმნილ არიან საბანელად გვამისა, ანუ სახმარად წყლისა.

325/330

1 მ უ ჯ ა მ რ ი ანუ მ უ ჯ მ ა რ ი — სასაკმეველე. ალვა თლილი — ა ლ ვ ა დ:თლილი დანითა ხისა მისგან ალეისა სულნელისა და საკმეველად.

326/331

1 ს რ ა — პალატი. მ ო ფ ა რ დ ა გ უ ლ ი — მოკრული ფარჩით. ო ქ ს ი ნ ო — მძიმედ ზარბანი, ოქროთ ნაქსოვი ფარჩა არს. ბერძულ[29v]ად ეწოდება ოქსინოს. შ ა დ ი, იგივე და მსგავსი მისი არს.

3 ნ ა რ დ ი — სათამაშო ნარდი.

4 გაბაონს განაზარდი — ამის ქვეყანის კვიპაროზი მშვენიერს ნაკვეთობით და აღზრდილობითა და კეთილ-სახილველობით ქებულ-არს.

327/332

3 ე დ ე მ ი — ადგილი აღმოსავლეთისა, სადაცა იტყვიან სამოთხესა, სადა იგი დაჰბადა ღმერთმან ადამი.

329/334

2 ნ ი შ ა დ ი ანუ ნ ი შ ა ტ ი — როდესაც გონება უზრუნველად არის, იმ თვისებასა ჰქვიან. დ ა ნ ი შ სიბრძნეს ნიშნავს არაბულად. ნ ი შ ი — ჩვენის ენით აღნიშნულს ალაგს რასამე, ი შ, ვ ი ი შ ეს შორისდებული კმა მხიარულებისა არის და უკეთუ ვიტყვიტ ვ ი შ ე ა მწუხარების კმას ნიშნავს.

330/335

2 ხ ა ს ნ ი — ჩინებულნი მეფეთა კარისანი — პრიდგორნები.

333/338

2 კ ე ლ ის-ს ა უ რ ა ვ ი — ესე იგი რაჲცა ტარიელს ეკუთვნოდა მფლობელობა სახელოთა და საბატონოთა. კ ე ლ ის ს ა უ რ ა ვ ი — ს ა უ რ ა ვ ი სამზრუნველო. ს ა უ რ ა ვ ი — კელი.

337/341

2 ს ი რ ი ნ ო ს ა — სირინოსისა, სირინოსისას იტყვიან, რომელ არიან იგინი ზღვასა შინა სახედ ქალთა ორისა კელისა, ვითარცა კაცნი ესრეთ მექონნი გრძელთა თმათა. პირი სახე და ძუძუ მკერდ მშვენიერნი, მაგრამ წელს ქვევით თევზნი და ესეოდენ ტკბილისა ხმითა მომღერალნი, რომელ უტკბოსი მათსა სხვაჲ ხმაჲ არცა ერთისა ცხოველისა არა იქმნებინს სწორ მათსა და კმა მათი ესეოდენ ტკბილ არს, რომელ ვისაცა ესმას დაბნდების.

342/346

3 დ ა რ ი ა — მძლე ექმნა, მოერივა. ა რ ი ვ ა — შესასწორებელია. დ ა რ ი ა კეთილი ტაროსი არის.

344/348

4 ჯ ა ლ ა ბ ნ ი — სახლეულობანი. [30r].

345/351

1 მ უ ყ რ ნ ი, მ უ ღ ნ ი — ძუძულნი მოგუთა მღვდელნი, მ უ ღ ნ ი სპარსთა ენითა ეწოდების. ცეცხლის მსახურთა მღვდელნი არიან. მ უ ყ რ ი მოაზნანი, ესე იგი აზანის დამყვირებელნი მაჰმადიანთ მოლათაგანნი მეჩითისა მაღალთა მინართა ზედა ლოცვისა მათისა ყამსა აღვლენ და მუნითგან აზანისა ლოცვასა გარდმოიძახებენ მაღლისა კმითა. მაშინ რა ისმენენ მაჰმადიანნი აზანისა ხმასა, ყველანი თავიანთ წესით ილოცვენ.

ბ ე ლ ზ ე ბ უ ლ ი დემონნი მდედრნი. დ ე მ ო ნ ნ ი ესე გვარნი ეშმაკნი არიან, რომელთაცა ძველნი ამა ბოროტთა სულთა მდედრად და მამრად აღიარებენ.

347/351

1 მ უ ლ ი მ ნ ი — მეცნიერნი სჯულისანი, რომელთაც ექიმობაც იციან და სწავლულება აქვსთ თავიანთ წესზედ.

2 მ უ ს ა ფ ი — არაბულად სასულიეროს ჰსჯულის წიგნსა ეწოდების.

356/360

2 უზრახობა — უბასუხობა, რომ მკითხველი კითხულისაგან პასუხსა სრულიად ვერ მიიღებდეს და რასაც ჰკითხევდეს, იგი სრულიად ხმას არ იღებდეს და პასუხს არ აძლევდეს. უძრახი — იგი არს რომელ ხმას არ გასცემს, ვის მიერცა გულ ნაკლულ იქმნება. უზრახი იგივე უმზრახი.

4 აშიკობა, აშიყობა — გაარშიყება, შემყვარებლობა, შეყვარება. აშიყ — ტრფიალი. მაშიყ — სატრფიალო, სპარსული სიტყვა არის.

359/363

2 რამინა — რაღცა მნებაეს, მღაბიოს ლაპარაკში მინდა ხომ მსურის არის, ანუ მნებაეს და ჩქარს ლაპარაკში მრავალნი მინდა — ამ ლექსს ასე გამოიღებენ ხოლმე. მინა იმერლებმაც ასრევე იციან ამ ლექსის გამოღება.

360/364

1 ნებასა — ნებითა და ნებზე დადებით წარიკითხვენ პატივით შესაწყნარებელს წიგნსა.

361/365

1 დაგაღონებენ — დაღონება, დაფიქრება, მწუსარედ მღუმარობა, მჭმუნვარება. დაგაღონებენ — მჭმუნვარებას მოგცემენ. [30v].

3 ათასჯერ შეაწონებენ — შეწონება, აწონა საქმისა განსჯა, საქმისა გასინჯვა.

4 არმარონებენ — აღარ გამატარებენ თავისთან, აღარ მიმიშვებენ, თავიანთთან აღარ მარონინებენ.

362/366

3 კელიგავიხსენ — კელის გახსნა სისხლის გამოშვებასა ნიშნავს მკლავში, ანუ კელში. მოჯობინება — ავადმყოფობილამ სიმრთელეში მოსვლა.

363/367

4 გასაგანა — ისართა ნიშანსა საგანი. ჰქვიან. გასაგანა — ისრის სროლა დააწყებინა ნიშნისათვის. შაბა შაბა — შორისდებული ხმა არს საქებელად, ვინმცა მოსაწონად ასპარეზსა ზედა მარჯვედ იმოქმედებს საჭურველითა თუ ცხენითა საქებრად მისსა ერნი აღუტყვებენ კმასა შაბა შაბა. ეს ლექსი ინდაური არის, სპარსნიც ხმარობენ, ჩვენებურად ვაშა ვაშად გამოითარგმანება.

364/368

2 მ უ ტ რ ი ბ ი — მეჩანგე ქალი.

365/369

2 ა ლ ვ ა-ა ლ ვ ა — ალი ცეცხლისა და ვაჟ. ა ლ ვ ა ტკბილი შაქართა და თაფლთაგან ქმნილნი სანუკვარნი. ა ლ ვ ა ყოველთ ტკბილთ ეწოდების ზოგად, შაქართაგან და თაფლთაგან გაკეთებულსა, ან ა ლ ვ ა ი ა თ. სპარსულია. ა ლ ვ ა — ხეც არის, რომელსაცა აღმოსავლეთის მოლექსენი მშვენიერს ტანს შეამსგავსებენ. ა ლ ვ ა არის სურნელი ხეცა და ჩინარსაც ალვის ხე ეწოდება.

367/371

2 შ ა რ დ ი — რომელთაჲმე ჰკონიესთ, რომელ ბუნებითი საჭიროს მოშარდვასა ნიშენიდეს. არა, ისე არ არის, ესრეთ არს ამისი განმარტება: შ ა რ დ ი არაბულად ნიშნავს მიწეზისა რაჲსათვისმე მინახეთაგანი, ანუ თუ მასპინძელი რომ ადგეს და სტუმრობიდაჲმე გარეთ გამოვიდეს, არაბულად ამას ნიშნავს, საზოგადო სახელი არის შარდი არაბულად და არა საკუთარი. ზოგად საქმისა რაჲსათვისმე საიდუმლოსა მეჯლიშით ვაქმნირე გამოსვლას ნიშნავს.

376/375

3 უ თ ნ ე ვ ი ა — სათნო უყვეს. უნებებია.

372/377

1 ბ ე დ ი თ ი — ცუდი, უშესაბამო.

3 ხ ა რ ა ჯ ა — ხარკი.

373/378

3 ძ უ ლ ა ნ ძოღან არ უნდა, ძულან უნდა. ძუძლ წერილებში ყოველგან უნით იწერება, როგორათაც ყოველი ყუელი ესრეთ იწერება. ძ უ ლ ა ნ წინა წარსრულთა დღეთა ნიშნავს. მაგ., გუშინ, გუშინასწინ და ძოღან. ძ უ ლ ა ნ ი გუშინდელზედ და გუშინისწინდელზედ უადრესი დრო. კ უ ბ ო — ქ ე ჯ ა ვ ა, ქართულად ქ ე ჯ ა ო აქლემთა და ცხენთა ტვირთვითა შთასაჯდომელი ქალთა, გინა მხართა სატვირთველნი, რომელსა შინა შთასხდომილნი მიმოვლენ ადგილით ადგილად. კ უ ბ ი, ქართულია და ქ ე ჯ ა ვ ა სპარსულია.

374/379

3 ვ არ დ ი კვლავცა რაჲ დასტენე — დასტენე, გასტენე ანუ გატენე. დილის ცვარი ვარდს რომ დაედინება შიგ ვარდის მშვენიერს ფურცლებში შთავა და მშვენიერითა მით ცვართა ვარდის ფურცლების საშუალი ადგილები დაიტენება, ესე იგი აღივსება. ვ ა რ დ ი ლაწვთა, ესე იგი ლოყებს ნიშნავს, დილის ცვარი ნიშნავს ცრემლთა თვალისათა.

დატენა მრავლობითად იტქმის, ხოლო გატენა მხოლოობითად. შემსგავსებისამებრ ქართულსა ენასა შინა იტყვიან თვალეზი ცრემლით და იტენაო. რა თვალეზი ცრემლით დაიტენება, ცასა ვითა დილასა ზაფხულისასა ღრუბელნი მსუბუქნი და თხელნი დაჰფარვენ არა ხან გრძლად და მუნით იშვებიან ცვარნი დილისანი, რომელიცა პიიტიკოსსა შეუმსგავსებია მშვენიერისა ცრემლთათვის. თვალნი სიმგრგვლისა გამო ცისათვის უმსგავსებია და მეწამულნი ღაწენი ვარდისათვის სურნელისა მეწამულისა.

375/380

3 მემალა — მესწრაფებოდა.

376/381

1 უსტარი — საყვარელთან მინაწერი წიგნი, რომლისაც თხზულება ფრიადისა ქელოვნებითა იყოს შეწყობილ და შესაბამიერ რიტორულისა თხზულებითა და მშვენიერ სიტყვაობითა.

378/383

4 ნამუსი კრძალულება არის, ქართულად და პირის-წყალი. ნამუსი არაბული არის. არაბულად სჯულსაც ნიშნავს ანუ ჩვეულებას კეთილ-წესიერებისას [31v].

379/384

1 თათბირი რჩევა, საქმის გაშორჩევა, განსჯა.

3 მქისე — უწრფელი, მრუდი, ხორკლიერი, არა სწორე, დახორკლილი.

381/386

4 ზამი — ზემი¹ — გამოჩინება, დაწინადება დიდი.

383/388

4 სახლთა ნუ ეზიარებით — ეს შეცთომა არის, სისხლთა ნუ ეზიარებით ასე უნდა, ამას ნიშნავს, რომელ თქვენის საქმით თქვენ თქვენის თავის მესისხლე ნუ შეიქნებით.

384/389

3 ზიუხვის რაცა ვინები — რაცა მენებებოდა მრავლად და უხვად მაქვდა საახლოდ. მახლობელ სამყოფლად, ანუ მიაძლებად.

386/391

1 სრა — სამეფო პალატი, სამეუფო.

2 თვალთა რული — რული მცირედი ძილი.

¹ ზემი

387/392

3 ა მ ი ფ ო ლ ხ ე ა — მომიფონა, შტჷბამცა აღმიმსუბუქა, ლხინება მცა. მ ა ნ ა — რკინის დიდი ლურსმანია, რომელიცა ჯაჷკეთა ზედა რკინისათა ებმის, რომლითაცა ლომსა დააბმენ, გინა ვეფხსათუ სხვასა ძლიერსა რასმე ცხოველსა და მტკიცედ შეინახვენ, ეგრეთვე მეცა შენისა სიყვარულისა ჯაჷკეთა და მანით დაბმულიო, შენმან ნუგეშმან აღმიმსუბუქაო. მ ა ნ ა — მეორისამებრ განსჯისა ნაცვალაახელი ესე იგი მან, იმან.

388/393

3 ნ ა რ ი — ერთი გვარი ეკალი არის.

389/394

1 ფ ა რ დ ა გ ი — ფარდა, კუბო. სახლთა შინა სამეფოთა დადგმულნი სასხლომნი ტახტნი, რომელთაცა ზემოთ გვირგვინნი ექმნებთ გაკეთებულნი და ოთხკუთხედ ქმნილ არიან და ძვირფასად შემკულ და ფარდანი ძვირფასნი აქვსთ შთამოფარებულნი.

2 კ უ ბ ო — ტრონი

391/396

2 გ უ ლ ი დარმანთა მთარე — დ ა რ მ ა ნ ი წამალს ეწოდების სპარსულად. მ ი ა რ ე — გამომიდარე, გამომიზაფხულე, გული [32r]. განმიმხიარულე, გული განმიკურნე.

393/398

2 ა მ ა ლ ს ა — ალსა ამას. ცეცხლისა ალსა ამას გულისასა.

397/402

1 მ ა რ ზ ა პ ა ნ ი — მონაცვალე საქმის განგებაში მომაგიერო. სპარსულად ნ ა ი ბ ი. მარზაპანი ქართულად სიმსწრაფლითა ჯარის მაწვეველი მხედართმძღვანთა მოადგილე.

3 მ ო ნ ა ს რ ბ ა ნ ი — სწრაფით მდევრულად მოსრული, ხოლო. მ ო ნ ა ს რ ბ ა ნ ნ ი სირბილით ჩქარად და მსწრაფლიად მოსრულნი.

4 კ ა პ ა ნ ი — ქუა-ლოჯიერი ადგილი, კლდიერი, ესრეთი რომელ ქვეები ამოშვერილი იყოს და ფეხით სავლელათაც ძნელი და ცხენით სრულად არ გაივლებოდეს. ასეთი ქვეები იყოს, რომ ფერკთა დაუჭრიდეს და დაუწყულულებდეს კაცთა.

398/403

2 ა ღ ლ უ მ ი — მკედრობათა განჩხრეკა და ყოველთა მკედრობათა საჭურველთა და განწყობილებათა მათთა გასინჯუა.

3 სიჩაუქე — მარჯვე სიმკვირცხლე, ჩაუქი — ფრიად მსწრაფლსა მკვირცხლსა დანიშნავს სამკედროს იარაღში და ყოველს მოძრაობაში მკედარი რომ მსწრაფლად იქცეოდეს და მარჯვედ და სხეულისა მსუბუქის მოძრაობითა შესაბამიერიითა, არათუ უშეერისა სიმსუბუქითა. დარაზმულობა — წესიერად დაწყობილობა მკედრობისა. აბჯრისა ხუარაზმულობა — ხუარაზმი — ოზბეგთა ქვეყანას ეწოდების და მუნებური სამამაცო საქურველი ქებული არის. ხუარაზმი ხივის ქვეყანასაცა ეწოდება, ხორასნის მახლობელნი ქვეყანანი არიან.

399/404

1 დროშა — ბაირახის ხე არის, რომელსაც თავზე შუბი ექმნება დაგებული და ალაში მასზედ აბმული [32v], რომელსა ზედაცა ნიშანიცა იქმნებიან ანუ ქვეყანასა, ანუ სპათა გამოხატულნი ღერბნი ანუ ხატნი ვითა ვიეთთა ანუ ვითარად.

4 დავითა — და როგორ, ანუ შფოთიერად. დავა ბრძოლასაცა ჰქვიან, შფოთსაცა და საჩივარსაც.

403/408

ს ტ ა ვ რ ო მ ე ნ ი ა ანატოლიის კერძო იყო. ნ ა ხ ლ ი — ძვირჟაპაი
ნაქსოვი ფარჩა ზარიანი.

681/691

2 დ უ ხ ჭ ი რ ი — ავ თვალადი, მეტის-მეტად უამა [53r] მრავ-
ლად სასიამოვნოება, მაღალს ხარისხზედ სიამოვნე აღსრული. უ ა მ ა
— ვარდის თვისება, სრულს განშვენებულებასა და სიკეთესა შინა
მდგომი. ს ა მ კ ე — დამამხობელი. მ ა მ ხ ვ ე ჭ ი რ ი ს ა — დამამხო-
ბელი ჭირისა.

683/693

2 მინდორს რული — მინდორს ნასიარულევი.

3 ყმა სოფლისა ხასიათით — ესე იგი სოფლისა თვისებათა
ძლით. ჯ ა ვ ა რ ი (ესე იგი) ბუნებითნი ხატნი რაჲმენი ზედან სახესა
ყვავილოვნებულნი მშვენიერებისა აღსამატებელად. სითეთრე სხვათა
სისპეტაკეთა, უმჯობესნი ლაწუნი ლალთა, უმკროთოღვარესნი და
თვითოეულთა ადგილთა ხატისათა ფრიად წარმატებით მკროთოღვა-
რეობა და მოხდომილება, გინა უმშუჭნიერესად აღნიშნულება; რკი-
ნასა რომელსაცა აქვს ჯ ო ვ ა რ ი, სხვათა რკინათა აღმატების სი-
კეთითაცა და რკინასა ზედა ხორასნულსა ბუნებითად იხილვებიან
ჯ ა ვ ა რ ნ ი, ესე იგი დაჭრელებულება. სხვათა რკინათა ესენი აღე-
მატებიან ძვირ ფასოვნებითა და შუჭნიერებითა, ჯ ო ვ ა რ ი შესაბა-
მიერი ელფეროვნება არს და შუჭნიერი ჰაეროვნება მშვენიერთა და
ამისთვის სხვა და სხვა რიგად განიმარტების.

684/694

1 მ ო რ ჭ მ უ ლ ი — სიმდიდრითა და დიდებულებითა აღსავსე
მჭევრი.

2 ე ვ ფ რ ა ტ ი — მდინარე ევფრატისა, რაჲსაცა რწყავს ფრიად
ნაყოფიერ არიან. ა ლ ვ ა მ ჭ ე ვ რ ი — მშვენიერი ალვისა შესახედა-

ვისამებრ თანასწორი გუამისა აგებულემა. ე დ ე მ ი — სამოთხე-
ესე იგი წალკოტი. შუშნიერი, სამოთხისა ხენი სხვათა ყოველთა გა-
რეშე სამოთხისა ხეთა აღმატების ყოვლითურთ [53v] სიკეთითა და
მშვენიერებითა. მჭევრი — რიტორი, ენა მჭევრი და რადგან ეს-
რეთი ენა ტკბილიც არის. ა ლ ვ ა — სიტყბოებითაც ითქმის, და ესე
ა ლ ვ ა. რომელიცა ედემისა ა ლ ვ ა ს ა შეემსგავსების, რომელიცა
ხილულსა სამოთხესა შინა არს დანერგილი, ესე სიტყვიერი ა ლ ვ ა
არს ედემური. ტ ე ვ რ ი — ხშირი ტყე.

685/695

2 შე ს ა ტ ყ ვ ი ს ი — შესაბამი.

3 არა სიტყვითა მქისითა — არა თუ სიტყვითა უშესაბამოთა.
მ ქ ი ს ი — არა სწორე.

687/697

ნაჯამად არის თქმული ეს ლექსი.

1 მუნ სარო მსგავსი ვარდისა, ვნახე მისჭირდა მინები — მ ი ს-
ჭ ი რ დ ა შეწუხებული ჰქონდა თვისნი ელფერნი. მ ი ნ ა თ ა ამსგავ-
სებენ მშვენიერისა პირისა ელვარებათა. სადა რთავს ბროლსა მინებო
— ბ რ ო ლ ნ ი მინასა თანა შერთულნი მშვენიერისა ელფერად დაუ-
სახავსთ აღმოსავლეთისა მოშაირეთა.

689/699

1 ნუ მკითხავ ქება რა გკადრო, ჩემგან რა გაგეგონების — რ ა
გ კ ა დ რ ო თ — თქვენს შესაბამად ვითარ შევიძლო იმისის ქების
თქმა და რ ა გ ა გ ე გ ო ნ ე ბ ი ს, ესე იგი ვითარ შეუძლო, რომ ზედ
მიწეგნილებით გაგაგონოთ ჩემის უნდოს სიტყვით.

3 ც ი ა გ ი — მზის სხივი. დ ა ე ლ ო ნ ე ბ ი ს — დაღონებას ნიშ-
ნავს და თვალის გაუმართველობას.

4 ვარდის ზაფრანად ქმნა — წითელის ლოყების გაყვითლება.
ი ა შე ე კ ო ნ ე ბ ი ს, მწუხარებისაგან რომ სისხლი განხურდება,
თავში ავა რა ლოყებში იის[54r]ფრად წარმოუდგება.

690/700

2 წ ა გ ა რ ნ ა — კლდის ბილიკი, მკეცთა გზა იწრო. მ ე ნ ა —
სადგური ვანი, სავანე, სამყოფი.

691/701

2 ნათლად ნავანები — ნათლად დასადგურებელი.

3 ს ა ნ თ ე ბ ლ ი ს ა — სანთებელი ცეცხლი გულისა. ავთანდი-
ლისა იყო მისთვის.

1 მამცქაფავ — მამცქაფავი, სიტყვით აღთქმისა და დაპირების ყოფა, ღიახ, სწრაფის ლაპარაკით და კვლების შლითა მოთინთვლა და მომტყუებლობა არის. ცქაფი — კვლევებ მსწრაფლი და აჩქარებულისა ხარაკტირისა მექონი. ცქაფნი ნიშნენ კვალად საწუთოსა ამის სოფლისა უეცართა და მსწრაფლთა განსაცდელისა შხებთა, მაგრამ აქა ამ ადგილსა სტიხსა ამას შინა მომცქაფავსა, მომატყუებელსა და პირის გამტეხელს უწოდს.

4 ლხინი არმად თავი ფლიდად — არამ — არაბულად უწესოსა საქმესა. ნიშნავს, რომლისა არაჯერ არს ქმნაჲ. ფლიდი — გაწბილებული. ფლიდი იგი არს, ვინცა უკუშ ენის მიტანითა მოიმადლოს ვინმე და თავის ნება აქნევისოს. ფლიდობა — იგიცა არს, რომელ აღუთქმიდეს პირით და სიტყვით და საქმით კი აღარ აღუსრულოს დაპირებული თვისსა და მეგობარსა, გინა სხვასაცა ვისა. დიდი შეურაცხება არის კაცისა, რომელ ფლიდად გამოვიდეს.

1 ტაროსი ეწოდების ესე აერისა ცვლილებათა, ესე იგი კარგსა დარსა, ავ დარსა, წვიმიან დარსა, თოვლიან დარსა და სხვათა. უხდების — შეშნის, ეშესაქმავების, განშვენებულებასაცა ნიშნავს. უხდების ესე იგი, რომელიცა სამკაულითა, ანუ ძვირფაითა ტანის-სამოსითა, ანუ იარაღითა შემკული იქმნების და სასიამოვნოდ სახილველ იქმნების, მისთვის იტყვიან. ამას ეს სამკაული უხდებო, ანუ მას ვისმე მორთვა და ტანისამოსი შვენისო.

1 ზენაარისა ფიცისა — ზენა არსის ფიცისა, ესე იგი ზენა არაზე ფიცისა.

3 ცოდნა კამს უიციისა — ცოდნა სათანადო არს — ერთი რომელიმე საქმე რომ არ იცოდეს კაცმან იმისი. კამს — ჯერ არს, სათანადო არს. უიციისა — საქმისა ვითარისამე უმეცრებასა და ნიშნავს. უიცი — პირი საქმისა ვითარისამე უცოდინარი.

4 ჩემი თქვი, რა ვქმნა ბედ ქმნილმან, მზე მიმეფაროს მეცისა — ბედი ბედნიერობისა და უბედურებისა საშუალი სახელი არს, თუმცა აწ თქვენის სიახლით ბედნიერი ვარო, ავთანდილ ეტყვის თინათინსა, მაგრამ მაშინ მზე რომ მიმეფარება, ესე იგი შენ რომ მოგშორდებიო, რაღა უნდა ვქმნაო.

ყმაჲან ჰკადრა სიახლითა, შვეთე ჰირი შვიდსა მე რვა — ჰირთა მიჯნურისათა შვიდ სახედ იტყვიან, ესე იგი საყვარლისათვის კაცი მოითმენს: 1. შიმშილსა 2. წყურვილსა 3. პყრობილებასა 4. დევნულებასა 5 სიცხესა 6. ყინელსა 7. ყვედრებასა და გინებასა. ყმაჲან ჰკადრა სიახლითა ამას ნიშნავს: ავთანდილ რადგანაც თინათინის სიახლოვეს, ესე იგი მისთან მეგობრულად ლაპარაკსა და მისგან მოწყალებით. მიღებას ღირს იქმნა, გამოუცხადებს მიჯნურთა ჰირთა, რომელსაცა შვიდ რიცხვად იტყვიანო და ამათ ყოველთა მე შემძლებელ ვარ, რომელ შენის სიყვარულისათვის თავს ვიდუაო, ამათზედ მე კიდევ მეტი სხვა ჰირი დამერთოვო. მე რვა — და რვა რიცხვად გამიკვეთდა ჰირნიო, ესე იგი, მერვესა და ყოველთა ჰირთა ზედა უაღმატებულესად რაცხს ამას, რომ თინათინს უნდა მოშორდეს და თავის ძმად ფიცის ტარიელის იმ მწუხარებიდამ გამოსხნისათვის წავიდეს და განსაცდელთა მრავალთა უცხოებით და მარტოებით თავის თავი უნდა მისცეს.

2 ცული არის დამზრალისა გასათბობლად წყლისა ბერვა — ეს ამას ნიშნავს შეციებულმან და დამზრალმან კაცმან წყალსა და ყინულს ბერვა დაუწყოს ვერც იმითი ცეცხლს აანთებს და ვერც გათბება. თუ მეგობარი მეგობრისათვის ცეცხლებრ არ აღიგზნებს თვისს გულსა და გულსმოდგინედ არ ეცდება იმისს სარგებლობას და წყალისა მეზრ გულ-გრილად მოიქცევა, ვერც მეგობარს არგებს და ვერც თავის თავს ქებასა და ღიდებას მოატყუებს და ვერც საწადელს აღისრულებს და მეგობრისაცა მომატყუებლად და მოლალატედ გამოჩნდება. ვინც მეგობარს მოატყუებს, ის თავის თავს ატყუებს, როგორათაც რომ ცეცხლის მაგიერად წყალს უბერავდეს, იქილამ რას ისარგებლებს.

3 ცული არის სიყვარული, ქვევით კოცნა [55v] მზისა წვერვა — მზე რომ დასავალით მიიქცევის და როდისაც ჩადის წვერვა, ანუ დაწვერვა მას ნიშნავს. მზე გარდაეწვერა, მზე ჩაეწვერა, და როდისაც რომ მზე შორდებოდეს კაცსა, მაშინ რაოდენგზისცა რომ დადრკეს კაცი და ქვე მიწასა მზის დანარჩენს შუქს კოცნა დაუწყოს, იგი ჩასასვლელად განმზადებული მზე ხომ აღარ მოუბრუნდება უკანვე ვიდრე დამე არ წასვლის და დილა არ მოიწევა. ამისთვის ესე ვითარი სიყვარული გაუცუოდება და გაუშქმდება და უჯერო არის, რომ დილისა გათენებადმდე მზის მომშორებელი, ცუდად შვრებოდეს და მოთმინებით არ იყოს, რადგანაც წარუხლომელი შემთხვეულება არღარა უკუნეიქცევა.

4 თუ გიახლო ერთხელ ვაძ, თუ მოგზოორდე ათასჯერ რვა — აწე ამ ჟამად რადგან თქვენ გახლავარ მხოლოდ ერთი ვაძ მაქვს, ესე იგი ტარიელისათვის მწუხარება და რა წავალ ტარიელის მოსახმარებლად და თქვენ მოგზოორდები, მაშინ ათასი ვაძ მექმნება თქვენის მოშოორებისათვის, ათასწილად მწუხარება მომეცემა.

698/708

ეს ლექსი მაჯამა არის, რომლისა რიფმანი არიან პირველს ტაეპშია.

1 სადა გლახ დამწვავს სამალი — გლახ ნიშნავს საწყულად. ანუ შესაბრალისად. სამალი — სამი შემწველი ალი. ანუ შემწველი ქარი ბაბილოვნისა და აფრიკისა კერძოთა ცხელთა მინდორთა შინა [567] იქოროლებს, როდისაც მზისა შარავანდელი ფრიადსა ხოროშასა გამოუტევებს და რომელსაცა ცხოველსა მოხვედების, იგი მოჰკლავს მყისვე.

2 სამალი — სამსწრაფლო ესე არს ღარი ვითარიმე რკინისა სატყოორცი ისრისა, რომელსა ექმნების ისარი მტკაველზედ მეტი. ესე არს ერთი იარაღთაგანი ძველად მხედართა მანქანაჲ ესე აქვნდათ ბრძოლისა სახმარად და ღარისა მისგან მანქანისა ისარსა სტყოორციდიან მებრძოლთა, გინა საგანსა. საგანი — ნიშანი რომ დასო, ისარი ანუ თოფი ესროლო იგი არს.

3 ნასამალი — მესამედი, სამად განყოფილი. დღისითლა ჩანს ნასამალი — ღამე ხომ არ გამოსჩნდება კაცის სახეზედ მწუხარების დაჩნევა და დღისით ამისთვის თქმულა.

4 სამალი — დასამალავს ნიშნავს, ანუ ჰირის და მწუხარების დამალვასა, გინა სხვისა რაჲსამე. სამალი დასამალავი ადგილიც არის. გული კაცისა არს მრავალთა სხვათა და სხვათა საქმეთა დასაფარავი ადგილი და ესე არს სამალი. გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი — ესე იგი ჟამი წარვიდა იგი, რომელ აქანამდის მაქვნდა გულსა შინა მიჯნურობა თქვენით [567] დაფარვით ავთანდილ ეტყვის თინათინს და აწ ცხად მიყოფიეს წინაშე თქვენსაო.

699/709

2 ვარდსა ქაცვი შოაპოებს, ეკალთამცა რად ვეფხანე — ამას ნიშნავს ქაცვი სადაც დგას კეთილს ჰაერში, თბილს ადგილს, უეჭველად იქ ვარდიც არის და საქართველოში ქაცვის ეკალნი საცა დგანან, მივლენ და იმის ძირებში ვარდს დიახ კარგ სურნელს იპოვნიან, როგორათაც რომ წალკოტის ვარდს სწოორეთ იმისთანას. ქაცვნი და

ეკლნი არიან ჭირნი იგი, რომელთაც საყვარლისათვის გარდხდის საყვარელი და ჭირთა და ღვაწლთა მათ შინა სატრფიალოთა თვისთა თვის გარდახდილთა მოიპოვებს ვარდსა გულისა თვისისა განმამხიაროგორათაც რომ წალკოტის ვარდს სწორეთ იმისთანას. ქაცვნი და შესაბამიერთა მოყვრისათვის ურვითა და სატრფოსა სიყვარულისათვის, მწუხარებისა სასარგებლოდსა ჩვენებასა თანამდებ არს ტრფიალი. ხოლო უწესო და უშესაბამო მწუხარება უგვანი საყვარლისათვის მსგავს არს საქმესა მას, რომელ კელი ანუ ფერკი აქ აკლდეს კაცსა, ანუ წყლული რაამე, რომელიცა მორჩომისა და გან[57r]მრთელებისა მახლობელსა ჟამსა ქავილსა დაუწყებს იგი ეკლით რომ დაიფხანოს, არამც თუ დაამებას მიიღებს მით ეკლითა დაფხანითა, უმეტესსა წყლულებასა ჰპოვებს კაცი. ამისთვის უგვანი, უშესაბამო მწუხარება და შომატებული სევდა ეკლით დაფხანასა წყლულისასა ემსგავსება.

700/710

1 ყმა ტკბილი და ტკბილ ქართული სიკეთისა კელის მხდელი — ყმა ტკბილი — ყრმა ესე იგი ავთანდილ ტკბილი გულითა. ტკბილ ქართული — ენითა და საუბრითა ტკბილი. თუმცა ავთანდილ ქართულად არა ლაპარაკობდა, მაგრამ სტიხის მოქმედნი ჩვენნი მარადის ტკბილს ენასა და ტკბილს საუბარს ტკბილს ქართულს უწოდებენ. ამისთვის რადგანაც ქართული ენა ბუნებით ტკბილი ლაპარაკი არს და ტკბილი სასმენელი, ვინცა ენა-მჭევრი იქმნება. სიკეთისა კელის მხდელი — სიკეთისა კელოვანებისა კელ-მყოფელი, ანუ მოქმედი მისი.

3 ქალმან მისცა მარგალიტი სრულ ქმნა მისი საწადელი — საყვარელი ოდეს განსპეტაკებულს და ყოვლი[57v]თურთ უბრყვილოსა და შეუმღვრეველს სიყვარულით აღვისილსა და წმინდის სინდისით განწმენდილს, გულს მისცემს საყვარელსა, მარგალიტის მიცემა ამას ნიშნავს. თინათინმან ოდეს გული ავთანდილსა დააჯერა თავისის სიყვარულით, მაშინ ავთანდილის საწადელი სრულ იქმნა, რადგან მარგალიტი ძვირფასი არის და სპეტაკი თეთრი, ჭეშმარიტი სიყვარული ამისთვის მას ემსგავსება. თაღლითსა, რომელიც მხოლოდ სახით მარგალიტსა ჰგავს: ჩვეულება არის ქართველთა ერი მათ თაღლითად უწოდებს, რომელნიც რიოზნი ხალხნი არიან, ანუ რიოზი ვინმე კაცი თვითოეულთაგანი. რიოზი ესე იგი ყალბი.

და ვინაჲდგან თაღლითსა მაგალითად დასდებენ მტყუვანისა დაუნდობელისა და შეურჩომელისა და მოღალატისა კაცისა სახედ: მაშასადამე მარგალიტი მოიღების მაგალითად, რომელიცა თვით ბუ-

ნებითა თვისითა ძვირ-ფასი, მშვენიერი და საიშვითო ნივთი არს, ამისთვის სატრფიალოსა ერდგულისა სახედ მარგალიტი მოუღიათ პიტიკოსთა და მშვენიერნიცა ქალნი შესამკობელად თვისად ხმარობენ და ნიშნადცა შეერთებისა და პატიოსნისა სიყვარულისა ძვირფასითა მარგალიტითა სატრფიალო სატრფიალოსა მოიკითხავს და მიართმევს [58r].

ეს სტიხი მაჯამა არის.

701/711

1 რა სჯობს, რაკაცმან გიშერი, ბროლ ლალსა თანა ახიოს — უმჯობესი რა იქმნება, ოდესცა საყვარელი საყვარელსა თვისსა გიშერთა, ესე იგი წარბწამწამთა ანუ ახალ აშლილთა უღვაშთა ბროლ ლალსა თანა, ესე იგი ღაწვისა სითეთრესა და სიწითლესა ახიოს, ესე იგი მიიხლოვებს, რომელთაცა ურთიერთარს მიხლებითა, საყვარელისა კოცნა საამო იწარმოვების.

2 ანუ ბალს ალვა საროსა, ახლოს რგოს მორწყოს ახიოს — ანუ მსგავსადმე ბალსა, ესე იგი თვითო ფერისა სახისა მშვენიერებისა შესაკრებელსა ალვა საროსა თანა დარგოს. ა ლ ვ ა ა და ს ა რ ო ო რ - ნივე ნიშნენ ორთა მათ თვითოეულისა ტანისა ალგებულეზასა საყვარელთასა. დ ა რ გ ვ ა ნიშნავს ურთიერთისა თანა დამკვიდრებასა. მ ო რ წ ყ ვ ა ნიშნავს ურთიერთისა ენისა სიტკბოებითა აღორძინებასა და გულისა სიტკბოებითა და მშვენიერისა აღერსითა წალკოტისაებრ მორწყვასა. ა ხ ი ო ს ნიშნავს აღზრდასა სიყვარულისასა, ვითარცა მშვენიერი ხე ალვისა, ანუ საროსა ტკბილისა და კამკამისა სასარგებლოითა წყლითა ირწყვოდეს და დანერგული იგი ხე სიყვარულისა ა ხ ი ო ს, ხე იქმნას აღზრდილი მაღლად, რომლისა ქვეშე გული სიყვარულისა ცეცხლითა ალგზებული აჩრდილსა ქვეშე მისსა მისცემდეს ნუგეშინის ცემასა, ფრიად აღმატებულსა თავსა თვისსა ტრფიალებითა.

3 მისსა მჭვრეტელსა ალხინოს, ვერ მჭვრეტსა ავაგლახიოს — მჭვრეტელთა, ესე იგი მაყურებელთა მისთა [58v] და ახლოს მყოფსა მისთანა ალხენდეს და ვერ მჭვრეტსა, ესე იგი შორს მყოფთა თვისთა, მისცემდეს ვაგლახსა, ესე იგი ჭირსა და ვაებასა. ვ ა გ ლ ა ხ ი ჭ ი რ ს ა, ვაებასა და ესე ვითართა სამწუხაროთა და საგოდებელთა საქმეთა ნიშნავს.

4 ვაი მოყვრისა გაყრილსა, ახიოს ეყოს ახიოს — ახიოს ნიშნავს ახისა კმისა აღმოტევებასა. ა ხ კ მ ა არის შორისდებული — დასაძანებელსა და შესაწუხებელსა რასამე საქმესა ზედან აღმოტევებული.

702/712

2 მივა გულითა რეტიითა — რეტი გონება მიღებულსავეით რომ შეიქმნას კაცი, იმას ნიშნავს. გარეტიება განცვიფრებათაც ითქმის.

4 იტყვის ვერ გაძლა სოფელი, ვაი სისხლთა ჩემთა ხვეტიითა — ხვრეტა შეხვრეტა, მუჭაზე რომ დაისხას რამე კაცმა და ხვრეტა დაუწყოს. ხვრეტა, არა ერთგზის დაღვევა ანუ შესმა არის, არამედ ჩაისა და ყაყისა მსგავსი სმა ნელ ნელადა. ესე არს მაღიადი დასრულება ურვისა.

703/713

1 მკერდასა იცემს, ამაღ ილებს — ილებს — ილურჯებს მკერდასა ცემითა.

2 გაათღილებს — უგულებელს ჰყოფს, შეურაცხს ჰყოფს.

4 მის მოყვრისა მოშორება, კვლავ აბინდებს არ აღილებს — მოყვრისა მოშორება ბინდსა მწუხარებისასა მისცემს. ბინდი — მწუხრი არის ღამის დასაბამი. არ აღილებს — საყვარლის მოშორება ასეთი ბინდი არის, რომ დილა აღარ შეუ[ნგრ]დება, ესე იგი საყვარლის მოშორებისა ჟამს მხიარულება აღარ მიეცემა კაცსა და სულ მწუხარების ბინდში იქმნება.

704/714

ეს სტიხი მაჯამა არის.

1 სისხლმან და ცრემლმან გარევეით, დაწვი ქმნის ღარად და ღარად — საყვარლის მოშორებით ავთანდილის სისხლს გარეულის ცრემლით მტირალსა მრავლის ცრემლის დინებისაგან ლოყები ღარებსავეით გაუკეთდა. ღარი ნახევარ ცილინდრსა ჰქვიან, რომელსაცა წყალთა და წყაროთა დაუდებენ სადინელად.

2 იტყვის მზე ჩემგან თავისა, კმა დასადებლად აღარად — აღრი უაღრესსა და უმაღლესსა აღსავალობასა ნიშნავს და უზესთაესობასა. და იტყვის ავთანდილ, ჩემი მზეო კმაყოფილი არის ჩემგანაო. აღარად — ესე იგი უაღრესად, ანუ უაღმატებულესად და უმეტესად, რადგანაც მე იმისთვის თავი დასადებლად გამომეტებული მაქვსო, ესე იგი ჩემი თავი იმისთვის მაქვს შეწირულიო, ამისთვის იგი კმაყოფილი არის ჩემგნითაო.

3 მიკვირს თუ გული აღმასი შავმან წამწამმან და ღარად — ავთანდილ იტყვის — ჩემს გულსა აღმასის ქვის სიმტკიცე აქვსო და ეს მიკვირს: ამისთანა მტკიცე და მაგარი ნივთი ისე ნაზმან და მცირემან ნივთმან როგორ დადალაო, ესე იგი წამწამმანო. დალა რად —

დადი ბეჭედი არის რკინისა, ანუ რვალისა, რომლითაცა განხურ-
ვებულთა დაიბეჭდების რად[59v]მე. ფერთა რკინასა შეამსგავსა
წამწამი და ნაკვეთობითა მახვილსა. და თუ ვითარი ძალი აქვს მას,
რომელ განჰპირავს მას გულსაცა, რომელსაცა ექმნების სიმტკიცე
აღმასისა.

4 ვირე ვნახედე, სოფელო, მინდი სალხინოდ აღარად — ავთან-
დილ ეტყვის სოფელსა — მანამდის მე თინათინს ვნახედეო, შენ
აღარად მინდიხარო. ესე იგი, მე შენი ლხინი აღარაფრად მიმარჩია,
რადგანაც თინათინს ვშორდებო.

705/715

მაჯამად არის ეს ლექსი თქმული.

1 ვინ უწინ ედემს ნაზარდი, ალვა რგმით მორწყო მახია — ვი-
თარცა ედემს, ესე იგი სამოთხესა შინა აღიზრდების თავისუფლად.
ა ლ ვ ა (ალეო სურნელი ხე და მშვენიერისა ყვავილისა გამომღებ-
ლი) მეცა მსგავსად მისსაო, ავთანდილ იტყვის მორწყულიო, ყოვ-
ლისა სასიამოვნოსა და კეთილისა აღზრდილობითა დანერგილი. პა-
ლატსა შინა მეფისასა მახია. ესე იგი აღმზარდაო, აღმზრდელმან
ჩემმანო. მ ა ხ ი ა: სრულსა ასაკსა შინა მოყვანებასა ნიშნავს. ა ხ ა ლ
ნ ე რ გ ი სიჩჩობასა და მოზარდობასა ნიშნავს, ხოლო ხე სრულსა
ასაკსა შინა მოსრულსა ნიშნავს. ხე კაცსაცა ნიშნავს, ესე იგი ხატსა
კაცისასა. ხ ე — სახე. ხე ყოველსა საზოგანებასაცა ნიშნავს, რადგან-
ცა რასა ნივთისასა. ს ა ხ ე ანუ და ს ა ხ ე — ბრძანებითი სქესი არის,
ნიშნავს ამას გ ა მ ო ს ა ხ ე — გ ა მ ო ხ ა ტ ე. საჩვეულობოს ქარ-
თულს ლაპარაკში იტყვიან: კარგი ხე კაცი არისო, [ნმრ] ამას ნიშ-
ნავს, რომელ კარგისა ნაკვეთისა მექონი კაცი არისო, ესე იგი შესაბა-
მიერი და ახოვანი ტანადი. მას ზემოხსენებულს პირველს ტაეპს შე-
უდგენს ავთანდილ და იტყვის:

2 დღეს საწუთომან ლახვარსა, მიმცა დანასა მახია — ს ა წ უ თ-
რ ო ადრე წარხლომადი სოფლისა ჟამნი, ლ ა ხ ვ ა რ ი, შ უ ბ ი და ესე
ვითარნი განსაგმერნი საჭურველნი. დ ა ნ ა ს ა მ ა ხ ი ა. დ ა ნ ა —
მახვილია, ცალ-პირი სატევარი არის. კორცთა საკვეთელსაცა დანა
ეწოდება (კალმისა საჭრელსა და ესე ვითართა ნივთთა ზედა სახმარ-
საცა დანა ეწოდება). მ ა ხ ი ა — დამახია, ესე იგი დამიჭრა. მ ა ხ ი ა
— დანასა მიმცა დასახეველად.

3 დღეს გული ცეცხლსა უშრეტსა, დაბმით დამიბა მახია — ცეც-
ხლად უშრეტად იტყვის საყვარლის მოშორებას. მ ა ხ ი ა და მასვე

დაბმასა და მახესა შინა გაბმასა უწოდებს. და მიზა მახეა, ესე იგი მახე გამიბა, მახე დამიდგა.

4 აწლა ვსცან საქმე სოფლისა, ზღაპარია და ჩმახია — ზღაპარი. გინა ამოება. ჩმახი, უთანასწორო და მრული: მრული რაჲმე, ძნელად განიმართების. ძნელად გასწორდების. მრული წინა-აღმდეგი არს სისწორისა.

706/716

1 ათროლებს და აწანწარებს — თროლება, თროლა, ანუ სამწუხაროს შემთხვეულებაზედ ანუ შიშზედან. აწანწარებს და აწანწარებს: ორივე ერთის საქმის დამნიშნელი არის. წანწკარი, — კლდიდამ რომ წვრილად დიახ მცირედი წყარო ჩამოდიოდეს, მცირე რამ კმაცა ჰქონდეს, იმას უწოდებენ და ამას ავთანდილის ცრემლს შეამსგავსებს.

2 გულ-ამოსკვნით ტირილი — გულსაც აყოლებდეს [60\] თანა ქვიტქვითით ტიროდეს. ოხვრა და სულთქმა ესენი ცხად არიან. მიხრის ტანსა მიახარებს — მიიტყვეს ტანსა ტარიელისა კერძ. მიახარებს, საყვარლის სიშორისათვის სწუხს და ტარიელის შეყრისათვის უხარის. ტარიელთან წასელას თავის თავს ახარებდა ავდანდილ, ვითარცა სამახარობლოსა რაჲსამე სასმენელსა ეხარებოდეს ვისმე ეგრეთ. ასუდარებს — სუდარას ნიშნავს. ზეწარი ტილოთაგან კერილი ქვეშ გასაშლელი და ზედ დასახური.

707/717

3 მწვანილსა თრთვილისაგან პირსა ფერი მოაკლდების — როგორათაც რომ თრთვილისა ჟამი და სიცივისა მზისა სითბოსა მოკლების ჟამს უვაგილთა და მდგლოთა ფერს დააკლებს, ეგრეთვე საყვარელისა მოშორება ტრფიალთა მისთა.

708/718

ამა სტისხა შინა წარმოაჩენს გულისა ნებასა და თუ გული კაცისა. ვიხარი კელმწიფე არს კეთილსა ზედა გინა ბოროტსა, რომელიცა თვით კელმწიფებს და პფლობს მნებებელობასა ზედან კაცთასა.

709/719

1 რა გულსა უთხრა გულისა, სიტყუანი საგულისონი — გულად თინათინს იტყვის მოლექსე. გულისა სიტყუანი — ამას ავთანდილის გულის სიტყუათა იტყვის, რომელიცა თინათინს განუცხადა: საგულისონი — საგულისო სიტყუა გულის სათნებელს სიტყუათა დანიშნავს.

2 მან მარგალიტნი მოიხვნა მის მზისა სამეყვისონი — თინათინ-
მან მარგალიტნი მოიხვნა სამეყვისონი, რომე[ნი]ლიც თვით უყ-
ვარდა და თვის საყოფელად თვისსა, ესე იგი თავისთვის სახმარად
ჰქონდა მას მზესა, ესე იგი მას მშვენიერსა.

3 მათ კბილთა შესატყვისონი — შესატყვისი. შესაბამი,
შესაფერი. მარგალიტთა კბილთა თინათინისათა ამსგავსებს, და ანუ
ასე არის, რომ მათ ტკბილთა შესატყვისონი უნდა იყოს — ამ ად-
გილსა უკეთესი იქმნება.

4 პირსა დაიდო აკოცა, ცრემლი სდის, ვითა ბისონი — ავთან-
დილმან მარგარიტი იგი თინათინის ნაწყალობევი პირსა დაიდო,
აკოცა. ცრემლი სდის ვითა ბისონი — ბისონი — ფისონის მდინა-
რე, ესე იგი რომელიცა ბიბლიასა შინა წერილ-არს, ედემით გამოძლი-
ნარე (შესაქმ. თ¹ 2, მუქლ. 11. ვეფხის-ტყაოსანში ფისონათ უნდა
დაიწეროს, თორემ ბისონი სხვას და სხვას ნივთთა ნიშნავს და არ
შეესაბამება აქა).

710/720

4 დაბდაბნობი — დაბდაბი, დაფი მონადირეთაცა აქვსთ
ესე, რომლითაცა ნიშანს მისცემენ ერთმანერთსა, ნადირობასა შინა.
დაბდაბი — ქართულათ დაფსა ეწოდება, ხოლო ნიშნავს არაბუ-
ლად დღესასწაულებითთა კმათა და ღალადებათა. ნობი, ნობა,
საყვირი.

711/721

2 ქოუს — ქოუს ორგუარი არის, ერთი დიდი და ერთი პატა-
რა. ეს სპარსული ლექსი არის, ქოური. ორი ერთად გარდაბმულ-
ნი იქმნებიან, კონუსის სახეთა აქვსთ ძირნი და საკრავი ტყავი გარ-
დაკრული მხოლოდ ერთს პირზედა აქვსთ თითოსა დიდთა მათ ქო-
უსთა. აქლემთა ზედა აღკიდებენ და ოდეს აზიისა მეფენი სალაშ-
ქროდ, ანუ მგზავრად სადმე წავლენ, წინ მიუძღვიან ეს დაფებ აკი-
დებულნი აქლემნი და გზასა ზედა, მანამ ადგილს [ნი] მივლენ ერ-
თბამად ნალარა ხანისა თანა უკვრენ გაუწყვეტლად, ხოლო მცირე
ქოსი, ანუ ქოუსი, ჩვენებურად რომ დამპლიპიტოს ვეძა-
ხით, იგი არს, დიდსა მას სპარსნი ნაყარასაც უხმობენ.

712/722

4 ჩანგი და ჩალანა — ჩანგი არფა, ქნარი. ჩალანა — მე-
ჩანგეთ სამღერელი.

714/724

2 მართ მისივე სიყვარული უარებდის თვალთა წინა — სიყვა-
რული ტარიელისი მიუცილებელად თვალთა წინა გამოეხატებოდის
ავთანდილს. უარებდის თანა — მავალ ექმნებოდის მარად.

4 რაცა აჯა დათმობისა, გულმან ვისმცა მოუსმინა — კაცი როდისაც მწუხარედ არის, აჯა, ანუ საწადელი ბევრის კაცისა ეს არის, რომ მოთმინება მისცეს თავის თავსა, მაგრამ როდისაც რომ გული ვერ ითმენს, ძნელი ეს არის.

715/725

ეს ლექსი მაჯამად არის თქმული.

2 მოგშორდი, ედემს ნაზარდო, ტანო ლერწამო დახეო — ლერწამსა შეამსგავსებენ წვრილსა ტანსა კეკლუცისასა. დახეო — ეს ამას ნიშნავს. დახდა, დავიდა, ჩავიდა, შთავიდა, მზე რომ დახდება, ესე იგი. რომ ჩავა და თვალთაგან მუფარება, საყვარლისა მოშორება იმას ემსგავსება.

3 შენთა მჭვრეტელთა ნიშატო, ვერ მჭვრეტთა სავაგლახეო — ნიშატი ბუნებითი ნიჭი, ანუ კეთილი ხარაკტერი, ანუ თვისება საიმედო. სავაგლახე — საჭირვო, სავაებელი და სამგლოიარო, საწუხარ[ნ2r]რი მძიმე.

718/728

3 გულსა შენ რა მოუგვარე — მოუგვარება, საქმისა წესსა შინა მოყვანა საქმისა და საწადელისა, ცდით მოხერხება: ცდიო, ესე იგი კაცი რომ ეცადოს და საქმე გვარსა შინა მოიყვანოს, ესე იგი თვისსა საწადელისა რაჟსაცა აღსრულება ნებადეს, მას შინა საქმისა მოყვანა, მაგრამ გულსა როდისაც სიყვარულით ხელქმნილია, რა მოეგვარება.

719/729

2 ამას თურმე მახარებდა, დღეს ნიშანი სიხარული — ვისაც თვალი ანუ კელი, ანუ რომელნიმე ნაწევარნი, რომელიც აზიურისა ხირომენტიითა დანიშნულნი არიან, რომ თუ კაცს ის ადგილი უთამაშებს, რეცა სასიხარულოს რასმე მოასწავებს.

720/730

1 არ დაფალმან ავმან უქმან — არ თუ სიღაფლითა, ესე იგი დაფალი ნიშნავს მაცთურებასა სიცრუეთა და ლიქვნით მოტყუებას; და არა უქმან არა თუ ქებისა უღირსმან, არამედ საქმე ბელმან.

2 ფერკთა ქვეშე ხატაურსა, უფენენ და მიწად უქმან — ავთანდილ რომ მივიდა და ვეზირი წინ მოეგება ფიანდაზედ, ესე იგი ფეხ ქვეშე გასაშლელად ხატაურსა, ესე იგი კიტაურს ოქროქსოვილს ფარჩას უფენდენ. და მიწად უქმან, ესე იგი, მიწისა მაგიერად.

რომელსა ზედაც რომ უნდა გაეველო ავთანდილს. მათ ფარჩათა შეუქმნიდნენ, ესე იგი დაუფენდნენ ფარჩასა და მიწაზედ გატარების მაგიერ ფარჩაზე გაატარებდნენ. [62v].

4 თქვეს სურნელი. სული ვარდთა, დღეს მოგვბერნა ქარმან ბუქმან — ბუქი თუმცა ქარიანი თოვლია. რომ თოვდეს და ქარი თოვლს პირში აყრიდეს კაცსა, ის არის ნაბუქი, ესე ვითარის ქარისაგან მოგროვილი თოვლი. მაგრამ ბუქმანი ზეფირის ქარსაც ეწოდება, რომელიცა ნიავეი ვარდს რომ შემოჰკრავს და ვარდის სურნელებას კაცს მოადენს. ბუქმანი ქართული ლექსია.

721/731

1 ხელეს, ჰხელეს — ცნობა მიღებულ ჰყვეს.

2 ბნედა, დაბნედა, გულშემოყრა.

4 ჯალაბობა — სახლეულებათა ნიშნავს, არაბული სიტყუა არის. ჯალაბ — გაყრა, განშორებებს ნიშნავს. გათხელეზა — შემცირებას ნიშნავს.

722/733

3 საურავი — საზრუნველი, გარდასახადი, საშუამავლო საქმე. გეთნება — სათნო გეყოფა. დარბაზი — დიდებულთა და მეფეთა პალატი.

723/733

3 შეზღვა ხამს შეუზღველისა — შეზღვა — მაგიერის გარდახდა. შეუზღველი — მაგიერი რომ არ გარდაეხადოს, ვინც იმისი თანამდებია. იგი იქმნება.

724/734

ეს ლექსი მაჯამათ არის თქმული:

1 მისი ნახვა, გულსა ჩემსა, ვითა ბადე დაეზადა — ბადის მსგავსად ჩემი გული მოინადირა მისმან ნახვამათ, ავთანდილმან ჰსთქუა. დაეზადა — ბადედ გარდექცა, ანუ ბადედ შეექმნა. დაეზადა, ბადე, რომ მოსანადირებელს რასმე თავს დაეფაროს, მაშინ ითქმის. დაეზადა — ბადე თავს დაეხურა. [63r].

2 მუნვე დარჩა დათმობაცა, მისთანავე დაეზადა — მოთმინება ჩემით, ავთანდილ იტყვის, მასთან დარჩა და დაეზადა, რომ მე უიმიოდ ვერ გავძლებო და იმისი უნახაობა არა ძალ მიძსო.

3 რადგან დასწავს მოახლეუთა, ღმერთსა მზედცა დაეზადა — ტარიელის მახლობელთ გულსა ვითა მზისა სიცხე, ეგრეთვე იმისი სიყვარული დასწავსო, რადგანაც ღმერთსა ტარიელ მზედ, ესე იგი ყოვლითა მშვენიერებითა აღსავსე დაუბადებიაო.

4 მერმე ასმათ ჩემთვის დისა, მართ დათ უფრო დაებადა — რადგან ასმათს დად აღიარებს თვისად ავთანდილ იტყვის დისაგანცა უფროს მიმარჩნია ასმათ და მებრალებაო. და ე ბ ა და — დაება, და-
ა ხ ს ბ ა — დად ყოფა.

727/737

1 ს რ ა — სახლი და სადგური დიდებულთა და მეფეთა.

2 უ ს ტ ა ს ა რ ი — კელოვანთ მთავარი ანუ კელოვანთ თავი, ესე სპარსული ლექსი არის.

728/738

1 არ მეუმზრახე — მ ო მ ზ რ ა ხ ი, პირმეტყველი, არა დადუმებული.

4 ვერათ ვერ შევინახე მან — ვერა დავფარე.

729/739

2 აქა კელი არა მხდების — კელი არ მომემართებაო, თუ იმას გავუმტყუნდებიო.

4 ვერას ვარგებ, გულსა დავსდებ — თუ ვერას ვარგებო, მაშინ გულს დავინშვიდებო და ჩემთვის ვიქმნებო. გ უ ლ ს ა დ ა ვ დ ე ბ — გულს დავიწყნარებ.

730/740

4 მტერნი თქვენნი დაძაბუნდეს — და ძ ა ბ უ ნ ე ბ ა სიმზრალისაგან მოშლილობა, ანუ ყოვლითურთ დახსნილება, ანუ დაჩაგრულება. და ძ ა ბ უ ნ ე ბ უ ლ ი — დაჩაგრული.

731/741

4 ასი ათასი წითელი, შენ ქრთამათ შეი[ნ3v]წირეო — წ ი თ ე ლ ი ოქროსა ეწოდება. ო ქ რ ო თითქო ყვითელი არის. არა წითელს ჩვენა ოქროსაც ვუწოდებთ.

733/743

1 ვეჰვ წამიცა არ წამაროს — ასე მგონია, ერთს წამსაც არ გამატარებინებს, რომ მაშვინვე მომკლავსო, ვეზირი ეუბნება ავთანდილს.

4 არ ითქმის და ვერცა ვიტყვი რაგინდა ვინ მისაგმაროს — მ ი ს ა გ მ ა რ ო ს: მიგმიროს, გ მ ე რ ა ს ნიშნავს, ესე იგი მახვილით, ლახვრით, შუბით, ანუ ხანჯლით, ანუ ამ გვარის იარაღით დაწყულულებას განწონებით, ანუ განმსჭვალვით.

734/744

1 გზა არ წავა თავსა წინა, სიცოცხლე გლახ ვით გათიო — გზაჲ ამა საქმისა არ წავა, ესე იგი, არ წარიმართება. წ ი ნ ა — წინაშე;

თავსა, ესე იგი, თავი მეფე არს და მის წინაშე ეს საქმე არ შეიძლება წავიდესო, ანუ წარსდგესო, ესე იგი, მოხსენება არ შეიძლებაო. ვეზირი ამბობს ამას და არც წარიმართება ეს თქვენი თხოვილიო მეფისა წინაშეო.

სიცოცხლე გლახ ვით გათიო — ნიშნავს, რომ იტყვიან: გათიო — ნიშნავს ამას, ლაპარაკში რომ იტყვიან, სიცოცხლე როგორ უნდა შემოგალივოვო. შემოღევა მოკლება არის. სიცოცხლე გლახ ვით გათიო — სიცოცხლე საწყლად ვითარ წარვსწყმინდოვო ამ საქმისათვისაო.

3 რად არ მუნვე გამოგონე — ვეზირი ამბობს, მეფე ასე მიბრძანებსო, რატომ იქავ არ მომიგონე, რომ ჩემ წინაშე ანისთანა სიტყუა გაბედო. რად ხარ შმაგი [ნ4რ] აგრეთიო — რასთვის მაგრე გაგიქებულსავით შექმნილხარო.

735/745

1 თუმცა მეფე გაგიშვებდეს, თვით ლაშქარნი რათ მოლორდენ — მოლორგება — მოტყუება არის, ესე ვითარი როგორათაც ღორს საჭმელს დაუყრიან ისე მიიტყუებენ, მერე სახლში შეიტყუებენ და დაიჭერენ.

3 და გვთამამდენ — კადნიერ გვექნენ, გაგვიკადნიერდენ.

736/746

1 კამს თუ დანა გულსა ვიცი — კამს — ჯერ არს. დანა — მახვილი. გულსა ვიცი, — გულზედ დავიციე.

2 შეგვეტყუების — შეგვეტყუების — გეტყობა, სჩანს რომელ (შეგვეტყუება, შეგვეერთება, ასეც გამოითარგნანება: ჯგვეტყუება — შეგვეფერება, შესატყვისი, შესაბამი). თუმცა ეს სიტყვა სხვა და სხვა რიგათ განიმარტება, მაგრამ ვეფხის ტყაოსანში ამაჲ ნიშნავს — გეტყობაო.

737/747

1 მზე დაბრუნდა არ ვიცოდი, მზესა რამცა დააბრუნებს — მზე დაბრუნდა, ესე იგი, ტარიელი პირველად რომ ვნახეთ, არ მიგვიღო და არ მოვიდა ჩვენთანო და არ ვიცოდი, რომელ რა მოაბრუნებდა მზესაო, ესე იგი ტარიელსაო (რომელიც მე ვძებნე, ვიპოვე, და გული ჩვენკენ მოიბრუნაო).

2 ამ ტაეპის შემდგომ შეუდგენს და იტყვის ავთანდილ: აწ უშველოთ გვიჯობს იგი, ნაცვლად ღღესა დაგვიტობუნებს — აწ რადგან ეს ასე არისო, უნდა ვუშველოთო, ის არის სამჯობინარიო და ღღეს

დაგვიბუნებს, ესე იგი სიხარულსა და სარგებლობას მოგვეცემს იმისი შევე[64v]ლაო.

3 ჩემი ჩემებრ არვინ იცის, რა მამწარებს, რა მატკბუნებს — ჩემი საქმე ჩემსავეთ არავინ იცის, რა გამამწარებს და რაღა დამატკბობსო.

4 ცუდთა კაცთა საუბარი, კაცსა მეტად დააჭმუნებს — ამას ნიშნავს, ვინც ცუდათ და უსაქმით იქმნება, იმათთან საუბარი და ლაპარაკი კაცს შეაწუხებსო, ამისთვის რომელ ცუდაობს და უსაქმობას დაჩვეული კაცი მხოლოდ ღზინსა და განცხრომას გამოეცილება, და რაც თანამღებო საქმე არის იმას კი დაჰკარგავსო. ამ აზრზედ ამბობს ავთანდილ არამცთუ ცუდ კაცს ვეზირს ეძახდეს. ამას ნუ ვგონებთ, ამისთვის, რომ ავთანდილ გაუზრდელი კაცი არ იყო, რომ ვეზირი ავად ეხსენებინა და ცუდ კაცობა ეთქო იმისთვის.

738/748

1 მეფე ანუ მისნი სპანი, ნეტარ ხელსა რასა მხდიან — მეფე ანუ მისნი მკვდრობანი თუ კი მე გულით და გონებით განუსვენებლობაში ვიქმნები და ხელი, ესე იგი, ვიქსავით შევიქმნები. ნეტარ ხელსა რასა მხდიან — ნეტარ რომ იტყვიან ლაპარაკში ნეტავი შემატყობინაო: აქ ამას ნიშნავს: ხელსა რასა მხდიან — თუ კი გავგიჟდები რაღას ვარგებ, ანუ რაღას გამოვადგები იმათაო.

3 სჯობს წავიდე არ გავტეხნე, კაცსა ფიცნი გამოსცდიან — სჯობსო ჩემი წასვლაო, ავთანდილ იტყვის და არ გავტეხო, ანუ არა დავარღვიო ჩემნი განზრახვანიო, რადგანაც კაცსა ფიცი გამოსცდის სიმტყუნე[65r]ზე და სიძარტლეზედაო. მე ტარიელის შეფიცებული ვარ და ვერ ვუმტყუნებო.

4 ჭირნი მისგან უნახავნი, დია ვისმე გამოსცდიან — ვისაც რომ ჭირი არ უნახავს და ჭირნახული ერთს რასმე საქმეზედ არა აქვს დადებული, იგინი დიახ ვისმე გამო, ვისიმე მიზეზით სცდიან, ანუ სცთებან. სცდიან, სცდებოდენ, სცდენ.

739/749

1 აწ ვეზირო მაგა პირსა, გული კრული ვით მოგთმინდეს — მაგა პირსა ნიშნავს მაგა თქმულსა, ანუ განზრახულსა. გული კრული — გული საკერულითა პირისა სიმტკიცისათა შეკრული. გული კრული — როგორათაც კაცს ჯოხი დაჰკრას კაცმან, იგრეთ გულსა კაცისასა, საწყენი სიტყვა დაეკერის.

2 რკინა ჩემი მონაცვალე, კამს განცილდეს. არ გატინდეს — რკინა რომელიც ჩემი მონაცვალე, ანუ მომაგიერო არის, ესე იგი, კრძალი მეფეთა რისხვისა, დამნაშავეთა მიმგები. კამს — ჯერ არს რომ განცილდეს, ესე იგი, ცვილი წმინდა სამთელსა ნიშნავს, წმინდა სამთელსავით უნდა დადნესო, ესე იგი, ჩემი რისხვა არა თუ შენ-ზედ უნდა დამშვიდდეს და ლმობიერ იქმნასო. გატინდეს — ტინი კლდუა, ანუ ქვა გამჭვირვალე და მაგარი, რომელიცა კაცის კორცს დანასავით გასჭრის, ამას უბრძანებს მეფე ვეზირსა, რომ ჩემი გული შენგან თქმულის დასამშვიდებელის სიტყვით უნდა მოღბესო, ესე იგი დამშვიდდესო, არათუ ამისთანა სიტყვა უნდა მითხრა [65v], რომ უმეტესად განრისხდესო.

3 ჯეონი ანუ გეონი — მდინარე ლეონი ედემით გამომდინარე, მდინარე რომელ გარე მოვლის ყოველსა ქვეყანასა ეთიპიისასა. ჯეონის მდინარე სხვაც არის სპარსეთისა ისტარაბათისა და თურქმანიისა სამზღვარსა ზედა ჩადის. ჯეაუნი, ჯეონი — სპარსეთის მდინარე სოფლისა სახელითა ჯეაუნს უწოდენ მდინარესა მას სპარსნი.

740/750

2 ვით მენუქვის — რასაცა იგი მოელის ჩემგანა, მეცა იგივე დავრთო, ესე იგი, შეესძინო. დავრთო გული ცეცხლთა მოსადებლად — როგორათაც რომ ცეცხლსა შეშას დაურთვენ, ეგრეთვე მეცა იმას სიყვარულისა ცეცხლსა ზედა, ჩემიცა გულისა სიყვარული დავურთოვო, ავთანდილ იტყვის.

3 გასაძებლად¹ — გასაგდებლად.

741/751

3 ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითა დაშავების — ეს ზნეთ სწავლულება არის, მრავალნი ვერ გაბედვენ რომ ჯეროვანს ადგილს სიტყვა სთქვან და საქმე წარმართონ და სხვანი არიან უჯამოდ და უწესოდ ილაპარაკებენ, ანუ მეტსა, ანუ წინა აღმდეგს, ანუ უწვრთელობითა და უზრდელობით უგვაროსა ლაპარაკსა, ანუ მეტი ჩარაობითა, საცა ვალი არა ჰქონდეს იქ იტყვიან რასმე და საქმეს წაახდენენ, ნაცვლად სარგებელთა გიობასა და შეურაცხებას მიიღებენ [66r].

4 ვიტყვი მოგვედ არა მგამა, ჩემი მზეცა თქვენ მოგხვდების — ვეზირი პპირდება, თუ უნდა მოვჰკედლო მაინც მოვახსენებ, თქვენი გულისათვის მეფესაო. რამგამა, — რა მენაღვლებაო. ჩემი

¹ ამ სიტყვის წინ +მესამე ტაეპში.

მზეცა თქვენ მოგხვდები, — მითომ რასაც ხანს მე ქვეყანასა ზედა მზესა ქვეშე დაეყოფო, ის სიცოცხლე შენთვის შემომიწირავსო — ავთანდილს ეუბნებოდა ვეზირი.

742/752

1 დარბაზს გაემართა — მეფის პალატისაკენ წარვიდა.

2 მეფე დახვდა შეკაზმული, პირი მზეებრ ეწაღმართა — შეკაზმული — მორთული სამეფოს სამკაულით. პირი მზეებრ ეწაღმართა — წაღმა — სისწორ, პირისპირ თუ მე მიჰკრეტს ვინმე პირისპირ და მე მას უჰკრეტ, წაღმა ეს არის, და თუ იგი უკანით იხედება, ანუ მე, — ეს უკუღმართ არის. წაღმა და უკუღმა — განრემზომანი არიან ერთმანერთისანი.

3 შეუშინდა საწყენლისა მოხსენება ვერ შემართა — მთაზედ და მაღალს ადგილს და ძნელას ადგილს რომ აღსასვლელად შემართოს კაცმა, ესე იგი გაბედოს დაიწყოს მასზედ აღსვლა შემართვა ის არის.

4 დაყრით დადგა იგონებდა — დაყრით, — კრძალვით დადგა, დაყრით — ესე იგი ქელებ ჩამოშვებული და თავ დახრილი. და იგონებდა — ესე იგი, ფიქრობდა და სჯიდა თავის გულში როგორ გაბედოს და რას სახით მოახსენოს მეფეს ავთან[ნენ]დილის თხოვილი.

743/753

1 დაღრეჯით — დიას მოწყენილი, შეწუხებულის სახით. დაღრეჯა მწუხარებით პირის სახის მოქმუხვა. დაყმუნებული — შეწუხებით დაღონებული და მღუმრიედ მდგომარე.

744/754

1 ჩემი ჭმუნვა ჭირსა ჩემსა, არცა მატს და არცა დიდობს — რაოდენიც ჭირი და მწუხარება მაქვსო ეგეოდენი ჭმუნვა და მწუხარებაო ამაზედ არცა აღმატებული და არცა დიდი, არამედ თანა სწორიო.

2 მეშინიან თუმცა შიშსა, მოციქული ვერა რიდობს! — ვინც რომ მოციქულად ვისთანმე იქმნება გაგზავნილი, მოციქულს არ ეშინიან და დაბარებულს მოახსენებს, მაგრამ მე კი მეშინიანო ვეზირი კელმწიფეს მოახსენებს.

3 მოაჯეობს არ წამკიდობს — მოაჯეობა, სიმდაბლითა და ვედრებით თხოვა. არ წამკიდოს — წაკიდება, — ჩხუბი და ამბობსი.

¹ როდობს

4 უ მ ი ს ყ მ ი ს ო დ — უტარიელოდ ავთანდილ. საწუთოსა მის-
თვის ფლიდობს — საწუთროსა, ესე იგი ამ სოფელსა და ყოველსა შვე-
ბასა ტარიელისათვის შეურაცხ-ჰყოფს.

745/755

4 მართალხართ ჩემთვის რისხვანი, თუმცა იანაზდენითა —
იანაზდა — მსწრაფლიად ქმნა რისხვისა თუ სხვისა რაჲსაცა.
ანაზდად, — მსწრაფლიად. ანაზდად უეცრად, აჩქარებუ-
ლად [67r].

746/756

1 გაგულისდა — გული გაიანჩხლა. გაუცნობდა —
მრისხანებით გონება მიღებულსავეთ შეიქმნა.

2 ფერი კრთა და გასაშიშრდა, შემხედველთა შეაშთოპდა —
მრისხანების ფერი დაიდვა სახეზე, საშინელად გამოაჩინა განრისხე-
ბული თვისი სახე. შემხედველთა შეაშთოპდა — შეშთობა: დაშ-
თობა, დარჩობა, ზოგი ნამეტნავათ სუსტი ადამიანი განრისხებულს
მალალს გეამს რომ ნახავს ვისმე, საშინლად ისე შეეშინდება, თითქმის
შიშისაგან სუნთქვა შეეკვრის.

3 შეუძახნა — გამწყრალმან მეფემან და განრისხებულმან
მრისხანეთ წყრომა დაუწყო ვეზირსა მალალის ხმით. შმაგი — ეს-
რეთსა გიქსა ნიშნავს, რომელიცა რომ თავის თავსაც ავენებდეს და
სხვათაცა.

4 ავსა კაცსა ურჩევნია, ავსამცა რას აღრე სცნობდა — ავს კაც-
სა ავის საქმის შეტყობა, დიახ ეხალისება და სურის, რომ რაც ავი
საქმეა, აღრე და მოსწრაფებით შეიტყოს და ავ საქმეში თითონაც
გაერიოს.

747/757

მაჯამშ არის ეს სტიხი.

1 ვითამც რამე სიხარული, საქმე მითხარ ვითა ლადრად — რო-
გორათაც რომ სასიხარულო რაჲმე საქმე სათქმელი, ისე შერაცხე
შენ ესე და მეუბნებიო. ვითა ლადრად — ესე იგი როგორათაც
რომ კაცმან გარედამ შესრულმან შინა მყოფს კაცს უთხრას, დღეს
კარგი დარი, ესე იგი კარგი ტაროსი არისო, შენ ესე ამბავი ისე
შერაცხე და მე მეუბნებიო — კელმწიფე ეტყოდა ვეზირს.

2 მაგის მეტი რა ვინ მიყოს, თუ არ მომკლას მუხთლად, ლად-
რად—ამაზედ მეტს (ავს საქმეს) ვილა [67v] რას მიზამსო და ამაზედ
მეტი ის საქმე თუ იქმნება, რომ მუხთლად, ესე იგი ლალატით და
ლადრად, ესე იგი დაუნდობელად თუ მომკლავს ვინმეო, ის თუ აღე-

მატება ამ შენგან თქმულსაო, ასეთი ძნელი სიტყვა მითხარო. და-
და რა — წერილნი ცეცხლის ნაკვერცხალნი წახვეული ნაცარში.
უეცრად რომ კაცმა კელი მიჰყოს დაეწვის და ვისაც გულში მცბუ-
რება ექმნება, და და რა ბა იგი არს.

748/758

1 კამსცა კაცმან პატრონისა, საწყინარსა არ დარიდნეს — ეს
ვალი არის კაცისაო. რომ თავის პატრონის საწყინარს ბევრჯელ არ
დაერიდება, რაც სასარგებლო საქმე იქმნება და მოახსენებს თავის
პატრონს.

2 ოდენ სიტყვა უმეტრული, უმეტარად დაიყბედნეს — ო დ ე ნ —
საზომი ღირსი საქმეთა. ს ი ტ ყ ვ ა უ მ ე ტ რ უ ლ ი — უმეტრებით
რომ დაიყბედოს კაცმან თავის უფროსს წინა. ყ ბ ე დ ი — უშვერად
და გაუშინჯავათ სიტყვის წარმომთქმელსა ნიშნავს. ყ ბ ე დ ი — უწე-
სოდ და დაუდალავათ მოლაპარაკეთაც ითქმის, რომ დასაწუნებელს
ლაპარაკსა მოუდალავად ჰყოფდეს.

3 მე მაგისა მოსმენამდის რად არ ყურნი შემეჭედნეს — მაგ
სიტყვის გაგონებამდისაო, მეფე ეტყვის ვეზირს, ყურები რომ დამ-
ხშოდა, ანუ ყურები დამცმოდა ის მერჩინაო. შ ე ჭ ე დ ა — ყოვლით-
ურთ რკინით რომ გამოსჭედოს რამე, რომელ ჰაერიც აღარ შედიოდეს
იმ ჭურჭელში, ისეც ითქმის, თუმცა ყურნი რკინით კი არ შეიჭედე-
ბიან, მაგ[ნმ]რამ მაგალითით ასე ითქმის.

4 შენ თუ მოგკლა სისხლნი შენნი, ჩემმან ქედმან მიიქედნეს —
ახლა ამ ჩემს განრისხებისათვის შენ რომ მოგკლაო, შენი სისხლი
ჩემმან ქედმან მიიქედნეს. ჩემს კისერს იყოსო შენი სის-
ხლიო, ცოდვათ არ შემერაცხებაო შენი სიკვდილიო.

749/759

3 ს ი შ მ ა გ ე და შ ლ ე გ ო ბ ა სიგიჟის ნაწილნი არიან. წ ბ ი-
ლი — შერცხვენილი და შეტუქვსილი.

4 შ ა ბ ა შ. შ ა ბ ა შ. ანუ შ ა ბ ა ა, შ ა ბ ა ა — სპარსული არის,
ქართულად დანიშნავს ვ ა შ ა, ვ ა შ ა, მოწონებასა ზედა სახელოვანთა
მიერ ქმნულთა წარჩინებულთა საქმეთასა კმასა უყოფენ ერნი ვაშა,
ვაშა.

750/760

1 დადრკა სკამნი შემოსტყორცნა ჰკრა კედელსა შეალეწნა —
და დ რ კ ა — მოიხარა და აღილო სკამი. ჰკრა კედელსა შეალეწნა —
მიახვედრა კედელსა და ვეზირს კი დააცდინა. შე ა ლ ე წ ნ ა — სულ
ლუკმა ლუკმა დაიმტვრივა სკამი კედელზე მირტყმით.

2 ააღმასნა არ აძეწნა — ძეწნი იმ ტირიფის ხესა ეწოდება, რომელსაცა ბაღში დარგვენ, დიახ ჩრვილნი რტონი და წვრილი ფოთლები ექმნება ძეწნსა, ამ ხის ქერქს დაძენძენ, ესე იგი, დაფხევენ. კანაფის მსგავსად შეიქმნება დაძენძილი, ამაჲს დააძეწვენ გუშაბავით, თამაშობასა და ხუმრობაში ანხანაგები ერომანენტას ეაგრანა და ელაღებინ.

3 ვინ აღვისა მორჩი ხეწნა — აღვის ხე, კვლავ ზემორეცა განიმარტა სურნელი და მშვენიერის ნა[ნმ]ვეთობისა მექონი ხე არის და ამისთვის მშვენიერისა ტანადობასა მას ხესა ამსგავსებენ მელექსენი. მორჩი, მოზარდი, რადგანაც ავთანდილ ახალმოწიფული ჭაბუკი იყო მორჩად იტყვის. ხეწნა, წნა და ბრწინადამ არის წარმოვებული. დაბრწნა, შექმნა ანუ დათხზვა რაჲსამე ნაკვეთოვანისა სახისა: ხე; სახე, მსგავსება.

4 ვეზირისა ცრემლმან ცხელმან, ლაწენი თეთრნი აახვეწნა — აახვეწნა — ცხელი წყალი მდულარე რომ კორცსა დაასხას ტყავსა დააბრუცებს და ააძრობს ტყავებსა. ახვეწება ეს არის, რომ დასწვას კორცი, ტყავი კორცისა და კანი მოუშალოს მის მსგავსად, ცხელმან ცრემლმან ვეზირს თეთრი პირის კანი, ესე იგი ლოყების ტყავები დასწვა, პირის კანი ააძრო, ადგილ ადგილ დაუშალა, პირი რომ დაეწოს კაცსა მზისაგან, ანუ ცხელი რამ მოხვდეს პირზე და დასწოს. პირის კანი აეცრცნება და ტყავები პირზედვე ექნება დამწვარი ახვეწა იმას ნიშნავს ვითარცა განიმარტა.

751/761

1 ვეზირმან გლახ გამორიდნა მართლ ველარას ვერ იძრწინებებს — გამორიდნა — წამოვიდა მორიდებით. გლახ გამორიდნა, — საწყლად გამორიდნა და წამოვიდა, შესაწყალის მდგომარეობის მიმღები. მართლ ველარას¹ ვერ იძრწინებებს — ძრწენა — კრძალვით და რიღით რომ მოახსენებდეს და სიფრთხილით კაცი თავის მებატონეს სიტყვასა, როგორათაც ვეზირი პირველს მოხსენება[ნმ]ში მეფესა შიშით და ძრწოლით მოახსენებდა ავთანდილის დაბარებულს და როდესაც მეფემ შერისხა ვეზირი, მაშინ ველარ გაბედვიდა სიტყვის მოხსენებას, იძრწინებებს მას ზემო თქმულს აზრს ნიშნავს.

2 გამოდრწა და გამომელდა, გულსა წყლულსა მოიმტკიცებებს — გამოდრწა, — შიშისაგან ძრწოლით და კანკალით გამობრუნდა. გამომელდა — მელა ყოველს სხვათ თავის ტოლთ ნადირთ, შუა

¹ ველარს

ყველაზედ უფრო ცულლუტია და მონადირეებს რომ ნახავს, ასე რიგათ გაეპარება, რომ გასაკვირველი არის იმისი გაპარვა. გულსა წყლულსა მოიმტკიცნებს — მეფის შერისხვისაგან დაწყლულბულის გულის ტკივილით წამოვიდა თავის სახლში.

3 შეისხასობს, გაიქუშობს — შესვლაზედ მეფესთან რომ შევიდოდა დიახ კადნიერად, ვითარცა მეფის მოხელეთ წესია. მეფის პალატში გამბედელობით შესვლა; გაის ქუშობს, მაგრამ მეფე რომ განჯრისხდა, მაშინ გა ის, ესე იგი შემდგომ გინა პალატიდამ გამოსვლაზე დიახ შეწუხებული გამოვიდა. ქუ შო ბ ა, — განრისხება და მწუხარება, გინა წყენა ერთად შეზავებული. გა მ ქ უ შ ა ვ ი; გამწყრალი. შე ის — ეს მარცვალი ნიშანია შემავალობისა, ხოლო გა ის — გარე უკუნქცევისა. ენა ასე მოაყივნებს — მო ყ ი ვ ე ბ ა საზოგადოობაში შერცხვენა. მო ყ ი ვ ე ბ უ ლ ი საზოგადოობაში და ხალხში ავით ხსენებული და ბრალეულად აღმოჩინებული საქვეყნოდ.

4 მტერი მტერსა ვერა ავნებს, რომელ კაცი თავსა [69v] ივნებს — მარადის კაცი თვისისა ცთომითა, ჭირსა და სიძნელესა მოიპოვებს.

752/762

4 რა ძ ი ნ-რ ა ძ ი — რაოდენად, ანუ რაჲცა, ანუ რაგვარადაც. რაძინ ვითა გაისვენოს — ჩემი დღენი მასცა აღგან, რაძინ ვითა გაისვენოს — ვეზირი ამბობს ჩემი დღე იმას მიადგესო, ესე იგი, ჩემი ამჟამის შემთხვეულებათ, ვინც სხვამ საწყენი რამ სიტყვა თავის ბატონს მოახსენოსო¹. და რაძინ ვითა გაისვენოს — და ვინც ასე ჩემსავით შესცდებათ, რალა განსვენება ექმნება ნისათ და ანუ რალა სასიამოვნოვო. რ ა ძ ი ნ, რ ა ძ ი — რაოდენ, ვითარ რაულად, ვითარ უკუტყე, რაჲცა უკუტყ და სხვანი ამას ყოველსავე ნიშნავს რ ა ძ ი.

753/763

1 ვეზირი გაწბილებული მივა ბედითა შავითა — გა წ ბ ი ლ ე ბ უ ლ ი — სირცხვილ მიღებული, მივა ბედითა შავითა — მივიდა შინა ბედითა შავითა. უბედურად ანუ უბედურება შემთხვეული, ბედგაშავებული.

2 ავთანდილს უთხრა დაღრეჯით პირითა გამქუშავითა — ავთანდილს უამბო ის შემთხვეულება. და ღ რ ე ჯ ი თ, ესე იგი მოწყენილის სახით. პირითა გამქუშავითა — მწყრალისა და მწუხარის პირით.

¹ იმეორებს: და რაძინ ვითა გაისვენოს, ჩემი დღენი მასცა აღგან, რაძინ ვითა გაისვენოს — ვეზირი ამბობს, ჩემი დღე იმას მიადგესო, ესე იგი, ჩემი ამჟამის შემთხვეულებათ, ვინც სხვამ, საწყენი რამ სიტყვა თავის ბატონს მოახსენოსო.

3. მადლი რა გკადრო აწ თქვენ[70r]გან გავხასდი მე მაშა ვითა — რალა მადლობა უნდა მოგახსენოვო თქვენგან, ანუ თქვენის მიზეზით გავხასდი, — ესე იგი დიდებულება, ანუ პატივი მომემატაო. მაშა ვითა, — მაშასადამე ვითარ შვენის ჩემის ხარისხის მექონს კაცსაო.

4 ვაი კარგი თავი უებრო დაკპარგე და ვაშავითა — ჩემი უსწორო, უებრო, ანუ უამხანაგო თავი დაკპარგეო. დავაშავითა ჩემის დანაშაულით და შეცთომითაო.

754/764

1 ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს, თუმცა ცრემლსა არ იწყურვებს — ამხანაგობს, ამხანაგურათ ეხუმრება. თუმცა ცრემლსა არ იწყურვებს — ცრემლი რალათ მოსწყურდებოდა, ანუ ტირილი რალათ მოუნდებოდა იმ ჟამში, იმ შემთხვეულებისა გამო. დიას ბევრი ცრემლი მოსდიოდა.

2 მიკვირს რად სცალს საწყლიანოდ, რად არ გულსა შეიურვებს — გასაკვირველი არს, მოხელეთ არც ლხინში და არც მწუხარებაში ქრთამი არ დაავიწყდებათ. საწყლიანოდ სახუმრებლად, სალალობელად.

3 ვინ არ მისცეს ქადებული, მოურავსა მოიმდურვებს — ქადებული, — დაპირებული. მოურავი ქალაქთა, ანუ სოფელთა განმგებელი მოხელე მეფეთაგან დადგენილი.

4 თქმულა ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსაც დააურვებს — საურავი გარდასახადი ხარკი ანუ ქრთამი გარდასახადი, ანუ საქმის გარიგებისათვის ფული დახარჯული. დააურვებს ურკიდამ განათავისუფლებს, ანუ საურავიდამ, საზრუნველიდამ ხსნილ-ჰყოფს. საურავი საზრუნველსაც ნიშნავს.

755/765

2 სიავე — ავობა. სირეგენე, — სისულელე უმეტარუ[70v]ლი. რეგენე რომელსა ანუ სიბრძნე, ანუ სწავლულება აკლდეს და ხელურად იქცეოდეს. შლუ ანუ შლეობა, ტუტუცობა, ჭკვა ნაკლებობა. შმაგი სიგიჟით თავისა თვისისა და სხვათაცა მავნებელი.

756/766

2 ვიაზრე — წინასწარვე გულის ხმა ვყავ.

757/767

1 აროს — არაოდეს.

2 იადონი ბერძულად ბულბულსა ეწოდება და საქართველოში მრავალგვარი არს ბულბული. ერთი გვარი არის ბულბული

უფრო მოდილო და მკერდი წითელი აქვს. ჩვენში იაღონს მას უწოდებენ. ი და მ ჳ კ ნ ა რ ო ს — და ჳ კ ნ ე ს რ ა, ოღეს და ჳ კ ნ ე ს.

3 კამს უძებნოს ცვარი წყლისა, მისთვის თავი ყოველგნით აროს — სათანადო არს, რომელ და ჳ კ ნ ო ბ ა დ მიწვენილსა ვარდსა კაცმა წყალი მოუძებნოს და მოუბოვოს, ეგრეთვე თვისსა მეგობარსა გაჭირვებაში შეეწიოს და ყოველგან თავისი თავი მეგობრისათვის უნდა გამოიმეტოს. ა რ ო ს — არონინოს, ატაროს. ტ ა რ ე ბ ა ს ი ა რ უ ლ ი ა.

758/768

2 რ ბ ო ლ ა ს ა — სირბილი არის რბოლა.

3 ასე გასრულსა რად მნუკავს — ასე გასრულსა ამას ნიშნავს გულით და გონებით ჩემის სამყოფიდაც გასრულსა და ტარიელ რომ ჩემი ძმად ფიცია იმასთან მყოფსა, რად მნუკავს — რად მენუკვის, რადღა გამოელის ჩემგან. მისთა მე ბ რ ძ ო ლ თ ა ბ რ ძ ო ლ ა ს ა, რომ მე ასე გონება მოუცლელმან იმათი ჩჭერთ ბრძოლადა შევიძლო. [71r].

759/769

1 კ უ ლ ა ც ა, კიდევატ. რ ა ზ ო მ ც ა — რაოდენცა. რ ა ზ ო მ ეს ლექსი საზომიდაც არის წარმოვებული.

2 გა ბ რ ჳ ო ს — განსაჯოს; გაასამართლოს.

4 სოფელიცა გარდიფხვრების — გარდაფხვრა, აღფხვრა, ძირითურთ აღმოგდება. გარდაფხვრა — ძირითურთ და სრულიად გარდათხრა და აღოხრება.

760/770

1 მ ო ი უ ბ ნ ე ს — მოილაპარაკეს.

3 ა ვ ე ა ვ ს ნ ა — ეგრეთვე აღესნა.

4 გაიყარნეს, ყმა წავიდა სახლად ჩადგეს მზისა წვერნი — ავთანდილ და ვეზირი გაიყარნეს იმ დროსა, მზე რომ ჩაიწვერა, მზე ჩასვლას რომ მიეახლა.

761/771

ეს სტიხი ამ ვეფხის-ტყაოსანში ფისტიკაური ს ლექსის გუარზედ არის თქმული, ამას გარდა სულ ყოველი ლექსი ვეფხის-ტყაოსანისა შეერი არის. სტიხთა ქართულთა გვარნი სხვა და სხვა საზომზედ არიან დაწყებულნი. თითო ტაეპი შაირისა, ანუ შეერისა თექვსმეტ მარცვლოვანნი არიან, ხოლო ფისტიკაურისა ოც მარცვლიანი. თვითოეულთა გუართა ქართულისა სტიხისათა თვისნი ქმანი და კილონი აქვსთ საგალობელნი ანუ სამღერელნი, გინა სალილინონი.

¹ ცხვარი

1 შეკრა წითელი ასი ათასი, პირად მზემან და ტანად სარომან — წითელი ოქროსა ეწოდება, რომელიც ფულად იმუშავება. პირად მზის მსგავსებას და ტანად საროს მსგავსებას მესტიხე ავთანდილის მშვენიერებას აძლევს.

2 სამასი თავი სტავრა ატლასი, უხვმან ნიადაგ მიუმცდარომან — სტავრა ატლასი — კიტაიური ფარ[71v]ჩა სირმით ატლასზე ნაქსოვი. სტავრა სრულიად სირმის ნაქსოვს ფარჩასაცა ეწოდება. უხვმან ნიადაგ მიუმცდარომან — უხვი ფრიად მოწყალე და გამტე-ში წყალობისა. ნიადაგ — მარადის, ყოველთვის. მიუმცდარი — სანიდაგოდ, აუცდენლად, შეუცვალებელად, უცთომელად. მიუმცდარი არისო — ესე ნიშნავს არას ჟამს არ ააცდენს და არც ცვალებას მისცემს იმ საქმესა, რომელიც საქმე კაცს უპყრია მტკიცედ. მიუმცდარი მასაც ნიშნავს, რომ კაცი ნიშანს რამე ისარს, ანუ თოფს ესროდეს და არაოდეს არ დააცდინოს. მიუმცდარი აუცილებელი საქმეც არის.

3 სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი, ფერად არ მათმან საუარომან — ლალ იაგუნდი, რომელიც ფერად დიახ მოსაწონნი იყვნეს და არათუ დასაწუნებელი. უარი, უკუ თქმა, უარის თქმა.

4 კაცი გაგზავნა ვეზირისასა ესე ყველა მისთვის არომან — მისთვის არომან — ვეზირს გაუგზავნა. არო — გაგზავნა. არო სიარულიდამ არის, ეს ლექსი წარმოებული ანუ ტარებიდამ, ვარე ვარონინე. არე არონინე. არო — არონინა. რონინი — სიარულსა ეწოდება. იარე, — ვლე.

762/772

1 ვით გაქონო — გაქონო ქონებიდამ არის წარმოებული. ქონება — ქონა. ვით გაქონო — როგორ შევძლო, რომ გაქვნიდეს.

2 გარდსახდელი — გარდასახდელი, ვალ-ჯარდასახდელი.

4 სიყვარული სიყვარულსა, შეგიცვალო შეგიწონო — სიყვარულის მაგიერად სიყვარულივე [72r] შემოგზლო. გაგიცვალო სიყვარული სიყვარულზედ და შეგიწონო, ესე იგი რაოდენათაც შენ მე გიყვარვარ, მეც იმოდენი სიყვარული შენი სასწვრით აგიწონო და მოგართო.

763/773

1 უებრობა — უებრო იგი არს, რომელსა სხვა ვინმე, ანუ სხვა რამე არა შეესწორებოდეს რა.

2 შესატყვისი: — შესაბამი, შესაფერი, საკადრისი.

3 ჰგავიდოდეს ვისცა ვისი — ვინცა ვისი სამსახური სრულისა გულითა აღასრულოს და ერთგულებითა. ჰ გ ა ვ ი დ ე ს — ესე იგი განივლინების კეთილად მიღებულ-იქმნების და მადლობით მითვალული და ასე უნდა სამსახური ერდგულის კაცისაგან და მეგობრისაგან, ვითარცა ვეზირის სამსახური და თავ დადებულება განივლიანა და მიღებულ იქმნა მადლობით ავთანდილისაგან.

764/774

3 საჩემოდ გამოძჩენელი — ჩემს სამსახურისა იმედისა და ერთგულებისა გამომაჩინებელი ხარო — შარმადინს უბრძანებს ავთანდილ.

4 მქებრად ამბისა მათისა, კამს მკითხავი და მსმენელი — მაქებელად ანუ საქებრად ამბისა, ესე იგი მეფეთა მდგომარეობისა, გინა საქმეთა შემთხვეულებათა და ვითარებათა, კ ა მ ს, ესე იგი ჯერ არს. მ კ ი თ ხ ა ვ ი და მ ს მ ე ნ ე ლ ი, რომ ჰკითხოს მათ ვინც მეფეთა ვითარებისა მეცნიერნი არიან და მათგან გულს-მოდგინედ მსმენელ იქმნას ვითარებისა მათისა ამასაც ნიშნავს. მ კ ი თ ხ ა ვ ი და მ ს მ ე ნ ე ლ ი — მ კ ი თ ხ ა ვ ი, მწიგნობარსა ნიშნავს და მ ს მ ე ნ ე ლ ი იმას, რომ ძალი წერილისა ესმოდეს.

766/776

1 არ სათუობს — სათუო საქმე, საიჭველი საქმე არის, ან აღსრულდება და ან არა [72v].

2 ყოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა გმობს და აგრე ცრუობს — ყოველს ცრუსა და მოღალატე კაცსა ღმერთის უარის ყოფა მიეწერება. და ა გ რ ე ც რ უ ო ბ ს — და ეგრეთ, ანუ ეგე გვარად მტყუანი ანუ ცრუ გამოვა.

3 გული მისი უნახავი ტირს და სულთქამს, ვაებს, უშობს — ავთანდილ იტყვის ჩემი გულიო მისის უნახაობით ტირისო, სულთქამსო. ვაებს უშობს — ვაებს ესე იგი მრავალს ვაის უშობს, უშობავს ანუ უბადავს.

4 ლხინსა არას არ იახლებს — ლხინსა არცა ერთსა არ მიიახლოვებს გულიო. ჰ კ რ თ ე ბ ი ს, კ უ შ ტ ო ბ ს — კრთის, სწყრების. ვ ა შ ო ბ ს, უ შ ო ბ ს — ვიშსა და უშს აშობს. ვ ა შ და უ შ არიან კმანი სამწუხარონი, შორისდებულნი საოხვრელნი მწუხარისა კაცი-სანი.

767/777

სამ სახედ იტყვის მეგობრისაგან მეგობრისა მიმართ შოვალეობასა. ა. პირველად, რომ მეგობრის სიახლოვე მარადის უნდა სურდეს და სიშორეს ვერ ითმენდეს. ბ. არაფერი არა უნდა რა შურდეს

მეგობარს მეგობრისათვის და მოწყინებაში არ უნდა შევიდეს ძღვნობისა, ჩუქებისა და შეწევნისათვის, გულ-მხიარულად უნდა ანიჭებდეს მარადის და არა უნდა რა დაიშუროს. გ. გავლენა, ესე იგი რაც რომ მეგობარმან თვისმან სთხოვოს, ის თხოვილი მიიღოს და აღუსრულოს და მეგობრის სარგებლობისათვის ველად გაჭრა და შრომაც თავს იღვას.

768/778

2 ამა გულისა ხლებისა — გულის ხლება, — გულის ხლება, გულის მიხლა-მოხლა, გულის მიმოკვეთება [73r].

3 რასაცა გვედრებ, ისქენდი, ვირე ჟამი გაქვს ხლებისა — რასაც მე გვედრებო, ან გარიგებო, შენ გაიგონე, მანამდის ჩემს ახლოს ხარო და არ წავსულვარ და არ მოგშორებივარო, ყველა კარგა მოისმინე და გაიგონე ჩემი სატყვაო. ხლება — გვერთ-ხლება, ანუ წინაშე მებატონეთა წარდგომა და ყოფნა.

4 შენ გაამაგრე დაჭირვა, ჩემისა ნასწავლებისა — ესე იგი, რაც მე გამცენ და როგორც მე დაგარიგე შენ გაამაგრე დაჭირვა, შენ მტკიცედ იპყარ. დაჭირვა — ესე იგი დაცვა ჩემისა ნასწავლებისა ანუ ნამცნებისაო.

769/779

1 დაამზადე — განმზადე, მოამზადე.

2 ერთობ გააცხადე — ერთობ. ერთსახედ, ანუ უცვალებელად. ერთგვარად და ერთგულად, ანუ ფრიად. ერთობ. ეს ლექსი მრავალრიგად იხმარება და საქმის ერთს მდგომარეობაზე შეუცვალებელად სიმტკიცეს ნიშნავს. გააცხადე — ცხად ჰყავ, გამოაჩინე.

3 ეთავადე — ჩემთა სპათა თავი და წინა-მძღვარი და მმართველი იყავო.

4 სამსახური აქამდისი, კვლავ გავლენა გააკვლადე — როგორათაც აქამდის იმსახურებოდი კიდეცა მეფისა წინაშე გავლინილ ჰყავ და განაახლე შენი ერთგულება და სამსახურიო ავთანდილ ამცნებს შერმადინს.

770/780

1 მტერთა ჩემთა ენაპირე — ენაპირე, ნაპირი, სამზღვარი არის, სამზღვარზედ დაუდგო, რომ მტერი არ შემოგივიდეს ჩვენს მამულშიაო. ენაპირე — უპირისპირე. ენაპირე — ენა და პირიც გამოდის ამ ლექსშია. პირით და სიტყვითაც პასუხს მიუგებდე მტერთაო [73v].

771/781

1 ესე ესმა ცრემლი ცხელნი, შარმადინსა თვალთა სდინდი — შარმადინ მსმენელმან ავთანდილის სიტყვათამან იწყო ცრემლთა დინება

3 გულსა ბინდი -- ბინდი ახალი შემოსრული ღამე.

4 წამიტანე¹ სამსახურად — თან წამიყვანე, რომ გმსახუროვო. მოგეხმარო რაცა გინდი — რაღცა გინდეს ყოველსავე სამსახურებელში მოსახმარისი ვიქმნები თქვენით.

772/782

2 რ ი დ ი — მორიდება.

3 ფ ლ ი დ ი — ცრუ, ნომტყუებელი და პირმოთნე და სიტყვით მაცთუნებელი.

773/783

3 შენგან კიდე ვინც მეფერა — შენა გარდა ღირსი ჩემი შესაბამი და შესაფერი სხვა უმეტესი ვინ შეყოლებო, რომ ჩემს მომაგიეროდ, ჩემის სახლის და საქმის განმგედ იგი დავეუტევოვო.

4 გული დაღევ — გულსა დაიღევ და გული დააჯერე რომელ ვერ წაგიტან, თან ვერ წაგიყვანო. შე ს ა ფ ე რ ი — როგორათაც ერთი ფერი მეორესთან შეახამოს, გულიცა და ცნობა კაცისა და ჩვეულება ურთიერთისა თანა ეგრე შეზავდების.

774/784

1 ერთი ვკამ — მე ერთი საკმავო ვარ. ე რ თ ი ვ კ ა მ — ჯერ არს ჩემი მარტო წასვლა. მ ე რ ე ბ ა დ — მე სასიარულოდ.

2 არ მარტო უნდა გაჭრილი — ეს კითხვითი არის აქა. გაჭრილი, — ესე იგი ველად გავარდნილი მარტო არ უნდა იყოსო. ცრემლისა სისხლსა ფერებად — რომელ სისხლით ღებდეს ცრემლსა.

3 გაჭრა კელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბე[74r]რებად — ველად გავარდნა მიჯნურთა კ ე ლ ი ა — ესე იგი საქმე ანუ წესი. რად მოიცლის ინისთვის მიჯნური, რომ შინ დაჯდეს და შინ ჯდომით თავი დაიბეროს და თავის მოყვანის შეწვენა დაუტევოს. შინ დასაბერებლად, უსაქმით და ურგოთ რათ მინდა ჩემი თავით.

4 ასრეა ესე სოფელი შესჯერდა, კვლა შეჯერებად — შე ს ჯ ე რ დ ა — ორ სახედ განიმარტება. შე ს ჯ ე რ დ ა — დასჯერდა ერთს რომელსამე საქმეზე დაემტკიცა. შე ს ჯ ე რ დ ა — დასჯასაც ნიშნავს. შე ს ჯ ე რ დ ა — მოუკლებელს სასჯელსა და შრომას ნიშნავს, მაგ., ქვეყანა შევაჯერე და ვერ ვეწიე ჩემს საწადელსაო. დაღურიცხველ შრომის მიღებას ნიშნავს. შე ჯ ე რ ე ბ ა — ეს სოფელი

¹ მიტანე

საწუთო და მაცთური ჯა მოღალატე კაცის ძვირის ყოფისათვის. შესჯერდა კვლავ შეჯერებად — დაუშრომელის და აღურიცხველის საქმით სასჯელის მოწვევას. შეჯერებად — იმის არის სოფელი შეჯერებული და დაჯერებული, რომელ კაცსა სასჯელი არ მოაკლოს. შეჯერებად — თავის თავს ეტყვის ავთანდილ წინაშე შარმადინისა — შეჯე, შეჯექ ცხენსა რებად, სავლელად ანუ სასიარულოდ გზასა ცხენს შეჯექ.

775/785

2 თავი მონად მომიმონდეს — ჩემი თავივე იქმნას მონად ჩემდა, ესე იგი, ჩემ თავს მე ვემსახურები, სხვასა არავის წავიტან თანაო.

4 სააუგო — საზრახავი და დასაწუნებელი საქმე. არ შესწონდეს — მე იგი მძულსო ავთანდილ იტყვის (ამ ტაეპშია), რომ სააუგო საქმე კაცმან ვერ განზომოს ანუ ვერ აღსწონოსო.

776/786

1 მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არა მოპკრეფს კიტრსა ბე[74v]რად — კიტრი დაბერებული რომ მოკრიფოს კაცმან, არ გამოდგება და ცუდი იქნება, ეგრეთუ საქმე თუ ყოველთვის არ დააშურა კაცმა და თავის დროზედ არ ეცადა საქმისათვის, დახანებული და დრო გამოშვებული საქმე წახდება და კაცი ცუდ მაშვრალი შეიქმნება.

3 ჩემსა მზესა დავეთხოვე, გაუშვივარ დავდეგ მე რად — ჩემმან მზემანო, ესე იგი თინათინმა. გაუშვივარ — დამითხოვა, გინა გამიშოვო და მე რალათ უნდა დავსდგეო და წასვლა დავაგვიანოვო.

4 მაშ თუ დავთმობ სახლსა ჩემსა, ველარ დავთმობ ვისა ვერად — თუ კი მე ჩემს სახლს დავთმობო, მაშ ვილა იქმნება იმისთანა სხვა, რომ ვერ დავთმოვო.

777/787

2 დაგიჭიროს — გიპყრას, მიგითვალოს.

3 სატანასგან ნუ იქ ქმნილსა — ეშმაკის ქმნილი საქმე ყოველთვის ბოროტ არს და რათ უნდა კაცმა ეშმაკისაგან ქმნილს საქმეს მიბაძოს.

4 დაიდებდი თქალთა მილსა — მილი — წყალის გასადინელი ცილინდრი.

778/788

2 საძებრისად — საძებარი, საძიებელი, მოსანახავი.

3 მომდებრისად — მომდებარი — მოდება. განმრავლება-თაც ითქმის და მოფანტვათაც, რომ ადგილზე განვრცომით დაპყარო

რამე. მომდებარი — გარდაღებათაც ითქმის, ერთი სენი რამე რომ მეორესაც გარდაედვას.

4 წამატანე — გამატანე თანა.

779/789

1 არ დამიგმობ — ღაგმობა უარის ყოფა, დაწუნება [75r] საქმისა.

781/791

2 მიაფერენ — შეათანასწორე, შეაფარდე, ცნობა ჭეშმარი-ტი გამოაჩინებს საქმისა შესახედაობასა, ანუ ძალსა.

3 ვით ეყვანი ამას ჟერენ — ეყვანი ზარაკი გრგვალი, რომლისა გულსა გამოფულვრილსა შორის ძეს ზცირედი შარიკი მეტა-ლისა და მით ჟერენ, ესე იგი კმასა სცემენ. ეყვანნი დიდნიც იქმნე-ბიან, მცირესა ბურთისა ოდენნი. ესე ვეცხლისა, რვალისა და სხვა-თა და სხვათ მეტალთაგან ქმნილ არიან. კმა მათი და ჟერა არა არს თვინიერ ნიშნისა რაჟსამე საქმისათვის კმითა მისითა სცნობენ ვითარ-ცა ზართა ცემაჲ მოწოდებისათვის არს, ეგრეთვე ეყვანთა ჟე-რა მოგვცემს ნიშანთა საცნობელთა რომელთამე საქმისათა.

4 შევაჯერენ — დარწმუნებასა და დაჯერებასა შეყვანას ნიშ-ნავს.

783/793

3 ეშვიდნების — ემშვენეიერება, ეშვიდნების, მშვენეიერისა რაჟ-სამე ხილვა, ანუ ნახვა, სახედველთა ჩვენთა განუსვენებს. ეშვიდ-ნების — იამების, ესია მოვნების.

4 შე ვით გავსძლო უმისობა ან სიცოცხლე ვით გეთნების — მე უმისოდ ვერ გავსძლებ და ჩემი სიცოცხლე მაშინ თქვენ ველარ გუ-ნობათო, რომ უმისოთ შე სიცოცხლე შემიძლოსო.

784/794

2 თნება — სათნოყოფა¹, შეწყნარება.

3 სახმილთა გზნება — ცეცხლის მოკიდება, გზნება წვა.

4 რამგამა — რა მენაღვლება.

785/795

1 სიმძიძილი — ძნელად და სამწუხაროდ საქმე აღუჩნდეს კაცსა.

2 არ გარდავა გარდულად მომავალი საქმე ზენა — რაც კაც-ზედ მოსასვლელი საქმე არის, არ გარდავა, [75v], არ ასცილ-

¹ სათნოყოფა

დება. გარდუაღად რომ დარჩეს და არ შეემთხვიოს ის კაცსა, რაც ზენაარით გაჩენილა კაცის შესამთხვევლად.

4 განგებისა გარდავლენა — განგების გარდაცილება, ანუ აცილება.

786/796

1 გ ა რ დ ა ს ა ვ ლ ა დ — თავს გარდასავალი, საქმეთა კეთილთა გინა ბოროტთა შემთხვეულებანი.

2 აღარ დამრჩეს გული ავლად — ავლი აქა ნაკვერცხალთა ფერფლსა ნიშნავს.

3 დავლა მრავლად — დ ა ვ ლ ა — საშოვარი ნივთნი, ანუ სიმდიდრე. დოვლა სპარსულად დიდებასა და სიმდიდრესა მრავალთა ოქროთა და ვეცხლისა ქონებას ნიშნავს.

4 დ ა ვ ლ ა დ — ამ ერთის სიტყვით საშოვარსაც დანიშნავს და სიარულსაცა. ავთანდილ იტყვის ამ ტაეპში ჩემს სიმდიდრეთაც და სიარულის შრომათაც და ჩემს დიდებათაც ეს მიიღის, რომ ტარიელს ვარგოვო.

787/797

1 თ ა თ ბ ი რ ი — რჩევა, გამორჩევა და არჩევანი საქმისა.

2 დ ა გ ა ჭ მ უ ნ ო ს ა — დ ა ჭ მ უ ნ ე ბ ა, გულითაც მწუხარება და მწუხარის კაცის პირის სახეზედაც გამოხატული შეწუხება.

3 ს ა ძ ა ბ უ ნ ო — დაძაბუნება, სიმზრალისაგან მოშლილი ანუ შიშისაგან დაულონობული, ანუ სენისაგან სხეულისა დახსნილობისა მიმართ მიწვეწულება. დ ა ძ ა ბ უ ნ ე ბ ა¹ — სიძველით დაწეულისა მიმართ მიახლოება. ხეს დააძაბუნებს დაფუტუროება.

788/798

1 ზ ი ა ნ ი — დაკლება.

2 ვგმობ კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ლალატინასა—ასე რომ იყოს ნასწავლი, რომ ყოველი სწავლა და მეცნიე[76r]რება იცოდეს, იგი თუმცა უ ა უ გ ო დ შეირაცხება, ესე იგი, წუნი სწავლულებაში არ ედება, მაგრამ თუ ესე ვითარს კაცსა სიცრუე და მოღალატეობა კი ეჭირება, ამისთანა კაცი საგმობელი იქნება და არა საქებელი.

3 ს ვ ი ა ნ ი — ბედნიერება შემთხვეული.

4 რ ა უ არ ე ა — უ ა რ ე — უარესი. სულ დიდსა წასვლა გვიანსა — ყოველივე საქმე თავის დროზედ უნდა აღასრულოს კაცმან და თუ იქ სულ-დიდობას, ანუ სულ-გრძელებას იხმარებს, მაშინ ის საქმე დაუგვიანდება და წაუხდება.

¹ დაქაბუნებ

ესე სტიხი ფრიად მოსაწონად არის თქმული:

1 რა უარეა მამაცსა, ომს შიგან პირის მხმეჭელსა. — რა უარეა, — რა იქმნება უარესი მას მამაცსა, ესე იგი მამაკაცსა ზედა. ომს შიგან პირის მხმეჭელსა — რომელიც ბრძოლაში დაესწრება და შიშისაგან პირის სახეზე შეწუხება და მკმუნვარება აჩნდეს, ლოყები და შუბლი ეკეცებოდეს და სახეზედ შეშინება ჰქონდეს გამოხატული.

2 შე მ დ რ კ ა ლ ი — შეკრთომით, ანუ საშინელებითა ბრძოლისათა სიმხნისა და გულოვნებისა წარმწყემნდელი. შე მ დ რ კ ა ლ ი — იგი არს რომელიცა ბრძოლისა ჟამსა საჭურველთაცა ვერღა მოიხმარებს.

3 კაცი ჯაბანი — კაცი ქალაჩუნა. რითა სჯობს დიაცსა — ესე იგი დედაკაცსა, რომელნიც ქსელითა ძაფისათა ქსოვენ რასმე. მ ბ ე ტ ე ლ ს ა: ბეჭვა, ჩაბეჭვა იმას ნიშნავს, დედაკაცი ნართისას, ანუ აბრეშუმისას სამოსელსა, ანუ ზონარს რასმე ქსოვდეს და ჰბეჭვედეს, კელით ანუ საბეჭავის იარაღით. [76v].

4 სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა — ყოვლისა ნივთის შეკრებას, სახელისა და სახელოვნების მოგება და შეკრება სჯობს. სახელოვნება აღიდებს კაცს საუკუნოდ. მოხვეჭა, შეკრება, მოგროება ოქროსა, ვეცხლის და ნივთთა. მო მ ხ ვ ე ტ ე ლ ო ბ ა — ნივთთ მოყვარეთაგან და ანგაართაგან შეკრებასაც ნიშნავს.

790/800

ეს ლექსიც ფრიად კელოვნებითა არს შეწყობილი.

1 ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი — სიკვდილს ვერც ვიწრო გზა და ვერც კლდიანი კაცს ვერ გადაარჩენს, რადგან ყოველს კაცს მართებს სიკვდილი.

2 მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალგულოვანი — სიკვდილი სუსტსა გინა ძალგულოვანთა ზედა სწორად მოქმედებს, მეფეთა ზედა დიდ-შემძლეთა, გინა უღონოთა.

3 ბოლოდ შეპყარნეს მიწამან ერდგან მოყმე და მტკოვანი — ბოლოს მიწა ერთად შეპყრის, ესე იგი ყოველთავე მიიღებს წიაღსა შინა თვისსა, ყმაწვილსაცა და ბერს კაცსაცა.

4 სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი — სიცოცხლეში კაცი ან ჯაბნობით რომ დაწუნებული იყოს, იმ ცუდს სახელს სიკვდილი ურჩევნია.

791/801

4 ნ ა ზ რ ა ხ ს ა — ნაზრახი, ესე იგი ხალხში განქიქებული ანუ მოყენებული. ამასვე ტაეპსა შინა სიცოცხლე მქონდეს ჟამისად —

დროჲსად, ესე იგი ჟამისა მის შესაფერად, ანუ სიცოცხლე ჭირისა, ვინაჲდგან ჟ ა მ ი ჭირისა სენსაც ნიშნავს.

794/804

2 ხ ა ნ ა გ ა — საობლო სახლი.

4 ცეცხლთა ცხელთა დამავსებლად — ცეცხლის დავსე[77r]ბა ცეცხლის დაშრეტასა, ანუ ცეცხლის გაქრობას ნიშნავს.

795/805

1 არ გეცნევის — არ გეცნობების, ვერ შეიტყობთ.

2, 3 ამაღ გვედრებ სულსა ჩემსა, წიგნი გკადრებს არ გეთნევის, არას არგებს ეშმაკისა საქმეთაგან დაეძლევის — მეფესა სწერს ავთანდილ — ავედრებს თავის სულს მეფესა, ჩემი წიგნი მოგახსენებს უთნებლად ამ ვედრებასაო, თუმცა ჩემი მოხსენება თქვენთვის სათნები და სასიამოვნო არ იქმნებაო. თუ რომ მე მოვკვდებიო, თუ თქვენ მიერი შენდობა ჩემს სულს არას არგებსო, სჩანს, რომ ეშმაკის საქმეთაგან ჩემი სული ძლეული შეიქმნებაო.

4 შემინდე და შემივედრე, მკვდარსა რასა გარდმეკდების — რაღა გარდმეკდების — მკვდარს რაღა უნდა გარდაქდესო და მანინ რაღას გარდამაქდევინებთო.

796/806

2 ნაკად აქვს ჭირი სამისოდ, ამ წელიწადსა წლეულსა — როდისაც ნაკის წელიწადი მოვა, იმას ჩვენში ბედნიერს წელიწადთ არა ხადიან. ავთანდილ სწერს ნაკის მსგავსად ამ წელსა ჩემს შერმადინს ჭირი დაემატაო, ესე იგი, ჩემს მოშორებების მწუხარებაო. ნ ა კ ი — დამატებულად გამოითარგმანება. რომელნიმე მოკლებულად სახელ-სდებენ. ასეც გამოითარგმანება. ნ ა კ ა დ ი ანუ ნაკადელი, წყლიდამ გარდმოყოფილი ნაწილი საკუთრად მომდინარე. ნ ა კ ა დ ი — ცრემლის დინებასაც ნიშნავს.

800/810

1 ღმერთო, ღმერთო, გეაჯები — გ ე ა ჯ ე ბ ი — გვედრები მხურვალედ.

801/811

3 მ ა ვ ნ ე — ვნებისა შემამთხვეველი, მავნეს ღამე რომ ეშმაკი ანუ შეაშინებს, ანუ ვნებას რასმე მისცემს კაცსა, მას უწოდებენ. მ ა ვ ნ ე — ეშმაკი. [77v].

802/812

2 თუმცა ვამნი აღიადნა — ვამნი, ვაება გაადიდა.

803/813

3 რა გათენდა ქუში ადგა — ქუ შ ი — გულ-მწყრალობა ანუ გაჯავრება რომ პირზედ გამოეხატება კაცსა.

804/814

4 გაგათრივე — შეურაცხყავ, გათრევა, — თრევაც არის რომ წააქციოს კაცი და ათრიოს, მაგრამ ვეზირი, სიტყვით შეიქმნა მხოლოდ გათრეული, ანუ გაბასრული.

805/815

1 ასე ავად რად გაგქადე — გაქდა, განქდა, — შინადამ გარეთ რისხვით განგდება.

3 საქმე ხოლე გაიცადე — ხოლე ნიშნავს ყე. მდაბიურად — ხოლმე საქმეს გაიქცდიდე, ესე იგი საქმეს გაშინჯევდე ხოლმე და ისე იტყოდე, ანუ ჰყოფდე.

806/816

1 სიტყვა ნაგუშინდღევი — გუშინ ნათქვამი სიტყვა კვლავ განაახლა.

2 პასუხი არ ნაგრძელევი — პასუხი შეუთვალა არა გრძელის სიტყვითა.

3 შენ თუ უშმაგო მგონიხარ, ვარმცა ურია მელევი — შ მა გ ი — გიჟურის სიფიცხის მექონი. ვარმცა ურია მელევი — ესე რომ არის აქ ხსენებული მ ე ლ ე ვ ი მე ესრეთ ვგონებ, ლ ე ვ ი არ არის უ რ ი ა მ ე ლ ე ვ ი, — რადგან ურიანი მცბიერნი ხარაკტირისანი არიან, მელათა ამსგავსებს ურიათა. მ ე ლ ე ვ ი მელის მოქმედებისა მყოფელი. მ ე ლ ე ვ ი — მელთა მიმბაძველი.

4 კვლავ მაგის მეტად ნუ მასმენ, თორემ მე სულად გელევი — თორემ მე სულად გ ე ლ ე ვ ი — სულს ვიდრემდის დავლევდე, ესე იგი, ვიდრემდის სიცოცხლეს დავასრულებდე ამ თხოვილზედ არ გეთანხმებო და შენს მოხსენებას წინა აღუდგებო. ს უ ლ ა დ გ ე ლ ე ვ ი [78r], ანუ ს უ ლ ს შ ე მ ო გ ა ლ ე ვ — განრისხებულნი კაცნი და საჩხუბრად მიმდგარნი ერთმანერთს ეტყვიან ს უ ლ ს შ ე მ ო გ ა ლ ე ვ და შენს ნებას კი არა ვიქო, ესე იგი სულის დაღვევას და სიკვდილს აღვირჩევ და შენ კი არ გეთანხმებო.

807/817

1 რა გამოვიდა, ვეზირმან ძებნა, ვერ ჰპოვა მინანი — მინა ბროლი ანუ მინიატური. მინა — მინოს ბრძენი. მინა — სპარსულად ცასაცა ჰქვიან. მინა — მინებს, მნებავს ასეც ითარგმანება.

კვალად მინა ჭურჭელი კეთილთა სულნელებათა და სხვა და სხვა რიგად განიმარტება.

2 მართ გაპარვასა უთხრობდეს მონანი ცრემლთა მდინანი — ცრემლის დინებით, ანუ ტირილით.

808/818

1 გზავნის — გზავნიდა.

2 გამჟღავნის — გამჟღავნება, გამოცხადება საქმისა, ანუ შემთხვეულებისა რაღსამე. გამჟღავნება, დაფარულისა ანუ სამწუხაროსა ამბისა გამოცხადება.

3 ჭმუნვა ამით გაათავნის — ჭმუნვა, — წუხილი არის. გაათავნის დართვიდა, ანუ შეასრულებდა, ესე იგი მწუხარებასა ზედა ეჭვსაცა აღუმატებდა და ზედა დართვიდა.

809/819

1 თავდადრეკით იგონებდა — ფიქრში და საგონებელში თავს რომ მოიხრის კაცი.

810/820

2 მეფემან ჰკითხა: წასულა მზე დაუდგრომლად მთვარულად — მთოვარის ნათელი დღითი დღე მიქცევისა ჟამსა აკლდების. მზე დაუდგრომლად, ესე იგი ოდესცა მზე ნათელსა თვისსა მოაშორებებს მთოვარესა, მაშინ მთოვარე ვერღარა გარდამოსცემს ნათელსა. ესე შემსგავსება არს ავთანდილისა გაპარვისა.

4 დარი არ დარობს დარულად — დარი ეწოდების ულ[78v]-რუბლოსა და უქაროსა და უწვიმოსა და უთოვლოსა და უსეტყვოსა ტაროსსა, გინა ჰაერსა კეთილსა და საამოსა. დარი შეემსგავსების მხიარულებასა, ხოლო ავი დარი მწუხარებისა სახე არს.

811/821

1 დაიძახნა მეტის მეტნი — მეტისმეტი დაძახება, ანუ ხმის აღმოტევება ჰყო მეფემან მწუხარებითა საგლოვად.

2 ველარ განახვენ თვალნი რეტნი — რეტი, — ესე იგი გრძობა შერეულებასა დანიშნავს, ოდესმე თვალნი აერევიან, კაცმან რა განსაკვირვებელი რამ ნახოს და ოდესმე მწუხარებითა თვალნი აერევიან, რომ სწორეთ სახედველი და გონება ველარ გაარჩევს და თითქმის ვნებულებაში მიიწევა.

3 პირსა ხოკით — ლოყათა ფჩხილებით იკაწვრიდა. გააკვირვნა მისნი მჭვრეტნი — მჭვრეტნი — მაყურებელნი.

4 საღ წახე — საღ წარხედ, საღ მიეფარე.

1 ღ ა რ ი ბ ი — მწირი, გინა უცხო თავის ქვეყნიდამ უცხოებაში წარსრული და უცხოს ქვეყანასა და თემს მისრული.

2 მაგრა მე რა ვქნა, გაზრდილო, აწ სახლად მმართვეს სენები — წინას ტაეპში რომ იტყვის თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენებო, რადგანაც შენ ეგეთი სიმხნე გაქვს და ძლიერება, შენ ღარიბად და საწყლად უცხოებაში არ გამოჩნდებიო. მაგრამ ჩემს მახლობლად რომ ჩემი გაზდილი აღარ მახლავხარო, მე სახლსა ჩემსა უშენოდ დაშთომილსა შენისა მწუხარებით ს ე ნ ე ბ ი, ესე იგი, სნეულება და საღმობა დამემართებაო. ს ე ნ ე ბ ი — სნეულებაები.

3 გამალარიბე, დამაგდე, გულსა გლახ ვისთვის ენები [79r] — გა მ ა ღ ა რ ი ბ ა — ვითა სიმდიდრისაგან ცალიერი იქნას კაცი, შენის მოშორებით ისე შევიქმენო¹. დ ა მ ა გ დ ე — დამიტყევე. გ უ ლ ს ა გ ლ ა ხ ვ ი ს თ ვ ი ს ე ნ ე ბ ი — ჩემს საწყალს გულსა ვისთვისა ნებედიო, (ანუ სწადლიო) და შენ ასე დამიტყევეო (თინათინის საქრმოთ რომ სწადდა ავთანდილ მეფეს, ამისთვის იტყვის).

4 შენდა შეყრამდის პატიჟთა ჩემთა ვერ იტყვის ენები — მანამდის შენ გნახევდეო, პ ა ტ ი ჟ თ ა ესე იგი ჩემს სასჯელსა როგორ შეიძლება რომ არა თუ ერთი ენა ანუ მრავალს ენებს შეეძლოსთ გამოთქმათ ამ ჩემს მწუხარებასაო.

2 ტანსა მჭევრსა, ჯავარ სრულსა — ტ ა ნ ი მ ჭ ე ვ რ ი. ტ ა ნ ი მჭევრი. მ ჭ ე ვ რ ი — თუ ვსთქვით ე ნ ა მ ჭ ე ვ რ ი — ესე ნიშნავს რიტორად და მშვენიერად კანონიერსა ზრახვასა ანუ მეტყველებასა, ესე იგი ლაპარაკსა მშვენიერ-სიტყვაობასა. თუ ვსთქვით ტ ა ნ ი მ ჭ ე ვ რ ი — მშვენიერთა ტანთა არა თუ მოხრით, არამედ გამართულად და სწორედ როგორც მშვენიერს დააშენებს ისე პყრობა ტანისა. ჯ ო ჰ ვ ა რ ი, — არაბულად არსებასა ნიშნავს, გინა ჯ ო ჰ ვ ა რ — სპარსულად შემკობილებასა სახისასა მშვენიერთა ვაჟთა ანუ ქალთასა, რომ რაც ნიჭნი არიან, მშვენიერებისა არა აკლდესთ რა და სახისა მშვენიერისა პირისა ელვარებასაცა ჯ ო ჰ ვ ა რ ი ეწოდება და რომელნიმე სილამაზის ნიშანნი ბუნებითად მოცემულნი არიან მშვენიერთა სახეთა აღმატებნიან, ესე იგი ელფერი უშესაბამესად შეზავებული, ხალნი პირთა ზედა, თვალნი უცხოოდ რამე გულისა საამოდ გამამკრთოლვარენი და სხვანი ესე ვითარნი ნიშანნი აღმა-

¹ შევიქმენო

ტებიან მშვენიერებასა, ვითარცა ჯავარი რომელიცა ნიშნავს ჩვენ-
ბურად ხორასნულისა რკინისა სიჭრელესა, ეგრეთ [79r]ვე ეს სახედე
იხილვებიან ჯავარი იცხრა ტყავის ჯოხთა ზედა ლეკურისა ხისა
ფიცართა ზედა და კაკლისა ხისა ფიცართა ზედა და რომელთაჲ
სხვათა ხეთა ზედა, რომელსაცა რკინისა ანუ ხესა ჯოვარნი პეონან,
ფრიად ამშვენიერებენ მათ და ამისთვის ძვირფასად ირიცხვებიან.

3 ვერ ვისშენ ქმასა შენსა სასმენელად მე მასულსა — მასულ-
ლი სიტყვას ნიშნავს, რომელიც სულსა განაძლიერებს, განამხნობს
და განამხიარულებს. მასული — პირსა ნიშნავს, ესე იგი მშვენი-
ერსა და საამოსა მზრახველსა კაცსა, რომელიც სიტყვით მოღსურე-
ლებელ არის კაცისა. მოსულიერება — გულ-შემოყრილი¹ კაცი
რომ მოაბრუნოს კაცმან იგი არს, ანუ ფრიად დასუსტებული და
დაუსუსურებული განაძლიეროს. უსუსურება — სულ-მოკლეობა-
საც ნიშნავს.

815/825

2 ჯარია — დაჯრას ნიშნავს, ესე იგი ხალხი რომ შეიყაროს
ერთს სახლში ესეოდენნი, რომ დიდი იწროება იყოს მათ შორის.
ხასნი დარბაზის ერნი არიან. კელითა წვერთა ტაცისა —
წვერთა კელის ტაცება, წვერის საგლეჯად საჩქაროდ მიყოფა კელი-
სა. ტაცი — ტაცებასავით მწწრაფლის მოქმედებით რომ კელი
სტაცოს რასმე. კელის ტაცება იმასაც ნიშნავს გაქცეულს კაც-
სა, ანუ ცხოველს რასმე გამოუდგეს კაცი და მწწრაფლის მოქმედ-
ებით შეიპყრას.

3 იგლეჯს — გლეჯას ნიშნავს. კმა ისმის თავსა ტკა-
ცისა — მოპარსულს თავზედ რომ გაშლილი კელი მაგრიად დაჰ-
კრას კაცსა და ხმა რომ გამოხდება დაკერის დროს ტკაცი მას ნიშ-
ნავს.

4 რადგან მზე მიგვიდრკაცისა — მზის მიდრეკა მზის გარ[80r]-
დახრას ნიშნავს, ჩასასვლელად რა მიახლოვდება დასაველთს.

816/826

3 გაგვყარნა — დაგვაგდო, დაგვყარნა, გაგვიშვა, დაგვი-
ტევა. გაგვაწირნა — გაწირვა იმას ნიშნავს, კაცმა რომ კაცთა
უგულეებელს ჰყოს.

4 სპანი მისგან დაჭირულნი, ვინცაღა ვით დაგვიჭირნა — სპა —
მკედრობა. დაჭირულნი დაპყრობილნი, დაწესებულნი, მომის-
დულნი. დაჭირული — ჭირი ანუ ვნება რამ რომ მიიღოს კაცმა.

¹ გულ-შემოყრილი

დაჭირულნი — ჭირ-მიღებულნი. ვნებული, დაპყრობილი ჭირითა რაჟთამე. ვინცალა ვით დაგვიჭირნა — ვინცალა — ვინ რომელმან მცალა. დაგვიჭირნა — დაგვიპყრას, მეფე იტყვის უიმისოთ ჩვენი მხედრობაც წესილამ შეიცვალეზიანო, ვილა დაგვიპყრობს იმათ თავის წესზედაო.

817/827

4 სიცოცხლე უჩნდა ზიანად — ზიანი — დაკლება. ზიან სპარსული ლექსი არს.

818/828

1 დანაწერი — დაწერილი.

4 სიცოცხლე მჭირს შეუფერი — შეუფერი — შეუფერებელი, უშესაბამო.

820/830

1 მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორება გაანათლებს — როდისაც მთვარე გაივსება სრულად ნათლითა, მაშინ მზე თუმცა მთვარეზედ უფრო შორს საზომზედ არის განშორებული, მაგრამ რადგან პირდაპირ სჭვრეტს, სრულიად იმის სფეროს ანათლებს. ეგრეთვე როდესაც საყვარელი საყვარელს მოშორდება, თუმცა ერთმანერთის მოშორებულნი არიან, მაგ[მ0v]რამ მაშინ უფრო უმეტესის სიყვარულით აღვსილი გული ერთმანერთს, ვითარცა პირის-პირ მჭვრეტნი იმ გრძნობით, გონების თვალთ ხედვენ და ერთმანერთის ყოვლითურთ დაუვიწყებელის სიყვარულის ნათლით თავი გულის სფერო სრულიად აღვსილი აქვსთ.

2 რა იახლოს, შუქი დასწავს, გაეყრების, ვერ იახლებს — როდესაც მთვარეს ნათელი მზისა იახლოს, ესე იგი მიახლოვდეს, მრავალჯერ მოხდება, რომ ასე განახურებს (ესე იგი გააცხელებს) მთვარის სფეროსა, როგორათაც რომ ცეცხლი ისე შეიქმნება, ეგრეთვე გულსა საყვარლისასა აღაგზნებს სიყვარულის ცეცხლითა, ჭვრეტა საყვარლისა და თუ ნათელი მზისა მთვარეს გაეყრება (ესე იგი თუ მოშორდება), ვრიდათი იახლებს მთვარე, ესე იგი, ვრიდათი განახლებს, თუ მზის შუქი არ ექმნება. იახლებს — აქ ამ აღვიღს ეს ლექსი ნიშნავს განახლებას. განახლება გულის მხიარულებას ნიშნავს და როდისაც საყვარელი თავის საყვარლის პირის ელვარებასა და ნათელს მოშორდება, რაღა მხიარულება ექმნება იმას გულსა.

3 მაგრა ვარდსა უმზეობა გაახმობს და ფერსა აკლებს — როგორათაც, რომ ვარდსა დააჭნობს და ფერს აკლებს მზის მოშორება, ეგრეთვე საყვარელს საყვარლის მოშორება.

4 ჩვენ ვერ ვჭვრეტა საყვარლისა ჭირსა ძველსა გაგვიანლებს — ძველს ჭირს ავთანდილ ამას უწოდებს, როდისაც პირველათ, რომ თავის საყვარელს მოშორდა და ტა[მირ]იელის საძებნელად წავიდა.

821/831

1 წ ა მ ა ვ ლ ო ბ ა — წარმავლობა, მოგზაურობა.

2 მივა და მიტირს — სიარულში, ესე იგი მიმავლობაში სტირის. მი ტ ი რ ს — ასეთი ძალი აქვს ამ ლექსსა, რომ მიტირს რომ ვსთქვათ, მაშინვე გამოხატავს კაცი, რომ გზაზე მიდიოდეს ტირილით. მი ტ ი რ ს — მოგზაურობას და ტირილს ორსავე ერთ ქაშში ნიშნავს. გ უ ლ-მ დ უ ღ რ ა დ — როდისაც კაცი ტირის, იმისი გული მაშინ დულს. ვერ იტყვის ცრემლთა მცრობასა — მცრობა სიმცირეს ნიშნავს და იგი მოგზაური არა მცირედ სტიროდა.

3 წ ა მ-წ ა მ — მალ მალ, ხშირ ხშირად. მ ო ბ რ უ ნ დ ი ს ი ა ჯ-დ ი ს — მალ მალ გამობრუნდებოდა ავთანდილ, პირს თავის საყვარლისაკენ იქმოდა და ი ა ჯ და, ესე იგი სუროდა. მისთვის მზისავე მზობასა — ესე იგი საყვარლის კვალად ხილვასა.

4 უჭვრეტდის, თვალნი ვერ მოხსნის — უყურებდა საითაც თავისი საყვარელი ჰყვანდა იმ მხარესა და თვალს ვერ მოაშორებდა. თუ მოხსნის, მიკდის ცნობასა — როდისაც თვალს მოაშორებდა¹, ცნობა მიეხდებოდა

822/832

1 რა მიახლის დაბნედად ვერ კელ-ჰყვის გაძვრად ენისა — როდისაც რომ ამ მწუხარებით იქამდის მიაწევდა, რომ უნდა გულს შემოჰყროდა, ასე შეიქმნებოდა, რომ ენას ველარ გასძრევდა, ესე იგი კმის ამოღება აღარ შეეძლო.

2 მაგრამ სდის ცრემლი თვალთაგან, მსგავსად დილაჯის დენისად — თუმცა კმის ამოღება აღარ შეეძლო, მაგრამ თვალთაგან კი ცრემლი ჩქარი სდიოდა. დ ი ლ ა ჯ ი წყაროსა ეწოდება, ჩქარად გამომდინარეს და კვალად დ ი ლ ა ჯ ი ანუ დ ი ჯ ლ ა მდინარე ქიშმირისა ქვეყანისა ერთსა მდინა[მირ]ურესა ეწოდების, რომელიც დიახ ჩქარად მომდინარეობს. დ ე ნ ი ს ა დ ნიშნავს მომდინარეობას.

823/833

1 კ რ უ ლ ი — შეკრული — სხვა და სხვა გვარად ითქმის. შე კ რ უ ლ ი — საბლით ანუ თოკით რომ კაცი შეიკრას. შე კ რ უ ლ ი — წყევით რომ კაცი შეიკრას და სხვანი. და დ უ მ დ ე ს — დაჩუმდეს, მღუმარე შეიქმნეს.

¹ მოაშორებდა

2 რადგან შენ დაგრაა გონება, გული შენკევე დაბრუნდეს — გონება თვისი საყვარელმან საყვარელსა თვისსა სრულიად დაუნარჩუნა, ესე იგი სრულიად საყვარელს მისცა თავის გონება და რადგან გონება მთართვა, გულიცა თვისი მისკენ მიაქცევა და იგიცა საშორესა შინა ხედვასა მისსა მისცა.

3 თვალთა მტირალთა შეხედვა შენივე სწადდეს და უნდეს — თვალნი საყვარლისათვის მტირალნი მარადის საწადელითა, ესე იგი გულისნდომათა თვისთა და სახედველთა თვისთა განუშორებლად მიაქცევენ საყვარლისა მიმართ.

4 სჯობს საყვარელსა მოყვარე რაზომცა დაუზაბუნდეს — უმჯობესი არის, რომ თავის საყვარელს, ესე იგი ვისაც ერთი მეორე უყვარს, იმას თავისი თავი დაუზაბუნოს, ესე იგი თავი დაუმდაბლოს კაცმა ანუ სრულიად დაემონოს. ერთმან უკვე მეორე რომ ძალით არის თუნებით, რომ დაიმორჩილოს და თავის ნებას ქვეშე ასრეთის სახით შეიყვანოს, რომ სრულიად არაფერი თავისის დამმორჩილებელის წინა-აღმდეგი არღარა შეეძლოს რა — დაზაბუნება მას ნიშნავს.

824/834

1 ანუ რას მეჭვდელ ღხენასა — ამაზე იჭვი არ უნდა [82r] გქონდესო, რომ მე უშენოთ ღხინი, ესე იგი სიხარული არ მექმნებაო (ამ ლექსში სხვა კარგა გაიგონება ნათლად არის).

825/835

მაჯამად არის თქმული.

1 სტირს, იტყვის დადგა კეშანი ლახვარმან ჩემთვის ათმანო — ტირილით იტყოდა ავთანდილ კეშანი, ესე იგი კაეშანი, რომელ არს სევდა, ანუ გულისა ურვილი, სიყვარულით და სიყვარულისათვის მარადის ფიქრი. ესე კაეშანი ჩემთვის, ესე იგი მე დამიღვა ანუ განმიწესა ლახვარმან ათმანო. ლახვარი ხომ, რომელიც კაცსა განგმერთი დააწყლულებს, ის არის, ესე იგი შუბი, ხანჯალი, დანა და სხვადასხვა იარაღები ესე გვარი. ათმანო, ათმან — ესე იგი ათრიცხვედმან. ათმანო: ევა ანუ, ავა თმანო. ესე იგი მშვენიერისა თვისისა სატრფიალოთა თმათა ახსენებს.

ამ მაჯამაში ყოველ ტაეპში თმას ახსენებს: ლახვარი საყვარლისა გულისა მომწყვლელნი არიან თვითოეული მშვენიერისა სახისა კერძონი ანუ ნაწილნი. კაეშანი ქართულია, სოვდა არაბული.

2 ძნლოთა რაზმი ჩემად კვლად თქვა ესე ტევრი ვთხზათმანო — ძნლოთ რაზმნი — ძნლოთ მწყობრთა ნიშნავს (რომელიც შეშორეცა მითქვამს). აღმოსავლეთის მესტიხენი ძნლოთ რაზმისა

თვალის წამწმებს უწოდებენ. ტევრი ხშირს ტყეს ეწოდება, რომელსაც რომ ნახავს კაცი, გულს იმისი ნახვა იამება. წამწმები საყვარლის გულისა მახვილი და ისრები არიან. სთქვა ესე ტევრი ვთხზათმანო — ესე იგი, ესე წამწამთა ტევრნი შევთხზათ, საყვარლის გულის განსაგმერთათო, მან სთქვაო ესე ზემო თქმული.

3 თვალთა გიშერი აშვენებს სათმან რად მომკლა სათმანო — გიშერსა, რომელიცა არს შავი ბრწყინვალე ქვა, თვალთა სიშავესა ამსგავსებს. სათმან რად მომკლა სათმანო — სათი [82v] იგივე გიშერისა ქვაჲ არის (სხარაულის სახელით) უფრო უმჯობესი და უფრო შავი და ბრწყინვალე არის. სათმანო აქა სათმანსა სათმოს უწოდებს, ესე იგი თნისა შავისა ფერისათვის, რომ სათმო ფერი არისო, სათისა ფერი, შავი და ბრწყინვალე.

4 ბაგე, კბილო და თვალწარბო, მიმცემდით პატიჟთა, თმანო — ბაგესა, კბილსა, თვალთა და წარბთა საყვარლისათა ახსენებს და იტყვის პატიჟთა, ესე იგი ურვათა, გინა გულისა ტყვეობასა და საყვარლისათვის კრულებასა, ესე იგი როგორც კელი და ფერხი შეუკრას კაცმა კაცსა, ისე ჩემს გულს პატიჟს აძლევენ ეს საყვარლის მშვენიერნი ნაწიეარნიო. მიმცემდით პატიჟთა, თმანო, ესე იგი როგორათაც კაცი შეიკვრის ჯაჭვითა ანუ თოკითა, თმის ნაწნავს თოკს ამსგავსებს, ეგრეთვე გული ჩემი შეკრულ არისო ჩემის საყვარლის მშვენიერის თქმისა მოგონებითაო.

826/836

ეს ლექსი ლოცვა არის — აქ რუსთაველი გამოაჩინებს თავის თავსა, რომ საღმრთო წერილიც კარგათ და ზედმიწევნით სცოდნია, რადგანაც რომ ღმრთის-მეტყველურს გვარზედ უთქუამს ეს ორი ლექსი.

1 იტყვის მუ, მზეო, ვინ ხატად გთქვის მზიანისა ღამისა—ღმერთი არის მზე დაუბადებელი და უნივთო, ნათელი, ხატი და სახე არს მზიანისა ღამისაღ, ესე იგი განმანათლებელი არს ღამისა, ესე იგი ღამე უმეცრებას ნიშნავს¹ და მზე ნათელსა ცნობისა ღმრთისასა. ღამე მიუწოთმელობა არის ღმრთისა და მზიანი ღამის არის, რაოდენ შესაძლებელი არის კაცისა გონებისაგან ვიცნობდეთ და აღვიარებდეთ ღმერთსა, როგორათაც იოანე მოციქულა ღმრთისმეტყველი და [83r] მახარებელი იტყვის სახარების პირველს თავში — ნათელი ბნელსა შინას ჩანს, ესე იგი, გონება კაცისა თუშეცა ღმერთს ვერ მისწვთება ბუნებითა და არსებით, რომ ეს-

¹ ნიშნას

რეთ იცნას, როგორათაც სხვა ადვილად საცნობი ნივთები, მაგრამ ცნობა ღმრთისა რაოდენ შესაძლებელი არის სარწმუნოებით და ბუნების ცნობით კაცსა აქვს ესე თვის შორის და სახითა ამით ნათელი იგი ღმრთისა ცნობისა მას ბნელსა, ესე იგი გონებასა შინა კაცისასა არის გამოჩინებული.

2 ერთმანერთისა ერთისა მის უჟამოსა ჟამისა — ერთ-არსება სამგვამოვანისა ღმრთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა არს. ერთ-არსება, ერთი ბუნება და ერთი ღმრთაება აქვს მას სამგვამოვანს ღმერთსა. მის უჟამოსა ჟამისა — ღმერთი არს დაუსაბამო, სამარადისო და დაუსრულებელი თვით დამბადებელი არის და იგი არავისგან არის დაბადებული, და რადგან დაუწყებელი და დაუსრულებელი არის, ამისთვის ჟამსა შინა არა შემოვალს იგი, არამედ ჟამი მისი სამარადისოება, საუკუნო არს.

3 ვის მორჩილებენ ციერნი, ერთი იოტის წამისად — ციერნი არიან ანგელოზნი, გინა სხვანი ღმრთისა მიერ დაბადებულნი მნათობნი, პლანეტნი და ყოველნივე ციერნი დაბადებულნი და იოტის წამი სრულიად უმცირესი ნაწილი არის ჟამისა ანუ დროჲსა მომდინარეობისა და ასე მორჩილებენ ღმერთსა ყოველნი ზემოხსენებულნი ესე, რომ არც ერთს იოტის ოდენს წამს, რაც ღმრთის ნება და ბძანება აქვს, იმას არ შესცვლიან და ყოველსა წამსა, წუთსა და იოტის ჟამს ღმრთის ბრძანებას აღასრულებენ ყოველნი თვითოეული მათი თავი თავის წესითა როგორც ღმერთმან განუჩინა [83V].

4 ბედსა ნუ მიქცევ მიაჯე შეყრამდის ჩემდა და მისად — ბედს ნუ მიქცევი — ბედს ნუ გარდამიქცევ, ბედს ნუ შემიცვლი. მიაჯე — ჩემი შეხვეწნა და შევედრება ისინე. მოაჯე საქმეზე რაზედმე და სათხოვარზედ კაცი ღმერთსა, ანუ მებატონეს, ანუ ვისაც ევედრებოდეს იმას ეწოდება. შეყრამდე ჩემდა და მისსა — მანამ მე და ჩემი საყვარელი შევიჯრებოდეთ.

827/837

1 ვის ხატად ღმრთისა გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი — ხატად ღმრთისა — ძესა და სიტყვასა ღმრთისასა უფალსა, ჩვენსა იესო ქრისტეს იტყვიან, როგორათაც პავლე მოციქული სწერს ებრაელთა პირველ თავში, მესამეს მუხლში, ქრისტესთვის რომელ იგი არს ბრწყინვალეა დიდებისა და ხატი არსებისა მისისა, ეგრეთვე ფილაპელთა მიმართ ეპისტოლესა შინა თავსა შინა მეორესა მუკლსა ექვსსა და სხვათაცა მრავალთა შინა ადგილთა საღმრთოსა წერილი-

სათა, ესრეთ წერილ არს ფილოსოფოსნი წინანი არიან მოციქულნი საღმრთონი ეკკლესიის მოძღვარნი და ქრისტეს მორწმუნენი ბრძენნი.

შ ე ს წ ა ვ ე ბ ა : ესე არ თუ ავთანდილის თქმული არის, თუ იყო ვინმე ავთანდილ, არაბი იყო. არც ქრისტიანე ყოფილა და არც ქრისტიანობის ჟამსა, რომ იმას ღმრთის-მეტყველება სცოდნოდა და იმაზედ ელაპარაკნა, მაგრამ სტიხისა ამის მოქმედი ვეფხის-ტყაოსნის შემთხვეული რუსთაველი თითონაც ქრისტიანე იყო და საქრისტიანოს ქვეყნისა და ეს ლექსები ამ წიგნში ამისთვის უთქვამს, რომ იცოდნენ ყოველთა წარმკითხველთა ვეფხის-ტყაოსნისათა, რომელ რუსთაველი ასეთი ბრძენი ყოფილა, რომ საღმრთო წერილიც კარგა ჰსცოდნია და ღმრთის-მეტყველებაცა [84r].

2 შენ მიშველე, რა ტყვე ქმნილსა ჯაჭვნი მაზიან რკინანი — ავთანდილ ილოცავს და სთხოვს შველას — სიყვარულისა ჯაჭვით დარკინითა ვარ შეკრულიო, რადგან რკინით შეკვრა დიდის მწუხარებით შეკრგასა ნიშნავს. ტყვეობა, სიყვარულით დატყვევებას ნიშნავს.

2 ბროლ ბალახშისა მძებნელმან, სათნი დაკვარგენ მინანი — ბ რ ო ლ და ბ ა ლ ა ხ შ ი მრავალჯერ ზემოთ განგვიმარტებია, მშვენიერის პირის სითეთრეს და ღაწვთა სიწითლეს ნიშნავს. სათნი შავისა მბზინვარე, მჭვირვალე, მზეზე რომ თვალი რამ დასდო და ნათელი გამოაცეს, ანუ ბროლი და ესე ვითარი ბზინვა იმისი ბრწყინვალეობა არის. მბზინვარისა ქვისა მშვენიერისა სახედ იტყვიან თვალისა ფერსა მშვენიერისასა. მ ი ნ ა — ბროლი, შუშა, მ ი ნ ა — მინანქარი, ესე იგი მინიატური. ესე სახენი ნივთნი ესრეთსა შემსგავსებასა მიიღებენ.

828/838

1 ამას მოსთქვიდა იწოდა — იწოდა, გული მისი სიყვარულისა სახმელითა ეგზეზობდა.

2 და ყო ვ ე ბ ა — დავვიანება. მ ო შ ი შ ი — მოშიშარი. ის წ რ ა ფ დ ი ს — მიეშურებოდა, არ აგვიანებდა მგზავრობასა.

4 უ ჭ ვ რ ე ტ დ ი ს — უყურებდა.

829/839

რასაც სრულად ამ ლექსში მთოვარეს ელაპარაკება, ამა სტიხის განმარტებაში ბოლოს ნახე.

3 მ ო თ მ ი ნ ე ბ ი ს ა თ მ ე ნ ი ს ა — მოთმინება ესე არს, რაც რომ გულის სათქმელი არის და კაცის გულს მოუნდება, ის არა ქმნას კაცმა. მეორე ეს არის, რომ ჭირი და მწუხარება აღიმსუბუქოს კაცმა და განსაცდელსა და მწუხარებაში სულ-გრძელება ჰქონდეს. და თ მ ე ნ ა — ეს არის — გლახაკი იყოს კაცი იმის [84r] სიგლახა-

კისათვის, არც მოტაცებით, არც მოპარვით, არც წართმევით, შიმშილი, წყურვილი, სიცივე, სიცხე, სიშიშველე და ესე ვითარნი შეწუხებანი დაითმინოს, ანუ სიშორე საყვარლისა, ანუ მშობლისა მამულისა, ანუ მეგობართა და თვისთა, ანუ წყენა ვისგანმე შეემთხვას და საწყენი საქმე კეთილობით დაითმინოს, თმენა ესე ზემო თქმულნი არიან.

4 შიჯე შეყრა პირისა შენგამო შენებრ მშვენისა.

შენიშვნა — ამ სტიხისას ოთხსავე ტაეპში, რაც არის თქმული, ავთანდილ მთოვარეს ელაპარაკება. მესტიხენი მთოვარესა დიანად დასახვენ (დიანა ღმერთა, ასული იუპიტერისა) და აფუცებს ავთანდილ მთოვარესა და სთხოვს შუამდგომელობასა, რათა კვალად ღირს ჰყოს შეყრაჲსა საყვარელისა თვისისასა, ესე იგი, შუამდგომელ გეჭენო, რადგანაც შენა მიჯნურობისა, ესე იგი სიყვარულის სენისა უფალი ხარო, ესე იგი სიყვარულით ვნებაც შეგიძლიანო, მოთმინებისა მოცემაცა და საყვარელთან შუამდგომელობაცაო. ჩემი საყვარელი შენგამო და შენს მსგავსად არის მშვენიერის პირის მექონიო და იმას კვალად შემყარო.

830/840

1 ღამე ალხენდის დღე სჯიდის, ელის ჩასვლასა მზისასა — ავთანდილ ღამით მთოვარესა და ვარსკულავთ რომ ნახევდა, თავის საყვარელი მოაგონდებოდა, იმის მაგიერ ციურთ მნათობთ ელაპარაკებოდა და იმათ ყურებასა თავისის საყვარლის სიახლეთ დასახევდა და ამის მიზეზით ღამე ალხენდა ავთანდილს, ესე იგი შეებას მისცემდა და ნუგეშინის ცემასა სიამოვნე ეხე. დღე სჯიდის — ესე იგი, დღისით სწუხდა ამისთვის, რომ რადგანაც ღამის კეთილი ჰაერი უმეტესად სიცხის ჟამსა და ცხელს ადგილებში უფრო სასიამოვნო არის მოგზაურთათვის, ამისთვის კეთილს ჰაერსა და მნათობთა ჭერეტასა თავის საყვარლის სიახლოვეს ამსგავსებდა.

2 რა წყალი ნახის გარდახდის, უჭვრეტდის ჭავლსა წყლისასა — სადაც რომ მდინარე წმინდა არის და ქვებზე მოდის ჩქარად, იქ წყალი ნაკეც ნაკეცად გამოჩნდება. როდისაც კარგი ჰაერი არის და იმ ჟამს, იმ წყალის ნაპირას დასჯდება კაცი და უყურებს იმ წყალის ჭავლსა, დიდი სიამოვნე აქვს. ავთანდილ როდისაც ესრეთს სასიამოვნოს ადგილს ნახევდა, მუნ დასჯდებოდა ავთანდილ და იმ ჰაერისა და წყლის სიამოვნებასა თავის საყვარლის სიახლოვეს ამსგავსებდა. ჭავლი ქალთა და დედათა დაგრეხილთა თავისა თმათაც ეწოდება.

3 მასთანა რთვიდის ნაკადსა, სისხლისა ცრემლთა ტბისასა — რთვიდის — შერთევდა. ნაკადული — ყოვლად უმცირესი წყალისა ნაწილი მიმდინარე, სისხლის ცრემლის ნაკადულსა მცირესა მისგან ტბისა, ესე იგი, სისხლით ამღვრეულის თვალებისაგან გარდამოღინებულსა შერთევდა წყალთა მათ, რომლისადა პირსა ზედა დასჯდებოდა ავთანდილ. ტბა — მცირედი ზღვა. მოლექსენი მელნისა და გიშრის ტბასა ამსგავსებენ მშვენიერთა თვალთა და სისხლისა ტბათა იმას ამსგავსებენ, რომ მტირალსა ვისმე თვალეზი გაუწითლდება ტირილითა.

4 ისწრაფდის წავლასა — ეჩქარებოდა ყოველთვის ჩქარად სიარულსა ავთანდილ.

831/841

1 მარტო მოსთქმიდის ჰსტიროდის, ტანად ალვის სახიანი — [85v] მოსთქმიდის — მოთქმა ეწოდება ტირილში, რომ შესაბამის და სამწუხაროს სიტყვებსაც ამბობდეს და ისე ტიროდეს. ტანად ალვის სახიანი — ესე იგი ტანადობითა ალვისა სახე. სახე ესე იგი, მსგავსი. ხეც გამოდის ამ სიტყვაშია; ესე იგი ალვის ხე. მოლექსენი ალვისა ხესა მიაგვსებენ კარგსა და მშვენიერს ტანადობასა.

3 პირმზე, გულმარხიანი, — მარხ ვარსკულავი არაჲ ერთი ცთომილთაგანი. მარხ — მარს არის. რომელსაცა ელენნი ძლიერებისა, სიმხნისა, გულოვნებისა და მებრძოლობისა ღმერთად უწოდებდეს. (მარს ძე იუპიტერისა, იხილე მეფოლოლიასა შინა).

4 იტყვის დაყვარენ ვარდნი და აჰა მუნ ვაგლახ იანი — ვარდთა, ვითარცა ზემოთაც გვითქვამს, მოლექსენი ამსგავსებენ მშვენიერისა ღაწვთა, ესე იგი, წითელს ლოყებს. ვაგლახ თქმა ეს არის, ვაიმეო. ია — სურნელი ყვავილი არის, რომელსაც რომ მოლექსენი მშვენიერის ქალის თმას ამსგავსებენ და იის სურნელებას თმის სურნელებას (აზიაში იის ყვავილისა ზეთს აკეთებენ და ქალები იცხებენ თმებზე).

832/842

1 ნაუბარი — ესე იგი ნალაპარაკევი.

2 მიუბნობდის — სიარულში ლაპარაკობდა. გზაზე რომ მიდიოდეს ლაპარაკით კაცი, მისთვის იტყვიან მილაპარაკობდაო. მიდიოდა და მილაპარაკობდა, მიუბნობდა. მოსთქმიდის, — ზემოთ განვმარტეთ რასაც ნიშნავს. რას ტურფასა რაჴომ გვარსა — ტურფა საიშვიათო მშვენიერი რაჴცა სახე ანუ ლაპარაკი. რაჴომ გვარი, — რამდენი, ანუ რაოდენი სხვადასხვა გვარი [86r].

3 ზოგან თოვლი გაეწითლის ვარდსა ბრჭლითა ნახოკარსა — თოვლს პირის სითეთრეს უწოდებს. გაეწითლის ვარდსა ბრჭალით ნახოკარსა — ლოყები ვარდი არის, ბრჭალე ბი — ფრჩხილები არის, ნახოკარი — ფრჩხილით რომ კორცი დაფხაჭნოს, ის ადგილი არის. დაფხაჭნული, ანუ დაკაწრული ტირილის ყამსა ავთანდილ რომ ლოყებს ფრჩხილით დაიკაწრევედა, სისხლი გარდმოედინებოდა, და იმის პირის სითეთრეს გააწითლებდა.

4 ქვაბნი ნახნა, გაეხარნეს, ზე გავიდა ქვაბთა კარსა — ქვაბნი იგი კლდისა საცა ტარიელის სადგური იყო, დანახა ავთანდილმა და სიხარული მიეცა და ქვაბის კარებზედ მისასვლელათ კლდეთა გზასა ზედა გაიარა და გავიდა გზიდან და ქვაბის კარებთან მივიდა.

833/843

1 ცრემლი სწვთების — ცრემლი წვეთებით ჩამოსდიოდა ასმათს თვალებიდან, ავთანდილ რომ ნახა იმის ნახვის სიხარულის ცრემლი და თავისის მწუხარების ცრემლი ერთმანერთში არეული.

2 ვით იამა სიხარულსა მართ ვედარას ვერ მიხვდების — ავთანდილის მოსვლის სიხარულით ასმათს თითქმის ცნობა მიეხადა და ვედარ გაეგო რა, რას შერებოდა.

4 კაცი კაცსა მოელოდეს, მოსვლა უცხო იამების — მოსვლა უცხო — უეცრად მოსვლას ნიშნავს კაცი ვისაც მოელის იმისას.

834/844

1 ნეტარ სად არის დავითა — ნეტარ ნატრვით ლექსი. ესე სიტყვასა შინა სხვასა და სხვასა ადგილსა იხმარება. მაგალ. ნეტარ, ანუ ნეტავი მაუწყა, ანუ მაცოდინა საქმე რაჲმე რაჲ[მწვ]საცა სურს კაცსა, რომ შეიტყოს, მაშინ ამ ლექსს იხმარებს — სად არის, სად იმყოფება. სად არის და ვითა — სად იმყოფება და ვითარ იმყოფება, რას მდგომარეობაში იმყოფება?

3 გაიჭრა — გაჭრა გარე ამას ნიშნავს, რომელ კაცმა სახლი და სამყოფი თვისი დაუტეოს და უშენთა ადგილთა განვიდეს მტაცთა და ნადირთა სამყოფსა. ქვაბს ყოფა მისჭირდა ვითა — ესე იგი, ქვაბსა (რომელ არს სადგური კლდისა) მართო ყოფნა მისჭირდა, ესე იგი, მართო ყოფნა მოეწყინა და გაიჭრაო.

4 და მას უკან აღარა ვიცი რა იმისი, აღარც მინახავს და არცა რა ამბავი მისი შემიტყვიანო.

835/845

1 ყმა დაჰმუნდა — ყმა — ყრმა კაცსა ნიშნავს, ყმა და თუ

ყ რ მ ა ვ ს თქ ვ ი თ უ ფ რ ო უ მ ც რ ო ს ი ა რ ი ს, ე ქ ვ ს ი ს ა ა ნ უ შ ვ ი დ ი ს ა წ ლ ი ს ა.
ყ მ ა — გ ა ზ დ ი ლ ი ჭ ბ უ კ ი. დ ა ჭ მ უ ნ დ ა — შ ე წ უ ხ დ ა.

2 ე გ ე თ ი მ ე კ ა ც ი ნ უ ა — ე გ რ ე თ ი კ ა ც ი ნ უ მ ც ი ქ მ ნ ე ბ ა ო .

3 ი ვ ი ფ ი ც ი ვ ი თ გ ა ტ ე ხ ა, ა რ ვ ე ც რ უ ე, ვ ი თ მ ე ც რ უ ა — ა ვ თ ა ნ დ ი ლ
ი ტ ყ ვ ი ს ტ ა რ ი ე ლ მ ა რ ო მ მ ე შ ე მ ა მ ფ ი ც ა, მ ა ნ ა მ მ ო ვ ი დ ო ლ დ ი, ა რ ს ა დ ა რ უ ნ -
და წ ა ს უ ლ ი ყ ო, ჩ ე მ თ ვ ი ს უ ნ დ ა მ ო ე ც ა დ ნ ა ო . დ ა ფ ი ც ი რ ა თ გ ა ტ ე ხ ა ო .
მ ე რ ო მ ი ს ა რ მ ო ვ ა ტ ყ უ ე, ი მ ა ნ რ ა თ მ ო მ ა ტ ყ უ ე ა ო . ს ი ც რ უ ე მ ო ტ -
ყ უ ე ბ ა ს ა დ ა ტ ყ უ ი ლ ს ნ ი შ ნ ა ვ ს .

4 ვ ე რ ი ქ მ ო დ ა რ ა თ მ ი ქ ა დ ა, თ უ მ ი ქ ა დ ა, რ ა დ მ ი ტ ყ უ ე ა — ვ ე რ
ი ქ მ ო დ ა — თ უ ვ ე რ ა ლ ა ს რ უ ლ ე ბ დ ა. რ ა დ მ ი ქ ა დ ა რ ა დ დ ა მ -
პ ი რ დ ა, თ უ მ ი ქ ა დ ა, თ უ რ ო მ დ ა მ პ ი რ დ ა (ა ნ უ რ ა დ გ ა ნ ა ც დ ა მ პ ი რ -
და), რ ა დ მ ი ტ ყ უ ე ა — რ ა დ გ ა მ ი მ ტ ყ უ ნ [8 7 ო] დ ა ა ნ უ რ ა დ მ ო მ ა ტ -
ყ უ ე ა .

836/846

1 თ უ უ მ ი ს ო ლ ს ო ფ ე ლ ს ყ ო ფ ა, რ ა დ გ ა ნ ჭ ი რ ა დ ა რ მ ი ლ ი რ დ ა — ა ვ -
თ ა ნ დ ი ლ ი ტ ყ ვ ი ს თ უ კ ი უ ტ ა რ ი ე ლ ო ლ ყ ო ფ ნ ა ჩ ე მ ი ს ო ფ ე ლ ს ა შ ი ნ ა რ ა -
ო დ ე ნ ს ა ც ა ჭ ი რ ს ა დ ა მ წ უ ხ ბ ა რ ე ბ ა ს მ ე მ ა ძ ლ ე ვ დ ა ო , მ ა ს ჭ ი რ ა დ ა რ ა ვ რ ა ც -
ხ ლ ი ო .

2. რ ა დ დ ა ვ ვ ი წ ყ დ ი, რ ა დ მ ო ვ ს ც ი ლ დ ი, რ ა დ ვ ე რ გ ა ს ძ ლ ო, ა რ მ ი ს -
ჭ ი რ დ ა — რ ა დ დ ა ვ ვ ი წ ყ დ ი — მ ე დ ა ვ ი წ ყ ე ბ უ ლ ი რ ა დ შ ე ვ ი ქ ე ნ
ი მ ი ს გ ა ნ ა ო . რ ა დ მ ო ვ ს ც ი ლ დ ი — რ ა ს ა თ ვ ი ს გ ა ნ მ ი შ ო რ ა ო , ა ნ უ რ ა დ
ე გ ო ნ ა ჩ ე მ გ ა ნ მ ა ს მ ო ც ი ლ ე ბ ა, — ე ს ე ი ვ ი დ ა ვ ი წ ყ ე ბ ა ო . რ ა დ ვ ე რ
გ ა ს ძ ლ ო . რ ა მ ი ს ჭ ი რ დ ა — რ ა ტ ო მ ვ ე რ გ ა ს ძ ლ ო ვ ო შ ე წ უ ხ ე ბ ი თ
შ ე ი წ რ ე ბ ა შ ი ა ო .

3 მ ა ნ გ ა ტ ე ხ ა ზ ე ნ ა რ ი ს ა, რ ა დ შ ე მ ა რ თ ა ვ ი თ გ ა ჰ პ ი რ დ ა — გ ა ტ ე ხ ა
ზ ე ნ ა რ ი ს ა ზ ე ც ი ს ა მ ი მ ა რ თ ი ს ფ ი ც ი ს დ ა რ ლ ე ვ ე ა ა რ ი ს. რ ა დ შ ე მ ა რ თ ა
(ა მ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს რ ო გ ო რ გ ა ბ ე დ ა ო). ვ ი თ გ ა ჰ პ ი რ დ ა — რ ო გ ო რ ა თ ა ც
პ ი რ ი თ ა ლ ი ა რ ო . მ ა ნ გ ა ტ ე ხ ა ზ ე ნ ა რ ი ს ა, რ ა დ შ ე მ ა რ თ ა ვ ი თ გ ა ჰ პ ი რ დ ა —
მ ა ნ გ ა ტ ე ხ ა ზ ე ც ა დ მ ი მ ა რ თ ი ს ა ფ ი ც ი ს ა რ ო გ ო რ გ ა ბ ე დ ა ო დ ა რ ო გ ო რ ა -
თ ა ც პ ი რ ი თ ა ლ ი ა რ ა დ ა ფ ი ც ი თ შ ე ი კ რ ა ო , რ ა დ დ ა ა რ ლ ე ვ ე ა ი ვ ი პ ი რ ო ბ ა
დ ა ფ ი ც ი ო .

4 ც ხ ა დ ა დ ი ს მ ი ს გ ა ნ ს ა მ ა რ ტ ე ბ ე ლ ი ა რ ა ა ქ ვ ს რ ა .

837/847

1 დ ა მ ძ ი მ ე ბ ა ს ა ქ მ ი ს ა — ს ა ქ მ ე ა ნ უ შ ე მ თ ხ ვ ე უ ლ ე ბ ა რ ა ძ მ ე რ ო მ
კ ა ც ს ძ ნ ე ლ ა დ ა ლ უ ჩ ნ დ ე ს დ ა მ წ უ ხ ბ ა რ ე ბ ა მ ი ი ლ ო ს, რ ო მ ლ ი ს ა მ ე შ ე მ თ ხ ვ ე -
უ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს დ ა მ ძ ი მ ე ბ ა მ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს . მ ს უ ბ უ ქ ი ს ა ქ მ ე ს ა ა დ ვ ი ლ ო
ა რ ი ს, მ ი ძ ი მ ე ს ა ქ მ ე ძ ნ ე ლ ი ა რ ი ს ა ნ უ ს ა ძ ნ ე ლ ო .

2 რა გაბჭო — როდისაც რომ განსაჯო, ანუ გაასამართლო და ჭეშმარიტების ზედმიწევნით გასინჯო. ნუ მე[87v]კვ რასაცა თნებასა — ჩემზე იჭვი ნუ გექმნებათო, რომ პირ-მოთნეობით მოგახსენო რამეო. როცა ამ საქმეს განსჯით, მაშინა სცნობთო (ასმათ მოახსენებს ავთანდილს).

3 არ გული უნდა ფიცისა და პირის გასრულებასა — გული მწუხარებით და განუსვენებლობით მყოფი ყოველთვის ცვლილებასა შინა არისო, და რა გული კაცისა მრავლის მწუხარებით მიიღებს სისუსტესა, რა განსაკვირვებელი არის, რომ ფიციც ველარ დაიცვას და მრავალს ვნებას მისცემს ესრეთი ნწუხარე გული კაცსა.

838/848

1 ასმათვე ეუბნება ავთანდილს: გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან — გული საცნობელნი (ესე იგი საგრძნობელნი) და გონება კაცისა ერთმანერთზედ არიან დამოკიდებულნიო.

2 რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან — როდისაც გული შეწუხებული არისო, საცნობელნიცა მოშლილნი შეიქმნებიანო და ჯეროვანი გრძნობა მათ აღარ ექმნებათო. გონება კაცისაც მწუხარების ყამს დაბნელდებაო და ამითი გული კაცისა კელმწიფე არის გრძნობათა, გინა ცნობათა და გონებისაო.

3 უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდია — უგულო კაცი იმას ეწოდება, ვისაც გულსა მწუხარება ასე შეიპყრობს, რომ რაც უნდა სასიამოვნო რამ იყოს, არა იამება რა და ვერცარა ასიამოვნებს ამისთანას მწუხარებაში თავის თავს კაცი და ამ გუარსა მდგომარეობაში მყოფი კაცი. კაცთაგან განაკიდია, ესე იგი, კაცთა წესიერთა ცხოვრებისაგან განკიდურე[მმრ]ბული, ესე იგი განშორებული არის, ვინაჲდგან მწუხარება აღარ მოაცლის კაცის გულსა, რომ ყოველი საქმე ჯეროვნად აღასრულოს.

4 შენ არ გინახავს, არც იცი, მას რომე ცეცხლი სწვიდიან — ასმათ ეუბნება ავთანდილს: შენც თუმცა საყვარლის მოშორებული ხარო, მაგრამ შენ ის მწუხარების ცეცხლი კი არ გინახავს და არც იცი საყვარლის დაკარგვა და ტყვეობა როგორ ძნელი ცეცხლი არის საყვარლისათვისასა.

839/849

1 შენ უმართლეს ხარ — შენ უფრო მართალი ხარ.

2 ვით გახდა — ესე იგი როგორ შეიქმნა, ანუ ვითარის მდგომარეობაზედ არის. ვითა გიამბო ცნობილსა — ცნობილი — მეცნიერი, სწავლული კაცი. ცნობილი — გაცნობილი, მცნობი ანუ მეგობარი მცნობი.

3 ენა დაშვრების გაცვლების, გულსა შეელმის ღმობილსა — ენა დაშვრების — ენა დაილალება. გაცვლების — გაცვეთა, დაძველება. გულსა შეელმის ღმობილსა — რომელიც ღმობილი, ესე იგი შემბრალებელი და შემწყალბელი გული არის იმას შეელმის, ესე იგი შეწყალბების.

4 ამას მით ვაზრობ — ამას მით ვგონებ. ვაზრობ, — ვგონებ.

840/850

1 სასჯელი — სატანჯველი. სასჯელი — სამართალი. განსჯა და გასამართლება.

2 ქვათაცა შენაძრწენია — ქვათაც შემაძრწუნებელი არის. ქვა როგორ უნდა შეძრწუნდეს, რადგანაც უგრძნობელი ნივთია, მაგრამ სიტყვის გაძლიერებისათვის, რომ სიტყვას ძლიერი ძალი ჰქონდეს მოლექსენი ამგვარს სიტყვებს ბევრს იტყვიან ლექსში; და ამასაც ნიშნავს — ქვათაცა შენაძრწენია, — ვისაც ქვაგული აქვს, ესე იგი, ქვაგული უღმომ[მზი]ბელს გულსა ეწოდება და იმათაც შეაძრწუნებს ესრეთი სასჯელი რომ ნახონ, როგორიც ტარიელსა ჰქონდა.

3 დიჯლა — კვლავცა განიმარტება ზემორე, მდინარის სახელი არის.

4 თვით რაცა ბრძანოთ, მართალ ხართ, სხვა სხვისა ომსა ბრძენია — სხვა სხვისა ომსა ბრძენია — ეს სიტყვა ქართულს ენაში იგავათ და მაგალითად არის მოტანილი, რომ ყოველთვის სხვა სხვის საქმესა ჰსჯიან სიბრძნითა თვისითა. ომსა, — ესე იგი ბრძოლასა, თუ სხვასა რაჟსაცა საქმესა რომ ეს საქმე ასე მოხდა, ანუ ეს საქმე ასე იყო, ანუ ეს საქმე ასე და ესე სახედ უნდა ყოფილიყო (ამას ზემო ნათქომთა ნიშნავს).

841/851

1 წამავალსა — წამსვლელს, როდისაც რომ მიდიოდა, ანუ წასვლას აპირობდა.

2 მისსა დამვედრე დებულსა — მისსა დამვედრე, — ესე იგი დამვედრება სიტყვის დაბარებასა ნიშნავს, ერთმან ვინმე რომ მეორეს სიტყვა რამ შეუთვალოს, ანუ ვისთანმე სიტყვა დააბაროს, რომ ჩემ მაგვირად მას ვისმე ესრეთ უთხარ და ესრეთ უამბევო. დებულსა, — ესე იგი ასმათს ავთანდილისაგან დად მიღებულსა, ანუ ღმობილსა (ღმობილი ის არის, რომ ქალი და კაცი, როგორათაც რომ და და ძმა, იმ სახით დამეგობრდნენ ერთმანერთსა. ღმობილი ქალია, ძმობილი კაცი).

3 მოღმა — ესე იგი, მე გაღმა რომ გავალ, პირდაპირის მთე-
ბისაკენ, იქ მომნახვედესო. მოღმა — ჩემ კერძო რომ ადგილნი
დავნიშნო, ანუ მდინარეს გამოღმა, ანუ ხევს [89r] გამოღმა მას ნიშ-
ნავს. მიღმა — ის არის, მე სადაც ვიყო, ჩემს გაღმა ადგილები
რომ დავნიშნო წყალს გაღმა, ანუ ხევს გაღმა. მნახვიდეს —
მნახვედეს, მომნახვედეს. მე მისთვის გაცუდე ბულს — ესე იგი
მე მისთვის უქმ ქმნილსა, ანუ მისთვის უსარგებლოსა.

4 ამათ არ დავყრი არეთა, არ გავტეხ მის ქადებულსა — ამ გა-
რემო ადგილებს არ დავაგდებ და სხვაგან არ წავალო და რაც პი-
რობა მივეცი, იმ აღთქმასა და პირობას არ გავტეხო, ესე იგი არ მო-
ვატყუებო. ქადებული დაპირებულს ნიშნავს, ესე იგი მე ვუ-
ქადე — მე დავპირდი.

842/852

1 ზენა არს არ გავუტეხ — ფიცს არ გავუტეხ. არ ვეც-
რუები — არ ვუპტყუნებ, არ მოვატყუებ.

2 მას პაემნამდის მოვიცდი — პაემანი დრო დანიშნული.
ერთი კაცი რომ მეორეს პირობას რასმე შეუკრავს და დროს დაუნიშ-
ნავს, წელიწადსა თუ თვესა და ანუ რომელსაც რიცხვსა, პაემანი იმ
დროს ეწოდება.

3 თქვას ვაგლახი და უვები — ვაგლახი ვაისა და სამწუბა-
როს გლოვის ქმა. უვები — უი, შორისდებული ხმა სამწუხარო.
ერთი რამ სამწუხარო, ანუ შესაწუხარი, რა რომ ნახოს კაცმა ანუ
გაიგონოს, მაშინ იტყვის უი! უი!

4 სიცოცხლე არს სათუები — სათუო, საეჭველი.

843/853

1 ჩემთვის გარდახდა მას აქეთ გაყრა მზისა და ქედისა —
ჩემთვის გარდახდა — გარდახდა, ანუ წარხდა, ესე იგი ჟამი
იგი წარვიდა, ანუ ჟამმან მან განვლო, ანუ ჟამმან მან და დრომ გარ-
დაიარა, როგორათაც რომ მზე გარდავლის ქედსა, ესე იგი გორასა
მთისასა, რომელსაც რომ დასვლამდე მზისა უყურებს კაცი და რა
მზე გარდაივლის ქედსა, გინა [89v] გორსა რასმე მოეფარება, ჩავა
და დაღამდება, მაშინ კაცი გაეყრება მზის ხედვასა და რომლის გო-
რიღამაც მზე ჩავა, იმ გორსაც მოშორდება. მზის დასვლა — მხია-
რულების და სიხარულის მოკლებას ნიშნავს და ღამე ნიშნავს მწუხა-
რებას.

2 ოდენ მოდენა ცრემლისა, მჭირს ველთა მოსალბედისა —

¹ ცრემლსა

ოდენ — ესეოდენილა, ანუ ესელა დამიშთა მხოლოდ, რომ ცრემლს დამოვადინებ ესეოდენსა, რომ ველთა ვალტობ, ანუ ვალბობ ცრემლითა ჩემითა, რადგანაც რომ მზეს მოვშორდი და ჩავიდა ჩემი მზე. მოსალბედი — მოსალბობელი, წვიმამან ანუ წყალმან, რომ სრულიად დაასველოს ადგილი და დაალბოს. მოსალბედი — დალბობიდამ არის ეს ლექსი წარმოვებული. დავალბობ, დაალბობ, დაალბობს და სხვანი. მოსალბედი — მოსარბილებელი.

3 მსჯის — მტანჯავს. კელ-ქმნილსა, — კელ-ქმნილსა — კელი ცნობა მიღებული, ანუ სიყვარულისაგან გაგიჟებულის მსგავსი. სულთქმა ზედას ზედი — ხშირ-ხშირად, და ზედიზედ ოხვრა და ვაება მწუხარისა კაცისა.

4 ნახე ნაქმარი ბედისა — ნახე — იხილე. ნაქმარი ბედისა — ბედისაგან საქმე ქმნილი.

844/854

1 ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია — არაკი — ანეგლოტი. ჩინს ქვასა ზედა სწერია — ჩინეთი, რომელ არს კიტაია. ქვეყანასა ჩინეთისასა არს ჩვეულება ზნეთ სწავლულებისა სიტყვებს ქვებზე დასწერენ და გარეთ მოედანზე, ანუ ხალხი საცა ხშირად შეიყრება იქ დააწყობენ იმ ქვებსა, რომ ყველამ კაცმა წაიკითხონ და კეთილი ზნეობა ახსომდესთ. [90r].

3 აწ ზაფრანია, ვის წინა, ვერ ვარდი გვანდეს ვერ ია — წინარე ამის ჟამისა, რომლისაც რომ პირის სახესა და ლოყების ფერსა, ვერც ვარდი სჯობდა და ვერც ია, გინა სხვანი ფეროვანნი ყვავილნი, ახლა ამ ჟამში ის გარდაქცეულა ზაფრანად, ესე იგი, ზაფრანის ფერად, რადგანაც ზაფრანა ყვითელი არის და კაციც მწუხარებით გაყვითლდება.

4 თულა მონახავ, მონახე, ქენ რაცა შენი ფერია — თულა მონახავ, — თულა კიდევ ინებებ, რომ მოძებნო შენი ძმად ფიცო. მონახე — მოძებნეო. ქენ რაცა შენი ფერია — ისი ჰქმენ, ანუ იგი აღასრულო, რაც რომ შენი ფერია. ესე იგი, რაც შენი შესაფერი საქმე არისო (ესე იგი ტარიელის მონახვას ეუბნება ასმათ ავთანდილსა).

845/855

1 უმართლე ხარ — ფრიად მართალი ხარ. მდურვა — სამდურავი.

2 გაბჭევე — გაასამართლე, ანუ განსაჯე. განბრჭობა — სამართლის ქმნა, რომ განარჩიოს სიმტყუნე და სიმართლე საქმისა.

4 ვიარები¹ ველთა ვლისად — დავდივარ, ველითი ველად.

846/856

1 ბროლ სადაფნი მარგალიტსა, ლალის ფერსა სცვენ და ბურ-
ვენ — ბ რ ო ლ ი ს ა და ფ ნ ი, — მშვენიერის პირის ელვარება და
სითეთრე არის. მ ა რ გ ა ლ ი ტ ნ ი, თეთრნი და უზალო მშვენიერის
კბილნი არიან. ლ ა ლ ი ს ფ ე რ ი — მშვენიერის ტუჩები არის.
სცვენ და ბურვენ კბილთა და ტუჩთა ვითარცა საბურველნი. ბრწყინ-
ვალე და თეთრი პირი სცავს საბურველსავეთა, ესე იგი, ს ა ბ უ რ-
ვე ლ ი ს არის, რომ კარგს რასაჲე ნივთსა და მშვენიერსა წმინდა
რამ დასაფარებელი დააფარო, რომ ანუ მტვერი და ანუ სხვა რაჲმე
ცული არ მიეახლოს რა.

2 ვერ ვიახელ — მახლობლობასა მისსა მოვშორდი. ვერ ვისურ-
ვენ — სურვილი მისი, რომელი მაქვს იმისდამი, ვერ ვა[90v]სურვენ და
ანუ მას ჩემს საყვარელს ჩემდა მომართ, აქვს სურვილი, რომე ერთ-
მანერთის ახლო ყოფნით ჩვენი სურვილი და საყვარული ერთმანერთს
ვაჩვენოთ, ამას მოვცილდით, ანუ დავაკლდით (ავთანდილ ეუბნება
ასმათს ამ ზემო თქმულთა და შემდგომთა).

847/857

1 პატრონი ჩემი გამზრდელი ღმრთისაგან დიდათ ცხოველი —
პ ა ტ რ ო ნ ი ჩ ე მ ი გ ა მ ზ რ დ ე ლ ი — ჩემი გამზრდელი პატ-
რონი². ღ მ რ თ ი ს ა გ ა ნ დ ი და დ ც ხ ო ვ ე ლ ი — ღმრთისაგან ცხო-
ველებში აღმატებული და განდიდებული. დ ი და დ ც ხ ო ვ ე ლ ი —
ამას ნიშნავს, რომელ მეფენი ცხოვრების მიმცემნი და მიმნიჭებლნი
არიან თვისთა ერთგულთა³ ყმათა და ვინც მათ აწყენინებს მათ რის-
ხვასა თვისსა და სასჯელსა მიაგებენ.

2 მშობლური ტკბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთხოველი —
ც ა წ ყ ა ლ ო ბ ი ს ა მ თ ხ ო ვ ე ლ ი — როგორათაც ციდგან მოსრუ-
ლი თოვლი ქვეყანას დაჰფარავს და უხვად თოვლი მისი
გარდამოზღის ქვეყანასა ზედა, ეგრეთვე მეფეთა წყალობა ერთგულ-
თა მათთა ზედა ცის მსგავსად გარდმომდინარებს.

3 მას ვუორგულე — ესე იგი წინააღმდეგ ვექმენ ნებასა მისსა
(ორგულობა ერთგულობის წინააღმდეგი არის).

848/858

1 ასე მჭირს, როგორათაც რომ სენი, გინა ავადმყოფობა რამ

¹ იარებ

² ბატრონი

³ ერდგულთა

სჭირდეს კაცსა, ესრეთ შემეშხებავო. დაო ბედითა მისითა — ესე იგი ტარიელის უბედურებით.

3 ვიწვი ცეცხლითა ვისითა — ესე იგი, ტარიელისათვის როგორათაც რომ ცეცხლით იწოდეს კაცი, ისე ვიწვიო, რადგანაც ეს წასულა საცალა და მე ველარ ვიხილეო.

4 ცუდ-მაშვრალი და მტირალი ქვე ვზი პირითა მქისითა — [91r] ცუდ მაშვრალი შექვნილვარო, რადგანაც ტარიელ ველარ ვნახე და მტირალი ვზივარო. პ ი რ ი თ ა მ ქ ი ს ი თ ა, ესე იგი, გულმწყრალად. პ ი რ ი მ ქ ი ს ე — გულმწყრალობას ნიშნავს, და პირითაც და სიტყვითაც რომ სჯავრობდეს კაცი, იმასა ნიშნავს სიმქისე.

849/859

1 ს ა უ ბ ა რ ი — ლაპარაკი ერთმანერთთანა, ერთი რომ მეორეს ელაპარაკებოდეს და მეორე უპასუხებდეს.

2 არ ვინანი გარდასრულმა, ბრძენთა სიტყვა გავადრო — ავთანდილ ანბობს, ასმათს ეუბნება წასრულს ჟამში რაც შრომა შემეშხებავო ვიდრე აქამომდეო, იმას არ შევინანებო. ბ რ ძ ე ნ თ ა ს ი ტ ყ ვ ა გ ა ვ ა ა დ რ ო — ბრძენთა სიტყვა და მოძღვრება ეს არის, რომ ყოველთვის მეგობრისათვის თავის თავი უნდა დასდვას და მეგობარს ესრეთ შეეწიოს. გ ა ვ ა ა დ რ ო ამას ნიშნავს, ბრძენთა სიტყვა ადრე და დაუგვიანებლად უნდა აღვასრულოვო. გ ა ვ ა ა დ რ ო — დაგვიანებული საქმე ადრე აღსრულებაში უნდა მოვიყვანოვო (ესე იგი მალე უნდა წავიდე, ტარიელ მოვნახო და იმის შეწევის საქმეში მალე შეუდგეო).

3 წავალ, ვსძებნი, ანუ ვპოვებ, ან სიკვდილი მოვიადრო — წავალ საძებნელად ტარიელისაო, ანუ ვიპოვნი და ანუ სიკვდილს მოვიადრევებო, ესე იგი ანუ სიკვდილს მოვიახლოვებო. მ ო ვ ი ა დ რ ო — მოვიახლოვო, ა დ რ ე ნიშნავს დროს დაუგვიანებლობას.

4 თვარე ბედი აზონ თურმე, მიკვეთს ღმერთსა რალა ვკადრო — თვარე მაგრამ. ბედი აზონ თურმე, — ჩემი ბედნიერება. ა ზ ო ნ თ უ რ მ ე — ამასა ზომით ესრეთ, ანუ ესეოდენ, ანუ ესეგვარად. თ უ [91v] რ მ ე ნიშნავს, გავს რომელ, სჩანს რომელ. მ ი კ ვ ე თ ს — შეკვეთა ერთს ამას ნიშნავს, რომ უფროსი ვინღე თავის უმცროსს საქმე რამ, რომ დასდვას და უბრძანოს, ეს საქმე ასე უნდა აღასრულოვო შეკვეთთა ის არის, მეორეთ ამას ნიშნავს მ ი კ ვ ე თ ს — მიჭრის საქმისა რამსამე გაჭრასა, ანუ გასამართლებასა, ესე იგი ეს საქმე ასე გაიჭრა, ანუ ესრეთ გა ნ ი კ ვ ე თ ა, ანუ ეს სამართალი ასე გაიჭრა. გა ნ ი კ ვ ე თ ა ამასაც ნიშნავს ასე გარდასწყდა საქ-

მეო. ასე განეწესა ეს საქმეო. ავთანდილ იტყვის, ჰგავსო, რომ ჩემმა ბედმან საქმე ამ საზომზედ გადმიკვეთა, გინა ესრეთ გადმიჭრა, ესე იგი ესრეთ გარდამიწყვიტა ჩემის შემთხვეულების საქმეო. ესრეთ განმიწესაო, რომ ამ სიძნელეში მომიყვანაო და ამისთვის ღმერთს რა უნდა ეკადროვო, — ღმრთისა მიმართ საყვედრელს სიტყვას ხომ ვერას ვიტყვი და ისე როგორ გავკადნიერდები, რომ ღმერთს წინააღმდეგი რამ სიტყვა ეკადროვო, ესე იგი როგორ შემიძლიან, რომ წინააღმდეგი გავუბედოვო. მიკვეთს — ამასაც ნიშნავს მიძვირებს, ანუ მიგვიანებს საქმეს.

850/860

2 შამბი — შამბი ასეთი მალლად ამოსულნი ბალახნი იქმნებიან, რომ ცხენზედ მჯდომმა კაცმა რომ გაიაროს შამბში, მაშინაც შიგ დაიფარება, ცხენზე მჯდომის კაცის თავზე კიდევ უფრო მალლა იქმნება ასული.

3 ლალის ფერსა ვარდსა ზერიდა — ლალის ფერი ვარდი მშვენიერი წითელი ლოყები არის. ზერიდა, — დაზერა სიცივისა და ქარისაგან რომ პირის სახე დაეწვის, გინა დაეშუშნება კაცსა, იმას ნიშნავს [92r].

4 ბედსა ამას უზრახევდა — ბედსა ამას აყვედრებდა.

851/861

1 იტყვის, ღმერთო, რა შეგცოდე, შენ უფალსა არსთა მხედსა — არსთა, ესე იგი, ყოველთა დაბადებულთა არსთა მხედველი არის ღმერთი უფალი და გულისა და გონებისა მჩხრეკელი. ყოველივე არსთა ბუნებაცა და ვითარებაცა უწყის მან და საქმენი მათ ყოველთა.

2 რად შემასწარ ამა ბედსა — რათ შემამთხვიე ამისთანას ბედსაო.

3 ერთი ორთა მგონებელი, ვარ საქმესა წასაწყემდსა — მი ერთიო (ავთანდილ ამბობს) ორთა მგონებელი, ერთისა ჩემის საყვარლის თინათინისა და მეორე ჩემის ძმად ფიცისა ტარაელისა. ვარო საქმესა წასაწყემდსა, ესე იგი, საქმე სრულიად წარწყმედილი მაქვსო, ანუ დაკარგულიო, რადგანაც არ ვიცი, რომელს საქმეს უნდა შეუდგეო, ტარიელ დავუტევეო და ჩემს საყვარელთან წავიდეო, თუ ჩემის საყვარლის სიშორე დავითმინო და ტარიელ ვეძებოვო.

4 მოკვდევ, თავი არ მეწყალვის, ჩემი სისხლი ჩემსა ქედსა — კიდევ რომ მოკვდეო, რადგანაც ასეთი საქმე შემემთხვაო, ჩემი თავი აღარ მეწყალება, და ჩემი სისხლი ჩემს ქედს იყოსო. ქედი — კა-

ცისა კისერი არის და ასე არის ქართულში ნათქვამი, რომელ მებრძოლის მტრის სიკვდილისათვის იტყვის კაცი, მე იმას მოგკლავო, და იმისი სისხლი ჩემს კისერს იყოსო, რადგანაც მებრძოლის მტრის სიკვდილს ცოდვით არ შერაცხს.

852/862

1 მოყვარებან ვარდის კონა გულსა მკრა და დამაწყულულა.

2 იგი ფიცი ჩემმან სრული, მან არარა გამისრულა — ვარდის კონა ნიშნავს საყვარლისა პირისა [92v] მშვენიერებასა, ამისთვის საყვარელი საყვარელს ვარდის კონას ესერის, რომელ სიყვარულის მიცემის ნიშანი არის, მაგრამ რადგანაც, რომ აეთანდილს ვიცი აღარ გაუსრულა ტარიელმან, ამისთვის იტყვის ფიცი მე კი აღუსრულე და იმან აქ თავის სამყოფს კი აღარ მომიცადა, ფიცი არ გამისრულაო და რადგანაც ვარდსა ეკალნიცა აქვს, საყვარლის წყენა, ესე ვითარი, როგორათაც ეკალმან დააწყულულოს გული, მე ჩემმან მეგობარმან ტარიელმან გულსა, ესე გვარი ვარდის კონა მესროლაო და გული დამიწყულულა თავისის მოშორებებითაო.

3 ს ა წ უ თ რ ო — ეს სოფელი არის მოკლეს ყამისა. ჩემი ლხინი გარდასრულა — გ ა რ დ ა ს რ უ ლ ა — მოკლებულა, წარსრულა, დასრულებულა.

4 გ ა კ ი ც ხ უ ლ ა — კ ი ც ხ ე ვ ა, დ ა ბ ა ს რ ო ბ ა, ორნივე მათდა მიმართ იქმნება, ვინცა არა ეყვარების კაცსა, არა თუ სარწმუნოთა და საყვარელთა მეგობართა მიმართ.

853/863

1 ნ ა ღ ვ ე ლ ი — კაცისა არს მწუხარებისა მშობელი, რომელიც კაცსა ჭკვიანსა (ესე იგი გონიერსა და ბრძენსა) არა მართებს, რომ საქმის დროს მწუხარებამ სძლიოს.

2 რ ა მჭუნვარებდეს, რას არგებს, ნაკადი ცრემლთა ბანისა — მჭუნვარება, ესე იგი, წუხილი რას არგებს და თვალთაგან ცრემლის დინება, იმითი წამხდარს საქმეს, როგორ გამართავს, რომ სწუხდეს და ტიროდეს.

3 სჯოზს გამორჩევა აზრობა, საქმისა და სამგვანისა — სჯოზს რომ საქმე არჩიოს, რომელიც უმჯობესი გუა არის საქმისა, ის გამოირჩიოს და ის იაზროს. ა ზ რ ო ბ ა ეს [93r] არის, საქმისათვის რომ იფიქრებს კაცი და რომელსაც თავისის გონებით განსჯის, რომ ეს რომ ასე აღვასრულო, ეს უმჯობესი არისო ა ზ რ ო ბ ა მან ნიშნავს. ს ა ქ მ ე დ ა ს ა გ ვ ა ნ ი იგი არს, რომელიც რომ საქმე შესაბამიერი იყოს, ისი ქმნას კაცმან.

4 აწ მეცა მიჯობს მონახვა, მის მზისა, ლერწამ ტანისა — მის მზისა ლერწამ ტანისა — ესე იგი ტარიელისა, რომელსაც მზედ და ლერწამ ტანისად უწოდებს ავთანდილ, ვინაჲდგან ლერწამი ყოველთვის სწორეთ სდგას და არ იქმნება მოხრილი, ამისთვის კარგის ტანადის მშვენიერის ტანსა¹ მას ამსგავსებენ მოლექსენი და ლერწამ ტანისას უწოდებენ.

854/864

1 საძებრად — საძებნელად. მტირალი ცრემლთა მფრქვეველი — ფრქვევეა, განბნევასა ნიშნავს. ფრქვევეა — ჰკურება, ესე იგი სხურება წყლისა და ესე ვითართა ნოტიოთა და მტვერადცა ქმნილისა ნივთისა რაჲსამე კელითა განბნევას ნიშნავს.

2 ეძებს — ძებნა, მონახვა. უძახის — ძახილი პოენისათვის კმით ძახილი მოწოდებად. უყვიის — ყვირილიცა მაღალის ხმითა ძახილსა ჰქვიან და მამლის ღამე ყვირილი მოასწავებს გათენებასა. ეგრეთვე ავთანდილ მყოფი ღამესა შინა მწუხარებისასა უყიოდა ტარიელს, რომლისაცა პოენა ავთანდილისათვის დილის მსგავსად სასიამოვნო იყო. დღებერ ღამეთა მთვეელი — ღამეც არ ეძინა და ღამეთა მთვეელი იყო ისე ეძებდა ტარიელს, დღეცა და ღამეც. ღამის თევა — სრულიად ღამით რომ არ დაიძინოს საქმისა რაჲსათვისმე კაცმან, ღამის თევა მას ნიშნავს.

3 კევი, შამზარი, ტყე, ველი — კევი ორთა მთათა, ანუ გორათა შუა წყალნი რომ სდიოდეს, მას ადგილს კე[მ]ვი ეწოდება. კევი — რიყიანი, ესე იგი ქვიერი წყლისა სადინელი ალაგი, რომელთა ზედა სამარადისოდ წყალნი სდიან. ოდესმე განდიდნებიან წვიმათა ჟამსა და სიცხეთა ჟამსა და ზამთრისა შემცირდებიან. კევი — რომელნიმე ნიავ-ღვართა სადენნი არიან წვიმისა ჟამთა. ნიავღვართი — არს, წვიმისა მიერ შემდგარნი მდინარის მსგავსად წყალნი წვიმისა ჟამსა ჩქარად მომდინარენი და წარმღვნენნი. შამზარი — ხშირად ბალახიერი ადგილი მთისა, გინა მინდვრისა, სადაცა ბალახი ზრქელად და დიახ მალლად აღიზრდებიან. ტყე (ამას რა განმარტება უნდა, ხეთა მრავალთა და ხშირთა ადგილი). ველი — ტყეთა შორის მცირედ მცირედი მინდვრები ველად იწოდება.

4 მჭმუნვარე — შეწუხებული, მოწყენილი. ვერა ამბისა მცნეველი — ტარიელისა ამბისა ვერა შემტყობი. მცნეველი — მცნობელი, შემტყობელი საქმისა. ვერა მცნეველი, — ვერ მცნობელი, ვერ შემტყობელი.

¹ ხანსა

4 გამილხინე — ლხინად შემიცვალე ჭირნიო. ქედი — მთათა და გორათა თავი. გარდაადგა — გადაადგა, მთის წვერზედ გარდადგა და ძირს ყურება დაუწყო.

2 ველი აწნდა მზიან ჩრდილი — ველი ტყეთა საშუალი მინდვრები რომ იქმნება, მზიან ჩრდილი იგი არს: იმ ველსა ზოგს ალაგსა, რომ მზე აღგეს და ზოგს ალაგს გორები, ანუ ხენი უჩრდილებდენ.

3 ნახა შავი შამბთა პირსა, დგა სადავე უკუყრილი — შავსა ავთანდილ ტარიელის ცხენს ეძახის. დგა სადავე უკუყრილი — სადავე ცხენის აღვირის საპყრობნი თანმები არი[94r]: ცხენიდან რომ გარდმოხდება კაცი, სადავეს უნაგირზედ გარდააცვამს და ისე დაამაგრებს და ცხენს ისე სადავე უკუყრილს დააყენებს თვისს ახლოს.

4 თქვა უცილოდ იგიაო, არად უნდა ამას ცილი — უცილოდ (ეს ლექსი ნიშნავს ნამდვილ, ანუ უეჭველად). არად უნდა ამას ცილი — ცილი ნიშნავს საცილობელს რასაზე საქმეს, ესე იგი, შეცილებას. შეცილებათ ეს არის ერთი კაცი, რომ ერთს რასმე საქმეს ამტკიცებდეს ეს საქმე ასე არისო, და მეორე მას შეეცილოს და წინა აღუდგეს, ეგ საქმე მაგრე არ არისო, ასე არისო.

1 რა შეხედა ყმასა გულმან გაუფეთქნა გაუნათლა — გულმან გაუფეთქნა — ამას ნიშნავს, კაცი გულს მოდგინებით რომ ეძებდეს რასმე და უეცრად, ესე იგი მოულოდებლად რომ ჰპოვებს, იმ ჟამად კაცის გული სხვას გრძნობას მიიღებს და გული აუჩქარდება (როგორათაც მფრინველთ აფრენის ჟამს ფრთენი აუფეთქდებიან). გაუნათლა — ღამე მწუხარებისა გაუნათლა, ანუ გაუთენდა, მწუხარებით დაბნელებულს გულსა სინათლე მიეცა.

2 აქა ლხინი დაღრეჯილსა, უათასდა, არ უათდა — იმ ჟამად შეწუხებულს ავთანდილს, ლხინი, ესე იგი სიამოვნე, ანუ სიხარული გულსა ათას წილად მოეცა, არა თუ ათ წილად, რადგანაც ათი არა ეგრე მრავალ რიცხველია, ავთანდილს ათას წილად, ანუ ათასს ზომად მიეცა სიხარული (ტარიელის პოვნისათვის).

3 ვარდმან ფერი გაანათლა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა — ვარდმან ფერი გაანათლა — ამას ნიშნავს კაცი უეც[94v]-რად რომ ნახავს რასმე, ლოყის ფერნი გაუწითლდებიან. ბროლი

ბროლი და — ბროლი პირის სითეთრეს ნიშნავს. სათნი თვალთა, წარბთა და წამწამთა შავთა შეენერებას ნიშნავს.

4 ვით გრიგალმან ჩაირბინა, არ მოსცილდა ჭვრეტად მათდა — გრიგალი მსწრაფლი ქარი არის. ჩაირბინა — როგორათაც ქარი მსწრაფლი არის, ეგრეთ ავთანდილმან ჩაირბინა მალლა გორი-დამ, საილამაც რომ დაინახა ტარიელის ცხენი. ჩარბენა იგი არის, მალლიდამ რომ ძირს სირბილით, ანუ ცხენის ჭენებით მსწრაფლად ჩავიდეს ძირს კაცი. არ მოსცილდა ჭვრეტად მათდა — მალლიდამ ძირს ცხენის ჩაჭენების ჟამსა ავთანდილ ისე ჩქარა თუმცა ჩაისწრაფდა, მაგრამ თვალი კი არ მოუშორებია ტარიელისა და იმის ცხენისათვის. ჭვრეტა — თვალით ყურებას ნიშნავს.

858/868

1 რა ტარიელ დაინახა გაღანამცა დაეღრიჯა — გაღანამცა ეს თქმა დამამტყიცებელი არის ნამღვილად და ჭეშმარიტებით საქმისა. დაღრეჯა დიდის მწუხარებას რომ პირის სახე კაცისა აჩვენებდეს (მაგალ., მწუხარება გულისა პირის სახესა ზედა კაცისასა გამოიხატვის).

2 ახლოს მყოფი სიკვდილისა სჯდა და პირი დაებღნიჯა — დაებღნიჯა, უფრო დიდია დაღრეჯაზედ, ესე იგი, კაცი რომ მომატებულის მწუხარებით ასე დაუძლურდეს, რომ თითქმის სიკვდილს მიახლოვდეს, ასე სხვა სახედ გამოცვლება პირის სახე, როგორათაც დამტკნარი იყოს რაჟე ისე შეექმნება, უსიამოვნო, საზარო და შესაშინებელი სახე დაედება, — მკვდარს რომ პირის სახე დაეღრეჯება, დაბღნიჯა მას ეწოდება.

3 საყელონი გარდებიჯა, თავი სრულად გაეგლი[მნ]ჯა — ძველად ჩვეულება იყო: დიდს მწუხარებაში ტანის სამოსის საყელოს ჩამოიხევდნენ და ისე იგლოვდნენ, მკერდსა გამოიჩენდნენ, მას ზედა კელითა იცემდნენ და ფრჩხილითა სისხლსა დამოიღინებდნენ მკერდით. თავი სრულად გაეგლიჯა — ქოჩორი, ესე იგი თმა თავისა სრულად გაეგლიჯა, ანუ აღეფხვრა.

4 მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაებიჯა — ტარიელს გონება მიხდოდა და გაგონება და სმენა მოჰკლებოდა. ბიჯი ანუ ნაბიჯი. ჩვეულებრივს სიარულზედ მომატებული ლაჯთა განზიდვა და ფერხთა განიერად გარდადგმა და გაბიჯება — ანუ გადაბიჯება არის. სოფლით, ესე იგი, ამ სოფლიდამ, ანუ ამა სფეროდამ, რომელშიაც კაცნი ვცხოვრებთ. გაღმა გაებიჯა,

¹ თავ

გ ა ლ მ ა (სტიხის მოქმედი აქა გაღმას იმ სოფელს ეძახის, სადაცა სიკვდილისა შემდგომად კაცნი წარვლენ). მაშასადამე გ ა მ ო ლ მ ა ეს სოფელი იქმნება ჩვენი სამკვიდრებელი კაცთა. მყუდროდ და მოთმინებით ცხოვრებას წესიერი სლვა ეწოდება, და სიფიცხლესა და მოუთმინელობას აჩქარებული სლვა ეწოდება. ტარიელ მწუხარებით სიკვდილს ახლოს მიწვენილ იყო, ამ სოფლის კიდეზედ მისრულ იყო, და იმ სოფელს ნაპირზედ გარდაეხიჯა ფეხი თვისი და სრულიად აპირებდა ამ სოფლიდამ განსლვას.

859/869

1 ნახა ავთანდილმან: ერთკენ უცს ლომი მოკლული და კრმალი სისხლმოცხებული — ერთს მხარეს მოკლული მკვდარი ლომი ედგა და კრმალი სისხლით შესვრილი.

2 კვლავ სხვაგან ვეფხი უსულო, მკვდარი, ქვე დანარცხებული — სხვას ადგილს მკვდარი ვეფხი ეგდო. დანარცხებული — დ ა ნ ა რ - ც ხ ე ბ ა ამას ნიშნავს, კაცმან ცხოველი რამ რომ აიყვა[955]ნოს ქელითა და ძლიერად დასცეს მიწაზედ.

3 ცრეჭლი სდის გაფიცხებული — გულის განხურვებისაგან ჩქარი და ძლიერი.

4 მუნ აგრე გულსა უნთებდა, ცეცხლი მცხინვარე ცხებული — გულსა ძლიერისა მწუხარებისა ცეცხლი ენთებოდა, ანუ ეგზნებოდა. ცეცხლი მცხინვარე ცხებული — ც ე ც ხ ლ ი მ ც ხ ი ნ ვ ა რ ე — ოდეს ძლიერად აენტება ცეცხლი, სინათლე და მწველობა ორივ დიახ ძლიერად და თანასწორედ ექმნება. ც ხ ე ბ უ ლ ი — თუ რომ ცეცხლსა, ზეთსა, ერბოსა, თუ ნავთს და ესე გვარს რასმე დაასხამს, მაშინ უძლიერესი მოქმედება ექმნება ცეცხლსა. შეშასა ქონი, ანუ ზეთი რომ წაუსვას და ისე აანთოს, ცეცხლს დიდი სინათლე და სიმხურვალე ექმნება. და კვარი, ესე იგი ზეთიერი ხე, რომელთაც ბუნებითათა აქვსთ ნოყიერება, მისგან აანთოს შეშა ც ე ც ხ ლ ი ც ხ ე ბ უ ლ ი ი გ ი არს.

860/870

1 თვალთა ახმადცა¹ ზარედვა — ასე დაუძლურებული იყო ტარიელ, რომ თვალის ახილვებაც აღარ შეეძლო. სრულად მიხლოდა ცნობასა — გრძნობანი დასუსტებოდა და ველარასა² გრძნობდა. მ ი ხ ლ ო დ ა — მიღებოდა, დაჰკარგვოდა.

2 მოშორებოდა ნობასა — ნ ო ბ ა, რადგანაც მხილაობასა, ანუ ყარაულობას ნიშნავს, გონება კაცისა, როგორათაც ყარაული უდგეს.

¹ ახმადცა

² ველარასა

ციხესა, ქალაქს, სახლს, ანუ ნივთს რასმე, რომ არა წახდეს რა, ისე ჩვენს გვამსა (ესე იგი ყოვლისა კაცისა გვამსა) გონება ყარაულათ, ანუ მხმილავათა ჰყავს და იმის მიერ იცევის გვამი (ნობა სპარსული ლექსია) [96r].

3 ყმა სახელდებით უყვივის — ავთანდილ უძახის სახელდებით ტარიელ, ტარიელ. ლომისა სიტყვით კრთობასა — ლომს აქა ტარიელს უწოდებს. კრთობა, ანუ განკრთობა, გამოფხიზლებასა ნიშნავს და განკრთობა უეცრად რომ შეემთხვას და ნახოს რამე კაცმან გაუკვირდეს და მცირედის რასმე შიშით, ანუ სირცხვილით კაცი რომ შეხტეს, ესე იგი, ესე ვითარის გრძნობით ტანი კაცისა რომ შეიძრას.

4 ველარ ასმინა — ველარა გააგონა რა სიტყვით და ზახილით. გარდიჭრა — საჩქაროთ გარდახდა ცხენილამ და მივიდა ტარიელთან. ძმა გამოაჩენს ძმობასა — ძმობის¹ სიყვარული გამოაჩინა ავთანდილმან და ტარიელს უშველა.

86 i/871

1 კელითა ცრემლსა უწურავს — კელით თვალთაგან ცრემლსა სწმენდდა. თვალთა ავლებდა სახელსა — სახელი კაბის ყურთმაჯი, ესე იგი კაბის კელმკლავის ჩაპაცმელი. გულშელონებული ადამიანი რომ იქმნება მომვლელი მის ავად მყოფისა, კაბის სახელს გაიხდის და თვალებზედ და შუბლზედ მის კაბის საკელს დაიჭერს ორისავ კელითა და ისე უსვამს, რომ შუბლზედ და თვალებზედ სმითა მოაბრუნოს.

2 უყვივის — მაღალის კმით უყვირის სახელსა, ტარიელ, ტარიელ.

3 გაჭრილი — ველად გავარდნილი. კელი — გიჟივით სიყვარულისა და სიბრალულისაგან თითქმის გაგიჟებული.

4 მას არა დია შეესმა — მას არაფერი არა ესმოდა რა ავთანდილი რასაც მაღლის კმით ეტყოდა. რეტსა — რეტი ცნობა მიხდილსავით, არც რომ სრულად გულ-შემოყრილი იყოს. მაგრამ რასაც ელაპარაკებოდე არც არა ესმოდეს და არცა რას სცნობდეს. რეტი, ანუ გარეტებული იგი არს. თვალ-დაუფა²მნი²ხველსა — დაფახვა თვალის დახუჭვა არის და კაცი ოდეს დიდს მწუხარებაში არის, მრავალ გზის შეემთხვევა² ესე, ცნობა მიხდილია და თვალები კი დახუჭვილი არა აქვს. იმ ჟამში თვალები ახილებული აქვს, კიდევ ხედავს, მაგრამ ვერც არას ილაპარაკებს და არცარა შეესმის. ეს მომატებულის სევდის სენი არის და მწუხარებისა.

¹ ძმობას

² შეემთხვევა

862/872

1 ასრეა — ესრეთ არს. თხრობილა — თქმულა.

2 მოსწურა — მოსწმინდა. მოაცნობილა — ცნობას მოიყვანა, ვით მძინარე გამოაღვიძოს გამოაფხიზლა.

3 მოეჭლო, მოეძმობილა — როგორათაც ძმობილთა წესია, ესე იგი, ძმად ფიცთა, როდისაც ერთად შეიყრებიან, გარდაეხვევიან ერთმანერთს.

4 ბედი-ცხოველი — ცხოველი ბედი, ბედნიერება არის, ხოლო მკვდარი ბედი, უბედურება. ოდესცა კაცსა კარგი რამ სჭირს, იგი ბედისა ცხოველისა მიზეზი არის, და თუ ავირამ სჭირს, იგი უბედურებისაგან, მაშინ ბედი მისი მკვდარ არს.

863/873

1 არ გიტყუვე — არ გაგიმტყუნდი. გიყავ — აღვისრულე.

864/874

1 რად იქ — რად იქმ, რად შერები.

4 სატანა — ეშმაკი.

865/875

1 აპირობენ ამა პირსა — ნება ვით ამა საქმისა ქმნა.

2. კამს მამაცი მამაცური — უნდა კაცი კაცურად, ესე იგი როგორც კაცსა შეშვენის ისეთი მხნე იყოს.

3 ჭირსა შინა გამაგრება, ასე უნდა ვით ქვითკირსა — ჭირსა და მწუხარებაში ასე უნდა გამაგრდეს კაცი, და თავისი გული ასე უნდა გაიმაგროს, როგორათაც ქვითკირის კედელსა წვიმა, ქარი, სეტყვა და სხვა ესე ვითარი მოხვდენ[97] და ვერას დააკლებს, ეგრეთვე კაცს თავისი გული ისე უნდა ჰქონდეს გამაგრებული, რომ მწუხარებამ ვერა დააკლოს რა.

4 თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა — კაცი რომ კარგათ საქმეს ვერ გასინჯავს და საქმის გაუსინჯავათ მოიქცევა, ჭირში იმიტომ ჩავარდება.

866/876

2 მკეცთა ახლავ — მკეცთა სიახლოვესა და ალაგსა მათსა იმყოფები. წადილი — საწადელი, სურვილი. აისრულე — აღვისრულე.

867/877

1 მიჯნური — სიყვარულით ვნებული. საქმილი — ცეცხლი.

2 პატიჟნი — სასჯელნი, ვნებანი. ბნდებიან — დაბ-

ნ ე ლ ა, ცნობა, რომ მიეხდებოდა, იმას ნიშნავს, სიყვარულითა ანუ მწუხარებით.

3 უ ს ა ხ ო — უმაგალითო.

868/878

1 ტ უ რ ფ ა — მშვენიერებით შემკობილი.

2 რ ა დ ა — რასთვის არს. ჭ ი რ ა დ — ძნელად.

3 მან სთქვა ტკბილსა მწარედ ჰპოვებ, სჯობს იქმნების რაცა ძვირად — ტკბილი რამ საპოვნელი კაცმან ჭირითა და შრომისა სიმწარითა უნდა სძებნოს, ამისთვის, რაც, რომ ძნელად საპოვნელი არის და ძვირად საპოვნელი, ის ნივთი უმჯობესი არის სხვათა, ადვილად საპოვნელ! ნივთთა ზედა. სიმწარითა და ჭირით მოპოებული ნივთი მისცემს კაცსა უდიდეს სიტკბობასა.

4 ოდეს ტურფა გაიფუტეს, არა ღირდეს არცა ჩირად — თუ რომ ძვირფასი რამ ნივთი გაიფუტება, მაშინ იგი ერთს ჩირათაც აღარ ეღირება. ჩ ი რ ი — ტყეში რომ წვრილი და უბრალო მსხალი და ვაშლი მოვა ცუდი, იმას დაჰკრეფენ², დასჭრიან წვრილად გლეხნი მოსახლენი [97v] და მოიხმარებენ, ზოგს საჭმელში, ზოგს ისე საჭმლად. ეს იაფი არის, ასე რომ მრავალიც იქმნება და არც იმისთანა ნივთი არის, რომ ღიდათ რასმე მოსაწონი იყოს. ტყის მსხალი პ ა ნ ტ ა არის და ღიახ მრავალი იქმნება საქართველოში.

869/879

1 უსულო და უსაკო — უსულო, უგრძნობელნი ნივთნი არიან და უ ა ს ა კ ო კაცის ასაკი არც ვარდს ეთქმის, არცა ხეთა და მდელითა, რადგანაც ასაკი გონიერისა ცხოველისა სხვასა არა მიეწერების.

3 უბოროტო ვის ასმია, რაცა კარგი საეშმაკო — კ ა რ გ ი ქართულში ორ სახედ განიმარტება. კ ა რ გ ი კეთილს რასმე ნიშნავს. კარგად და წესიერად, ანუ კანდიერად საქმესა რასმე ქმნილსა, ანუ ნივთსა. კ ა რ გ ი, ანუ კარკი რიგსა ნიშნავს და რაც რომ ეშმაკისაგან გარიგებული, ანუ განწესებული საქმე არის, ის მარადის ბოროტი არის და სასოწარკვეთილება და ყოვლითურთ უიმედობა რომ მიიღოს კაცმა, სრულიად იმედი გარდაიწყვიტოს, რადგანაც ჭირში ჩავარდი, აღარა მეშველება რაო, ეს ეშმაკისა მიერი ბოროტი განკარგულება და გარიგება იქმნება. კ ა რ გ ი ს ა ე შ მ ა კ ო — ეშმაკისა მიერ გარიგებული, ანუ რიგ მიცემული.

¹ საპოვნელი

² + და დაჰკრეფენ

4 რად ემდური საწუთოსა, რა უქნია უარაკო — საწუთრო, ესე იგი, სოფელი ესე არავის დაუტევებს თვინიერ რაჟსამე საამოჟსა, ანუ სამწუხაროჟსა შემთხვეულებისა. უარაკოდ — არაკი ნიშნავს ანეგლოტსა. ყოველი შემთხვეულება, კეთილი გინა ბოროტი, სა-არაკო არის, ესე იგი, საამბო პირითი პირად და კაცითი კაცად მიმო-ითქმის და წიგნთა შინა მოთხრობისათა შთაიწერების. საარაკო — [98r] საამბო.

870/880

1 ისმინე ჩემი თხრობილი, შეჯე წავიდეთ ნებასა — თხრობილი — თქმული. შეჯე — შეჯექ. ცხენსა შეჯექ, ანუ ცხენსა ამხედ-რდი. წავიდეთ ნებასა — წავიდეთ თავისუფლად, ჩვენს ნება-ზედ წავიდეთ.

2 ნუ მიჰყოლიხარ თავისა თათბირსა გაგონებასა — შენის თავის რჩევას და განზრახვას ნუ მიჰყოლიხარო, და ნუ უსმენ შენს ფიქრსაო (ავთანდილ ეუბნება ტარიელს). გაგონებასა — გაგონება თავის თავის განზრახვასა და ფიქრს რომ უსმინოს კაცმა, გაგონება ეს არის, ანუ სხვას ვისაც უსმინოს კარგი თუ ცუდი.

3 რაც არა გწადდეს, იგი ქენ, ნუ სდეგ წადილთა ნებასა — რა-ჯცა არ გინდა საქმნელად ის უნდა ქმნაო, და არ უნდა მიჰყვე შენის გულის წადილსა და ნებასაო.

4 ასრე არ ჰსჯობდეს, არ გეტყვი, ნუ მექვე რასაცა თნებასა — თუ ასე არა სჯობდეს არ გეტყვიო და ექვს ნუ მოიტან ჩემზედ. რომ მე თნებით, ესე იგი მოფერებით გეუბნებოდე ამას და გირჩევდო.

871/881

3 რად ადვილად გიჩნს მოთმენა, ჩემთა სასჯელთა თმენისა — რაც რომ სასჯელი მე დავითმინეო, იმისი მოთმენა ადვილად როგო-რა გჩანსო.

4 აწ მივწურვილ ვარ სიკვდილსა, დღე მომეახლა ლხენისა¹ — აწ მივწევნილვარო სიკვდილსა თანაო და ჩემი ლხენისა დრო ეს არი-სო, რომ სიკვდილს მიუახლოვდიო.

872/882

1 ამას მოკვდავი ვილოცავ, არ ოდეს ვითხოვ არ ენით — მე ამ-ჟამათ მოკვდავი ვარო და მარტო პირით და ენით კი არ ვილოცავ, გულით ვითხოვო და ვილოცავო.

2 მუნამცა — იქ მეორეს სოფელს.

¹ მომეახლენისა

1 (ავთანდილ ეუბნება) საყვარელმან საყვარელი ვით არ [98v] ნახოს ვით გაწიროს — როგორ შეიძლება საყვარელმან საყვარელი არა ნახოსო, ან როგორ უნდა გაწიროს ესე იგი უგულებელსჰყოსო და აღარა დასდიოს რაო.

2 მისკენ მივა მხიარული, მერმე იგი თვის კერძ იროს — (ჩემ კერძ იროს შეცთომა არის დაბეჭდვაში, თვის კერძ უნდა). თვის კერძ იროს — თვის კერძო მოიყვანოს, თავისთან მოიყვანოს და თითონ იმასთან მივიდეს.

4 ჰკითხე ასთა ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს — კაც-მან რჩევა ჭეშმარიტთა მეგობართა თვისთა და მეყვსთა და ჭკვიანთ კაცთ უნდა ჰკითხოს და მერმე თავის გულისა ნება ისე უნდა აღასრულოს, ვინც საქმის რჩევას სხვათაც, რომელნიცა ჭეშმარიტნი, სანდონი და ჭკვიანნი კაცნი არიან, იმათ არა ჰკითხავს, საქმეს კარგათ ვერ წარმართებს. ეს კარგი ზნეთ-სწავლულება არის.

1 გეტყვი მართალსა პირასა — ამ მართალს პირობას გეტყვიო, სხვას ვერას აღგიტქვამო და ვერას დაგპირდებო.

2 ხანსალა დავეყოფ მცირსა — ცოტას და მცირეს ხანსლა დავყოფო.

3 არ ცოცხალ ვიყო, რას მაქნევ, რა დავრჩე ქელსა მკდრიასა¹ — მე სიცოცხლე არ მინდაო, რას მაქნევ, რად გინდა რომ ვიცოცხლოვო. რა დავრჩე ხელსა მკდრიასა — თუ უნდა კიდევ ცოცხალი დავრჩეო, რას გამოგადგები გიჟიო, ანუ რას საქმეში გამომიყენებო.

4 დამშლიან ჩემნი კავშირნი — კ ა ვ შ ი რ ნ ი, ესე იგი ნაწევრობანი ასოთა, რომლითაცა ყოველი ასო კაცისა კელნი, ფერკნი, მუქ-ლნი, მკლავნი, თითნი, თავი და სხვა [99r] და სხვანი ნაწევარნი ერთმანერთზე მობმულნი არიან, კავშირი ნაწევართა ის არის. კავშირნი არიან ოთხნიცა ასონი ანუ ნიეთნი: ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა. და მ შ ლ ა, მ ო შ ლ ა, და ხ ს ნ ა — უსენი ერთი და იგივე არს, რომ თავის მდგომარეობაზედ არღა იყვნენ. ნახევარნი კაცისა სხეულისანი, ანუ საცნობელთანი. შერთვიან სულსა სირასა — ს ი რ ა სხვად და სხვა რიგად განიმარტებიან, მაგრამ სულთა სირა აქა სულისა ძალთა ნიშნავს. ს ი რ ა ს უ ლ თ ა არს ნაწევრობის სახელსავით, რეცა ნათესაობით, ესე იგი გონება და გულის-ხმის ყოფა სული-

¹ მკდრისა

სა და ცხოველობისა არიან სახენი, როდისაც კაცისა სხეულისა კავ-
შირნი კორცთა დაიხსნებიან, მაშინ ყოველნი ცნობანი და მოქმედე-
ბანი სიცოცხლისანი კორცთა განეყრებიან და სულსა შინა დაშთე-
ბიან. ამისთვის იტყვის სტიხის მოქმედი ჩვენი რუსთაველი და მ-
შ ლ ი ა ნ ჩ ე მ ნ ი¹ კ ა ვ შ ი რ ნ ი, შ ე რ თ ვ ი ა ნ ს უ ლ თ ა ს ი-
რ ა ს ა.

875/885

3 გამიარმა სიცოცხლე — დამიმწარდა სიცოცხლე, ანუ ჩემის
სიცოცხლის წადილი წესისაგან გარდავიდა და წინააღმდეგი წესისა
ვიქმნები, თუ რომ სიცოცხლის ნდომალა მექმნებისო. გა მ ი ა რ-
მ დ ა — ეს ლექსი არამი ანუ ჰარამ აქედამ არის წამომდგარი, რო-
მელიც არაბულად ნიშნავს ჰარამ, სჯულით რაჟმე რომ იყოს დაყე-
ნებული და შეკრული, რომლისაცა აღსრულება უჯერო იყოს.

4 მუნ მეცა მივალ ცრემლისა, მიწად სად გამდის ღამისად — იქ
მეც უნდა მივიდეთ, ჩეზი ცრემლი მიდის, გინა იღვრებაო. მიწაზედ
რომ ცრემლსა ვღვრი, მეც მასთან მივდივარო, რომ იმან შემიწყ[99v]-
ნაროს და მოვკვდეო. გა მ დ ის — ეს ნიშნავს პირველად ამას, რომ
ცრემლი დამომედინების თვალთაგანაო. გეორეთ ესეც გამდის ნიშ-
ნავს — გამეველინება ეს საწადელი, ანუ სურვილი ჩემი მიწასთან,
სადაც ჩემი ცრემლი იღვრება მიწაზედაო, მეც მუნ მივალო და საყ-
ვარლის შეყრის მაგიერად, ღამეს შევეყრებითო, ვინაჲდგან სტიხის
მოქმედთ წოდებითა ღამე სიკვდილსა ნიშნავს, ხოლო დღე სიცოც-
ხლესა.

876/886

1 ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქს ბრძნობასა —
ტარიელს რომ ეტყვის ავთანდილ სტიხსა შინა მნნ: „ამას ბრძენი
ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ“ — ამას პასუხად ავ-
თანდილს ტარიელ მიუგებს ამ ზემო თქმულსა: „ბრძენი ვინ ბრძენი
რა ბრძენიო, მე რათ ვიქმნები ბრძენიო“, ხელი ესე იგი გონებით
ვენებული, ანუ ცნობით ბრძენობას როგორა იქმნსო.

2 ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუმცალა ვიყო ცნობასა — ეს საუბა-
რი, ესე იგი ლაპარაკი და დარიგება მაშინ უნდოდაო, თუ მე ჩემს
ცნობაზედ ვიყოვო.

3 ვარდი, თუ მზე არა დგას, დაჰკნებაო.

¹ + ჩემნი

4 დამეხსენო არა მცალიან შენთვისაო და არცალა ვარ მოთმინების ახლოსაო, რომ შემეძლოს გაძლება ამა ჭირისაო.

877/887

1 კვლავ ეუბნების ავთანდილ სიტყვითა მრავალფერითა — მრავლის სხვა და სხვა სიტყვით ელაპარაკება ავთანდილ.

2 ეტყვის არ მოვკვდე გერგების, სიტყვითა, რა ოკერიოთა — ო ხ ე რ ი ს ი ტ ყ ვ ა — ლაპარაკი რომ იყოს და გაგონება იმ ლაპარაკისა და შეწყნარება სიტყვისა კი არ [100r] იყოს, იმას ნიშნავს (გაობრდება მაშინ სიტყვა, საცა გაგონება სიტყვისა არ იქმნება). ეტყვის არ მოვკვდე გერგების — ეტყვის ავთანდილ, თუ გამიგონებ და შენის გაუგონებლობით, მე თუ სიკვდილს არ მიმცემ, სარგებლობა გაქვსო და ოკერის სიტყვიდამ კი სარგებლობა არა იქმნება! რაო.

3 ნუ იქ არა სჯობს საქმითა, ნუ ხარ თავისა მტერთა — რასაც შენა შერები ამას ნუ იქმ არა სჯობს და იმისთანას საქმეში ნუ ხარ. რომელიც თავის მტერობა არისო, ესე იგი, ამ საქმით შენს თავს შენვე მტერობო.

4 ვერ წაიყვანა ვერა ქნა სიტყვითა ვერა ვერითა — ვერ წაიყვანა, ვერ შეიძლო, ვერა რომლითამე სიტყვითა. ვ ე რ ა ვ ე რ ი თ ა — ესე იგი ვერა რომლითამე.

878/888

1 არ მომისმენ არას არა — არასფერს არას მომისმენო.

2 ცუდად მცდარა — ცუდად დამაშვრალაო¹. მ ც დ ა რ ა — შეცთომილა. მ ც დ ა რ ა — მომცდარა.

3 ვარდი დაჰკნეს დაცამჰკნარა — დაჰკნობა, დაჴლივა და ესე ვითარნი კრწნილებისა სახენი არიან. დ ა ც ა მ ჰ კ ნ ა რ ა — კიდეც დამჰკნარაო, ესე იგი მშვენიერება შენი მწუხარებასა დაუჰკვნიაო.

4 გ ე ა ჯ ე ბ ი — გევედრები, გეხვეწები.

879/889

1 სადა ინდონი ბროლ ლალსა, სარვენ გიშრისა სარითა — ამას რომ იტყვის ავთანდილ, თავის საყვარელის თინათინისას იტყვიან. ბ რ ო ლ-ლ ა ლ ი თინათინის მშვენიერის პირის სითეთრესა და ლაწვთა სიწითლესა იტყვის ამა უკვე ბროლ-ლალსაო. ინდონი სარვენ გიშრისა სარითაო, ამას ნიშნავს — ინდონი რადგან შავნი არიან [100v]. წამწამთა ინდოთა უწოდებენ (აღმოსავლეთის მოლექსენი). ს ა რ ვ ე ნ — ესე იგი, ღობე რომ შემოავლოს კაცმან ერთს ადგილს, პირველად სარებს, ესე იგი სწორეს ხეებს ადგილს შემოავლებენ და იმაზედ ღობეს მოსწვენენ. გ ი შ რ ი ს ს ა რ ე ბ ი წამწამები არიან,

¹ დამაშვრალო

რომელთაც მშვენიერისა პირსა ბროლი და ლალი შეუსარავსთ, ანუ შეუზღუდავსთ.

2 მას მოვეშორვე, წამოველ, სიჩქარით არ სიწყნარითა — იმას მოვშორდიო და ჩქარად წამოველ შენს შესაყრელადა და საშეელადაო.

3, 4 მეფე მშობლიურად მიბრძანებდა (ანუ ვითარცა მამა) წამო-უსვლელობას, ზე არ მოუსმინე, აქ მოველ და შენ არ შემეყრი, ესე იგი, არ მიმიშვი შენთანაო. არც მიმიღე და არც გამეყრი, ესე იგი არც მაგდებო და ჩემი ლხინი და სიამოვნე რაღა იქმნებოდა, რა უნდა ვსტქვაო.

880/890

1 ნუ გამგზავნი გულმოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი — გულმოკლული — კაცი ერთის ვითარისამე საქმისაგან უიმედოდ რომ დარჩეს, გული ისე შეექმნება მწუხარებითა და ჯავრით, როგორათაც მკვდარი. ერთი მიყავ საწადელი — ერთი საწადელი აღმისრულე.

2 ჩემი სულთა მკდელი — ესე იგი, ტარიელს ეუბნება ავთანდილ, რადგანაც ჩემსა სიტყვას არ მისმენ, სულის ამამხდელი შენა ხარ ჩემიო, გნებავს და გამიგონებ და მომისმენ, მაშინ ჩემს სულის ჩამდგმელი იქმნებო, და თუ აღარას მომისმენ და აღარც გინდივარ, მაშინ ჩემს თავს სიკვდილს მივსცემო და შენ ჩემს სულის ამომხდელს ამისთვის გიწოდებო [101r].

2 მოვიქარვო, განვიქარვო — განვსდევნო ჩემგან. სევდა — ესე იგი კაეშანი (სევდა ზემორე განგვიმარტებია).

4 მე წაველ და შენ დაგაგდებ, იქმნას შენი საქადელი — დაგაგდებ — დაგიტევებ, გაგიშვებ. საწადელი — დასაქადებელი — სიქადული, კვეხნა, საწადელი; თავის მოწონებით დაქადება ვითარისამე.

881/891

1 ეხვეწებოდა — ევედრებოდა, სთხოვდა. შეჯეო — ცხენზე შეჯიქო. აჯა ხვეწნითა არვებდა — აჯა არაბული სიტყვა არის, გულსმოდგინებით ვედრებას ნიშნავს. ავთანდილ აჯითა და ვედრებითა, გინა ხვეწნითა არ დაშერებოდა. არვებდა — რაოდენსაც ევედრებოდა ტარიელს, იმ ვედრებისათვის არვებდა, არ ინანდა, არცა წუხდა.

2 იცოდა რომელ შეჯდომა, კაეშანს მოაქარვებდა — შეჯდომა — ცხენს აღმხედრება. კაეშანის მოქარვება — სევდის განდევნა. მოქარვება-ის არის, მთვრალს კაცს, რომ ღვინისაგან სიმთვრალე გამოწელდეს, ესე იგი სიმთვრალისაგან რომ გამოეფხიზ-

ლოს. მოქარვება — მწუხარებისა და სევდისა. სევდას ქართულად კაეშანი ეწოდება და ნალელიანობაცა.

4 ლერწმისა სრასა დასდრეკდა, გიშერსა დააკარვებდა — ლერწმის სრა წამწამნი არიან, ანუ სახლნი თვალთაგანი. გიშერი აქა თვალებისათვის უწოდებია. დასდრეკდა — ხრიდა წამწამთა, ანუ თვალთა წამოყოფდა აღსრულებასა თხოვილისასა ავთანდილს. გიშერსა დააკარვებდა, ესე იგი თხოვილისა მის ნების მიცეპასა შინა, ტარიელ წამწამთა თვისთა თვალთა მშვენიერთა ზედა დახ[101v]-რიდა და დააფარებდა და ესე არს დაკარვება.

4 დაიმორჩილა, იამა, არ ივაგლახა, არვებდა — მაშინ დამორჩილდა ტარიელ, იამა, ესე იგი კიდევც ესიამოვნა და აღარც ივაგლახა, აღარა მწუხარებით ზრუნვიდა და აღარც ვაებდა.

882/892

2 მან მოპვეარა, წყნარად შესვა, არ სიჩქარით ააქშინა — როდისაც კაცი დაილალება, ქშინება მაშინ დაემართება, ესე იგი, სუნთქვა აუჩქარდება და გული ეტკინება ქშინვით. ავთანდილმან ტარიელ ნელად შესვა, რომ უეცარი მავნებელი ქშინვა არ მოუვიდესო, რომ არ დაბრკოლდეს და წამომყვესო.

3 ტანი მჭევრი აძვრევიანა — ენა მჭევრი თუ ვსთქვით მშვენიერსიტყვაობას და რიტორს დანიშნავს და ოდეს ტანი მჭევრი ვსთქვით, ნიშნავს ტანი მშვენიერსა, რომ გამართვით და წესიერად და მოუხრელად ეჭიროს, რომ ტანსა მისსა მოუძღურება არ ეტყობოდეს. აძვრევიანა — ესე იგი მაციონი მისცა, ანუ შრომაში, ესე იგი მოძრაობაში შეიყვანა.

4 და რამდენიმე ხანი რომ გაიარეს, სიარულში ტარიელს მოპჯობინება შეეტყო.

883/893

2 ძოწი — უმშვენიერესი ფერი ყოველთა ზედა წითელთა (იხილუ ლექსიკონსა შინა საბასსა თუ რაჲ არს ძოწი).

3 მისი სმენა გააყმობდა მსმენელისა ყურთა ბერთა—ავთანდილ ასეთი მშვენიერი მოლაპარაკე იყო, რომ სასმენელთა ბერთა, ესე იგი რომელთაცა დრო გაეტარებინათ სხვათა და სხვათა სიტყვათა სმენასა შინა, მათთა ყურთა საუბარი ავთანდილისი განაახლებდა სიამოვნით, ესრეთ ვითარცა ჭაბუკთა არა მრავალ ხნიერთა [102r].

4 მოაშორე კაეშანი, დათმობავე შეაერთე — ავთანდილმან თვისისა მშვენიერის ლაპარაკით ტარიელს სევდა მოაშორვა და მოთმინება შეაწყნარებინა.

1 რა შეატყო მოჯობება — მოჯობება — მომჯობინება. კაცი რომ ავადმყოფი იყოს და კარგათ ყოფნა შეეტყოს მოჯობება და მომჯობინება მას ნიშნავს. მუნ სევდისა მუფარაზმან — მუფარაზი, გულის გასამთელებელი მაჯუნი არის (გინა დუზედი), ქართულად დუბედი ეწოდება მაჯუნსა. ამას აღმოსავლეთის ექიმნი აკეთებენ, იაგუნდთა, მარგალიტთა და თვალთაგან პატიოსანთა. ეს მაჯუმი გულის ტკივილს დიდად არგებს. სევდის მუფარაზი არის კაცი, რომელიცა მოყვასსა თვისსა ტკბილისა ლაპარაკითა და საუბრითა ლხინებას მისცემს.

2 სიხარული დაუსახი — უაღმატებულესი სიხარული.

3 ცნობიერთა დოსტაქარმან — ცნობიერნი იგინი არიან, რომელნიცა სიტყვათა და საქმეთა ვონიერად განსჯიან. დასტაქარი — წყლულთა და დაჭრილთა ექიმი. როგორათაც დოსტაქარი წყლულებს განჰკურნებს, ეგრეთვე გულითადი მეგობარი მეგობრის მწუხარებას კურნებსა და ლხენას მისცემს. უცნობოთა ოსვრა ახმან — და უცნობოთათვის გონიერი და კელოვანი კაცი, ოხვრასა და ახს ვანამრავლებს, რადგანაც, რასაც ურჩევს და ეტყვის ვერ დააჯერებინებს. უცნობონი უგუნურნი არიან.

4 ცნობიერი სიტყვა უთსრა, უცნობოსა რასმე მზრახმან — ცნობიერი სიტყვა — გონიერული და ჭკვიანი სიტყვა. უცნობოსა რასმე მზრახმან — უცნობო იყო ის სიტყვა, რადგანაც ტარიელს მწუხარებისა გამო აღარ ახსოვდა [102v] ავთანდილმან მოაგონვა და ასეთის სიტყვით გამოუცხადა, რომელიც ამ შემდგომს ლექსში სწერია, რომ უსამართლო საქმე არის ასმათის მისგან დავიწყება.

885/895

1 ჰკადრა — შებედა, გაუბედა. არმაღული — არა დასაფარავი სიტყვა, არამედ საჭირო ცხადად სათქმელად.

3 ევე სამსრე მისეული — სამსრე, რომელიც ება მკლავსა ზედა ტარიელის მისეული, ესე იგი, ნესტან-დარეჯანისეული¹ იყო, იმისგან ჰქონდა მიცემული. შენ გაჩნია მისგან წყლული — ვისგანაც შენ წყლულება მწუხარებისა გაქვსო.

4 რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს — როგორ გიყვარს და როგორ გიღირსო (მე ამას გკითხავ მაცნობოვო). თქვი დავილო მერმე სული — სთქვიო, გამომიცხადეო და პასუხი უნდა მითხრა, რომ მერ-

¹ ნესტანდარეჯანის სეული

მე დავიღებ სულსაო, ესე იგი, მერმე შევისვენებ და დავსცხრები ლაპარაკისაგან და შენი სიტყვით ამდენის შეწუხებისაგანაო. ს უ ლ ი ს და ლ ე ბ ა — ლაპარაკისაგან დაცხრომა და შესვენება.

886/896

1 მან უთხრა სახე რა ვითხრა, მას უსახოსა სახისა — როგორათაც ეს სამხრე მე მიყვარსო, როგორ გამოგიხატოვო (ტარიელ ეუბნება ავთანდილს), რომელიც, რომ შეუძლებელი არის რომ სიტყვით გაჩვენო და ცხად გიყო, როგორათაც მისეული სამხრე მიყვარს და მიმარჩიო, ყოვლითურთ უსახოსა სახე არის იმისი ჩემგან სიყვარულიო.

2 ჩემი მომცემი ახისა — ა ხ ი ს ა — ა ხ ამოოხვრის ნაწილი არის სამწუხაროსა ჟამისა, ესე იგი ქართულად ასე განიმარტება ეს ლექსი, ხოლო ა ხ ი ანუ ა ჰ ყ ი — არაბულად სამართლიერად თვის საყოფელსა რადმესა კაცისასა. [103r].

4 არ სასმენლისა მოსმენა, არს უმწარესი წმანისა — წ მ ა ხ ი ყოველთა მკავეთა უმკავესი და ყოველთა ცხართა სიმკავეთა ზედა უცხარესი. ღვინის ძმარსა არა ჰქვიან, წმანსა სხვათა რათმე ნივთთა რომელნიც დამკავედებიან. მათგან იქმნება, მომატებული და უსიამოვნო მკავე იქმნება წმანსი.

887/897

1 ავთანდილ უთხრა ელმოდი, მართ მაგისავე თქმევასა — ე ლ მ ო დ ი — აქა ეს ლექსი სტამბაში შემცდარია. ვ ე ლ მ ო დ ი ასე უნდა. ვ ე ლ მ ო დ ი ნიშნავს ამას — მწაღდა, მინდოდა, ვაპირებდი და სხვანი მრავალ რიგად ითქმის ეს ლექსი და, აქა ამას ნიშნავს — ეს მწაღდა და მინდოდა, რომ მეთქმევიინებინა თქვენთვისაო. თ ქ მ ე ვ ა — თქმევიინებას ნიშნავს.

2 აწ რადგან ვითქომს პასუხი, გჳადრებ და ნუ მეჭვ თნევასა — ავთანდილ ეუბნება, ახლა, რადგანაც პასუხი სთქვიო, მეც გავბედავ სწორეს მოხსენებას და ამაზე იჭვი ნუ გექმნება, რომ გეთნოვო, ესე იგი პირმოთნეობა ვიხმარო, ანუ შოგეფეროვო, სწორეს გეტყვიო.

3 სჯობს ასმათისა არ ლევა, მაგა სამხრისა ლევასა — ა ს მ ა თ ი ს ა არ ლ ე ვ ა — მწუხარებით, ანუ სიყვარულითა, ანუ სენით რომ დნებოდეს კაცი, ლ ე ვ ი მას ნიშნავს. იტყვიან მწუხარებით ასე დადნა (ის რომელიმე კაციო), რომ სრულიად დაილივო. მაგა სამხრისა ლევასა — ლევა ლექსსა ამას აქა სხვა მნიშვნელობა აქვს,

¹ დადგანაც

ესე იგი, ლევი ნიშნავს თანა შეკრულებასა, ერთი რამ რომ შეაყვაროს კაცმა, გული და ცნობა მას შეაქრას და უძღვნას, გინა აღირჩიოს უმეტესად ნივთი რამ კაცმა და უმეტეს ყოველთა თვისთა საყვარელთა ზედა მეტად შეიყვაროს. ლევი ებრაული სახელი არის, მაგრამ ლევა ანუ [103v]. გალევა მთოვარის სრულიად დაკლებასაც ნიშნავს და მეტალი რამ რომ ჩამოაგდოს ცეცხლში ან ცვილი და სრულიად შეაჭამოს იგი ცეცხლისაგან, მაშინ იტყვიან სრულიად განილივით.

4 ამაღ არ გიქებ საქმესა უარესისა რჩევასა — აქა ასმათს უმჯობესად იტყვის, ვიდრე სამხრესა. რა საკვირველი არის, რომ სამხრესა და რასაცა უსულოსა ნივთსა კაცი უმჯობესობს.

888/898

1 სამკრე — სამკრე სხვა და სხვა გვართ განიმატება და აქა სამკრე ნიშნავს ბაზმანდს, რომელსაც აღმოსავლეთში მონებური ერი ხმარობს. ლოცვაები იქმნება რამდე დაწერილი. ამას ბუდე ექმნება ოქროსი და თვალთაგან პატიოსანთაგან ქმნილი. მას მკლავსა შემოიკვრენ, საქართველოშიაც ხმარობდნენ ადრე ამას ხშირათ და ახლაც ხმარობენ ზოგნი საღმრთოს რასმე ლოცვაებს დასწერენ და სახარებისაგან იოანეს პირველის თავის სახარებიდამ და სხვათა და სხვათ ადგილებიდამ, ეგრეთვე ავგაროზს და იმას მკლავთა შეიბმენ, რომელიცა მფარველად თვისად აქვსთ.

2 უასაკო — ასაკი არს ბუნებრივი წარმატებულება. დღითი დღე რა იზრდებოდეს კაცი სიყრმის ქამიდამ, ვიდრე შესრულებადმდე ასაკისა. მაგალ., არიან ასაკნი სიჩრთებისა, სიყრმისა, სიჭაბუკისა, სიჯოშისა, შუაკაცობისა, მხცოვნებისა და სიბერისა. ამა თვითოეულთა დროთა ასაკი თვისი აქვსთ. ხოლო უგრძნობელთა ნივთთა ზედა ასაკი არა ითქმის, ვინაჲდგან იგინი არიან [104r] უსულონი და უსიტყვ არიან და უცნობელ, ესე იგი უგრძნობელ.

2 ბჭობილი — განსჯილი, გასამართლებული; ნახე მართალი ბჭობილი — ნახე — განიხილე, გულის-ხმა-პყავ, ეს მართალი განსჯა არის ანუ არა, რომ ასმათ დაივიწყავო, ავთანდილ ეუბნება ტარიელს

4 პირველ გლახ მისი ნაჭვრეტი — ჯერ პირველად იმისი ნამსახური. ნაჭვრეტი ჭვრეტიდამ, ანუ ყურებიდამ არის ეს ლექსი წარმოვებული. ყოველნი მონანი, გინა მხევალნი თვისთა მეზატონეთა წინაშე მდგომარენი სჭვრეტენ თვისთა ბატონთა მომლოდნენი ბრძა-

ნებათა მათთან. დობილი იგი არს, კაცმან ოდესცა დედათაგანი ვინმე ღისა მსგავსად შეითვისოს.

889/899

1 თქვენს შუა მქნელი საქმისა — ესე იგი ტარიელისა და ნესტან დარეჯანის მიჯნურობის ჟამსა ასმათ იყო მათი სანდო და მათ შუაში მოსაქმე.

2 თქვენი შემყრელი მსახური — ასმათმან შეპყარა ერთად და ტარიელს ის მიუძღვებოდა და ის მიიყვანდა ყოველთვის ნესტან-დარეჯანთან. შენგან ღირს ქმნილი კმობისა — ავთანდილ უუბნება ტარიელს, თუმცა შენ უფალი იყავ და ასმათ მქვეალიო, მაგრამ შენ მიეც მას ის უფლება და ღირსება, რომ როდისაც ნებევდა და ნესტან-დარეჯან უბრძანებდა, ასმათს შეეძლო, რომ შენ ეკმე, ესე იგი დაუბარებინეო სწორეთ ისე, რომ ბრძანებასავით შეეძლო შენი მიყვანაო.

3 მისი გამზრდელი, გაზრდილი — ეს ნიშნავს, რომ ასმათ ნესტან-დარეჯანისთან შეზრდილი იყო, გამზრდელიც იყო იმისი და გაზრდილიც. გამსდელი გაზრ[104v]დილისა ყოველთვის უფროსი იქმნება და გაზრდილი გამსდლისა უმახლობელესი.

4 გლახ დაგიგდია — საწყლად დაგიტევებია და არ ნახავ. შაბაშ, მართლისა ბჭობისა — შაბაშ ანუ შაბა არაბული ლექსია, ერთი საქმე რამ რომ მოუწონონ ვისმე, მაშინ ამას ეტყვიან საქმებულად შაბაშ, შაბაშ. ქართულად ნიშნავს ვაშა, ვაშა, მაგრამ ქართულში ამ ლექსაც ხმარობენ შაბაშ შაბაშ. მართალი ბჭობა უკვე ნიშნავს ქეშმარიტსა და სწორედ განსჯასა და გასამართლებას¹.

890/900

1 მეტი ს მეტი — უმრავლესად და უაღმატებულესად მომატებული. უაღმატებულესად უაღმატებულესი და უმრავლესად უმრავლესი.

4 გვალე — წამოდი. რეტად — ცნობა აღრეულად.

891/901

1 გაემართნეს — ერთად წავიდნენ ასმათისაკენ. მოგზაურობაში მოგზაურნი ერთს რომელსამე ადგილს, რომ დანიშნენ და იქით წავლენ, გაემართნენ ამას ნიშნავს. გაემართნენ — განემზადნენ ამასაც ნიშნავს წასასვლელად.

2 ვერ მიგია ქება მათი, ვერა ქება საქებარი — ვერ მიგია — ვერ შემძლებელვარ მათს საკადრისს ქების თქმასა. ვერ მიგია —

¹ გასამართლებს

ვერ გამოიგია. გაგება განგებასა ნიშნავს, ანუ სისრულესა და წესიერებაში მოყვანას საქმისას. ვერა ქება საქებარი — რაცა რომ სამქებრო ქება იქმნება, კიდევ უფრო იმაზედ უმეტესის ქების ღირსნი არიან ტარიელ და ავთანდილო.

3 ნაპობარი — აქ პირსა ნიშნავს და ბაგეთა ნაპობარი ვარდი განყოფილი ტუჩთა ნაკვეთობას ნიშნავს [105r].

4 გველსა კვრელით აღმოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი — ჩვენში არის თქმული, ვინცა გველთა შემპყრობელნი არიანო, ისინი მივლენ გველის კვრელთან (ესე იგი გველის სოროსთანა) და იმათ შელოცვა რაჟმე რომ იციან, იმას იმ ხვრელთან ტკბილისა ღიღინისა და მშვიდის ხმით იტყვიანო და რას წამს გველი ისმენს იმ შელოცვასო, ამოვა სოროდამ და შეიპყრობენ შემლოცველნი. ეს ამას ნიშნავს, როგორთაც რომ სოროდამ ამ ზემორე თქმულის სახით გველი აღმოიყვანოს კაცმა კელოვანმან, გველთა შემპყრობელმანო. ესე სახედ ავთანდილმან ტკბილის საუბრით ტარიელის გულიდამ მწუხარება მსგავსად გველისა გულსა მკებნარი აღმოიყვანაო.

892/902

1 გონებასა გულსა და სულს შენთვის დავსდებ — ესე იგი შენ შემოგწირავო.

4 არ იქმარებ, რას კელსა კდი, საუნჯესა დაფარულსა — საუნჯე დაფარული, ესე იგი შენახული, ანუ მიწაში დამარხული რას არგებს კაცსა თუ კი ვერ გამოიყენებს ანუ ვერ მოიხმარებს ჯეროვნად, ეგრეთვე სიბრძნისა და მეცნიერების ცოდნა კაცს რა სარგებლობას მისცემს, თუ რომ კაცი ვერ მოიხმარებს.

893/903

1 შეჭირვება — მწუხარებისაგან შეიწროება გულისა. ჰმუნვა — მწუხარებისა არს სახე ესეთი, რომელიც მდუმარებით და უხმით გულში წუხს და პირის სახეზედაცა აქვს გამოხატული მწუხარება. შინაგანი ეტანჯება და პირათ კი არას ამბობს.

2 უგანგებოდ — ეს ლექსი აქედამ არის შობილი [105v]. განგებულეა, ანუ განგება (ზეგარდამო განგება).

3 ვარდი რომ რამდენსამე დღეს ჩრდილოში იყოს და მზე არ მიადგეს, გასძლებს და არ დაჰკნება.

4 ბედი — ბედნიერება. ცდა — გარჯა, მოცადინეობა. გამარჯვება — საქმის წარმართება. ღმერთსა უნდეს მოცაგხვდების — თუ ღმერთს ნებავს, მოცაგხვდების — მოგეცემის. ხვედრი, შემთხვეულება, ანუ წილად ხდომილი.

1 ტარიელ ეტყვის ავთანდილს: მოახსენა ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად სოფლად ღირდეს — რაც ფასი რომ დააფასო ყოველი სოფელიო, იმოდნად მიღირს ეგ თქვენგან ნათქვამი სწავლაო.

2 გონიერსა¹ მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს — ყოველს გონიერსა კაცსა მწვრთელი, — ესე იგი მასწავლებელი და სიმართლით მამხილებელი უყვარს, მაგრამ უგუნურსა კაცსა თავისი მწვრთველი და მამხილებელი ასე მიაჩნია, როგორათაც რომ იმის გულსა მახვილებითა და ხანჯლებით განგმერდნენ, ესე იგი განგმერა მახვილისა რაისამე გულში, გინა სხვასა ადგილსა რომელსამე კორცსა შინა გაყრა.

3 რაგვარ გავსძლო — როგორ გავსძლო, ანუ რომლის სახით. მეტის მეტი რა მიმჭირდეს — მიმჭირდეს, ესე იგი მწუხარება, რომ გარდაემატოს და უბედურება განმიგრძელდეს, ამას ნიშნავს.

4 შენცა გჭირან ჭირნი ჩემნი, არ მამართლო, არ მიკვირდეს — ტარიელ ავთანდილს ეტყვის, რადგანაც შენც ჩემს მსგავსად მიჯნურობის სენი გჭირსო, როგორ იქმნება [106r] და საკვირველი არ იქმნება ესე, რომ მე გამამტყუნო და არ გამამართლოვო.

895/905

1 ცვილსა ცეცხლისა სიმხურვალე უგავს ამაღ აენტების — ცვილი არის წმინდა სანთელი ბუნებით ღვთისა და შემწყვანარებელი ცეცხლისა არს. ესე ჩჩვილისა გულისათვის მიუმსგავსებია, როგორათაც რომ ცვილი მიიღებს ცეცხლსა და დნების მისგან, ეგრეთვე ღმობიერი და მგრძნობელი გული მიიღებს თავის საყვარელის სიყვარულის ცეცხლსა, ხოლო სიშორე საყვარლისა როგორათაც რომ სამთელს ცეცხლი ეკიდება და აღნობს, ეგრეთვე გულსა კაცისასა ცეცხლი, გინა სიმხურვალე სიყვარულისა აღანთებს და აღეგზნების შინაგან გულსა მისსა.

2 მაგრამ წყალსა არსით ახლავს, თუ ჩავარდეს დაცაშრტების — მაგრამ წყალსა არსით ახლავს. ახლავს — მახლობელობასა ნიშნავს და წყალი და ცეცხლი ერთმანერთის მახლობელნი არ არიან ბუნებით და თუ სამთელი, ანუ ცეცხლი წყალში შთაადგო. წყალი დაშრტეს. ეგრეთვე რომელთაცა კაცსა გული გრილი ექმნება და მიმსგავსებული წყლისა ცივისა ბუნებასა, იგი სიყვარულსა ვერა გრძნობს და ვერცა სიყვარულისა ცეცხლსა გულსა შინა თვისსა მიიღებს. და თუ გინდა სიყვარულიცა მიჯნურმან გულსა შინა მისსა დაპყრობად მოინებოს, იგი ვერ შეიწყნარებს და იმასა ემსგავსება,

¹ გონიერს

რომ გაბრწყინებული ლამპარი კაცმან წყალსა შინა შთააგდოს და იმისი ბრწყინვალეობა დაშრიტოს [106v].

3 რაცა ვისცა საქმე თვით სჭირს, სხვათა თვისცა ეკადრების — რომელიც რომ კაცი არის მხურვალისა და ლმობიერისა ხარაკტერისა პატრონი, ის გრძნობს სიყვარულსა მიჯნურობისასა, მაგრამ რომელიც გულგრილი და უგრძნობელი კაცი იქმნება, იგი ვერცა იპყრობს ხანგრძლივ სიყვარულსა და ვერცა სამარადისოდ დაადგრების ერთგულებასა ზედა მოყვისისა თვისისასა, ვერცა ივნებს მისთვის, ვისაც იგი უყვარს.

4 თავიდაღმე რად არ იცი, გული ჩემი რაგვარ დნების — თ ა ვ ი - დ ა ღ მ ე, ესე იგი, დასაწყისიღამვე საქმისა რატომ არ იციო როგორ დნება გული ჩემი, როგორ ივნებს საყვარლისათვისაო.

896/906

ეს ლექსი ადვილად გასაგონი არის. პირველს ტაეპში: რ ა წ ა მ ე - კ ი დ ა — ესე ნიშნავს: რაჲ შემთხვეულება მომეცა. მეორეს ტაეპში: გ ა ბ რ ჭ ე — გაასანართლე, განსაჯე. მასამეს ტაეპში: შ ე ნ მ ო გ ე - ლ ო დ ი მ ი მ ჭ ი რ დ ა — მიმჭირდა ამას ნიშნავს, დიახ შევწუხდი. და მოლოდინი მომეწყინა, მეოთხე ტაეპი სრულად ცხადი არის.

897/907

1 ქ ე დ ი — ზაღალსა და გადასახედაეს გორასა ეწოდება. შ ა მ - ბ ი — მალლად და ხშირად ამოსულნი ბალახნი. მ ო მ ე ა რ ნ ე ს — მომველო.

3 გ ა მ ე ხ ა რ ნ ე ს — მიამა, სიხარული მივიღეე.

4 შ ე მ ე ზ ა რ ნ ე ს — ავას ნიშნავს, კაცი რომ შესაწუხებელს. რასმე ნახავს და უსიამოვნოს გრძნობას მიიღებს თვის შორის [107r].

898/908

1 ერთგან რებულნი — ერთად მოარულნი. რ ე ბ უ ლ ნ ი ნ ა მ ყ ო დ რ ო ს ა ნ ი შ ნ ა ვ ს ერთგან სიარულისას.

2 სახელ ვამსგავსენ მიჯნურთა, ცეცხლნი დამევისნეს დებულნი — ვეფხი და ლომი ერთად ნასიარულევი, რა ნახა ტარიელმა დაამსგავსა ორთა საყვარელთა ერთად შეყრასა, და ამით გრძნობა თვისი განიმხიარულა, მწუხარების ცეცხლი დაიშრიტა და მათსა აღერსსა დაუწყო ყურება. დ ა მ ე ვ ს ნ ე ს — დამიშრტეს. დ ა ვ ს ე ბ ა, ცეცხლი რომ გააქროს კაცმა, ამას ნიშნავს. დ ე ბ უ ლ ი — ცეცხლი ეღება, ესენი ნიშნავს — ცეცხლი ეკიდება (ამას ქვევით ეს ორი ტაეპი ცხადად ისმის).

1 ამოდ ილაღობდეს, მერმე შედგრად წაიკიდნეს — პირველად სასიამოვნოდ ლაღობდეს და შეექცეოდეს, მაგრამ მერმე შედგრად წაიკიდნეს. შედგრად ამას ნიშნავს, დიახ ძლიერად განრისხებულნი და გაფიცებულნი წ ა ი კ ი დ ნ ე ს, წ ა კ ი დ ე ბ ა — ჩხუბსა ნიშნავს.

3 გამორიდნა ვეფხმან გული, დედათამცა გამორიდნეს — გ ა მ ო რ ი დ ნ ა — მოერიდა, გამოეცალა, გამოექცა ვეფხი რადგან დედალი იყო, მამაცს ლომსა საჩხუბრად ველარ დაუდგა და გაექცა.

4 ლომი შედგრად გაეკიდა — ლომი დიახ განრისხებული გამოუდგა სასიკვდილოდ. გ ა ე კ ი დ ა ამას ნიშნავს, რომ გულს მოდგინებით სდევდეს მოუცილებლად (სხვა სულ ყველა ისმის ამ ტაეპისა).

900/910

1 ლომსა დავუგმე ნაქმარი — (ლომს დავუწუნე საქმე იგი, რომელ წაეკიდა სააღერსოსა თვისსა და საკვდავად გამოუდგა). ამ ლექსში სხვა ყოველივე კარგათ და ნათ[107v]ლად ისმის.

901/911

1 კრმალი გავსტყორცე, გარდვიჭერ — (კრმალი გარდავაგდე შორა, გარდვიჭერ), ამას ნიშნავს სიმსწრაფით ცხენისაგან გარდავხდი.

2 მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლისა ცხელითა — ესე იგი ჩემის საყვარელის სიყვარული მომაგონდა და კოცნა ვეფხისა მომინდაო.

3 მიღრინევდა და მაწყენდა, ბრჭალისა სისხლის მღვრელითა — მ ი ღ რ ი ნ ე ვ დ ა — ღრენა მკეტთა რისხვასა და ჯავრობას ნიშნავს. მაწყენდა ბრჭალისა სისხლის მღვრელითა — ბ რ ჭ ა ლ ი მკეტთა ფრჩხილებს ეწოდება.

4 გულითა ხელითა — ხ ე ლ ი — გონებიდამ განსრულს და გონება განრისხებულსა და აღშფოთებულს ნიშნავს.

902/912

1 რაზომსაცა ვამშვიდებდი — რაოდენცა ვამშვიდებდი. რ ა ზ ო მ ს ა ც ა — რაოდენ საზომზედაც რომ ვცდილობდიო, ვერ დავამშვიდე ვეფხიო.

2 გავგულისდო — განვრისხდი. (გავგულისდო) განრისხება და სიმხნე რომ ერთად იხმაროს გ ა ვ გ უ ლ ი ს დ ი მას ნიშნავს. მოვიქნივე — კელთა რომ ეპყრას რამე კაცსა და მიწაზედ დასაცემად რომ მოამზადოს მოქნევით. ვკარ მიწასა დავაწყვიდე — მიწასა ზედა ძლიერად დავეცე. შემდგომი ამისი ტაეპი კარგა ისმის.

903/913

ტაეპსა შინა მეორესა: ასრე გასვლა რას გიკვირდა — ასრე გასვლა, ესე იგი ჭკუისაგან, გინა გონებისაგან მოშორებდა, ანუ განსვლა (ამ ლექსისა სხვა ყველა სიტყვა ნათლად ისმის [108r].

905/915

1 სღვეს მიჯნურსა ფათერაკი, საწუთოსა დაანაღვლებს — მიჯნური სიყვარულით გაგიჟებულისა მსგავსი. ფათერაკი — საფრხე, ძნელი რაიმე შემთხვეულება. საწუთო — სოფლისა ამის ჟამისა მომდინარეობა, ანუ მოკლე დრო. საწუთო — არა საუკუნო. დაანაღვლებს — მწუხარებასა მისცემს.

4 გასწავლულსა გააშმაგებს — რაც უნდა სწავლული იყოს კაცი, მაინც სიყვარული ჰძაძღვეს. შმაგობა — განუხვევებლობა გულისა და აღშფოთებულება გონებისა და დაუწყნარებლობა გრძნობისა, წინააღმდეგი მშვიდობიანისა ქცევისა. უსწავლულსა გაასწავლებს — ვინც რომ ჭეშმარიტებით სიყვარულსა ზედა მოყვისისა დაადგრება მიუღრეკელად, ესე სიბრძნის მოგებასა ნიშნავს. სიბრძნე არს ხარაკტირისა საქებელისა მტკიცედ პყრობა.

906/916

1 ქვაბისაკენ თავნი არნეს — ტარიელის სადგურს ქვაბსა შეუდგინეს სიარულნი თვისნი, წავიდნენ ქვაბისაკენ. თავნი არნეს — თავნი თვისნი ქვაბისაკენ წარიმართნეს.

2 გაღანამცა — ამას ნიშნავს, ამას იჭვი აღარ უნდა. გაეხარნეს — დიახ იამა, სიამოვნე მიიღო, გამხიარულდა.

3 მოტიროდა — მომავალი ასმათ ტარიელისა და ავთანდილისაკენ გზა გზა სტიროდა. კლდენი ღარნეს — ღარი წყალისა წარსადინელი გზა.

907/917

3 გაქო, ვით გაქო — როგორ შემიძლიან, რომ შენი შესაფერი ქების მოხსენება შევიძლო. რა გაქო, რომელიც, რომ არსებით და ბუნებით მიუწუმომელი ხარ, მე როგორ დაგსახო, რომ იმ სახის შესაფერი შესხმა და დიდება მოგახსენო. არს საქებლო სმენითა — ამას ნიშნავს არსთა [108v] შორის საქებელი ხარ სმენითა, რომელ შენ უმეტეს ყოველთასა ისმენ ვედრებასა შეწუხებულთასა (ვეფხის-ტყაოსანში ამ ტაეპში ასო არის ერთი დაკლებული, ესე იგი ს — არ საქებლო სმენითა — (ასე კი არ უნდა), არს საქებლო სმენითა, ესე იგი ღმრთისა მიმართ იტყვის ამას — შენ არსი საქებელი ხარო. სმენათა შინა, ესე იგი მვედრებელთა შენთა თხოვისა მსმენელი ხარო.

მეოთხე ტაეპი ამა სტიხისა ცხადად ისმის.

908/918

4 თ ვ ა რ ე — თორემ.

910/920

3 სიცოცხლეა სანანელი — სიცოცხლე არს სასინანულო.

4 გითხრამცა ვინ რა მჭირს ანუ — ვის შეუძლიან რომ გითხრას:
და ზედ მიწევნით ჩემი ჭირი გამოგიხატოს.

911/921

1 ვით იაზრებს — თვისსა გულსა და გონებასა შინა ვითარ გა-
მოიხატავს.

2 რა ჩასვენდეს გორსა მზეო — მზე რომ ჩავა და დაეფარება
მთასა, ანუ გორსა. ამისი შემდგომი ამ სტიხისა კარგათ ნათლათ
გაიგონება.

913/923

1 პურობა მსგავსი ჟამისა — პურობა, ანუ მასპინძლობა, რო-
გორიც რომ იმ დროსა და შემთხვეულებას შეეფერებოდა.

2 მუნ უპურობა პურობა, არ სილიადე ჯამისა — თუმცა პურო-
ბა ერქვა მათსა სადილსა, მაგრამ პური კი არ ჰქონდათ, ნადირის
კორცი ჰქონდათ შემწვარი. არ სილიადე ჯამისა — არა ღიმრავლე
შეკრებულებისა და სტუმართა. სამნი იყვნენ მხოლოდ ტარიელ,
[109r] ავთანდილ და ასმათ. ჯამი არაბული არის. ჯამი დიდს
შესაკრებელს ეწოდების და ჯამიათ ერის შეკრებილებას, ჯამი
ქართულად ღრმას საჭმლის ჭურჭელსა ეწოდება, რომელიც სუფრა-
ზედ იხმარება.

4 დ ა ც ო ხ ნ ა — საჭმლისა სრულიად ვერა დაღეჭა. ლ უ კ მ ა —
საჭმელი თითო თითოდ ლუკმად განიყოფება, რომელსაც თითოს ჯერ-
ზედ პირში შთაიდებს კაცი, დაღეჭს და შემდგომად ჩაჰყლაპავს.
გ ა ს ტ ყ ო რ ც ი ს — შორად გარდაადგის. ჩ ა ნ თ ქ ი ს — შთანთქმის,
ჩაყლაპის. დ რ ა მ ი — (საწონი). ერთი ღრამი, ექვსი დანგი არის.

914/924

1 ა მ ო — სასიამოვნო.

3 დ ა გ ვ ა ვ ს ე ბ ს — აქ სტამბაში, ასოთ-შემწყოებისაგან შეც-
თომა არის. დ ა გ ვ ი ვ ს ე ბ ს უნდა, ამას ნიშნავს, ამ სტიხში რომ
იტყვის. ამ ტაეპში ცოტათ ეგრეთცა დაგვივსებს — ცოტათ ეგრეთ-
ცა დაგვივსებს, ესე იგი, მცირედ მაინც დაგვიქარვებს მწუხარების
ცეცხლსა.

4 დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს — ლ ხ ი-
ნ ი — ლხინება, ნუგეშინის ცემასაც ნიშნავს და მხიარულებასაცა და

თუ კაცმან ჭირი და მწუხარება თავის გულში დაჰფარა, უმეტესი ვნება ექმნება, და თუ მეგობარს გამოუცხადა, მაშინ ლხინება და ნუგეშინის ცემა მიეცემა. მოუხდებოდეს — შეემთხვეოდეს, კაცსა მწუხარეს თუ ეს შეემთხვა, რომ თავისი ჭირი და მწუხარება ჭკვიანს, გონიერსა და სარწმუნო კაცთანა გამოაცხადა უეჭველად ნუგეშინის ცემას მიიღებს.

915/925

1 გ მ ი რ ი — სიმკნითა აღმატებული გულოვანი.

3 საუბარნი სიტყვა ხშირნი — ლაპარაკნი მრავლითა სიტყვითა აღსავსე. ხ შ ი რ ი — განმრავლებული. ხ შ ი რ ი — მრავალი [109v] რამე ერთად შეკრებილი.

4 ერთმანერთსა გაუგონეს, ფიცი პირველ დანაპირი — ერთმანერთს უსმინეს და დაამტკიცეს ტარიელმა და ავთანდილმან ფიცი რასაცა პირველადე დაჰპირებოდნენ ერთმანერთსა.

916/926

2 მ ზ ვ ე ლ ი — გარდამხდელი.

3 კმარა ზენარი ზენარად — ზ ე ნ ა რ ი, ზენა არსსა ნიშნავს. ზ ე ნ ა რ ი ზენარად, ფიცი ფიცად. არ ნაქმარია მთვრალისა — დამთვრალის კაცისგან ხომ არ არისო ეს ჩვენი ფიცი ქნნილიო.

4 არ დავიწყება მოყვრობა, მოყვრისა წამავალისა — მოყვრობა სიყვარულით შეკრულებას ნიშნავს. მოყვარე — მეგობარი არს. წარმავალი მოყვარე — ავთანდილ იყო, რომელიცა თვისის მეგობრის ტარიელის საყვარლის საქებნელად წასვლანა აპირებდა, მაგრამ ტარიელ უშლიდა. შემდგომსა ამას ლექსში იხილავ.

917/927

2 ნ ა გ ზ ე ბ ი — აღგზებული, აღნთებული ცეცხლი, ანუ სამთელი. კ ვ ე ს ი — იგი არს რკინა ბტყელი დანიბაგან უგანიერესი, რომელსაც რომ ეწოდების შ ა შ ა ლ ი, რომლითაც ტალსა ჩამოაკვესებენ და ცეცხლს მოუკიდებენ აბედსა და მით სამთელსა და ცეცხლსა აღანთებენ. ამ სტიხში ტარიელ აწევებს და სთხოვს ავთანდილს, რომ გაბრუნდი შენსა ქვეყანასა და აღგილსავე წადი, სადაც შენი საყვარელი გყავსო, ამისთვის შენ, რომ ჩემს საყვარლის საქებნელად წახვიდე და იმის ძებნაში აგიტყდეს რამეო, ჩემთვის უმეტესი შესაწუხებელი იქმნებო და სიკვდილის მსგავსად საგრძნობელიო და უმეტესის მწუხარების ცეცხლით დავიწვიო. [110r].

918/928

4 აწ ნობათი ხელობისა მომხდომია, მით ვარ ხელად — ნობათი — რ ი გ ი ს რ გ ე ბ ა. რიგის რგება ეს არის, ერთს საქმესა რაშივე

კაცი რომიყოს განწყობილი და თავის დანიშნულს დროს ანუ ყარაულობდეს, ან მუშაობდეს და საქმეს რასმე აკეთებდეს იმთენს დროსა და ჟამს, რაც დანიშნული დრო აქვს, როდისაც რიგი მიხვდება, საქმის აღსრულებისა ნობათი იმ დანიშნულს დროსა ნიშნავს. ხ ე ლ ო ბ ა ანუ ხ ე ლ ა დ ჭკუა მცდარობასავით.

920/931

2 ჭირსა გადრეკა რად უნდა — გადრეკა სწორეს მდგომარეობისაგან შეცვალება, ანუ გამრუდება. გადრეკა ჭირსა შინა და განსაცდელსა მოუთმენელობა. გადრეკა — გასაქცევად მიქცევა მებრძოლთა და სხვანი და სხვანი. სასაუბრო პირი — ერთისა რაჟსამე საუბრისა დამტკიცება გამორჩეულისა და სასარგებლოსა საქმისა. პირი თუმცა ნიშნავს თვითოეულსა კაცსა, გინა განუკვეთელსა, მაგრამ პირი სასაუბრო აქ მტკიცესა პირობასა ზედა დადგრომასა ნიშნავს.

4 მიწვრთიხარ — იწვართე. წვრთა დარიგება, სწავება. უწვრთელობა — უსწავლელობა.

922/932

2 წამოსავლად — წამოსასვლელად.

3 გული ავლად — ავლი ის არის, რომელსაც ფერფლი ეწოდება. ფერფლი ნაკვერცხალსა ზედა დიახ წმინდას ნაცარს დაიდებს თეთრსა, ოდესცა ცეცხლის ნაკვერცხალნი სრულიადისა დაწვისადმი მიიქცევის.

923/933

2 გავლენა — საქმის წარმართება და ამასაცა ნიშნავს მეფეთა წინაშე, ანუ მთავართა, ანუ მეუფროსეთა სათხოველი რაჟმე აქენდეს კაცსა და ის სათხოველი აღუსრულდეს და საქმე გაურიგდეს, გავლენა მას ნიშნავს. მე დავიჩენ სამსახურად — დავიჩენ მი- [110v]ვითელი, შევრაცხ.

3 მახმური — ღვინო რომ მოერევა კაცსა და სიტყვას წარევით ამბობდეს. ზოგნი მახმურნი მხიარულებენ ღვინოს მიღებით, მაგრამ სიტყვას კი წარევენ და შეცთომით ლაპარაკს დაიწყებენ სასაცილოდ. მთვრალი ღვინისა სმისაგან ფრიად დამძიმებული, რომელსაცა სვლა ფერკითა არღარა შეეძლოს წესიერად.

4 ჯაბან კდღური — ჯაბანი მოშიშარი ბრძოლისა. მკდალი — ქალაჩუნა დედათაებრ, რომ ყოველს მცირეს საშიშარზედაც ადვილად შიშნეულბდეს.

924/934

1 თ ხ რ ო ბ ი ლ ი — თქმული.

925/935

3 ა ნ ა გ ე ბ ი — აღგზებულება გუამისა ბუნებითი, ესე იგი შეწყობილება სხეულისა, ვითარცა სახე და მორფი კაცისა, გინა სხვათა რომელთამე ცხოველთა. ხოლო ანაგებად იგიცა ითქმის, რომელნიცა ვნებანი რომელნიმე სიხარული, ანუ მწუხარება, სიყვარული ანუ სიმძულვარე, შური და სხვანი ვნებანი ეგრეთ შეეთვისებიან კაცსა, რომელ ძნელიდა არს განშორებაჲ მათი მათგან, ამისთვის ანაგებისა. ნ ა გ ი ანაგებისაგან მოგებულსა ნიშნავს ვნებასა: როგორათაც ტარიელს საყვარლისა თვისისათვის განუზომელი მწუხარება აქვნდა, განუშორებელად მოგებული და აღნაგებად შექმნილი.

4 ცეცხლთა დაგი — ცეცხლისა უმეტესი მწველობისა მოქმედება დაგსა ნიშნავს.

926/936

1 ამის მეტსა არას გნუკავ (ანუ გნუკევ), წელიწადსა ერთსა მსგეფსა — ა მ ი ს მ ე ტ ს ა რ ა ს გ ნ უ კ ა ვ — ამის მეტსა არას ვით- [111r]ხოვ შენგან. წელიწადსა ერთსა მსგეფსა — მ ს გ ე ფ ს ი ერთსა მოქცევასა ნიშნავს კვირისასა, გინა წლისას, გინა აღნიშნულთა რაოდენთამე დღეთასა.

2 მე ამბავსა ყოვლგნით მკრეფსა — ყოვლის აღგილიდამ ამბის გამომკითხველს და შემტყობელსა.

3 ვ ა რ დ ი ე ფ ს ა — ვარდის სიმრავლის დროს.

4 ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითარცა ძალღი ჰყეფსა — ძალღი პატრონთანა მყოფი, ოდეს უცხოთა ვისმე მოსარულსა იხილავს, ანუ თვალითა დაინახავს და ანუ ფერხის ხმასა ზედა სცნობს, მოსვლასა ვისსამე, ანუ სუნითა სცნობს და მაშინ პატრონი მისი იგრძნობს, რომ მოვიდა ვინმე უცხო მოყვარე, ანუ მტერი, ამის მსგავსადღო ავთანდილ ეუბნება ტარიელს, ეს ვარდი იყოს შენი შემატყობინებელი ჩემის მოსვლისაო, ესრეთ მომავალს წელს, რომ ვარდი გაიშალოსო, იცოდე მე იმ ჟამში მოვალო, რადგანაც ვარდის გაშლის დროს ყოველს კაცის გულს ზაფხულის მოსვლის მიზეზით დიდი სიამოვნე აქვს.

927/937

2 უ ლ ო ნ ი ო დ — ეს სიტყვა ამას ნიშნავს, რომ ერთს საქმეს რასამე ღონისძიება არღარა ექმნება რა.

1 ნუ თუ შენ იყო მჭმუნავი — ამისთვის ხომ არა სჭმუნავო, ხომ არა სწუხარ ამისთვისაო. მასვე ლექსსა შინა 928-სა ტაეპი მესამე: არ პირუტყვი ვარ მჭმუნავი — ჩ მ უ ნ ა ვ ი, ჩ მ უ ნ ვ ა, გინა მ ჩ მ უ ნ ა ო ბ ა — ნიშნავს ჩ მ უ ნ ა ვ ს ა პირუტყვთასა, ვინაჲდგან ჩ მ უ ჩ ვ ნ ა, ანუ მ ჩ მ უ ნ ა ო ბ ა არს ცხოველთა უსიტყვეთა ვითარმე მოძრაობა ტანისა მათისა, ნელიადი რეცა წადილისა რაჲსაჲმე მათისა მნიშვნელი, მაგრამ [111v] უკეთუ ეტყოდეს კაცი მათ ვითარმედ რაჲ სწადის მათ, ანუ თუ სხვითა რომლითამე სიტყვითა ჰკითხვიდეს მათ, არა აქვსთ ძალი ბუნებითად მიცემული სმენად სიტყვისა, არცა ძალ უცსთ პასუხისგებად საუბრისა რაჲსამე, თუმცადა მათგანნი რომელნიმე კაცთა მიერ განიწვრთებიან და განისწავლებიან ქმნად რაჲსამე საქმისა მოღებად, გინა წარღებად, და დამორჩილებულ არიან გონებათა ქვეშე კაცობრივთა, მაგრამ ესე მხოლოდ მგრძნობელობითისა ძალისანი არიან მიზეზნი და არა სიტყვიერებითისა ძალისა, არცა სრულისა განმსჯელობითისა ძალისა ნექონ და განრჩევითად სმენისა შემძლებელ არიან გინა სიტყვის გებისა.

929/939

1 არცა სიტყვა გაგიმეტდეს — სიტყვის მომატებას, ანუ სიტყვის განმრავლებას ნიშნავს (ტარიელ ავთანდილს ეტყვის სიტყვის გარდამატება შენი და განმრავლება საჭირო აღარ არისო. რადგანაც მეცა უარს აღარ გეტყვიო).

2 არ მომისმენ რაზომიცა საუბარი მიდიადეს — ამისთვის რომელ რაოდენცა საუბარი განვადიდო და განვაგრცოვო, მაინც შენ არ ინებებ სმენასაო.

3 თუ არ მოგყვეს საყვარელი, შენ მას მიჰყევ, რაცა სწადდეს — ესე და ამაი შემდგომი სტიხი ნათლად ისმის.

932/942

2 გულმან რა გლახ ქმნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია — (გულ სპარსულად ვარდსა ნიშნავს). გულმან საბრალომან უვარდოდ რა ქმნასო, თუ რომ გულსა (ტრუიალისასა) ვარდი დაელოს, ესე იგი თუ [112r] ვარდი მოაკლდესო. გულსა ელია — ელია — შეელივა, ესე იგი, გული სიყვარულისა ცეცხლითა, უკეთუ დადნებოდეს ვინაჲ უმეტესი ადგზნებული სიყვარული განლევს გულსა კაცისასა, ვითარცა ცვილსა სანთელი.

ესე არს მაჯამად თქმული.

1 მას ქალსა გაესალამნეს — ასმათს გამოესალმნეს, ესე იგი გამოემშვიდობნეს ტარიელ და ავთანდილ.

2 თვალთაგან ცრემლი აღამნეს — ეუოდენსა ცრემლსა ღვრიდეს, რომელ მიწასა ზედა დაღვრილი ცრემლი მათი თითქმის ტალახად შეიქმნებოდა. ლამია — ტალახი საფლობი. ლამია სილასა ეწოდების წყალსა ქვეშე მდებარესა წვრილთა ქვიშათა და უწვლილესთა ქვიშათა, რომელნიცა არიან წყალსა ქვეშე და ზედა წყალნი სდიან, რომელსამე ადგილს ღრმად და სხვასა ადგილსა თხლად ლამია მას ეწოდება და ნიავეღვარი, რომელ დიახ წმიდას მიწის მსგავსს ქვიშას მოითანს. ლამია იგი არს, რა ნიავეღვარი წავა, ის დარჩება წალექილი. ლამია მრავალსა ადგილსა სჩანს წყალსა შინა, წყალი თუმცა ზედ გარდადის თხლად, იმაში სჩანს ლამია.

3 სამთავე ლაწვთა აღამნი არღვენის ფერად აღამნეს — ლაწვთა-ალამი, ესე იგი ლოყათა არღვენის ფერთა მიდამო, ანუ განფენილება ლაწვთა. არღვანი — წითელი ქტა არის, თვალი ძვირფასი და პატიოსანი, წითელი და მოელვარე. ოდეს გულის მხურვალით სტირის კაცი, მაშინ უმეტესად მათ, ვისაცა მშვენიერი სახე აქვსთ, ლოყები გაუწითლდება და გაუელვარდება არღვენის ფერად — უცხოვს სანახავად რასმე. აღამნეს — აღ[112v]მად ქმნეს, ესე იგი აღმად ააბეს, ვითარცა აღამი ნიშანი არს რაზმთა, ეგრეთვე მშვენიერებათა აღამნი არიან ლაწვნი.

4 მათ ლომთა მიწყივ მკეც-ქმნილთა, მკეცთთანა თავნი აღამნეს — მათ ლომთა, ესე იგი მათ ძლიერთა. მიწყივ სამარადისოდ, ანუ მალის-მალ. მკეც-ქმნილთა ესე იგი, სიყვარულითა განუსვენებლობასა შინა მკეცთა სამყოფთა მოსიარულეთა, ანუ გაველურებულთა თავნი მკეცთთანა აღამნეს. თავნი თვისნი მხეცთა თანა ინებეს შერაცხვად (უკეთუ ლექსი ესე აღამნეს მიმოვხაროთ, ზმნით ვლამი, ესე იგი მნებავს, ანუ განმზადებულვარ ქმნად. ძირი ზმნისა სალამე არს, ანუ ლამობა. პირველი პირი ვლამი. მეორე ლამია ანუ ჰლამი. მესამე პირი ლამი. მრავლ. 1. ვლამით, 2. ჰლამით, 3. ჰლამიან. ნამყო სრული, მხოლო: 1. ვალამე, 2. აღამე, 3. აღამა. მრავლობითი: 1. ვალამენით. 2. აღამენით. 3. აღამნეს. ამითი საცნაურ იქმნა ძალი ლექსისა ამის. აღამნეს — ინებეს. თავნი მკეცთთანა აღამნეს — თავთა მათთა ანებებინეს მკეცთათანა შერაცხილ-ყოფა.

3 მზემან დაგწვა და დაგდაგნა — დადაგვა იმას ნიშნავს, რომ მზისა მიერ ანუ ცეცხლისა მიერ დაწული კორცთა ეტყობოდეს და გულსა შინა სიყვარულით დადაგვა განუსვენებელსა და სენისა მომცემსა მწუხარებასა ნიშნავს.

935/945

1 ეს ლექსი მაჯაჲა არის. პირველი ტაეპი: ერთად იარეს — ერთად ჰყვეს, ერთმანერთის მოუშორ[113r]ებლად სიარული.

2 არ კმელთა არე იარეს — ზღვისა ჰაერს¹ ნიშნავს, ზღვის ნაპირის ჰაერსა, ანუ ზღვის დარსა, ზღვის ტაროსსა, ზღვის ჰავასა.

3 კვლავ ცეცხლი გაიზიარეს — გაზიარება, ანუ საზიარო რაჲმე ის არის, რომელ ორს კაცსა, ანუ რაოდენსაჲმე ერთი ნივთი რაჲმე აქენდეს და ორსავე თვის ეყოდეს. გაზიარება ამასაც ნიშნავს, რომელ ცეცხლი რომ აინთეს და აქეთ იქით დაუსხდენ, ის ცეცხლიც მიიამხანაგეს, რომელიც რომ მათ ორთა თვისევე სახმარი იყო და საზიარო.

4 იტირეს, იმგლოვიარეს — იგლოვეს, რაც სამწუხარო ჰქონდათ ისი დაიტირეს.

936/946

3 მის მზის მშვენისა — მზენი, მშვენიერი დამაშვენებელი.

938/948

4 მუხთალი — მოღალატე, დაუნდობელი, დაუდგრომელი. მუხთალი ფ — არაბულად წინა-აღმდეგად და ცვალებადად² ითქმის.

939/949

2 ნაუბარი — ნალაპარაკევი.

3 წყაროს-თვალი — საიდამაც წყარო გამოდის, იძისი პირი.

4 მკერდი მკერდსა შეარკინეს — მკერდი მკერდსა შეაჭედეს, ანუ შეაჭიდეს. რკინობა ჰიდილსაც ნიშნავს და შეარკინეს მაგრად მიკვრას ერთმანეთზე მკერდი სიმკნისა მათისათვის. მკერდნი მათნი რკინის სიმაგრესავით განმტკიცებულად უთქომს მოლექსეს. შეაჭედეს — მიაკრეს ერთმანერთს.

940/950

1 შამბთა ეჯით — ეჯი ნიშნავს გზის საზომსა რიცხვსა, ესე იგი მილსა.

2 შამბთა ეჯი — შამბთა გზითა ამას ნიშნავს, ესე იგი უგზო მალალ-ბალახიან მინდორს. ეჯი ანუ ქეჯი, ესე ნიშნავს უგზო უკვალო გზასა, შამბთა და ძნელთა სავალთა გასავლელსა.

¹ ჰაერ² დაცვალებადად

3 პირსა ბლნეჯით — პირის მოჭუხვით.

4 მზე დაიღრუჯს მისის ღრეჯით — დაღრეჯა დიდად მოწი[113v]-
ყენასა ნიშნავს, ესე იგი დიდს მწუხარებას. მზის დაღრეჯა —
მზე რომ ღრუბელში შევა და ნათელს არღა გარდამოსცეჴს სასიამოვნო
დ ყოველთა, მიჯნურთა მოწყენა და დიდი მწუხარება აჴას ენს-
გაკება.

941/951

1 რაშიგან ხარ — რას საქმეში ხარ. რას გვაბრუნებ — რას გვატ-
რიალებ (როგორათაც ჩარხს, გინა ურმის თვალს, ესე იგი, ხან ბედ-
ნიერებაში აღგვიყვან და ხან ძირს ჩაგვიყვან უბედურებაში). რა ზნე
გჭირსა — რა ჩვეულება გაქვს, ან ხარაკტირი (სხვა ყველა ისმის ამ
ლექსში კარგათ).

942/952

ეს ლექსი მაჯამა არის.

პირველს ტაეჴში: სტირის კმა მისწვთების ცათამდის — იმისი
ტირილის კმა ცამდის აღიწეოდა.

2 კვლაცა მდის — კვალადცა მდის (ესე იგი თვალთაგან სის-
ხლის ცრემლი მდის).

3 ვით მაშინ შეყრაც ათამდის — ათი რიცხვი გამოდის ამაში,
ათგზის ხილვამდე.

4 დიდი ძეს კაცის კაცამდის — დიდი სამზღვარი, ანუ დიდი
განრჩევა არის კაცის კაცამდის, ესე იგი რომელნიმე უმჯობეს და რომ-
ელნიმე უღარეს არიან სიკეთითა დიდებითა, გონიერებითა და სხვი-
თა და სხვითა სახითა.

943/953

1 ცრემლითა მუნ ნატირითა¹ — ნ ა ტ ი რ ი, ნატირები. ცრემლი
დაღვრილი, ნატირი. ტირილის შემდგომ კაცი იქმნების ნატირები.

2 ვერ დაივსებდა — ვერ დაიშრეტდა.

4 ბაგეთად ვარდსა ანათობს, ბროლი ძოწისა ძირითა — ბ ა გ ე-
თ ა ვ ა რ დ ი ტ უ რ ნ ი. ბ რ ო ლ ი — პირისა სითეთრე და ბრწყი[114r]-
ნვალება. ძ ო წ ი ს ა ძ ი რ ი — ძოწეულისა ფერნი ლოყანი და ტურნი.

944/954

1 ვარდი კვნებოდა, ღვრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა — ვარდი
ლაწვნი არის. ლაწვნი ვარდებრ ტირილისა მიერ რეცა უჭკნებოდა.
ღ ვ რ ე ბ ო დ ა — ესე იგი როგორათაც წყლის მომდინარეობისაგან

¹ ნატრითა

ნაღვარევი გაკეთდება, ლოყები ეგრეთ ტირილისაგან ღვარის-სადინარისა მსგავსად შეჰქმნოდა. ალვისა შტო ირხეოდა — ტანი ალვისა მსგავსი და კელნი ტირილისა ჟამსა იძვროდნენ.

2 ბროლი და ლალი გათლილი, ლაჟვარდად გარდიქცეოდა — გათლილისა ბროლისა და ლალისა ფერნი ლოყები მეტისა მწუხარებისაგან და ცრემლისაგან ლაჟვარდის ფერად გარდაჰქცეოდა, ესე იგი, გალურჯებოდა.

3 გამაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ უმკნეოდა — თუმცა ავთანდილ ესრეთსა ჭირსა და მწუხარებასა შინა იყო, მაგრამ თავის თავს სიმკნითა გულისა თვისისათა სიკვდილს არ აძლევდა, არ უმკნეოდა ამას ნიშნავს არ უმკნეობდა. არათუ უმკნეობდა, არამედ ფრიად მკნეობდა. სიმკნე მიეცა თავის თავისათვის.

4 იტყვის თუ ბნელი რას მიკვირს, რადგან დამაგდე მზეოდა — ოდესცა მზე მოშორდება სფეროსა ქვეყანისასა და მოეფარება, უეჭველად დაბნელდება (ესე იგი ბნელი შემოხდება) და ოდესცა მიჯნურსა საყვარელი მოშორდება, მაშინ მწუხარება შემოხდება.

945/955

1 თინათინის ღაწვთა დარად — მზეს ამისთვის უწოდებს, რომელ როგორათაც ბრწყინვალეობა მზისა განაკრთობს [114v] თვალსა კაცისასა, ეგრეთ მშვენიერი საყვარელისა ხილვა განაკრთობს გულსა მიჯნურისასა; ამისთვის აღარებს მზესა. მეორესა ტაქსა შინაცა მასვე სახავს მზის მსგავსად.

3 ხელსა მალხენს ნახვა შენი, ამაღ გიჟვრეტ არ დაძცდარად — ხელსა, ესე იგი, საყვარულით გაგიჟებულს ლხინებას და შეებას შენი ნახვა და ყურება მაძლევს. ა მ ა ღ ა გ ჯ ვ რ ე ტ ა რ დ ა მ ზ რ ა ღ ა დ — ამისთვის მარადის გიყურებ და ამაში არა ვარ შემცდარი, არც მომცდარი, რომ შენის ყურებითა და ჯვრეტით ჩემი გული ლხინებას მიიღებს ხოლმეო.

4 მაგრამ ჩემი რად დააგდეთ, გული ცივად გაუმთბარად — მთასა და ბარსაო თქვენის მოწყალების სიტფო მიფენილი აქვს და სარგებლობენ იმითიო, მაგრამ ჩემი გული ჯერეთ ეგრეთცა გაუმთბარი, ესე იგი საყვარლისაგან მოშორებულნი რადგანა ვარო, და რასათვის დამაგდეთ ესრეთ უბედურათაო (ავთანდილ მზეს შესჩიოდა!).

946/956

1 თვი ერთისა მოშორება მზისა ზამთრის გაჯვაცივნებს — რა მზე ზამთრისაკენ დასასრულსა შემოდგომისასა მიიწევს, ზამთარი

¹ შემრიოდა

მოგვივა და გაგვაცვივნებს, ესე იგი, სიცივეს მივიღებთ ზამთრისას (ესე ამა ტაეპში შესანიშნველი არს, ზამთრის რომ სწერია, აქ ერთი ასო (ს) ბოლოს შემცთარია, ზამთრით უნდა.

2 მე გლახ ორნი დამიყრია, გული ამაღ რადარ ავნებს — თუ კი ერთის მზის მოშორებებით, რომ [115r] ერთი თვეს მოგვაკლდეს, იმისი სიტყვო და ნათელი, მაშინ ზამთარი შეგვაწუხებს. მე ორი მზე მომაკლდაო და მომეშორვაო, ერთი თინათინ და მეორე ტარიელო და ჩემი გული როგორ არ ივენებსო და არ შეწუხდებაო.

3 მაგრამ კლდესა არა შესწონს, არა ოდეს არ იმტკივნებს — მაგრამ კლდესა არა შესწონს — ესე იგი ვერც სიტყვო და ვერც სიცივე კლდესა ვერას აგრძნობინებს. კლდისათვის, ესე იგი უგრძნობელის გულისათვის სიყვარული და უსიყვარულობა ორივე თანასწორე არის. არაო დეს არატკივნებს — რომელიც რომ ვერასა გრძნობს, იმას რა ტკენა, ანუ რა ტკივილი ექმნება, ან რა დაამება და სიამოვნე ექნება.

4 წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს ანუ გაამსივნებს — დანა და მახვილი, რომელიც კორცს გასჭრის და დაასივებს, იმის წყლულისა რა დაამება და კურნება შეუძლიან თუ არ ვნება.

947/957

1 შესტირს — ეს ნიშნავს, ძირის ადგილს რომ იღვეს კაცია და ზევით შესტიროდეს. ცას უყურებდა მალლა და ისე სტიროდა.

2 გეაჯები, გევედრები შენ უძლებთა მძლეთა მძლესა — აქ რომ უძლებს იტყვის, არამც თუ უძღურს იტყვის. უძლები იმაზედაც ითქმის, რომ ასეთი ძლიერება ჰქონდეს, რომ კაცი ვერ გაუძლებდეს იმისს ძლიერებას. უძლები, გაუძლებელი — ძლიერებით გარდამატებული, რომ ვერავენ თვისი სწორი ვერ აღემატებოდეს ძლიერებით. უძლებთა მძლეთა მძლე — უძლიერესთა მძლეველთა მძლე[115v]ველი არის. სხვა რიგათაც განიმარტება ესე: შენ უძლებთა მძლეთა მძლესა — შენ უძღურთაო მძლეთა და ძლიერთა მძლეველობას მისცემო. კვალად ამასაც ნიშნავს: შენ იმათა სძლევო, ვინც რომ უძლებთა, ესე იგი სიყვარულით უძღურქმნილთა მძლეველნი არიანო, შენ იმათი მძლეველი ხარო და უძღურთა შემბრალებელიო.

3 მზეს ეუბნება ავთანდილ: „შენა ხარო მდაბალთა აღმამალლებელიო და მეფობისა სვისა, ესე იგი ბედნიერების მიმცემიო“.

•მეოთხე ტაეპი ნათლად ისმის.

1 ზოალ — უზენაესი ვარსკულავი (ცთომილთაგანი). ზოალ არაბულად ეწოდება, ესე არს კრონოს, ანუ სატურნა. ამას აღმოსავლეთისა მოლექსენი სევდიანთა, ესე იგი კაემანისა მექონთა და გულითა ურვეულთა ვარსკულავად ეტლად მათდა, ანუ მწუხარებისა მომცემად იტყვიან. ზოალს ასტრონომოსნი აღმოსავლეთისანი იტყვიან, რომელ ფერი მისი არა ღია ბრწყინვალე იყოს, არამედ მობნელო და ამისთვის სევდიანთა და მწუხარეთ ხარაკტირისა მიცემასა მისგან იტყვიან. ძველნი ამათ შვიდთა ცთომილთა, ვითარცა მექოლოლია გვასწავებს, უწოდებდენ ღმერთებად და ამისთვის თვითთულსა ხარაკტირსა კაცთასა ამათ მიერ ჰგონებდეს მოცემასა. ამისთვის ეტლად, ანუ სვედ კაცთა მათ სახელსდებდენ. ამას სტიხსა შინა სხვაჲ ყველაჲ რაცა უთქვამს მოლექსესა ცხადად და ნათლად ისმის [116r].

949/959

1 ჭე, მუშთარო, გეაჯები, შენ მართალსა ბრჭესა სრულსა — მუშთარი არს დიოს, ანუ ზევსს, ესე იგი იუპიტერ (მუშთარი არაბულად ეწოდება). ბრჭე ან მობრჭე განმსჯელსა და მოსამართლესა ეწოდება და აღმოსავლეთისა მოლექსენი ამას მოსამართლედ ღმერთად სახელსდებდეს.

2 გაებრჭობის გული გულსა — გული გულსა განებრჭობის ამას ნიშნავს საჩივარსა და გასამართლებას საჩივრისას, რომ ორსავე გული კაცისა ზრახვედეს.

3 ნუ ამრუდებ უმართლესა — რომელიც მართალი მოჩივარი არის და უმართლესი, ესე იგი აღმატებული სიმართლითა, ამისთვის სამართალს ნუ გაამრუდებო. სხვა სულ ყველა ამ ლექსში ნათლად და ადვილ გასაგონია.

950/960

1 მარიხი ანუ მარიხ მარს არის, რომელსა არია ეწოდების (ხოლო არაბულად მარიხ). ესე მებრძოლთა ღმერთად არს აღსაარებული ყოველთაგან მოლექსეთა მექოლოლითა.

2 შემცალეზე — შემღებე, შემსვარე, ანუ გამსვარე.

3 პათიქნი — წყრომანი, რისხვანი და სასჯელნი და ტანჯვანი.

4 როგორ გავსრულვარ — გონებილამ გასვლას ამბობს მხიარულების მოკლებასა და შევებისასა. სხვა ყველა ნათლად ისმის და ცხადად ამ ლექსშია.

1 ასპიროზ (არაბულად ეწოდება). ესე არს ერმი ანუ მერკური. ამასა აღმოსავლეთისა მოლექსენი უწოდებდეს მკურნალთა ღმერთსა. მარგერა — მარგე რაჲმე, ანუ შემეწივე. მან დამწვა ცეცხლთა დაგითა — მან, ესე იგი საყვარელმან ჩემმან სიყვარულისა ცეცხლითა დამწვა დაგითა ესე [116v] იგი დადაგვითა. დადაგვა ცეცხლმან რომ მეტისმეტად დასწვას, ასე რომ წყლულება დასდვას კორცსა დადაგვა მას ნიშნავს.

2 ვინ მარგალიტსა გარეშე, მოსცავს ძოწისა ბაგითა — მარგალიტთა მშვენიერისა კბილთა უწოდს და ძოწეულსა, ანუ ძოწსა ბაგეთა, ესე იგი ტურთა. ძოწეული მშვენიერი წითელი.

3 შენ დააშენებ კეკლუცთა დაშენებითა მაგითა — დაშენება შვენიერებისა მიცემა. კეკლუცი სახე უკლებრად გაწყობილი მშვენიერი ყოვლისა აღნაგობისა შესაბამიერად მექონი. დაშენებითა მაგითა — მაგი მრავალ რიგად სხვად და სხვა ნიშნენლობით განიყოფება და აქა მაგი ნიშნავს უგვაროვნესსა.

4 ვისმე ჩემებრსა დააგდებ, გახდი ცნობითა შმაგითა — რომელთამე ჩემებრ, ანუ ჩემსავით უნუგეშოდ დააგდებ; დაპყოფ ცნობითა, ესე იგი გრძნობითა. შმაგითა, შმაგი, ვინცა სიყვარულისა განძლიერებითა თავსა თვისსა აენებდეს, ამას ნიშნავს აქა ამასტიხში.

1 ოტარიდი (არაბულად ზოპრა) ეს არს ლათინურად ვენუს, ხოლო ბერძულად აფროდიტი, რომელი მექოლოლიითა არს ღმერთა-მშვენიერებისა და აღმოსავლეთისა მოლექსენი მწიგნობასაცა მიაწერენ ამას რეცა სააშიკოთა, ესე იგი სატრფიალოთა წერილთა მთხველობისა მოქმედსა. ტაეპსა შინა პირველსა სამარადისოდ სიყვარულსა შინა და ტრფიალებასა მყოფისა მიამსაკავსებს. სიყვარულსა თვისსა ტრფიალი იგი ვინად[117r]გან საქმე ვენუსისა არს დაუსცრომელი ტრფიალება და მიჯნურობა, ეგრეთ ავთანდილს დაუტევებიეს ყოველი საქმე და მიჯნურობისათვის მხოლოდ არს მოცალებული და ველად გავარდნილი და უცხოთა ადგილთა მოსიარულე.

2 მზე მამრუნვებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა — მზე მამრუნვებს — მზე უკუნ-მაქცევს. არ გამიშვებს — შევბას არ მადლევს. შემიყრის და მიმცემს წვასა — თუმცა შემიყრის დღე აღმოსვლითა და ქვეყანასა ზედა მოფენითა თვისითა, მაგრამ ამისი.

შეყრა და მოახლოება საყვარელს ჩემსა რომ მომაგონებს, უფრო ძლიერის სიყვარულის ცეცხლითა მწვამს.

3 დაჯე წირად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა — ცრემლთა ტბა — რომელნიცა მელნისა ფერნი, მშვენიერნი თვალნი არიან, მადინებელნი ცრემლთა სიშორისათვის საყვარელისა, იგინი არიან შესაბამნი აღწერად ჭირთა მიჯნურთასა.

4 კალმად გიკვეთ — ესე იგი კალმად განგიშადებ. გაწლოზილს, ესე იგი ყოვლითურთ არა ზრქელსა. ტანსა — წვრილსა მსგავსსა ლერწმისასა.

953/963

1 ვილევი — ლევა, ანუ დალევა — მთვარისა ნათლისა მოკლება და დამცირება გავსილისა და სრულისა რაჟსამე. დამჭლოზა — დამცირება, დაკლება მდგომარეობისა მისგან სისრულისა. მჭლედ — გამხდარი ცხოველი, რომელიც ითქმის.

2 გავსება — აღვსება. გამლევის — გალეულ მყოფს, მომაკლებს. ზოგჯერ ვსხვდები — ზოგჯერ განსხვავებულ ვიქმნები, ესე იგი გავივსები ნაწლითა და გაბადვრასა მთოვარისასა ნიშნავს. ზოგჯერ ვმჭლდები — ზოგჯერ ასე შევიქნები, რო[117v]გორათაც კელში რომ მჭელეული იპყრას კაცმან თითქო იმ სიწლო, ესე იგი, ისე გაწვრილებული შეიქმნება მთოვარე, რომ შეხედოს კაცმან თითქმის ასე ეგონება, რომ ასე წვრილი არის ეს გალეული მთოვარე, რომ მუჭა რომ მოვუჭირო, მუჭაში ჩამივაო, ანუ მუჭას შემოვაწვდენო. ამგვარს სიტყვას მდაბიოთ ხალხთ იციან, ძველს მთოვარეს სრულად გალეულს რომ შეხედვენ, სოფლელები იტყვიან: „მთოვარე ასე გალეულა, რომ მუჭა რომ მოუჭიროს კაცმან მჭელსავეთ მუჭაში ჩაეტევაო“.

3 საჯა — სასჯელი, ანუ სარჯელი. ვბნდები — გულს მეყრება.

4 მიდი — წადი და მიდი მასთან. სხვა სულ ნათლად ისმის.

955/965

1 გდის ცრემლი, არ გაგხმობია — ცრემლი გდის და არ შეგშრობია.

2 ეშმა — ეშმაკი. ეშმაკი — სული მაცთუნებელი.

3 მეცვიცი ჩემსა ხელ-ქმნილსა, თმა ყორნის ბოლო სთმობია — ხელ-ქმნილი ავთანდილისა თინათინ იყო, რომელიცა ავთანდილის მიჯნური იყო. ავთანდილ აქებს თმათა მისთა. თმა ყორნის ბოლო სთმობია — ყორნის ბოლო დიახ შავი და ბრწყინვალე ფერისა არის და

თმას უქებს თინათინს. ს თ მ ო ბ ი ა — ამას ნიშნავს, თმად შექმნია (ყორნის ბოლო).

4 ლხინი რა დასათმობია — დათმობა დატყეებას ნიშნავს. ლხინი რა გასაშეებია, რა დასატყეებელია, რა დასათმობია.

956/966

1 სიცოცხლესა ეტყვის თუსა—თუ—სათუო, საიჭველი. თუსა—საიჭველსა.

2 ნუ ვიძახი მიწყვი უსა — უ უ ი შორისდებული, კმა სამწუხარო.

3 მიიშღერის — გზაზე მიმავალი კაცი. მიმა[118r]ვალობაში მიმღერდეს. ც რ ე მ ლ თ ა რ უ — რუ წყალის საღინელი არხი.

მეოთხე ტაეპსა შინა ცხადად და ნათლად იხმის.

957/967

1 მისვე კმისა სიტბოსაგან, წყლით ქვანიცა გამოსხდიან — ქვანიცა, ზღვის ცხოველნი: ტულენი, ესე იგი ზღვის ძაღლნი, ლომნი და ესე ვითარნი, რომელნიცა ზღვისა ნაპირთა გამოსვლასა ჩვეულ არიან და უყვარსთ მათ ზღვასა შინა მავალთა ყურება და ურიდად ზოგნი მათგანნი მიმავალთა ხომალდთა ახლორე მოიწევიან და ზოგნი წყლის ნაპირსა, ანუ ზღვის ნაპირსა სითხესა შინა წყლისასა გამოსხდებიან.

სხვა სულ ნათლად და ცხადად იხმის ამ ლექსისა.

3 ა ტ ი რ დ ი ს — ტირილი იწყის.

958/968

2 ნ ი ა ნ გ ნ ი — ნიანგი კიტი ზღვისა, თევზი, ერთი უდიდესთა ცხოველთაგან. ნ ი ა ნ გ ი სწერია ჩვენს საბას ლექსიკონში. რეცა ნ ა ა ნ გ სპარსულად კორკოდილოს ერქვას, მაგრამ დიახ ტყუილი არის. ნ ა ა ნ გ სპარსულად და ქართულადცა ეწოდების კიტსა და არა კორკოდილოსა. კ ო რ კ ო დ ი ლ ო ს ქართულად ეწოდება ხ ვ ი თ ქ ი (იხილე საბას ლექსიკონსა შინა), ხოლო სპარსნი უწოდებენ კ ო რ კ ო დ ი ლ ო ს ა თ ი მ ს ა ჰ, თიშსაჰ, თუმცა არაბული წოდება არის, მაგრამ სპარსნიცა მასვე ხმარობენ და კორკოდილოს თიშსაჰს უწოდებენ.

3 მაშრიყნი და მალრიბელნი — სპარსულად მაშრიყ აღმოსავლეთს ეწოდება. მ ა ლ რ ი ბ დასავლეთს ეწოდება.

959/969

3 გნუკავ თქმასა — ნ უ კ ვ ა თხოვნა. გ ნ უ კ ა ვ ა ნ გ ე ნ უ კ ვ ი — გთხოვ და მოველი თხოვილის აღსრულებასა.

4 მორჩილი უმრწემესი უხუცესისა თვისისა ნებისა მყოფელი, ანუ ერთი მეორისა სიტყვისა და ნებისა აღმასრულე [118v] პელა, ვითარცა უფლისა თვისისა.

960/970

1 ტურფა — უცხო რაჟმე, ანუ ვინმე და მშვენიერი სახილველი.

2 გეუცხოვე — უცხოდ აღგვიჩნდი, უცხოს ქვეყნით მოსრულსა. უცხო ასეც ითარგმანება სიკეთით სრული და მოსაწონი.

3 მზღვარი — სამზღვარი, მომზღვრე — მესამზღვრე; მზღვრებითა — სამზღვრებითა. (საზღვარი ანუ სამზღვარი ძირი არს ამა ლექსისა).

961/971

1 ნურადინ — გვარეულობა ანუ გვარისა სახელი არს მის მეფისა. ხოლო ფრიდონ სახელია.

2 მოყმე — მოყრმე არ დიდისა ხნისა ჭაბუკი. ფიცხლად მომხტომი ცხენისა — ფიცხლად, მსწრაფად ცხენს მოხტომა. მკედრისა მიერ მარჯვისა, დიახ მსწრაფლად ცხენს შეჯდომა.

962/972

1 კარგთა კაცთა გარდგეკიდე — გარდგეკიდე მოგხვდი. კარგს კაცებს შეგეყარე.

963/973

1 მულღაზანზარი — ფრიდონის სატახტო ქალაქს ერქვა.

2 მშვილდ-ფიცხელი, მახვილ-ქმალი — ვაჟკაცთა და მეომართ საქებელი სიტყვა არის. მშვილდ-ფიცხელობა და კმალ-სიმახვილე, ესე იგი, კმალ-მკვეთელობა და სიმახვილე მტერთა ზედა.

3 აქადაღმე — ამა ადგილიდამ. ნაკვთად სარო — ნაკვეთოზით საროსა მსგავსი, ფერად ლალი. ლალისა მსგავსისა ფერისა მექონი: ვითარცა ქვათა პატიოსანთა და ლალისა ფეროვნება ძვირფასისა ნივთისა თვისებანი არიან, ეგრეთვე ლაწვთა მისთა შვენიერებანი.

4 ვაჟრად დაგვწვენ უცხომ უცხო, რად მოგვიდენ ცეცხლებრ აღნი — ამისთვის ეუბნებიან ისი კაცნი ესე ვითა [119r] რს სიტყვას ავთანდილს, რადგანაც იმასთანა მშვენიერი და უცხო მოყმე იხილეს, მოშორებვისათვის სწუხან, რადგან ამისთანა უცხო რამ ჩვენ უცხოება გნახეთო, ახლა ასე მალე რომ მოგშორდებით, შენის მოშორების ცეცხლი დაგვწვავსო.

1 ყმაჰან უთხრა: მიკვირს ძმანო, რად ხართ ჩემთვის გულმოკლულნი¹ — ავთანდილ მათ კაცთა ეუბნება, მიკვირს, რომ ასე შეწუხებულის გულით მიჩვენებთ სიკვარულს და მოშორებებისათვის სწუხართო.

2 ანუ ეგრეთ ვით გეკეთნეს, ზამთრის ვარდნი ჟერ ნაკლულნი — ვით გეკეთნეს — ვითარით მოგწონვართო, რომელიც ჩემს ესრეთის მდგომარეობისა და შემთხვეულებისა მიზეზით როგორათაც ზამთრისაგან ვარდი დაზრული იქნება, ისრეთ მდგომარეობაში ვარ მწუხარებისა გამოვო.

3 ეტყვის ავთანდილ თქვენ მაშინ უნდა გენახეთო, როდისაც ჩვენს ალაგს ღაღათ, ესე იგი თავისუფლად ვისხედით და შევექცეოდითო (ჩემს ქვეყანაში და სამყოფშიაო). ღალნი ვსხედით არ საპყრულნი — თავისუფლად და შვებით ვსხედით ღხინითა და შექცევითაო. სიღალღითაო, არამც თუ პყრობილებით, არამედ ყოვლითურთ თავისუფლადაო.

2 ვისი ჰგავს ტანი საროსა და ვისი გული რკინასა — საროსა უმსგავსებს ტანისა მშვენიერებასა, ხოლო გულისა სიმკნესა რკინისამებრ მაგარსა და მტკიცესა დაუსახავს ავთანდილს.

3 მიაცორებებს და მიუბნობს, მოსთქვამს მისსავე ღხინასა — მიაცორებებს — თითქმის სიარული ავთანდილისა კაცი რომ ზღვაში, ანუ მდინარეში მიცურვიდეს იმას ემსგავსებოდა [119v] ჩქარად და მოსახდენის მშვენიერის ცხენით გზასა მავალი. ჩვენში ჩვეულება არის, ვინც ცხენს შესაბამიერის და მოსახდენის სიარულით ატარებს, ეტყვიან ერთმანერთს იმისნი მჭვრეტელნი: უყურე როგორ მიაცორებებს ცხენსაო. მიუბნობს — გზაგზა სიარულში ღაპარაკობს. მოსთქვამს — გოდებს. მისსავე ღხინასა — მისი ღხინი მათ ჟამთა შინა მწუხარება და ტირილი იყო. ამისთვის ღხინს კი არ უწოდებს მას, არამედ ღხინას, ესე იგი თვისება ქართულისა ენისა არს: ოდეს ესე ვითარი ლექსი თვისის მდგომარეობიდან გარდაიყვანო ან ზედ რომ დააბოლოვებ, მაგალ., ღხინი, — მხიარულებას ნიშნავს, მაგრამ, როდისაც იტყვი ღხინა, ესე გარდავალს ცვლილებასა შინა დამაკნინებელსა და შემცვალებელსა მის მნიშვნელობისასა.

¹ გულულნი

4 ნარგიზნი ქუხან, ცრემლს ჰსწვიმს, ჩარცხის¹ ბროლს და მი-
ნასა — ნ ა რ გ ი ზ ი კვლავაც გვითქვამს, ნიშნავს აღმოსავლეთის
მოლექსეთ აზრით თვალსა სახედველსა. ჩ ა რ ც ხ ი ს ნიშნავს ამას,
ჩარეცხს, რეცხავს. ბროლსა და მინას — პირისახისა სითეთრესა და
ბრწყინვალეებასა ნიშნავს.

966/976

4 გზის ყოლაუზი — გზის მცოდნე, წინამძღვარი. ყო ლ ა უ ზ
თათრული არის, ქართულად ე ტ ი კ ი ეწოდება, ანუ გზის წინა-
მძღვარი.

967/977

1 ადრე დალევს გზასა გრძელსა — და ლ ე ვ ა დასრულებასა
ნიშნავს. ა დ რ ე — მალიად.

3 ალყა სიმრგვლეს ნიშნავს. ა ლ ვ ა გრგოლის სახე რამე
(მგრგვალი შემოხვეოდეს სანადიროსა მას ლაშქარნი ფრიდონის-
ნი) [120r].

4 მჭქელი — პურის ყანისა თავთავი.

968/978

1 კაცი ემთხვივა — კაცი შეემთხვა, ესე იგი შეხვდა ერთს კაცსა.

2 კმა ზათხისა და ზარისა — ზ ა თ ხ ი და კმიერება მაღალი,
რომ შორს ისმოდეს და ამასთანავე აღრეული კმიერებაცა ცხენთა
ფერკთა. ზ ა რ ი ამისთანა კმიერება არის, რომ კაცის გულს ძლიერს
გრძნობაში მოიყვანს, ხოლო სხვათა ოდესმე ისუსტთა გულისა მექონ-
თა შიშსა შინა მოიყვანს.

969/979

1 მით უსახოთა ქცევითა — უსახო ქცევა გარდამატებული,
მშვენიერი ქცევა, რომ ძნელად შესაძლებელი იყოს ისეთისა ქცევის
ენით გამოთქმა.

2 გამხიარულდა შვენება მის ყმისა ვთქვიმცა მე ვითა — როს
ავთანდილმან სცნა, რომ იმ მონადირეს ჯარში ფრიდონ იმყოფებო.
ასეთი მხიარულების ნიშანი გამოეხატა მის მშვენიერს სახეზე, რო-
მელ ვის შეუძლიან თქმა თუ ვითარ დაშვენდა და სილამაზე გარდა-
მატებული მოემატა სახეცა მისსა.

3 მისთა გამყრელთა დააზრობს, შემყრელთა დასწვავს მშვეითა
— ვინცა ეგეთსა მშვენიერსა მოშორდება, მოშორება მისი მზე ვი-
თარ იგი ვარდსა განშორდეს და უმზეობით ვარდი სიცივემ დასზრას,
მის მსგავსად მოშორებისა მისისა მწუხარება გულსა ეგრეთ
მსგავსად მისსა დაზრავს და დააჭკნობს. შემყრელთა დასწვამს

¹ ჩარხის

მშვევითა — ეგრეთვე თუმცა გაყრა მზისა დააზრობს, მაგრამ სიახლესა მზისა დამწველი არს ტრფიალისა გულსა, ესე იგი, კაცის გულსა შორის ალაგზნებს სიახლე უმეტესსა ცეცხლსა სიყვარულისასა.

4 ნახოს მჭვრეტელთა აახლებს — საყვარლის ნახვა და მახლობელ ყოფა ტრფიალისა მისისა გულსა განაახლებს. [120v] ტანი ლერწამობს ხე ვითა — ლერწამს შეუშგავსებს ტანადობასა (აღმოსავლეთის მეშაირეთ ჩვეულება აქვსთ მშვენიერს ტანადს ლერწამს უმსგავსებენ ტანადობას), ამისთვის რომელ ლერწამი სწორეთ და გაუბრუდებლად იზრდების და ვითარცა ლერწამსა აქვს თვისება ესე გვარი, რომ კორცსაც გასჭრის; ეგრეთვე მშვენიერის ტანადის შეხედვა ტრფიალსა გულსა დაუჭრის და დაუწყულულებს.

970/930

1 ყო ლ ბ ი — ლაშქარი რომ მრგვლად გარს შემოხვეოდეს ტყესა ანუ მინდორსა ამისთვის, რომ ნადირი არსით გაექცესთ მონადირეთა და მოინადირონ, იმას ეწოდება ქართულად. ხოლო ყო ვ ლ ბ ი არაბულად გულსა ეწოდების. ყო ვ ლ ბ ანუ ყულუბ მრავლობითი სახად ჰყოფს გულებსა ანუ გულთა. ო რ ბ ი მფრინველი, რომელსაცა არწივსაცა უწოდებენ, არიო ლ გინა ო რ ე ლ. ს ი თ მ ე — საიდაჰჰე, ანუ რომელსამე ადგილიდამ.

2 ყმაძან ანუ ყრმაძან ანუ ჭაბუკძან. ცხენით შეუტევა — ცხენით ატაკა მიუტანა. შე უ ტ ე ვ ა — შეუტივა. გაამაყდა არ შეშინდა — გამხნევედა და არ მოუძღურდა, არც შეშინდა.

3 შე ს ტ ყ ო რ ც ა — ძირიდამ რომ მალლა ესროლოს ი'არი ანუ თოფი, ანუ სხვა რაჲმე მას ნიშნავს. ს ი ს ხ ლ ი ს დ ი ნ და — სისხლმა დენა დაუწყო.

4 ფრთენი დასჭრნა — მონადირენი რომე ფრინველს მოჰკვლენ ფრთათ დააჭრიან, განწესება ასე არის და თავში ქულზედ ჯიდასავით ჩაირჭობენ. წყნარად შეჯდა არ აქშინდა — ცხენზე ისევ წყნარად შეჯდა, არამც თუ სიჩქარისა გამო დაიღალა, რომ ქშინება დაეწყო. [121r].

971/981

1 შე ს რო ლ ნ ი ნ ა დ ი რ თ ა ნ ი — მონადირენი. სროლასა მოუშლებოდეს — სროლა და ნადირობა მოშალეს.

2 ა ლ ყ ა — ესე იგი კრკალი მონადირეთა, ანუ გრგვლივ მოხვევა მესროლთა მოუშალათ ავთანდილის ნახვის მიზეზითა. მოვიდეს ავთანდილს გარს შემოეხვივნენ და იმისის მშვენიერებით გაკვირვებულნი თითქმის ბნდებოდნენ.

ამას ქვევით ორი ტაეპი ნათლად ისმის.

3 მუნ დაემართა ავთანდილ, მისთანა ყოვლბი ჰყვებოდა — რომელსაც გორაზე ფრიდონ იდგა და უყურებდა ნადირობასა, ავთანდილ იქითკენ გაემართა და წავიდა. ეს მონადირეთ ჯარის ყოვლბი ესე იგი სიმრგვლეც მოიშალა და უკან გაყვნენ ავთანდილს.

973/983

1 წა — წადი. წა-ნახეო — წადი და ნახეო.

2 ალყა — ზემოთ განუმარტეთ. გრკალი — გრგვლად მოველებული ჯარისა გინა მონადირეთა ლაშქრისა.

4 დადგა თვალნი გაურეტდეს — ეს გამოგზავნილი მონა ფრიდონისაგან ავთანდილთან რომ მოვიდა და შემოხედა ავთანდილს, დადგა მაშინვე და ავთანდილის შვენიერებამ ამ კაცს თვალები აუჭრელა და გაურეტა და ასე აირივა საკვირველებით, რომ ველარა ჰკითხა რა.

974/984

1 მოამბედ ჩემდა რეზული — ჩემის ამბის შესატყობად გამოგზავნილი.

2 დავედრებული — მოციქულის ვისამე რომ კაცმა სიტყვა დააბაროს და ვედრებით ეუბნებოდეს მოხსენებას.

3 ღარიბი — უცხო, სხვა ქვეყნით უცხოებაში მოსული.

4 მოგზავნებული — გამოგზავნილი. [121v].

975/985

3 ვაზრობ — მოვაზრევობ, ვგონებ. დაშმაგდენ, სიშმაგე თითქმის გონებიდამ გაიყვანს კაცსა. სიშმაგეში მყოფი კაცი ასე აჩქარდება, რომ იმჟამად არ იცის, რასა შერება. თუ ბრძენთა ნახონ ისი საღ — ისი საღ — იგი საღამე; ანუ საღა და რომელსამე ადგილსა.

4 შეყრად ფრიდონის მქისისად — მქისი არს მაშინ კაცი, ოდესცა გასწყრების და გაჯავრდება, შეუტყობლად საქმისა, როგორათაც ზემოს ლექსებში აღმოაჩინებს, ფრიდონ თავის სპათ უწყრებოდა და არ იცოდა კი რას მიზეზით მოშალეს ნადირობა.

976/985

1 ფრიდონს ჭირნი უსუბუქდა — ფრიდონს მწუხარება აღუსუბუქდა.

2 გული უფრო აუჩუქდა — გული აუღულდა, კაცს რომ სამწუხარო რამ მოაგონდება, გული აუღულდება სამწუხაროს ცეცხლით და როგორათაც რომ დულდეს წყალი ან სხვა რაიმე, იმის მსგავსად გუ-

ლი აჩქარებულად დუდილის მოძრაობაში შევა და თვალთა ცრემლისა ღენასა და ტირილსა იწყებს. ამა გულისა აჩუქებას, გ უ ლ ის ა მ ო ს კ ვ ნ ა ს და გულის აჩუხჩუხებასაც უწოდებენ.

3 მ ო ნ ა ქ რ ო ლ ი — ქარის მოქროლებას ნიშნავს. და ზ რ ვ ა ყინელისაგან ხრწნა. წამწამთაგან ბუქი ბუქდა — ბუქი ქარიანს თოვლსა ეწოდება. როგორათაც ბუქიანი ქარი თოვლს მსწრაფლიად აყრიდეს, ეგრეთ ფრიდონის წამწამნი ცრემლს აფრქვევდეს.

4 მათგან იქო არ გაუქდა — მათგან, ესე იგი ფრიდონისა და ავთანდილისაგან ერთმანერთი იქო [122r]. ესე იგი ერთმანერთი აქეს და მოეწონათ. და ა რ გ ა უ ქ დ ა — უქებელი არ შეიქმნა და უქებელობა და მოუწონებლობა და მოხდა მათ ორთაგანვე ერთმანერთისა.

977/987

2 ლხინმან ცრემლნი აფრქვევინა — ოდესცა ორნი ვინვე შეიყრებიან ერთად და გულით საყვარლად შეიტკბობენ ერთმანერთსა, მაშინ ის სიხარული ატირებს კაცსა, ეს ღიახ მრავალჯერ მომხდარა. ეგრეთვე, ოდეს საყვარელნი ნათესაენი, ანუ მეგობარნი ღიდის ხნის მოშორებულნი იქმნებიან ერთმანერთისა და შეიყრებიან ერთად, მაშინ ორნივე იტირებენ იმ სიხარულის ჟამსა და ესრეთ არს ბუნება კაცისა, რომელ ვითარცა მწუხარება, ეგრეთვე მრავალგზის სიხარულიცა ატირებს კაცთა. ა ფ რ ქ ვ ე ვ ი ნ ა — ფრქვევა და ბკურება ორნივე ერთისა მოქმედებისა მყოფელ არიან და ქვე წვლილიადთა ნივთთა დაცვივნასა ნიშნავს.

978/988

1 უცხოობით არ დარიდონ — არ დაერიდნენ.

2 თვით უსახოდ — უმაგალითოდ, უსწოროდ.

3 რა მჭკრეტელთა იგი ნახონ, მზე მათთანა გააფლიდონ — იმათ მაყურებელთ მზეს ამჯობინონ იგინი. გ ა ა ფ ლ ი დ ო ნ — შეურაცხჰყონ, უდარეს მათსა აღმოაჩინონ.

979/989

1 ფრიდონისებრნი მოყმენი ვინმცა ვით ვინ ეგებიან — ფრიდონის მოყმეთა მსგავსი ანუ თანასწორნი ვის ეყოლების, ანუ ვინ იქმნება მათი სწორი და ვით ეგება ესე, რომ მათნი შესადარებელნი ყმანი სხვათა მეფეთა ახლდეს.

2 მაგრამ მას ახლავს ქებანი, მართ მეტი არ მიხვდებიან — მაგრამ ქებანი, რომელიც რომ მეტი აღარ შეიძლება, მას ახლავს, ესე იგი ავთანდილ ყოველთა მეფეთა ყმათა ზედა [122v] უდარესი არს და აღმატებული ყოვლითავე.

3 მზე უჩინო იქმს მნათობთა, რა ახლოს შეიყრებიან — როგორათაც რომ მზე რა ამოვა, სხვათა მნათობთა ნათელი აღარ გამოჩნდება, ეგრეთვე ავთანდილ რომ მივიდა ფრიდონთან, მისის მშვენიერებით და ახოვნებითა მუნ მყოფთა ყოველთა მშვენიერება და სიკეთე არღარად გამოჩნდა.

4 დღისით ვერ ნათობს სამთელი, და ღამით შუქნი კრთებიან — სანთელი რომ დღისით დასდგა, რა ნათელს გამოსცემს, ეგრეთვე სიკეთე ავთანდილისა. ეგრეთ ჰფარავს სხვათა მშვენიერებასა და სიკეთესა და ყოველთავე აღემატების ეგეოდენ, ვითარცა დღე და გინა მზე სანთელსა ზედა აღემატების.

980/990

1 ს რ ა — სახლი მეფეთა.

2 მოეშალნეს მკეცთა სრვასა — მოეშალნენ; მოშალეს ნადირობა, გაუშვეს მკეცთა კოცა.

3 ჯ რ ა ს ა — მჭიდროობა, ხალხის სიმრავლისაგან შეიწრებასა.

981/991

1 ი ს წ რ ა ფ ი — ეჩქარები.

2 ვინადგან ღამი ცნობასა — რადგანაც გწადს შეტყობა.

3 ს ი თ — საიღამ.

982/992

4 საკრძალავი და უკადრი — საკრძალავი, ესე იგი, ყოველნივე მეკრძალვიანო და უკადრი ვერას მკადრებენ წინააღმდეგსა. მყოფი არვისგან ცილობით — და ვერც არავინ შემძლებელ არსო, რომ პატივსა და დიდებასა ჩემსა (რომელიცა მეფისა ჩემისაგან მონიჭებული მაქვს) იმას შემამეცილოს ვინმეო და ჩემი თანასწორება მოინდომოსო.

983/993

3 ვ ა წ ვ ი ვ ე თ — მოვიწვივეთ, დავაბატყეთ, ჩვენთან მოხვალვსთხოვეთ. [123r].

984/994

1 შეუზახნა და სწყრებოდა — მალღის ხვით განრისხებულჴან მეფემან და ძლიერის შეძახებით ანუ დაყვირებით.

2 მან უჭირველად დახოცნა ომი არ მისჭირდებოდა — უჭირველად, გაუძნელებლად, ანუ ადვილად არ მისჭირდებოდა, არ დაიღლებოდა, არ მოუძღურდა, არ დაშვრებოდა.

3 ზოგთა მკარ თეძო დაღეწა — რომელთამე მებრძოლთა მკარი და თეძონი დაუღეწა, შეუმუსრა, დაუმუსრა, დაამტვრივა.

4 მუნდა სცანეს ეტლი მთვარისა, რომე არ დაბრუნდებოდა — ესე იგი, როგორათაც მთოვარე თავისის გზილამ არ გამოვა და მილუული მთოვარე მას ჟამსავე აღვსებულად არ შეიქმნება, ეგრეთვე ტარიელისა წადილიცა განეშორვა ამათან მოსვლასა, არ ინება მათ თანა მოსვლა და გაექცა.

985/995

2 ა მ ა ყ ი — კადნიერი, უშიშარი. ა ჰ მ ა ყ — არაბული ლექსი არს. ა მ ა ყ ი — ორ-გვარად განიშარტება. უშიშარს კადნიერად და ზესთა-მჩენად. კ ა დ ნ ი ე რ ე ბ ა ც ო რ ა დ განიყოფება: კადნიერება არის კეთილი ნიჭი, რომ კაცი ზნეობაში, ყოფა-ქცევაში და ლაპარაკში მოშიშარი და მოწიწი არ იყოს და თავისი კადნიერება სამკედრო საქმეშიაც კეთილად და წესიერად, სიმხნით და ვაჟკაცობით და შესაბამიერად იხმაროს. ხოლო კადნიერება ბიწიერი არს, სიბრიყვე ცოდვისა და ცუდის ყოფა-ქცევისა, მოურიდებლობა და წინა-აღმდეგისა და უზრდელითა სიტყვითა აწყინებდეს დიდთა და მცირეთაცა. ზ ე ს თ ა - მ ჩ ე ნ ო ბ ა არის, რომ კაცი თავის თავს ვერ იცნობდეს და ყველაზე დიდი და მცოდნე ეგონოს თავისი თავი. ამაყთა და არს მკრთალთა — გულით უშიშართა და არა მოშიშართა, არცა მკრთალთა.

3 რ ა ტარიელ მეფე იცნა, მუნდა დაკრთა მათთა ჯმალთა — [123v] ტარიელმა მეფე რომ იცნა, მაშინ შეკრთა ამისის შიშითა მხოლოდ, რომ მეფეს არა ვაწყინო რაო, რას ვემართლებიო და არ ეკადრება ჩემგანაო, რომ ვაწყინო რამეო, და მაშინვე გაიქცა და თვალთა მათთაგან მიეფარა. დაკრთა მათთა ჯმალთა — არანც თუ იმათის კლმისაგან შეეშინდა, რომ კლმის შიშისაგან დამკრთალ იყო, არა თავისგან მათს კრმლის ცემასა და მათთან ომს მოერიდა.

986/996

3 ა მ ბ ის ა არ დასტურობა — და დასტურება ჭეშმარიტებით, სწორეს ამბის შეტყობა და ცნობა.

4 მწვიდა ცეცხლი და მურობა — ცეცხლი გული რომ გაუხურდება სიყვარულით, ანუ სამწუხაროს ვითარისაჲ შემთხვეულებითა კაცსა იმას ნიშნავს, ხოლო მ უ რ ი არს ცეცხლისა მიერ და კვამლისა გაშავებულნი, ცეცხლის აღსანთებნი; ლუშელნი გინა ბუხარნი და მათთა კედელთა შავი მტვერ მოკიდებული არს მური, როგორათაც სახარშავს ჭურჭელს, მური მოეკიდება, ეგრეთვე გულსა კაცისასა, მწუხარება, კაცის გულის მური მწუხარება არის.

987/997

1 არ ვიამე არცა ძილი — ვ ი ა მ ე, ვისიამოვნე; ა რ ვ ი ა მ ე არ მივიღე, არ ვისიამოვნე.

988/998

1 სრულად გამესისხლება — მ ე ს ი ს ხ ლ ე ო ბ ა, სისხლის მღვრელობით სიმტრე, გინა მტერობა, ესე ვითარი, რომელიც მიზეზ სისხლის დაღვრისა იყოს.

3 არ ახლად არ ახლებია — არა ახლად ხლება. ა რ ა ხ ლ ე ბ ი ა — მისნი ჭირნი და მწუხარებანი ახალნი არ არიან, და არცა ა ხ ლ ა, ესე იგი, ახლოს ჟამში არა ხლებიან. ხ ლ ე ბ ა მო-ახლებასაცა ნიშნავს, განახლებასაც, ახლოს ჟამში მოსვლას [124r] და სხვად და სხვა რიგად განიმარტების.

4 ამასვე სტიხსა 988-სა ვაი მართებს მისსა გაყრილსა, შავი ხლა თავსა ხლება — შ ა ვ ი-ხ ლ ა არაბული ლექსი არის, შავს კელმანდილს ეწოდება. თ ა ვ ს ა ხ ლ ე ბ ი ა, თავს მიახლოებია, ანუ შეხებია. ხ ლ ა მგლოვიარეთა თავს მოსახვევი შავი კელმანდილი არის. ხ ლ ა ქართულად სხვას სახედ გამოითარგმანება. მ ი ხ ლ ა ანუ მიხლა-მოხლა ამას ნიშნავს, კაცმან რომ თავი, ანუ ტანი, ანუ კელი, ანუ ფერკი მიაწყვიტოს რასმე, ან მიჰკრას რასმე, თავს აქეთ და იქით კედელს, კლდესა, ანუ სხვას რასმე ახლიდეს და თუ მარცვალსა ამას დაგრთავთ, ესე იგი მიე-ახლა, მაშინ გამოვალს სიტყვა ესე იგი მიეახლა და მრავალ რიგად სხვა და სხვა გვარად განიმარტება.

989/999

1 ცრემლ-ნაწთომი — ესე იგი ცრემლი თვალთაგან რომ სწვეთდეს, ანუ ცრემლი სდინდეს შეჭირვებით თვალთაგან.

4 კაცთა ტომი — კაცთა ნათესავი.

990/1000

1 მე უცხოს უცხო მანატრა, მოსმენა სანატრელისა — მე რომელ უცხოს ქვეყნისა ვიყავ, მანატრა და ვნატრობდი მისისა ამბისა ცნობასა (რომელსაც რომ თვით ტარიელ მექმნა მიზეზი, რომელ შემეტყო მისი ამბავი) მომასმინა სანატრელი იგი და მიაძმო.

3 ხ ე ლ ი — სიყვარულით გაგიჟებულსავით.

991/1001

3 ვით ნადირი კაცთა ჰკრთების — ვ ი თ ნ ა დ ი რ ი, კაცთ რომ ნახავს და დაფრთხება.

2 გ ა ვ შ მ ა გ დ ი — მოუსვენებლობას მიეეცი ყოვლითურთ.

4 შევიქეც ვნახენ მეფენი, მყოფი გულითა ბნელითა — შე ვ ი-
ქეც — გამოვბრუნდი ტარიელიდამ. მყოფი გულითა ბნელითა --
არამც თუ მეფენი დამხვდნენ გულით ბნელითა, ანუ [124v] ნწუბა-
რედ, ავთანდილ იტყვის ტარიელის მოშორებებისათვის გულითა ბნე-
ლითა ვიყავო, ესე იგი შეწუხებული ვიყავ გულითაო.

1 ჭ მ უ ნ ვ ა — წუხილი, შეწუხება მდუმარეობით. ესე არს ნა-
წილი მწუხარებისა.

2 დ ა ვ ყ ა რ ე ნ — დავუტევე.

3 დ ა ვ ე ს ხ ე ნ — განვთავისუფლდი. დ ა ვ ე ს ხ ე ნ — გამოხ-
სნიდამ არის ეს ლექსი წარმოვებული. ცრემლთა წურვა — ცრემლი
თვალთაგან მოიწურვაო. კაცმა რომ მტირალი თვალეზი კელით მო-
იწუროს, სწორეთ იმ სახეთ ცრემლნი ჩამოსცივია, როგორათაც, რომ
გაწურის რამე კელსაკოცში, ანუ ამ გუარს რაშიმე კაცმა და გაწურ-
ვაში რომ ნოტიო იქიდამ ცრემლსავით გამოედინება.

4 ვიქმ იქით აქეთ ბრუნვასა — ბ რ უ ნ ვ ა ტრიალი. ბ რ უ ნ ვ ა
— მგრგელივ მოვლა. ბრუნვა, ჩხრეკა და ძიება დაკარგულისა ვითა-
რისთვისმე, მისვლა და მოსვლა აქა და იქი და მრგვლივ მოვლა ყო-
ველს ადგილსა. ბ რ უ ნ ვ ა ჩარხთა, წისქვილთა, ჯარათა, მანქანათა
და ესე ვითართა საბრუნველთა სხვათა და სხვათა.

2 უ ე ბ რ ო — სწორ-უბოვარი, იგი არს რომელსა ყოვლითა სი-
კეთითა ვერავინ ესწორებოდეს.

3 ს ი თ — საითკენ, რომელს მხარეს.

4 ვერ მჭკრეტთა ამაზრზენისა — ჭ ვ რ ე ტ ა, ხედვა, თვალთა
ყურება. ა მ ა ზ რ ზ ე ნ ი გრძნობა ყოველთა შორის ნაწევართა კაცი-
სათა, რომელიცა საწადელისა რაჯსათვისმე ვინმცა მოშორებულ იქ-
მნეს სატრფიალოსა თვისსა, რეცა წვლილიადასა კანკალს დააწყებო-
ნებდეს, მომატებუ[125r]ლისა ნდომითა და სურვილითა მეგობრისა,
ანუ საყვარელისა თვისისა ხილვისათვის და სიახლისა.

1 ნ ა უ ბ ა რ ი — ნალაპარაკევი.

3 გ უ ლ - ა მ ო ს კ ვ ნ ი ლ ი — ასეთი ტირილი მოუვიდეს კაცსა,

რომელ გულსა აყოლებდეს ტირილსა და მალიად ვეღარ დააცხროს ტირილი.

4 ტევრთა — ტე ვ რ ი ხშირი ტყე, წამწამთა თვალისათა უწოდს, ხოლო საგუბართა მისთა თვალთა უწოდებს, რომელნიცა აღივსებიან ცრემლითა და მორწყვენ მუნით ღაწვთა ვარდისა ფერთა.

996/1006

2 ხოკა პირისა — პირის-სახის ფრჩხილებით კაწვრა. სრევა მიდისა — ს რ ე ვ ა, გასროლა, ჩქარი წვიმა, რომ მოვა და ისვრის დიდროვანს წვიმას, წვეთებს ჩქარ ჩქარა, მაშინდელს ტირილს მას ამსგავსებს. ს რ ე — ხაზსაცა ეწოდება, რეცა განაზულთა ლოყათა.

997/1007

2 კმელთა მზეო სამყაროსა, მზისა ეტლთა გარდამსმელო — კმელთა მზენი ქვეყანისა მშვენიერნი არიან და რომელიცა მათგანი აღემატებიან მშვენიერებითა, მზეზედაც უმჯობესნი იქმნებიან რეცა და თავისი ეტლი. ესე იგი საველელი ურემი მზემ უნდა დაანებოს ამისს მშვენიერებას, რეცა მზესა; ესე ვითარნი მშვენიერნი თავის ეტლიდამ გარდასმენ და თითონ მზის მაგიერად მზისა ეტლსა ამხედრდებიან.

998/1008

4 ოხერი — აოხრებული ნასოფლარი და უპატრონო. სოფელი გამარმებია გამწარებია¹, უჯერო მქმნია. სამწუხაროდ და საგოდებლად შეგქმნია. არამ არაბული ლექსი არის, რაიცა საქმე მჯუღლით შეკრული და [125v] დაყენებული არის, იმას ნიშნავს და რეცა სოფლისა განგებამ სჯულად დამიდკა და განმიწესა ძნელნი ესე და სამწუხარონი შემთხვეულებანი.

999/1009

3 აერ-ფერთა — აერფერი, ელფერი, სითეთრისა და სიწითლის ფერი. ანუ მშვენიერება არეთა გაზაფხულისათა.

4 მელნისა ტბათა მიჯარვით ბრუნავს გიშრისა ჭერითა — თვალნი არიან მელნისა ტბანი, მიჯარვა სხვად და სხვა რიგად განიმარტება. ჯარ რომ მრავალთა ერთა ნიშნავს, ერთად ვიწროსა ადგილს შეყრილთა. ამათ შევიწროება ნიშნავს მიჯარვას, ანუ ჯრას. მელნისა ტბანი, თვალნი მშვენიერისანი არიან. მიჯარვით ესე იგი თვალნი შეერთებითა ხედვისათა მიმოიქცევის (იქით და აქეთ სჭვრეტს). გიშრისა ჭერი თვალის კაკლის ბროლი დაფარებული, რომელიცა, რეცა ცისა ფიგურსა და სიმრგვლისა სახედ ნაკვეთოვნებს. ბ რ ე

¹ გამწარებია

ნავს — თვალნი რომ ბრუნვენ ყურებაში, მას ნიშნავს. ჭერი — ჭერთაც ითქმის. მაგალ., თვალი უჭირავსო, ესე იგი, საითაც იყურება, ანუ უზურს. აზიელნი მესტიხენი თვალის კაკალს ცისა ნაკვეთობასა ამსგავსებენ.

1000/1010

ეს ლექსი მაჯამად არის თქმული.

1 სრა — საწეფო სახლი. სრულთა, როგორათაც რომ ეკადრება პალატსა სამეფოს სახლის შესაბამად მორთული და განშვენებული.

2 საქელმწიფოთა ყოვლითა, განსაგებლითა სრულითა — რაც მეფეთ წესი და გარიგება არის, იგი პალატი მეფისა ყოვლითურთ უნაკლულო და სრული იყო.

3 მონანი, ტურფად მოსილნი, წესითა იყვნეს სრულითა — [126r]. სრული პირველად ამას ნიშნავს, მონანი ვითარცა პალატსა ეშესაბამება, ეგრეთ მორთულნი იყვნენ პალატისა ჩვეულებისამებრ და წესისა. სრულნი მოსრულნი მონანი თავიანთა სადგომთა შინა მორთულ იყვნეს დიდის განშვენებულებით და ყოველნივე პალატსა მოსრულ იყვნეს და შემოკრებულ.

4 შეფრფინვიდინ ავთანდილს, გულითა სულ წასულითა — შეფრფინვა, ამას ნიშნავს, რომ კაცი შეჰხაროდეს, ესე იგი ყოვლითა სახითა და წამის ყოფითა — სიხარულსა და ტრფიალებას აღმოაჩნებდეს კაცი. შეფრფინვა, ვითარცა მართენი ტრედისანი, გინა რომელთამე ფრინველთანი დედასა თვისსა რომელნი იხილვენ სიხარულით ფრთეთა თვისთა სძვრენ და ესრეთ შესტრფიან დედასა. გული სულ წასული — სიყვარულით და ტრფიალებით კაცს რომ თითქმის მოთმინება აღარა ჰქონდეს და თითქმის გონებიდამ გარე განსრული ეტრფიალებოდეს უცხოთა მას სახილველსა.

1001/1011

1 ჯალაბობა არ ხალვათი — ხალვათი მარტოობას და სუბაობას ნიშნავს, ესე იგი მოცალეობით ყოფნასა და ხალვათი არ იყო მუნ მაშინ სრასა, ანუ პალატსა ფრიდონისასა და დიდი შეყრილობა იყო. და ჯალაბობა, ესე იგი, დედანი და წულნიცა ესე იგი ყრმანი, გინა მცირე-წლოვანი — ქალნი დედანი და კაცნი, ყოველნივე ერთბამად შემოკრებულ იყვნეს მუნ და რიდება და ხალვათი არ იყო.

2 წარიგებით — ესე იგი ჩამორიგებით თავიდამ ბოლომდის მას პალატსა დასხდეს დიდებულნი ათჯერათი, ესე იგი ასი.

წარიგებით რომ სთქვა, ამას ნიშნავს, რომ თითოს მხარეს რიცხვით ასი დიდებული [126v] მჯდარა და მეორეს მხარეს ეგრეთვე ჰგავს რომელ ბანოვანნი დედანი ისხდებოდეს ეგეოდენი რიცხვნივე.

4 ბროლ ბალახშა აშვენებდა, ზოგან შინა, ზოგან სათი — ესე ლექსნი ტაეპსა ამას შინა მოხსენებულნი მშვენიერისა სახისა წვერთა მნიშვნელ არიან მეტაფორიითა. ბ რ ო ლ ბ ა ლ ა ხ შ ი — სითეტრე პირის სახისა და სიწითლე ლოყათა. შ ი ნ ა სიელვარე პირის სახისა. ს ა თ ი გიშერი და მისნი ფერნი წარბ-წამწამნი.

1002/1012

1 მ ა ხ ა ლ ი — სასმელი, რომელიცა მისცემს მხიარულებასა და დაათრობს (მახალი თუმცა ხურჯინსაც ეწოდება, მაგრამ აქ ხურჯინის თქმა ყოვლითურთ უშესაბამო არის და არც რუსთაველს ხურჯინი უთქომს). მ ა ხ ა ლ ი საუკეთესო სასმელი არის ღვინო თუ ოტკიერი რაჟმე. მ ა ხ ა ლ ი ხლასაც ნიშნავს, ესე იგი, ორი სასმელი დოსტაქანი — ორთა მოყვასთა რა აღიღონ და ერთმანერთის სადღეგრძელო შესვან და დოსტაქნები ერთმანერთსა მიახალონ.

2 მ ძ ა ხ ა ლ ი — ერთის კაცის შვილსა, რომ მეორეს კაცისა ვინიმე ქალი ცოლათა ჰყვანდეს, იმ ვაჟისა და ქალის მამები ერთმანერთის მძახლები იქმნებიან და რადგანაც მძახლებს ყოველთვის პატივის ცემა ექნებათ ერთმანერთისა, ფრიდონ და ავთანდილ თუმცა მძახლები არ იყვნენ ერთმანერთისა, მაგრამ რადგანაც ავთანდილს ისეთი პატივი მიაპყრა ფრიდონმან, რომ როგორათაც თავის ნათესავსა და თვისსა ვისმე, ამისთვის მძახლობა თქვა აქა პიიტიკოსმან [127r].

4 გ ლ ა ხ - ა ლ ს ა — ესე იგი საწყლად, ანუ შესაბრალად. ა ლ ს ა სიყვარულისა ცეცხლისასა.

1003/1013

1 ნ ა დ ი მ ი, მ ე ჯ ლ ი შ ი — დიდებული სტუმრობა. ნ ა დ ი მ ი სპარსული ლექსი არის, ქართულად მეინახეობა. ნ ა დ ი მ თქმად ესე თანა-მეინახესა ნიშნავს. დ ა ს ი — ქართული არის, ნიშნავს დ ა ს ტ ა ს რომ ვუწოდებთ მხედრობისას, ანუ ერთსა ნაწილსა კაცთა ნაწილისასა. დ ა ს ტ ა სპარსული ლექსი არის. დ ა ს ნ ი ანგელოსთან ცხრა რიცხვედნი არიან. დ ა ს ი კორპუსი მხედრობათა. დ ა ს ი შეკრებილება ერისა.

2 ა ტ ლ ა ს ი — ფარჩა ერთი გვარი, გინა ნაქსოვი, ოქრო-ქსოვილიც არის ა ტ ლ ა ს ი და სადაცა.

3 დ რ ა ჰ კ ა ნ ი — ოქრო ანუ ფლური ოთხის დრამის წონა.

1004/1014

1 ყმამან დაყვნა — ყმამან, ესე იგი ავთანდილმან. და იყო ვნა — რამდენსამე დროს ფრიდონთან დარჩა. მაგრამ ყოვნას ვერასთმოზდა — მაგრამ ვერა სძლებდა დიდხანს იქ დადგომას¹, ანუ დაყოვნებას, რომ ტარიელის საყვარლის საძებნელად ჩქარა წასვლა ესწრაფებოდა.

3 სწორად კოცდა შორს და ახლოს (ესე იგი ნადირთა თუ მფრინველთა). თუ კელსა შიამყროზდა — ესე იგი რასაც მოსანადირებელს კელს გაუმართებდა და ისარსა შიამყროზდა, ესე იგი კელთ მშვილდის მპყრობელი მშვილდ ისარს გაუშვერდა, გაუნიშნევდა, ესროდა და მოჰკლევდა.

4 მისი სროლა მშვილდოსანსა, ყველაკასა აწბილებდა — ავთანდილის ნასროლი ისარი სხვათ ყველას ნასროლს უმჯობესობდა და რადგან ვერავინ გაუსწორა ღროლა ისრისა, ამისთვის ირცხვ[127v]ნიდენ სხვანი მესროლნი და გაწბილებას ამისთვის სწერს.

1005/1015

2 თავს ვევენბი — თქვენის გაყრისათვის თუმცა თავსა ჩემსა ვენებას² ვაძლევ.

3 დ რ ე კ უ ლ ი — ბედნიერება რომ შეკრული ჰქონდეს კაცსა და სამწუხაროსა საქმესა რასამე შინა იყოს.

4 ღია დავიყოვნები — ღია მიგვიანდება.

1006/1016

3 დგომა მგზავრისა ცთომამა³, კარგსა იქს თავსა წვრთიდესა — მგზავრისა დაგვიანება ღიახ შეცთომა არის და მგზავრი თავის თავს უნდა მოძღვრიდეს და არიგებდეს, რომ არ დაუგვიანდეს საქმე.

4 სადა გინახავს იგი მზე — ესე იგი, ნესტან-დარეჯან აღრევე რომ ენახა ფრიდონს ზღვის ნაპირის გორიდამა ქაჯებს რომ მიჰყვანდათ.

1008/1018

3 ა ბ ჯ ა რ ი — საჭურველნი სამამაცონი და ჯაჭვნი.

1009/1019

2 ქ ა ფ ა — ჯავშანთა, ესე იგი სამამაცოთა საჭურველი მხარილლივ გარდასაკიდებელნი ძეწკვნი, ანუ მსგავსნი ძეწკვთანი იარაღის გარდასაკიდებელნი მხედართა. ს ა ბ ა რ კ უ ლ ი — რკინისაგან ქმნილი, ბარკლებზედ შემოსაკრავნი მკედართა, რომელ კმალი, გინა ისარი მოხვდეს მას ადგილსა არა ევენოს რა.

¹ დადგომს ² ენებას ³ ცთომა

3 წითელი — ოქროსა ეწოდების.

4 ტაიჭი — ცხენი. ტაიჭი — ბელაური ცხენი.

1011/1021

1 ზარი — ძლიერი და შესაძრწუნებელი სასმენელი (კულად ზარი სხვა და სხვას სახედ ითარგმანება).

3 ზახილი — მალალ-ქმიერება.

4 მო-თვალნი მივსცეთ წუხილსა—მო—მოვედით ამას ნიშნავს.

1012/1022

2 ნასაჯლომევი — ესე იგი რომელსაცა ადგილსა მჯდარიყო, ქაჯებმა რომ გამოიყვანეს ნესტან-დარეჯან, ოდესცა ფრიდონმა ნახა და ქაჯებმან ისევ ჩქარა [128r] გაასწრეს და წაიყვანეს ის ქალი.

1013/1023

3 გავაგე — განვიზრახე.

4 შორს მნახეს, ადრე გამექცნეს, ნავი მფრინველი ჩნდა ვითა — ესე გაასწრეს, რომ ფრიდონ რომ ზღვის-პირს ჩავიდა, ერთი ფრინველის ოდნად ძლივსლა ჩნდა ის ქაჯების ნავი.

1015/1025

4 მამრთელბელი წყლულისა — განმამრთელბელი გულისა წყლულისა.

1016/1026

ლექსი ესე არს მაჯამად თქმული:

1 რა სიცხე გულსა ნიადაგ მწვავს გმირთა სამსალეზისა — სიცხე მოშორებისა გმირთა, ესე იგი ტარიელსა და ფრიდონს რომ მოშორდა ავთანდილ, ამბობს გულსა ნიადაგ მწვავსო. სამსალეზისა ეს ორგვარად განიმარტება. პირველი — სამსალეზისა, ესე იგი პირველად თინათინის მოშორების ალი, მეორე ტარიელის მოშორებისა და მესამედ ფრიდონის მოშორებისა ალი მწვავსო. მეორედ ესრეთ განიმარტება სამსალეზისა, ესე იგი სამის ალეზისა, სამი ეწოდება ბიბილოვანურა ქარსა, რომელიცა ვითარცა ცეცხლისა ალი ეგრეთ ჰქრის და რასაცა, ანუ ვისცა მოხვლების, შესწვამს მძაფრად.

2 რად გული კლდისა ტინისა, შემქმნია სამსალეზასა — ავთანდილ იტყვის: ზე რადგან ამისთანა ცეცხლი მწვავსო (საკვირველი ეს არის), რასათვის გული ასე ტინად შებქმნია (ტინი ესე იგი ყოვლითურთ მაგარი და გამჭვირვალე კლდე, ვითართა ტალი და კაცთა კორცისა განმკვეთელი). სამსალეზისა — სალი კლდე მალალი,

ვრცელი, ფრიად მტკიცე. ავთანდილ იტყვის ასე გამისაღდა [128v] და გამიტიინდა გულიო, რომელ ამისთანას ცეცხლს (რომელიც ზემოთ მოიხსენა) უძლებს ჩემი გულიო და ითმენსო.

3 არ შეუძლიან ლახვარსა, დაჩენა სამსა ლებისა — ავთანდილ იტყვის: მე ასე შემქმნია გულიო, რომ სამი მახვილიც რომ ერთად მეკვეთოს, ლებსაც ვერ გამიკვეთებსო, ესე იგი, ვერც კი დამილურჯებს ნაკრავს ადგილსა, არამც თუ დამჭრას და წყლულება დამღვასო.

4 შენ ხარ მიზეზი სოფლისა ასე გასამსალებისა — მერმე მოუბრუნდება ავთანდილ (თითქო პირისპირ სჭვრეტს თავის საყვარელს თინათინს) და ეტყვის: შენი მოშორება არის მიზეზი ამ შემთხვეულებისა, რომ ეს სოფელი ასე გამიმწარდაო. გასამსალება — ესე იგი გასამსალავდაო სოფელიო. სამსალა არს ყოველითურთ უმწარესი წამალი მაკვდინებელი.

1017/1027

3 იღვრების ცრემლთა ფონითა — იღვრების ღვარსა, ანუ ნიავღვარსა ცრემლისასა მოადინებს თვალთაგან. ცრემლთა ფონი — ფონი მოშვებასა ნიშნავს. მოშვებული, ესე იგი გამოშვებული წყალი წვიანსადინელთა წისქვილის რუდამ, რომ წყალი მომატებით გარდმოუშოს, იგი არს ფონი ანუ ფონე, და ფონე წყალის გასასვლელს გზასაცა ეწოდება, ესე იგი მდინარეში, სადაც ცხენზე მჯდომი კაცი შეიძლებს გასვლასა, ანუ ურემი, ანუ ქვევით კაცი, ფონი მას ადგილს ეწოდება.

1018/1028

1 რეზული — მოარული, მოსიარულე.

2 დღენი ეღნა გაასებულნი — ვღნა — იარა, ვლო, [129r] ეტარა. გაასებულნი — ასრიცხვ-ქმნილნი.

3 ქედი თავი გორისა, იპისთანა¹ გორა, რომელსა ზედაც გზა გარდავლიდეს და იმ გზიდან რომ გარდაადგეს და ძირს მინდორს დახედავდეს. აუჩნდეს ლარკიდებულნი — აუჩნდეს — გამოუჩნდეს. აუჩნდეს — ნახეს მაშინ ქედს რომ გარდაადგეს აქლემნი ლარკიდებულნი. ლარი ფარჩასა და ნაქსოვსა ყოველსავე ეწოდება. კიდებულნი — აკიდებულნი (აუჩნდეს ანუ აუჩნდა, შორით რომ გამოჩნდეს რამე მალის ადგილიდან, რომ გარდახედოს კაცმან, იმა გამოჩინებულს ლაშქარს, ქარავანს, მოგზაურთა, ნადირთა და სხვათა გამოჩინებასა ნიშნავს).

¹ იმასთანა

4 მოქარავენნი ზღვის-პირსა, დაყრილ დგეს შეჭირებულნი — დაყრილ დგეს — დაფიქრებულნი იდგნენ მდუმრიად. შეჭირებულნი — დაღონებულნი და მწუხარენი.

1019/1029

1 მისდგომოდა — მიახლებოდა ქარავანი¹, ზღვის ნაპირზედ მისრულ იყვნეს. ზღვის კიდე ზღვის ნაპირსა ეწოდება.

2 შეიჭირვებდეს — სწუხდნენ. შეჭირვება მწუხარებისა და ჭირის განმრავლებას ეწოდება. შეჭირვება — ეს ლექსი რთულის ლექსით არის შედგმული. ზედრთული არის. მარცვალი შე შინაგან შეღებისა რაჟსამე მნიშვნელი არს. ჭირ — ესე ნიშნავს ჭირსა მსგავსად სენისა რაჟსამე. ვება — ვაება, გინა გლოვა. ჭმუნვა — უხმო მწუხარება, ამაჟ შთობაცა ეწოდება.

3 სალამი — მშვიდობის მიცემა, ანუ იმოკითხვა. სალამი არაბული სიტყვა არის, მშვიდობას ნიშნავს.

4 მათ საუბარი ჰკიდესა — საუბარი არა სიტყვათა და ლაპარაკთა მოქმედება. ჰკიდეს — საუბარი იწყეს [129v] კიდიდამ ესე იგი საქმისა მათისა დასაწყისიდაჲ. საუბარი ჰკიდეს, საუბარი და მწუხარებათა მათთა მიზეზნი რომ მოახსენეს ავთანდილს, მას ვალად დასდევს მოხმარება თვისი და ვითარცა ტვირთი რაჟმე კიდებული მიაქვნიდეს კაცსა მხართა თვისთა ზედა ტვირთითა ეგრეთ საქმისა მათისა წარმართება მათ ქარავანთა ავთანდილს ატვირთებინეს.

1020/1030

1 უსიმ სახელი ერქო ქარავნისს უფროსსა.

2 ხოტბა სრული — ხოტბა ნიშნავს შესხმასა მშეენიერის სიტყვითა, მაღალის ფრასებით და სხვითა და სხვით ტიტულებით სამქებროს სიტყვის მოხსენებას დიდებულთადმი. უქმნა ზნენი — ზნენი, ესე იგი ზრდილობა მართებული.

3 შენ ამოქე ჩვენი მლხენი — ამოქე, აღმოქედ, როგორათაც, რომ მზე განსანათლებლად ქვეყანის და სასარგებლოდ და სასიამოვნოდ ჩვენთვის მზესავით ნუგეშად აღმოქედო, როგორათაც ნამცივნთ მზე აღმობრწყინდეს და განატრფოს, შენ ისე ჩვენთვის ნუგეშად გამოგვიჩინდო.

4 ჩამოქე — ცხენიდაჲ ძირს ჩამოხდო.

1021/1031

1 მობალდადენი — ბალდადელები.

¹ ქარავანი

2 მჭირავნი — ესე იგი მპყრობნი. მაჭარი — ახალი ღვინო.

3 სავაჭროდ გარდმონაჭარნი — გარდმონაჭარნი — გარდმოცვივნულნი, ესე იგი, კაცი უცხოს მგზავრობას რომ ეტრფოს და სიმსწრაფლით წამოვიდეს თავის ქვეყნიდამ ასეთის აჩქარებულებით, თითქო თავისის სამკვიდროდამ სირბილით (ესე იგი სრბით) წამოსულიყოს, ამას ნიშნავს. ესე უკუჭ ლექსი გარდმონაჭარი — გაჭირდამ წარმოებს, ესე იგი, ველად გაიჭრა, მინდვრად [130r] განივლტო, ველურ-იქმნა, უშენთა ადგილთა გაიქცა. მითთ გარდაიჭრა — მთიდგან ბარად ჩამოიჭრა. კლდეზედ გარდაიჭრა (ესე ასეც ითქმის რომ კლდეზედ გარდავარდა). ჩაიჭრა — ჭათა და ორმოთა შინა და მიწის სიღრმეთა შთასავალთა რათამე სიმსწრაფლით ჩავიდა. გარდმონაჭარი — გარდამოსრული, მალღისა ადგილიდამ ძირს დიდის ჭიმსწრაფლით გარდმორბენილი. გარდმონაჭარი ასეც ითქმის უცხოებად ლტოლვილი, სამკვიდროდამ უცხოებაში გამოლტოლვილი. ჩაიჭრა — ორმოში და ჭაში, ესე ვითართა ადგილთა შინა შთავარდნასაცა ნიშნავს.

4 არ ლარნი გვაქვან ნაჭარნი — ესე იგი სავაჭრო ფარჩანი ჩვენნი არამც თუ დაჭრილები გვაქვს, მთელები გვაქვს და ძვირფასნი.

1022/1032

1 კაცი უსულო მღებარე — უსულო მღებარე, ხომ მკვდარი უნდა იყოს, მაგრამ იგი კაცი გულ-შემოყრილი იყო და მოქარავნეთ მკვდრის სახედ დასახეს.

2 უშველეთ ენა მოეცა, სიტყვისა გამომგებარე — სიტყვის გამოგება — სიტყვის ძალის გამოცხადება, რომ გამოაგნოს სიტყვა და ვითარება საქმისა საცნაურ ჰყოს და ლაპარაკს და სიტყვას გამოაგებდეს.

3 ვკითხეთ თუ ვინ ხარ ლარიბო, რასა საქმისა მღებარე — რასა საქმისა მღებარე — რასა საქმესა ქვეშე განსაზღვრილი, ანუ რაჲსა თანამღებობისა მექონი ხარ, ანუ საქმისა.

4 ვკითხრა თუ შეხვალთ დაგხოცენ, კიდე ცოცხალ ვარ მებარე — კიდე ცოცხალ ვარ მებარე — კიდე კიდურ მდგომარეობით მნიშვნელობა აქვს ამა ლექსსა, ესე იგი, მე ოდენდა ხოლო ბარე, — ეს ლექსი ნიშნავს უკუჭ [130v]. კიდეც ცოცხალ ვარ მებარე ამას ნიშნავს: ოდენ ცოცხალი ვარ მე უკუჭ.

1023/1033

1 გამოვემართეთ — წარმოვემართენით, წარმოვედით.

წარმომართება გინა გამომართება პირველის მოგზაურობის დაწყებასა ნიშნავს.

3 მეკობრენი — ავაზაკნი, მტაცებელნი, დამტყვენველნი. ძელის სახნისის წვერითა — სახნისი — ის იარაღი არის რკინისა, რომლითაც მიწა მოიხვნის და მათ მეკობრეთა ძელსა, ესე იგი მსხვილსა და მაგარსა ხესა ზედა ჰქონდათ რკინის სახნისსავით წამოცმული გემის დასამტკრევი იარაღი და იმით შემუსრევენ გემთა. წვერი — მწვერვალი.

4 ყველაჲ წახდა — ყოველნივე წახდენ, გაფუჭდენ, დაიხოცნენ, დაინთქნენ. არ ვიცი აქა მოვსულვარ მერთა — არა ვუწყვი თუ როგორ და რომლის სახით მოველ მე აქა (იმ განსაცდელისაგან მორჩომილი ანუ გამოხსნილი).

1024/1034

1 ლომო და მზეო, მიზეზი აქა დგომისა — ავთანდილს მოქარავენნი¹ ლომად უწოდებენ ძლიერებისათვის მისისა, ხოლო მზედ მშვენიერებისათვის.

2 ასსაზომი ნიშნავს ას-რიცხველობას. ზიანი დაკლებასა. ნიშნავს.

4 ვერ ვსდგევართ, ვერცა წავსულვართ, ღონე წავგვგლია რჩომისა — ვერც წავგლა გამოგვიჩრევია და ვერც დადვომა ანუ გაბრუნება. რჩომა ნიშნავს სიცოცხლესა ანუ ცხოვრებას.

1025/1035

1 სჭმუნავს — გულში სწუხს. სცდები ს — ცთომაში არის.

2 არ აგვცდები ს — არ აგვცილდება.

3 მე მივინდობ სისხლთა თქვენსა — მე თავს ვიღებ თქვენს [131r] სისხლსა, ესე იგი, თქვენის სიცოცხლსა და მშვიდობით განთავისუფლებისა თავს-მღები მე ვიქმნებო. შემოვისხამ დაცავწდების — შემოვისხამ დასხმიდამ არის ეს ლექსი წარმომდგარი. შემოვისხამ — გარეშემო ჩემსა თქვენს სისხლს შემოვისხამ, დავისხამო, ესე იგი თქვენის სისხლით შევისვრებო. დაცავწდების — დაცავწდების უნდა ითქვას, ესე იგი, ეს ლექსი დაწვეთებას, ანუ სისხლის დაღვრას ნიშნავს, ქართულს ენაში მრავალ რიგათ ითქმის. კაცი კაცსა რომ თავს იღებდეს საშიშროებასა რასამე შინა და შემთხვევასა, ნების განთავისუფლება მათი, მაშინ ეტყვის შენ სისხლში

¹ + ავთანდილს

მე შევისერებო და შენის სისხლისა მღვრელი და თავსმღები მე ვიქმნებო, თუ რომ შენ დაგიშავდეს რამეო.

4 ვინცა გებრძვისთ, კმალი ჩემი, ბრძოლთა თქვენთა დააცვდების — და აცვდებ ა ესე იგი მრავლისა ცემითა კრმალი გაცვდება.

1026/1036

2 არ ჩვენებრივე რიღითა — არ ჩვენს მსგავსად მორიდებითა, რომელ ჩვენ შიშით ვერიღებით და ვევლტვით (მე კობრეთა, ესე იგი ავაზაკთა მტერთა) და გვეშინის მათგან.

4 გამართეს — გაემართნენ, გაამგზავრეს თავის ხომალდი, ზღვისაკიდითა — ზღვის ნაპირიღამა.

1027/1037

1 სიამოვნისა დართთა — სასიამოვნოს ტაროსითა.

2 ბადრაგი — ვაჭართ რომ მენე და ძლიერი ვაქიკაცი უძლოდეს და იმათი სისხლი იმან იკისროს ის არის ბარდავა. ქართულად ისახელდების მცველი, მამაცი, ძლიერი და მენე ჭაბუკი წინა-მძლომელი მათი, ვისაცა აქვს საჭიროება საშიშარისა გზისა. ხოლო ბადირცა არაბულის ენით წინა-მძლოელს ნიშნავს. გულითა ქვე-[131v]ლითა — ქველ ანუ ქუჭლი, ანუ სიქველე, ყოვლისა სიმხნისა, სიკეთისა და სიყვარულისა და წყალობისა უხვად მოქმედებასა ნიშნავს. ქველის მოქმედება — მრავლის წყალობის ბოძება და მოწყალების ქმნა. ქველი — უხვი, ქველმსიტყვი — მაკურთხეველი. მხნედ-ქველი, მრავლის ძლიერებით განმხნობილი.

1028/1038

3 ყმამან უთხრა ნუ იშიშვით, თქვენ ამასა სიაღფესა — სიაღფე ქართულად მრავალ-გვარად აღკაზმულება და განშვენებულება მხედრობისა, მრავალ-რიცხველთა მეომართა. აღფი არაბულად თუმცა ნიშნავს, ქართულად აღმტაცებელთა, ესე იგი მომტაცებელთა, ანუ ადგილით რაქსამე აღმტაცებელთა.

4 ყუჭლასა — ესე იგი ყოველთავე.

1029/1039

1 უგანგებოდ — განუგებელად. სპანი — ლაშქარნი, მკედრობანი

1030/1040

1 ჯაბანნი — მოშიშარნი, მხრდალნი, ქალაჩუნანი.

2 ჩაიხრჩენით — ბანიდამ ხომალდს რომ კარი ექმნება ჩასასვლელნი ძირსა, სადაც რომ ნივთების შესანახავი აქვსთ უფანჯრო სარდაფსავით სახლი, იქ ხალხი რომ ჩავიდეს მტრის მოსარიდებლად

და კარი ჩაიხურონ, ანუ ზევიდამ დააფარონ ჩასასვლელსა და შიგ დამალნენ ჩახრჩობა იმას ნიშნავს. ჩახრჩობილი ადგილი ქვეშე ფოსიერსა და ცხელსა ადგილსა ეწოდება.

4 მეკობრენი ავაზაკნი (იხილეთ ზემო ამისა განგვიმარტებიეს). მონადეარნი ღვარისაებრ მომდინარენი.

1031/1041

1 აბჯარი — სამამაცო საბრძოლველი საჭურველი. ქცევითა ვეფხებრ მკრჩხალითა — როდესაც ვეფხი საომრად სხვა[132r]თა მხეცთა, გინა კაცთა განემზადება, განძვინებულებასა ნისსა და სიმსწრაფლესა განმახვილულითა ჭანგებითა მისითა საშიშარსა მომზადებასა შეტევებისა მისისასა ნიშნავს.

2 კეტი რკინისა — აზარმაცი რკინისა. აზარმაცი მხვილი ხე გამოჭრილი, რომელსაც იხმარებენ დასაკრავად მტრისა, ანუ ასაწევად მძიმისა რაჟსამე ნივთისა.

3 ნავისა თავსა გულითა წადგა შიშ შეუვალთა — ნავისა თავსა, ნავისა წინა კერძოსა წარსდგა ყოვლითურთ გულში შიშისა შეუსვლელად, ანუ გულ-უშიშრად.

4 ვითა მჭვრეტელნი ჰვრეტითა, მტერნი დაკოცნა კრმლითა¹ — მშვენიერნი ტრფილთა მათთა გულსა განგმერენ სიყვარულისა მახვილითა, ხოლო ძლიერნი და გულოვანნი მებრძოლნი მტერთა დაკოცნა კრმლითა, გინა სხვითა საჭურველითა.

1032/1042

2 აძგერეს ძელი რომელსა, ზედან სახნისი ჰგებოდა — აძგერეს — ჰკრეს ნავსა დიდს და გრძელს ძელზე, ესე იგი, ხე რომელზედაც წამოცმული ჰქონდა პირგანმახული იგი სახნისი, ესე იგი ნავის დასარღვევი და დასამტვრევი რკინა.

3 ქვე ჰქუჰ² დგა — სდგა, იდგა. არა თუ კრთებოდა — არ კრთებოდა, არ იშიშვოდა.

1033/1043

1 ნავ-დაულეწელი — ნავშემუსვრელი, ნავდაუმტვრეველი.

2 გზა ძებნეს გარდასხვეწელი — გარდახვეწა ამას ნიშნავს, რომ კაცი დამარცხებული ასრე გაიქცეს შორად, რომელ სრულიად ვეღარც მღვენელი მიეწიოს და შორად ლტოლვილი უჩინო შეიქმნას. გარდახვეწა, შორად ქვეყნად გადავარდნა და განტოლვა.

¹ კრმლითა

² უაჟუა

3 ველარ გარდესწრნეს გარდუხტა, მტერთა მიდამო მლეწელი — [132v] ველარ გარდესწრნეს, ვერღა გარდაასწრეს მეკობრეებმა თავიანთ ნავიდამ რომ გაქცეულიყვნენ და მორჩომილიყვნენ. ავთანდილ გარდახტა მსწრაფლად იმათ ნავში და მტერნი იგი მი დ ა მ ო, ესე იგი აქეთ და იქით, მარჯულ და მარცხულ და ყოველსავე მხარესა და ლეწნა, ესე იგი შემუსრა, დაამსხრივნა, დალეწნა და დაამტერივნა. ლეწვა ანუ გალეწვა, კალოზედ მომკილის¹ ყანისა გალეწვა კევრით ბურისა, ესე იგი ხორბლის გამოსარჩეველად.

4 არ დარჩა კაცი ცოცხალი, მუნ მისგან დაუფრეწელი — და ფ რ ე წ ი ლ ი — როგორათაც ტილოსა რასამე, ანუ ხელსახოცსა რამ საშუალთა ადგილთა, გინა ნაპირთა ზედა, მრავალსა ადგილსა გამოხეულები და გამოფხრეწილები ჰქონდესთ, იმის მსგავსად თვითოეული მათ მტერთა მეკობრეთაგანი ავთანდილმან ეგრეთ და ფ რ ი წ ნ ა. და ფ რ ე წ ა, ქალაღდი რომ წვრილად დახიოს, ანუ სამოსელი რამ კაცმან, იმასაცა ნიშნავს.

1034/1044

2 შე ნ ა რ ც ხ ი ს — კაცმა რომ აიღოს ჭურჭელი რამე გასატეხი, გინა ადგას დასამტერვეი რამ რადცა ნიეთი შემუსვრად შესაძლებელი იყოს და რაოდენ ძალედვას კედელსა, ანუ ამართულსა კლდესა მიარტყას ძლიერად, შე ნ ა რ ც ხ ე ბ ა მ ა ნ ი შ ნ ა ვ ს.

3 ერთმანერთსა შემოსტყორცნის — შე ტ ყ ო რ ც ა — სროლა, გასროლა, ჰკრის, კრვა, მირტყმა, ნასროლი რამ რომ მოახვედროს, რასაცა რად ესროლოს.

1035/1045

2 ზოგთა ჰკადრეს ზენაარი — ზოგთა რომელთაჲე ჰკადრეს, ვაბედეს, ზენაარი სთხოვეს, სახელითა ზეციერისა საფი[133r]ცარისათა მიტევება. ზ ე ნ ა ა რ ი ღმრთის სახელით მიტევების თხოვნა. ზ ე ნ ა ა რ ი ბერემირიე.

3 და ი მ ო ნ ა — დაიმორჩილა, მონად თვისსა ჰყვნა.

1036/1046

1 ი კ ვ ე ხ ი და მ ო ჰ კ ვ ე ხ სიქადულსა ნიშნავს.

4 შეშავის ჰკრა თუნდა კრმალი — შე შ ა ხ ის ნაჭერი. ჰ კ რ ა — დაჰკრა.

1037/1047

1 მ ა თ ე უ ლ ნ ი — მათნი ნაქონები, რომელიც წაართვა ავთანდილმან. დ ი დ ნ ი ნ ა ხ ნ ა — მრავალი, ანუ ბევრნი იხილა.

¹ მორკილის

2 ნავი ნავსა შეატყუბნა — შე ა ტ ყ უ ბ ნ ა, ტყუბი ორი, ანუ მრჩობლი. ერთი რაცა ნივთი, რომ მეორეს ნივთს მიაკრას და შეკრას. იმას შეტყუბება ეწოდება. ანუ ვსტქვათ ესრეთ, ორი ნივთი რამ ერთი მეორის მსგავსი, რომ ერთმანერთს მიაკრას შე ტ ყ უ ბ ე ბ ა იმას ნიშნავს. ქარავანსა¹ დაუზახნა — და უ ზ ა ხ ნ ა, დაუძახნა, მოუწოდა თვისთან.

3 გაეხარნეს არ იახნა — გა ე ხ ა რ ნ ე ს, გამხიარულდა. არ ი ა ხ ნ ა, ა ხ, სამწუხაროდ რომ ამოიოხროს, ის კმა არს (შორისდებულია). გა ე ხ ა რ ნ ე ს, ა რ ი ა ხ ნ ა — გამხიარულდა და აღარ ოხრევდა.

4 ხოტბა — საქებელნი სიტყვანი ძლევისათვის, ანუ დიდებისათვის, სახელოვანისა ვისთვისმე მოხსენებულნი. ანუ თქმულნი. ხო ტ ბ ა — შესხმა. სასახავნი დიდნი სახნა — ს ა ს ა ხ ა ვ ნ ი, გამოსახატველნი საქმით თუ სიტყვით. ს ა ხ ნ ა — გამოსახნა, გამოხატნა. ს ა ს ა ხ ა ვ ნ ი — გონებასა შინა გამოსახატველნი.

1038/1048

3 ქარავანმან იზრიალა — ი ზ რ ი ა ლ ა ერთობლივ კნა აღმოუტევეს მალლად. ზ რ ი ა ლ ი ფრიადსა მალალ კმაობასა ნიშნავს, მრავალთა ერთგან, ერთად აღმოტევებულთა.

1039/1049

2 უსაზომო — ზომისაგან უმეტესი. ტ უ რ ფ ა — ყოვლითურთ სიკეთით სრული და საიშვითო საანახავი [133v].

4 დავრჩით — მოვრჩით სიკვდილსა და აოხრებასა. ფათერაკსა ეზომ ძნელსა, — ასე ძნელს განსაცდელსა. ე ზ ო მ — საზომი-დამ წარმოებს ეს ლექსი.

1040/1050

1 არსთა მხედი — ყოველთა არსთა ხედავს ღმერთი მარადის და განაგებს.

2 ძალნი ზეციერნი, განაგებენ აქა ქნადსა — ესე იგი ქმნადსა: რაფცა ამა სოფელსა შინა იქმნების კეთილ.

3 იგი იქმან — იგინი იქმონენ, ანუ აღასრულებენ ყველაკასა, ესე იგი ყოველსავე. ი ღ უ მ ა ლ ს ა — ესე იგი დაფარულსა. ზ ო გ ს ა ც ხ ა დ ს ა — ცხადი, განცხადებული, საჩინო.

4 კამს — ჯერ არს (ყოფად). და ჯ ე რ ე ბ ა რწმუნება. ბრძენი ჯერა მოწვენადსა — ვინც ბრძენი არის, მას რწამს და იგი დაიჯერებს მოწვენადსა, ესე იგი მომავალსა საქმეს (რომ სასოება უნ-

¹ ქარავანსა

და ჰქონდეს კაცსა გაჭირების ყაშსა ღმრთისაგან შეწევნის მოვლი-
ნებასა).

1041/1051

1 თქვენ გათნივა სისხლი თქვენი — გათნივათ, გაპატივათ
სათნოდ თქვენდა. მოგანიჭათ ხსნა სისხლთა დათხვევისა და სიკვდი-
ლისაგან.

2 მე გლახ რა ვარ მიწა ცუდი — თავმდაბლად და კეთილის
სვინდისით ეუბნება, მე წინაშე ღმრთისა უნდოდ მდაბლად, გლახაკად
და ცუდს მიწად ვარ შესარაცხიო და ჩემის თავით თუ არ ღმრთის შე-
წევნით ვითარის შემძლებელი ვარო, რომ ვქმნაო.

3 რაცა ვსთქვენი — რაცა ვსთქვი და დაგპირდით აღვას-
რულეო.

4 და ნავი სრულად თქვენს წინაშე მომიღია — და როგორათა
ძღვენი მომირთმევიო.

1042/1052

1 ამოა — სასიამოვნო არის. კარგსა მოყმესა — კარგს
[134r] ყმაწვილს კაცსა. გამარჯვებოდეს — ძღვევა-შემოსილე-
ბა მიეღოს.

2 ჯობნოს — ამხანაგებზედ, უფრო მხნედ გარჯილ იყოს
ომში და იმათზე აღმატებულება და უმჯობესობა მიეღოს. ვინცა მას-
თანა ხლებოდეს — ვინც მასთან მყოფნი იქმნებიან ანუ მახლო-
ბელნი.

3 მიულოცვიდენ, აქებდენ, მათ აგრე მყოფთა სწებოდეს —
თუმცა ავთანდილთან მყოფნი, ავთანდილმა რომ გაიმარჯვა, ულოცვე-
დენ გამარჯვებას, მაგრამ რცხვენოდესთ კი, რომ ავთანდილთან ვერ
იომეს და ვაჟკაცობა ვერ გამოიჩინეს, ეგრე განწბილებულნი, ანუ შერ-
ცხვენილნი დარჩნენ. სწებების — ეს ლექსი წბილობილამ არის
გაძოსული.

4 დაკოდლობა — დაჭრა, ანუ დაწყლულება, ბრძოლაში
რომ დაიჭრას.

1043/1053

1 მეკობრენი — ავაზაკნი. მას დღეს ნახეს არ ახვალეს —
იმ დღეს ნახეს და სახვალით არ დააგდეს.

2 ამარი — სიმრავლეთ რიცხვი, ანუ რაოდენობა. ამარი —
განდიდებულება აღსარიცხველთა რაჟსაცა.

4 შეშა ღრამად არ გასცვალეს — ნავის ნამტვრეები შეშის მაგიერად ფულზე არ გაყიდეს, რა სახმარი იყო იმათთვის, დაამტვრიეს, დაწვეს და გადაყარეს.

1044/1054

1 უსამ — ქარავნის უფროსს ეწოდებოდა სახელად.

2 ფლიღობა — სიტყვით (მზაკვარებით) და მიფერებით მოტყუება.

4 ყრიღობა — შეკრებილება, ანუ შეყრიღობა მრავალთა ერთად.

1045/1055

2 ნაკადი — ფრიად მცირედი რაჲმე წყალისა ნაწილი მომდინარე, რომლისათვის ცრემლნი შეუდარებიათ.

3 მან განაჩინა — ესე იგი, ღმერთმან განათავისუფლათ. მე რა ვარ — მე არად შევირაცხები ამას საქმე[134v]სა შინაო, ღმერთმა გამოგიხსნათო. მე გლახ რა მომილხენია — მე რა ლხინება მომიცია თქვენთვისაო.

4 რა გინდა მომცეთ, რას ვაქნევ, მე ვარ და ჩემი ცხენია—რაც უნდა მომცეთ და მიძღვნათო, მე რას ვაქნევ, ან რა საჭირო არის ჩემთვის, აქ მე მარტო ვარო, ერთი მე, და ერთი ჩემი ცხენიო და რა სახმარია ჩემთვის თქვენი ნივთიო.

1046/1056

3 ოდეს ვარ თქვენი მხლებელი — მხოლოდ ესე რომელ მე თქვენ არ მოგშორდებითო.

4 სხვაგან რაჲმე მიძს, სხვა საქმე, თავისა წასაგებელი—მე სხვაგან მაქვს საქმე რომელიმეო, რომ თავი უნდა დავსდვა იმ საქმის აღსრულებისათვის და ჩემი უნდა წარვაგოვო (ანუ საქმე უნდა წარვიმართოვო).

1047/1057

2 მლალავი — მაცილობელი, მოდავე, მოჩხუბარი.

3 გიაჯი — გითხოვ. მიაჯეთ. თხოვილი ჩემი შეიწყნარეთ, თხოვა ესე აღმისრულეთ. სააჯო — შესახვეწარი, ანუ სათხოველი საქმე. არ საკრძალავი — სააჯო არ საკრძალავი, — სათხოველი და თქვენთან არ დასამალავი საქმე, ანუ არ საკრძალველი საქმე, თქვენთან არ დასაფარავი.

4 საქმე რაჲმე მიძს თქვენშია, თავისა დასამალავი — ამისთანა საქმე მაქვს, რომ თქვენში უნდა თავი დავიმალო და თქვენ წამოგყვე ფარულად.

1048/1058

3 ჩ უ ბ ა ჩ ო ბ ა — ალებ მიცემობისა, გინა ვაჭრობის საქმე.

4 ნ ა მ უ ს ი — კრძალულება, ყოველის უწესოსა და ცულისა ქცევისა და პატიოსნებასა ვითარცა შვენის ეგრეთ მოქცევა.

1049/1059

3 ა ჯ ა — ვედრება, სავედრებელი, გ ი ა ჯ ი ა — გივედრია, ვედრება გიყოფია [135r].

4 დ ა გ ვ ი ც დ ი ა — გვიხილავს.

1050/1060

1 ა რ თ უ რ ე ხ ა ნ ს ა ზ მ ი დ ი ა ნ — არლა დაიყოვნეს ხანი გინა დრო აღარ გაატარეს (და მალიად წარვიდნენ).

2 ტ ა რ ო ს ი ა მ ო — საამოვნო დარი.

3 შ ე ფ რ ფ ი ნ ვ ი დ ი ა ნ — შეტრფოდენ, როგორათაც მფრინველთა ბარტყნი თავის დედას ფრთეთა ძვრითა შეტრფიან, შ ე ფ რ ფ ი ნ ვ ა ე ს ე გ ვ ა რ ი მოქმედება არის.

4 მ ა ს მ ა რ გ ა ლ ი ტ ს ა, მ ა ს ყ მ ა ს ა, კ ბ ი ლ ი თ ა ფ ე რ ს ა ს ძ ლ ვ ნ ი დ ი ა ნ — მარგარიტის შემსგავსება ორ სახედ იქმნების მშვენიერისა, ერთი ამით, რომ როგორათაც ძვირფასი არის მარგარიტი, ეგრეთვე მშვენიერებისაცა ჰაეროვნება არს ძვირფას და მეორედ, ვითარცა არს მარგარიტი სპეტაკი და თეთრი, ეგრეთვე მშვენიერისაცა და ახალ მოწიფულისა ყრმისა, გინა ჭაბუკისა კბილნი არიან სპეტაკ და ესრეთ გულის-ხმა-ჰყავ! ტაეუბი ესე მას მარგარიტსა მას ყმასა კბილითა ფერსა მარგარიტისასა უძღვნიდიან ქებითა და შესხმითა მათითა. ვაჭარნი ესრეთ ეტყოდენ: შენისა კბილისა ფერნი მარგარიტისა ფერისა ემსგავსებო.

1051/1061

1 ტ ა ნ ი თ ა მ შ ვ ე რ ი თ ა — ტ ა ნ ი - მ შ ვ ე რ ი, მშვენიერებით და უცხოთ ნაკვეთობით, ყოვლითურთ სწორე და მოუხრელი ტანი მშვენიერისა.

2 ტ ე ვ რ ი — დიდი და ხშირი ტყე, გინა ხილის ტყენი.

4 მ ის ქ ვ ე ყ ა ნ ის ა ს ი ტ უ რ ფ ე — იმ ქვეყნის მშვენიერება. რა გაიგონა შენ რითა — ვითარ შემძლებელ ხარ, რომ სრულიად გაიგონო, რადგანაც მრავლის სიტყვით უნდა ითქვას და მრავალი მოთხრობა და გრძლად ლაპარაკი მრავალჯერ შეაწუხებს კაცსა. რა გაიგონო შენ რითა — ასეც განიმარტება, როგორ შეიძლება, რომ კაცმან იმ ქვეყნის ქება გაი[135r]გონოს, ესე იგი დაინახსომროს ყოველივე. შენ რითა — ესე იგი, რომ ვითარით და როგორ იყო შენ ი, ესე იგი აშენებული.

1052/1062

2 ჯ უ ბ ა — მოკლე სახელ დაკვეთილი ქათიბი.

3 კ ა ც ნ ი მ ზ ი დ ა ვ ნ ი — მუშაკნი ბარგისა, ანუ სავაჭროს წამლებნი. დამზადებულნი დრამითა — ფულით დაქირავებულნი მუშაკნი, გინა დამზადებულნი წაღებად ნივთთა მოიყვანეს.

1053/1063

1 მოვიდა მისსა მებაღე, ბაღსა იახლნეს რომელსა — მ ე ბ ა ლ ე, ბაღისა, ანუ წალკოტისა მოქმედი. ი ა ხ ლ ნ ე ს — მიეახლნენ.

2 მას ყმასა უჭკრეტს შეფრფინვით — მებაღე ავთანდილს ტრფი-ალეებით უყურებდა.

3 ავთანდილ უხმო ეუბნა — ავთანდილმან დაუძახა მას მებაღეს და დაუწყო ლაპარაკი. კაცსა არ სიტყვა მცთომელსა—და იგი მებაღე რიგიანი მოლაპარაკე იყო, სიტყვასა და ლაპარაკსა შინა არა სცდებოდა და კეთილგონიერად მიუგებდა და შეპდგომი.

1054/1064

1 ყ ვ ე ლ ა კ ა ი — ყოველივე, ანუ ყოველი ფერი, ყოველივე კეთილი.

2 ლ ა რ ი — სავაჭრო ფარჩა და საქონელი. ან იაფად რა იხსნე-ბისა — ესე იგი როდისაც, რომ შეკრულს ფარჩასა, თუ საქონელსა გახსნიან და უჩვენებენ მას ვინც ყიდულობს.

3 ჰ კ ა დ რ ა — გაუბედა მოხსენება. ვხედავ პირი შენი მზისა, პირად მე მცნების — ესე იგი, შენს პირს რომ ვუყურებო, მზის სახელ მგონიაო. მ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს — მგონია, ანუ შემემეცნება.

4 რ ა ც ა ვ ი ც ი, მართლად გკადრებ, მრუდი არა რა გემცნების — გ კ ა დ რ ე ბ, — მოგახსენებ, ანუ გავებდავ მოხსენებას. მრუდი არა რა გემცნების—გ ე ც ნ ე ბ ი ს—შემემცნებიდამ არის ეს ლექსი წარმოებული [136რ] თქვენ თუ სწორეო მებაღე მოახსენებს, მრუდი, ესე იგი ტყუილი, არა მოგხსენდებათ რა და არა შეგემეცნებათ რაო.

1055/1065

3 ზ ღ ვ ა-ზ ღ ვ ა ნ ა ვ ი თ ა მ ა ვ ლ ი თ ა — ზღვას შინა მავალითა ნავითა.

4 ს რ უ ლ ი ს ვ ი თ ა და დ ა ვ ლ ი თ ა — ს ვ ი თ ა, ესე იგი, ბედნიერებითა და დ ა ვ ლ ი თ ა — დ ა ვ ლ ა, ესე იგი დოვლა, არაბულად დიდსა სიმდიდრესა ეწოდება. დ ა ვ ლ ა ქართულს ენაში ნატყვევანავსაც ეწოდება, ესე იგი ნატყვევასა, ეს სრულიად სხვის მნიშვნელობის ლექსი არის და აქა ვეფხის-ტყაოსანში ნიშნავს, ს ვ ე რ ა, რომელ არს ბედნიერება და დიდებასა და სიმდიდრესა.

1056/1066

1 აქა მოსვლითა გაყმდების — გაყმდების — გაყმაწვილდების, ესე იგი, მოხუცებულნი რომ იყოს, ასეთს სიმრთელეს და გულის მხიარულებას მიიღებს, რომ ჭაბუკს დაემსგავსება.

1058/1068

3 დღესისა — დღესა, დღევანდელი.

4 უტურფესი — უკეთესი, უმშვენიერესი და ძვირფასი.

1059/1069

3 უტურფესისა სეფედ დასხმენ — რაც უკეთესია სამეფოდ აიღებენ, იყიდიან იმათ და ფასს მაშინვე მისცემენ.

4 მათ მაშინვე ააზატებს — ესე იგი, ვაჭართა მაშინვე თავისუფლებას და ნებას მისცემს, რომ როგორც ნებავსთ თავიანთი საქონელი ისე გაყიდონ. აზატ სპარსულად თავისუფალ.

1060/1070

1 თქვენებრთა საბატითა, მათ მართებს გამოსვენება — საბატითა, ესე იგი პატივდასადებთა გვაძთა. გამოსვენება და განსვენება მათი არს მოვალეობა მათი.

2 დამყენებელნი მათ ნიშნავს, ვინცა განწესებულ არიან, რომ მიუძღვნენ და საცა ქარავენთა დასადგომელი სახლი არის, იქ დააყენოს ქარაფანი [136v].

4 გამოგება — მოგება, ანუ განგება ქარაფნის საქმისა, ესე იგი ვაჭართა. ქენება — მოთნეობა, ესე იგი, ტკბილად და პატივით და მხიარულისა და სათნოსა ქცევითა მიღება სტუპართა (გინა ვისიცა).

1061/1071

1 ფატმან ხათუნ — ფათმა ხომ სახელია. ხათუნი ქალთბატონი, ანუ საბატო დედაკაცი, პატივსადები დამა. ხათუნ — არაბულად მეფეთა პალატის დიდებულთა კაცთ ცოლნი.

2 ართუ შქისი — შქისი უსიყვარულოდ რომ მიიღოს სტუმარი და უპატიოდ ამას ნიშნავს. სიმქისე არა წესიერსა და უკანონოსა მოქცევასა დანიშნავს.

3 დამიქადიან — დაქადება, ანუ სიქადული, დაკვება.

1063/1073

3 ძოწეული რიდე — წითელი დიახ მშვენიერი ფერი, ბროწეულის ყვავილის ფერი. რიდე — თავზედ მოსახვევი შალი.

4 ნირი — სავაჭროსა ზედა ფასის დაღება, რომ რასაცა ფასს გადასწყვეტენ. ნირი ქართულად ეწოდება, ნიხრი — თათრულად და ნიხლი არაბულად. ლარი — ფარჩა.

4 მისთა მჰვრეტთა დაუსახეს ვეფხსა ტოტი ლომსა თათი—ტოტი — ვეფხის წინა ფეხთა¹ ნიშნავს, ხოლო თათი ლომისა წინა ფეხთა, როგორათაც ვეფხის ტოტი და ლომის თათი შეიპყრობს ნადირთა, ეგრეთვე მშვენიერთა სახე და ჰაეროვნება გულსა ტრფიალთა კაცთასა მოინადირებს და შეიპყრობს.

1065/1075

1 ზარ-განხდა შემოაკრფეს — როდისაც ამბავი ავთანდილის მოსვლისა სრულიად ქალაქსა შინა განიფინა, მრავალთა ხალხთა ერთსა აღგილსა შინა მცხოვრებთა ოდეს [137r] ახალი და გასაკვირვებელი რაიმე შემთხვეულება გამოჩნდების, მცხოვრებნი ყოველნი იწყებენ ზახილსა და კმეირებასა და მიისწრაფიან ყოველი კაცი მუნ სადაცა იგი გასაკვირვებელი რამ სანახავი იქნება. ზარი მას ეწოდება, საყდართა და ესე ვითართა, რომელსაცა დარეკენ და მით მოუწოდებენ ერთა ტაძართა შინა ლოცვად, გინა ნიშნად რაჟსამე საქმისა და ირეკებას ვითარცა საათისა გასვლისა და ესე ვითართა მსგავსად მისსა ხალხში ახალი ამბავი რამ რომ გამოჩნდება, ყველანი დიდი კმეირება შეიქმნება და ერთი მეორეს უძახის და მიისწრაფიან ნახვად საკვირველისა მის ახლისა რასამე გამოჩინებულისა მიმართ. შემოაკრფეს — ესე იგი შემოკრებული ერი ავთანდილს გარე შემოეხვივა.

2 აქეთ-იქით იჯრებოდეს — აქეთ და იქით შეაიწროვებდეს, ხალხი შემოკრებული ერი ერთმანერთსა და მათ შორის სივიწროვებასა დიდის გულს მოდგინებით და ძნიადისა შრომითა შევიდოდეს, თუმცა სივიწროვითა მრავლისაგან ერისა თითქმის შეიპყრობოდეს, რომ გაძვრა აღარ შეეძლოთ, ამ მიზეზისათვის, რომ ეგების უჭკრიტოთო ამას სრულად, უყუროთ, ანუ შევხედოთ და გავშინჯოთ სრულიად მშვენიერება მისიო.

3 ზოგნი ნდომით შეფრფინვიდენ, ზოგნი იყვნეს სულწასულად — ზოგნი გინა რომელნიმე დიდის ტრფიალებით და გულის თრთოლებით სიყვარულის მგრძნობელნი სჭკრეტდეს მათ და სხვანი სულწასულად იყვნეს, ესე იგი დიდის მოუთმენელობითა. შეფრფინვა ფრინველთა მიერს ტრფიალებას ნიშნავს, როგორათაც ტრედნი, ტრფიალნი მოყვასთა მიმართ² თვისთა ფრთეთა [137v] ათრთოლებს, ხოლო

¹ ვეფხთა

² მიმათ

სულწასულობა, ესე არს რომ ყოვლითურთ მოუთმენელობაში შევადეს კაცი.

4 მათთა ცოლთა მოიძულეს. ქმარნი დარჩეს გაბასრულად — და რომელმანცა დედაკაცმა (რომელთამე) ავთანდილ ნახა და გაშინჯა მშვენიერება მისი, თავიანთი ქმრები სრულად მოსძაგდათ, ამისთვის გაბასრულნი შეიქმნენ ივინი, ესე იგი საგინებელნი და საყვედრებელნი და განსაკიცხავენი. გაბასვრა — ტალახი რომ დასხას თავსა და გასვაროს ტალახითა და მწვირით მას ნიშნავს. ბასრობა ნიშნავს უშეტესსა და გარდამატებულსა განკითხვასაცა. განკიცხვა — სასაცილოდ აგდება, კაცის აუგის ლაპარაკი.

1066/1076

2 სიხარული დაიჩინა — სიხარული დაიჩინევა, თავის პირის სახეზე სიხარული გამოიჩინა, ანუ სიხარული გამოიხატა, სიხარული აჩვენა ავთანდილს.

4 შეევიტვატყე — როგორათაც რომ, ანუ რას სახითაც შეევატყე.

1067/1077

1 ფათმან ხათუნ, თვალად მარჯვე — თვალად მარჯვე სითვალადე ფათმანს (გინა სახის შვენიერება) რაცა ჰქონდა, თუმცა ღიახ ლამაზი და მშვენიერი არ იყო, მაგრამ მის სახეს ასეთი სიმარჯვე (ესე იგი სიშწრაფლის სახე ქცევა) ჰქონდა, რომ მალე შეაყვარებდა, ვინც მოეწონებოდა თავის თავსა იმის სილამაზე. მარჯვე და გამმარჯვებელი იყო ყოველთვის. თვალად მარჯვე, როდესაც რომელიმე ჰკითხავს ვისმე, კითხვა ეჲ და ეს აღამიანი როგორი თვალადი არისო, მიგება მი[13მ]უტებს პასუხსა, ღიახ მარჯვე თვალადი გახლავსთო, ამას ნიშნავს, რომ როგორათაც რომ კაცი ერთს რაშიმე ზნეობის მოქმედებაში მარჯვე იყოს, ეგრეთვე სახის შესახედლობაც ნიჭოვანი ჰქონდეს. თვალად მარჯვე თვალდობა მინიჭებული. არ ყმაწვილი, მაგრამ მშველი — თუმცა ხნით ყმაწვილი არ იყო, მაგრამ ხარაკტირითა და ქცევითა ყმაწვილურად მოლადე და მხიარულის ქცევის მექონი.

2 ნაკვთად კარგი — ტანის ნაკვეთობით კარგი. შავგვრემანი — მოშავო ფერისა.

4 დია — ღიახ. აქ დია ნიშნავს სიპრავლესა ვითარისამე. სასალუქო — რჩეულნი ნივთნი შესამკობელნი. დასაბურავი — თავის სახურავი ჩასაცმელი, შესამოსელი ტანისა.

1068/1078

2 ძღვენი ტურფა — ძღვენი მშვენიერი და ძვირფასი.

3 ფათმანს მისი მასპინძლობა უღირს, ღმერთო, არ დაკარგა — ფათმანს ძვირფასად უღირდა იმისი მასპინძლობა, რადგანაც ავთანდილის სიყვარული შესვლოდა გულსა, ძვირფასად მიაჩნდა იმისთანა სტუმარი; მეორედ, მაგრამ ბოლოს ჟამს მართლად ძვირფასად შესარაცხი იყო იმათი ერთმანერთის მცნობობა, რადგანაც ნესტან დარეჯან იპოვეს და ტარიელ იმ მწუხარებისაგან გამოიხსნეს.

4 ყმა გავიდა ღამით გარგა — ღამე ფათმანთან აღარ დადგა და გამოვიდა იმისის სახლიდამ ავთანდილ და თავის სადგურს წავიდა. გარგა ამას ნიშნავს, ორჯელ რომ სიტყვაში ზედიზედა თქოს. გარე ტარე ანუ გარგა — გარე განვიდა.

1069/1079

1 ლარი-ყველაჲ — ფარჩა სავაჭრო ყოველივე [138v].

2 ტურფანი სეფედ გარდასხნეს — რაც მშვენიერნი და ძვირფასნი ნივთნი იყვნენ, ისინი სამეფოდ აიღეს. გარდასხნეს — გარდააწყვეს, გარდასდეს და როგორც ღირდა, ვაჭრებს ფასიც დაუთვალეს.

3 რაც დარჩა და სამეფოდ არ აიღეს, ისინი ვაჭრებს უკანვე მისცეს და გააწევინა, ესე იგი, გაატანა, ანუ წააღებინა ვაჭართა ავთანდილმა.

4 და უბრძანა ვაჭრებს წაიღეთ ეს საქონელი და როგორც თქვენი ნება იყოს, ისე გაყიდეთო, მაგრამ ჩემს ვითარებას კი, ვინა ვარ მე, ნურავის გამოუცხადებთო.

1070/1080

1 არ ჩაიცომს არა შისსა — თავის ტანისამოსს არ იცვამდა, რადგან თავის თავს არ აცხადებდა.

2 უქმს — მოუწოდის, დაიბარებდა.

3 უბნობდიან — ლაპარაკობდიან. საუბარსა — სალაპარაკოს რასმე: არა მქისსა — არა წინააღმდეგსა, არამედ შესაბამისა სწორესა და არა მრუდსა და ტყუილსა.

4 რამინ და ვის — ვისრამიანში იხილე რამინისა და ვისის მიჯნურობა.

1071/1081

2 გილიზღებს — ლიზღებით, ესე იგი პირმოთნეობითის ლაპარაკით და ალერსიანის სიტყვებით. შეგიკვეთებს — შეგიჩვევს, მიგინდობს, ესე იგი მინდობილ გაგხდის, რომ გულს დაგაჯერებინებს თავის ერთგულებაზე. მოგენდობის და თითონაც შენ მოგენდობა.

3 შართ ანაზღად გილაატებს — მაგრამ ბოლოს უეცრად გილაატებს. გააკვეთს რაცა დაესობის — გააკვეთს, ესე იგი, დახსნის. რაცა დაესობის — რაცა [139r] სიყვარული მას ისრებ განწონილი გულში ჰქონია, იმას შეურაცხყოფს და დახსნის იმ სიყვარულსა.

1073/1083

1 შიღმაუთხრა — თავისთვისა სთქვა, თავსა შორისთვისა განიზრახა.

3 ერთი რამე გამიპირდეს — ერთი რამე საქმე გარდაწყვეტით ვსცნა.

1074/1084

2 მისთა პატიჟთა მცნეველი — ესე იგი, თვისის გულის პატიჟი, მწუხარება, ანუ ტყვეობის სახეთ ყოფა სიყვარულით, ამას ცხად უყოფს ავთანდილს.

3 შემძვრელი — მაგრძნობელი. კაცმა რომ კაცს, ან მისწეროს, ან უთხრას რამე ერთს საქმედ რაზედმე და იმისი გული შესძრას, ესე იგი, იმის გულს აგრძნოს. შერხევა — შერყევა, ხეს რომ შეარხევენ და ხილს ჩამოაყრევიანებენ, ეს სახეთ კაცის საგრძნობელის სიტყვებით აღსძვრენ და მუნით სიყვარულის ნაყოფს მოისთვლებენ.

4 უსტარი — კაცმა რომ მისწეროს¹ თავზედ დიდსა და უმაღლესს ვისმე, ესე იგი, მდაბალი ხარისხისამე ქონება, რომ მაღლის ხარისხის მექონს ვისმე მისწეროს.

1075/1085

2 ლხინად არ ჭირთა მწადებლად — მწადებლად სანდომლად, მოხანდომად.

1077/1087

3 შავთა წამწამთა სობასა — შავნი წამწამნი ისრებრ გულსა ტრფიალისასა განეწონებიან.

4 თუ რას მეწევი, მეწივე — თუ რას მეწევი — თუ რასმე შემეწევი. მეწივე — შეწევნა მიქმენ, შემეწივე.

1078/1088

1 მევირე — მევიდრემდის, ანუ მე მანამდის.

¹ მისწერის

2 ან ჩემი გაგვიდოდეს — ანუ ჩემი სათხოველი განვივლინებოდეს წინაშე შენსა, ანუ განვივლინებოდეს, რო[139v]მელ მიიღებდეთ სათხოველსა ჩემსა და აღმისრულებდეთ.

4 ნეტარძი ოდეს — ნეტავი თუ როდის, ანუ რომელს ჟამს.

1079/1089

3 ვინ მაშიკობს ვისსა ვისი — ვინ მეტრფიალება და ვის სტრფიალობს¹, ვინ და ვისი მეარშიყება. ვისი ესე იგი ვაჭარი უსენის ცოლი და მას რა ღირსება აქვს, რომ მე მეარშიყებოდეს, რადგანაც მე ღიღის მეფის სპასპეტი ვარ და თინათინ არს ჩემი არშიყი, რომელიც რომ მეფე არის თითონ.

4 რომე მიმიჩნს — ესე იგი, რომელიც რომ სამიჯნურო მე მყავს და ის მიმჩნია ღირსად ჩემ მიერ არშიყობისა და მიჯნურობისა, ესე იგი ძლიერისა ტრფიალებისა. რათ ვანსგავსო სე მას მისი² — და რა ვამსგავსო თინათინს ფათმანისა, რას ღირსებაში იქმნება ფათმან თინათინის ამხანაგი.

1080/1090

1 თქვა ყვაგი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია — რა შესაბამიერება აქვს ყვავსა ვარდის სიყვარულისა; ანუ რა მისი ფერია, ესე იგი, ანუ რა იმისი შესაფერი არის.

2 მაგრამ მას ზედა ბულბულსა, ჯერ ტკბილად არ უმღერია — ესე იგი, ვინც ჩემი სატრფიალო არის, ჩემი ვარდი და მე იმის ბულბული, ჯერ იმაზედაც ტკბილად მღერას, ესე იგი სრულიად შეერთებას არ მიმთხვევივარ (და ამისთვის იტყვის აეთანდილ).

3 უმსგავსო საქმე ყველაი, მოკლეა, მით ოხერია — უმსგავსო საქმე, ესე იგი, უშესაბამო საქმე, დიახ მოკლე ჟამისა არის და ამისთვის ოხერი არის, ესე იგი ოხერი დარღვეულსა და დაქცე[140r]-ულსა შენებულებასა ნასოფლართა და უმკვიდროთ ალაგთ ეწოდება. ოხერია — უსაფუძვლო, ანუ უპატრონო არის.

4 რა უთქვამს რა მიუჩმახავს — მიჩმახვა ან მოჩმახვა, ანუ ჩმახვა — უშესაბამოს უგვანს ლაპარაკსა და უკანონოთ ლაპარაკს, ანუ წერას ნიშნავს.

1081/1091

1 საზრახავი — ესე ნიშნავს განზრახვას, რასაც გულში იფიქრებს კაცი და გამოიხატავს.

¹ სტრფიალოს

² მის

1 დ ი ა ც ი — დედაკაცი.

2 მ ო ს ა დ გ უ რ ე — ესე იგი, სტუმრის მიმღები თავისსა სახლსა შინა.

4 ნუთუ რა მარგოს — იქმნება, რომელ რაც საქმე მაქვს და რისთვისაცა¹ ვარ წამოსული, იმაში მარგოს რამე და შემეწიოს. მე მისი გარდახდა ჩემგან ვსცნა ვალთა — მაშინ თუ იმისგან ამ საქმეში სარგებლობას რასმე მოვიგებ, ვსცნობ და შევიტყობ, რომ ჩემგან, მის ნების მიყოლის მაგიერს სიკეთეს მიზამს და ჩემგან დავალებას ამით გარდისდის.

1 გ ა ე ქ უ ს ი ს — გაერთვის, მარადის იმის სიამოვნესა და ალერსსა¹ და წადილში იქმნების მოცალებული.

2 ა უ გ ი — უკადრისი და ცული საქმე და საზრახავი და საგმობელი ქცევა. მ ო ყ ი ვ ნ ე ბ ა — სასირცხვილო საქმე. მ ო ყ ი ვ ნ ე ბ ა — განკიცხულება, რომ ქვეყანაში ცუდის სახელი გამოუვიდეს. არად შესწონს — სათაკილოდ არ მიიღებს, არად შერაცხს. კ რ უ ლ ი — წყევასა ქვეშე შევარდნილი.

3 ხ ვ ა შ ი ა დ ი — საიდუმლო გულისა.

4 მ ი ჯ ო ბ ს მ ი ვ ყ ვ ე — ჩემთვის უმჯობესი არის, რომ იმის ნებას მივყვე, ანუ იმისი წადილი აღვასრულო. [140v]. გ ა ნ ლ ა ს ა დ მ ე — გარნალა სადამე, მაგრამ თუ რომ ვსცნობ საქმესა დამალულსა, ესე იგი დაფარულსა, ვისარგებლებ მით.

1 კვლავ იტყვის ვერვინ ვერასა, თუ ეტლი არ მოსთმინდების — თუ რომ ეტლი, ესე იგი ბედნიერების ჩარხი არ მოსთმინდებ ის, ესე იგი, არ შეეწევის, მაშინ ვერავინ ვერასა იქმს, ვერც თქმით და ვერც საქმით. მ ო ს თ მ ი ნ დ ე ბ ი ს, ესათნობისცა. თ მ ი ნ ე ბ ა დათმობაც არის. ერთს ვისმე წადილი რომ ჰქონდეს ერთის რაღასამე ნივთისა და იმ ნივთის პატრონმან, რომ გამოიმეტოს და დაუთმოს და მისცეს, ესე იგი აჩუქოს, მიმცემი მიცემულსა მოსთმინდება, ესე იგი დაუთმობს და აჩუქებს.

2 მით რაცა მინდა არა მაქვს, რაცა მაქვს არ მომინდების — ბერი რამ სურის კაცს, რომ ვერ მიემთხვევა, ამისთვის რაღაცა თვით აქვს არა სჯერა იმას და სხვას მეტს ეძიებს და სურის უმეტესის ქონება.

¹ ერისთვისაცა

² ალერსა

3 ბინდის გვარია სოფელი, ესე თურ ამად ბინდების — ბ ი ნ დ ი, — ბნელისა დასაწყისი, ანუ წინა ბჰე არის, რომელიც სიბნელის გზა არის და შესაწუხებელისა ღამისა. სოფელი ბ ი ნ დ ი არის, ესე იგი, სოფელი შეიყვანს კაცსა მწუხარების ღამესა და სიხშოსა შინა. ესე თურ — ესე თურმე. თურმე — ლექსი დამნიშვნელი არის ოდეს საქმე რამე არა ვუწყოდეთ და შემდგომად რა ვსცნობთ მას, მაშინ ვიტყვი, თურმე ეს საქმე ასე ყოფილა და ჩვენ არა ვუწყოდითო. სოფელი რადგან ბინდის გვარი არის თურმე [141r] ამისთვის ბინდღებო. თურ — თურმე.

4 კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების — ვნებანი კეთილნი, გინა ბოროტნი, რომელიცა კაცსა აქენ თვის შორის მიღებული და მისდა მიმართ არს მიდრეკილ, ნაყოფნიცა საქმისა მისისანი გამოვლენ მისგან ესე გვარნი (ესე იგი, ხე კეთილი ნაყოფსა კეთილსა მოსცემს და ხე ხენეში ხენეშსა). ჭურჭელი სულნელთა კეთილთა წარმოადინებენ სასიამოვნოთა საგრძნობელისა კმაყოფილებასა. ხოლო ჭურჭელნი მყრალთა რათმე, რომელსა შინაცა შთასხმულ არიან არასასიამოვნონი ვითარნიმე ნოტიონი, იგინი გრძნობისაცა უსიამოვნო და წინა-აღმდეგ მოწონებისაცა და კაცსა რომელიც ჭურჭელი არის კეთილისაცა და ბოროტისა რომელიცა აღურჩევებს და თვის შორის შეუწყნარებებს მისთა მოქმედებათავე წარმოადინებენ.

1085/1095

3 გაუწყვეტლად — ესე იგი სამარადისოდ, ანუ დაუსრულებელად. ხლება — მახლობლობა.

4 შეყრა — ორთა, გინა მრავალთა ერთსა ადგილსა შინა შივლა სტუმრად, ანუ საჭიროებისათვის რადაამე. პირიანი შეყრა — პირის სიმტკიცისა აღმასრულებელთა ერთად შეყრა. ნება — ნების დართვა.

1086/1096

1 სიამე — სიამოვნე.

2 მიუწერა კმარის რაცა, უშენომან ცეცხლი ვლამე — ჩემი გული ისე გახურებული იყოვო, როგორათაც დიდის სიცხისაგან და მზის შარავანდელისაგან სილა, ესე იგი ქვიშა [141v] მდინარისა ნაპირისა. ვლამე — ამას ნიშნავს, ცრემლითა ღამის მავაგსად, როგორათაც გახურებულს ქვიშას წყალი მოხვდება და იგი ქვიშა ღამად გაკეთდება, ეგრეთვე გული ჩემი მას მივამსგავსე, მრავალის ცრემლთა ღვართათო.

3 თავის წინა — ესე იგი, მარტო მყოფი, რომელიც თავის თავს ახლავს და იმას სხვა არავინ ახლავს. მარტოსამე — მარტოკასა სადამე.

1087/1097

1 ს ა წ ვ ე ე ლ ი — დასაპატიჟებელი მიწვევა.

1088/1098

1 უ კ უ წ ვ ე ვ ა — ამას ნიშნავს, რომ სტუმარი კაცმან ჯერ მიიპატიჟოს და მანამ მივიდოდეს დაითხოვოს.

2 ფ ა ტ მ ა ნ ზ ი ს წ ყ ე ნ ი თ შ ე ვ ი დ ა, ავთანდილ მარტო ხე ვითა — როგორათაც ხე მშვენიერი სასიამოვნოდ ერხვეოდეს, ესე იგი საამოდ¹ იძვროდეს ნიავისაგან კეთილისა, აღყვავებული და მშვენიერი, მის მსგავსად სასიამოვნოდ ავთანდილის შესვლა აღმოჩნდებოდა. ხე — სახე, დამაგრილებელი სიცხისა, რომლისა ქვეშე ხორშაკთა მიერ შეჭირვებულნი განსვენებასა მიეცემიან.

3 დ ი ა ც ი — დამა, დედაკაცი. დიაცსა წყენა შეატყო, ნახვა შესვლითა შევითა — ავთანდილ რომ შევიდა, ნახა და შეატყო ფატმანს, რომ ეწყინა იმჟამად ავთანდილის მოსვლა. შესვლითა შევითა, — შევითვიდა, შევიდა რა სახლსა მას.

4 თ ნ ე ე ი თ ა — სათნო ყოფითა ავთანდილისათა წყენა არ შეიმჩნევა ფატმანმა.

1089/1099

1 ლ ა ლ ო ბ ა წ ყ ლ ი ა ნ ი — ქართულად ნიშნავს წყლიანი ლალობა, მეგობართაგან ხუმრობითა და თავის[142r]უფალის ლაპარაკით ერთმანერთან შექცევასა. წყლიანი ამისთვის ეწოდება. ესე გვარსა ლაპარაკსა, როგორათაც ყვავილთა მორწყავს წყალი გრილი და აღაორძინებს, ეგრეთ გულსა მოყვისისასა მოყვასსა თანა ლალობით საუბარი და შექცევა სახუმართა და სალაღობელთა მიერ სიტყვათა.

2 ტ ა ნ ნ ა კ ვ თ ი ა ნ ი — ნაკეთიანი სრულსა შესაბამიერს და მშვენიერს ნაკვეთობასა შინა მოყვანილი.

3 მ ო ნ ა კ რ მ ა ლ დ ა რ ა კ ი ა ნ ი — დ ა რ ა კ ა ფ ა რ ს ა ე წ ი დ ე ბ ი ს .

4 ე გ რ ე თ დ ა კ რ თ ა კ ა ც ი ი გ ი ა ვ თ ა ნ დ ი ლ რ ო მ დ ა ი ნ ა ხ ა , უ ე ც რ ა დ რ ო მ კ ა ც ს შ ე ხ ვ დ ე ბ ა კ ლ დ ე , ა ნ უ ს ი მ ა ლ ლ ე რ ა მ გ ა დ ა ს ა ვ ა რ დ ნ ე ლ ი დ ა შ ე კ რ თ ე ბ ა , ი მ სა ხ ე დ შ ე კ რ თ ა .

1090/1100

1 ფ ა ტ მ ა ნ შ ე შ ი ნ დ ა დ ა ძ რ წ ო ლ ა ი წ ყ ო .

¹ სამოდ

3 უთხრა არ გიშლი, დიაცო, ფერთა მიდამო კრთამასა — ფერთა მიდამო კრთომა — სირცხვილით რომ ფერს დაჰკარგავს კაცი, მას ნიშნავს.

4 განანებ — შეგანანებ.

1091/1101

1 გაკითხვა — შეურაცხყოფა და მასხარათ აგდება. დამდეგ გასათრეველად — თრევა — უმეტესის უპატიურობის მოპყრობით კაცის გათრევა.

2 მაგა საქმისა მზღვეველად — მაგ საქმის გარდახდევინების პასუხს ხვალ გიჩვენებო.

4 დავშალო წვერთა ფუ მიყავ, ხელიდა ვრბოდე მე ველად — თუ ამ საქმის მაგიერი და გარდახდევინება დავშალო და არ აღმისრულოვო, მაშინ წვერში ჩამაფურთხევო [142v].

1092/1102

1 ვინც თავისს წვერს პატივსა სდებს, როდისაც რომ შეხვდება ბაასი ვისთანმე, კელს შოიკიდებს და ეტყვის. თუ ეს საქმე ასე არ მოხდეს, ამ პატიოსანს წვერში ჩამაფურთხეო.

2 დაწვნი ესხნეს ნახოკარნი — ლოყები დაიხოკა ფათმანმა, ესე იგი, სულ დაიკაწრა ლოყები ფრჩხილით, შიშისა და წყენის მიზეზით და თავში ცემა დაიწყო.

3 ცრემლთა მისთა შეეყარნეს, წყაროსაებრ¹ ისმეს წკარნი — შეეყარნეს — ლოყებიდამ დაკაწრულის ადგილებიდამ გამონადენი სისხლი ცრემლს შეერთო და ერთად შერთული, რომ გარდმოსდიოდა ლოყებიდამა ადგილზედ, ან ეგრეთ ეწვეთებოდა. დაწვეთებულნი იგი კმას აძლევდენ, როგორათაც მცირე წყარო რომ გამოდიოდეს ერთს ადგილსა და ქვათა ზედა, ანუ ქვიშათა ესხმოდეს და ეწვეთებოდეს, მცირე რამ ანუ კმის კმა გამოდიოდეს წანწკარი იმის კმეირებას ნიშნავს.

4 მომადევით მამაკარნი — ქვით რომ ჰქოლვიდენ ვისმე და გარემო მოეხვიენენ ქვით დამქოლველნი იმას ნიშნავს, ხოლო მომაკარნი, ესე იგი, სროლით მკვრელნი ქვისანი. ქვა ჰკრაო ამ ლექსიდამ წარმოებს მომაკარნი.

1094/1104

1 გაცბინებული — უეცრად გასაკვირვოს სამწუხარეს რასმე ნახავს კაცი და ჯერ მიზეზი არ იცის იმა მწუხარებისა, ფიქრში შევა კაცი და გაშტერდება, თითქმის გონებას დაჰკარგავს, გაცბუ-

¹ წყაროსებრ

ნება ამა ზემო თქ[143r]მულს ნიწნავს.

4 საქმედ რებული — საქმისათვის მოსრული.

1096/1106

1 სიტყვა მცდარი — შემცდარი სიტყვასა შინა, ანუ თქმასა შინა რამე შემთხვეულებისას. სიტყვა მეტი — მეტი სიტყვა იგი არს, რომელიც უნდა უმიზეზოთ არ უნდა თქვას კაცმა და საიდუმლო რამე რომ იცოდეს ადვილად არ გააშკაროს და არ გამოაცხადოს.

2 ხოშიადი, ანუ ხვაშიადი — საიდუმლო სიტყვა თუ საქმე, რომელიც ჯერ იყოს დასაფარავად და უადვილოდ და უჯამოდ არ უნდა გამოაცხადოს კაცმან. შმაგი — ტუტუცი. რეტი — სულელივით გონება დაკარგულსავით.

4 თავისისა სისხლის მხვრეტი—იგი არს, რომელიც თავის თავს მისცემს ამ გვარს მიზეზს, რომ თავისი თავი წარწყმენდეს, სიკვდილსა და სისხლის დაღვრაში შეიყვანოს, უგუნურებით და გაუშინჯაობითა. ესე გვარი უფრთხილო კაცი თავისის სისხლის შემხვრეტელი არის, ესე იგი თავისის სისხლის დამლევი. ამას ალიგორიით იტყვიან, რომ მტერი მტერის სისხლს დალევისო, თორემ სისხლი კაცისა როგორ დაილევა და ვინ დალევის.

1097/1107

1 ამის მეტსა ნულარ ლამით — ამის მეტს ნურას ისურვებთ, ნურასა ჰყოფთ, იმედოვნებთ, ნულარ გგონიათ, მრავალ რიგად ითქმის ეს სიტყვა.

2 მოვითაკლავ — თუ შეიძლება, რომ მოკლა.

4 მოხვალ, გითხრობ ყველაკასა, მოვით მითხარ ცრემლთა ლამით—ოდეს მოხვალ, ყოველსავე გითხრობ. მოვით მითხარ—როგორათაც რომ შენ მითხარო, და მთხოვეო, მე ყველას მოგითხრობო. ცრემლთა ლამით — ცრემ[143v]ლის დინებით და ცრემლის განმრავლებით გაიმბობ მას ამბავსაო.

1098/1108

2 დააგდე ჩემი მიდამო, სრულად მიკრიფე მირითა — მიკრიფე, შეკრიბე და წაიღე. მირითა — მარი, მირი ქართულად მორიდებასა ჰქვიან, რომ დაერიდოს რასმე საშიშს კაცი. მირი — არაბულად საკელმწიფოს ეწოდება. მირითა — მირაჲ მეითა. მირი. მიიარე, ესე იგი წარვედ. მირითა—წარსვლითა, განშორებითა.

1099/1109

1 ბუნება ზიარი — კადნიერი ზიარი (ესე იგი, მონაწილე სიმხნისა), რომელსა კადნიერებაჲ თვასი შეერთებული აქვს სიმხნისა-

თანა. ბუნებანი, რომელნიცა შეერთებიან სხვათა და სხვათა ვნებათა თანა, ესე იგი. სიმხნესა თანა შეერთებული ბუნება წარმოადგენს ხარაკტირსა ძლიერებისა და კადნიერებისასა, ესე იგი, სიმამაცესა. ხოლო ბუნება შეერთებული უძლურებასა თანა წარმოადგენს უღონოებისა ხარაკტირსა, ეგრეთვე გულოვნება და შიშროება და სხვა და სხვანი ხატნი ბუნებისა თანა ზიარებისანი წარმოადგენენ თვისთა თვისებათა.

3 ს ი ძ უ ნ ტ ე — გონება, გინა გული, რომელსაცა სურვილი გამოძიებისა და საქმისა ცნობისა არა აქვნდეს და ყოვლითურთ იყოს. უგულსმოდგინო ზემო თქმულსა შინა.

4 ნ უ ე ჭ ვ ა — ნუ გგონია, ნუ ჰგონებ, ნუ იჭვნეულებ.

1100/1110

2 თვარა მეშველად მინდა არად — თორემ მეშველად კი არ მინდა და არც საჭირო არის ჩემს მოსახმარებლად.

3 ჩ ე მ ა დ დ ა რ ა დ — ჩემს თანა სწორად.

1101/1111

1 წ ა ც ა მ ყ ვ ა ნ ე ლ ა დ — მონა უწინამძღვრებდა და ავ[144r]-თანდილ მონასა შეუდგებოდა და იგი წინა-მძღვარი ავთანდილს გზისასა ვითარებასა ყოველსა მოახსენებდა და ეგრე მიჰყვანდა.

2 კვლავე შეჰყვილა ვინადგან, ცეცხლია ცხელი ანელად — ავთანდილ რომ წასასვლელად გაემართა, მაშინ ფათმანმან შესძახა ავთანდილს, რადგანაც ამ შენის გამგზავრებით, ჩემი ცხელი ცეცხლი აჰა არსო ნელად, ესე იგი დაწყყნარებულად.

3 თ უ მოვითა-ჰკლა იგი ყმა, ჩემად გულისა მფხანელად — თ უ მო ვ ი თ ა - ჰ კ ლ ა ი გ ი ყ მ ა — უკეთუ შეუძლო მოკვლად ყმა იგი. ჩ ე მ ა დ გ უ ლ ი ს ა მ ფ ხ ა ნ ე ლ ა დ — როგორათაც, რომ ერთი ადგილი ეფხანებოდეს კაცსა, დაიფხანოს და ქავილისაგან მოიხვეწებეს, ეგრეთვე მსგავსად მისსა, თუ თავის მტერსა და ძვირის მყოფელსა მაგიერი მიეზღვის, მაშინ მოიხვეწებეს გული კაცისა მის და გულის მოფხანა გულიდამ ჯავრისა და მწუხარების მოშორებებს ნიშნავს.

1102/1112

3 ქვეშეთკენ სრითა ტურფითა, კვლავ ზედათ ბანის ბანითა — ს რ ა — პალატთა დიდებულთა ჩინებულნი სახლნი. ბ ა ნ ი ს ბ ა ნ ნ ი , ბ ა ნ თ ა — ზემორე კვლავ სხვანი ბანნი. ბ ა ნ თ ა ბ ა ნ ნ ი — ბანთა ფანჯრებნი.

4 დიდროვანითა ტურფითა, მრავლისა თანის თანითა — დიდ-როვანნი სახლნი შეენიერნი, რომელ არს ტურფანი. მ რ ა ვ ლ ი ს ა

თანის თანი თა — ერთმანერთთა თანა შენებულეებითა, მრავალხა-
რისხოვანიითა და სხვითა და სხვითა განშვენებულეებითა და მრავალ-
თა კერძითა და მხარეთა მქონებელისა შენებულეებითა [144v].

1103/1113

3 ბანსა ზედა ქუე მდგომელსა — ქუე ნიშნავს უკუე.

1104/1114

1 კარსა წინა დარაჯანი. ორნი უწევს მას გლახ ემასა — და-
რაჯანი — მხმილავნი, ყარაულნი, გვამის მცველნი. მას გლახ
ყმასა — მას საბრალოს, ყმოს მოყმესა, ანუ ჭაბუკსა.

2 ყმა გავიდა გაეპარა — იღუმაღ გავიდა, ანუ ზე ავიდა ბანთა
ზედა და მიეპარა.

1105/1115

2 კელ-სისხლიანი ავთანდილ, შედგა ტანისა ჯანითა — ჯანი
აქა ქართულად ღონეს, ანუ ღონიერებას ნიშნავს, ესე იგი ტანისა
ანუ გვამისა ძლიერებასა.

4 დაასკვნა — მიწასა ზედა, ანუ ადგილსა ზედა დასცა. და-
ასკვნა ამას ნიშნავს, რა მიწასა ზედა დასცეს, მუკლი და კელი
დააჭიროს და ისე უძრავათ დააკრას ადგილს, რომ ველარ დაეძრას.
დაკლა — ყელი გამოსჭრა.

1106/1116

2 ქვესკნელთ მიწათა გირია — გირი გირაოს ნიშნავს, ანუ
დამზევლას, საუკუნოდ და გამოუხსნელად მზევლობას და გირაობას.

4 სამარე — საფლავი. ბარი — ბაღთა, ესე იგი წალკოტთა
სამუშაკო და მტილთა საბარველი იარაღი და სათხრელი მიწათა და
საფლავთა.

1109/1119

1 რას გაშმაგდი — გაშმაგება მწუხარებით და წყენით თითქმის
გიჟს რომ დაემსგავსოს კაცი.

3 ჭვრეტად — ყურებად.

4 ცეცხლთა შრეტად — დაშრეტა — გაქრობა.

1110/1120

2 ჩვენ ვითა ვადიადენით — ჩვენ როგორ განვადიდით, ვერ შემ-
ძლებელ ვართ განდიდებად ქებისა შენისა.

1111/1121

1 ნოვრუზობა — ნავრუზ სპარსულად ახალი [145r] დღე,
ამა ახალს დღეს თავიანთ ახალ წელიწადს უწოდებენ, რომელიც რომ

გაზაფხულის დასაწყისში მოუვათ. ეს ძველი სპარსთა საწელიწოდო დღესასწაული არის და ახლაც დღესასწაულობენ სპარსნი დღესა მას, ოდესცა მზე შევალს ზვოდიაქოსა შინა ვერძისასა.

4 ბ უ რ ო ბ ა — მასპინძლობა. დ ა რ ბ ა ზ ო ბ ა — კელმწიფეთ სასახლეში შეყრილობა ღირსთა და ჩინებულთა გვამთა. დ ა რ ბ ა ზ ი სამეფო პალატი. დ ა რ ბ ა ზ — სახლი საროკველი სპარსულად.

1112/1122

1 ზ ე დ ა გ ვ ა ძ ს, ანუ ზედაგვაცს — გემართებს, მოვალენი ვართ.

3 წ ი ნ წ ი ლ ი — ტკბილი საკრავი, ესე იგი გუსლი. ს ა ნ თ უ რ ი ც წ ი ნ წ ი ლ ა დ აღირიცხვება. ე ბ ა ნ ი — დაფი, ღირა.

4 მ ო ე დ ა ნ ს მ ლ ე რ ა ბ უ რ თ ო ბ ა, დ გ რ ი ა ლ ი ც ხ ე ნ თ ა დ გ ე ნ ის ა — მ ო ე დ ა ნ ს მ ლ ე რ ა — ვარჯიში, წვრთა, ბურთაობა. დ გ რ ი ა ლ ი ც ხ ე ნ ის კ ე ნ ე ბ ის ხ მ ა. დ გ ე ნ, ც ხ ე ნ თ ა დ გ ე ნ ა — ცხენნი ერთმანერთს რომ გაუჭენოს გამოსაცდელად, თუ რომელი ცხენი ემჯობინება, რომელნიცა მოსწრაფედ გაიქცევიან და მეორეს გაუსწრობენ, იგინი მიიღებენ ჯილდოსაცა.

1113/1123

2 მ ა წ ვ ე ვ ე ლ ი არ ათმინა — მაწვეველი საჭირო არ არის. ჩვენ განწესებისამებრ ვიცით და მიუწვეველად და დაუბარებლად წავალთ, საჭირო არ არის მიწვევა. მ ა წ ვ ე ვ ე ლ ი — დამპატიყუბელი.

1114/1124

4 მ უ ნ ე ბ უ რ ნ ი არ ვიყვენით — ესე იგი, სასახლისანი არავინ წამოვიყვანეთ სტუმრად თანა. ა რ ვ ი ყ ვ ე ნ ი თ — არ შევიყენებდით, მხოლოდ მე და ვაჭრის ცოლები, რომელნიც რომ მივედით, ესენი ისევ უკან მოვიქცით და სახლიდამ არავინ წამოვიყვანეთ მათი.

1115/1125

1 გ ა ვ ე — გაველ [145v].

2 გ ა ვ ი ტ ა ნ ე — გავიყოლივე, გავიყოლენ.

4 რ ი დ ე — თავს მოსახვევი.

1116/1126

1 ტ უ რ ფ ა ნ ი — უცხო რამ ლამაზნი, განსხვავებით ლამაზნი. ნ ა ტ ი ფ ა დ გ ე ბ უ ლ ნ ი — როგორათაც, რომ კარგის კელოვნებით აშენებულნი, ეგრეთვე ნ ა ტ ი ფ ნ ი, ესე იგი სუფთათ და ნაზად გაკეთებულნი მოსაწონის კელოვნებით და თვალისათვის სათნო სანათავად.

3 შევიტანენ — შევიყვანენ.

4 დავიდეთ ნადიმი — ნადიმი — მეჯლიში, ანუ სტუმართ ჩინებული წვეულება, დავიდეთ სტოლი, ანუ ხონჩა, ანუ სუფრა სამეჯლიშო.

1117/1127

1 ამოდურად — სიამოვნის სახით.

2 უგემურად — შეუძლებლობის სახით.

4 მარტო დავრჩი, სევდა რამე შემომექცა გულსა მურად — სევედა, კაეშანი — სხვასა და სხვას საწუხარის ფიქრების წარმოდგინება. შემომექცა გულსა მურად — შემომექცა — შინაგან გულსა შემომესო. მურად — ვითარცა მურმან ჭურჭელი რამე მშვენიერი გააშაოს, ეგრეთ გულსა მხიარულსა სევდა გაამურავს, ესე იგი, მწუხარებისა და ურვისა მურსა შემოსს. მური, ანუ აღმური — ცეცხლი მურითურთ, ამას ემსგავსების გულისა და შინაგანის აღგზნება ნაღვლისა აღდუღებისა მიერ.

1118/1128

1 უკმოვახვენ სარკმელნი — ფანჯარა გამოვალე ჩემ კერძო.

2 კაეშნისზრდა — სევდის განმრავლება, ანუ განდიდება.

4 სულღებული ვიყავ შინა — სულღებული, ანუ სულდაღებული, ყოვლითურთ მდუმარებით და კრძალ[146r]ვით და მორიდებით რომ სჭვრეტდეს რასმე, რომ ვისაც უყურებს და მისს საქმეს სინჯავს, იმან ვერ იკრძანს და ამისი ყურება ვერ გაიგოს და ვერ შეიტყოს.

1121/1131

4 გვანითა — მსგავსებითა.

1122/1132

3 დავიწუხენ თვალნი ყოლა — დაწუხვა თვალისა, თვალის ქუთუთოები რომ მოუჭიროს ასე, რომ ცოტათლა რასმე ხედევდეს სინათლესა მზისასა, გინა სხვისა რაჲსამე. ყოლა — ყოვლად, სრულიად. ვერ შევადგენ ვითა მზესა — ვერ გავუმართე თვალი ეგრე, ვითარცა მზესა.

4 უკუმოვიხარჩ კარი ჩემკენ — საიღამაც უყურებდა ფათმან ხათუნ, იგი ფანჯრის კარები უკანვე გამოიხურა თავისკენ და მისი ჭვრეტა, ესე იგი ყურება ვერა გაიგეს რა მათ ქაჯთა, რომელთაც ნესტან-დარეჯან მოჰყვანდათ.

1123/1133

2 შუქნი — სინათლე განმრავლებულა.

1124/1134

3 ზედა დაღმან — ზევიდამ ქვევით, ანუ ზევიდამ დაბლა.
ჩაეპარნეს — ზევიდამ ძირს მიბარვით ჩასვლა.

4 დაევაჭრნეს — შეევაჭრნეს.

1125/1135

1 სარკმელი — ფანჯარა. გარდავაღეგ — ზევიდამ ძირს
დავუწყევ ყურება. შევიგენ — შევიტყვევ, ვსცან.

2 შევეუზახენ — მალლის ხმით და ძლიერის ხმითა კმა
ვუყავ.

3 შეასრივნეს — შეცურებასავით შეყარეს ზღვაშია. სრე-
ვა — გასროლად დაუწერია საბას, მაგრამ შესრევა — ზღვაში,
ანუ წყალთა შინა მღოვრეთა, რომელსაც წყალნი ზემორე პირსა მო-
იტივტივებს¹ და ზედან წყალსა შედგების ჟამსა გაცურდებიან, შეს-
რევა იგი არს, შემოადგეს — მახლობელ გარემო ქალისა დასდ-
გეს და ისე [146v] სცვიდეს, ვიდრე ფათმან მივიდოდა.

4 ჩავეგებე — ზემო ადგილიდამ ძირს სადამე ჩასვლით მი-
გებება. გამოგვარე — ესე იგი, რომელნიცა მას ქალსა სცვი-
დეს, მათგან მივითვალე. ზღვის პირს ხანსა არ დაზმიდეს — ზღვის
პირს დიდს ხანს აღარ დავაყენე, ანუ აღარ დავაგვიანე. არ დაზმი-
დეს — ხანს არ დაჰყოფდეს.

1126/1136

1 სიტურფე — ტურფა, მშვენიერი უსწორო, ანუ საიშვიათო.
ნაზობა — ნაზი შესაბამის დაწყნარებით და შვენიერის სახით
მოძრაობასაცა ნიშნავს. სინაზე მშვენიერთ კორცთა სიჩქოებას და
სილბილეს სუფთად, ესე იგი უბრყვილოდ, წმინდად, ჩჩვილად ყო-
ველთა სხეულთა ქონებას ნიშნავს. ნაზი დიას წყნარი, მშვენიერი,
სასიამოვნო, ნელი, სუფთა სახილველი. გრძნობათა მიმზიდველი სამ-
ქებროდ.

3 ნახაზობა — სახისა დასახულება, ანუ ხაზნი სახისანი,
ანუ დასახვა, გინა დახატვა.

4 მზობა — ამ სტიხის მეორეს ტაეპში მზესა ნიშნავს, ხოლო
ამა მეოთხე ტაეპში განმზადებულებასა.

1127/1137

2 აეტირნეს — ტირილი მოუვიდა.

4 ღარმან ზედათ მონადენმან — თვალთა ზემოთგან ცრემლისა
გარდამომადენტა. გააწყალნა ფიფქნი თხელნი — ფიფქი ახალი და

¹ მოიტივ

თხელი, ესე იგი, როგორათაც რომ ახალს თოვლს მოფიქქულს წვიმის წყალი დაეცეს და გააწყალოს, ეგ სახეთ, პირისა მათისა ფეროვნება ფიქქისა მსგავსი ცრემლთა დასხმამან ცვალებულ ჰყენა, ცრემლი ხშირი ლოყათა სითეთრესა ფერს შეუცვლის [147r].

1128/1138

1 მ ო ტ ი რ ე ს — ტირილი შეასრულეს. ნულარ გასწყვეტ, გაასრულე — ავთანდილმა უთხრა ფათმანსა, მაგ ამბავს, რომელსაც მეუბნები, ნულარ გასწყვეტო. გაასრულე — ესე იგი შეასრულეო.

4 შ ე ვ ე კ ვ ე თ ე — შევესაკუთრე ესრეთ, რომელ ვერღა მოვსცილდებოდი. გული და გონება სრულის ერთგულებით ვუძღვენ და შევესაკუთრე. შ ე ვ ე კ ვ ე თ ე ამას ნიშნავს, რომელ ასე შეაჩვიოს გული თავის საყვარელსა, რომელ ერთიცა მინუტი არ შეეძლოს მისი მოშორება. გ ა ვ ე ს უ ლ ე — ვესათნოვე, სათნო ვეყავ, იმანაც ასე შემეყვარა, რომ სიცოცხლედ და სულად მიმიტვალა, ისე შემრაცხა.

1129/1139

2 ც ი ს ა-კ ო მ ი, ც ი ს ა-კ ო მ ლ ი — რომელსა მრავალსაც უხმობენ. მრავალნი ვარსკულავნი ერთად შეყრილნი და ერთად მოსიარულენი მარადის სიარულსა შინა არა განეშორებიან ხაზთა მათგან, გინა ადგილთა, რომელსა ზედაცა ვლენან მარადის.

4 მ ო ნ ა წ თ ო მ თ ა — გარდამომწვეთელთა.

1130/1140

2 გ უ ლ-ა მ ო კ რ ჩ ვ ი ნ ვ ი თ — გულ-ამოსკენით, გულ-ამოჯდომით ტირილი, ამას ნიშნავს, რომ ძალიან გულის მწუხარებით და ქვითინის ცემით, კმა მალლად ტიროდეს, რომ ტირილის კმა ისმოდეს და თავსა და გულსაც აყოლებდეს მოძრაობით ტირილსა შინა, სიტყვით კი არას ამბობდეს, მაგრამ დიახ შესაბრალისად ტიროდეს და სალმობელად სრულის გულის მწუხარებით. გულ-ამოკრჩინვა არს ტირილი გულ-ამოჯდომით, როგორათაც ცეცხლი რა განხურდის ხმასა სცემს, ეგრეთვე გული კაცისა რა განხურ[147v]დების, შინაგანნი ცეცხლნი და ორთქლნი მწუხარებათანი ეკვეთებიან ორღანოთა მათ საცრემლოთა და მაშინ გამოსრული იგი კმა ტირილისა არს აღმოკრჩინვა.

3 კ ვ ლ ა ვ ა ც ზ ე მ ო გ ა ნ გ ვ ი მ ა რ ტ ე ბ ი ა. ბ რ ო ლ-ლ ა ლ ი — პირისა და ლოყათა სითეთრესა და სიწითლესა ნიშნავს. ღ ვ ა რ ი ნ ა რ გ ი ზ-თ ა — ღვარი თვალთაგან მრმდინარე, ცრემლი ხშირი. ნ ა რ გ ი ზ ნ ი, ესე იგი, ნ ა რ გ ი ზ ი ს ყ ვ ა ვ ი ლ ნ ი — აღმოსავლეთის მოლექსეთ

შვენიერის თვალბნობის უმსგავსებიათ. გ ი შ რ ი ს ღ ა რ ნ ი —
წამწამნი თვალისანი არიან.

4 გ ა ვ ხ ე — შვეიქშენ.

1131/1141

2 ზ ღ ა პ ა რ ი ყ ბ ე ღ ი ს ა — ყბედი ის არის, რომელიც ლაპარაკით რა დაილალება და ესეოდენს ლაპარაკობს, რომ მსმენელთა შესძაგლებათ და შესწყინდებათ. უმეტესად ნამეტნავედ ბევრი და უჯეროდ ლაპარაკი ყბედობა არის.

3 ღ ა რ ი ბ ი — უცხო ანუ მწირი.

4 გ ი გ მ ი ა — უარ-გიყოფია. ა რ ს თ ა მ ხ ე ღ ი — ყოველთა ღმერთი არს. ნესტან დარეჯან ფათმანს ეტყვის, თულა მკითხო ჩემი ამბავიო, არსთა მხედის ძალის მგმობარი იყოვო.

1132/1142

1 ვთქვი: უჟამოდ არ წესია, მოყვანა და მზისა კმობა — შუალამისას რომ კაცმა დაუძახოს მზესა, მზევ ამოდო, როგორ ამოიყვანს და ამაზე მეტი უწესო საქმე და უგუნურება რა იქმნება.

2 მომყვანელი გაშმაგდების და წავუვა ერთობ ცნობა — გ ა შ მ ა გ ღ ე ბ ა, ესე იგი, შეცთომილი და გიჟსავით შეიქნება და ცნობას და გონიერებას დაჰკარგავს, ესე ვითარის საქმის მცდელი კაცი [148r].

3 კმობა¹ უნდა ჟამიერად — კ მ ბ ა, ესე იგი, მოწვევა საქმისა ყოვლისავე თვისსა დროზედა და ჟამზედ უნდა. ღ ა ს ა ა ჯ ო ს ა — ესე იგი, სათხოველისა ყოვლისავე თხრობა ვისგანაც უნდა თხოვნა თვისსა ჟამზედ უთხრას და ჯერ არს რათა მოითხოვოს.

1133/1143

1 ნ ა ქ ე ბ ი — ქებული. უ ქ ი — უქებელი.

4 ცრემლსა სეტყვს² და ვარდსა აზრობს, წამწამთაგან მოქრის ბუქი — ცრემლთა სეტყვა გრგვალ წვეთ-წვეთებად გარდმოყრილს ცრემლს ნიშნავს. ვ ა რ დ ს ა ა ზ რ ო ბ ს — ლოყათა ვარდის ფერთა ზრავს. წამწამთაგან მოქრის ბუქი — ბ უ ქ ი — ქარი რომ თოვლს აიღებს, დააყრის მოგზაურსა მას ნიშნავს, ანუ ყვავილთა წალკოტსა და მტილისათა ქარი აყრიდეს რა თოვლს და ზრვიდეს, ეგრეთ წამწამთაგან ნესტან დარეჯანისათა თოვლის სახედ მოქროლვილნი ცრემლთა ბუქნი ლოყათა ვარდთა და ფეროვნებათა ზრვიდეს.

1134/1144

4 ვ ნ ა ხ ი ხ ა ღ ვ ი თ — ხალვა სპარსული არის, მარტო რომ

¹ კმობდა

² სეტყვის

ოყოს კაცი დაფარვით, იტყვიან მისთვის ხალვათად არისო. მარტო ყოფასაც და ერთის ორის ადამიანით ყოფასაცა ხალვათად ყოფნა ჰქვიან. ფათმან-ხათუნ რომ იტყვის, ვნახი ხალვითაო — საიდუმლოდ და მარტოდ ნახვასა ცხად ჰყოფს. ზანგი — შავი აფრიკის კაცთაგანი, გინა შავთა არაბთა.

1135/1145

1 მე გლახ მისი ყოფა-ქცევა — მე შესაბრაღისი მისი ცხოვრება, მას ჟამს, ანუ ყოფა-ქცევა.

2 ფრქვევა — ჰკურება, ბნევა, კელით რომ წყალი დააპყროს კაცმან მრავალ ცვარად, მის სახედ ცრემლთა ფრქვევა.

3 თნევა — სათნო ყოფა, ჰხვისა პატივისცემისა და [148v] დაჯერებისათვის ნების აღსრულება. დაჯერება თხოვილისა თნევის ნიშნავს.

4 ჰაი ჩემთვის ვაგლახ მე — ვა, ვაგლახ მე — ვაებისა და გლოვისა საქმე, რომ თავის თავზე მიიწვიოს კაცმა. ვა, ვაჰსამწუხარო. კმა.

1136/1146

1 გუბეები — გუბე, წყალნი, ანუ წვიმანი, ერთსა ადგილსა შეკრებული და მდგომარე, ესე იგი, არა მიმდინარე, დაგუბებული.

2 გიშრის შუბები — წამწმები არის.

3 მელნისა ტბათთ იღვრების, სავსე სათისა¹ რუბები — მელნის ტბად სახვენ მშვენიერისა თვალებსა მესტიხენი. იღვრების სავსე სათისა რუბები — სათი შავი გიშერი არის. რუბი — გრგვალი სასმელი თასსავითა, რომელიცა თვალთა ჭურჭელსა მიაშგავსა. სათისა რუბი, საიდგანაც ცრემლი იღვრებოდა, ესე იგი, ჭურჭლისა მისგან გრგვალისა, რომელიცა არს გიშრისა, ესე იგი რუბი, მას ამსგავსა თვალნი. რუბი არაბულად მეოთხედი არის, მაგრამ სასმელს გრგვალს თასს, ანუ ფიალასაცა ეწოდება.

4 შუა ძოწსა და აყიყსა, ჰვირს მარგალიტი ტყუბები — ძოწი და აყიყი ორნივე მშვენიერად სახილველნი წითელნი არიან, რომელთაცა ტურთა მშვენიერისათა ამსგავსებს მესტიხე, ხოლო საშუალ მათსა რომელი ჰვირს, მარგალიტი იგი კბილნი მშვენიერისანი არიან მიმსგავსებული მარგალიტისა. ჰვირს — მჰვირვალეა ანუ გამოჰვირვა, რომელიცა ელვარებასა თვისისა ფერისა მეზრ გამოსცემდეს. გამოს ჰვირს — გამოიყუ[149r]რების სასიამოვნოსა თვისებისა

¹ სათის

მებრ თვისისა ელვარებითა. ს ა რ კ ლ მ ი თ — ბრწყინვისა გამოცემა.
ტყუბები — ურთიერთსა თანა თანასწორად მიკერით შეტყუბვილ-
ნი. მარჩბივად მსხდომარენი ერთი ერთისა თანა.

1137/1147

2 ეგრე გასული რისაგან — სინხარულისაგან და გონებისა და
გულის დაწყნარებისა და დამშვიდებისაგან რაჟსა მიზეზითა ხარ
განსრული.

3 მჩქეფრად — სისხლისა ნაკადი წყალი რომ ჩქარად იხ-
მოდეს, ასე რომ აღუღებულსავით კმასა სცემდეს და ქაფსავით თეთ-
რად იხილვებოდეს და წვეთებს ისროდეს, ესე არს სიჩქარით მოძრა-
ობა წყლისა ერთი გვარი ეგრეთ თვალთაგან ნესტან-დარეჯანისათა,
სისხლის ცრემლთა ნაკადი მჩქეფარედ დამოედინებოდა. ნაკადი
ზემოთაც განგვიმარტებია, ნაწილი რაჟმე მცირელი მომდინარის
წყლისა. მოსდის ალვის სახისაგან — ალვა — ტკბილი, შაქარლა-
მა. ალვის სახისაგან — ტკბილის სახისაგან. ალვის ხე —
მშვენიერთა ტანადობასა ნიშნავს, მაგრამ აქ კი ტანადობაზედ არ
არის თქმული ალვა, ამად რომელ ალვა ხეც არის. და ალვა —
ტკბილს და შაქრით შეზავებულთ სანუკვარსაც ნიშნავს.

4 მას კორციელი ვერ გასძლებს, სხვა კიდეგანი ქვისაგან — იმ-
დენს მწუხარებას, რასაც ნესტან-დარეჯან თავის თავს აძლევდა, რო-
მელ კორციელი გასძლებს თუ ქვა იქნება, ის არ ვიცი, და თუ ან
გრძნობით და გულით ქვასავით უგრძნობელი იქნება ვინმე, რომ
იმან გასძლოს იმდენი ჭირი და მწუხარება. [149v].

1138/1148

1 საბურავი — დასახურავი.

2 რიდე — თავზე მოსახვევი შალი, ანუ სხვისა ქსოვილისა რი-
სამე ფარჩისა მსუბუქისა. მიწყვი — წამსა და წუთსა, ანუ მარა-
დის. რიდე — თავ მოსახვევი, ზემოთაც ითქვა და ყაბაჩა — ქა-
თიბსავით მოკლე კაბაზე ზევიდამ ჩასაცემელი. ყაბაჩა — ზევიდამ
ჩასაცემელი მოკლე ქათიბივით. კაბაჩა — კაბიდამ არის კნინობი-
თი სახელი. კაბა, ყაბა სპარსული არის.

3 სასთუნელი — თავით დასადებელი დასაწოლად.

1139/1149

3 რაგვარ რისა — როგორი, რაგვარი, ვითარი, რისა, რა-
ჟსა.

1140/1150

1 ხანი — დრო, განა ჟამნი.

2 ვერგავანდეგ — ვერ უთხარ და ვერ გამოუცხადე საი-
ღუმლოდ ჩემს ქმარსა, რომელ შესმენის, ესე იგი დაბეზულებისა.
(მეფესთან) მეშინოდა. მქონდა რიდი — მორიდება მქონდა.

3 თუ ვუთხრობ — თუ ვეტყვი. დარბაზს — სასახლე-
ში, ანუ მეფეთა პალატში. გამამყვანებეს — გამომაცხადებს.
იგი ფლიდი — განმცემელი, ცრუ, ენის მიმტანი, რომ თავისი
ენის მიტანითა კაცი მოიმადლოს. ფლიდი — პლუტი. ფალიდ
იგივე არს.

4 ესე მეყო საგონებლად, კვლავ შევიდი, კვლავ გავიდი — ეს
შემექმნა მარად ჟამ საგონებლად, შევიდოდი ნესტან-დარეჯანთან,
თუ გამოვიდოდი, სულ იმას ვფიქრობდი (უთხრა ჩემს ქმარს თუ
არა).

1141/1151

1 ჩემგან რა მოეგვარების — ჩემგან რა გაზოიჩევა ამ საქმეზე,
ანუ რა უნდა ვყო და რაგვარად [150r] დავიჭირო საქმე.

2 არცა რა ვიცი რა უნდა (ესე იგი ნესტან-დარეჯანს) ანუ რა
მოეხმარების — ან რა საქმე და ვინ მოეხმარება და როგორ, რო ესე-
თი სამარადისო მისი მწუხარება განქარდეს.

3 ქმარი რა მიგრძნობს, მოცა მკლავს — ქმარი თუ შემიტყობს
მომკლავს. მიგრძნობს — შემიტყობს. ვერლარა მომეფარების —
ვერლა რამე დამიფარავს სიკვდილისაგანო. მოფარება — რო-
გორათაც ციხის კედელი, ანუ ზღუდე რამე დაიფარვიდეს კაცსა
ბრძოლისაგან.

1142/1152

1 მე გლახ მარტომან — მე საწყლად მარტომან.

4 ფიცისა გაცუდება — ფიცის დარღვევა, ფიცის გატეხა.

1143/1153

1 ველაღობე — ლაღობა და ხუმრობა და ალერსი დავუწყე-
ველაციცი — კელითაც ხუმრობა და თამაშობა დავუწყე. ლა-
ციცი ამასაც ნიშნავს, საყვარელსა შეტრფობით, სახით, პირით,
თვლით, წარბით, ასე უალერსებდეს, რომელ რეცა ზედ ელეოდეს.

4 თავიცაო კლდეთა ვიცე — თუნდა თავიც რომ კლდეზედ მი-
ხალონო, მაშინაც არავის ვეტყვი მაგ საიდუმლოსაო.

1144/1154

3 ლმობიერსა — გულით შემწყალებელს, ანუ გულთ შემ-
ბრალებელს, გულჩივილსა.

4 მოგაჩვენებ — მოდი გაჩვენებ. მოგაჩვენებ — რეცა გასაქრომელსა რასამე და განსაკვირვებელსა რასამე თვალთა შენთა წამოვუდგენ.

1145/1155

1 ს რ ი ს ა ნ ი — კარნი სრისანი, კარნი მათისა სასახლისანი.

2 გ ა ც ა კ რ თ ა — საკვირველებამ აღიტაცა და გაკრთა.

3 რ ა ნ ი ა ნ ე ტ ა რ რ ი ს ა ნ ი — რა არის და რა მსა[150v] გან კაცისა ნათესავი არს თუ ზეციერი რამ.

4 თუ კორციელი არის მცა, თვალნიცა რისხვენ ღმრთისანი — თუ ეს კორციელი არის და კაცის ნათესავი, შეიძლება რომ ამას თვალნი ღმრთისა რისხავდეს.

1146/1156

3 ხ ე ლ ო ბ ა — ტრფიალებით გონება შეშლილობა.

4 ნ თუ რა გვითხრას ვეაჯნეთ — ეგების გვითხრას რამე ვე-
აჯნეთ, ესე იგი შევევედრნეთ. აჯა — ვედრება არის არაბულად
ქნას დიდი ღმობიერება — ქმნას ჩვენი შეწყალება და გვითხრას თა-
ვისი ამბავი.

1147/1157

3 მთვარედ შუქ ნამკრთალად — ნესტან-დარეჯანს იტყვის, რო-
გორათაც მთვარის შუქს აკრობდეს, ესე იგი სდევნიდეს ღრუბელი,
ეგრეთ უსაზომო მწუხარებასა ნესტან-დარეჯანისასა ჰვარვიდა.

1148/1158

2 ვარდი ერთგან შეეწება — ვარდსა ტურთა მშვენიერთა ნესტან-
დარეჯანისათა იტყვის. ე რ თ ა დ შ ე ე წ ე ბ ა — სასაუბროდ ტუ-
ჩებს არა ხსნიდა და ჩუმად იჯდა, რომ პასუხს არას უგებდა. მარგა-
რიტსა არ აჩენდა — ესე იგი, კბილნი, ლაპარაკში გამოჩნდებიან და
ის რომ ჩუმად იჯდა და არ ლაპარაკობდა კბილთა, რომელსა მარგა-
ლიტს ამსგავსებს, არ უჩნდა.

3 გველნი მოშლით მოეკეცნა, ბალი შეღმა შერაშენდა — გველ-
თა ზილფთა მშვენიერისათა ამსგავსებენ მეშაირენი (ტრფიალისა გუ-
ლისა განგმერელთა). ბალი შეღმა შერაშენდა — (მე ესრეთ ვგონებ).
როდესაც რომ ფათმან და იმისი ქმარი უსინ ჰკითხვედნენ ნესტან-
დარეჯანს, რომ იმისი ამბა[151r]ვი და ვინაობა შეეტყვოთ, ნესტან-
დარეჯანს რადგანაც არ ნებევდა გამოცხადება თავისის თავისა, მალ-
ლა აიხედა და თვალნი და პირი მოარიდა ფათმანს და იმის ქმარს და
მალლა ახედვაში ზილფები თმისა მოეშალა და მოეკეცა. ბალს იმის
მშვენიერს პირის სახეს უწოდებს მელექსე, შეღმა შეეწება ას
მალლა ახედვას პირისასა. პირის სახე ბალად ამისთვის უთქვამსთ,

რომ რადგან ვარდი ლოყებია და სხვასა და სხვას ნაწევარს პირის სახისას სხვასა და სხვას ყვავილთა ამსგავსებენ და თმათა თავისათა, რომელიცა პირის სახესავე ზედა აქვსთ განსაშვენებულად ლოყათა მახლობელ, მას სურნელსა რუპანსა ამსგავსებენ. ესე აღმოსავლეთისა მოშაირეთა არიან აზრნი და შემსგავსებანი ესე გვართა მეტაფორითანი.

4 მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედან რამცა გაგვითენდა — ნესტან-დარეჯანს ამ ფათმანისაგან და იმის ქმრისაგან გამოკითხვის ჟამსა კავნი და ზილფნი, რომ მოშლით პქონდა და პირის სახეს უფარვიდა, რადგანაც ზილფებს გველად დასახვენ და ესეც მელექსეთ შორის არის ნათქვამი, მზე რომ დაბნელებდა და ელვარება მისი და ბრწყინვალეობა მისი რაოდენსამე ჟამადმდე, ველარ ანათებს ქვეყანასა, იმის ვეშპისაგან მზის დაბნელებას, ანუ შთანთქმას უწოდებენ და რომელსამე ვარსკულავსაცა გინა ზვოლიაქოსა გამოსახვენ ვეშპის სახედ და როგორათაც ის ვეშაპი მზეს, ანუ მთოვარეს დააბნელებს, ეგ სახედ მზის სახედ ნესტან-დარეჯანის პირს ახსენებს და ვეშპის სახედ იმის ზილფებსა, და რადგან მზე დაგვიბნელდაო, ფათმან ამბობს: ზედან რამცა [151v] გაგვითენდა — რაღა გაგვითენებდაო, რადგანაც ნესტან-დარეჯანმან არა შეგვატყობინა რა თავისი ამბავით, პირზედ ზილფნი დაიფარა და მალლა იხედებო, რომ პირი მოგვარიდოს და არა შეგვატყობინოს რა თავისიო.

1149/1159

1 ვერა დავყარეთ პასუხი — პასუხი ვერა გამოვართვით რა, პასუხი არ გაგვცა, ანუ არ გვიპასუხა, ვეცადენით, მაგრამ პასუხი ვერა მივიღეთ რა მისგან. საუბარი — სალაპარაკო, ანუ ლაპარაკი, რასაც საქმეზე.

2 ვეფხი-ავაზა პირ-ქუშად ზის წყრომა ვერ ვუგრძენითა — ავაზა ვეფხი არის, მაგრამ სხვაგვარი. და არა დიდი, როგორათაც ვეფხი, პატარა, ქრელი და ლამაზი ვეფხის გვარი ცხოველი არის. პირ-ქუშათ — მწყრალის სახით რომ სჯდეს ჩინებული ვინმე გვამი ასე, რომ სიტყვის მოხსენება ვერაგინ გაბედოს. სიტყვით კი არას ამბობდეს, მაგრამ მღუმარედ იჯდეს გამწყრალის სახითა. წყრომა ვერა ვუგრძენითა — თუმც სახით მწყრალათ და გაჯავრებული იჯდა, მაგრამ სიტყვით კი წყრომა რამ ვერ ვუგრძენით, სიტყვით კი ვერა შეგამცნივეთ რა წყრომა.

3 კვლავცა ვაწყინეთ ატირდა, მჩქეფრად ცრემლისა დენითა — კვლავცა ვაწყინეთ, ესე იგი, კიდევაც ვკითხეთ. ატირდა — ტირილი

იწყო მჩქეფრად, ცრემლისა ღენითა ჩქეფა. ჩქეფა — წყლის მალ-
ლიდამ გარდმოდინებაში სიჩქარით მოძრაობა და იმ კვეთებაში ხმო-
საც გამოცემა.

4 არა ვიცით, მიმიშვით, ესოდენ გვითხრა ენითა — ესოდენ
მხოლოდ გვითხრა [152r].

1150/1160

1 ცრემლი ვლამეთ — ცრემლი ესოდენნი დამოვადინეთ.
რომელ ლამი, ესე იგი, ტალახი წვლილთა შავთა ქვიშისა მტვერთა
შესაძლებელ იყო, როგორათაც წყალნი მტვერთა წამოიღებენ და
ლამთა გააკეთებენ, იმას შეამსგავსებს, ბანოვანნი ესე იგი დედანი,
რა იტირებენ და ცრემლსა სურმა თვალისა ჩამოჰყვება, რეცა იგი
არს ლამთა წყალთა მიერ მოტანილთა სახენი.

2 რაცა გვეთქვა, შევინანეთ, სხვამცა რაღა შევიწამეთ¹ — რაცა
ჩვენი თქმული იყო ყოველივე შევინანეთ. სხვამცა რაღა შევი-
წამეთ — სხვა რაღა მოსწრაფება გვექნებოდა თქმისა, და ან რა-
ღას უკვე მომატებულს იჭვში უნდა შეგვეყვანა ჩვენგან იმის წყენისა
და განუსვენებლობისაში, რადგანაც არ იამებოდა იმას თავის ამბავის
კითხვა და მარადის წინა აღმდევად მიიღებდა, თუ ვისმე უნდოდა
იმის ამბის ცნობა. შევიწამეთ, დავიყვედრივეთ ასეც ითქმის. შევი-
წამეთ — ცილ-შეწამებული ვიქმენით, ასეც ითქმის. შევიწამეთ
— ამასაც ნიშნავს მოსწრაფებაში შევედით.

3 ძლივ ვიაჯეთ დაღუმება — ძლივს გავბედეთ შეხვეწნა, რომ და-
ჩუმებულყო და გაეშვა ესოდენი ტირილი. დავადუმეთ — და-
ვაჩუმეთ. დავაამეთ — როგორათაც ტკივილისაგან კაცი მოსვე-
ნებული შეიქმნას, ეგ სახედ მწუხარების დატევებაც მას ემსგავსება.

1151/1161

1 ჭირნი ამან ამიხოცნეს² — ჭირნი და მწუხარებანი ამან გა-
მიქარვოს, ამიხოცოს. ახოცა — ძირითურთ აღმომიფხვრას და მის-
გან სრულიად თავისუფალ მყოს [152v].

2 ესე დაწვნი მზისად კმანან, კაცთაგანმცა ვით იკოცნეს — ნეს-
ტან-დარეჯანისა დაწვნი, ესე იგი ლოყები, ციერთა მნათობთა შესა-
ბამი არის საკოცნელად და კაცნი არა ღირსან იმის შეხებისაო.

3 უმართლეა ვერ მჭვრეტელმან, თუ პატიჟნი იასოცნეს² — ესე
ვითარის მშვენიერის თვალით ყურებისა და ჭვრეტისა მომშორებულ-

¹ შევიწამეთ

² ამიხოცნეს

³ ასოცნეს

მან თუ ჭირი და მწუხარება ას ოც წილად გაამრავლოს და გააძლიოს, არ გაიმტყუნება, არამედ უფროს და უმეტეს გაპართლდება, რომ ესე ვითარის მწუხარების მიღებას ღირსი არის, ვინც ესე ვითარს მნათობს მოშორდება. პ ა ტ ი ყ ნ ი — ჭირნი და მწუხარებანი. პატყენი ჭირთა და მწუხარებათ შემთხვევას ნიშნავს. ჭირთა და მწუხარებათ ასოც გვარად გაპყოფენ რომელნიმე სწავლულნი ბრძენნი.

1152/1162

1 სულთქმა ასით — სულთქმა — სული მწუხარე გულსა კაცისასა აძლევდეს რა ფრიადსა შინაგანით ურვისა გრძნობასა და შეაიწრებდეს სამშვიდველთა, მაშინ სხვა და სხვა სახედ მშვიდვითა კაცსა ასაჭიროებს ოხვრასა და ხენეშასა, რომელთამე ნელიადთა და სხვათა კმისაცა საჩინოებითა — ახ, ვახ, ვაჟ, უჟ და სხვანი.

4 გული ჩვენი გაუშვებლად, დაეტყვევნეს მისის მახით — გაუშვებლათ ესე იგი, მტკიცის შეპყრობით დაეტყვევებინა მისის მახით. მახესა მოლექსენი მშვენიერთა სილამაზეს უწოდებენ, როგორათაც მახე შეიპყრობს მფრინველთა, გინა ნადირთა, ეგ სახედ [153r] მშვენიერება გულსა ტრფიალთასა შეიპყრობს.

1153/1163

2 ძოღანი დგან — ამასაც დანიშნავს, რომ სამი ოთხი დღისა, ანუ უმეტესის განვლილის დღეთ წარსრულსა დროსა. ძოღან, ძოღანის, ძოღანი დგან — ერთის წლის განვლილს დროთასა დანიშნავს რომელსამე დღესა.

3 მივავზირებ, თუ მივავზირებ, თუ მიჩრევე, უღარბაზო, პალატსა მისსა ვესტუმრო.

1155/1165

1 ნადიმად მჯდომელი — მეჯლიში მჯდომელი, მეფეს, რომ დიდებულნი ახლდებიან და ვინც ღირსი არის მასთან ჯდომისა, იგინი ისხდებიან სმასა და შექცევაში იქმნებიან, ნადიმად ჯდომას ნიშნავს.

2 უსენ არიფი მეფისა და მეფე მისი მდომელი — არიფი ერთი მეორის აზრზედ მდგომი, ესე იგი, მე ვისიმე ვარ მას აზრზე თანახმა, ანუ ამხანაგი, რომელსაც აზრზედ იგი დგას (ანუ რომელსაც აზრსა თუ საქმეს იგი იპყრობს, უყვარს და აღასრულებს). არიფ — ესე იგი, ნერიფ არაბული სიტყვა არის, ნიშნავს მეგობრობაში, ვინა ჭკევაში თანასწორობას და თანახმაობასა ნიშნავს, გინა ურთიერთის სიყვარულშია თანასწორობასა.

4 ცქაფი — მსწრაფლის ქცევისა, ანუ კელფეს მსწრაფლი. ცქაფი, უწფელი — ჩქარი, წინ დაუხედავი, ანუ საქმისა ვერ

განმანჯველი და თავკედი. უწფელი — ზნეობაში სუსტი და არა
ეგრეთ მქცევი, ვითარცა შვენის კეთილის ზნის მეცნიერსა კაცსა მოქ-
ცევა, გაუთლელი კაცი არისო ქართულს საუბარში რომ იტყ-
ვიან, უწფელი ის არის.

1156/1166

1 დოსტაქანი — ღვინის სასმელი დიდი ბაკალი, მაშრაფა.

2 ფარჩი — საღვინე მომცრო, რომელსა კელადას უწოდენ,
ვეცხლისა იქმნება მეფეთათვის, კელადება და იმითი დაუსხმენ ღვი-
ნოს, რაცა ნებავსთ [153v].

3 რა მუსაფი, რა მაქანი — სჯულის წიგნი, საფიცარი აგარიან-
თა. მაქანი — ადგილი წმიდა მათი. მაქან არაბულად ადგილს
ეწოდება, და მათ რომ თათრების სალოცავი არის, მას ეწოდება.

1157/1167

3 უმსგავსო — უსწორო, შეუსწორებელი, რომლისა სწორი
არ იხოვებოდეს. უმსგავსო — ოდესმე ცუდი რამ რომ იყოს და
არა თვისისა ბუნებისამებრ მშვენიერი, მას ზედაც მოიღება და უგვა-
რო და უკანონო საქმესა და ლაპარაკზედაც, მაგრამ აქ სამქებროდ
არის ნათქვამი.

4 ნაათალი — მეათედი წილი.

1159/1169

3 მას უცილოდ — ესე იგი, მას უეჭველად.

4 ნეტარძი — სანატრებლად ღირსი, ნეტარებად მისათვალ-
ველი.

1160/1170

4 დარბაზი — მეფეთა კარი.

1162/1172

2 ქალო მსგავსი მზეთა ორთა — ორი ანუ ორიონი არს.
ორიონი ის არის, ოდეს ცაჲ განწმედილი იქმნება და დილას მზის
აღმოსავლის დროს ნათელი მზისა შარავანდელისა გამოჩნდება მშვე-
ნიერად აღმოსავლეთით.

1164/1174

2 მიმუხთლა — მიღალატა (ამას ნიშნავს). მუხთალიძე-
არაბული ლექსია, წინა აღმდეგად გამოითარგმანების.

1166/1176

4 აჯილა — ჩადრი, ზეწარი ანუ თერისტრო, რომელსაც წა-
მოისხმენ აზიურნი ქალები. პირსა და ტანსა მით დაიბურვენ და ეგ-
რეთ გამოვლენ ქუჩაში, ანუ წავლენ სადმე.

1167/1177

1 ს ა ტ უ რ ტ ლ ე — განძთა და სიმდიდრეთა შესანახავი სახლი.

1168/1178

3 ტ ა ბ ლ ა კ ი — დაბდაბი, ფაფი. გინა ლა[154r]ტავრი დიდი დასაკრავი. ტ ა ბ ლ ა კ ი ზურნა ნალარისა საკრავი. გახდა ზარი — ზ ა რ ი რომ გაუკვირდებთ რაძე ხალხსა იმა საკვირველებისა გრძნობას ნიშნავს. ზ ა რ ი შიშისაგანაც დაეცემა კაცსა.

1169/1179

1 ზ ე ლ ა მ ო ა ტ ყ ე ლ ა — მკერეტელი გახდა. ზ ა თ ქ ი და ზ ა რ ე ბ ი. ზ ა თ ქ ი დიდი ხმიერება. ზ ა რ ი ზემოთ განიმარტა.

2 ს ა რ ა გ ნ ი — ანუ ს ა რ ა ნ გ ნ ი — ჯარის მოხელენი.

3 ს ა რ ო ს ა მ ს გ ა ვ ს ი ნ ა რ ე ბ ი — ნასიარულევი, მოარული სარო. სარო ხომ საკვირველი თანასწორი ხე არის, ტანადობას მშვენიერისას მას ამსგავსებენ სტიხის მოქმედნი. მ ო ი გ ვ ა რ ე ბ ი — მოიყვანები.

1170/1180

1 თ ვ ა ლ ი ს ა მ ფ ა რ ე ლ ა დ — როდისაც მზეს შევხედავთ, მაშინ რადგან თვალს ვერ გაუმართავთ, ვიწყებთ თვალთა ქუთუთოებით ფარვასა, ავაზილებთ და დაეხუჭავთ, ხშირ-ხშირად თვალის ფახვა ამას ნიშნავს, რომ სახედველსაც აგვირევს.

4 ხ ე ლ ნ ი თ უ რ ბ ო დ ე ნ ა ხ ვ ე ლ ა დ — ხ ე ლ ნ ი სიყვარულით გაგიკებულნი. ა ხ — შორისდებული განკვირვებით ხმა არის. ვ ე ლ ა დ — მინდვრად.

1172/1182

3 ვ ა რ დ ი ე რ თ ვ ა ნ შ ე ე წ ე ბ ა მ ა რ გ ა ლ ი ტ ს ა ა რ ა ლ ე ბ დ ა — ვ ა რ დ ი — ტუჩნი შეეწება, ესე იგი, არ ლაპარაკობდა, არამედ მდუმარედ იჯდა. მარგალიტნი კბილნი არიან მშვენიერისანი და რადგან ხმას არ იღებდა და არ ლაპარაკობდა, კბილებიც ამისთვის არ გამოუჩნდებოდა.

1174/1184

1 ა ნ უ ა რ ის ბ რ ძ ე ნ ი ვ ი ნ მ ე მ ა ლ ა ლ და მ ა ლ ი ა დ მ ხ ე დ ი — მ ა ლ ა ლი სიბრძნითა და გონებითა. მ ა ლ ი ა დ მ ხ ე დ ი — ყო[154v]ვლისავე საქმისა და სიბრძნისა ადვილად და მსწრაფლად მხედველი და გამგონებელი და მიმხვედრი.

1178/1188

1 უ ფ ლ ი ს - წ უ ლ ი — პირმშო შვილი მეფისა.

2 დაუდგეს ტახტი ოქროსა, წითლისა¹ მალრიბულისა — წითელი ოქრო — იალღუზის ოქროს რომ ეძახიან ის არის, რომელიც რომ ვენეციაშიაც კეთდებოდა ადრევე, არა თუ ჩერეონეც, რომელსაც ბაჯადლის უწოდებენ, ეს სულ სხვა ოქრო არის. მალრიბული — ესე იგი დასავლეთის ქვეყნისა. მალრიბი — დასავლეთს ეწოდების სპარსულად და არაბულად და წითელი ოქროს ეწოდების ქართულად. ყოვლითურთ წმინდასა და ურჩეულოსა ოქროსა წითელი ეწოდება.

1179/1189

1 ხადუმი — საჭურისს ეწოდება არაბულად. ხადიმი — ლექსი ესე წარმოვებს ხიდმათიდამ, რომელიცა ნიშნავს სამსახურსა. ხიდმათი — ნიშნავს სამსახურსა, ხოლო ხადიმი — მოსამსახურესა.

3 უზომო — უმრავლესი, ქართული არის. მუქაფად — ეს სპარსული სიტყვა არის. მუქაფა ნაცვალის გებას ნიშნავს.

1181/1191

4 რა მისჭირდეს — რა საქმე გაუძნელდეს და განწირულებაში იყოს კაცი შემთხვეულებისაგან.

1182/1192

2 მოლორებულ ხართ — მოლორებულ ხართ, მოსტყუებულხართ. ეს ლექსი ამ საქმიდამ წარმოდგება. მოლორება რათ ეწოდება მოტყუებას, როდისაც ღორის დაკვლა უნდათ, მოვა პატრონი და უყურის ცოტ-ცოტათ საჭმელს ან სიმინდს, ან ქერს, ან ესე გვარს რასმე ცოტ-ცოტათ უყრის [155r] გზაზე და ისიც მისდევს ჭამით. ამ სახით სახლში შეიტყუებს და სახლში რომ შეიყვანს და უყრის კიდევ და ჭამას² დაუწყებს ღორი, მაშინ პატრონი კარებს მიუხურავს და დაიჭერს ღორსა. მოლორება მოტყუებას ამისთვისაჰქვიან.

4 ნობა — საყვირი, ბუკი, საყვირი დიდი, ტაბლაკი საკრავი დაფთა მსგავსი. ნესტან-დარეჯან ეუბნება ხადუმებს, თქვენი პატრონი ცუდად შვრება და ამ საკრავებს აკვრევიან და ლხინი აქვსო. ამისთვის შე თქვენი არა ვარ და არც ჩემი გული³ თქვენ შეგვერთებათო, სადაც ორისავე მხარით ერთობა და თანახმობა არ იქმნება, იქ ცუდათ ჩაივლის ლხინიც და მხიარულებაცაო.

¹ წითლის

² ჭამს.

³ გულ

1183/1193

1 ჩემი გზა კიდე განია — კიდე განი, სრულიად სხვა გან-
სხვავებული გზა, გინა საქმე.

3 სხვასა რასა მნუკავთ — რას გამოელით ჩემგან, ანუ რა იმელა
გაქვსთ ჩემზედ.

4 შესაგვანი — შესაფერი, არ შესაგვანი — არ შე-
საფერი.

1184/1194

2 ხანასა — დროსა, ჟამთა ანუ ხანთა.

3 საჭურჭლე — სიმდიდრე, მდიდარი ნივთები, მრავალი
თვალ-მარგალიტი. მძიმე მარტყია ტანასა — ტანასა, ესე იგი
შიგნიდამ ტანზე მარტყია.

4 ნანასა — ნანვასა, სინანულსა.

1185/1195

2 ერთობ — სრულიად, ერთბამად, ერთიანად, მრთლად, უკ-
ლებლად.

1187/1197

3 ეტლთა რბენა — დრთხს მომდინარეობისა, სვისა და ბედისა
ჩარხი.

1188/1198

3 სხვანი კარნი გამოარნეს — სხვა კარით გამოიყვანეს [155v],
სხვა კარიდამ გააპარეს. იჯაფვოდა ხალხის სიმრავლისა გამო, იწრო-
ებასა შინა ფრიადსა იყვნენ მუნ მყოფნი.

4 დარჩა მთვარე გველისაგან გავსებული ჩასანთქმელი — მთვა-
რის გველისაგან, ანუ ვეშაპისაგან ჩანთქმას აღმოსაველეთის მელექსე-
ნი მთოვარის დაბნელებასა უწოდებენ, თხუთმეტის დღისა სრული
მთოვარე რომ დაბნელდება.

1189/1199

1 გარდიხვეწნეს — ესე იგი, გარდაიკარგნეს, გაპარულნი
მას ადგილს განშორდეს და სხვას თემს მიმართეს, საცა შიში არა
ჰქონდათ შებყრობისა და გარდახდევინებისა.

1190/1200

2 მუქაფა — სამაგიერო. შემოგზღოს — მაგიერი მოგცეს.

1191/1201

3 ჰკვანდა ოდეს ლომსა შეჯდეს, მზე მნათობთა უკეთესი —
ლომის ბურჯში, ესე იგი ლომის ზოდიაქოში, როდესაც მზე

შევა, მაშინ უმეტესს ბრწყინვალეობას და ძლიერებას აჩვენებს ყოველს თვეზე უმეტესსა და მზე ყოველთა მნათობთა და ვასკულავთა ზედა უმეტესად აბრწყინვებს და ატრფობს ქვეყანასა, ეგრეთვე მნათობთა ქალთა ყოველთა ზედა უკეთესი იყო ნესტან-დარეჯან.

1193/1203

1 დაწბილებულნი — როდისაც ვნებათ მოყვარე კაცი ვერ აღასრულებს თავის სურვილს და რასაც ეძებს ამის გზა დაეკარგება, გაწბილებული შეიქმნება.

3 ისფრიოთაღებულნი — ისფერი ფერიც აზიურისა ზნეობითა და ჩვეულებითა სამგლოვიარო ფერი არს, მსუბუქი სამგლოვიარო.

1194/1204

3 მეგლახ ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი — მე [156r] გლახ ვიყავ — მე საბრალო ვიყავ მისი ნეზვიო. ნეზვი — დედალი თხა არის, ვაცი — მამალი თხა. ტარიელისა და ავთანდილის ამიკობას ამსგავსებს ლომთა და ვეფხთა ამიკობას და ჩაჩნაგირისა¹ და ფათმანის ამიკობას თხათა ამიკობასა, ალიგორიულად ნეზვისა და ვაცთა ამიკობას უგვირგვინოთ და არა სჯულიერად შეერთებასა უწოდებს.

4 კაცსა დასვრის უგულობა — ესე იგი, კაცს გასვრის ქალაჩუნაობა, სიჯაბნე და სიმხრდლე, ესე იგი ომში და ბრძოლაში რომ მოშიშარი იყოს, პირველი კაცისათვის ბიჭი და ნაკლულევენება და დასაძრახავი საქმე ეს არის. მოშიშარი და ქალაჩუნა კაცი, რომ იყოს, ყოველგან იგივება, ეგრეთვე და დიაცსა ბოზი ნაცი გასვრის და შეარცხვენს და ყველგან მოყივნდება იმითი. ბოზი ნაცი — ნაცი, საჯდომს არა ნიშნავს, არამედ ნაცემსა, ესე იგი, განხრწნილს წინა საუშვეროს ასოსა დიაცისასა. ნაცი — სხეულნაცემი, ხრწნილება მიღებული. უცი — არა ნაცი, ხრწნილება მიუღებელი.

1195/1205

1 მკლე არის და თვალად ნასი — გამხდარა, თვალად ცუდი და უსიამოვნო სანახავი, ორნივე ესე სიმკლე და ცუდსახეობა ერთად ზაებებული.

2 დარბაზს იყო მეტად ხასი — ხასი შეჩვეული, ლაღი, ცნობილი, კადნიერი, თავისუფალი და კარგათ მიჩნეული.

3 ფლასი — ძაძა შავი სამგლოვიარო. ძაძა — ფლასი, დიახ მსხვილი შალი შავი საგლოველი.

¹ ჩაჩნა ძირისა

1 დ ი ა ც უ რ ა დ, ხ ე ლ უ რ ა დ — დიაცი დედაკაცი არის. ხ ე ლ ი — გიქსავით ტუტუსი. ხ ე ლ ო ბ ა — სიგიჟის ნაწილა [155v] არის და სხვასა და სხვას დროს სხვა და სხვა რიგად მოქმედებს, ოდესმე სიყვარულითა გიქდების კაცი, ოდესმე სიტყვის განუკრძალველობით და მოუთმენელობით და მრავალ რიგად სხვად და სხვად.

2 და გაპარება მელურად — ცხოველებში არც ერთი ნადირი, გინა ცხოველი რამ არის, რომ მელასავით გაიპაროს.

3 გა მ ყ ლ ა ვ ნ ე ბ ა — გამოცხადება საქმისა რაჟსამე დაფარულისა.

4 აწ ისრე მკვდარსა ვიგონებ, იშ თავი ვიხსენ მე რულად — ფათმან ამბობს, ახლა ჩაშნიგირს, ისე იმ სახედ მკვდარს რომ მოვიგონებ ხოლმეო (იშ ეს მარცვალი არის სამხიარულო კმის). მხიარულობს ფათმან და სამხიარულოს კმით ამბობს: იშ თავ ვიხსენ მე რულად — მე რ უ ლ ა დ ამას ნიშნავს — აი ვითარის გვართ, ანუ ვითარის საქმით. მე რ უ ლ ა დ — მე რ ა გ ვ ა დ, ანუ ვითარის სახითა. მე რ უ ლ ა დ ამასაც ნიშნავს მე განსვენებად. რ უ ლ ი კეთილს განსვენებასაც ნიშნავს.

1 დამექადის დაზომჯერცა—დამექადის, დამემუქარის. რ ა ზ ო მ ჯ ე რ ც ა რაოდენ გზისაცა, ანუ რაოდენ ჯერაცა. წავიკიდნით თავისწინა — თ ა ვ ი ს წ ი ნ ა ამას ნიშნავს, რომ როდისაც იქ არავინ იქნებოდა და მარტო მე და ის ვიქნებოდით¹ და წავიკიდებოდით, მაშინ დამემუქრებოდაო წინა ხსენებული ფათმანის მეგობარი.

2 ო დ ე ს მ ე კ მ ე — როდისაც რომ დაგიბარე.

2 შუქნი თქვენ ჩემთვის არენით — მშვენიერება თქვენი, თქვენის მოსჯლით ზაფხულისამებრ და კეთილისა არისა [157r], ანუ კეთილისა დარისა მსგავსად მომივლინეთ.

2 ჩემზედან დაიჯარენით — და ჯ რ ა დარაზმება. ესე იგი, ერთმანერთზედ საბრძოლველად მომზადება და ბრძოლისა მიმართ მიახლება.

3 ღ ო ნ ე ნ ი — ღონისძიებანი. ველარა მოვაგვარენით — ველარას ღონეს ვეწივენით, ღონე ველარა მოვიგონეთ რა.

4 გულითა სწადდა არენით — არამც თუ პირით იტყოდა მხოლოდ, გულითა სურდა ჩემი დამხობაო, ფატმანი იტყვის.

¹ ვიქნებოთ

1 მასრულ იყო დარბაზს მითა — თუ არ მოეკლა და კელმწიფის კარს მისულიყო, მითა, ესე იგი, რაც ჩემგან წარსრული საქმე გაეგონა იმას იმითი.

2 შე მას მენ და — ჯავრიანი დამაბეზლებდა გაჯავრებული. ს უ ლ ი ე დ ვ ა — გული აქვნდა.

3 მეფე მწყრალი გარდასწმენდა, სახლსა ჩემსა გარდაგვითა — ამიკლებდა და ამოხრებდაო.

1200/1210

4 ჰაი ჩავიჭერ მე რასა. — სიკვდილისა არლა მეშინიანო, რადგანაც ამ განსაცდელს გარდავრჩი, სხვა საფრხეს და განსაცდელში მე რალაში ჩავარდებიო, რადგან ამას განვერე, რალას სხვას საფრხეს შთავარდებიო.

1203/1213

ლექსი ესე არს თქმული მაჯამად.

1 ა დ ა რ ე — მიამსგავსე, შეადარე, შეასწორე.

2 შენი სიმუხთლე სადარე — ვერავინ ვერა სცნობს ამასა, რომ (სოფელი) შენი სიმუხთლე სადა არის, ანუ სად არის და ასე უცნაურად უმუხთლებ, რომ ძნელად შეიტყოზა შენი სიმუხთლის ჟამი.

3 პირი მზისაებრ საჩინო, სად უჩინო ჰყავ სად არე — სა და რე — სად უჩინო ჰყავ. სად ატარებ, სად [157v] წაიყვანე პირი მზისაებრ საჩინო.

4 ოხრად სჩანს ყოველი სადარე — სადაც კარგი და საამოვნო გაზაფხული და ჰაერი არის და კარგი დარი, ყოველივე უჩინო ჰყავ. სა და რე შესამგზავსებელიც ითქმის, შედარება და აქ ზემო თქმული გულის-ხმა-ყავ.

1205/1215

2 ლ უ ლ ი — ჯდომასა შინა მცირედ მიძინება, ანუ მჯდომარისაგან მცირე ჩაძინება. მცირედი რაჟმე ძილი.

1206/1216

2 დ ა რ ა ჯ ა გ თ ა — დარაჯაგი საყარაულო, ანუ ნეობახტი. ხ ა ნ ა გ ა არის საობლო, ანუ ობლების საკრებულო არის. კარი მიჩინდა — კარსა ვხედვიდი საობლოსასა (რომლიდამაც შევიდი და ვნახი ობოლნი).

4 კრულმცა არის ზენაარი — ესე იგი, ფიცით მამაცთაო, რადგანაც შეჰფიცა უსენმა თავის ქმარმა და უმტყუნა.

1207/1217

1 მოვიდა სითმე ღარიბი — ღ ა რ ი ბ ი არაბული ლექსია, არაბულად ყ ა რ ი ბ ი უცხოხ ნიშნავს, ჩვენებურად ღარიბი უქონელსა

და გლახაკსა ეწოდება. ღარიბი ქართული საკუთარია. ღარიბი უცხო ქვეყნელი ვინმე. მოყვასი — ამხანაგი.

2 მონა — მსახური. მონურად მოსილი — მონის ტანისამოსითა. სხვანი მგზავრულეზრ ხამითა — სხვანი ხამისა, ესე იგი, ლიტონის ბამბის ნაქსოვით და მგზავრთაებრ ჩაცმულნი. დრამი — ზემორე განგვიმარტებია.

1208/1218

3 არცა რა ვიცით ვინ ენა — არა ვიცით, რომელ აქ ერთად შეყრილნი ვინა ვართ, სადაურნი. ანუ სით მოვიარენით — ანუ საიდგან მოვედით.

4 კამს ერთმანერთისა ამბავი, ჩვენიცა ვუთხრად ბაქ158ქრენით — კამს — ჯერ არს. ბარენით — ბარემ ენით, ეგრემცა ენითა, ანუ მაშინც ვუთხრათ ენით.

1209/1219

3 ქურიმა — ერთი რიგი წვრილი ფეტვი და გემოვანი.

1211/1221

4 ქვე ზის მორჭმული წოდია — ქვე ზის — ნიშნავს ძირსა ზის, არა სკამზე. ზის უკუშ. წოდია — წოდებულ არს. ქვე — უკუშ. მორჭმული — დიდებითა და სამდიდრით განდიდებული. ქვე — უკუშ. ქვე ზის — სიმტკიცით ზის.

1212/1222

2 დაშალეს ქნა ხალვათისა — სოვეტი, ანუ ყორული, საიდუმლო რჩევა საქვეყნო მოშალეს მას ჟამსა სამწუხარო ამბის სმენისათვის.

1213/1223

2 მეკობრობა — მტყვევნელობა, გაცრცვა ავაზაკებრ ვაჭართა ანუ სხვათა მოგზაურთა და მოდავლეობა. ალაფი — ნატყვენავი, ნაცარცი.

4 წაცავყვები — ამ საქმეს მეკობრობასაც აღვასრულებო და დედოფალსაც მოუსწრებ და თან წავყვებიო, ეს აზრი გამოდის ამ ერთს სიტყვაში (წა) ამა მარცვლის ძალითა.

1214/1224

2 წაგვიტანა — თანა წარგვიყვანა, თანა წარგვასხა. ყველაკაი — ყველა კარგი, ანუ ყოველნივე არჩეულნი.

4 ღია ვლენეთ ქარავანი — დაღეწვა შემუსვრასა ჰქვიან. ღარი — საქონელი ფარჩეული.

1215/1225

3 ჩამოჭრილი — სწრაფად ჩამოსრული.

4 დაბნეულნი მივეცენით, გონებასა ჩვენსა მსჯელსა — დაბნეულნი. ესე იგი სხვა და სხვა რიგათ ვსჯილით და ვფიქრობდით, მრავლის წართქმა-უკუთქმითა და ჩვენის გონებით ვსჯილით, რომ შეგვეტყო რა არის.

1216/1226

2 მას! დარაზმულსა მივმართე? — ერთი აღამიანი რით [15მვ] იქნებოდა დარაზმული, მართო იყო, მაგრამ მშვენიერება და მკრთოლვარება სახისა მისისა და ბრწყინვალეობა შიშსა და საკვირველებას აძლევდა ყოველთა მკვრეტელთა მისთა. ახლოცა ვნახე ბარეო — ახლოცა ვნახე ბარეო — ახლოცა უკუტ ვინილე. ბარე — უკვე, ეს ორივე ერთის მნიშვნელობის კავშირნი არიან.

4 მოუბარე — მოლაბარაკე.

1217/1227

3 ალყად გარე მოვერტყენით — გრგვლივ გარე მოვერტყენით, ანუ გარე მგრგვლად შემოვეხვევით.

1218/1228

2 ციმციმი მზისა — ახალს ამოსულს მზეს ვიდრემდე თვალის გამართვა შეუძლიან კაცსა, რომ უყურებს მზესა შორის, მაშინ ნათელი რომ იძვრის და მღელვარეობს, ციმციმი იმას ეწოდება. არე-ბი — არენი არიან შვენიერთა მიდამოთანი და კეთილთა ტაროსთაცა ეწოდება და მშვენიერისა გაზაფხულისა აერსა.

4 გიშრისა სარეზი — წამწამნი მშვენიერისანი არიან.

1220/1230

3 გაუშვა — გარდამოადინა, აუზით რომ წყალი გამოუშოს გაშვება ის არას (და სხვა და სხვა რიგათაც ითქმის).

4 რა საბრალოა გავსილი, მთოვარე შთანთქმული გველისა — მთოვარის დაბნელებას ნიშნავს გველისაგან შთანთქმა (ზემორეც განვმარტეთ).

1221/1231

2 ნამუხთალევი — მცბიერთა და დაუნდობელთა და მზაკვართაგან ვნებული.

3 ქუშ-ქუშად გვეუბნებოდა — მწყრალობა აღმატებული რომ იყოს კაცი, ასე რომ სიტყვა ვერ შეჰკადროს კაცმა და ვერ შებედოს

¹ მ

² მიემართეთ

ლაპარაკი. კუჭტი თავისა მკრძალავი — კუჭთობა — განრისხებული გულით და პირით რომ იყოს და ზედ სახეზედ აჩნდეს მრისხანება, მა[159r]გრამ სიტყვას კი ძვირ ძვირად იტყოდეს. თავისა მკრძალავი ამას ნიშნავს, რომ პასუხს არ უგებდეს, არა კადრულობდეს პასუხის მიცემასა.

4 ვითა ასპიტი მჭკრეტელთა, მისით თვალთა მლაღავი — ასპიტი, გველი ფრიად სასტიკი, თვალებში შეხედვა იმისი საკვირველს მრისხანებას და მოლაღეობას აჩვენებს, ესე იგი, მეჩხუბრობისა და ბრძოლის სასტიკს სახეს.

1223/1233

1 მოუცდია — მოუციადია — დიანა, ესე იგი მსგავსი მის ღმერთისა, აქ დი რომ არის თქმული, დიო ანუ დიოს, ნურავის ეგონება, იუპიტერს ჩვენ ქართულის გამოთქმით დიო, დიოსს ვუწოდებთ და დიას დიანას უწოდებთ, ასეც ივულის-ხმება. მოუცდია ესე იგი, მოუციადია, დიას მოუცდია, ეს უფრო განადიდებს ლექსს.

2 მიუტანოთ — მიგვეაროთ, ანუ მივართვათ, ანუ თანა მივიყოლიოთ, თანა მივიდევნოთ. არმაღანად, არმაღანი რჩეული ძღვენი, ანუ ანტიკი რაჟმე. დაგვიმადლებს მეტად დია — დიას უმეტესად და მრავლად მადლობელი იქმნება ჩვენი.

3 დავმჟღავნებით — გამოგვიცხადებთ. ამაცია — ყიფი, ამპარტაენი, გულ-მალალი.

4 დიდი აუგია — აუგი — სარცხვენელი საქმე.

1224/1234

1 მივამოწმენით თათბირნი, არ კიდე გავაკიდენით — მივამოწმენით, დავემოწმენით, ანუ დავამოწმენით, თანა მოწამე ვექმენით. არ კიდე გავაკიდენით — არ განვათვისეთ, არ განვეყავით წინა-აღმდეგის თქმით და რაც თქვა, მას დავემოწმენით.

2 მას წინა მოვეკიდენით — ცხენის სადავე, ესე იგი აღვირის საპყრობი თასმა დავუჭირეთ და ისე გავუძეხით წინა.

3 ჩარხის — ჩარეცხს, ჩარეცხდა. ცრემლისა [159v] კიდენით, ესე იგი ცრემლის ღენით დაწვთა ჩარეცხდა, ანუ ჩამორეცხდა. ჩამორეცხა ზევიდამ რომ ძირამდის ჩამოირეცხებოდეს.

1225/1235

2 ვარ საქმის რასმე მღებელი — ვარ საქმისა რაჟსამე მექონი, მღებელი, საქმის დამაწესებელი, ანუ საქმე რამ მაქვს გასარიგები.

1226/1236

2 შერემშრა — შემაშრა.

1228/1238

2 უჩინოდ — უხილავად, რომ მისრულს სხვა ვერვინ დანახევდეს. გარდა მისსა, ვისთანაც არის გაგზავნილი.

1230/1240

4 ხაღუმიერთაი — ხაღუმი, მოახლე, მოსამსახურე ქალი. ერთაი — ესე იგი, ასაკითა სრული ქალი.

1231/1241

1 თანაწაუტანია — თავისთან წაუსხამს.

1232/1242

3 გვირაბი — ზემოდამ ციხილამ გზა მიწას ქუჭშ გაკეთებული და საცა წყალი მომდინარეობს, წყლამდის ჩატანილი. ხვრელი — მიწას ქვეშ გზა გასაძრომი.

1233/1243

ეს ლექსი მაჯამად არის თქმული:

1 არ პირნასი — პირნასი — ცუდი სახისა, ავ თვალადი, დუხჭირი. არ პირნასი — არა ცუდის სახისა, არც კარგი სახისა. არა ნასის სახისა — არა უბედური სახისა.

2 ხასები — კადნიერნი და შემბედავნი ბრძოლისა.

4 არ ვიცი და გლახ რასები — არა ვუწყვი და გლახ, ესე იგი საწყლად რად იყავ დაბმული, ანუ ბყრობილი რად იყავ.

1234/1244

1 ვაღამან — ვაჟ ბყო მან, ანუ ამოიოხრა გულ-მტკივნეულად.

2 იამა — ზიამოვნით მიიღო, თუმცა ამოიოხრა.

3 ტურფამან დანაბადამან — ტურფად [160r] ესე იგი, მშვენიერად. დანაბადამან — შობილმან, ანუ დაბადებულმან.

4 ვისმანლა დამან — ფათმანს როდესაც შეუყვარდა ავთანდილ, სხვებრ მაშინ ვითარდა შეიძლებოდა, რომ დაე მისი ეწოდებინა თავის თავისა თვისს.

1236/1246

3 მკრთალსა — შემცთარსა. აქ სიმკრთლე, რომელ არს უეცარი შემთხვეულება, განკვირვებისა, ანუ შიშისაგან წარმომდგარი, არამედ ამ დგილს შეცთომად და უშეცრებად დაიდება.

4 ი ჩ ქ ი თ ი — მსწრაფლი, ანუ ანაზღი, უეცარი შემთხვევა, მოულოდებელი. გ ა რ დ მ ო მ ფ ე ნ ე ლ ი. ესე იგი, მზემ ვითარცა ნათელი მოპფინოს ქვეყანასა.

1242/1252

2 ყმა უნდო გვარად ეხვევის — ვითარცა ჰმართებ სიყვარულსა არა ეგრეთ, არამედ უგემურად, თუმცა სიყვარულს აჩვენებდა, მაგრამ არა შეყვარების გრძნობით, გინა სურვილის ალით, გინა საწადელით.

4 გ უ ლ ი ხ ე ლ ქ მ ნ ი ლ ი — გული გაგიჟებული. გ ა ს კ რ ი ა — ესე იგი გარეგან გონებისა ქმნილა. მხეცთავე თანა რბოლითა — როგორათაც გამხეცებული და ველად გაჭრაილი კაცი იყოს; ეგრეთი გული შექმენია.

1243/1253

1 წ ვ ა ვ ს — ესე ლექსი არა თუ დაწვასა, ანუ ჰსწვავს ამას არ ნიშნავს. აწვევს თავსა თვისსა დენად სისხლი ნართავისა ცრემლისა ამას ნიშნავს.

2 შიგან მელნისა მორევსა — ესე იგი მწუხარებისა მორევსა შთავარდნილი (ესე ვითარისათვის მოყვსობისა და მიჯნურობისა) ცურავს და მოცადინეობს სადა იგი გიშრის ნავი არის, ესე იგი მყარი მისთვის სიყვარული და მტკიცე, ვითარცა არს ბუნებითად გიშერი, მტკიცე სიმაგრი[160v]თა, რომელ მიმართოს მას ნავსა, ანუ სავანესა ნავისასა, ესე იგი ნავთსაყუდელსა. არაბიის მეტაფორია არს სიგიშრე, ანუ გიშერი (ესე იგი, სანავესა და ნავთსაყუდელსა არაბიისასა). შინაგან მელნისა მორევსა, ცურავს გიშრისა ნავისად — ნ ა ვ ი ს ა დ ნ ი შ ნ ა ვ ს ვ ი ს მ ო მ ა გ ი ე რ ე დ ვ ი ს თ ა ნ წ ვ ე ს და ვისთან ცურავს, ან სადა განსცხრების. ნ ა ვ ი არს ნაავარი, ანუ ავ ქმნილი, ანუ ავყოფილი, ნ ა ვ ი ავი რომ ყოფილიყოს ოდესმე და აწ კი კეთილქმნილ იყოს. შიგან მელნისა მორევსა — მ ო რ ე ვ ი მ დ ი ნ ა რ ე შ ი შე გ უ ბ ე ბ უ ლ ი ა დ გ ი ლ ე ბ ი. მ ე ლ ნ ი ს მ ო რ ე ვ ი — მ ე ლ ნ ი ს მ ო რ ე ვ ა დ ა ხ ს ე ნ ე ბ ს თ ვ ა ლ ი ს ბ უ დ ე ს ა, ცრემლით სავსესა. გ ი შ რ ი ს ნ ა ვ ს ა — შ ა ვ ს გ ი შ რ ი ს ფ ე რ ს უ წ ო დ ე ბ ს.

3 ი ტყვის თუ მნახეთ, მიჯნურნო, იგი ვინ ვარდი ავისად — უეჭველად ოდეს ესრეთსა დღესა შინა მიხილაეთ, შემობრალეზთ, რომელ ვისი ვარდი, ვის კელში შთავარდი, ანუ ჩემი ვარდი ვილას ვარდი უნდა იყო, რომელ მე ესრეთს უგვანს სიყვარულში შეველ. იგი ვინ ვარ — მე იგი ვარ. ვ ი ნ ვ ა რ დ ი — მე ვარდი ვარ. ვ ი ნ ვ ა რ დ ი — მე შთავარდი. ვ ი ნ ვ ა რ დ ი ა ვ ი ს ა დ — მე შთავარდი ავშია (ესე იგი ავ საქმეში).

1244/1254

2 გიშრისა ტევრი აგუბებს — ესე იგი, წამწამნი არლარა უშვე-
ბენ ცრემლთა ძირს, რომელ ვარდისა ველთა გზა შეუკრას და ფონი,
ესე იგი განსავალი მას მდინარისა ფონისა გასვლასა არლარა აბრკო-
ლებს და ამის გამო ფატმან იხარებს მას ზედა [161r].

3 ი ა ღ ო ნ ი — ბერძულად ბულბული არის და ჩვენებურად ია-
ღონი, უფრო დიდი მფრინველი არის და გული ვაშლის ფრად წითე-
ლი აქვს და საკვირველი მგალობელი არის.

1245/1255

1 მზე სოფელს შუქ-ნაკიდები — მზის შუქი, როგორც პირის
სახეს მოეკიდოს და დააჩნდეს, რომ უშვერებას აჩვენებს სახეზე, ეს
სახეთ ცუდი ვნებათ მოყვარება, უშვერებად და მსგავსად პირის სა-
ხეზე მოკიდებულის ჭორფლის მსგავსად დაისახების და კაცსა უპა-
ტიო ჰყოფს.

2 კ ა ბ ა — სამოსელი ტანისა. ყ ა ბ ა ჩ ა — ზევიდამ ქურთუკსა-
ვით შთასაცემელი. რ ი დ ე — თავ-სახვევი შალი, ყ ა ბ ა, — კაბა. ყ ა ბ ა
— სპარსულია.

1248/1258

2 თავის წინ ღიმდებოდა — გულში ეცინოდა ავთანდილ და
ამისთვის ღიმილსა ჰყოფდა, ფატმანთან რომ ისე შევიდა ავთანდილ,
რომელ ავთანდილმა პასუხი არ გააცა და იღუმალ კი ღიმდებოდა.
მაშინ ფატმანმა რ ე გ ვ ე ნ უ ლ ა დ, ესე იგი, უჭკუოდ უთხრა, ვითომ
ვერ მიცნობს, რომ პასუხს არ მაძლევსო, თუმცა ავთანდილს გულსა
შინა მისი სიყვარული მისი არა დია მხურვალედ აქვნდა, მაგრამ პირ-
მოთნეობით კი სიყვარულს ი ფ ე რ ე ბ დ ა, ესე იგი, სიყვარულის
ჩვენებასა.

1249/1259

4 თ ა ვ ი ს წ ი ნ ა — ეს ლექსი საკუთრად ყოფასაც დანიშნავს
და მარტოობას.

1250/1260

ეს ლექსი მაჯამად არის თქმული:

1 ო ხ ა — ოხპა, ამოოხვრა განსაკვირვებელს რასმე და სატრფი-
ალოს რასამე, როს იხილავს ვინმე. ო ხ ი ისარი არის, შორისდებუ-
ლი ლექსია, საწუხი კმა განკვირვებითი. [161v].

2 ა ღ ვ ი ს ა მ ო ხ ი ს ა — მ ო ხ ი ა ღ ვ ა ს რომ ხავსი ექმნება, ესე იგი
მშვენიერსა მას სურნელსა აღვისა ხესა, ესე ახალ გამომავალის წვე-
რისა, რომ ჯერ გინგლად ექმნების, იმას დასახავს.

3 გვერდცა დაისვეს, ბალიში მისცა მისისა ნოხისა — ნოხი გაშლილს ნაქსოვს ფარჩას, ანუ საფენს, რომელსა ზედაც ბევრნი ყვავილნი იქმნებიან გამოხატულნი, რომელიც ხაკოიანი იქმნება, ესე იგი შეემსგავსება ლოყათა და მას ზედა გამოსრულთა ახალთა ჩჩვილთა გინგლთა (ესე იგი დიახ წმინდასა ბალანთა). გვერდთა ბალიში დაიდევს ავთანდილმან და ფათმანმან და თავისის ნოხისა ავთანდილმან მისცა ფათმანს ღაწვნი, ესე იგი, ლოყანი თვისნი ახალ წმინდა ბალან ამომავალნი.

4 ვარდისა ბალსა უჩრდილებს, ჩრდილი წამწამთა ქოხისა — როდესაც ფათმანმან (ტრფიალმან ავთანდილისამან) შეახო თვალნი თვისნი ღაწვთა, ესე იგი ლოყათა ავთანდილისათა, ფათმანის წამწამებს ქოხათ სახავს და იტყვის უჩრდილობდაო, ვარდისა ბალსაო. ქოხი ნიშნავს მცირესა საჩრდილობელსა წნელთა და ხეთა რტობისაგან შექმნილსა, რომელსაცა ველთა ზედა მყოფნი სიცხისათვის შესაფარებლად მშვენიერს ვარჯოვანსა ადგილსა ზედა გააკეთებენ ადვილად.

1251/1261

4 ჩემნი მომკვლელნი წამწამნი, შავნი გიშრისა ხენია — გიშრის სახენი — სახე მსგავსება.

1252/1262

4 სატურტლე — სიმდიდრეთა საცაეი სახლი. ზარდახანა — სააბჯრო სახლი. ზარდახანა ფურსიყადიმი არის, ესე იგი, [162r] ძველებურის სპარსულია ენის ლექსია.

1253/1263

1 შენ გიცი — შენ გიცნობ, შენ დაგსახავ.

1255/1265

4 ნაფუშავი — დაფუშვილი, მოშლილი.

1256/1266

1 მეწიე — შემეწიე, შემწე მეყავ.

4 ხლება — მახლობელობა, მიახლება.

1257/1267

2 ცნეული — უწყებული (რომელიცა ვაცნობეთ).

1258/1268

1 საქმენი მომხვდეს მორანი — მორავალს — მოსვლას რა ჰყოფს. მორავიდა — მოვიდა რა, ანუ მოსვლა ჰყო. მორანი მოსრული, რა საქმენი მომხვდეს, მორანი, მორამხვდა — მოიწია

რა ესრეთი საქმე, რა მოიწია (ვადიდებ ღმერთსაო, ამისთვის, ანუ მოიწია რა ჩემდა ესრეთი შემთხვეულება, დიდება ღმერთსაო).

2 ს წო რ ა ნ ი — სწორნი.

3 წ ა — წარვედ.

4 გზანი გისხენ შორანი — შრრი გზა გაქვს. შო რ ა ნ ი შორე-
ბი. ნ ი ღ ბ ი ო რნივე მამრავლებლნი მარცვალნი არიან.

1260/1270

ეს ლექსი არის თქმული მაჯამად:

2 ა მ ა ზ რ ზ ე ნ ი — კაცს რომ ანუ მწუხარების ძრწოლა დაე-
ცემის, იგი არს ზ რ ზ ე ნ ა, ანუ განკვირვებასა, ანუ მეტისა მოუთმე-
ნელობისა. ლ ა მ ა ზ ე ნ ა — მშვენიერ-მოუბარი, მშვენიერისა ენისა
მექონი (ესე იგი საუბრის). ლ ა მ ა ზ ე ნ ა — ლამაზი ენით, ეს
ზმით, ლამაზი ზენაც იგულისხმისყოფების.

4 ბ რ ო ლ ი სითეტრეს ნიშნავს, ლ ა ლ ი — სიწითლესა. შ ე -
ნ ა თ ხ ზ ე ნ ი — შექაული, ურთიერთში შერთული.

1261/1271

1 ა რ მ ო მ ა ს მ ე ნ ი ე — არ მითხარ, არ გამაგონე, არ შემატყო-
ბინე, არ მიაბე.

2 მ ო ვ ა ლ ხ ე ნ ი ე — მოვალხინე, ლხინება მივეც, გავამხიარ-
რულე.

3 მ ო ა ლ ხ ე ნ ი ე — ლხინება მიეც, გაამხიარულე, ულხინე.

4 იგი ვარდობდეს, შენ იე — იგ იაჲ (იის ყვაილი). იქმენ იე —
ყნოსასაც ნიშნავს, ისიამოვნესაც.

1262/1272

4 შენ სწერდი — შენ მოსწერე. ეს ზმნა ნამყო უსრული [162v]
არის ოდესმე მყოობადში მოიღება, მაგრამ როდისაც რომ ენზედ და-
ბოლოვდეს, მაშინ ესე იგი სწერდე.

1263/1273

3 წვრილად გვინა — წვრილად გვინდა, რომ შევიტყოთ.

4 ვ ი ნ ა — ვინაა, ვინ არს.

1264/1274

1 გ ა ა მ ქ ღ ა ვ ნ ე — გამოაცხადე.

3 გ ა ა თ ა ვ ე — დაასრულე; გ ა ა თ ა ვ ე — დაუტევე.

4 შ ე გ ა ზ ა ვ ნ ე — შეგაერთნე.

1265/1275

2 ბროლი სათი და ლალები — აზიურის მეტაფორიითა პირი-
წარბ-წამწამნი და ლაწვნი.

3 უ ს ტ ა რ ი — საქმესა რასამე ზედა მინაწერსა წიგნსა ეწოდების.

1266/1276

3 მ ო ლ ი — მწვანე ღართსავით გრძნულთა წამოსასხამი შელოცვილი.

1268/1278

4 შესცვალა ვარდი ზაფრანად — შეკრომით ფერი პირისა რომ გაუყვითლდება. ლაქვარდის ფერად იანი — მშვენიერება პირისა, ელვარებისა, გაულურჯდა შიშით, ლაქვარდად, ანუ იის ფერად.

1270/1280

2 ნუშნი გააპნა შეიძრნეს, სათნი გიშრისა წნელითა — ნუშნი — ტუჩნი. სათნი — წარბ-წამწამნი. გიშრისა წნელი — შავი თმა, წილფ და ლალნი.

1274/1284

3 უ ღ ო ნ ი ო ლ — უეჭველად, უთუოდ, ეს მნიშვნელობა აქვს ამ ლექსსა.

1275/1285

3 მ ე გ ლ ა ხ — მე საბრალოდ, ანუ შესაბრალისად.

1276/1286

4 თ ა თ ბ ი რ ი — რჩევა, განზრახვა.

1277/1287

3 ს ი ა ლ ფ ე რ ე — მწითურ სახილველობა, ესე იგი კაცი რომ განრისხდება და გაწითლდება მრისხანებითა.

1280/1290

2 მე სიკვდილითა ორითა — სააქაო¹ და საიქიოს სიკვდილი [163r] ორ სიკვდილად ითქმის, რომელ ვინცა ველარა მოითმენს და თავს მოიკლავს; მაშა თავის მკვლელი ნეფსით იქაცა წარწყმდების. მეორე ესე ორი სიკვდილი ეს არის, ერთი რომ თავის თავს მოჰკლავს, ხომ მით მოკვდა და მეორე რასაც საქმეს ეძიებს, ის საქმეც წარუწყმდა და დაეკარგა ამას ნიშნავს, ორისაგანვე ცარიელი შეიქმნება. ყ ო რ ე — ქვის ზვინი, გროვა ქვათა.

1282/1292

1 გ უ ლ-ა მ ო ს კ ვ ნ ი ლ ი გულ-ამოსკვნით ტირილი ის არის, რომ გულ-აღშფოთებული ხმით ტიროდეს და გულს თან ადევნებდეს, როგორათაც რომ კაცი ძალიან დაიღალოს და გული მისი განუს-

¹ საქაო

ვენებელს მოძრაობაში და შფოთში იყოს დაუწყენარებლად, ცრემლი მრავლობით მოსდიოდეს და უზომოდ საწყლად გოდებდეს.

2 ალი ნესტან დარეჯანის მწუხარებისა, მხოლოდ მისისავე ცრემლით შრტებოდა, სხვა ვინა ჰყვანდა მას თანა. მგლოვარებით თავის მარტოობას გლოვისას იტყვის, რომ ნუგეშინის-მცემელი არა ვინა ჰყვანდა.

3 გული საგასაგმირალი — ასეთი წიგნი დაწერა, რომ გულის ისარი, ანუ მახვილი რამ ეცეს, რეცა იმის მსგავსად აგრძნობინებდა.

4 ზემოთაცა გვითქვამს ვარდი და ბროლი, პირის მშვენიერების დაწვთა და ტუჩთა ფერსა და პირის სითეთრესა ნიშნავს.

1283/1293

2 ტანი კალმად მაქვს, კალამი ნალველთა ამონაწები — რააცა გრძნობა ჩემ შორის არს (ანუ ჩემს გვამს შორის არს), კალმად მას ვხმარობ და მწუხარება რადგანაც კაცის ნალვლიდამ დაიწყება და ნალველიც შავ არს, მელნად მასს ვხმარობ.

3 მე გული შენი ქალაქად, გულსავე ჩემსა [163v] ვაწები — როგორათაც რომ ქალაქი ქალაქზედ დაეწებოს და მას ზედა უფრორე ქარტის სიმტკიცისათვის უკეთ დაიწერება, ეგრეთვე ჩემსა და შენს გულზე, როგორათაც ორ ქალაქს ერთმანერთზედ მიწებებულზედ ჩვენი სიყვარული და ერთმანერთის მოშორების მწუხარება იწერება ხსენებულის კალმით და ნალვლის მელნითა.

4 ნუ აეხსნები აწები — კვალადვე იყავ დაბმული ჯერეთო თავის გულს ეუბნება.

1289/1299

1 მიმიმართ — დამიტევა (მიმცა ისართაც არის) — ზედ და ზედ დამართო და მომიმატა.

1290/1300

3 ნობათი — ყარაულობის რიგი. მაღალის ფრასით სახმილავი არის ქართულად: ნობათი — სპარსული ლექსი არის, ესევე მნიშვნელობა აქვს. არ დასცდებიან — არ დააკლდებიან.

1292/1302

2 ალვის ტანი — ალვა ჭურნელი ხე არის და მშვენიერი.

3 არამ — არაბული არის, დაყენებული სჯულით, ანუ შეკრული, რომელიცა უჯერო არის ყოფად რააცა. არამ — ქართულად არა რამემან (ამას ნიშნავს), ესე იგი არამ — არა ფერმან, არა რამემან. ნანითა — სინანულითა.

4 ჩ ა ვ ი ქ ე ვ — ზემოთ ადგილით ქუჩნასა ადგილსა მივაქცევთავსა, ესე იგი შთავარდები, მაღლიდამ ძირ დავარდები¹. ჩ ა ქ ე ვ ა — სხვით და სხვით სახით განიმარტება. ჩ ა — ესე მარცვალი ნიშანი არს მარადის ქვემორე ჩაზიდულებისა, ესე იგი, ჩავიდა, ჩახტა, ჩაიქცა. ჩ ა ი ქ ც ა — ზევეთი ნაშენობა, ანუ კლდე ძირს ჩაიქცა, ანუ ჩაინგრა. ჩ ა ი ქ ც ა — ზევიდამ ძირს ჩავარდა, წყალი ზევიდამ ძირს ჩაიქცა.

1293/1303

2 ს ა მ მ ნ ი მ ზ ე ნ ი — სამ-მზეობა კაცისა დანიშნავს, პირველი რომ ბრძენი და ძლიერი იყოს. მეორე — დიდებული და ბრძენი. მესამე მშვენიერი და ბრძენი იყოს, სამ მზეობა კაცისა ამაში შეიცვის. [164r].

1294/1304

2 აერთა თანა ძრომასა — ძ რ ო მ ა — მძრომთა სიარული, ესე იგი, გველთა და ჭიაჭუათა. ძ რ ო მ ა, მ ო ს ძ რ ა დაძრვასა და ხრწნასაც ნიშნავს ცხოველთასა, ვითარცა აღაორძინებს და გააშვენიერებს, ეგრეთცა ხრწნის ჰაერი და დააზრობს ყვავილთა, გინა რადასცა.

1298/1308

2 გულისა გულსა მივა რად — რადასათვის სამართალი გულითი გულად მიიქცევის, ესე იგი, მართლ-მსჯელობა, მაშინ მიიღებს სამართლისა ტემმარიტისა გრძნობასა, ოდესცა ერთი გული სვინდისით განწმენდილი მეორეს აცნობებს.

3 ყორანთა დასაყვიარად — ყორანთა კმა საყოფელად, ოდესცა ყორანნი ნახვენ მკვდარსა რასამე, მაშინ კმა ჰყოვენ ჰაერით და ხედვენ რა ლეშსა რადასამე მომკვდრისასა, დიახ შორით და მაღლითგან დია ნახვენ მკვდარსა რასაცა და მუნით დაჰყივლებენ ზედა მკვდარსა და ეგრეთ დაასხდებიან ზედა და შეჰსჭამენ, საკვირველი მხედველი თვალი აქვს ყორანსა.

1299/1309

2 ა ლ ა მ ი — დროშის ასაბმელი, აღმოსავლეთის სამკუთხი იქნება და რადგანაც ნესტან დარეჯანმა გარდასჭრა რიღესა ერთი კიდე, ის სამკუთხად გამოვიდოდა და ამისთვის აღმად მოიხსენებს მესტიხე რიღის ნაკვეთსა.

1300/1310

4 აღვისაგან გული მოქრის, ყორნის ფრთათათ მონაბერი — ყორნისა ფერთა კავ ზილფთაგან, საქართველოში რომ ქალები კა-

¹ დარდავარდები

ვებს გაიკეთებდენ თმათასა, ასე არის თქმული რომელ, როგორათაც ყორნის ფრთები არის მოყვანილი, იმ ფიგურაზედ უნდა გაეკეთებინათ კავები, რომელიცა ფრიად მოსახდენი იქმნებოდა. ალვას თვით მას [164v] უწოდს ნესტან დარეჯანს და ტანსა მისსა.

1303/1313

3 ნ უ გ ა გ ვ ა — ნურა რას იზრუნებ, ნურა რა ზრუნვა გაქვს, ნუ გენაღვლება.

1304/1314

4 ვ ა გ ლ ა ხ ე ბ უ ლ ი — მგლოვარებულნი, დიდთა გლოვათა მყოფელნი. ვ ა გ ლ ა ხ ე ბ უ ლ ნ ი — უბედურება შემთხვეულნი.

1305/1315

1 ნ ა ც ქ ა ფ ა ვ ი — ნასწრაფავი, მსწრაფლ პასუხის მიცემას ნიშნავს ტყუილით. ც ქ ა ფ ი — მსწრაფლი. ნ ა — ეს მარცვალი, რომ მოემატება და ნამსწრაფლარი შეიქმნება, მაშინ და ამა მარცვლისა დამატება ესე სახედ გააგონებს კაცსა, რომელ რეცა ნატყუარი რამ იყოს.

2 ნ ა ს წ რ ა ფ ა ვ ი — მსწრაფლ ყოფილი, ანუ სამსწრაფლო.

3 გ ა ს ა ხ ა ფ ა ვ ი — გასაკადნიერებელი კმა, კადნიერებას როს აღუმატებს, მხნე მაშინ უფრო აღიმალლებს კმასა.

4 ნ ა ა ლ ა ფ ე ვ ი — ნატყვენავი, ანუ ძალად წანართმევე ნაჩაფაულარი, ანაკლები ნივთნი.

1306/1316

3 მ ე კ ო ბ რ ე — ავაზაკი, თული, თათრული არის. მ ტ ყ ვ ე ნ ვ ე ლ — ქურდობითისა სახითა ქარავენთა დამხვედრი, გზათა შემკვრელი და იდუმალ წარმტაცებელი, გარე ქურდი.

1307/1317

2 რ ი ც ხ ვ ი ტ უ რ ფ ა თ ა ჯ ა რ ი ს ა — შტქნიერთა და კეთილთა რათამე სიმრავლისა. ა რ ი ს ა — გზა წავლეთ მისვე არისა — მისვე სამყოფისა, ანუ მიდამოთა, ანუ მისვე ადგილისა, გინა ჰაერთა ცხელთა, გინა ცივთა მათვე გზაჲ წარვლეთ.

1308/1318

2 შ უ ქ - მ ო ი ა ფ ე — გულ-კეთილი, ვითარცა მზეს შუქნი და შარავანდელნი თვისნი აქვნ, ეგრეთვე კეთილსა კაცსა მოწლება და სიყვარული მოფენილი ყოველთა სულთა ზედა.

3 მ ო ვ ლ ე ნ ი ლ ი — წარმოვლენილი. ს ი ს ხ ლ ი ს ა მ ჩ ქ ე ფ ი [165r] ღვარულად სისხლის მღვრელი მტერთა. ჩ ქ ე ფ ა — წყა-

ლი რომ სდის ჩქარად, ესრეთ, რომელ ხმას დიდს იღებდეს და აქეთ-იქით ასხემდეს სინქარისაგან წყალსა.

4 სალამი დავიყუფეო — ეს ასე განვმარტოთ, უკუეთუ სჩნდესთ მოსურნეთა ამა ლექსთა განმარტებისასა, ვისაც ენაზედ სალამი არის, თუნდა მათი მოკითხვაც ყუფით იყოს, უშესაბამო არა არის რა. მაგრამ ოდესმე ძაღლსა სახედ ერდგულებისა დასახვენ და ჩვენში ბევრჯელ ეტყვიან ერთმანერთსა, შენი ძაღლი ვარ, ეს საქმე აღმისრულეო და შემდგომი. სალამი — არაბულია, მშვიდობას ნიშნავს, ხოლო ძაღლის შემსგავსება ერდგულებასა.

1310/1320

1 ბ ა ტ ი მ ა რ ი — ტყუტ, შეპყრობილი, დატუსაღებული.

3 ნარგისთა წვიმა ბროლისა, წვიმს ვარდი ნაწვიმარია — აზიათ მეტაფორიკნი, ნარგისთა თვალთა ამსგავსებენ, ბროლისა წვიმასა ცრემლსა და ვარდთა ლაწვთა, რომელიც მას ზედა გარდამოედინების. ხშირად ხმარობს რუსთაველი ამგვარს აზიურს მეტაფორებს, ვგონებ ლექსისა გაწყობისათვის.

4 ს პ ა უ ა მ ა რ ი — ურიცხვი.

1311/1321

1 ი რ არ უნდა აქა, არ უნდა. ი რ თოვლად განიმარტება. ი რ შორისდებული საამო ხმაც არის.

1313/1323

4 მგზავსი ყველაჲ მსგავსსა შობს — ამისი თარგმანი საჭირო ამაზედ უმეტესი არა არს, რომელი ვითარისაცა აქვს გული კეთილი, იგი საქმესა კეთილსავე შობს, ამაზედ არის ესე თქმული, თვარა ამას სხვა რა იგავი აქვს, ყოველი კაცი, თუ პირუტყვი, თუ ნერგი და მდელი, ყოველნივე თავისს მსგავსსა შობენ. [165v].

1314/1324

1 უ ს ტ ა რ ი — წიგნი მინაწერი ერთისა ვის მიერ მეორესა თანა.

2 ი ა — თმასა იასა ამსგავსებენ აღმოსავლელთა მეშაირენი.

3 გ ი ა მ ა ნ — ამას ნიშნავს ესე ვითარცა გრძნობასა კაცისასა განამხიარულებს გაზაფხულისა ველთა შტყენიერება, ეგრეთ სულსა კაცისასა ამბავნი სამხიარულონი. გ ი ა თუმცა ხე არის ერთგვარი, ვითარცა ტყვია, მაგრამ გ ი ა სასიამოვნოს მწვანეს ველს ყვავილოვანს ნიშნავს.

4 მათ მარგალიტი უჩვენის, ძოწისა კარმან ღიამან — ლაპარაკში კბილნი რა გამოუჩნდების კაცთა, მარგარიტნი კბილნი არიან, და ძოწნი ტუჩნი.

1316/1326

1 ფატმან უსენ და მონანი სტირან ცრემლითა ცხელითა — ფატმან დია მართალი რომელ შეწუხდებოდა ავთანდილის მოშორებებს, მაგრამ უსენის რაღა სჯიდა იმ უბედურსა. ეს დიახ სასაცილოს და სულელურს საქმეს და ხარაკტირს ნიშნავს უსენისასა.

1317/1327

2 აცორვებს — შეღმა, შეგლონება. გნოლის სიარული ფერკითა ჩქარი გორათა ზედა რა აგოგდებოდეს, წყალში ცურვას მიამსგავსებენ შამბთა შინა მიცორვებას ცხენოსანისასა, რადგანაც ბალახი თითქმის ცხენს სულ დაჰფარავს და კაცს ნახევრობამდისა.

4 ს ა ე ს ა ვ ი¹ — საიმედო.

1318/1328

2 პ ა ე მ ა ნ ი — დანიშნული დრო.

3 ეტლის ცჳალება მზისაგან, შეჯდომა საროს ტანისა — რა დაახლოვების გამოცვლითა მზისაგან ეტლისა, ანუ ბურჯთა ზაფხულსა და სხვათა დროთა (საროს [166r] ტანი კირჩხიბი არისო). ვახტანგ მეფის² განმარტებაში არის.

1319/1329

1 ა გ რ გ ვ ი ნ დ ა — გრგვინვა ღრუბელთა შორის წარმოებულთა კმათა ნიშნავს. ბ რ ო ლ ი ს ც ვ ა რ ი — უმღვრიონი ცვარნი, თვალთა გინა ზეციურნი.

2 დ ა რ ი — სწორი, შესადარებელი, შესწორებული, მსგავსი.

1320/1330

4 მ ო შ ა მ ბ ნ ა რ ე — მაღალთა და ზრქელთა ბალახთა მინდვრისათა, გინა ველთა და მთათა, რომელ არს შ ა მ ბ ი, მას შინა მკვიდრობანი მხეცნი თუ ნადირნი.

1321/1331

4 გ ა ნ ა ვ ლ ე ნ ი ა — განავლენი, ესე იგი საქმეა რა მემე მეფეთა და დიდებულთა წინაშე, რომ განევლინოს კაცსა, ესე იგი, რაც ითხოვოს, ვისაცა სთხოვოს, იმან აღუთქუას თხოვილის აღსრულება და რადგან ტარიელისაგან აღთქმული ჰქონდა ავთანდილსს, რომ იმ ადგილიდამ, სადაც რომ გაეყარა ტარიელს სხვაგან არ წავიდოდა, თუ სხვაგან წავიდოდა სადმეო (ავთანდილ იტყვის) ცუდად ჩამივლის ჩემი შრომა და იმისი აღთქმაო.

¹ საერავი

² ვაზტ. მწ.

1322/1332

1 უ ლ ო ნ ი ო დ — შეუძლებელ არს, არა ყოფად ესრეთ (ამა სიტყვასა ნიშნავს). უ ლ ო ნ ი ო დ — უეჭველად. და ზ მ ი დ ა — ჟამსა განაგრძობდა, უთუოდ ხანს დაპყოფდა, მოიცლიდა.

1323/1333

1 მ ი ა ც ო რ ვ ე ბ ს — 1314-სა შინა ამ ლექსში განიმარტა, გ ო გ მ ა ნ ი, ანუ შე გ ლ ო ნ ე ბ ა, მაგრამ გ ო გ მ ა ნ ი უფრო ნე-ლიადსა და მ ი ც ო რ ვ ე ბ ა, უფრო ჩქარსა სლვასა ფერხითა ფრინ-ვლისასა ნიშნავს. ც უ რ ვ ა წყალისა არის და ც ო რ ვ ა ხმელისა.

4 მ ო მ ა ხ უ ლ ი — კელთ კლმის პყრობა აღმართვითა მკლავი-სათა. მ ო ი მ ა ხ ვ ა — კრმალი ამოილო, მკლავი აღი[166v]მადლა და განემზადა კრმლის შემოკვრად.

1324/1334

3 ყ ი ვ ი ლ ი — ზახილით წოდება, მაღალის კმით ზახილი. ყ ი ვ ი ლ ი — მამალთა კმიერება. მამალი რა ყივილს შეიქმს, გათენების მოახლოებას ნიშნავს, ამისთვის აქა პიიტვიკოსსა ავთანდილისაგან ტარიელის ზახილი ყივილად დაუდვია, რადგანაც ტარიელსაც მიეახ-ლოვა დილა მწუხარებისაგან გამოხსნისა. ყოველი მწუხარება სიბ-ნელე არს, ხოლო სინათლე მხიარულება.

1325/1335

2 ე ტ ლ ის ა ს წ ო რ ბ ი ლ ი — ბრუნვასა შინა ბორბალთა, ანუ ურ-მის თუალთასა ვითარ იგი ნახევარ სიმრგვლე გრკალისა, სწრაფად ესწრობის მეორესა.

4 კ მ ა შ ა ქ რ ის ფ ე რ ა დ გა უ ხ და, ვ არ დ ს ა კ შ ი რ კ შ ი რ ა დ პ ო ბ ი ლ ს ა — კმა ესე არაა კმა სასმენელი, არამედ აღკმა და კმევა, გახსნა და შეკ-ვრა ტუჩთა ხშირ ხშირად კოცნასა შინა, რომლითა ვარდნი წითელნი ტუჩთანი ბევრის კოცნით შაქრის ფერად გაუთეთრდათ. კოცნა შა-ქარსავით სიტკბოებას მოართმევს კაცსა.

1326/1336

1 ნ ა ტ ი ფ ი — ღია დაწმენდილი; რჩეული და შესაბამიერი სიტყვანი უთხრნა ენა მჭევრობითა, საქებელითა. ნ ა ტ ი ფ ი — მშვე-ნიერი. ნ ა თ ი ქ — არაბულად წმინდა, დაწმენდილი. ნ ა ტ ი ფ ი სხვა და სხვა რიგად განიმარტება. ყოვლის მშვენიერებით და სინაზით და სიჩჩოთ შემკობილთა ქალთა და ვაჟთა და სხვათაცა შვენიერებათა ზედა მრავალთა ადგილთა მოღებულ არს. ნ ა ტ ი ფ ი — მჭევრები, მჭევრი, მჭევრ-მეთქვსა ნიშნავს, ესე იგი რიტორსა, რომელ არს მშვე-ნიერ-მოუბარი, ანუ მშვენიერი მზრახველი [167r]. ჩ ი ს ტ ი რ უ ლ უ

ლად ნ ა ტ ი ფ ი ნ ე ყ ნ ი ი. ნ ა ტ ი ფ ი ლ მ მ ო ბ ი ე რ ე ბ ა ს რ ო მ მ ო ს ც ე მ დ ე ს ს ი ტ -
ყ ვ ა ნ ი გ უ ლ ს ა. ჩ ჩ ვ ი ლ ნ ი ს ა გ რ ძ ნ ო ბ ე ლ ნ ი ს ა უ ბ ა რ ნ ი ა რ ი ა ნ ნ ა ტ ი ფ ნ ი.

2 ტ ე ვ რ ე ბ ი — ტ ყ ე დ ა ყ ო ფ ი ლ დ ა ყ ო ფ ი ლ ი წ ვ რ ი ლ ს ა დ ა ა ხ ა ლ ს
მ შ ვ ე ნ ი ე რ ს ტ ყ ე ს ა ც ა ჰ კ ვ ი ა ნ. დ ა ჩ ჩ ვ ი ლ თ ა ტ ყ ე თ ა ა ხ ლ ა დ მ ო ს უ ლ თ ა
დ ა ტ ყ ე თ ა დ ა ყ ო ფ ი ლ თ ა ნ ი შ ნ ა ვ ს. ტ ე ვ რ ე ბ ი ნ ი შ ნ ა ვ ს უ ლ ვ ა შ თ ა დ ა ლ ო -
ყ ი ს ბ ა ლ ნ ე ბ ს. ს ი ს ხ ლ ი თ ვ ა ლ თ ა ც რ ე მ ლ ი ს ა უ ლ ე ბ ა ვ დ ა მ ა თ.

3 ა ლ ვ ა — ტ ა ნ ი ა რ ი ს დ ა მ ა ს ც რ ე მ ლ ა ნ ი გ ა რ დ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ნ ი
რ წ ყ ვ ი დ ე ს.

4 რ ა ჰ გ ა მ ა — რ ა ე ნ ა ღ ე ლ ე ბ ა, რ ა ლ ა ზ რ უ ნ ვ ა ა ქ ვ ს დ ა რ ა ს ა ზ -
რ უ ნ ვ ე ლ ი ა ქ ვ ს ს. ა მ ი ს ვ ე ტ ა ე პ ი ს ა: პ ა ტ ი ყ ნ ი მ ჰ ვ ი რ დ ე ს მ ე რ ვ ე ბ ი — პ ა -
ტ ი ყ ი ა რ ს უ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ი თ ნ ა ქ მ ნ ა რ ნ ი კ ა ც თ ა ზ ე დ ა. რ ვ ა ნ ი პ ა ტ ი ყ ნ ი
ე ს ე ნ ი ა რ ი ა ნ, რ ო მ ე ლ ნ ი ც ა კ ა ც თ ა გ ა ნ ბ ო რ ო ტ თ ა ა ღ ჯ ს რ უ ლ ე ბ ი ა ნ:

1 გ ი ნ ე ბ ა დ ა შ ე უ რ ა ც ხ ე ბ ა.

2 გ უ ჯ მ ა დ ა ს ა ტ ა ნ ჯ ვ ე ლ ი დ ა მ ო კ ლ ე ბ ა რ ო მ ე ლ თ ა მ ე ა ს ო თ ა, გ ი ნ ა
ს ა გ რ ნ ო ბ ე ლ თ ა.

3 ღ ი რ ზ ე უ ლ ი ს ს ა ს ყ ი დ ლ ი ს ა, გ ი ნ ა ს ა მ უ შ ა კ ო ს ა მ ო კ ლ ე ბ ა.

4 მ ი ხ მ ა ყ ო ვ ე ლ თ ა ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ თ ა დ ა ო ფ ლ ი თ ა დ ა ღ ვ ა წ ლ ი თ ა
მ ო გ ე ბ უ ლ თ ა ნ ი ვ თ ა.

5 ტ ყ ე ვ ო ბ ა, გ ი ნ ა ბ ყ რ ო ბ ი ლ ე ბ ა, ე ქ ს ო რ ი ა ო ბ ა.

6 მ ო შ ო რ ვ ე ბ ა თ ვ ი ს თ ა დ ა ს ა ყ ვ ა რ ე ლ თ ა თ ვ ი ს თ ა დ ა მ შ ო ბ ე ლ ი ს ა
მ ა მ უ ლ ი ს ა გ ა ნ გ ა ნ ვ რ დ ო მ ა.

7 გ ა ნ ვ რ დ ო მ ა.

8 ს ი კ ვ დ ი ლ ი. [167v].

1327/1337

2 ძ ო წ ი — ძ ო წ ე უ ლ ი, წ ი თ ე ლ ი, ა მ ა ს ა ც ა ბ ა გ ე თ ა ა მ ს გ ა ვ ს ე -
ბ ე ნ, ე ს ე ი გ ი ტ უ რ თ ა.

3 ვ ი ნ ბ ა გ ე თ ა ვ ა რ დ ი ვ ა რ დ ა — ბ ა გ ე თ ვ ა რ დ ი ვ ა რ დ - ჰ ყ ო.

1330/1340

2 ვ ა რ დ მ ა ნ ფ ე რ ი თ ა მ კ რ თ ა ლ ა მ ა ნ — ე ს ე ი გ ი, მ კ რ თ ა ლ ი, ფ ე რ ი
ღ ა წ ე თ ა ი მ კ რ თ ა ლ ა (ა ნ უ ვ ს თ ქ ვ ა თ ე ს რ ე თ) ფ ე რ ი ღ ა წ ე თ ა ღ ა ა კ ლ -
ღ ა. მ კ რ თ ა ლ მ ა ნ — მ ა ნ ლ ო ყ ა თ ფ ე რ ი ს ა კ რ თ ო მ ა მ ი ი ლ ო.

3 ს უ ლ ნ ი გ ა ე ქ ც ნ ე ს, მ ო ღ რ ი კ ა ნ თ ა ვ ი გ ი შ რ ი ს ა ტ ა ლ ა მ ა ნ — ტ ა -
ლ ა — მ ც ვ ე ლ თ ა ე წ ო ღ ე ბ ა, ე ს ე ი გ ი ყ ა რ ა უ ლ თ ა. გ ი შ რ ი ს ტ ა ლ ა ს (მ ე ს -
ტ ი ხ ე) ე ძ ა ხ ი ს წ ა მ წ ა მ თ ა, რ ო მ ე ლ ნ ი ც ა თ ვ ა ლ ი ს ა მ ხ მ ი ლ ა ვ ე ნ ი ა რ ი ა ნ,
გ ა რ ე მ ე მ ო თ ვ ა ლ ი ს ა შ ე მ ო ხ ვ ე უ ლ ნ ი მ ხ მ ი ლ ა ვ ა დ დ ა მ ც ვ ე ლ ა დ ღ ა ი ს ა -
ხ ვ ი ა ნ.

2 აფრთხობს ბროლისა ჭერიითა — აფრთხობს, აფრთხიალებს, ოდეს ჰკლავს მფრინველსა კაცი, ჟამსა მას სასიკვდილოდ მიმოკვეთებასა მფრინველისასა ფრთხიალი ეწოდების. ფრთხოლიდამ არის ეს ლექსი შობილი. **ჭერიითა** — ესე იგი, მპყრობელი ყორნისა, ავთანდილ ბროლისა ჭერიითა ოდეს კელთა იპყრობდა ყორანსა და ეგრეთ გულსა ზედა კამარისა რაჟსამე სახედ კელთა ურთიერთ არს მიიახლებდა, მაშინ კელისა მისისა ნაკვეთობანი, ბროლისა რაჟსამე ჭერსა ემსგავსებოდის (ესეცა არს მეტაფორია აზიელთა მელექსეთა).

3 გახეთქა ლალი გათლილი. ანდამატისა კუჭრითა — ლალნი გათლილნი ტუნნი არიან. ანდამატის კვერითა — ანდამატი აღმასსაცა ეწოდების ჩვენისა ენითა და მალნიტისაცა, ოდესცა კაცსა უეცარსა ამბავსა რაჟსამე უთხრობენ და იგი მოუთმენელობითა სმენისა მის ამბი[168]სათა გულ მურვილ იქმნების, ესე იგი, გულ-შემოყრილ, მაშინ ტუნნი გაუსქდებიან, გულ-შემოყრასა შინა სიყვარულითა ვნებულსა შემთხვევასა ესე ვითარსა შინა და სისხლი გარდმოედინებათ, რომელიცა აქა შეუმსგავსებია ძოწისათვის, ვინადგან ძოწეული შუჭნიერი წითელი არის. ანდამატი — ვინადგან უმტიციესი ნივთი არს უფრორე ძლიერი, კუჭთებაცა ჯერ არს, რათა აქვნდეს და მეორედ ანდამატი, ვინადგან მიმზიდველ არს რკინისა, ვითარცა სიყვარული გულისა არს მიმზიდველ, ამისთვის სიყვარულისაგან მიზიდვა ესეოდენ ეკვეთა ტარიელს ამბისა მის სმენითა, რომელ ვითა აღმასისა, ანუ მალნიტისა კვესი ჰსცე არა დია მაგარსა სპეკალსა და შეიმუხროს ესე სახედ, ვერღარა თავს იღებდა მოთმენასა ესე ვითარისა კვეთებისასა და მიზეზითა ამით დაბნდა, გაუსქდა ტუნნი და გარდამოედინა მუნით ძოწის ფერი სისხლი.

1333/1343

2 შმაგი — განფიცებული გულითა და აჩქარებული ყოვლისა მოქმედებითა. რეთი — გონება მიღებულის სახედ ყოფა შემთხვეულებისა რაჟსამე ძლით.

1334/1344

1 გაწბილებული — სრულიად შეურაცხ-ყოფილი.

1335/1345

1 ნატუსალი — ცეცხლისა ალითა გარუქვილი და ვითა მუგუზი ეგ სახედ სახილველი.

3 მან ჰპოვა სისხლი ლომისა, მოაქვს სავსებლად ალისა — სავსებლად — ესე იგი გასაქრობად ცეცხლისა.

4 ლაქვარდის ფრად შეიქმნება, გულ-შემოყრილი ეგრე გალურჯდება და ოდეს სიწითლე მოჟვა ნიშანი არის მობრუნებისა.

1336/1346

2 ტარიელ შეერთა, შეიძრა, რაზმი ინდოთა ტომისა [168v] — რაზმი მწყობრსა ჰქვიან და ინდოთ რაზმი წამწამნი არიან. ესე ნიშნავს თვალის დახამხამებასა.

4 ლურჯად ჰსჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან შუქ-ნაკრთალისა — მთვარის დაბნელებაში, რომელსაც ადგილებს მთოვარისას მზის სხივი მოშორდება, ის ადგილები ლურჯად იხილვება. ამისთვის იტყვის ლურჯად ჰსჩანს შუქი მთოვარი: ა მზისაგან შუქ-ნაკრთომისა.

1338/1348

1 მოსაგვარებელი — მოსაქცეველი. მოსაგვარებელად მოსაქცეველად, თავის ნებაზედ მოსაყვანად.

2 ხელი — ცნობა ვნებული.

3 მიწყვიც — მარად, დაუცხრომელად, წამდა-უწყუმ.

1339/1349

2 აშეთებს — გონებას უცვიფრებს, რეცა ავიყებს.

4 მქისე — ცხარი გაჯავრებული სიტყვები, ანუ ტყრომით შეგონება, ჯავრობით დარიგება, წინა-აღმდეგის თქმა. მქისე — გახორკვლილი ხე, ანუ უჯობი. გამწყრალი სიტყვა მქისეს უჯობსა ჰგავს.

1342/1352

2 შავ-თეთრი ელვა ჰკრთებოდა — ინდონი შავ-გვრემანნი არიან. ამისთვის იტყვის შავ-თეთრს, ელვას და მიახმავსებს იმის პირის ელვარებას, ღრუბელსა შინა შავსა, რა გამოკრთების ელვა მშვენიერ სახილველად.

3 მართ ვითა ლალსა მზისაგან, მას ფერი ეზარებოდა — ეზორებოდა უნდა და არა ეზარებოდა. ეზორებოდა — შეეწირვოდა, ანუ შეესწორებოდა.

1343/1353

3 ბარი — მინდვრიერი, თბილი ვაკე და ნაყოფთა გამოძლებელი ადგილი.

4 ნარგისთა ნაგუბარი — თვალთა ნაგუბარი ცრემლი. [169r].

1344/1354

2 მუქათა — სპარსული არის, სამაგიერო, ანუ ნაცვალი. მაგიერის სიკეთის მიგება, გინა ბოროტების მაგიერის მიწყვა.

1345/1355

2 ჭარმაგოსანი — ჭარმაგი აბლაცი არის, ანუ ჭრელი თეთრზედ შავით დაწინწყლული ცხენი, მაგრამ ცხენი მხნეთ რომ იყოს, კარგათ იმასაც ნიშნავს, რადგანაც მასვე ერთისა ცხენით ეგეოდენი გზა ევლო, ამისთვის ჭარმაგადვე იყო ცხენი მისი, ესე იგი მხნედ, რომელ დადაღვობა არ ეტყობოდა. ჭარმაგი კარგს მოსიარულეს ცხენსაცა ჰქვიან, თოხარიეს რომ უწოდენ.

3 იადონი — მგოსანი. ბულბული, ანუ იადონი განსწავლული (ასწავლიან ორდანოზედ გალობას). მგოსანი საზანდარი არის.

1350/1360

3 ტერფი — ფეხის-გული. თხემი თავის ქალა.

4 მრთელობა — სიმართლედ დაიდების აქა. მრთელი — სრული, უნაკლული.

1351/1361

3 უკუნი — უმეტესი და უფსკრული ბნელისა.

1352/1362

3 ვარდსა ზედა — ესე იგი ლოყათა ზედა. ყორნის ბოლო, ესე იგი, წამწამნი, ნამსათხელსა, ესე იგი სიხარულის ცრემლსა, რომელ მაშინ გულის მხურვალეობა არდა ეგრე გააზრქელებს ცრემლთა. აბკურებდა, ასხურებდა. ბულბული რა დასველდეს, ვარდსა ზედა რა შეჯდეს და ფრთათა იბერტყდეს, ესე სახე წარმოიდგინების ესე ვითარისა ტირილისად.

1353/1363

2 გაბრჭობდა — გაასამართლებდა.

1354/1364

1 ასეზი — აპა ესერა, აწ ესერა; ასწილად, ასი.

2 გენასეზი — ნასი დაწუნებული. [169v].

1357/1367

2 ზარდახანა — საჭურველის საცავი სახლი, სპარსული ლექსი არის.

3 აბჯარი — სამამაცო, საომარი საჭურველი.

1358/1368

2 მუზარადი — ზუჩი, ჩაჩქანი და ჩაბალახი. ესენი თავსარქმელნი არიან მხედართანი, ბრძოლისა ჭამსა დაიხურვენ, რკინისანი არიან. სპარსულად თასქულას უწოდენ, სხვადასხვა გვარნი არიან, ამისთვის ქართულად ბევრი სახელები აქვს დაწერილის ენით.

1359/1369

4 ლუკუმა — დასაცველი ძვირფასისა რაღსამე საუნჯისა ყუთი, ანუ კიღობანი, ანუ კუბო.

1360/1370

3 ბანბის მკედი — ბანბის ძაფი.

1361/1371

3 თავისის თავისა ქედითა — ზოგთა ჩაფხუტთა ქედნიცა ექმნების რკინის ბრტყელთა წკებლათაგან ქმნილი, ესე იგი, საკისრე ანუ საქედური, რომ კისერს ჰფარავდეს კლმისაგან და რომელთაჲმ ჩაჩქანთა ექმნება ჯაჭვის ბადე რკინისა, მტკიცედ და ორმაგად მოქსოვილი, რომელიცა კისრიდგან ბეჭებადმდე და მხართა ზედაცა გარდაეფარების. მათითა ქედითა აღიღეს — ამასაც ნიშნავს, რომელ თვით იტვირთეს, რადგანაც მას ჟამს სხვა არავინ ახლდათ ვინ იტვირთვიდა მათს გარე. მათ თავიანთ ქედთა ზედა იტვირთეს, ანუ ზურგსა.

4 ღვედი — თასმის თოკი არის შესაკრავი.

1363/1373

2 სხვისა ვერვისგან სწრობილნი — ესე იგი სხვათა ყოველთა მჯობი. ვერვისგან სწრობილნი ამას ნიშნავს, რომ იმათ სხვა ვერავინ ვერ ესწორებოდა.

1364/1374

4 ყოლაუზი — გზის მეცნიერი, წინა-მძღოლელი. [170r].

1365/1375

2 ეაგეთა — ესე იგი ფრიდონისათვის საქმისა რაღსამე მომგონებელთა, ვითარცა ქვემორე იხილვების, რომელ სახუმრებელი, ანუ სალაღობელი საქმე გამოარჩიეს. იაგეთა — მფიქრებელთა, საქმის გამომრჩეველთა, მომგონებელთა.

3 კარგი სიშმაგე — უვნებელი სახუმარი ცელქურისა საქმე, უკეთუ ვსთქვათ კარგი შმაგობა ესე უვნებელი საქმე არის სახუმარი, მაგრამ შმაგი — გიჟი, სიშმაგე გიჟობას ნიშნავს.

4 გავლალობნეთ — ხუმრობით გაუკადნიერდეთ.

1366/1376

2 დაღება — შეღებვა სისხლით, შესვრასა იტყვის, აქა სისხლით შეღებასა.

3 გულსა შელამის დაღება — გულსა ეწევის დამშვიდება. გული დაიღო — ამას ნიშნავს, რომ გაანჩხლებულმან გული დაიწყნაროს და დამშვიდდეს. შეელმის — შელამის ლექსილამ არის

შობილი, ლმობა არის. ლ მ ო ბ ა, ანუ ლმობიერება. რისხვიდამ წყა-
ლობად მოსვლა, ანუ რომელსაცა ჟამსა იყოს, შეწყალება გულს მის-
ცემს ლმობასა.

4 ლაღსა შევეიქმს ლაღებად — კარგი და წესიერი ლაღობა მო-
ლაღესა ასიამოვნებს, ამისთვის კარგი და წესიერი ლაღობა, კეთილი
ზნეობა და კარგი ზრდილობა არის.

1367/1377

1 ტ ა ი ჭ ი — იაზო და ტაიჭი კარგს მოსიარულეს ცხენსაცა
ჰქვიან.

2 ფ ა ნ ო ს ი — ჩვენ რომ ფ ა ნ ა რ ს უწოდოთ, ღამე წინ გასამ-
ძღვარებულს ის არის. ფ ა ნ ო ს ი — ბერძული არის, ფა[170v]ნარი
სპარსული არის, ქართულად ლიფიფი, ანუ ლიფლიფი ეწოდების. ფ ა -
ნ ო ს ი, სხვაც არის, ქარისათვის რომ დააფარებენ სამთელს, რომ
არ გაქრეს (ვეფხისტყაოსანში ფანარს ნიშნავს). კ ე ე ს ი — ტალ-
კვესი, დაკვესება ცეცხლის ასანთებათ რკინით და ქვიით.

3 ს ა ქ მ ე ზ ე ს ე ბ ი — მაღალი საქმე და ძნელად გასაბედავი.

1368/1378

4 ფრიდონს ჰკადრეს არ დარიდნეს — გაუბედეს მოხსენება.

1369/1379

2 რ ა ზ მ ი — მწყობრი, მხედრობათა დასტა.

4 ზ ა რ ა დ ი — ერთი გვარი ჩაჩქანი, საომარი, თავს სარქმელი
მკედართა, ესე ვითარი, რომელსა პირის კერძოცა აქვენ რკინათა მამ-
თულნი და იგი უფარებს პირსა, რომ კრძალი არა მოხვდება პირზე
ბრძოლაშია.

1370/1380

1 აწ ვნახეო, ვინცა მინა — ვინცა მენება, ვინცა მსურდა, იგი
ვნახეო.

3 რ ა ს ა ლ ა მ ი — რაჲ გნებავს ყოფად.

1373/1383

3 ო ქ ს ი ნ ო — ზარიანი ხავერდი, ძვირ-ფასი ფარჩა.

1374/1384

1 ა რ მ ა ღ ა ნ ი — ძვირფასი და შესაბამიერი ძღვენი, რომელი-
ცა დიდებულთა საკადრისი არს, შორით მოსრულისაგან მირთმული
თავის ქვეყნის ნივთი რაჲმე კარგი და მოსაწონი.

1375/1385

3 ტ უ რ ფ ა — საჩინო, რჩეული, — სპარსულად თ ო ჰ ფ ა არის.
სიტურფე მშვენიერების ნაწილი, უგიობო, ტურფა მოსაწონი, შემ-

კობილობითა ტურფა. თ ო ჰ ფ ა საიშვიათო ლამაზი, ტურფა, ტურფითა — უცხოს და უცხოს ძვირფასებითა. [171r].

4 ლ ა რ ი ბ ი — საიშვიათო რაჲმე, ასე რომელ, მრავალი არ იშობოდეს მისი მსგავსი. ლ ა რ ი ბ ი — უცხო. გ ო ბ ი — ღრმა და მოგრძე ჭურჭელი, ხისაც იქმნების გობი, გრგვალი, ხოლო თავბოლო დამორკილი და შუაზე გრძლად და ღრმად აღმოკვეთილი. გ ო ბ ი მეტალთაგანაც იქმნების ქმნილი. ლ ო დ ი კ ი ბადიასა ეწოდება. ბ ა დ ი ა — ბადია გრგვალი ღრმა ჯამსავით არის, ხოლო გობი მოგრძედ ქმნილი ჭურჭელი ღრმა ოქროსა, ვეცხლისა, გინა რვალისა.

1377/1387

2 მ ე ო ტ ა ნ ი — ვით მსწრაფლ მორბენალნი. მ ე ო ტ ა მლტოლვარე გაქცეული, ამას ნიშნავს, კაცი რომ შიშისათვის გაიქცეს და თავისის თავის მორჩენისათვის, რაც შეეძლოს ფიცხად მირბოდეს. მ ე ო ტ ა ნ ი — ნადირთა უკანა სიფიცხით მღევნელი.

3 კ ო ტ ა — კრმლის ხელ-ტარი.

4 ა ლ ვ ი ს ა - მ ო ტ ა ნ ი — ა ლ ვ ი ს ა მ ო, ესე იგი, ალვისა სასიამოვნო ტანი.

1379/1389

3 გ მ ი რ თ ა - დ ა რ ი — გმირთა-სწორი.

4 შ ე ნ ა ზ ა რ ი — შეურვებულსა და მწუხარებისაგან ზარდაცემულსა ნიშნავს. შ ე ნ ა ზ ა რ ი — შეძრწუნებული. შ ე ნ ა ზ ა რ ი — შეშინებით დამძიმებული.

1381/1391

1 თ ა თ ბ ი რ — განზრახვა, რჩევა. სამნივე ერთგან ზმნიდიან — ზ მ ნ ო ბ ა აზმნობას ნიშნავს. ა ზ მ ნ ო ბ ა რომ აზრობდეს საქმისა რაჲსათვისმე, გინა ჰგონებდეს, რომელ ესე საქმე ესე ვითარად არისო, ანუ ესე სახედ იქმნებისო. გ უ შ ა გ ნ ი — ციხის დარაჯანი, გინა ყარაულნი.

4 კ მ ა ჯ ა რ ვ ი თ ¹ გაადიდიან — კმა სიმრავლით გაა[171v]დიდიან ანუ მალღისა მათისა კმიანობითა კნინლა ჰაერსა შეაიწროვებდიან და ეგრეთ ძლიერნი კმანი მათნი ისმოდიან. კმა ჯარვით, — რაც რომ ძალი და ღონე ჰქონდესთ, იმ ხმით რომ ყვიროდნენ კმა-ჯარვა ის არის.

1382/1392

1 გ ვ ი რ ა ბ ი — ძირიდალმე მალღარე ციხესა შინა შესავალი, კამართა დაფარებული გზა, მიწას ქვეშ გასავალი და სადაც წყალი

¹ ჯავრით

არის ციხილამ იქამდის ჩასასვლელი, ანუ ციხის სიმაგრისათვის გზა მიწას ქვეშ ჰქონდეს შესავალი.

1384/1394

1 ს ა მ უ შ ა ი თ ო — მუშაითობა არს საბელზე მოთამაშე. ს ა მ უ შ ა ი თ ო — საბელზე სათამაშო.

2 კ ი ს კ ი ს ა დ — სიმსწრაფლე და სიციქვიტე ერთად შექსული არს. ს ი კ ი ს კ ი ს ე — სიკისკისე რომელთამე მსწრაფლთა მფრინველთა არს თვისება, ხოლო სიციქვიტე — ნადირთა და სიმსწრაფლე — საზოგადოდ ყოველთა.

1385/1395

4 თქვენ ჰირად გიყო შიგნითა, პოვნა კაცისა მრთელისა — ეს სიტყვა ამას ნიშნავს, თუ მე ამ სახით ციხეში შევალ, მაშინ თუნდა დიდის ცდით ეძებოთ ერთს კაცსაც ცოცხალს ვერღარა ჰპოვებთ.

1386/1396

1 არად მჩანს ჰირად გატანა ფარისა — ესე იგი, არა ძნელად მჩანს თანა გატანა ფარისა.

4 ზრიალი ზარისა — საზარელი და შესაძრწუნებელი კმანი.

1387/1397

3 ი ვ ა გ ლ ა ხ ი ვ ი ა ნ — ვაი და ვაგლახი თავთა თვისთათვის ჰყონ მტერთა.

1388/1398

1 ჩ ხ ე რ ე ბ ა ანუ ჩ ხ ა რ ე ბ ა — იარაღი რომ ერთმანე-
[172]რთსა მოხვდეს, იმის კმას ნიშნავს. გ ა ჩ ხ ა რ უ ნ დ ა — ჩხა-
რი-ჩხური იწყო.

4 თ ა თ ბ ი რ ი — გამორჩევა საქმისა. ტ ე რ ე ბ ა — მწეობა, შეწევნა თავისა ჩვენისა, გინა სხვისა.

1389/1399

3 ს ი მ უ ხ თ ლ ე — ღალატი.

1390/13400

1 ს ა თ უ ე ბ ი — სათუო, ესე იგი საიჭველი.

3 გ ა ვ ე ც რ უ ვ ე ბ ი — სიცრუითა ყოფა ნიშნავს მოტყუებითა ყოფასა საქმისასა.

4 რ უ — მდინარეთაგან გატანილი ნაკადული. ავთანდილ იტყვის, რა ციხეში შევალო, გავეცრუები, ესე იგი რუებს გავიღებო, ესე იგი სისხლის რუებს ვადინებო.

1393/1403

4 დამსვრის — ერთი რამ საქმე, რომელ შეურაცხ ჰყოფდეს კაცსა. და სვრა გინა გასვრა მას ეწოდება ერთი რამ საქმე სასირცხვილო იყოს კაცისათვის. ნუ უბნობთ, ნუ იტყვით, ნუ ლაპარაკობთ. სათნევი — პირ-მიფერებით სიტყვის თქმა, იტყვის აქა, არა თუ ყოველი სათნევი, ანუ სათნო პირ-მიფერება არს.

1394/1404

4 მძლე-ნები — ძლიერი კელის ნები. ნები მძლე კელი კაცისა. ნები კელს შიგნიდამ ცერის მომალლო ადგილი, რომელიცა იპყრობს კრმალსა მაგრიად.

1396/1406

3 მზერა — მოლოდინით ყურება, ჰვრეტა. მზერა საომართა ადგილთა განკრძალვით ყურება, ანუ შესაპყრობლად ნადირისა რამე ყურება, ანუ კაცისა დამალულის ადგილიდამ ყურება. ჰვრეტა და ყურება მისთვის, ესე იგი ჩხრეკა, თუ ვითარ ზედა დაესხას მტერსა.

4 სიძუნწე — გამოუმეტებლობა, სიძვირე. [172v].

1397/1407

2 წყლიანთა — წყლიანობა, უხვისა და საამო საუბარსა ნიშნავს.

3 ერთმანერთსა ალალობნეს — ეხუმარ სიტყვავენ ურთიერთსა, ხუმრობა დაუწყეს ერთმანერთსა.

1398/1408

1 არპირმკვახე — არა თუ საწყენი სიტყვანი, გინა განმამწარებელნი, რამეთუ ვითარ იგი მკვახე რამე ხილი განამწარებს პირსა კაცისასა, ეგრეთვე მკვახე სიტყვა გულსა და სასმენელსა კაცისასა განამწარებს. მკვახე — მოუწიველი, დაუმწიფებელი ხილი.

2 დაასკვნეს — დასდევს, განაწესეს, დაამტკიცეს. თათბირი — რჩევა. ტარიას განაზრახები — ტარიელისაგან გამორჩეული, ტარიელის რჩევა. განაზრახები — ტარიელის თქმული.

4 ჩაბალახი — ჯაჭვის ქული ჩაჩქნისა გუარი.

1399/1409

2 შვიდნი მნათობნი — შვიდნი მთიებნი, რომელთაცა ცთომილნი ეწოდებიან; ელლენთა ღმერთნი ამათ მიერ ისახელდებიან.

3 წერწეტი — ტანი-წვრილი.

4 დაღივნეს — სრულად აღსპეს და დაასრულეს.

1400/1410

1 ჩემი აწ ესე ნათქვამი, მათი სახე და დარია — ნათქვამი ჩემი და ქება ჩემი ეგრე არა ელარების მათ, ესე იგი ეგრე არა შეესწორების ქებასა მათსა, ვითარცა ნიაველვარი არა შეესწორების ზღვასა, თუმცა ნიაველვარი ზათქით და ზარითა და დიდის ხმინანობითა მოგრავნის მათათა და კევთა, მაგრამ რა ზღვაში რომ შევა, ზღვასთან არც თუ მცირედ რადმდე გამოჩნდება; მოგრავნის ამას ნიშნავს, მდაბიონი რომ იტყვიან, არე-მარე[173r]თან მოაქვსო. გ რ ა გ ე ვ ა — წახვევას ჰქვიან, თითქოს მათსა და კევთა სრულად ზედ იხვევდეს და ისე მოქონდეს მას თანა. საშინელად შემთხვეულებანი ნიავე-ღვართანი, ესრეთ იხილვებიან, მაგრამ რა ზღვას შეერთვიან, სრულიად არაფრად არ გამოჩნდებიან.

1401/1411

2 მაგრამ ტარია შემბმელი, არვისგან მოსანდომია — ტარიას შემბმელი არ უნდა. ტარია შემბმელი უნდა, მაგრამ ტარია შემბმელი არვისგან მისანდომია, ესე იგი ტარიელის შებმა როგორ უნდა გაბედოს ვინმე, ანუ მოინდომოს კაცმან მისი შებმა. თუ შეებმის ტარიელ ვისმე, ეს მისთვის სასურველი არ იქმნება.

3 კ ო მ ნ ი — ვარსკვლავნი, რაოდენნიმე ერთიერთისა მახლობლნი, რომელნიცა არაოდეს განეშორებიან ურთიერთსა. ამას უწოდებენ კომლადცა. კ ო მ ი — თუმცა არა ერთი არს, არამედ მრავალნი მნათობნი ერთად არიან შეყრილნი, თუმცალა მრავალნი არიან იგინი, მაგრამ მზე ეგრეთ მათცა, როდესაც გამობრწყინდება დაჰფარავს.

1402/1412

3 ს ა დ ა რ ნ ო, ს ა ბ უ ს უ ნ ო — საბუსუსუნო სამზირლად დადგომა მტერისადმი, ან თავდასხმას უპირებდეს, ანუ ციხესა ზედა მისვლას ჩუმათ და მტერთ შეუტყობლად იერიშის მიტანას ემზადებოდეს ციხისა, ანუ ქალაქისა ასალებად. უ ც რ უ ო — ესე იგი, ვითარცა შვენის ეგრე განმზადება და საქმეში უმტყუვნებლობა, სრულის გულს მოდგინებით და სიმარჯვითა. უ ც რ უ ე ო — უმტყუნვო.

1403/1413

4 მ უ ზ ა რ ა დ ი — ჩაჩქანი.

1404/1414

1 ც ხ ე ნ ი ს გ ა ქ უ ს ვ ლ ა — ცხენის ქუსლით გარეკა. მათრახ-
[173v]მან შექმნა ჩხრიალი — ჩვენში კმათ სახელნი ცხოველთა, გინა უცხოველოთა რათმე ნივთთა დაყოფილ არიან და სხვათა და სხვათა

კმათა, სხვა და სხვა სახელის ღებანი ჰქონან. წ რ ი ა ლ ი — მათრა-
ხისა¹ მოქნევის კმა არის და კვალად ამასაც ნიშნავს, მახვილის კელ-
ზე წასმის კმა და ესე ვითარნი წვრილნი კმანიცა წ რ ი ა ლ ა დ
ითქმიან.

2 წ რ ი ა ლ ი — ზრიალი იგი არს, ოდეს ყოველი ხმა ერთად
აღერევის მეზრძოლთა სასტიკნი კმანი, ყვირილისა, ზახილისა, ტირი-
ლისა, გოდებისა, ვაებისა, კაცთა და პირუტყვთა ძლიერნი ყვირილნი
და კმანი ერთად შეერთებულნი და საჭურველთა კმანი და მეზრძოლ-
თა. ქალაქით განხდა ზრიალი—ესე საშინელებისა ხმანი განწეფინნეს
ქალაქით.

4 ნ ო ბ ი — საყვირი, და ბ და ბ ი, და ფ ნ ი ანუ დაფები ცხენ-
თა ზედა დაკრულნი ლიტავრი. ტ კ რ ც ი ა ლ ი—სხვა და სხვა რიგად
ითქმის ცეცხლის კმასა და წვაში შეშის, ანუ ხეთა წკაპუნსაც წკრცი-
ალი ჰქვიან და ტკრციალი დიდთა ჯიმჯიმათა ერთმანერთს ცემასაც,
კელთა ტყველვასაცა და ბუკთა კრვისა კმასაცა ნიშნავს აქა.

1405/1415

2 კ რ ო ნ ო ს — არს ღმერთი სატურნ, რომელიცა არს ბედნიე-
რებისა და უბედურებისა მიმცემი. მოაშორვა სიტკბო მზისა — ესე
იგი, აპოლონ ღმრთისა, რომელიც მათზედ იყო მფარველ, ესე იგი
ნათელი ბედნიერებისა, მის მზის სიბნელედ გარდაუქცევია. გა დ ი -
ა დ და — ფრიად უმრავლეს იქმნნეს, განმრავლდა, აღემატა.

1406/1416

1 კ მა ტარიელის კაფისა — მაღალი, ძლიერი, საშინე[174r]ლა
კმა გოლიათთა და გმირთა ოდეს უმკნესთა გმირთა გული განუხურ-
დებათ, ბრძოლასა შინა, მაშინ საშინელსა და აღდუღებულსა ნაფთ-
სა, გინა ფისთა, ესე ვითარსა რასამე ნივთთა საშინელთა შინა სადუ-
ლართა სასტიკად მღულარეთა კაფ-კაფსა, ესე იგი სასტიკსა კმასა
მიემსგავსების კმანი გოლიათთა და გმირთანი.

2 ა ბ ჯ არსა ფრეწლის — ფრეწა. ა ბ ჯ ა რ ი — სამამაცო საჭურ-
ველი. ჯ ა ვ შ ა ნ ი — საზოგადო სახელი არის გმირთა ჩასაცემელთა
ჯაჭვთა. ქ ა ფ ი — ჯავშანთ სამხარილლივი.

3 შ ე ს ჯ ა რ ნ ე ს — კართა შორის რა განვლის სიმრავლე ერი-
სა და ვიდრე განვლიდეს მას შეიწრდების. კ ა ფ ა — ჭრა.

4 ს ი კ რ ე ხ ე — კრეხვა ანუ გაკრეხვა, განძრცვა, აოხრება, ყო-
ველთავე ქონებათაგან ცალიერ ყოფა, და იავარ ყოფა. გა კ რ ე ხ ვ ა
— რაცა ჰქონდეს, სულ რომ წაართონ.

¹ მოთრახისა

1407/1417

4 თ ვ ა ლ ნ ი ა რ ნ ე ს — თვალნი მოატარეს, თვალნი მოავლეს, მიმოიხილეს, მიმოიჭვრიტეს.

1408/1418

4 ნ ო ბ ა თ ი — მცველნი ანუ მხმილავნი. ნობათი მორიგეა. ნობათი სპარსული არის, მორიგე ქართული არის.

1409/1419

3 ს რ ე უ ლ ი — გატყორცილი, გასროლილი.

1410/1420

2 ნახეს მზისა შესაყრელად, გამოეშვა მთვარე გუშლსა — დაბნელებასა მთოვარისასა აზიელთა მესტიხენი ვეშპისა მიერ შთანთქმას უწოდენ, რეცა ესე ვითართა მიზეზისა გამო, რომელ ოდეს იგი ვეშპისა სახე იგი ვარსკულავი საშუალ მზისა და მთოვარისა შევალს, მაშინ დაუჩრდილებს სხივსა მზისასა და ამაღ მთოვარე დაბნელდებისო, და ამისთვის მთოვარის დაბნელებას ვეშაპისაგან შთანთქმას უწოდენ. [174v].

3 ლ ე ლ ი — სისხოსა და სიკეთესა თმისასა ლელად უწოდენ. ლ ე ლ ი წვლილი ლელწამი სრულიად შავი. გ ა რ დ ა ჭ ღ ო ბ ა — გარდახვევა.

1411/1421

2 ა მ ა ს გ ვ ა ნ დ ე ნ ო დ ე ს ე რ თ ა დ, მუშთარ ზოალ შეიყარნენ — ოდეს ესე მთიებნი შემოეყრებიან ერთმანერთსა, ყოვლითურთ კეთილს პაერს მოასწავებენ და რადგან ესრეთის სიხარულია შემთხვეულება ყოველთა თვისთა ერდგულთა და მახლობელთა მოეკლინათ, ამისთვის სტიხის შემთხვეელი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ერთად შეყრასა ზოალისა და მუშთარის პირის-პირ მიახლოებას ჟამს შეადარებს. ზ ო პ ა ლ ი ს ფ ე რ ს ა, ესე იგი, მთიებსა ზოალისა ფერსა მობინდოდ იტყვიან აღმოსავლეთის მესტიხენი და ტარიელის ფერსაც ვინაჲდგან ინდრთა უფრორე აქვსთ ფერი მოშავე, ამისთვის მიახლოებას ზოპალის მთიებსა ფერსა.

3 დაშვენდენ და შუქნი არნენ — შუქთა რათმე უცხო ფერთა გარდამოსცემენ ფურცელნი ვარდისანი, ოდეს იგი მზე მიადგების და ესე შუქი სიამოვნისა შუქსა ემსგავსების, ოდესცა მხიარულება პირსა ზედა მშვენიერად გამოიხატვის.

1412/1422

2 კ ვ ლ ა ვ შეეწებნეს ხშირ-ხშირად, ვარდი ბაგეთად პობილნი — ესე კოცნას სახავს, კოცნასა შინა შეწებებასა, ესე იგი ტუჩთა შეკვრასა და განაპებასა ხმარობს მკოცნელი. კ ვ ლ ა ვ შეეწებნეს კშირ-კში-

რად მოხვეწასაცა ნიშნავს. შეწებება, რომ დიდის სიყვარულით მო-
ეხვივნენ ღიახ მჭიდროდ ერთმანერთსა [175r].

1413/1423

1 ტ უ რ ფ ა — საიშვიათო, მშვენიერნი, საიშვიათო, რომ ყოვ-
ლის მშვენიერებით მოსაწონი იყოს. ტ უ რ ფ ა — მშვენიერთა შორის
რჩეული.

2 ლ ა ლ მ ა ნ — კეთილმან, კანდიერმან.

3 ნ ა რ ნ ა რ ი — სიტყვანი ღიახ მშვენიერი და შესაბამად დაწყ-
ნარებული და სასმენელად საამო სიტყვანი.

1414/1424

1 მას ალვისა მორჩსა, ვით ხეს — ალვისა მორჩსა, — ალვის ხე
ახალი, ალვის ხე სურნელი ხე და კეთილისა მშვენიერებისა და აღ-
ზრდილობისა და ნაკვეთიანობის მექონი (ნაკვეთიანობა ქართულია,
კარგს ფიგურაზედ, მშვენიერად მოყვანილობას ნიშნავს მშვენიერისა
ტანისასა).

3 არა სჭირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გაითხეს — გაით-
ხეს, შეიმსუბუქეს, შეიმცირეს. ა რ გ ა ი თ ხ ე ს — არ შეიმცირეს, არ
მოიკლეს (ესრეთსა შინა ჟამსა ქაჯთა ბრძოლისასა ვითარ ძალ იდე-
ბოდა, მოკლება საჭურველისა გმირთა მათგან, რომელთაცა ესე ვი-
თარი ძლევა შემოსილება მიიღეს სიმხნითა და საჭურველითა დასთ-
რგუნეს მტერნი თვისნი).

4 თავნი მათნი გაალომნეს, მათნი მბრძოლნი იშვლეს, ითხეს —
ვითარცა ლომნი მშველთა და თხათა ადვილად მოერევიან, ეგრეთვე
გმირნი ესე, ტარიელ, ფრიდონ და ავთანდილ მტერთა თვისთა მძლე-
ველ იქმნენ.

1416/1426

4 კ უ ბ ო — ტახთრევანდს და ქეჯავასაცა ჰქვიან. თ ა ხ თ რ ე ვ ა ნ
და ქ ე ჯ ა ვ ა ო რ ი ა. სპარსული სახელები არის, შთასაჯდომელი უფ-
რორე ქალთათვის, აქლემთა, ანუ ჯორთა ეტვირთების. ქეჯაოს აქ-
ლემს აჰკიდებენ და თახთრევანში ჯორებს შეაბმენ. გ ა ნ ა კ რ ძ ა -
ლ ე ბ ი — გაფრთხილებულნი სცივდეს. [175v].

1417/1427

4 მ უ ქ ა ფ ა — მაგიერი.

1419/1429

1 დ ა ნ ა დ ე ბ ი — საუნჯე რააცა დაიღებოდეს შესანახავად.
შენახული სიმდიდრე, თვალ-მარგალიტი, ოქრო, ვეცხლი და სხვანი.

1423/1433

2 ს ა თ ი — სატი, შავი ჭიკა, მბრჭყვიწიანი გიშერი. ეს რა სახ-
მარი იქმნებოდა, სხვა ტურფანი ესე იგი საიშვიათო ძვირფასნი ნივ-

თნი წარილო საქორწილოდ ზღვათ¹ მეფემან. სათი — არა ეგრეთ
ძვირუასი არს, ვითარცა სხვანი ჯავაჲრნი, ესე იგი, ძვირუასნი ქვანი

1424/1434

2 გარე-სწყდეს ჯარსა სპათასა — მოშორდეს და ჯარსა თვისსა
წინ წავიდეს და ესრე მიეგებნეს თავის ჯარისაგან მოშორებულნი.

4 ბროლ-ბაკმა — ბაკი მთოვარეს რომ შემოერთყვის გარშამო,
რომ შუქი მოევლების, მას ეწოდების. ბაკი მოგრგვალეული,
მგრგვლივ შემოვლებული, გინა მოლობილი. ბროლსა მზე რომ შე-
ადგება, რომელიმე ბროლი არის, ეგრეთვე მოიხვევს სხივსა ირისეს
მსგავსადა და ბაკმა მას ეწოდება.

1426/1436

2 გაცა-მჭკრალი — გამჭკრალი, სიცხისაგან დამჭკნარი.
ესე ნიშნავს მწუხარებას, ცეცხლისა მიერ დაჭკნობასა კაცისასა და
მწუხარებით რომ კაცი დამჭლდება.

3 აწ აგრე ვარ გავსებული, წინა ვიყავ ვითა მცხრალი — რაო-
დენ გზისცა უწინარეს ამისს ვიყავ მწუხარე, ეგეოდენ-მზომ აწ მხი-
არულებასა შინა ვარ, ვითა მთოვარე მცხრალი ადრევე, ეგრეთ ვიყავ
მწუხარებისაგან ნათელ-მოკლებული და აწ მხიარულებამა და საწა-
დელისა მიმთხვევამან გული [176r] განმინათლა უსაზოჰოთა მხი-
არულებითა.

1427/1437

4 პერპერა — დაფანტული.

1428/1438

1 ლარი — ფარჩა, საზოგადოდ სტავრა, ხოლო სრულიად ოქ-
როთ ნაქსოვი ფარჩა ატლასი, ატლასი ორგვარი არის, ერთი უზა-
როდ, მეორე ოქრო-მკედითა და სირმით ნაქსოვი. სპარსულად ატ-
ლას ბაბარის — ღიახ უცხო ფარჩა ატლასზე ნაქსოვი სირმით.

3 მეტად ხასი — წითელი ოქროსა ჰქვიან. ხასი აქა ყოვ-
ლითურთ უბრყვილოსა და წმიდად განათალს ეწოდება, რომელსაც
რომ ზადი, ესე იგი ანუ სიწამხდრე რამ არა ჰქონდეს რა.

4 ხალასი — გაწმედილი, გახალისებული ოქრო, გინა ვეცხლი
რომ რიოში არ იყოს, ესე იგი ყალბი არ იყოს.

1429/1439

2 ბადახშანი — საუკეთესო ბადახშანური ლალი.

¹ ხვათ

4 დ ა ვ ლ ა უნდა დოვლა. დოვლათი, ესე იგი, სიმდიდრე და დიდება არის. დ ა ვ ლ ა საშოვარი არის. დ ა ვ ლ ა ნატაცები არის და დიახ შეუმსგავსებელი¹ ლექსი იქნება, რომ დავლად ითარგმნოს.

1432/1442

1 ქველი — ქართული ლექსი არის. ქველი ნიშნავს მოწყალესა, უხვსა, ტკიბლსა, სახიერსა, ნეტარსა და კურთხეულსა (სადაც იოანე ფილოსოფოსი, პეტრიწი ჭირჭიმელი საღმრთო წერილებში ჰსწერს ამ სიტყვის მაგიერად; სადაც სიტყვის დასაბამში უნდა ითქვას, გ ვ ა კ უ რ თ ხ ე მ ე უ ფ ე ო, ამის ნაცვლად პეტრიწი იტყვის ქველ მსიტყვენ, მეუფეო.

2 მოახლე — მახლობლნი. მხეველსაც უწოდებენ[176v]ბენ მოახლეს. მჭვრეტელი — მაყურებელი, მხედველი.

3 ს ა ნ ა ხ ვ ე ლ ი — სახილველი.

4 ს ა ჭ ვ რ ე ტ ე ლ ი — საყურებელი.

1433/1443

1 მე თავი შენი მიდია — ესე იგი, მე შენ ჩემს დად აღვიარებ, და დ მიგიღე.

1434/1444

1 ხათუნი დედათაგანი ვინმე პატივ-ცემული, ანუ ბანოვანი ჩინებულის კაცისა ვისმე ცოლი, რომელსა აქვნდეს ღირსება და მიჩნეულ იყოს დიდებულთა გვამთაგან, ესე იგი დ ა მ ა, ვინმე შერაცხილი აზნაურთა შორის, თუმცა ფათმან იყო ცოლი ვაჭრისა, მაგრამ სახლსა შინა მეფისასა პატივ-ცემულ-იყო.

3 რ ე ტ ი — თავსბრუ დასხმული.

4 ნ ე ტ ა რ ძ ი — სანატრელ არს იგი.

1435/1445

1 შუქთა მიფენნი — სინათლის მომცემნი.

2 სადაფთა მოსადაფენი — სადაფი არის მარგარიტის ბუდე, ანუ ზღვისა იგი გრგვალი ნაჭუჭიერი ცხოველი, რომლისაგანცა მოიპოვების კვერცხი მისი მარგარიტი, ვინადგან ფრიალ სპეტაკ არიან, აზიურნი ბიტიკოსნი მშვენიერის პირის სითეთრეს მას მიაშვავებენ და ვინაიდან გრგვალი არს სადაფი, პირის სიგრძელესაცა დანიშნავს. შინაგან გული სადაფისა ხომ სპეტაკი არის და ელვარებასა სცემს.

კბილნი ბროლნი და ზაგენი, სადაფთა მოსადაფენი — მოსადაფენი ამას ნიშნავს, მითომ მშვენიერთა მათ სითეთრე პირისა სადა-

¹ შეუმსგავსებელი

ფისა სითეთრეს წარმოადგენენ და კბილნი მარგარიტთა მსგავსნი, მათ შინა დაფარუ[177r]ლსა მარგარიტსა.

3 ნიშავნი, ნაჩაგ დაფენი — ნიშავი გამოჩენილი ლხინი, გინა მეჯლიში, რომელიც საკრავებით და მუზიკით გარდინდება, იმ ლხინსა ჰქვია. ნიშავი, ნაჩაგ დაფენი — ესე იგი, მეჯლიში საკრავებით ჩანგითა და თანავე ჩანგის დაფთა კვრითა გარდახდილი. ნიშათ, ნიშავ არაბული ლექსი არის, მხიარულება, სადღესასწაულო სამხიარულოსა ნიშნავს.

1436/1446

1 საესავი — რომელზედაც სასოება ჰქონდეს კაცსა, საესავის არის, რომ სწამდეს და მარადის მოიმედე იყოს იმისი და ერდგული იყოს, საესავი ამას დანიშნავს¹.

3 მეფემან ბრძანა არა გმურს, სამიწოდ თქვენთვის თავია — ეს ამას ნიშნავს, თქვენს სამსახურში კიდევ რომ მოგკედო და კიდევ დაგმიწდო, იმისთვისაც არ დავიშურებ ჩემს თავსაო.

1438/1448

1 ძმად შენაფიცარნი — ფიცით ძმად შემტკიცებულნი, ნაძმევენი ურთიერთის მტკიცითა ფიცითა.

2 დანამტკიცარი — შეურყეველად დამტკიცებულნი. განამტკიცარი — განმტკიცული, წმიდად გაცრილი.

3 არუფიცარი — არა უცნობი.

4 ბროლისა ფიცარი — მკერდი და სიბრტყე მშვენიერისა გულისა.

1444/1454

4 დაკოდილი — დაჭრილი, ესე იგი გვარად რომელ ნაწევარი კი არა ჰქონდეს, ნაწევარს მოშორებული. დაკოდილს აქა სახელსდებს განსაცდელთა მათ, რომელიცა გარდახდათ ტარიელს და ნესტან დარეჯანს და მისგან[177v]ვე, ესე იგი ღმრთისაგან გამოსხნილიქმნენ.

1445/1455

3 ცხადად ჰპოვეს არ იოცნეს — არა თუ ოცნებით, ანუ მოჩვენებით, ანუ ცარიელის ფანტაზიით, არამედ ჭეშმარიტებით საუკუნო შეება იპოვნეს.

4 ერთსა მიხვდეს საზიაროდ — ესე იგი ყოველნი იგი, რომელთაც სისხლი დასთხიეს ერთს საზიაროსა, ანუ საზოგადოს საშვებელსა სამოთხესა მიხვდეს და იმ ერთის საზიაროს მიხვედრითა დიდე-

¹ დანიშნა

ბ ა ნ ი ი ა ს ო ც ნ ე ს, ესე ი გ ი, დიდება თვითოეულთა მათ გარდიქ-
ცა ასოცს რიცხვად და უმეტესადცა.

1446/1456

3 და წვიმა თოვლსა არივა — ცრემლი გარდამოყარა და თეთრს
პირზედ, თოვლის მსგავსზედ რომ დაედინა ცრემლი, იმას ნიშნავს.

4 ნარგისათ იძვრის ბორიო — ნარგიზის ყვავილსა თვალის
კაკლებს ამსგავსებენ აღმოსავლეთის მოლექსენი მეტაფორიითა. ბ ო -
რ ი ო — ქარი ზამთრისა ვარდთა და ყვავილთა შემაწუხებელი, სა-
ტირლად აღძრულსა თვალსა, ქარსა მისსა აღძრვასა შეამსგავსებენ
მოლექსენი. ვარდსა ზრავს იანვარია — ი ა ნ ვ ა რ ი ზამთრის თვე
არის. ვ ო რ ი ა — კიდევ სხვას მავნებელს ქარსა ეწოდება, რომელ-
ნიცა შვენიერთა ყვავილთა ავნებენ. ვ ა რ დ ი — ეწოდება ლაწვთა
მშვენიერისათა.

1447/1457

2 სულთქმით ახეს — ა ხ, და ო ხ, და ამგვარები შორისდებულნი
სამწუხარო ხმის აღმოტევებანი არიან [178r].

4 რასათვისმცა ივავლახეს — ვავლახი, მწუხარება და გო-
დება და ურვა ნაწილნი სატირელთა მოქმედებათანი არიან.

1448/1458

2 რ ე ბ ა — სიარული.

4 მ უ ქ ა ფ ფ ა — სპარსული ლექსია, სამავგიეროსა ნიშნავს.

1449/1459

1 მი ი უ მ ტ კ ი ვ ნ ა — მი მ ტ კ ი ვ ნ ე ბ ა, რომ მიუსამძიპროს
და თავისი გულის მწუხარება მოყვასსა გამოუცხადოს სიტყვით, ანუ
ტირილითა. ს ი მ ძ ი მ ი ლ ი — დამძიმება, ესე ი გ ი მწუხარებით მი-
ღება სამწუხარო ვითარისამე საქმისა.

2 ღ ი მ ი ლ ი — ნელიადი სიცილი.

3 წ ა ხ დ ო მ ი ლ ს ა, წ ა ხ დ ო მ ი ლ ი — წარხდომილი მოკლე-
ბასავით. წარხდომილი, განვლილი ჟამი. ლექსი წ ა ხ დ ო მ ი ლ ი
გაფუჭებულიც არის, მაგრამ აქ კი არ ნიშნავს გაფუჭებულს და არც
წამხდარს, მხოლოდ ნიშნავს, რადგანაც მზე ლ ო მ ი ს ბ უ რ ჯ ს მო-
შორებულნი იყო და ზამთარი ნათელსა და ძლიერებასა მისსა ჰფა-
რევდა და აწ ლომისა ბურჯსავე შევიდა და ძალი და ბრწყინვალეობა
თვისი გამოაჩინა. მზეთ აქა ნესტან დარეჯან არის თქმული და ლო-
მად ტარიელი.

1450/1460

2 ზ ა თ ქ ი — მალალ-ხმინანობა. ზ ა რ ი, საგრძნობელი სიხარულ-
შიაც და მწუხარებაშიაც კაცს რომ უეცარი სიხარული ანუ მწუხა-

რება შეემთხვევა და ანუ საზოგადოების, ესე იგი მრავალსა ერსა ანუ ქალაქსა, ანუ სიმრავლესა შემოკრებილთასა, მაშინ ყოველი კაცი საგრძნობელისა მისთვის შემთხვეულებასა ჰყოფენ დაღადებასა, აღმალლებენ ხმასა [178v] და თვის შორის გრძნობენ საკვირველებასა სიხარულისასა, გინა წყენისასა, ზ ა თ ქ ი და ზ ა რ ი აქა მრავლისა ერისა ახლისა ვითარისამე შემთხვეულებისათვის აღძვრასა საგრძნობელსა და ხმათა დაღადებისათა. ბ უ კ ი — ტ რ უ ბ ა, ჭ ა კ რ ა ვ ი. ტ ა ბ ლ ა კ ი — და ფ ი, ანუ დ ი მ პ ლ ი ბ ი ტ ო ხმა უცხოლ შენათხზარი კარგის სიტყვებით და ლექსებით და კაის ხმაზე რომ უკრავდენ და იმღერდენ.

3 და ბ და ბ ი — ჯიმშიმს რომ ეძახიან, გრგვალია დიდრონები რვალისაგან ქმნილი, ერთს ერთს კელით თითებს გაუყრიან და მეორეს მეორეს კელითა და სცემენ ერთმანერთსა და ისე უკვრენ. კმა ტურფად შენათხზარი — ესე იგი, კმა მშვენიერად შეწყობილი, ტბილ-კმაობითა აწარმოვებენ.

4 ბ ა ზ ა რ ი — საეაჭრონი ღუქნები.

1451/1461

1 შუ კ ა — ქართულია, ქუჩა, ფოლორცი, ანუ ღობე კედელთა, გინა სახლთა ორღობე, ესეც ქართულია.

2 ს ა რ ა ნ გ ნ ი — ჯარის უფროსნი, ოფიცარნი. ა ბ ჯ ა რ ი — სამხედრო იარაღი.

3 მოიჯრებოდეს ჯალაზნი, სარანგთა დამსაჯანია — ს ა რ ა ნ გ თ ა და მ ს ა ჯ ა ნ ი ა, და მ ს ა ჯ ა ნ ი — დამსჯელობანი, რომ უწესოთ ერთი მეორეს რომ შეაიწრებდენ, ამისთვის სარანგნი უშლიდენ უწესობათა ერსა. რა ხალხის სიმრავლე შესვლად იწროთა ადგილთა ერთმანერთსა აწეებოდეს და ხალხის სიმრავლისაგან ძნელად განვლიდენ იწროებითა. ჯ ა ლ ა ბ [179r] ნ ი სახლეულებანი. ჯ ა ლ ა ბ ო ბ ა — ქალთა და ყმაწვილთა ერთად მყოფთა თვითოეულისა ფომილიისასა ნიშნავს. ერი ჯალაბობა; ერთი ფომილია, ანუ ერთი სახლეულება. ჯალაბობანი მრავლობითი სახელი არის, ბევრთ სახლეულებათ ნიშნავს. ს ა რ ა ნ გ თ ა და მ ს ა ჯ ა ნ ი ა — დამსაჯანი, დამსჯელსავით.

4 ს ა ა ჯ ა რ ი — შესახვეწი, სათხოვარი.

1452/1462

1 ს რ ა — ბალატი. ო ქ ს ი ნ ო — ძვირფასი ფარჩა ოქრო ქსოვილი და ხავერზედაც ქსოვილს ოქროს ძაფით ოქსინოს უწოდენ.

4 ნ ა რ ო ნ ე ბ ი — მოსიარულენი.

1 ს ა ჯ დ ო მ ი — სამეფო ტახტი. ძ ო წ ე უ ლ ი — წითელი.

2 ფ რ ქ ე ე უ ლ ი — მოოჭვილი. ფ რ ქ ე უ ლ ი — სხვა და სხვა თვლები რომ უხსნდეს. კ ე კ ლ უ ც ა დ — მოსახდენად, კეკლუცად, და-სამშენებლად, მოსახდენად.

4 ს უ ლ - დ ა ლ ე უ ლ ი — მეტის სურვილით აღტყინებულს მო-სურნეს და მოსწრაფეს საუცხოვოს ვითარისამე სანახავისას სულ-და-ლეულს უწოდენ. ს უ ლ - დ ა ლ ე უ ლ ი თუმცა კორცს საული რომ გა¹ იმასა ნიშნავს, მაგრამ აქ ვეფხის ტყაოსანში კი ამას არ ნიშნავს, რომელიც ზემო ვსტქვით ის მნიშვნელობა აქვს, რომ მეტის ტრფია-ლებით ასეთი გრძნობა ჰქონდეს, თითქოს სული კორცთაგან ეყრებაო ესრეთს გრძნობაში შეიყვანოს კაცი.

1 მ გ ო ს ნ ე ბ ი — საზანდრები, მუზიკანტები, მომღერალნი. [179v]. მ გ ო ს ნ ე ბ ი მესაკრავე და მომღერალნი.

2 ლ ა რ ი — ფარჩა. ა რ ა წ ბ ი ლ ი — არა შეურაცხყოფილი. ლ ბ ი ლ ი — რბილი.

3 წ ბ ი ლ ი — შეურაცხ-ყოფილი.

1 ა ლ ქ ა ტ ი — უქონელი ანუ გლახაკი. ა ლ ქ ა ტ ს ა ს ხ ვ ა მ ნ ი შ ნ ე - ლ ო ბ ა ც ა ა ქ ვ ს, მაგრამ აქა ესე კმარა.

1 ფ ა რ ლ უ ლ ი — ყელსაბამი ქალებისა.

3 მ ძ ლ ე დ საჭირავი კელისა — ნიშნავს ამას, რომ სიმძიმისაგან ძლივს ეჭიროს კაცსა და ძლივსა სძლევედეს (ესე იგი კელის ძალსა მომატებული სიმძიმე მძლე ექმნების).

4 ქ ვ ე ლ ი — უხვი.

3 ს ტ ა ვ რ ა — სრულიად ოქროსაგან მართულად გაწეულსა-ქსოვილი ფარჩა ოქსინო ზემოთ განიმარტა².

3 ჩ ა ლ ა ნ ა — გინა ჩ ა გ ა ნ ა — მეჩანგეთ სამღერელი, ნოტსა-ცა ჰქვიან და მათ ზედა შეთხზულთა სამღერელთა და საგალობელთა,

¹ აქ რამდენიმე ასოსთვის ცარიელი აღგილია.

² განიმარ:

რომელსაცა ჩანგთა ზედა იმღერებენ, ხოლო ჩ ა ნ გ ი არს ქ ნ ა რ ი, ესე იგი არაა.

1459/1469

3 გ ე მ უ ქ ე ბ ი ს — გემაგეირების. მ უ ქ ა ფ ფ ა — მაგეირი, ნაცვალი.

1460/1470

2 წ ა დ ე ბ ა — წდომა.

4 კ მ ა დ ე ბ ა — კმა-ყოფილება, კმარება, მაგრამ აქ ამას ნიშნავს კმარაო, ესე, რომ ავთანდილს აქამდინ ცეცხლი ეღებო, ახლა უნდა დაეუშრიტოთ.

1461/1471

4 ხ უ ლ ი — საკუჭნაო მცირე რამ სახლი შესანახავად საჭმელთა და ხილთა და ესე გვართა ნივთთა, ანუ მცირე რამ კელია [180r].

1462/1472

2 მ ა რ ე ბ ი — რება, ტარება სიარულს ნიშვნენ.

1464/1474

1 მ ო რ ჭ მ უ ლ ი — სიმდიდრითა და დიდებით აღსავსე, სიმდიდრე გარდამატებული.

1466/1476

4 ვ ი რ მ ე ფ ე ი ყ ო ც ნ ო ბ ი ლ ი — ვ ი რ — ვიდრემდე, მანამდის, ვიდრემდის, ვიდრემდისცა.

1470/1480

2 მ ი ს ა ნ ი — წინასწარვე გამომცნობელნი მომავალის საქმისა. მისანი და გულთ-მისანი ორნივე ერთს ნიშნავს. გულთ-მისანი ამისთვის ეწოდება, რომ რაც გულში ედოს კაცსა მისანი შეამცნევს და შეატყობს, ზოგს კელის-გულს გაუსინჯვენ, სხვას ლობიოს უყრიან, ქაღალდს გაუშლიან; მისანნი ზოგნი გრძნეულების და ჯადოგობათ მოქმედნიც არიან.

1471/1481

1 ა რ ნ ა თ ნ ე ბ ი — არა პირმოთნეებით თქმულნი, გინა ქმნულნი, გინა მიფერებით მოლიქნეობა. თ ნ ე ბ ა — შეწყნარება საქმისა, გინა სიტყვისა.

4 ხ ო ლ ე — მხოლოდ მარტო, ამას საქმესა, ანუ მას რომელსამე. ა გ ე თ ი ლ ა — კვლავ ესრეთივე, გინა ეგრეთივე.

1472/1482

1 ნ უ რ ა ს ნ უ ო — ნურასფერს ნუო, ნურა რამემს სხვასა.

2 გ ა ვ ა თ უ ო — საეჭველად აღარ გავხადო.

3 გ ა ვ ა ც რ უ ვ ო — გავამტყუნო.

4 ა მ ო დ ვ თ ხ ო ვ ო — მშვიდობიანათ და საამოს სახით ვსთხოვო, მყუდროებით სასიამოვნოდ და სიმშვიდით სათხოველი. შ ე ვ ა გ უ ვ ო — შეგუვილი, შეჩვევა, გინა შეგონება, ესე გვარი რომელ საქმე ასეთის კელოვნებით და სიტყვიერებით ითხოვოს და ასეთის [180v] სახით ვისაცა სთხოვს, ელაპარაკოს, რომ თხოვა განეგლინოს, რაემე. შ ე გ უ ვ ე ბ ა — ეს არს ლაპარაკი და საუბარი ესრეთის სიტყვითა აქვენდეს, რომ მოიზილოს კაცი თვისადმი.

1473/1483

3 ა ლ მ უ ლ ო ბ ა — აღმურობა, ალი ცეცხლისა უეცრად რა ავარდეს და ნახშირნიცა მტვერად აჰყვეს თანა და კომლიცა აღმური ის არის. მ უ რ ი — ჭიშავე ნახშირისა და ნახშირის მტვერი არის. ა ლ მ უ რ ი — ალი ცეცხლისა, კომლი და მური, ნახშირის მტვერი ერთად გარეული.

1475/1485

2 ს ა მ უ ხ თ ა ლ ი — საქმე სამუხთლო, დალატი კაცისა, სიდრკუით წინა-აღმდეგობა, დაფარვით და შეუშეცნებელად ბოროტის შემთხვეულება.

1476/1486

2 კ უ შ ტ ი — მწყრალი გულითა, გულში რომ სწყრებოდეს, სახესა ზედაც წყრომა ეტყობოდეს, არას ამბობდეს კი ჩუმად იყოს. შ ე ა უ რ ვ ე ბ ს — შეაურვებს, შეაწუხებს, გულს შემთობილ ჰყოფს.

4 ვ ე რ ა დ ა მ ი უ რ ვ ე ბ ს — ველარავინ შეიძლებს, რომელ შენდობა და მოტევება მომიპოვოს. ვერა შუამდგომელი ველარ შეიძლებს, რომ მოტევება მომიპოვოს.

1477/1487

1 შ უ ქ - ნ ა ფ ე ნ ა მ ა ნ — შუქ-მოფენილმან. შ უ ქ ი — გარდამოცემული ნათელი.

1479/1489

3 თ ხ რ ო ბ ა რ ი ს ა ც ა ჭ რ ე ლ ი ს ა — ჭრელი საუბარი და სიტყვა, ნიშნავს არეულს ლაპარაკსა და უკანონოს. ჭ რ ე ლ ი ს ა უ ბ ა რ ი — სხვა და სხვა რიგი ლაპარაკი და [181r] ზრახვა და საუბარი.

1480/1490

1 მ უ დ ა რ ა — ხვეწნით თხოვა. შ ე პ ო ვ ნ ე ბ ა შემეცნება არის აქა, რომ მიახვედროს და საქმე ნათლად დაანახოს და თუ შეპუებას ვიტყვით. ამას ნიშნავს, ერთმა კაცმა მეორე შერაცხოს ღირ-

სად და მას თავი დაუმდაბლოს, ანუ თუ უფრო ნათლად ითქვას, ვისაც ძალი ექნება, ის არავის შეეპუება. ძალი ვისაც არა აქვს, ის მტერსაც თავს დაუმდაბლებს. მეორე კიდეც ეს არის, თუ კაცს სურს ერთი რამ საქმე, ვისგანაც რომ სურს კმაყოფილების მიღება, იმას თავს დაუმდაბლებს და იმითი თავის საწადელს წარმართებს. ვისთანაც სათხოვარი და შესახვეწარი რამ საქმე ჰქონდეს, მას სომდაბლით და ღწობიერად არ სთხოვოს, შეპოება იგი არს.

1481/1491

4 გ ა ლ ა ნ ა მ ც ა — აუცილებლად. ა ლ ბ ა თ თ ტ ა — გ ა ლ ა ნ ა მ ც ა — ესე ესრეთ არს, რა საკვირველია, ეს ასე არის.

1482/1492

1 დ ი ო ნ ო ს ი ს ა ორისავე წერილები, ქართულსა ენასა ზედა. თარგმნული არიან. ძველად პირველი წიგნისა¹ დიონოსიოს არიოპაგელისა საღმრთისმეტყველო, და მეორე ბრძნისა დიონოსე ალიკარნასელისა სწავლანი და ზნეთსწავლულებისა წიგნნი.

3 გ ა ა კ ვ ლ ა დ ე ბ ს — კვალადვე მოაგებს კარგსა თვისსავე ღირსებასა ზედა.

4 უ ზ ა დ ო — უბრყვილო. ა რ ა ზ ა დ ე ბ ს — არ ბრყვილ, გინა არ ბიწიერ ჰყოფს. არა უგვან ჰყოფს, არა წამხდარ ჰყოფს, არა დაზვლილ ჰყოფს.

1483/1493

1 გ ა ე მ ა რ თ ნ ე ს — გამგზავრდეს, წასვლა იწყეს. [181v].

2 ა მ ა ზ რ ზ ე ნ ი — ტურფისა ნახვასა ზედა გრძნობის მიღება არის. ა ზ რ ზ ე ნ ა — თითქო გააცივებს, ზოგჯერ აათრთოლებს კაცსა, ალაზრზუნს ტანში, ესრეთი გრძნობა მოუვა კაცსა ზოგთ. ზემოთაც იყო განმარტებულ.

3 ბ რ ო ლ ს — პირის ელვარებას უწოდს. ყორნის ბოლოს — კავთა თმათასა. დაწყობილი დანათხზენი — დაღალნი დაწნულნი. ბ ა ლ ა ხ შ ი ზემოთაც გვითქვამს, საკვირველი წითელი ფერსა, რომელსაც ლოყათ ამსგავსებს.

4 ს ი ნ ა ტ ი ფ ე — ნატიფი სრული განკარგულება, როგორათაც მშვენიერებაში, ეგრეთვე მორთულების შემკობილებაშიაც. ს ი ნ ა ზ ე — შესაბამიერი და მოსახდენი სიწყნარე და ნაზი ის არის, რომელიც ტანწვლილი არის და კორციით ძალიან გასუქებული და ზრქელი არ არის და ღიახ ნატიფი. ნ ა ტ ი ფ ა რაბული ლექსი არის, სუფთას მშვენიერსა ეწოდება, ესე იგი, ტანიც, კელნიც, მკლავნიც და ყოვე-

¹ წიგნა,

ლი აღგებულება მსხვილი და კორცით გავსილი არა ჰქონდეს, არც უშვერად გამხდარი, და სახით ფრიად მშვენიერი იყოს, ყოვლითურთ შესაბამიერება აქვდეს ყოველს ნაწევარსა მისსა.

1484/1494

1 კ უ ბ ო — ქალების ჩასაჯდომი სამგზავრო ქეჯავო, ანუ თახთრევანი არის. კ უ ბ ო და ქ ე ჯ ა ვ ა კ ი სხვა და სხვა რიგი არის. ა რ ო ნ ი ნ ე ბ დ ე ს — ატარებდეს.

1485/1495

4 ა რ ე თ ა — იმა კერძოთა, არე აერსაც ეწოდება და გაზაფხულსაც და კერძოსაც ადგილთა. ქართულად ლა[182r]ლნი ბრძნად მოუბარნი, კეთილ-ზრდილობიანათ მოხუმარნი.

1486/1496

2 კ ე ლ ო ბ ა — მწუხარებისა და ანუ ტრფიალებისაგან თითქმის გიჟური ყოფა-ქცევა.

4 ლ ა რ ი — ფარჩა. ზემოთაც განგვიმარტებიეს.

1487/1497

3 ლ ა ლ ო ბ დ ე ს — ხუმრობდეს.

1488/1498

1 ქ ვ ა ბ ო ვ ა ნ ნ ი — კლდეთა სადგურნი ბუნებითად გამოკვეთილნი. პ ა რ ე ხ ი ც მასვე ეწოდება. ქართულია ორივე.

1489/1499

3 ნ ა რ ე ბ ი — ნასიარულევი, თან მოყოლილნი.

4 ს ა ჭ უ რ ჭ ლ ე — ხაზინა, თვალთა, მარგალიტთა, ოქროთა, ვეცხლთა და ფარჩათა და საგანძურთა საცავი სახლი.

კ ა ც დ ა უ კ ა რ ე ბ ი — კაც-მიუკარებელი, მიახლოებული.

1491/1501

2 რ ე ტ ი — გონება დაკარგულსავით (განგვიმარტებია).

3 კ ე ტ ი აქ ნიშნავს უგრძობელსა.

4 მ ჭ ვ რ ე ტ ი — მაყურებელი. კ ე ტ ი ხისაგან ჯოხის მსგავსი გამოჭრილი და მსხვილი. მძიმე და დიდი. ძველად ბრძოლაშიაცა ხმარობდენ კ ე ტ ს ა და მდაბიოთა კაცთა სახლის შიგნიდამ დასაკეტი კ ე ტ ა დ იწოდება, მაგრამ სახლის დასაკეტი უ რ დ უ ლ ი სხვა არის, და კეტი სხვა არის. კ ე ტ ი — მაგარი, დაკეტილი, დახშული.

1493/1503

1 ხ ა ნ ე ბ ი — დრონი, გინა ჟამნი.

2 თ ა ნ ი ს თ ა ნ ე ბ ი — ახლო ახლო. თანის თანითა —ამასაც ნიშნავს, რომ სხვითა და სხვითა სახმარითა ნივთებითა გაწყობილნი იყვნენ ციხენი თუ პალატნი. თ ა ნ ი ს-თ ა ნ ი — თანა შეტყვებულნი.

1494/1504

2 სურვილით სიიფუესა — სურვილით აღსავსეს გუ[182v]ლის თვისებას სიიფუე ეწოდების. ს ი ი ფ ე — სიუხვე, განმრავლებულება.

3 ს ე ფ ე — დიდებულთა თვის და მეფეთა კმნილი საგანე. ს ე ფ ე-წ უ ლ ნ ი — მეფეთა შვილთა ეწოდების, ესე იგი მეფეთ სახლის წულთა.

4 უ ფ უ რ ჭ კ უ ვ ე ლ ი — ვარდი ჯერეთ გაუშლელი.

1495/1505

4 ს რ ა — პალატი, მეფეთა და დიდებულთა სახლნი.

1498/1508

1 ტ ა ბ ლ ა კ ი — ტაბლაკი ჯარის საკრავი, დაფსავით, ანუ ლიტავრი. თ ქ ა რ თ ქ ა რ ე ბ ა — მრავალ-ხმიანობა, ანუ მრავალ-კმიანობით, მრავალთა პირთა ერთად სიცილი და მხიარულების ხმა.

1500/1510

1 მ ი გ ე ბ უ ლ ი — ანუ მიმგებელ. მ ი ს ა გ ე ბ ა ვ თ ა — ერთმანერთის წინ მიმგებებულთა. მ ი მ გ ე ბ ე ლ — აქედამ მეორეს მხარეს მიმგებებულნი. მ ო ს ა გ ე ბ ა ვ ნ ი — იქით კერძოხსა მომგებებულნი.

2 სიტყვათა დანაზებათა — რეცა გასაძნელებელი რამ სათქმელი, შიშითა და კრძალვით თქმული და ნაზობით ხმა მშვენიერად და ნელიად სიტყვას საკრძალველს რომ აცხადებდეს. ს ი ტ ყ ვ ა თ ა დ ა ნ ა ზ ე ბ უ ლ თ ა — სიტყვათა დამყუდროებულთა, მაგრამ მშვენიერ სიტყვაობით თქმულთა, ანუ დაწმენილთა სიტყვათა, სიბრძნით მჭევრ-მეთქვად და სიმშვიდით ნათქვამთა, მაგრამ შიში და რიდიც რომ გულში ჰქონდეს.

4 ამაღ მედების სახმილი, გულსა ეცხება¹ — ესე იგი, სახმილი სირცხვილისა ჩემს გულს სწვამსო [183r] და აცხუნეებსო. ე ბ ა ვ თ ა — ბავთი. მრავალ-ეროვნებისა ხმა შესაძრწუნებელი და საგლოველი.

1501/1511

2 გულსა სახმილი დებულა — გულს ცეცხლი მოჰკიდებია.

3 ა რ ა კ ა დ — არაკი, ანეგლოტი. გა წ ბ ი ლ ე ბ ა — შერცხენა.

¹ ვცდება

1502/1512

2 ხ ა ლ ვ ა — მალვა, დამალვა. ა ლ ვ ა — ხე კვიპაროზისა უცხო რამე ნაქვითიანი და სურნელი.

1503/1513

2 მ ზ ა რ ა ვ ი — საკვირველების ზარისა მაგრძნობელი, ესე იგი განმკრთობელი გულისა.

3 მისი წამწამთა ნიავი, ქრის ვითა ქარი არავი — ზეფიროსის ნიავი, რომელიცა ვარდსა და მშვენიერთა ყვავილთა ეთამაშების და აგრილებს, ეგრეთვე წამწამნი ღაწვთა ვარდისათა ზედან მოძრავნი და ჰქროლვიან მათ. ქ ა რ ი ა რ ა ვ ი — ქარი, ანუ ნიავი, არა თუ ავი, არამედ ფრიად კარგი და საამო.

4 მ ი უ პ ა რ ა ვ ი — არა იღუმალ მისრული.

1504/1515

4 შ ე ს ა ლ ა მ ო დ — ღღეს რომელ ღამე შეეხოს და შეაბინდოს.

1505/1516

2 მ კ ლ ა ვ თ ა ს ი ა ლ ფ ე — სიმარჯვე და ძლიერება მკლავთა და სიკეთე ღონიერებისა.

3 უ ს ა ლ ა მ ა — მოიკითხა, მიემშვიდობა.

1507/1518

2 კ ო რ დ ი მ წ ვ ა ნ ი ს ა — მშვენიერი მწვანე მინდვროსა, მდაბალი ბალახითა შემოსილი მინდორი. კ ო რ დ ი ასეთი მწვანე არის, რომ ესე ეგონება მხილველთა ადგილზე ს ა ფ ე ნ ი რამ გაუშლიათო, ნ ო ხ ი ანუ ო ხ რ უ ა.

3 მ ო ტ ა ნ ი ს ა, მ ო ტ ა ნ ა — მოყვანა (მაგალ.) და თანა წა-[183v]რიტანა ამას ნიშნავს და თანა წარიყვანა.

4 ვ ი ა ჯ, ა ჯ ა, სათხოვარი. ფ ა რ მ ა ნ ი — სპარსული არის, ბრძანებასა ნიშნავს. ი ე რ ა ლ ა ყ ი მეფეთა, ანუ რ ა ყ ა მ ი. რ ა ყ ა მ ი არაბული სიტყვა არის, უქაზი, პოველენიე.

1508/1519

1 რ ა ზ მ ი — მწყობრი მკედრობათა. ც ი მ ც ი მ ი — ფრიად ღმინდათა წყალთა ელვარედ ძრვა ნელიად. ა თ ქ ს — ადგს, ესე ორივე ერთია.

2 უ ნ ა თ ლ ე ს ი — ბაზმრისა რომ სწერია, ბაზარი და ბაზმარი შეცთომით არის, ბ ა ზ მ ა უნდა. უ ნ ა თ ლ ე ს ი ბ ა ზ მ ი ს ა ამას ნიშნავს, ბ ა ზ მ ა არის ესე ვითარი ლამპარი ზეთითა აღნთებული, რომელიც ყოველთა სანთელთა ზედა უმეტესად განანათლებს.

4 ბრძნად ნაკაზმისა — სიტყუა დარჩეული და გამორჩეული და სიბრძნით შეწყობილნი სიტყვანი, რომელშიაცა უკანონო სიტყვა და უშესაბამო ლაპარაკი არ ერევა და დიახ გამორჩევით დაწმენდილი და დარკვეული სიტყვები იყოს.

1509/1520

1 თ ა ვ ი მ ე მ ც რ ო ბ ი ს — მითომ კნინლა და ღირსი არა ვარ, რომ გავბედო და მოგახსენოვო, ასე თავი დაიმდაბლა ტარიელმან მის მეფის წინაშე, რადგან სათხოვარი ჰქონდა. თვისის მამისა და თვისის მეფისა ოდენს პატივს აძლევს ამ სიტყვით.

2 მ ქ ე ნ ე ბ ლ ა დ — მოქენედ მთხოველი. მ ო ქ ე ნ ე ანუ მსასოებელი არის ვისაცა სთხოვს მისი. ქ ე ნ ე ბ ა — ხვეწნა სათხოველის აღსრულებისათვის, რაც კი შეიძლებოდეს საგრძნობელის თხოვითა. [184r].

3 ი ა ჯ ს — აჯა, ზემორეცა ვსტკვით, ვედრება არის.

1510/1521

1 ხვეწნით და შემუდარებით — ხ ვ ე წ ნ ა გულს-მოდგინეთ თხოვა არის და შე მ უ დ ა რ ე ბ ა ეს არის, რომ ასეთის სიტყვითა და სახითა სთხოვოს, რომ ღმობიერებად მოდრიკოს ვისაცა სთხოვს ვინა.

2 თ ა ვ ი ს ა დ ა რ ე ბ ი თ — თვისის კეთილ-გონიერებით, რომ თავი, ესე იგი გონება მას დაბნელებული არა ჰქონდა, არამედ დარისა მებრ, ესე იგი კეთილისა ტაროსისა მებრ განბრწყინვებული აქვდა.

3 მეორეთ რომ ამ მაჯამაში ახსენებს დ ა რ ე ბ ი თ ამას შესწორებას, ანუ შედარებას იტყვის, მიჯნურობით იგიცა მე შემედარებისო.

4 მ ი უ მ ხ ე დ ა რ ე ბ ი თ — საქმეს რომ ვერ მიხვდეს და ვერ შეიტყოს.

1511/1522

4 გულ-ფიქალსა — ფ ი ქ ა ლ ი მაგრისა და მტკიცისა ქვისაგან გამოკვეთილი ფიქალი თავს დასაფარებელი ჯურღმულთა, ანუ ჯურღმულისა სახეთა რათამე მიწათა შინა აღმოკვეთილთა. ფ ი ქ ა ლ ი — ფიცარი ქვისა.

1512/1523

2 ამოილო კელ-მანდილი, მოინასკვა ზედან ყელსა — ჩვეულობა იყო ძველად, ოდეს სათხოვარი რამ მძიმე ექნებოდა კაცსა ვისმე წინაშე მეფეთა, ყელზედ კელ-მანდილს, ესე იგი კელ-სახოცს შეიბემდენ, დაიჩოქებდენ და ისე შეევედრებოდენ. ეს ამას ნიშნევდა, მი-

თომ ანუ ინებე! სიკვდილი ჩემი და დაშობაო და ანუ ეს საწადელი და თხოვა აღმისრულეო.

3 მ უ ხ ლ ნ ი და უ ყ ა რ ნ ა — დაუჩოქა. [184v].

1513/1524

1 მეფე შეუზარდა — მეფე განჰკვირდა და შეწუხდა, შეერთა მეფე, ეგრეთი სიმდაბლე რომ ნახა ტარიელისა.

4 ჩ ა მ ა დ ა რ დ ა — სიხარული თქვენის ნახვისა თითქმას მწუხარებად გარდამექცა. დ ა რ დ — მწუხარება, წუხილი, გულში მწუხარების ჩატანა.

1514/1525

1 არ მოგთმინდეს — შეუძლებელი არის, რაც თქვენა ბრძანოთ. რომ ის საქმე არ აღგისრულოთო და ის არ დაგიტოვოთ. და თ მ ო ბ ა — ერთი ნივთი რამ რომ სურდეს ვისმე და ითხოვოს ვისგანმე და იმან ის ნივთი მისცეს, დათმობა ეს არის. და თ მ ო ბ ა დათმენილამ წარმოვებს და მოგთმინდეს მასვე ნიშნავს. მო გ თ მ ი ნ დ ე ს — კიდევ მოვითმენ იმ ბრძანებასაო და კიდევ აღგისრულებ თხოვილსაო.

2 უ შ მ ა გ ო — შმაგობის უკუთქმა არის. შ მ ა გ ი — შემცდარი ჭკვაზედ, ანუ ესრეთ აჩქარებული, რო გიჟს დაემსგავსოს.

1517/1528

2 პირსა ზედან დაეფინა — პირი მიწას დასდვა თაყვანის ცემაში. ამგვარი სიტყვები წინა-უკმოთმინი არიან.

1518/1529

1 გ ა ე ქ ა ნ ა — უმსწრაფლესად წარვიდა, ანუ გაიქცა მსწრაფლიად ავთანდილისაკენ.

4 შუქი ზნელად მოევანა — სირცხვილის და კდემისაგან ფერი შეეცვალა.

1519/1530

3 ქ უ შ დ ე ბ ო დ ა — გაბუტვილსავით სახეს შეიცვლიდა, ანუ პირის სახეს შეიჭმუნვიდა. ვარდსა ზერიდა — ცრემლი ვინაჲდგან ცივი არის, ლოყებსა, რომელსაცა ვარდს ამზგავსებენ მოლექსენი [185r] რეცა მათ ზრვიდა.

1520/1531

3 შენ ზნენი გამოგჩენიან — (მეფე ეტყოდა ავთანდილს) სიყვარულის თვისებანი გამოგიცხადლაო, რომელიც აქამდის დაფარუ-

¹ ინება

ლად გქონდაო, და ნულარ გრცხეენიან ახლაო. რა დგან მე რჩი
ამას ნიშნავს, რადგან გმორჩილებ. გავ — ამას ნიშნავს, გააგდე ეგ
სირცხვილიო.

1521/1532

ამა სტიხსა შინა მაჯამათ არის რიფმა.

1 არე მარე — ნიშნავს პირის სახის მიდამოს, გარეშემოს
სახისასა.

2 დამივსეო ცეცხლი ცხელნი, მაგრამ წყალი არე-მარე — შენ-
მა ნახვამ გულის ცეცხლი კი განმიქარვაო, მაგრამ წყალი არე გარ-
დამოიღინე, მარე გარდამომადინე, ესე იგი, ორთავე თვალთაგან
ტრემლნი გვდიანო სიხარულითა ერთმანერთის ნახვისათა, ანუ შენნი
ტრემლნი მე დამაწვეთენ.

3 ვინ გიშერი დააჯოგა და წამწმისა არე მარე — დააჯოგა
— შეეკრიბა. გიშერი ფერისა გამო და შავად ელვარებისა — მო-
ლექსეთაგან ეწოდება კავთა, ზილფთა, წარბთა და წანწამთა (რო-
მელიცა შეეკრიბა თვის შორის მშვენიერს თინათინსს). არე — ეს
ლექსი აქა ნიშნავს გაწყობილობისა, ანუ ერთის მწკრივზედ მდგო-
მარეობათა წამწამთასა. მარე — ესე ლექსი ნიშნავს შავთა ინდ-
თა, აბაშთა, ანუ არაბთა და სხვათა. აღმოსავლეთის მოლექ-
სენი, ესე იგი პიტიცხვი ინდთა ანუ აბაშთა, შავთა რაზმსა, ანუ
მწკრივსა უწოდებენ, მეტაფორითა მშვენიერთა ქალთა წამწამ[185v]-
სა, რამეთუ ვითარცა მკედრობანი მეტროლნი ესვრიან მტერთა საკე-
დავად ისართა, ეგრეთვე მშვენიერნი და სატროფონი ქალნი ტროფიალ-
თა მისთა წამწამთა მიერ გულისა მოსაწყველელთა გბძნობათა ისარ-
თა სტყორცნიან.

4 გვალე შეგყრი ლომო მზესა, თავი მისკენ არე მარე — გვა-
ლე წამოდიო ამას ნიშნავს, როდისაც მზე ლომის ბურჯში შევა, იმ
ჟამათ მხურვალეა უმეტესი წარმოებს და მოყვარეთ ერთად შეყრა
უმეტესის სიყვარულის გრძნობას წარმოაჩენს. მისკენ არე —
მისსა მიმართ იწყევ სვლა, ანუ სიარული. მარე — დამეცა, მომეც
მიზეზი მისდა მიმართ წარსვლისა, ესე იგი, მე და შენ ერთად წა-
ვიდეთ საყვარელთან. მარე — მეც შენთან მატარე და წამიყვანე
და ერთად წავიდეთო.

1523/1534

4 შემოი მოს — შუქთა მისთა, ესე იგი, შუქთა მშვენიერე-
ბასა ნესტან დარეჯანისათა იხილავთ და გულსა შეიმოსთ სიამოვ-

ნესა. ნათლად გარე მოივანებთ—როგორათაც კაცი სავანესა შინა განისვენებდეს, ეგრეთვე გული კაცისა კარგისა და მშვენიერისა ნახვითა თავის გულს განისვენებს.

1524/1535

2 გოლიათი — ანუ გოლიათი — გამოჩენილი გმირი სახელოვნებით. მზისა ფერად ლაწვნი ლებნეს — ამას არამც თუ აწმყოს მის დროსათვის იტყვის, არამედ ნამყოსა დროსა და წარსრულის მწუხარებისა მათისა და საყვარლის ძებნის ჟამებისათვის იტყვის რომელ [186r] ჭირისა გამო და შრომისა პირები დაყვითლებული და შეწუხებული აქვდათ და მით ესე ვითარითა ღვაწლითა მიხვდეს მათსა საწადელსა.

1525/1536

2 დაუყვნა თვალნი ელვამან, მისთა ლაწვთაგან კრთომილმან — როგორითაც მზეს რომ შეხედოს კაცმა და უყუროს და თვალებს აუჭრელებს, ეგრეთვე ნესტან-დარეჯანის მჭკრეტულთა, იმისი ლაწვისა, ესე იგი ლოყების ყურება, თვალის მხედველობას უშლიდა.

1526/1537

ესე ლექსი მაჯამად არის.

1 დარიანო — ნათელო დარიანო, უღრუბლო ნათელო, მწუხარების ღრუბლიდამ გამოდარებულო.

2 ხელი — სიყვარულით გონება მიხდილსავით. დარიანო — ეს ნათლად ისმის. დარიან — ამას ნიშნავს მხოლოდ დარიან, ესე იგი, ესრეთ არს.

3 ეტლად რაო და დარიანო — დავრიანო, ესე იგი, შენი სვიერება, ანუ ბედნიერება ეტლს მბრუნავსა გავსს. დარიანო — რას უნდა შევადარო, ანუ შევათანასწორო, რომლისაც მსგავსი სხვა არა არს. დარიან — სპარსულად დარსა ეწოდება.

4 დარიანო — დარს კავშირი, ხოლო დარიანი ერთი გვარი სურნელი ბალახი. დარიანო — მრავლობითად ია ყვავილი არის გაზაფხულისა, სურნელი, რომელიცა ყოველს ყვავილს მოუსწრობს წინა.

1527/1538

2 დაყვნა — აქ ნიშნავს მზეს რომ კაცი უყურებდეს და თვალნი აუჭრელდეს.

3 რბენასა — სიარულსა, მიდევნებას [186v].

1528/1539

1 თავისა დარებად — თვითოეული თვის შესაფერად. დარი — შესადარი, შესაბამი. ასეც დაინიშნება. დარი ეს იმისი დარი, ეს

იმისი თანასწორი. ეს იმისი დარი არ არის — ეს იმისი თანასწორი არ არის.

2 დასადარები — შესადარები, შეთანასწორება, შეთანასწორებადი.

4 სახლად, სამყოფად, არებად — არე — გაზაფხული, არება გაზაფხულისა, აერსა შინა შვება. არება — აღსვლა. არება კიბესა ზედა აღსვლა, არება — სიმაღლესა ზედა აღსვლა.

1530/1541

2 საუბარი დაამეს — სასიამოვნო საუბარი ჰყვეს.

4 ბროლ-ბალახში გააღვაწეს — ბროლი პირის სინათლეს ნიშნავს. ბალახში ფერსა წითელსა მშვენიერსა და ღაწვი ლოყათა. გიშერი აწამწამეს — წამწამნი მათნი — გიშერსა ფერსა მიამსგავსეს.

1531/1542

1 თინათინ ზედა აწვივა, ტახტსა მეფესა ზეთასა — ზეთასა ესე იგი ზეთავსა, ანუ უპირველესს ტახტსა, ესე იგი კათედრსა პირველსა.

2 ბჭესა ბჭეთასა — ეს ლექსი მესტამბეთაგან არის შემცდარი. მბჭესა მბჭეთასა ასე უნდა ჩაიწეროს. მბჭე — განმჭობი, განმსჯელი, გამსამართლებელი. თინათინმა ტარიელ მიიწვივა ტახტზე, მაგრამ ტარიელმა განბჭო, რომ თინათინ მუნებური მეფე იყო და რადგანაც ავთანდილ და თინათინ უნდა შეყრილიყვნენ ერთად იმათ უთავაზა ტახტი¹ და დასხა ერთად და პირველს ადგილს ისინი დასხა [187r].

1532/1543

4 რამინ დავის — ერთმანერთის მიჯნურნი იყვნენ, ვისრამიანში იხილეთ.

1533/1544

1 ქალი შესწბა — ქალი შეკრთა უეცრათ², ავთანდილ რომ დაუსვეს გვერდით.

2 შედაგამო, ანუ შიდაგამო — შიგნიდამ, შიგნით გულიდამ.

1535/1546

3 სნება — სენი არის ერთგვარი.

4 დაიჭირეთ — იპყართ.

¹ ტახტში

² აეცრათ

1536/1547

4 მტერთა მკლავნი შეაძუნტნეს — შეაიწრნეს, შეაძუნტნეს, სრულად უხმარ ჰყვეს.

1537/1548

4 გ ა ფ ლ ი დ ე ბ ა — შერცხვენა და გაცუდება. ფ ლ ვ ე ა ნ ი მ ნ ა ვ ს დ ა მ ა რ ხ ვ ა ს ა ტ ა, ესე იგი მკვდართა დაამგზავსნეს მტერნი. ფ ლ ი დ ი ც რ უ თ ა ტ ა ე წ ო ლ ე ბ ი ს. ჩვენს ჩვეულებრივს მსოფლიოს ლაპარაკ-ში იტყვიან მტერი გააცრუავო, ანუ გააფლიდაო.

1538/1549

1 კ ე ლ მ წ ი ფ ე ზ ე ნ ი ა — ზენა უმაღლესს ადგილს ეწოდება.

2 შ ე ნ ი ა ნ ს ი ნ ა ზ ე ნ ი — მყუდროებითი ქცევა მშვენიერი და წყნარად მოძრაობა დაშვენებული.

3 ნ ა ს - ტ ა ნ - ჯ ა რ — ესე სპარსულის ლექსით რომ განიმარტოს ნ ა ს, ანუ ნ ე ს — ნაზი ქართულად წყნარი, შესაბამიერი და ანუ წყნარის მშვენიერებით შემკობილი, ანუ მშვენიერი სიწყნარის თვისებისა. ტ ა ნ ა რ ი ს ს პ ა რ ს უ ლ ა დ თ ა ნ, — ესე იგი, მ ო რ ფ ი ანუ ნაკვეთი. ჯ ა რ, — კეთილწესიერებით განკარგული, ანუ განმშვენიერებული. ა მ ა ზ რ ზ ე ნ ი — გრძნობისა მაწარმოებელი მხილველთა მშვენიერისათა.

1539/1550

1 ლ ა შ ქ ა რ თ ა მ ი ს მ ე ს ა ვ ს ი ს ა — ლაშქართა [187v] აღმავსებელი მრავლისა წყალობითა, თვითვე პატრონი მისი არს ლაშქართ მესავსე. ს ა ვ ს ე ბ ა ა რ ი ს მ კ ე დ რ ო ბ ი ს ა მ კ ე წ ი ნ ა მ ძ ლ ვ ა რ ი მ ა თ ი და ძლიერი გმირი.

2 ხ ა ვ ს ი — ხეებს რომ მოეკიდება და გარე მოეხვევა ტყეთა შინა. ხეთა დიახ¹ მრავალი ხავსი ექნება. ხოლო ხ ე ვ ს ი ვ ე ლ თ ა შ ი ნ ა, ხშირად აღმოსრულნი ახალნი ნორჩნი ხისანი არიან, რომელნიცა ურიცხვ იქმნებიან, ჯერეთ არა დიდ სახედ აღზრდილნი. ხ ა ვ ს ი ი მ ა ს ა ნ ი მ ნ ა ვ ს, რომელნიცა ტყეთა შინა ხეთა ხშირად გარე მოესხმიან, რეცა თმის მსგავსად დახვეულნი ნივთიერებანი.

1540/1551

მაჯამათ არის ეს ლექსი.

1 ჭ ი ქ ა — ბროლის ღვინის სასმისი სტაქანი. ლალის ჭიქა — ლალისა სტაქანი.

2 ს ხ დ ი ს უ ც ხ ო უ ც ხ ო ს ი ქ ე ბ ი — ს ი ქ ქ ა ს პ ა რ ს უ ლ ი ლ ე ქ ს ი ა რ ი ს, ნიშნავს ფულთა ზედა გამოხატულებასა სახისასა, ანუ ჭურჭელთა

¹ + დიახ

ზედა, ვითარცა დაბეჭვდილსა, გინა გამოკვეთილებასა ხატთა და წერითასა და ღერბსა. **ჭ ი ქ ე ბ ი** — მაჯამათ გამოდის. **ი ქ ე ბ ი** — ესე იგი ქებულ იქმნები.

3 ი ქ ე ბ ი — ამას ნიშნავს იქ დაები.

1541/1552

1 მ უ ტ რ ი ბ ნ ი — საზანდრები, მუსიყნი, მუზიკანტნი, საკრავთა მკვრელნი და მომღერალნი. **წ ი ნ წ ი ლ ი** — ის საკრავი არის, რომელსაც ღუსლს უწოდებენ.

1542/1553

1 ს ა პ ყ ა რ ი — უძღურებით და ავათმყოფობით დაკუთმებული და დაუძღურებული.

3 ო ქ რ ო მ ყ ა რ ი — მ ყ ა რ ი მტკიცე. მ ყ ა რ ი გარდაყრილი, გადაბნეული. მ ყ ა რ ი გარდამაბნეველი, გარდამფანტველი [188r].

4 მ ა ყ ა რ ი — ვინცა ქორწილსა იქმს, ერთი ვინმე ჩინებული კაცი მას სიძესა ეყოლების მიჩენილი. მაყარსა ეჯიბსაცა სახელს დებენ. **ე ჯ ი ბ ი** სპარსული ლექსია, **მ ა ყ ა რ ი** ქართული. ეჯიბი გვერთ ახლავს სიძესა, რათა რააცა სახმარ სიძისა არს ქორწილისა ჟამსა მსახურებს მას, როგორათაც მეფეთა ახლავან მოხელენი განმგებელად საქმისა მათისა. ესე ვითართა მახლობელთა მეფისათა სპარსულად ეჯიბი ეწოდების, რომელნიცა არიან მომხსენებელნი საქმისანი და მეფის მაგიერ ხალხთა ბრძანებათა და მომხსენებელისა საქმისა პასუხთა გამომცხადებელნი არიან.

1543/1554

1 არ ლაფალია — **ღ ა ფ ლ ო ბ ა ა ნ უ ს ი ღ ა ფ ლ ე**. მომაცთუნებლობა და მომტყუებლობა არის. **ა რ ლ ა ფ ა ლ ი**. არ მომტყუებელი. **მ ო ლ ა ფ ლ ე ბ ა** — დაუძღურებასავით. ლხინი ანუ სხვა საქმე, რომ მოსწყინდეს კაცსა და დაიზაროს. **მ ო ლ ა ფ ლ ე ბ ა** საქმე რომ მოეწყინოს კაცსა და უგულებელს ჰყოს.

3 ს ა ტ უ რ ფ ა ლ ი — სატრფიალო.

4 ხამს ყურსა გვეგდოს საყურლად ჩვენ თქვენი ნატერფალია — **ს ა ყ უ რ ლ ა დ** — საყურედ. ძველთა შინა დროთა მონათა, პატრონნი მათნი ყურთა საყურესა გაუყრიდენ, ანუ ტყვეთ მოყვანილთა, რომელნიცა ნიშანნი მონებისა იყო. **ს ა ტ ე რ ფ ა ლ ი** — ფეხი რაზედაც დაიდგმის, იმასა ეწოდება. **ტ ე რ ფ ი** ფეხის-გული არის. **ნ ა ტ ე რ ფ ა ლ ი** ქობისა ანუ ჩექმის ნალი.

1547/1558

2 ათასი თვალი ნაშობი, რომანულისა დედლისა — რომანულნი დედალნი ზღაპართა შინა მოხსენებულ [188v] არიან, რომელ ივინი მარგალიტისა და ძვირფასთა თვალთა კვერცხსა დასდებდეს.

4 ტ ა ი ჭ ი — ცხენი საჯდომი გაწვრთნილი სამკედროდ. ბ ე დ ა უ რ ი — ულაცი ცხენი. სიდიდით მსგავსი ქედისა — ქ ე დ ი არს გორა მცირედი მათა.

1548/1559

1 ტ ა ბ ლ ა კ ი — ქართულია, სპარსულად ხ ო ნ ჩ ა ეწოდება, რომელსაცა ზედა დააწყობენ საძღვნოთა ნივთთა—თვალთა, მარგალიტთა, ოქროსა, იარალთა, ფარჩათა და სხვათა ნივთთა. ტ ა ბ ა კ თ ა და ხ ო ნ ჩ ა თ ა სურად დაიდგმენ და პურს მასზე სჭამენ.

3 არ მახმული — ხმევიდამ არის ეს ლექსი წარმოებული, ხოლო ზმევა ეწოდება ხმარებასაცა და სმასაცა, მაგრამ მ ა ხ მ უ ლ ი სიმთვრალესა შინა შესრული და ჯერეთ სრულიად არა მთვრალი.

1550/1561

1 იყვის ფიფქისა მთოველად — ფ ი ფ ქ ი — ახალი თოვლი, რადგანაც როსტევიან მეფემან და თინათინ ტარიელ და ნესტან დარეჯან ისეთის სიყვარულით მიიღეს, ამაღ ტარიელს ტირილი მოსდიოდა თვალთა, როდისაც ეთხოვებოდა მათ და ამისთვის დაფიფქვასა ვარდთასა, ესე იგი ვარდისა ფერთა დაწვთასა ცრემლითა იტყვის მესტიხე დაფიფქვასა.

1552/1563

1 რ ი დ ი — მორიდება.

2 გ ა ჭ ვ რ ე ტ ა — გავსჭვრეტლი, გაშინჯვა საქმისა. ჭ ვ რ ე ტ ა ყურება, განცდა, საქმის გაჩხრეკა და საქმის დანახვა, ანუ რაღსაცა. [189r].

4 დაფრწულით — და ფ რ ე წ ა კორცისა მახვილისა და კრმლისა ცემითა მრავალსა ადგილსა დაჭრა გრძლად გაჭრით. დაჭრა გრძლად გაჭრითაცა და მახვილისა ძვერებითაც იქმნება.

1553/1564

1 ავთანდილ უთხრა ტარიელს, ესე სიტყვები ორები — ო რ ე ბ ი — ესე იგი, ორი სიტყვა, ერთი, რომელიც ტარიელმა ითხოვა მეფისაგან დათხოვნა იმისი ნების დართვა და მეორე სიტყვა მოახსენა თვისი თანა წაყოლისა სურვილი და მეფისგანცა შეთვლა, რომ ავთანდილ უნდა წარჰყვეს ტარიელსა. მან უთხრა აგრე ნუ უბნობ, შე-

ცევ ბროლისა ყორები — ბროლისა ყორები — ბროლისა მსგავსად აგებული, ელვარება და მშვენიერება თინათინისა. ყორე — აგებული, აღშენებული.

1554/1565

ეს ლექსი მაჯამა არის.

1 მზრახავად — მზრახავად კი არ უნდა, მძრახავად უნდა. დაძრახვა ერთი რომ მეორისას იტყოდეს ეს საქმე ასე რასთვის ქმნაო, (დასაძრახავი საქმე რამ რომ შეემთხვეს ვისმე) და იმაზედ ილაპარაკოს ვინმე განკითხვით, ამას ეწოდება ძრახვა ანუ დაძრახვა, ხოლო მზრახვა ლაპარაკსა ეწოდება, საზოგადოს ლაპარაკში, მაგრამ ვეფხის-ტყაოსანში ძრახვა დაცინებით ლაპარაკი არის, ანუ განკითხვასა ნიშნავს.

2 მსახავად — ესე იგი, ასე გეგონებათო და ამას იფიქრებთო და გონებაში გამოიხატავთო. სახვა, დასახვა — გულში და გონებაშიაც და ქარტასა ზედაცა დახატვასა და გამოწერას ეწოდება. [189v]

3 თავისამე ვაგლახ ავად — ამას ნიშნავს, (რომ მოგშორდე) თავს დაეგლახაქებო, ავათაო, ესე იგი გონებით და ცნობით დაეგლახაკლები ავადაო.

4 ახ მოუხდების ახ ავად — ახ შორისდებული კმა არის სამწუხარო და სანანებელი. მოუხდების — შეემთხვევის, ავად მოუხდებისო, ავად მოუვა საქმეო.

1555/1566

1 ბროლის ჭურჭელზე რომ ვარდი დაიყაროს, პირის სითეთრესა და ლოყის სიწითლესა ნიშნავს.

2 უფრო მე ვასა — ესე იგი, ვასა, ვაჟ, კმა შორისდებული საგლოველი.

3 თნევა — სათნობა, კეთილ-მოსაწონი.

1556/1567

1 არლარა ხანსა ზმულია — აღარ დაიგვიანეს.

4 ნალველ-ჰმული — ფრიად მწუხარე და დანადგლებული. ნალველს იტყვიან მაწარმოვედ და მშობლად მწუხარებისა.

1557/1568

1 დობილნი — ქალნი ურთიერთარს თანა შეკრულნი დებრივისა კავშირითა და სიყვარულითა.

2 სიტყვისა გაჰონდობილნი — ერთმანერთის ჰესაიდუმლოვენი.

4 სტიროდეს მათთა მჭვრეტელთა, გულნიცა ესხნეს წდობილნი — წდობილნი, დობილნი, წდოლა — ერთისს ადგილიდამ

აყრა და სხვაგან გარდასახლება. ტიროდეს მათთა მჭვრეტელთა, გულნიცა ესხნეს წდობილნი — როდისაც რომ ნესტან-დარეჯან და თინათინ გაეყარნენ ერთმანერთსა, მათთა გაყრათა მჭვრეტელთა გულნი რეცა აიყარნენ თვისით [190r] ადგილით და ნესტან-დარეჯანს და ტარიელს წარყვენ თან.

1558/1569

1 მთოვარე ცისკრის ნიავსა, რა თანა შეესწოროსა — მთოვარე როდისაც ცისკრის ნიავსა, ესე იგი გათენებასა მიიწევა, მაშინ თვისსა ნათელსა დაჰკარგავს.

2 ორნივე სწორად ნათობენ, მრწორდეს მოეშოროსა — მაშინ მთოვარეს მონათუობა (ანუ ნათელი) აღარ ექნება და ამითი ნიავს შეესწორება და სინათლე მას მოშორდება. ნიავს რა ნათელი აქვს, სწორეთ მთოვარეც მაშინ ჰაერის ფრად შეიქნება და ნიავის ფერად.

3 არათუ იგი მოშორდეს, მართ ცამან მოაშოროსა — თუმცა მთოვარე კი არ იშორებებს ნათელსა, მაგრამ ცის ბრუნვა, ანუ ქნეყნისა, რაკი გათენდება, მოაშორებებს მთოვარეს ნათელსა.

4 მათად საჭვრეტლად მჭვრეტელმან, ხამს თავი იქედგოროსა — და თუ ნებავს ვისმე ჰვრეტა, მაშინ მათი დანახვა თუ შეუძლიან, რომ თავიანთი თავი ქედ გორათ გააკეთოს, ესე იგი ალბიისა და ანუ კავკასიის მალლის მწვერვალს სიმალლეს ოდენი აიმაღლოსს, მაშინ შეუძლებს დანახვასა. ამას ამისთვის იტყვის რუსთაველი, როგორათაც მთოვარეს ნათელს გაჰყრის დილა (თუმცა დილა არ არის ბოროტი რამე), ეგრეთვე ჟამი და დრო მეგობართ რომ გაჰყრის, ის სწორეთ მთოვარის სინათლის ჟამიერს მოშორებებასა ჰგავს.

1559/1570

3 ვარდასა სწებენ და აბობენ — ესე ბაგეთა, ესე იგი ტუჩთა ურთიერთარს შეხებასა და კოცნას ნიშნავს. [190v].

4 იქა დიან — სიქადულს ნიშნავს, ანუ კვებნასა.

1562/1573

4 ნათალი — მეათ-რიცხველნი.

1563/1574

2 არ სულთქმა უერთხელდების — არათუ ერთგზისს სულთქმას გაყრის მწუხარებით, არამედ მრავალ გზისს.

4 ფიფქი ნასდების, თხელდების — ნელიადს თვალთაგან ცრემლისა მოდენასა ნიშნავს.

1564/1575

1 ვარდსა დაუტყულეს — დატყულეჟვა კოცნა ესე გვარი, რომ კოცნაში კმა გამოდიოდეს კოცნისა და ლოყაზე ნაკოცნი დაეტყოს.

2 ოცებით — ოცება — საოცრება მოჩვენებასავით.

3 პატიჟთა გასაოცებით — პატიჟნი ერთისა ნაცვლად ოც რიცხვად გარდაჰქცევინაო. გასაოცები — განსაკვირვებელი.

4 დავიხოცებით — დახოცა — აქა არა თუ სიკვდილს ნიშნავს, არამედ მრავალსა ტირილსა. დახოცვა მრავლად რომ ცრემლი მოუვა და ცხვირითაც სდის წყალა. იმას ნიშნავს და თვალებისა და ლოყათ მოხოცას, ანუ გაწმედას.

1565/1576

ეს სტიხი მაჯამათ არის თქმული.

1 გამომსალამე — გამომშვიდობებას და გაყრის გამოსალმებას ნიშნავს.

2 ცრემლი მინდორთა სალამე — ლამი წყალთა, რომელნიც ქვეშე თვისსა დიახ წმინდათა ქვიშათა მექონ არიან, რა წყალნი დენას დაიწყებენ, ნამეტნავად წვრილნი მომდინარე წყარონი იმათ [191r] ქვეშე იხილვებიან ლამნი, ეგრეთვე ნიავღვარნიცა ლამითა წამოლეკვენ, ანუ წამოლამენ ადგილთა. ლამი შავი ღია.

3 მზე შენ გელმისო საომრად და თავი შენ მას ალამე — მზე შენ გელმისოსა ომრად — მზე შენ გერიდება და გიფთხილდება, რადგან ასეთი მშვენიერი ხარ, რომ ეს ვერ გაგიბედავს წინააღმდეგს ომსა და საჩხუბარსა რასმე და თავი შენ მასალამე. ალამი — ამალმებული ნიშანი არის, ვითარცა დროშა და ესე გვარი და შენ მას ზედ აღიმალე თავი.

4 უბრძანა თქვენთვის მტირალსა, ყოლა რად მიჩნდეს სალამე — ყოლა, ყოვლად. რად მიჩნდეს სალამე — სალამი მშვიდობასა ეწოდება, ესე მშვიდობა და ეს დიდება, რომელიც, რომ მაქვს, უთქვენოდ არაფრად მიმაჩნიაო. სალაჰ სპარსულად სასარგებლოსაც ნიშნავს.

1566/1577

3 ცხენები ვარგი — კარგი ცხენი, გამოსაყენებელი ცხენი.

4 მარგი — მარგებელი.

1567/1578

3 მინდორსა შინა სადილად, გარდახდეს უდილადოსა — უდილადო ჟამი — დილა გარდავლილი დროჲ, სადილობის ჟამი, დილის ჟამზე განშორებული არის.

4 ღვინოსა სვემდეს არ დოსა — დო მაწვნისა ნადღეებარი არის, ოდეს ერბოს ამოიღებ მაწვნიდამ დო დარჩება¹.

1570/1639

3 ყველაქასა — ყოველთავე ერთბამად. ყველაქა — ყოველივე კარგი. ყველაქასა — ყოველთავე კარგთა და ჩინებულითა. ყველაქასა განუცხადნეს — ყოველსა კაცსა განუცხადნეს.

1571/1640

1 ჯალაბი — სახლეულება, ფომილია. ჯალაბ არა[191v]-ბული ლექსი არის, ხოლო ჯალაბობა ქართული². გაადიადეს — განამრავლეს.

1572/1647

2 მართ ამას მოიტყოდიან — მოიტყოდიან — ყოველნი ყოველსა ადგილსა, ამას ლაპარაკობდნენ. მოიტყოდიან გზაზე ლაპარაკით რომ მოდიოდნენ კაცნი, იმას ნიშნავს.

4 სადარბაზობლად — დარბაზობა ამას ნიშნავს, რომ დიდთა და ჩინებულთ გვამთავან მივიდეს ვინც მათთან ღირსი არის მისვლისა სანახავად. და კამბანია გაუკეთონ. დარბაზი — დიდებულთა გჭამთა პალატსა ეწოდება.

1574/1650

3 გარუკონა — ფეხსა ზედა შთაცმულსა ფერკსაცმელსა ზევიდამ აკოცა. გარდუკონა ამას ნიშნავს, რომ ფერკნი, თუ კელნი, თუ მუხლნი, პირი და გული სრულად გარდუკონოს.

1575/1654

3 საიშვიათო მარგალიტი — ძვირფასი, რომ იმისი მსგავსი დიახ ცოტა იპოვებოდეს.

4 დაღრეჯა — მოწყენა, ზრუნვა რომ ჰქონდეს ვითარის თვისზე კაცსა და მოწყენილი იყოს. დააჩნია, დააჩნივა — სახესა ზედა გამოუცხადა.

1576/1655

1 მოესურვა — მოუნდა წარსვლა ცოლთან ავთანდილს.

2 მომემდურვა — მიზეზი დამდურებისა. ანუ დავიმდურვე გული შენი, ანუ დაემდურვა გული შენი.

3 აწვაგლახმენ ჰირნი შენნი, გონებამან შვიდი თურვა — აწვაგლახმენ — ესე ნიშნავს ვამე [192r] ანუ ვაგლახმენ. ვაგ-

¹ ეს განმარტება ზის 1570-ის ქვეშ

² ქართულთ

ლ ა ხ მ ე ნ — ნიშნავს დავგლახაკე გონება ჩემი ამით, რომელ, აქამდის ვერა ვსტან ჭირნი შენნი (ანუ დაღრეჯა). შვიდი თუ რვა — შვიდით ანუ ვშვიდით, შებებასა შინა ვიყვენით, ხოლო აწ შებებასა ამას შინა მოგვეცა თუ რვა, ესე იგი ურვა. გონებამან ჩემმან ველარ მოიფიქრა შვიდი, ესე იგი იშვებდი, თუ რვა (ესე იგი) თუ იურვოლი.

4 მოგშორდები ლხინი ჩემი, საწუთომან დამიშურვა — როს წახვალ და შომშორდები, მაშინ ამ საწუთოს მოქმედებისაგან ლხინი და სიხარული დამეწურვება, ესე იგი დამიმძვირდება.

1577/1656

2 ზედა ზედან დავტკეპნიდე — და ტკეპნა სიარულითა, მიწასა ზედა სვლისაგან რომ გასწორდეს და დააჩნდეს ადგილსა და გზასა. თე მი — არს სამეფოთა, გინა ერთა, ერთი რომელიმე ნაწილი. ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა თე მი ნიშნავს სხვასა და სხვასა ნათესაობასა, გინა ადგილსა. მ რ წ ე მი — უმცროსი. უ ხ უ ე ს ი — ძმა არს. უმცროსი ძმაჲ, ხოლო უმრწემესი ძმა არს უმცროსი ძმაჲ.

1578/1658

1 წ ა ა ტ ა ნ ა — თან გაატანა. ჯუბაჩები — ჯუბაჩა მოკლე ჯუბა, ამგვარს ჩასაცემელსა ქართულად ქურთუკს ეძახიან. აზიის მეფეთა და ჩინებულთა კაცთა კაბასს ზევიდამ ჩასაცმელი არის, მოკლე და სახლებ დაკვეთილი. უწინ საქართველოშიაც იცოდნენ ამისი ჩაცმა. ღიახ მოსახდენი არის და უცხო ძვირფასის ფარჩისაგან იქმნება შეკერილი.

3 წ ა ო — წაულევ [192v].

1579/1659

1 ყ ა ბ ა ჩ ა — ესე ქალთა ჩასაცმელი არს, ქურთუკის მსგავსად, მოკლე მაგრამ ეს კი სახლებიანი იქნება და კაბაზე ჩაიცმენ ქალები ყაბაჩას, ამას ქართულად თუმცა ქათიბს ეძახიან, რადგანაც საზამთროს ყაბაჩასა ბეწვსს დაუდებენ სამურისას, ანუ კვერნისასა და ესე გვართა პირველთა და ძვირფასთა ბეწვთა. ყ ა ბ ა ჩ ა ესე წოდება, რომელიც არის სპარსული ლექსი, რომ გარდმოთარგმნო, მოკლეს კაბასა ნიშნავს. რ ი დ ე თ ა ვ - მ ო ს ა ხ ვ ე ვ ი, თ ი რ მ ა შ ა ლ ი ანუ ოქრო ქსოვილი წმინდათ მოქსოვილი, თავზე დასახვევათ, რომელსაც ჩალმასაცა უწოდებენ, ხოლო რიდე ქართული სახელი არის.

1580/1660

1 გ ა ე ს ა ლ ა მ ა — გამოესალმა, გამოემშვიდობა და წარვიდა.

2 დაწვა ცეცხლისა ალამა — ალმო და დასწვა მოშორებისა. ცეცხლისა ალმან.

3 მისტირიან — როდისაც გამოეთხოვა ავთანდილ ტარიელს და გაამგზავრეს და რომ მოშორდენ და წავიდა იმ ქამის ტირილი ითქმის, მისტირიანო, ანუ მისტიროდესო. ცრემლმან მინდორი და-
ლაშა — წყალი რომ მოვარდება, ანუ ნიავეღვარი და ლამი, ესე იგი სიმღვრივე და ქვიშაცა არეული, თან მოაქვს წყალსა, რეცა მაშინდე-
ლი თვალთა ცრემლი ესრეთ ნიავეღვარებრ იღვრებოდა.

4 სოფლისა ამ სამსალამან — სამსალა არის საწამლავი ფრად სასტიკი, რომელსაცა ჰგავს [193r] სიმწარე ამის სოფლისა.

1581/1661

2 ანატირენი — ტირილის მყოფელნი.

3 საქმენი დანაპირენი — საქმე დაპირებული (რომ ამ საქმეს ასე აღვისრულებო), და აღთქმული პირობა.

4 ჭირენი — ჭირნი.

1582/1662

4 ზეცით მოსრული ზენა — თვით უფალი ზეცით მოს-
რული და ზენა — ზეცით გარდამოავლენს, ზენასა მოწყალეობასა
და იგი ყოველთა კელმწიფეთა და მეფეთა არს დამამყარებელი, და-
მადგინებელი და გარდამადგინებელი.

1583/1663

4 გამორჭმულდეს — სიმდიდრითა და დიდებითა ურიცხ-
ვითა აღვისნეს და განდიდნეს.

1584/1664

1 ყოვლთა სწორად წყალობათა, ვითა თოვლსა მოათოვდეს —
მოთოვება, როდისაც თოვლი მოდის, მაშინ იტყვიან მოთოვსო და
როგორათაც თოვლი ყოველთა ადგილთა დაჰფარავს და ნაყოფთა ექ-
მნების შემწე, ეგრეთვე წყალობანი ამა მეფეთანი უხვად ყოველთა
სულთა ზედა მოეფინებოდა.

3 ავთა მქნელნი დააშინეს — დააშინეს, ესე იგი შეაშინეს და
შეაძრწუნვეს, რომ ავის მქნელნი, ავსს ველარა შერებოდეს და კრავნი
მგელთა შიშითა, რომელნიცა, რომ ცხვართა ძუძუთა ვერლარა სწოვ-
დეს. ასე დამწყესს მგელნი, რომ ვერლარა რას ავნებდეს ცხოვართა
და კრავთა, და თხანი და მგელნი ერთგანა სძოვდეს. ეს ამას ნიშნავს,
რომ ბოროტნი და ავის საქმის მქმნელნი და უსამართლოდ მტაცებელ-
ნი (რომელნიცა მგელთა სახენი არიან), ესრეთ მოაქ[193v]ცივეს და
დამწყესს, რომ ველარას ავნებდენ ცხოვართა, ესე იგი მდაბიოთა
ერთა, არამედ სიყვარულით და სარგებლობით მათ თანა სცხოვრებ-
დეს.

2 ს ი მ უ ხ თ ლ ე — მცბიერებით ღალატი და მზაკვარებითა და-უნდობლობა, რომ უეცარი ბოროტმოქმედება შეამთხვიოს. ეგრეთვე საწუთროსა ამისს სოფლისაგან ბედნიერების ჟამსა უეცრად და უცნობელად, უბედურების შემთხვევა.

4 ვსწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისა და ამისსა — არა თუ რუსთველი თვით იყო ესე მესხი მელექსე, არამედ იყო იგი ნდივან მწიგნობარი რუსთველისა მესხი (ეს სახელი გვარეულობას ნიშნავს). მესხნი თუმცა საზოგადოდ საათაბაგოელთა ქართველთა ერსა სახელედების, მაგრამ მესხები საკუთრად ერთი გვარეულობა არის აზნაურშვილებისა, რომელთაგანიცა არამც თუ მხოლოდ სამესხეთოში, ამათი გვარნი სხვა და სხვას ადგილშიაც არიან, ესე იგი ქართლში, კახეთში და იმერეთში, მესხები ანუ მესხის შვილები, მესხიანი, გინა მესხიძე. ვინაჲდგან გვარეულობანი დაბოლოვდებიან ამ სხმით გარდასვლითსა მარცვლებზე, ესე იგი ე ბ ი, ი ა ნ ი, ანუ სახელაჲვე ზედა დაბოლოვდებიან, ესე იგი შვილი, ანუ ძე.

მომთხრობელნი რუსთაველისათვის ესრეთ იტყვიან, რომ შოთა რუსთაველსა ახლდა მდივნად თვისად მესხი ვინმე, რომელმანცა აღსწერა რუსთაველისაგან თქმული ვეფხის-ტყაოსანი ბრძანებითა რუსთაველისათა [194r] ვსწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისა და მისსა — თვით მელექსეც ყოფილა ეს მესხი და რუსთაველისს მდივანი ყოფილა და ეს ერთი მხოლოდ შაერი ოთხ-ტაეპოსანი იმისგან არის შეთხზული, თუ იმის სახელზე ნაცვალგვამობით რუსთაველისაგანვე არის ეს შეთხზული, არა ვუწყით, მაგრამ ეს ჭეშმარიტებით ვიცი, რომ რუსთაველსა თავისს მდივნად ახლდა მესხი და ვეფხის-ტყაოსანიც რუსთაველისაგან ნათქვამი იმან გარდუწერა რუსთაველსა. ამისთვის იტყვის: ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისა და მისსა — მე რუსთველისა ამას ნიშნავს, რომელ მე რუსთველისს ნათქვამს, ანუ ნაშრომსა სტიხებსაო. დამისა, ანუ დამისსა ამას ნიშნავს, ესე იგი ნესტან-დარეჯანისსა, ანუ ვეფხის-ტყაოსანისას (მოთხრობასაო); ესე იგი, ტარიელ ძლიერი-სა და სახელოვანისასა ამბავსა და ქებასა. მე რუსთველისა — მე ესე პირველი პირი ნაცვალსახელი არის. რუსთველისა — ეს ნათესაობითი სახელი. მე — მოქმედი პირი ნაცვალსახელობითად (ვსწერო) რუსთველისას. ესე ნათესაობითი სახელი აღმოაჩინებს რუსთველისაგან შეთხზულს ვეფხის-ტყაოსანსა ვსწერო. ხოლო და მისსა, ესე აღმოაჩინებს ნაცვალსახელობითად მესამესა პირსა, ესე იგი მისსა ქებათა, ანუ მოთხრობათა (ესე იგი ტარიელისათვის თქმულთა

მშვენიერთა სტიხთა), რუსთველის თხზულებასა და მისსა ქებასაო
ვსწერო მესხი ვინმე მოლექსეო (სრული განმარტება ამ ზემოხსენე-
ბულის ტაეპისა ეს არის) [194v].

1586/1666

1 ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად—
ქართველთა ღმერთი რომელიც, რომ დავით წინასწარ-მეტყველისა-
გან არის მოსწავებული ქრისტე უფალი იგი არს. ვის მზე მსახურებს.
სარებლად — ამას მეფეს თამარისათვის იტყვის, რომელ მზის ეტლი,
ესე იგი ურმის თვალი მზისა, როგორათაც თავის მბრუნველობას
მართავს შეუცვალეზელად და მოუშლელად ღმრთისა მიერ ბედნიერე-
ბაცა თამარ მეფისა მისებრ მოუშლელია (თამარ მეფის ქება, ესრეთს
სიმაღლეზედ აჰყავს პიიტეიოსსა), რომ იმისი ბედნიერობის ეტლად
მზეს დასახავს და იტყვის: მზეს მსახურებსო მას სარებ-
ლად, ესე იგი, სატარებლად, სასიარულოდ, და ბედნიერება
მისი მზეებრსა მოქმედებასა და მბრუნაობასა შინა კეთილსა არსო (და
როგორათაცა მზე ატფობს ქვეყანასა და აღორძინებას აძლევსო, ეგ-
რეთვე კეთილ-მოქმედი მეფე თამარ, თავის ერსა მარადის კეთილ-
მოქმედებას და ბედნიერებას აძლევსო.

2 ესე ამბავი გავლექსე, მე მათდა საკამათებლად — კამათო-
ბა პაექრობასა და სიტყვათა და თხზულებათა ზედა სჯასა და მეცნი-
ერთა კაცთაგან ბაასსა და ცილობასა ნიშნავს, რომ ერთმანერთს
ცხუეკრობოდნენ, ესე თქმული ამას ნიშნავს, არა ესე ამასაო.

3 ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მრებელად—
აღმოსავლეთით დასავლეთადმდე ზართა მრებელი, ესე იგი,
შემაძრწუნებელი მტერთა და წინააღმდეგთა. ზარი ნიშნავს საში-
ნელებისა [195r] კმასა შემაძრწუნებელსა. მარები, რება — სი-
არულსა, ანუ სვლასა ნიშნავს, ესე იგი, რება ესრეთსა სიარულსა
ნიშნავს, რომელ აღმოსავლეთიდგან დასავლეთადმდე მიიწევის.

4 ორგულთა მათთა დამწველად, ერდგულთა დამამაგრებლად —
ორგულთა დაწვითა გარდახდევინებასა და განპატივებასა დაუწერს
პიიტეიოსი, ხოლო ერთგულთა მოწყალება მეფისა მარადის მაგარ
და მტკიცე ჰყოფს ბედნიერებითა გარე შემზღუდველი მათი და სიმ-
ტკიცისა მიმნიჭებელი.

1587/1667

1 დავითის ქნარი ვითა ვსთქვენ, სიჩალხე სიხაფეთანი — ქნარი
დავითისი, რომელსა ზედაცა დავით წინასწარმეტყველი და მეფე გა-
ლობდა ფსალმუნსა, მსგავსს იყო იგი აწინდელისა საკრავისა, რო-
მელსა უწოდებენ არფასა და ღერბთაცა ზედა საქართველოსა მეფე-

თა დავითიან-პანკრატოვანთასა, ქნარი დავითისი და შურდულიცა მისი, რომლითაც მოკლა გოლიათი არს გამოხატულ სხვათა შორის სამეფოთა ნიშანთა და აწცა ყოველთა სამეფოთა სქესთა საქართველოსს მეფეთასა, აქვსთ ღერბთა თვისთა ზედა ქნარიცა და შურდულიცა. ს ი ჩ ა ლ ხ ე — გამართულობა სამუსიკოჲსა რაჲსამე საკრავისა, რომელ სრულს ზომიერებაში და კანონიერს გამართულებაში იყოს მოყვანილი, რომელ თავისი ყოველი გვარი ხმა წესიერად დაიკვროდეს და კანონიერად და არა იშლებოდეს დაკვრავში. ს ი ხ ა ფ ე — საგმიროთა ძლიერთა საქმეთა კმისა გამოცემაჲ.

4 აშითი ვილაყფეთანი — ლაყაფი ანუ ლაყაბ, ესე იგი, ხოტბას ნიშნავს, არაბულათაცა [195v] და სპარსულსაცა ენითა, ესე იგი შესხმას და შესამკობელთა და საქებელთა რაჲთამე მშვენიერთა სიტყვათა შესაბამიერთა დიდებულისა ვისთვისმე გვამისა სათანადოსა ჟამსა მისართმელად, ხოლო ა ლ ყ ა ბ თქმა ესე ნიშნავს ტიტულსა, ქართულსა ენასა შინა მღაბიონი ერნი ჩხუბსა და ლანძღვასა შინა ეტყვიან ერთჲანერთსა რას ლაყბობსო, ეს ქართულს ენაში ლანძღვათ არის მიღებული და რუსთაველი რომ იტყვის, ზემორე-როგორათაც რომ განემარტეთ, ისე არის.

1588/1668

3 ბედია მაყივნებელი — მაყივნებელი — განმაქიქებელი, ქვეყანასა და ხალხში შემარცხვენელი მოყივნებით და ყვედრებით. მ ო ყ ი ვ ნ ე ბ ა ყვედრებაც არის და დაძრახვაცა.

4 მ ხ ლ ე ბ ე ლ ი — მახლობელი.

დასასრულ ვეფხის-ტყაოსნისა იტყვის რუსთაველი და ამ ლექსით შეასრულებს სტიხთა თვისთა:

1589/1669

1 ამირან დარეჯანის ძე, მოსეს უქია ხონელსა — მოსე ხონელი მდივან-მწიგნობარი ყოფილა მეფისს თამარისა (ხონი ქვემოსა ივერიაში, ესე იგი ქვემო საქართველოში, იმერეთში არის). უწინარესთა ჟამთა ხონი ქალაქი ყოფილა, ახლა მუნ ეკლესია არის და სოფელი დაბა. მოსე ხონელს დაუწერია ამირან-დარეჯანის ძის წიგნი დიახ მშვენიერნი ზღაპარნი სავაჟკაცო გმირთა და ძლიერთა მამაცთა ბრძოლანი, რომელიცა განიყოფების ათთხმეტს კარად.

2 აბდულ მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა. [196r] — ა ბ დ უ ლ მ ე ს ი ა იყო ადგილით შ ა ვ თ ი თ. ესე არს მამული სამცხისა, ახალციხის გარემოები. ესე იყო მდივან მწიგნობარი დიდისა მეფისა თამარისი. ესე ქართველთა ბიტიკოსთა შორის მაღალი გმირი არს, აქვსთ შეთხზულთა მის მიერ სტიხთა მაღალი ფრასი, რიფმანი სხვა

და სხვა გვარად სათარგმანებნი, ტკბილი ღარმონიკი, აზრითა შესა-
ბამიერიტა, სავსე მშვენიერებითა ლექსებისათა, უხვად აღსავსე ურ-
ჩეულესითა თხზულებითა, შემკობილ და საქებელ. ა ბ ლ უ ლ მ ე ს ი ა,
რომელიცა ითარგმანების მონად ქრისტესსა, სახელად ეწოდა
მას. ამისნი გვექონან ლექსანი შესხმანი სამქებრონი თამარ მეფისანი, ხო-
ლო გაუკეთებეს ამას სტიხად წიგნი აბდულ-მესია—სახელსდებიეს
წიგნსა მას, რომლისათვისცა იტყვიან, რომელ ფრიადისა მალლისა
ქელოვნებითა ყოფილან სტიხნი მისნი შეთხზული და იმ ჟამისა ყო-
ველთა მელექსეთა ზედა უმეტესად უქიესთ ყოველთა სიბრძნის მოყ-
ვარეთა ქართველთა. ლექსნი შავთელისანი და თვით რუსთაველიცა
არა ჰფარავს ქებასა. შემდგომად მდივან მწიგნობარი ესე აბდულ-
მესია შემონოზნებულა და იოანე უწოდებით სახელად, გელათის
მონასტერში შესულა, იქ უცხოვრია და მუნ აღსრულებულა და ამა
იოანე აბდულ-მესია შავთელსა მრავალნი წიგნნი აღუწერია ქარ-
თულნი.

3 დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა —
სარგის (ანუ სერგიოს) თმოგველი მდივან[196v]მწიგნობარი ყოფი-
ლა თამარ მეფისა. თმოგვი სამცხეს ახალ-ციხის სამზღვარში არის
(ციხე და მცირე ქალაქიც ყოფილა იქა). დილარგეთისა წიგნი მშვე-
ნიერი ზღაპარი შეუთხზავს სერგის თმოგველსა. დილარ ჰაბუკი ვინ-
მე ყოფილა ძლიერი და გვარეულობითა, ესე იგი ნათესაობით გეთი
ანუ გუთი. დიახ ჩინებული წიგნი ყოფილა დილარისა და სხვანი-
ცა წიგნნი აღუწერია სერგის თმოგველსა, როგორათაც რომ ვისრა-
მიანი ფრიადისა ენა-მზეობით არის შეთხზული.

4 ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა—
საქებელი ესე პოემა არს დიდისა მისს ქართველთა ბიტიკოსისა შა-
ერთა ნექტარისა შოთა რუსთაველისა, რომელმან შეთხზვითა ამით
ვეფხის ტყაოსანისათა მიანიჭა უკვდავება საუკუნო თავსა თვისსა.
ხოლო წიგნსა ამას უწოდა მიზეზითა ამით ვეფხის-ტყაოსანი, ვინა-
აღგან ტარიელ მოშორებულნი საყვარელსა თვისსა ნესტან-დარე-
ჯანს და ველად გაჭრილი მკეცთა თანა უშენთა ადგილთა იქცეოდარა,
იმოსებოდა იგი მაშინ ტყავითა ვეფხისათა, ისე უკვე წიგნი ლექ-
სთანნი, ვეფხის-ტყაოსანი ყოველთა ქართველთა სიბრძნის მოყვარე-
თა. შორის უმეტეს ყოველთა ზედა სხვათა შერთა თხზულებსაგან
არს უმეტეს მოწონებული, ვინააღგან ქართულსა ხარაკტირსა ზედა
არს შეწყობილი. ხოლო მოლექსეობასა შინა რუსთაველი არცა ბა-
ძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არა[197r]მედ აქვს მას მხოლოდ აღრ-
ჩეულ ლექსთა თვისთა შეთხზვისათვის საკუთარი ქართული ხარაკ-

ტერი და ჩვეულება, გინა ზნეობა. ხოლო აქა სათანადო არს თუ ვინა იყო იგი, და რომელსა ჟამსა, სადაჲთ და ვითარისა ხარისხისა მექონი.

შოთა რუსთაველი იყო უკუტჳ ჟამსა უდიდებულესისა დიდისა მის და ღირს სახსოვარისა მეფისა თამარ გიორგის ასულისა, თვიამპყრობელისა სრულიად ყოვლისა გიორგიისა, რომელ არს ივერია, ესე იგი ყოველი საქართველო. და იყო იგი მეკურჭლეთ უზუცუაი, ესე იგი მოლარეთ უზუცუაი (რომელ არს ფინანცის მინისტრი). იყო იგი მთავარი რუსთავისა. რუსთავი ძველად სამთავრო ქალაქი იყო და საზამთროდ სადგური მეფეთა. ქალაქსა ამას ძველად ეწოდებოდა ბოსტან-ქალაქი. ესე ქალაქი არს ჰერეთისა, ესე იგი გარე-კახეთისა მამული, ტფილისიდან შვიდი მილი გერმანიული, ტფილისიდან გაღმით მტკვრის პირსა ზედა მდგომარე არს რუსთავი.

ხოლო აწ ნაქალაქევესა მას ადგილსა უწოდებენ ნაგებებსა. ქალაქსა ამას რუსთავისასა ჰქონებოდა მრავალნი დაბანი და სოფელნი, თვით ნორიონი, მარტყოფი და გარემონი სოფელნი მათნი რუსთავისავე სამთავროსანი არიან. რუსთაველ არხიეპისკოპოსი, რომელიცა პირველად რუსთავისა ქალაქსა შინა მჯდარა, იგი საქართველოს მეფეთა ჟამსა რუსთავის დაქცევას უკანა მოუყვანიათ მარტყოფში და იქ იჯდა ჟამამდე რიჲთა მმართველობისა და მახლობელს [197v] ჟამებამდე. რუსთველ არხიეპისკოპოსი სტეფანე, გვართით ჯორჯაძე ცოცხალი იყო და ამა ევგენი ექზარხოზის დროს გარდაიცვალა, რომელიც ახლა ტფილისში ზისს. ესეცა საუწყებელ არს, რომელ რუსთველ არხიეპისკოპოსი იყო მკედრობისაცა წინა-მძღვარი და რუსთავლის სასარდლო იყო სრულიად გარე-კახეთი, რომელ არს ესე ერეთი. ხოლო შოთა რუსთაველი იყო შობილივე რუსთავსა შინა, თუმცაღა წერილთა შინა რომელთამე მეხილვა და სიტყვითაცა მსმენოდა ნამდვილ ჭეშმარიტებით შოთა რუსთაველისა, რომელი იგი იყო ადგილით ჰერეთით, ქალაქით რუსთავით, და ქალაქიცა იგი იყო სამთავროდ მისსა მიცემული მეფისა თამარისაგან, გარნა აწ ახლად ვპოვეთ რა მოთხრობა საქართველოჲსა აღწერილი ფარსადან გიორგი-ჯანიძისა, მას შინა წერილ არს. რუსუდან მეფისა მოთხრობასა შინა შემდგომნი ესე სიტყვანი: „მეფემან რუსუდან მოინება წარგზავნა თათართა თანა ძისა თვისისა დავითისა და აღილო შანა და ფიცი მათგან უვნებლობისა, ხოლო მოციქულად გაგზავნნა თათართა მიმართ მთავარნი თვისნი დიდებულნი კაცნი: შანშე და ავაქ და ვარამ გურიელი, და ერეთის ერისთავი შოთთა, რომელიცა მეღნის სეფობისათვის კუპრობით იხსენების“.

სე ფე სხვათა და სხვათა დიდებულთა, გინა მეფეთა, მთავართა ნათესაობასა, გინა ნივთსა რაჲსამე შესაფერსა მათსა სახელ [198r] ედების. ხოლო სეფოპისათვის ამას ნიშნავს, ესე იგი დიდებულად გამოჩინებისათვის საქმისასა. კუპრობით იხსენების ზიშავისათვის მელნისა, ვინაჲდგან რუსთავისა ქალაქისა მახლობელ არს წყაროჲ ვითარცა მელანი გამომდინარე, რომელიცა იხმარების საწერადცა და მახლობელთა მათ ადგილთა იპოვებიან გამომდინარენი ვაკესა ადგილსა ზედა კუპრი მრავალი და ყოველსა ადგილსა შინა საქართველომხასა მუნით წარიღებენ ყოველთვის კუპრთა, სახმარად ტიკთა ღვინისათა. გინა სხვათა რაჲსათვისმე სახმარად. აჲ მოთხრობითაცა აღმოჩნდა შოთა რუსთაველი თუ სადაჲთ იყო იგი. ესე ქალაქი რუსთავი ახლად აღაშენა და განაახლა მეფემან საქართველომხასამან ირაკლი პირველმან და ქმნა მუნ პალატიცა სამეფო და მარადის ზამთრით სცხოვრებდა მუნ, არამედ ვახტანგ მეექვსემან, მეფემან ქარაღისამან, კვალად დაარღვია ქალაქი იგი და პალატიცა სამეფო და ოხერ ჰყო შურითა.

აწ აქა რუსთაველისა შოთასათვის ვიტყოდეთ პირველად და შემდგომად ლექსათვის შოთა რუსთაველისათა ვიტყოდეთ, რომელ არს ვეფხის-ტყაოსანი:

შოთა რუსთაველი იყო დიდებულთა და აზნაურთა წარჩინებულთა შთამომავლობისა, მთავარი რუსთავისა და პალატისა შინა მეფეთასა დიდად პატივცემული და სახელოვანი, მოლარეთა, ანუ მეჭურჭლეთ-უხუცესი (ვითარცა ზემორცა აღიწერა მინისტრ-ფინანსა). შოთა რუსთაველი მის ჟამისა ყოველთა თანა მედროეთა თვისთა [198v] აღმატებოდა ყოველისა სიკეთითა და ზნეობითა, სწავლულებითა, სიმჭნითა, ახოვნებითა, მშვენიერებითა და პაწროვნებითა სახისათა, ანაგებითა გვამისათა, კეთილისა გულითა და სიუხვითა, ვინაჲდგან მდიდარცა იყო იგი ფრიად. პიიტკობასა შინა აღმატებოდა სხვათა ყოველთა კელოვნებითა ლექსათთა, ვითარცა ასაჩინობსცა სტიხნი მის მიერ შეთხზულნი, ენა-მჭეე იყო იგი და მშვენიერ მოუბარ და სხვათა და სხვათა ენათა ზედმიწევნილებით მეცნიერ. შეთხზა ამან წიგნი ესე მშვენიერი ვეფხის-ტყაოსანი დიდისა მის თვით-მპყრობელისა მეფისა და პატრონისა თვისისა თამარისათვის, ბრძანებითა მიხითა საკამათებლად და შესაქცევად დიდებულისა მის მეფისა და თანა შეინახეთა თვის მისთა და გამოცდილებისათვის ყოველთა მოყვარეთა პიიტკოსობისათა.

ხოლო წიგნი ესე ვეფხის-ტყაოსანი შეიცავს თვისს შორის თუმა ცალა ზღაპარ სიტყვაობასა, მაგრამ ფრიადისა კელოვნებითა შეწყო-

ბილ არს ესე სრულიად ძველსა ქართველთა ზნეობათა. ჩვეულებათა და ხარაკტერსა ზედა ენისა ჩვენისასა. პირველად იწყებს წინა-სიტყვაობასა შინა ქებასა დიდებულისა მეფისა თამარისსა და მიჯნურსა თუ ვითარსა მდგომარეობასა შინა ჰმართებს საქმისა ამის კელყოფა. მოლექსეთა და პიიტვიკოსთასა აღმოაჩენს თუ ვითარ ჯერ არს მოქმედებაჲ კელოვნებისა [199r] მათისა და თუ პიიტვიკოსი ვითარი ჯერ არს. ასწავებს, თუ ვითარ თანა აცხთ საყვარელთა ურთიერთისა მიმართ მიჯნურობაჲ, რომელნიცა განემზადებიან სჯულიერად შეუღლებინათვის კეთილ-წესიერებით და არა უწყსოვსა სიყვარულითა და თუ სურვილსა ტრფიალებასა და ჭირთა შინა რაჲ უხმსთ ყოფად და დაშორებებასა შინა ვითარ თანამღებ არიან ურთიერთისა, რათა დატყვევებული საყვარული თვისი, ანუ დაკარგული ვითარისა გულს მოდგინებითა და შრომითა მოიპოვოს და ვითარ ჰმართებსთ თავისა თვისისა შეწირვა და განწირვა სიცოცხლისა თვისისა მოპოებისათვის მისისა. ყმათა მეფეთა მიმართ რაი თანა-ამსთ და ვითარი ერდგულეზა ჰმართებსთ და სიყვარული და მათთა სამსახურისათვის სისხლისა დათხევამ, ვინაჲდგან მეფეთა ერდგულეზა არს ერდგულეზა მშობელისა მამულისა თვისისა. ხოლო მეფეთა ვითარ ჯერ არს მზრუნველობა ქვეშე სკიპტრისა თვისისა მყოფთა ერთა თვის ერდგულთა მისთა და სახმართა კაცთა. ვითარ განსხვავებული პატივისცემაჲ და სიყვარული და წყალობისა ნიჭებად უხვად ყოველთა ერთა, კვალად საყვარელთა განთავისუფლებისა ჟამსა ვითარი ჰმართებსთ სიხარული, ანუ მეგობართა მეგობრისა თვისისა ჭირთა. შინა და განსაცდელთა შეწევნაჲ და ძიებად მათთვის სარგებელობისა და მეგობრობისათვის თავის თავის დადებისა.

ვითარ ჯერ არს განშვენებულეზაჲ და განკარგვა [199v] მკედრობათა, ბრძოლანი მტერთა მიმართ თუ ვითარისა სახითა ჯერ არს, ანუ ნაღირობა მეფეთა მიერ ვითარ ხამს. პალატნი მეფეთანი ვითარ სათანადო არიან შეჰკობად, ანუ საუნჯენი მეფეთანი თუ ვითარ ხმარებად სათანადო არიან, ვითარითა სახითა სტუმრობა და მოწვევა მეფეთა თანასწორთა თვისთა და მეჯლიშთა და ლხინთა გარდახდა, პურობა, დახვედრა და ჩუქება, ვითარ ჯერ არიან, ან ლხინისა ჟამსა მეფეთა მიერ წყალობანი თუ ვითარ განიცემიან, ანუ ქვეშევრდომთა ზედა მეფისათა წყალობანი ვითა გარდაეფინებიან, გლახაკთა და უღონოთა მოწყალეზა ვითარ ჯერ-არსს, ანუ მონათა მიერ ძღვნობა მეფეთა და მეპატრონეთა წინაშე, ანუ კაცთა ჭირთა შინა ვითარი მოთმინეზა ჰმართებს, ანუ ლხინთა შინა ვითარი წესიერება და გულითა კე-

თილითა და სიყვარულითა მოყვასთა თვისთა თანა შებება, ანუ ვე-
ზირთა და მრჩეველთა მეფეთა წინაშე განზრახვანი და რჩევანი ვი-
თარ ჰმართებსთ, ანუ მეფისა განრისხებისა ჟამსა, ვითარ ჯერ-არს
მახლობელთა მონათა მორიდება და გაფრთხილება მისთვისს, ანუ
კაცსა ბრძოლათა შინა თუ ვითარი გულოვნება და სიმხნე ჰმართებსთ,
ანუ ჯაბანნი კაცნი თუ ვითარ საგიობელ არიან, ანუ კეთილის ყო-
ფისათვის, ვითარ ჯერ არს ნაცვალი ესე და სხვანი უმრავლესნი კე-
თილნი ზნეობანი ისწავლებიან წიგნისა ამისგან და ლექსნი ამათნი
და ამბავნი ფრიად საამო და სახალი [200r] სო არიან გულის-ხმიერად
მკითხუტლთა თვის მოყუარეთა სწავლისა და ლექსთასა.

ერთი ესე საკვირველ არს რუსთაველმან, თუ ვითარ ესრეთ ენა ზედ-
მიწევნით უწყოდა და ვითარნი ლექსნი აღირჩინა ლექსთა სახმარად
საკვირველ არს ფრიად და გონიერება მისი საქებელ, ხოლო რომელნი-
მე ლექსნი არიან მსგავსნი ლექსთა სპარსულთა და არაბულთა და სხვა-
თაცა ენათა და ფრიად გამოცდილება უნდა კაცსა, რომ შეამცნოს,
რომ თუმცა ჰგვანან სხვათა ენისა ლექსთა, მაგრამ კი არ არიან სხვი-
სა ენისა, არამედ ნამდვილნი ქართულნი არიან. მაგალ., (იხილე
სტიხი 603). დ ა მ ს ა ჯ ა რ ი — ესე ჰგავს ლექსსა სპარსულსა, მაგ-
რამ ქართული არის, ესე იგი დ ა მ ს ა ჯ ა რ ი დამსჯელი. სტიხი 681:
უ ა მ ა, ანუ ი ა მ ა — ესია მოვნა (რა იხილა სასიამოვნო). სტიხი
1288: სპარსულად ნიშნავს ამას, ესე იგი, ხოლო ქართულად ი ა ნ ი
მრავლობითად, მრავალს იის ყვავილს დანიშნავს. მ ი ნ ა ნ ი სინა-
ნული გაქვს ჩემთვის, ანუ გ ე მ უ ლ ა ბ ნ ე ბ ი. მ ი ნ ა აქედამ მ ი ნ ე-
ბ ი გამოდის და სხვანი.

ხოლო რომელნიცა სხვათა ენის ლექსნი უხმარებიეს სტიხ-
თა შინა, იგინი არიან აღრიდგანვე მრავალთა საუკუნე-
თა უწინარეს ქართულსა ენასა შინა შემოტანილნი და ეგრეთ
ვხმარობთ მათ ვითარცა საკუთართა ლექსთა ჩვენთა, ვინაჲდგან ჩვე-
ულება სხვათაცა ყოველთა ენათა, რომელ მეზობლობისა ძლით, ანუ
ხშირად ერთისა, რომლისამე ენისა სმენისა ძლით [200v] ურთიერ-
თისა ლექსთა მიიღებენ და იხმარებენ თვისთა შინა ენათა.

ესე უკუტ წიგნი ვეფხის-ტყაოსანი არს ფრიად სახმარ ზნეობა-
თა შინა ქართულთა, რომლისაცა თვისებანი ზემორე მოვიხსენეთ
და ამა ღვაწლისათვის დიდსა მას ბიიტეიკოსსა რუსთაველსა შოთას
საუკუნოდ მადლობით და ქებით ხსენება არა მოაკლდების.

სსტანიცა წიგნი მსმენიეს მრავალთაგან შოთა რუსთაველისა ნათ-
ხზვენი არიანო, მაგრამ ჯერეთ ვერა მივემთხვივე ესე ვითარსა სურ-
ვილისა ჩემისა სატრფიალოსა ნიჭსა, რომელიცა უძვირფასესისა
დატკობობითა აღავსებდა სულსა ჩემსა.

, ესეცა საუწყებელ-არს, რომელ უკანასკნელ შოთა რუსთველმან დაუტევა სოფელი ესე და ყოველივე დიდება და შვეება საწუთოსა ამის და წარვიდა წმიდად იერუსალემად და შვევიდა მონასტერსა შინა ქართუჭლთასა, რომელიცა აღშენებულ-არს უძველესთა დროთა შინა მეფეთაგან სრულიად საქართუჭლოძასათა მირიან პირველისა და ვახტანგ გორგასლანისაგან სახელსა ზედა ცხოველს-მყოფელისა ჯუარისასა აღშენებულსა და განაახლა მონასტერი იგი შოთა რუსთაველმან, რამეთუ ფრიადნი სიმდიდრენი შესწირნა მონასტერსა მას და ქრისტეს საფლავსა და ყოველთა მათ თვითოეულად ქართუჭლთა მონასტერთა, გინა სხუათა. [201r].

ხოლო იყოფოდა იგი მონასტერსა შინა ჯუარისასა ვიდრე აღსრულებადმდე მისსა, თუმცა სახითა ერის კაცისათა, მაგრამ ფრიადისა მოღვაწეობითა, მრავლისა ქველის საქმითა, ლოცვითა, მარხვითა და გლახაკთა გამოზრდითა და ყოვლითა სათნოებითა კეთილითა აღსრულა ცხოვრება თვისი და დაეფლა ზუნვე ჯუარის მონასტერსა შინა დიდსა ეკლესიასა, სადაცა შიგან ეკლესიისა კედელსა ზედა გამოხატულ-არს სახეჲ მისი და ჰსჩანს ვიდრე მოღვინდელად დღემდე.

ვიღვაწე ზემო განმარტებანი ესე ლექსთანი, რომელნიცა ძნელად გასაგონ იყვნეს მშვენიერსა ამას შინა წიგნსა შოთა რუსთაველისასა ვეფხის-ტყაოსანსა, სასარგებლოდ ერთ მემამულეთა ჩემთა ივერიელთა, გინა გიორგიელთა ერთა ქართუჭლთა, ვინაჲდგან სტიხთა შორის ქართუჭლთა ენისათა ესე უაღრესად სხუათა აღმოჩენილ-არს და დიდისა კელოვნებითა ქმნილ. არა ვრიდებ შრომის-მოყუარებასა ერთ-მემამულეთა ჩემთა ერთა-თვის და ვსასოებ, რომელ ესე ნაღვაწი ჩემი არა უგულებელს იქმნების მათ მიერ და ყოველნი მხილველნი ამისნი და წარმკითხველნი კმა-ყოფილებით მიიღებენ და კეთილსა გულითა ქველ-მსიტყველ მექმნებიან მე ყოვლისა ზემოძასა საქართუჭლოძასა და სხუათა მე[201v]ფის გიორგის მეთაყამეტის ძე თეიმურაზ და კავალერი, ჩლენი პოჩეტნიი სრულიად როსიის აკადეშია ნაუკისა ს.პეტერბურღსს და დანიის საკოროლოსა კოპენღაღანის საანტიკვაროსა შეკრებულებასა შინა პირველთა ჩლენთა შორის დაწესებული და პარიჟის სოსიეტე-აზიატიკის ჩლენი.

დიდება ღმერთსა ყოვლისავე სრულ-მყოფელსა
წელსა განხორციელებითგან სიტყვისა ღმერთისა ჩქმბ
თთუჭსა სუკდენბერსა.

ტექსტი განმარტებულ სიტყვათა საძიებელი

ა	
ააზატებს .1059,4	აზრა 529,2
აბღულმესია 1589,1	აზრზენა 1483,2
აბეზარი 175,4	აზრობა 853,3
აბიდა 459,1	აზრობს 1133,4
აბლაცი 1345,2	ათმანო 825,1
აბჭარი 85,3; 93,1; 222,3; 1008,3; 1031,1; 1354,3; 1406,2; 1451,1	ათროთლება 617,1
აგეთილა 1470,4	ათქს 1508,1
აგესა 605,2	ათჭერადი 1001,2
აგეცდების 1025,2	აისრულე 866,2
აგრგვინდა 1319,1	ალაშა 1580,2
ადარე 1203,1	ალაშე 1565,3
ადგს 1508,1	ალაში 399,1; 933,3; 1299,2; 1565,3
ადიადა 118,1	ალამნეს 933,4
ადრე 849,3; 967,1	ალაფი 449,1; 1213,2
აერ-ფერიოთა 999,3	ალაფობდეს 56,1
აეტირა 321,1	ალაღობნეს 1397,3
აეტირნეს 1127,2	ალბათოთა 1481,4
აეზა 468,1; 1149,2	ალეა 12,3; 50,1; 325,1; 365,2; 656,3; 684,1; 1137,3; 1326,3; 1502,2
აეზაკი 1023,1; 1030,4; 1043,1; 1306,3	ალეა შვეერი 684,1
აეზანი 324,3	ალეისტანი 1292,2
აეზი 324,3; 468,1	ალეის ხე 609,4; 750,3; 1137,3; 1414,1
აეგაროზი 888,1	ალიკარნასელი 175,1
აეე 760,3	ალმულობა 1473,3
აეთეალადი 1233,1	ალმური 1117,4; 1473,3
აელი 786,2; 922,3	ალსა 1002,4
აესნა 760,1	ალქატი 249,1; 1455,1
აზავრები 458,3	ალყა 102,4; 967,3; 971,2
აზანი 345,1	ალყაბ 1587,4
აზარმაცი 1031,2	ალყად 1217,3
აზატ 608,2; 1059,4	ამადარი 15,1
აზატი 249,3	ამაზრზენი 994,4; 1260,2; 1483,2; 1538,3
აზივარი 458,3	ამალსა 393,2
აზონ 849,4	ამარი 1043,2
აზოტ, აზოტ, ასოტ 140,1	ამარტი 264,1
	ამარტის ფერად 264,1
	ამატარი 15,1

ამყარნა 607,1
ამყი 206,1; 583,1; 985,2; 1223,3
ამყობა 108,2
ამებულმან 650,2
ამილახორი 55,2
ამილბარი 312,1
ამირ 55,2
ამირბარი 312,1
ამირბაპრ 312,1
ამირი 401,1
ამირ-ლახვარი 55,2
ამირსპასალარი 312,1
ამიფოლხვა 387,3
ამიხოცნეს 1151,1
ამო 604,3; 916,1; 1050,2; 1377,4
ამოა 1042,1
ამოდურად 1117,1
ამოთ 1472,4
ამოსკენა 89,3
ამოქე 1020,3
ამოქრჩეინეთ 1130,2
ამპარტაენი 1223,3
ამური 321,2
ამხანაგი 1207,1
ამხანაგობს 754,1
ანაგები 925,3
ანაგზითა 302,1
ანაზლად 745,4
ანაზლი 1236,3
ანასსა 177,3
ანატირენი 1581,2
ანდამატი 1332,3
ანტიკი 249,1
არავი 1503,3
არაკი 550,3; 844,1; 869,4; 1501,3
არამ 693,1; 998,4; 1292,3
არამო 875,3
არაჭებიტა 572,3
არაჯიბ 572,3
არ გათნეე 39,1
არ გარდავა 785,1
არ გაუქლა 976,4
არ გეცნევის 795,1
არ დაურჩა არ იარა 180,2
არე 176,2; 1521,4
არება 1528,4
არები 309,2; 1218,2

არეთა 1485,4
არე იარა 176,2; 1528,4
არეშარე 1521,1
არე შთათა იარა 180,2
არენით 72,2; 1198,1
არეობა 1528,4
არეებდა 881,1
არია 950,1
არიან 1526,2
არიდენ 488,4
არიდენო 488,4
არიოლ 970,1
არიოპაგელი 175,1
არისა 1307,2
არიფი 1155,2
არ მალული 885,1
არმალანი 1223,2; 1374,1
არ მისკირებოლა 984,2
არნეს 663,3; 906,1; 1407,4
არო 761,4
არონინე 761,4
არონინებდეს 1484,1
აროს 757,1,3
არუა 102,4
არღავანი 933,3
ასად 136,3
ასადაგეს 136,1-4
ასაკი 888,2
ასაპყარნა 607,2
ასდენ 533,1
ასები 1354,1
ასოლებდა 582,2
ას-საზომი 1024,1
ასპარეზსა 101,2
ასპარიზ 68,3
ასპიროზ 68,3; 951,1
ასპიტტი 1221,2
ასრეა 862,1
ასსოტ 141,1
ასუდარებს 706,2
ასული 33,4
ატირდა 1149,3
ატირდის 957,1
ატლასი 1003,2; 1428,1
აუგი 1083,2; 1223,4
აუდიენცია 508,1
აუზი 324,3

აუნდეს 1018,3
 აუნქულა 976,2
 აფრთხობს 1332,2
 აფროლიტი 952,1
 აფრქვევინა 977,2
 აქადალმე 963,3
 აღარად 704,4
 აღვსება 589,2; 953,2
 აღლუმი 398,2
 აღმაფრენა 29,3
 აღმოუხვნა 588,2
 აღნაქვისი 496,3
 აღრი 704,2
 აღუპყრა 95,3
 აღფხვრა 759,4
 აღხე 433,2
 აღქმა 1325,4
 აყიენებდეს 13,2
 აშეთებს 1339,2
 აშიკობა, აშიყობა 356,4; 1194,3
 აჩინა 630,1
 აჩუქება 976,2
 აცადეთ 203,2
 აცორვებს 1317,2
 აძგერეს 1032,2
 აძრევიანა 882,3
 ახ(ახისა) 886,2; 1037,3; 1170,4; 1555,4
 ახე 433,2
 ახეს, ახ და ოხ 1447,2
 ახეწვა 649,1
 ახეწება 750,4
 ახვალეს 1043,1
 ახისა, ახი, ახ 678,1
 ახიოს 701,1-4
 ახლავს 895,2
 ახლიჩა 266,3
 ახოცა 1151,1
 ახსნა 609,4
 აჯა 224,1; 274,1; 530,3; 610,1 714,4;
 881,1; 1049,3; 1146,4; 1507,4; 1509,3
 აჯილა 1166,4
 აპყი 886,4

ბ

ბაგე 605,1
 ბაგეთა ვარდი 943,4

ბაღაშანი 5,2; 1429,2
 ბაღია 300,1; 1375,4
 ბაღრაგი 1027,2
 ბაღირყა 1027,2
 ბავთი 1500,4
 ბაზარი 1450,3
 ბაზმა 1508,2
 ბაზმანდი 888,1
 ბაზმარი 1508,2
 ბაკი 228,1; 550,1; 1424,4
 ბაკმა 228,4
 ბაკმი 228,1
 ბაკმიანი 231,3
 ბალასი 1428,4
 ბალახში 3,2; 5,2; 1483,3; 1530,4
 ბალახში 136,2
 ბანთა ბანნი 1102,3
 ბანის-ბანნი 1102,3
 ბარბათი 177,3
 ბარბარის 1428,1
 ბარდავა 1027,2
 ბარე 1216,2
 ბარი 1106,4; 1343,3
 ბასრობა 852,4; 1065,4
 ბალ 35,4; 324,3
 ბალი 47,2
 ბაღჩა 324,3
 ბაღჩად 487,3
 ბაჯალლო 1178,2
 ბეგთარი 435,2
 ბეგლარბეგთა 415,1
 ბედაური 1447,4
 ბელი 696,4; 893,4
 ბელითი 13,2; 239,4; 372,1
 ბელზებელი 345,1
 ბექქეა 789,3
 ბინა 513,2
 ბინდი 703,4; 771,3; 1084,3
 ბისონი 709,4
 ბიჯი 858,4
 ბნელა 721,2
 ბოზი 570,1
 ბორიო 1446,4
 ბოსტან-ქალაქი 1589,4
 ბრქობა 25,1
 ბროლ-ბაკმული 228,4
 ბროლ-ბალახში 1001,4

- ბროლი 857,3; 943,4; 1260,1; 1265,2;
 1483,1; 1530,4
 ბროლი სადაფნი 846,1
 ბროლისა ფიცარნი 1437,4
 ბროლნი 136,2
 ბროლსა და მინას 965,4
 ბროლსა სეტყეს 137,2
 ბროლისა წვიმასა 1310,1
 ბროლისა ცვარნი 1319,1
 ბროლ-ფიქალი 41,3
 ბრუნავს 999,4
 ბრუნვა 993,4
 ბრუვილ 1482,4
 ბრულები 832,3
 ბრუარი 901,3
 ბრუე 949,1
 ბუკი 46,3; 414,4; 1450,2
 ბუკი 56,3; 720,4; 976,3; 1133,4
 ბუქმანი 720,4
 ბურჯი 1191,3
 ბუნჯით 940,3
 ბუესა ბუეთასა 1531,2
 ბუობა 232,1
 ბუობილი 888,3
- ბ**
- გაადიადეს 1571,1
 გაათავე 1264,3
 გაათაენის 808,3
 გაათანისთანე 303,3
 გააკულადებს 1482,3
 გამლოკლა 662,3
 გამოკლა 662,2
 გამელაენე 1264,1
 გამჩივრა 588,4
 გასებულნი 1018,2
 გასრულე 1128,1
 გაფლიდეს 705,2
 გააცხადე 769,2
 გააწეინა 1069,2
 გაახენა 304,3
 გაბონს განაზარდი 326,1
 გაბასვრა 1065,4
 გაბასრული 622,2; 805,1
 გაბასრულნი 1065,4
 გაბიჭება 858,4
- გაბრუე 896,2
 გაბრუობდა 1353,2
 გაბრუოს 759,2
 გაბუეე 845,2
 გაბუო 837,2
 გაგათრიე 804,4
 გაგება 891,2
 გაგეაწილა 59,3
 გაგეიხსადენ 533,2
 გაგეიციფილებს 623,1
 გაგეყარა 816,3
 გაგეწირა 816,3
 გაგიმეტდეს 929,1
 გაგონება 870,2
 გაგულისდა 746,1
 გადაადგა 855,4
 გადაადდა 1405,2
 გადრეკა 920,2
 გაეკიდა 899,4
 გაეკი და 899,4
 გაემართა 742,1
 გაემარენ 891,1
 გაემართნეს 1483,1
 გაემყება 289,2
 გაესალაბა 1580,1
 გაესალამნეს 933,1
 გაეტურფა 675,2
 გაეჟანა 1518,1
 გაეჟუსისი 1083,1
 გაეზარენს 906,2; 1037,3
 გავ 1520,3
 გაეაადრო 849,2
 გაეაგე 1013,3
 გაეათუო 1472,2
 გაეაიღენით 1224,1
 გაეალაგდი 577,1
 გაენატენით 608,3
 გაენადე 1140,2
 გაეცებუნე 597,1
 გაეცირუეო 1472,3
 გაეგულისდი 902,2
 გავე 1115,1
 გავესულე 1128,4
 გავეცრუები 1390,2
 გავიკითხე 619,2
 გავიტანე 1115,2

გაელენა 923,2
გაესება 589,2; 953,2
გაესტყორინე 901,1
გაეხასდი 753,1
გაუხე 1130,4
ვაზიარება 935,3
გათიო 734,1
გათნეუ 39,1
გათნივათ 1041,1
გათრევა 804,4
გათრეული 804,4
გათხელება 721,4
გაიოთხა 657,2
გაითხეს 1414,3
გაის 231,2; 751,3
გაის ქუშობს 751,11
გაიკრა 834,1
გაკიცხვა 1091,1
გაკრეხვა 1406,4
გალეული 589,2
გალეწვა 1033,3
გალობა 11,3
გამართეს 1026,4
გამარმებია 998,4
გამარჯვებოდეს 1042,1
გამალარიბე 812,3
გამდის 875,4
გამებაზრა 529,1
გამეხარნეს 897,3
გამიარმა 875,3
გამიკიდნა 513,1
გამილომდესო 586,3
გამილზინე 855,4
გამიქიქია 26,2
გამლევს 953,2
გამოარნეს 1188,3
გამოგება 1022,2; 1060,4
გამოვემართეთ 1023,1
გამომამელაენეს 1140,3
გამომართება 1023,1
გამომელდა 751,2
გამომსალამე 1565,1
გამომწივარდა 564,4
გამონდობილნი 1557,2
გამორიდნა 751,1; 899,3
გამორკმულდეს 1583,4

გამოსახე 705,1
გამოსკვირს 1136,4
გამოლძა 841,1
გამოძრწა 751,2
